მნათობი

114
1933

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8-9

პოეზია და პროზა
პ. ჩხიკვაძე
ვ. გოგრგაძე
ლეო ძიაჩელი
გიორგი ლეონიძე
გოგრის ჩხეიძე
ალ. ძუთათელი
გ. გაგაზოვი
სოფო ფფელაძე
ხ. თალაკვაძე
კ. გამსახურდია
არჩ. ჯაჯანაშვილი
ლევ. მარუაშვილი
ლიტერ. ხელოვნება
შ. ჩადიანი
ხიმ. ჩიქოვანი
მეცნიერება
იოს. მეგრელიძე
სალიტერ. არქივი
ხიმ. ხუნდაძე
კულტურის მატიანე

9 3 3

პროლეტარიტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

54477
1406

8-9

წელიწადი მეათე

Библиотека
Тбилисский ИМЯЛ при ЦК

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხახელგამი 1933 ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

გ. ყურულაშვილი, ს. ეული, ივ. ვაშაყმაძე, ზ. რადიანი, დ. სულიაშვილი, გალ. ტაბიძე, ტიც. ტაბიძე, სიმ. ჩიძოვანი, პ. ჩხიკვაძე (რედაქტ. მოადგილე), ლევან ასათიანი (პ./მგ. მდივანი).

პ./მგ. რედაქტორი: გიორგი ყურულაშვილი.

პოლიგრაფტრესტის 1-ლი
სტამბა
შეკ. № 1513. ტირ. 3000.
მთავლიტ. № 1106.

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13.
რედაქციის მისამართი: ეგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე. ტელ. № 1—65
კანტორის მისამართი: ტფილისი, ალმასკომის ქ. № 7, პერიოდსექტორი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 1933 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება

აღნიშნავს რა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ზოგიერთ მიღწევას „სალიტერატურო—მხატვრული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მიერ 1932 წლის 23 აპრილს მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციის საქმეში, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ი, კავშირის მუშაობის შემდგომი გაძლიერების მიზნით, ადგენს:

1. რადგან საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობის მოწვევას დიდი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, წინადადება მიეცეს საქართველოს სალიტერატურო ორგანიზაციებს გააძლიერონ მუშაობა ყრილობისათვის მოსამზადებლად შემოქმედებითი დისკუსიის ფართოდ გაშლით, მკითხველთა კონფერენციების ჩატარებით და მწერალთა აქტივის მობილიზაციით იმ ამოცანების გარშემო, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დასმულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1933 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით.

ამასთან ერთად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა შეუსუსტებელი ბრძოლა აწარმოოს უკვე განადგურებული ჯგუფობრივობის ნაშთების წინააღმდეგ, ლიტერატურაში ნაციონალისტური ტენდენციების, კლასობრივად უცხო და ანტი-პროლეტარული განწყობილებების ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ.

2. აღინიშნოს არასაკმაო მუშაობა სალიტერატურო წრეების ქსელის გაშლისა და მუშათა და კოლმეურნეთა რიგებიდან ახალი სალიტერატურო კადრების დაწინაურების ხაზით, რის გამო წინადადება მიეცეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს გააფართოოს ქ. ტფილისის საწარმოებთან არსებულ სალიტერატურო წრეების ქსელი, განამტკიცოს იგი კვალიფიციურ ხელმძღვანელთა შერჩევის გზით იდეურ-პოლიტიკური და სამხატვრო კონსულტაციის უზრუნველყოფისათვის. ამასთან ერთად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის სალიტერატურო ორგანიზაციებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახალი სალიტერატურო კადრების აღზრდას ადგილობრივ ნაციონალურ კადრებიდან (აფხაზები, აჭარლები, ოსები და სხვ.).

3. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა ორი დეკადის ვადაში გამოჰყოს საბჭოთა მწერლების ბრიგადები რაიონებში სისტემატიური მუშაობისათვის სამრეწველო საწარმოების, ახალმშენებლობათა და საკოლმეურნეო სოფლის ლიტერატურულ-მხატვრული უზრუნველყოფის მიზნით, ამასთან განსაკუთრებით გაამახვილოს საბჭოთა მწერლების ყურადღება იმისათვის, რომ მათ გამოხატონ პოლიტგანყოფილებების ბრძოლა სოფლის სოციალისტურ გარდაქმნისათვის.

საქართველოს კომპარტიის (ბ) რაიკომებმა, საქალაქო კომიტეტებმა და ოლქკომებმა გააძლიერონ ყურადღება ლიტერატურულ-მხატვრული მომსახურების საკითხებისადმი, ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ადგილებზე მომუშავე მწერალთა ბრიგადებს.

4. სოციალისტური მშენებლობის შესახებ მაღალ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნის მიზნით, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა დეკადის ვადაში დასახოს ყველაზე უფრო გამოჩენილი მწერლების რამდენიმე (3—4) ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინება ერთი წლის ვადით მაინც რაიონის და თემატიკის ზუსტად აღნიშვნით.

5. საქართველოს სახელგამის და გამომცემლობა „ფედერაციის“ მიერ მხატვრული ლიტერატურის გამოშვების საწარმოვო გეგმების სისტემატიური შეუსრულებლობის გამო წინადადება მიეცეს მათ უზრუნველყონ მეოთხე კვარტალში მხატვრული ლიტერატურის მთელი საგამომცემლო გეგმის შესრულება.

6. ახალგაზრდა და დამწყებ მწერალთა სალიტერატურო პროდუქციის ბეჭდვის უზრუნველყოფისათვის, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა 1 ნოემბრიდან მოაწყოს 4—5 ფორმიანი სპეციალური ყოველდღიური ჟურნალის გამოცემა; ჟურნალის ტირაჟი დაწესდეს 3.000 ეგზემპლიარი.

7. საბჭოთა მწერლების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით ა) გაძლიერებული იქნას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ბიუჯეტი 1933 წლისათვის 45 ათასი მანეთის რაოდენობით; აფხაზეთის, აჭარისტანის, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებმა და ქუთაისის ქალაქის აღმასკომმა დამატებით გამონახონ მწერალთა ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის: აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირისათვის — 10 ათასი მან,. აჭარისტანის მწ. კავშირისათვის 10 ათ. მან,. სამხრეთ-ოსეთის მწ. კავშირისათვის — 8 ათ. მან,. ქუთაისის მწ. კავშ. — 8 ათ. მანეთი.

წინადადება მიეცეს საქართველოს ფინსახკომს (ამხ. თათარიშვილი) განახორციელოს ეს გადწყვეტილება.

ბ) წინადადება მიეცეს ტფილისის აღმასკომს (ამხ. მაჩაიძე) ერთი თვის ვადაში გადასცეს გამომცემლობა „ფედერაციის“ წიგნის მაღაზიის გასაფართოებლად საჭირო დარაბები რუსთაველის პროსპექტზე.

გ) ტფილისის საზკვებამ (ამხ. დავლიანიძე) ერთი კვირის ვადაში მოაწყოს დახურული სასადილო მწერალთა სასახლეში, გამოჰყოს სასადილოსათვის საჭირო საბრუნავი სახსრები.

მომარაგების სახალხო კომისარიატმა, საქვაჭრობამ და ცეკავშირმა უზრუნველყონ სასადილო საჭირო საფონდო პროდუქტებით.

დ) ტფილისის აღმასკომმა (ამხ. მაჩაიძე) ერთი კვირის ვადაში გამოჰყოს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისათვის მიწის ნაკვეთი მწერალთა 40 ბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაგებად. კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატმა (ამხ. ღლონტი) აღნიშნული მშენებლობა შეიტანოს 1934 წლის გეგმაში;

ე) მიმდინარე წლის ბოლომდე ტფილისის საბჭომ გაანთავისუფლოს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საჭიროებისათვის კავშირის კუთვნილი სახლები თფილისში: ორჯონიკიძის ქუჩაზე № 22 (ილია ჭავჭავაძის ყოფილი სახლი), მწერალთა მუზეუმის მოსაწყობად და კვალის ქ. № 5 (ანასტასია წერეთლის ყოფ. სახლი საბავშო მუზეუმისათვის.

ტფილისის აღმასკომმა ამხ. მაჩაიძის პირადი პასუხისმგებლობით დაუყოვნებლივ მოიყვანოს სისრულეში ც. კ-ს ბიუროს ა. წ. 2 მარტის დადგენილება ამჟამად მწერალთა სასახლეში ცხოვრებ მობინადრეთა გამოსახლების და ამ მიზნით საჭირო ოთახების გამოყოფის შესახებ.

ვ) მიმაგრებული იქნას ა. წ. 1 ოქტომბრიდან საქართველოს მომარაგების სახ. კომისარიატის სპეკანტორაზე შემდეგი დამსახურებული მწერლები: ვ. ბარნოვი, ე. გაბაშვილი, შ. მღვიმელი, დ. მეგრელი, გალ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, პ. ჩხიკვაძე და გ. ქუჩიშვილი.

8. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ალმასხან

ბუკისციხეს ბუკი დაჰკრეს...

შეიძრა ციხის მილმა მდებარე სოფლები. აწრიალდა დამფრთხალი მოსახლეობა.

— თათრებს გადმოუხეთქია?

— ზოტიყელიდან გადმოსულან?—ეკითხებიან ერთმანეთს თავგაბეზრებულნი თათრების ხშირი შემოსევით და ციხე-სიმაგრისკენ მიისწრაფიან.

— საგანგაშოს რომ არ წააგავდა?!—ყოყმანობს ხანშესული მოხუცი.

— მეც ასე მომეჩვენა, მაგრამ... ავიდეთ მაღლა და ყველაფერი ნათელი გახდება.

ციხის გალავანში სიწყნარეა.

სდუმს აღმოსავლეთ გურიის მფლობელის გიორგი ერისთავის სასახლეც. ბუკის ხმა მიწყნარდა.

ხმაურობაზე, ნიგვზის ჩრდილში მთვლემარე ერისთავმა თვალი გააახილა და ტკბილად დაამთქნარა.

მზე მაღლა წამოსულიყო.

— რა მაგრა დაცხა ეს ოხერ-მუდრეგი—წაიღუღღუღა ერისთავმა და ჩრდილი გადინაცვლა. შემდეგ გძელტარიანი ყალიონი გააჩაღა... ჭიშკართან მოურავს თვალი მოჰკრა და თითი დაუქნია.

მოურავი შურდულივით გამოექანა. გზადაგზა ცალი მხარი დაბლა ჩამოუშვა, ნაცრისფერ ჩაქურაზე ბაღდადური შეისწორა და პატრონს მოწიწებით თავი დაუკრა.

— ალმასხანა სად არის, ბეჟუკავ!—იკითხა ერისთავმა.

ბეჟუკას განგებ ენა ჩაუვარდა. მხრები აიჩეჩა და შემკრთალი სახე მიიღო

— სად არის მეთქი!—წამოიწია სკამლოგინიდან პასუხის შეყოვნებაზე გრაზმორეული ერისთავი.

— რა მოგახსენოთ, დიდო ბატონო!

— ბუკს ვინ აბლავლებდა?—დაიდაბლა ხმა ერისთავმა.

— რა მოგახსენოთ.—ისევ ორჭოფულად. მაგრამ მოკრძალებით უპასუხა მოურავმა.

— როზგები ხომ არ მოგენატრა, ბეჟუკავ!

— ღვთისა და თქვენი წყალობა...

— მე შენ ვიჩვენებ წყალობას... კნეინა რუსუდანს გეფიცები, გაუროზგავი არ გადამირჩები.

— თუ ერთგულებისთვის ასე გამიმეტებთ...—გადაუკრა ბაქრაძემ და განრისხებულ პატრონს მოლიმარი თვალები გაუმაგრა.

ერისთავი მოლბა.

— რაში გეტყობა ერთგულება?!—თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა ზემოგურიის ბატონმა და გაჩაღებულ ყალიონში თავწამახვილებული ჩხირი აურდაურია.

სურების შარაზე ხმაურობა გაისმა.

ერისთავი შარას დააკვირდა.

— ბეჟუკავ!

— დიდო ბატონო!

— ვინ მოყავთ იმ ბიჭებს ხელფეხშეკრული?

— აკი მოგაბსენეთ, ერთგულებისთვის თუ გამიმეტებთ, მეთქი...—აღარ დაასრულა ბაქრაძემ და წელში ოთხად მოიხარა.

შარაზე ერისთავის შინაყმებს ხელფეხშეკრული ალმასხან ბედინეშვილი მოყავდათ და მოურავის ერთგულების საბუთიც სწორედ ეს იყო.

დღეს მესამეჯერ სცადა სურებელმა ბედინეშვილმა ბატონიდან გაქცევა, მაგრამ არ იქნა მოურავის თვალებს მაინც ვერ დაემალა.

— ბეჟუკავ! შე მართლა მასხარავ, რატომ თავიდანვე არ მითხარი თუ ის რეგვენი გათოკილი გყავდა, ა?

ბაქრაძემ ცბიერად ჩაიქირქილა და ერისთავს ორი ნაბიჯით მიუახლოვდა.

ეზოში ხელფეხშეკრული ბედინეშვილი შემოიყვანეს...

— მაშ, ბუკს შენ აბღავლებდი, ბეჟუკავ... შე მართლა მასხარავ, შენა!

— ბეჟუკამ ბუკი დაჭრას და ტყუილუბრალოდ?!—შეიფერა წათამამებელმა მოურავმა და ბიჭებს ანიშნა ბედინეშვილი ბატონთან მიეყვანათ.

— ალმასხანს სიცოცხლე და დღეგრძელობა... გაქცევას აპირებდით?!—დასცინა გაძაგრულ ბედინაშვილს ბრაზმორეულმა ერისთავმა და გაჩაღებული ყალიონი თავზე დაახეთქა.

— გაპარვა გინდოდა?!—უხელთა დრო მოურავმაც. მიუახლოვდა და კინჩხში მუჯლუგუნი წაკრა.

ბედინეშვილმა ბრაზით თავი გაიქნია და მოურავს მოზვერივით შეუბღვირა:

— თუ ვაუკაცი ხარ, ხელები გამიხსენი და კისრის ძარღვი შემდეგ გამისინჯე.

— მხეცი სანამ მოშინაურდება...

— გალიაში ჰყავთ, არა?—დაასწრო ბედინეშვილმა.

— როგორც მოგეხსენებათ.—იმავე დაცინვის კილოთი გამოაზოგა მოურავმა.

— უფალი იყოს, ბეჟუკავ, ჩვენი გამკითხავი... როცა იქნება ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს...

— ჩუმად.—დაიღრიალა ხან შესულმა ერისთავმა... სკამლოგინიდან წამოიჭრა და ბედინეშვილს ყალიონის ტარი გაუმეორა.

ბედინეშვილი დამუნჯდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ერისთავი ბრაზს ველარ იმაგრებდა და სამასლაათოს ბოძზე მიყრდნობილი ანთებულ ორთქლმავალივით ქშინავდა.

— გახადეთ ტანზე და ორმოცი როზგი უწყალობეთ.

— ორმოცდაათი იყოს.—შეუსწორა ბედინეშვილმა—ოღონდაც...

— ხმა! ასი როზგი დაჰკარით...—წაუმატა შესიტყვებისთვის ერისთავმა და მოურავს გადახედა.

— ბეჟუკა! ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და... უფალი იყოს ჩვენი გამკითხავი.—მიუბრუნდა მოურავს ბედინეშვილი.

— დილეგში ჩააგდეთ... ფეხებზე ხუნდი დაადევით.—არ ცხრებოდა ერისთავი და დაჭრილ მხეცივით ბრდღვინავდა.—მე შენ გიჩვენებ გაპარვას... ტურტლიანი...

— ღმერთი იყოს ჩვენი გამკითხავი! გლეხკაცი თუ პირუტყვის უფლებებით არის გაჩენილი ამ ქვეყანაზე, ამასაც შევიტყობ.—მშვიდათ წარმოსთქვა გაკიცხულმა ბედინეშვილმა და ტანგახდილი საროზგეზე გაწვა მძიმე სასჯელის მოხდის მოლოდინში.

* * *

ზაფხული გვალვით დაიწყო.

ეირსთავის სამასლაათო ვაზით დაიბურა. სკამლოგინებზე თითქმის ყოველდღე სხედან წარჩინებული და წლის მოსავალზე ბჭობენ.

— ალადასტური ხომ გამოვიდა სათუოში, ბეჟუკავ! აწი ნაცარა ველარაფერს დააკლებს.

— ჭეშმარიტად, დიდო ბატონო!

— წვანიასაც კაი პირი უჩანს.—იზმორება ხანშესული ერისთავი და უკვე დამარცვლულ მტევნებს შეხარის.

— ჩხავერი ყველას აჯობებს—უმატებს ნაკაშიძე.

— მე იზაბელა მაფიქრებს—ჩაერია საუბარში კნეინა რუსუდანი—თუ გვალვამ გასტანა შესაძლოა მოიხალოს და ჩამოცვინდეს.

— საფელამუშე მაინც გადარჩება, კნეინა რუსუდან.—იხუმრა შალიკაშვილმა.

— საჯანჯუხეც!—დაუმატა მალხაზ ნაკაშიძემ.

— არც საჭმელად არის ურიგო—შეიფერა კნეინა რუსუდანმა—უზმოზე სამი-ოთხი მტევანი მკვდარს გააცოცხლებს!..

— იზაბელასი (ისეც უზმოზე) რა მოგახსენო და ეს სამაისო ბალი რომ მართლა ხუთი დღის მკვდარს გააცოცხლებს, ამაში ეჭვი არ მეპარება.—ნერწყვის ყლაპვით დაუმატა თავდგირიძემ და ცაზე მიბჯენილ სამაისო ბალის კენწეროს მიაშტერდა.

— ჩემი სიკვდილი...—შეწრიალდა კნეინა რუსუდანი, ეზოში მოფუსფუსე შინა ყმებს თვალი გადაავლო, ათისთავი იხმო და ფიცხლავ ალმასხანა მოიკითხა.

ალმასხანა ღომის სამარგელში იყო გართული... განმარტოებულს უზარმაზარი სვრელი გაენაპირებია და პირმოწმენდილ თოხს ციბრუტივით ატრიალებდა. სამაგალითო მუშა იყო ბედინეშვილი, იშვიათი შრომისმოყვარე და ძვალმსხვილი ვაჟკაცი, მაგრამ სურებში თავისუფალ ცხოვრებას ეჩვეოდა, მეტად უმძიმდა ბატონთან სამსახური, სძულდა მოურავი და ყოველ ცისმარე დღეს მზად იყო გასაქცევად... ბოლოს როცა შეატყო, არც ისე ადვილი იყო ერთხელ დადგმული უღელის კისრიდან გადაგდება, ბედს შეურიგდა და დადარდიანებული განმარტოებით მუშაობას დაეჩვია...

იქნევს ალმასხან პირმოლესილ თოხს და გულში ათასი ცეცხლი უტრიალებს... თავი ფიქრებით აქვს დამძიმებული. „გავიქცე"? გაუელვებს ხშირად დამონებულ შინაყმას, მაგრამ მაშინვე თვალწინ მოურავის ლანდი ჩაუქროლებს და ბედინეშვილი ისევ ფიქრებში გადიკარგება.

დღესაც გაქცევაზე ფიქრობდა ბედინეშვილი, როცა ათისთავის ხმა შემოესმა

— მოვდივარ!—დინჯად უპასუხა ათისთავს, მუხლებამდე დაკოტავებულმა შინაყმამ... სვრელი გამოასწორა, თოხი ნაპირზე დააყუდა და აკოჭლებელმა სამასლაათოსკენ გასწია.

მარცხენა ფეხზე კოჭლობდა ბედინეშვილი. მაღალსა და წარმოსადეგ ვაჟკაცს დაზიანებული ფეხის სიმოკლე აშკარად ემჩნეოდა.

— გამოადგი ფეხი... შე...—შეუტია მოურავმა დინჯად მომავალ ბედინეშვილს და ზიზღით დაიჭყანა.—ბუნებით ჩითახო და ასეთი წელგათრეული!

ბედინეშველმა მგლის თვალი მოავლო თავგასულ მოურავს და სამასლაათოს წინ ჯირკივით დაესო.

— ბალი მოგვიკრიფე, ალმასხან!—დაუსაქმა კნეინა რუსუდანმა და წარჩინებულ სტუმრებს ამაყად გადახედა.

ბედინეშვილი უხმოდ შეტრიალდა, სამზადისის წინ გიდელი ჩამოიღო და სამაისი ბალზე კიბე მიაყუდა.

— ალმასხანა!—მოესმა ბედინეშვილს ბაქრაძის დაძახილი.

— რა გნებავს!

— მოდი აქ... „რა გნებავს"... შენი გამონაცვალი პერანგი...

— პერანგის ტარებას დაჩვეული რომ არ ხარ... რა გასაკვირია...—უკბინა მოურავს ათვალწუნებულმა შინაყმამ.

ბედინეშვილი ისევ სამასლაათოსთან გაჩნდა.

— აიღე დოქი!—დაუსაქმა მოურავმა.

ბედინეშვილი შედგა.

ერისთავს ულვაშებში ჩაეცინა. ის უკვე მიხვდა თუ რაზე ეძახდა შინაყმას მოურავი და ერთი მადლიანად გადიხარხარა.

სტუმრებს ეუცხოვათ ერისთავის უთავბოლო სიცილი, მაგრამ ჩქარა ყველასათვის აშკარა შეიქნა მოურავის „გამოგონება" და სამასლაათო საერთო სიცილ-ხარხარმა დააყრუა.

— დაიგუბე პირში წყალი და ბალი ისე მოგვიკრიფე... ღმერთი არ გაგიწყრეს ჩამოსვლამდე წყალი არ დაღვარო, თორემ ხომ იცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ჩამაცივდი ბეჟუკა!

— აბა, ჩქარა!

— ხომ გესმის რასაც გეუბნებიან—წაეჟომაგა ერისთავი—ბაქრაძეს.

— ბეჟუკა... უფალი იყოს ჩვენი გამკითხავი...

ბედინეშვილმა დოქი გადმოაყირავა, პირი წყლით აივსო და ბალისკენ ზლაზვნით გასწია.

— არ მომწონს თქვენი საქციელი...—იწყინა შალიკაშვილმა და ეზოში გამოვიდა.

— ჰე ჰე ჰე!—დაცინვით უპასუხა მას ერისთავმა და წათამამების ნიშნად მოურავს ყალიონის ტარი ბეჭებზე შემოჰკრა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

კნეინა რუსუდანმა სცადა სტუმრების ხელახლა გამხიარულება... მასხარა იხმო და სამასლაათო ისევ ძველებურ მხიარულებაში ჩაიძირა.

ბედინეშვილმა გიდელი გაავსო და ძირს ჩამოუშვა.

გამოიტანეს სახილე... ბუზის არაყი და ძველისძველი ალუბლის წვენი.

ბედინეიშვილი დგას თავჩალუნული და ბალით სავსე გიდელს დაჩერებია.

— ბედინეშვილი დგას თავ ჩალუნული და ბალის სავსე გიდელს დაჩერებია.

— პირობაზე როგორ ხარ, ალმასხანა!—მიუახლოვდა ბედინეშვილს მოურავი და სავსე გიდელს წაეპოტინა.

— თფუჰ!—შიგ სახეში მიაშხეფა მოურავს პირჩანაგუბი წყალი და დუჟი...—გაგისწორდები თუ ალმასხანა ვარ...

ბეჟუკა აენთო. ერისთავმა რისხვით დაიქუხა და სკამლოგინიდან წამოვარდა, მაგრამ უცებ კნეინა რუსუდანი ჩადგა შუაში და გაალმასებული მეუღლე შეაჩერა.

მოურავს რაღაც ანიშნა და ფერწასული ბაქრაძეც უმალ დაშოშმინდა.

— რასა ჰგავს ეს?—კიდევ დაიქუხა ერისთავმა და სისხლიანი თვალები მხეცივით დააბრიალა.

— უნიფხო ბაქრაძეს თავს მაინც არ გაუყადრებ.—გაბედა შინაყმამ.

— როზგები!—იბღავლა ერისთავმა და თითქო მდუღარე გადაასხესო ყველას ენა ჩაუვარდა.

— ბედინეშვილის გულს როზგი არ მოხვდება... შენ კი ბეჟუკა! შენ ღმერთს დააყვედრე თუ რამე შეგემთხვეს...

— მემუქრები?

— ძალიც შემწევს მუქარისა...

ეს თქვა და ეზოში გავიდა.

***

ბედინეშვილი თანდათან აითვალწუნეს ერისთავის ოჯახში.

მოურავი თავს ვეღარ იმაგრებდა უფლებააყრილ შინაყმის შეურაცყოფისაგან და მზად იყო, რათაც არ უნდა დაჯდომოდა ბედინეშვილი თავიდან მოეშორებია.

როცა ერისთავის როზგებმა საწადელს ვერ მიაღწია, ბეჟუკამ გადაწყვიტა ბედინეშვილს, როგორც ადამიანის გაბიაბრუება. ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, მოახლე გოგოს გამოატანია ბედინეშვილის ჩასველებული საგები და უბრძანა გასაშრობად მზეზე გაეფინათ.

კნეინა რუსუდანმა ლოყები დაიპოტნა ლეიბის დანახვაზე და რომ ამ ამბავს ყველას ყურამდე მიეღწია, განგებ ალიაქოთი ასტეხა და გოგო-ბიჭებს თავი შეუყარა...

— ეს რა მოგსვლია ალმასხანა? --დასცინა ბედინეშვილს ერისთავმა და მოახლე გოგოებს გადახედა. მოახლეებში მარინე შეათვალთვალა და ლეიბზე მიუთითა,

— მოურავის ოინებია და სხვა არაფერი,—უპასუხა მარინემ...

— შენც ასე ggონია? როგორც სჩანს ბედინეშვილს მაგრად დაუმოძღვრეს ეს აშარი გოგო!—მიუბრუნდა ერისთავი კნეინა რუსუდანს.

— ქალს რომ შუბლის ძარღვი გაუწყდება...

— მე მართალს მოგახსენებთ, დიდო ქალბატონო! ისიც კარგად დავინახე როცა მოურავმა თქვენი საძინებელი ოთახიდან ტაშტი გამოიტანა და ალმასხანს ლოგინში...

— ჩუმად, უნამუსო...

ეზოში ალმასხანა გამოჩნდა. მან თვალი გადაავლო თავშეყრილ გოგო-ბიჭებს, რაღაც იაზრა და პირდაპირ იქითკენ გაემართა.

— მობრძანდა ვაჟკაცი...

ბედინეშვილმა ლეიბს შეხედა... იცნო მისი ქვეშსაგები და ფერწასული იქვე გაშეშდა.

„რაღაც მოჭორეს უთუოდ“—გაუელვა ბედინეშვილს და მოურავისკენ გაუბედავი ნაბიჯი გადადგა.

— საცვალგაწუწული ვაჟკაცი.—ჩაილაპარაკა თავისთვის ერისთავმა.

ბედინეშვილმა ყური სცქვიტა და ეხლა უკვე ნათელი გახდა მისთვის ყველაფერი.

— ბეჟუკა, აღარ ჩამომეცლები, სანამ...—ბედინეშვილს კრიჭა შეეკრა და გაგუდულმა წინადადება ვეღარ დაასრულა.

გოგო-ბიჭებმა ერთხმად ჩაიქირქილეს ფერწასულ ალმასხანას დანახვაზე

— ბეჟუკა!—მიიბრუნა სული ბედინეიშვლმა.

— ამოდენა ვაჟკაცი შარდს ვეღარ იმაგრებ, შე ცოდვისშვილო!?—უკბინა ერისთავმა გახელებულ შინაყმას და ბედინეშვილი მიტკალივით გათეთრდა.

— ალაია მომიწყვე, მოურავო, არა?

— თავი ვაჟკაცად მოგაქვს, თორემ... ნამუს არ გაგიმეღავნებდი. — ურცხვად უპასუხა ბაქრაძემ. და ეხლა თითქოს ყველა დარწმუნდა, რომ ლეიბის ჩასველების მიზეზი ბედინეშვილი იყო და არა მოურავი, როგორც ამას მარინე ამტკიცებდა და თვითონ ალმასხან ბედინეშვილი.

— ბატონო გიორგი! მომისმინეთ...— დაიჩოქა ბედინეშვილმა მარჯვენა მუხლზე და მათხოვარი თვალები ერისთავს მიაპყრო.

— ისედაც ნათელია ყველაფერი, ჩემო ალმასხან! თუ ავათ იყავი და წამლობა გჭირდებოდა, გეთქვა, შე კაცო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდო ბატონო!—აუწია ხმას ბედინეშვილმა.—მომისმინეთ...

— საჭირო არ არის... მარინეს ხელს რომ მთხოვდი ჯერ მოვრჩებოდი ყმაწვილო და...

მარინეს გული წაუვიდა.

— აღარ მომისმენთ... აღარ გამიგონებთ... ბიჭებო! იცოდეთ, ყველამ... ჩემი დაღუპვა, აი ამ გაიძვერას ოინებია და ერიდეთ... თქვენ, მაინც ერიდეთ რომ ბატონის თვალში ნდობა არ დაგიკარგოთ... ბეჟუკა, რას არ მოახერხებს, ბიჭებო... თუ დასჭირდა ბედაურს ვირად მოგაჩვენებს... და ნეხვს თვალმარგალიტად...

— რას ბედავს ე საცვალგაწუწული—დაუღრიალა ერისთავმა...

— გიორგი ერისთავო, შენს ღმერთს და ბეჟუკას დააბრალე თუ რომ შენს ოჯახს ფარსაგი შეემთხვეს...

ეს სთქვა ბედინეშვილმა, ფეხზე წამოდგა, გოგობიჭებს ნაწყენი თვალი მოავლო და ისე გაფრინდა, კოჭლობაც აღარ ემჩნეოდა.

* * *

ბედინეშვილი გაიქცა.

ყველას ეგონა, რომ ის თავის მშობელ-დედას დაუბრუნდა და იქ მალულად ცხოვრობდა, რამდეჯერ სცადეს ბედინეშვილის ოჯახზე თავდასხმა, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს ამკარა დევნაზე ხელი აიღო ერისთავმა და ბეჟუკას დაავალა, მდევრები მიეჩინა ბედინეშვილის გასაძაგრავად...

ამ ამბავმა მარინეს საშუალებით ადვილად მიაღწია ბედინეშვილის ყურამდე, და მოთმინებიდან გამოსულმა გადასწყვიტა შური ეძია, როგორც ერისთავზე ისე მის გამბახებელ მოურავზედაც.

აგვისტოს ცხელი საღამოა. ზეგ მარიამობაა და სოფელი სადღესასწაულო სამზადისშია... რახანია დაღამდა, მაგრამ სოფლის საცალფეხო ბილიკებზე ხშირი მისვლა-მოსვლაა.

ზის ალმასხან ანწლების ჟელტამში და სოფლის დაძინებას ელოდება. შუაღამეს გადაცდა.

ძაღლებმა ყეფას უმატეს...

ფაცხებში სინათლე ჩაქრა და სოფელმა პირველი ღრმა ძილით ამოისუნთქა. ალმასხან ფეხაკრეფით შეიპარა ბატონის სასახლეში. ეზოში ჩაათვალიერა. ძაღლებს მუნჯურად მიუალერსა და გახელებული ეზოს ნაგაზი პირველსავე დაყეფებაზე დააჩუმა.

კიბეზე აიპარა ბედინეშვილი.

ერისთავის საძინებელ ოთახში შეიჭვრიტა.

ბნელოდა.

თოვლივით საწოლში თვალი მოჰკრა ყელმოღერილ კნეინა რუსუდანს და მის გვერდით გაშხლართულ ვილაც მამაკაცს.

— ერისთავია უთუოდ... ნებივრობის შემდეგ ეტყობა ღრმად ჩასძინებია.

ბედინეშვილმა ფანჯარას გადაალაჯა და კნეინას საწოლს ხელოვნდელი თავზე დაადგა. მთვარის შუქზე აპრიალდა ორლესული და ბედინეშვილმა ერისთავის საწოლს გადახედა.

საწოლი გასწორებული იყო...

— ერთად ჩაწოლილან... საწოლი არც კი გაუშლია...—გაუელვა ბედინეშვილს.

კნეინა რუსუდანს მთვარის შუქი თვალზე დაეცა. ოდნავ შეიშმუშნა, გადაბრუნდა და უხეირო წრიალით მის გვერდით მწოლარე მამაკაცი შეანძრია.

— ღმერთი იყოს ჩვენი გამკითხავი.—ხმამაღლა ჩაილაპარაკა ბედინეშვილმა და ლოგინისკენ დაიხარა.

— ძღალი იყავ და...

კნეინამ თვალი გააახილა.

ბედინეშვილი შეკრთა.

— მიშველეთ—უაზროდ დაიკივლა კნეინა რუსუდანმა და დაელვებაში ლოგინზე წამოჯდა, მარამ სწორედ ამ დროს ბედინეშვილმა უკანასკნელად მოიკრიბა ძალღონე, ლოგინზე გაშხლართულ მამაკაცის მკლავზე დაებჯინა, დაჰკრა და ხანჯალი გულში გადაუტრიალა.

— ალმასხან!

— ღმერთი იყოს ჩვენი გამკითხავი.—დატოვა უკანასკნელი სიტყვა ბედინეშვილმა და ფანჯარაზე გადახტა.

— ვერ წახვალ.—შემოხვდა აივანზე ბედინეშვილს ხმალამოწდვილი ერისთავი, სადაც ეს იყო ოზურგეთიდან დაბრუნდა და იცნო თუ არა ბოროტგამზრახველი შინაყმა პირდაპირ მისკენ გაექანა.

ბედინეშვილი დაიბნა.

— მოჩვენებაა თუ...

— ვერ წახვალ—კვლავ დაიღრიალა ერისთავმა და შინაყმას ხელი მოუქნია.

— ერთი სიტყვა მათქმევინე, დიდო ბატონო და...

— ა, შე წუწკო...

— ბატონო... მათქმევინე...

— გიორგი არ გაუშვა, არ გაუშვა...

— ა, შე კახპავ! საყვარელი იმსხვერპლე და ეხლა ქმარიც გინდა მას მიაყოლო?!

— რას ბოდავ... ვერ გამექცევი.—გამოუდგა ბედინეშვილს გაალმასებული ერისთავი, რომელიც ეს იყო ბატონის მოქნეული ხმალი აიცდინა, ფანჯარაზე გადახტა და ისევ საძინებელ ოთახში შეიჭრა. მას მოყვა ფეხდაფეხ ერისთავი...

— საწოლს დახედე ერისთავო... ჩასველებულ საწოლს დახედე და შემდეგ...

ერისთავმა ასანთს გაჰკრა და როცა სისხლში შეცურებული მოურავი დაინახა ემალი ხელიდან გააგდო და გულხელდაკრეფილმა მძიმედ ამოიოხრა.

— კნეინა რუსუდან!

— გიორგი ჩემო ბატონო! ამ ნადირმა შემოგვითვალა მარნეულ პირით შემოგვითვალა...

როცა არ მომელოდე მაშინ გესტუმრებიო... შეშინებულ-სულ-ცოცხალი ბეჟუკა ვიხმე, ჩემს საწოლში დავიწვინე. მე შენს საწოლში ჩავწექი... ვნახოთ.

— სტყუი დიაცო! შენს გვერდით მწოლარე!..

— თვითონ შენ სტყუი, ტურტლიანო... აბა შეხედე...

ერისთავის საწოლი უკვე აეფორიაქებია კნეინა რუსუდანს და შიგ ჩაწოლაც კი მოესწრო სანამ აივანზე ხუმრობა გაგრძელდებოდა ერისთავსა და ბოროტგამზრახველს შინაყმას შორის. ერისთავი დაბრუნდა კნეინა რუსუდანის გულრწფელობაში და ხანჯალამოწვდილმა ბედინეშვილისკენ ისკუპა.

— აქაც სიბრუდემ უნდა გაიმარჯვოს? მედგრად ალმასხნმა— დაისჭყივლა ბედინეშვილმა, გამოქანებულ ერისთავს უგანა, ზურგში მოექცა, ჩაკრა და ან ძის სიმაღლე ერისთავი უსულოდ გააგორა.—შენ კი, ქუჩის კახპავ... იცოცხლე მანამ, სანამ სიკვდილი არ მოგენატროს... შენზე ხანჯალს აღარ წავბილწავ.

ალმასხანა მოჩვენებასავით გაჭქრა და კნეინა რუსუდანმა ხმამაღალი კივილი მორთო შინაყმების ფეხზე დასაყენებლად.

გათენებისას, როცა ბედინეშვილი სამშვიდობოზე გავიდა, შეჩერდა და თავის მდგომარეობაზე დაფიქრდა:

— ბატონი მოვკალი... მოურავი... დახრჩობა არ ამცდება... როგორ მოვიქცე? გათენდა.

მდევრები არსად სჩანდა.

— წავალ მონასტერში. ჩავიკეტები და ღმერთს შეცოდებას ვთხოვებ... უნებლიე ცოდვებს ლოცვით მაინც მოვინანიებ, ლოცვით მაგრამ... განა ღმერთი ურევია ჩემს გაჩენაში?! განა ღმერთი ვერ ხედავდა თუ რა რიგ უსამართლოდ ვიჩაგრებოდი უცოდველი ადამიანი? მაშ რა ვქნა?! სარჩობელაზე? სხვა გზა არ არის... ღმერთი რომ აღარ მწამს მონასტერში როგორ გავიქცე?

აბასთუმანი. 1933 წ. იელისი.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასო გოგრგაძე

მწვანე წნორებთან

1

გამთენიისას, მწვანე წნორებთან
მატარებელმა დამტოვა გზაში.
ხუთი ვიყავით წასული ერთად!
ბრძოლიდან მარტო ვბრუნდები სახლში.

— შენ ნუ იდარდებ, დედავ, ჩვენს ამბავს,
ნუ დაღვრი ცრემლებს, მხოლოდ მითხარი:
როდესაც სული ხდებოდა მამას
ხომ არ უკითხავს შვილები მკვდარი?

— სუსტი, სნეული ხომ არ ნანობდა
ვაჟკაცთა სიკვდილს, წამხდარ სიბერეს,
ცრემლის კურცხალი ხომ არ ალბობდა
მუხლამდის თეთრად დაფენილ წვერებს?

გაკრიალებულ ვარსკვლავთა კვალზე
მიგვაქანებდა ღამით მანქანა,
ძილი ლიბრივით მეკვროდა თვალზე
და მძინარს ბორბლის მესმოდა ნანა.

ირგვლივ გაწოლილ შავი ჩრდილებით
გამსკდარ ყუმბარის დგებოდა მტვერი
და რეაქციის ბასრი კბილებით
ყოველი მხრიდან გვიტევდა მტერი.

2

სამხრეთის ფრონტის სარდლის ამხ. ფრუნზეს გრძანება

მომქმედი არმია, სექტემბერი 1920.

ამხანაგებო!
მთელი მშრომელი რუსეთი
თვალყურს ადევნებს თქვენს ბრძოლას.
მეფის და კაპიტალის ქუსლით დაგლეჯილს,
იმპერიალისტური ომით დატანჯულს,
მაგრამ მონობის ბორკილებისგან
განთავისუფლებულ ქვეყანას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწყურია ზავი
რომ სასწრაფოდ
შეუდგეს თავისი ბედის მოწყობას.
მაგრამ ამ ზავს, მზაკვრული ჯვრით.
სისხლიანი ფრანკით. გადაელობა გზაზე
ხიშტებით. უკანასკნელ ზღუდედ. ყირიმის ავაზაკი—თეთრი ბარონი.
ჩვენ, ჩვენს გამობრძმედილ ნაწილებს
გვევალება უკანასკნელი ბატალური ამოცანა:
ავკუწოთ წითელარმიული ხმლის მოქნევით და მტვრად ვაქციოთ მტერი
შეტევის გეგმა შემუშავებულია.
თარიღები ნაჩვენები. ვადა გასულია.
საქმე თქვენზეა, ამხანაგებო!

3

„ახლა შეტევა გვმართებს მედგარი —
სარდალმა სწრაფად გვიბრძანა გზაში—
გათენებამდის წითელი ჯარი
უნდა შეიჭრას მტრების ბანაკში!“

სალი კლდესავით მკვრივი, ძლიერი
მუხლებში რკინის ვიგრძენი ძალა
და მტრის სხეულზე, შურისძიებით,
ტყვიამ გველივით გაისრიალა.

გავფანტეთ მწკრივი... და აქეთ იქით
წინ შეუტიეთ როგორც წესია—
მაგრამ თეთრების გუნდი ბილიკით,
ამ დროს მხარმარჯვნივ შემოგვესია.

არ დავიბენით. და მტერი ურჩი
ველარ ბედავდა გამოლაშქრებას.
თუმცა იოლად ვერ გადავურჩით
ღვარად მოვარდნილ ყუმბარის წყებას.

იმ საშინელ დღეს, არ დაგიმალავ,
დავკარგე ერთად ძვირფასი ძმები.
დღე მხიარული გლოვად იცვალა,
ნისლმა დაჩრდილა ლურჯი იები.

აი, ხომ ხედავ ჩემს დაღლილ სახეს,
ზედ მწუხარების არა ჩანს კვალი,
რადგანაც, ვხედავ, მათ მოიხადეს
ქვეყნის წინაშე გმირული ვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ვნახე მათი იერი ლომის
და მახსოვს თვალთა ელვების ფრქვევა.
ეს როდი იყო ომისთვის ომი!
ან რაინდული ხმალში გაწვევა.

არა მათ, დედა, სხვა რამე სწადდათ,
მათი ცდა იყო შეტევა კლასის,
რომელმაც იცის დევნილ მონათა
თავისუფლების და შრომის ფასი.

„არც ერთი გოჯი სხვისი მიწისა,
ერთი მტკაველიც არ გვინდა სხვისი,
მაგრამ ჩვენს მიწის თითეულ მისხალს,
თითეულ ნაჭერს დავიცავთ სისხლით“.

ამ მაღალ რწმენით, ვიცი იწვოდა
ათი გულისთქმა, სწრაფვა ფარული...
დამ ძმურად ხელი გამომიწოდა —
დედამ მხურვალედ ჩამიკრა გულში!

30 VII—33 წ.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელი

დახურული წარმოდგენა

ჩემი მეგობარი რეჟისორის დრამატიულმა სტუდიამ ერთ საღამოს თავის მორიგ წარმოდგენაზე მიმიწვია. მოსაწვევ ბარათზე სხვათაშორის ეწერა: „წარმოდგენა დახურულია“. უკანასკნელი სიტყვა ხაზგასმული იყო. მაგრამ მე ისედაც ვიცოდი, რომ სტუდია თავის წარმოდგენებს საჯაროდ ჯერ კიდევ არ მართავდა.

ამ სტუდიას ერთი რამ ახასიათებდა: პიესებს მაინცა-და-მაინც არ ეტანებოდა. წარმოდგენას უმეტეს შემთხვევაში იმპროვიზებულ მასალაზე აგებდა—მე ყოველთვის მაკვირვებდა ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მასალა თითქმის ყოველთვის საეჭვო იყო დრამატურგიულად, ხოლო ლიტერატურულად ხშირად მიუღებელი, საღამო მაინც მეტწილად მეტად ორიგინალური და უდავოდ საინტერესო გამოდიოდა. რა თქმა უნდა, ამით იმის თქმა არ შეიძლება, რომ დრამატურგიის და ლიტერატურის კანონები თუ წესები ზედმეტი ბარგია შემოქმედებისათვის... სტუდია ამ შემთხვევაში უთუოდ რასმე აშავებდა... სახელდობრ რას, ეს მსჯელობის სხვა საგანია და ამას ახლა ვერ შევეხები.

სხვა ღირსებათა შორის, ერთი უეჭველი ჰქონდა სტუდიას, რომელიც პირადად მე განსაკუთრებით მომწონდა:—მისი წარმოდგენა დიდი-დიდი 1—$1^1/_2$ ს. გრძელდებოდა, უანტრაქტო იყო და ამ ხნის განმავლობაში დამსწრეთ ერთხელაც არ მოაწყენდა.

საქმე არ მქონდა და წავედი.

* * *

ცოტა დამაგვიანდა. ის-იყო თეატრის დარბაზს აბნელებდნენ, როცა შეველი. მოვასწარი მაინც და პარტერს თვალი გადავავლე. ამდენს საზოგადოებას არ მოველოდი დახურულ წარმოდგენაზე. დარბაზი თითქმის სავსე იყო. მინდოდა ნაცნობები დამენახა, რომ მათ შორის მოვთავსებულიყავ, მაგრამ უცებ ისე დაბნელდა, რომ ნაბიჯიც კი ვერ მოვინაცვლე. რომელი სკამიც მომხდა ხელში, იმაზე ჩამოვჯექი, რომ სიბნელეში არ მეხეტიალნა და ვინმე არ შემეწუხებინა.—სინათლის გაქრობა და მუსიკის დაწყება ერთი იყო.

ჩემი ყურადღება მაშინვე უცხო ჰანგებმა მოიტაცეს.—ორკესტრი მეტად ნაზსა და იდილიურ რასმე უკრავდა. ნამდვილი ჩონგური მომაგონდა. პირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც მეუცხოვა. ჩონგურის ამბები დიდი ხნის დავიწყებული შეჩნდა. მერე კი ისეთი სიამოვნებით მივუგდე ყური, რომ თვალებიც კი დავხუჭე, რომ ტკბობა უფრო ინტიმურად განმეცადა.

სოფლის ორმა-სამმა ლირიულმა სურათმა გამირბინა თვალწინ. ბავშობა გამახსენდა. სოფლად ყოფნა მომენატრა.

არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა ასე. როცა თვალი გავახილე, ფარდა უკვე ახდილი იყო და ორკესტრის ადგილის გალმიდან ღამეზე უფრო შავი სცენა შემომყურებდა.

მალე მუსიკამ თავისი ნელი და საამო მოტივი უცებ შესცვალა და დარბაზში მოუთმენლობით აწივლებული ჰანგები მიმოაბნია. ამავე დროს დაბნელებული სცენის ერთ კუთხეში სინათლის მქრთალმა შუქმა გაიკრთომა და მოულოდნელად გამოაჩინა წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით დაჯორგილი მაგიდა. მაგიდაზე ზემოდან აბაჟურ-ჩამოფარებული პატარა სანათური იდგა ანთებული. მის წინ ღრმად ჩაფიქრებული, ჭაღარა თმა აბურძგვნილი კაცი იჯდა და იდაყვებზე თავით დაყრდნობილი საწერ ქაღალდს დასცქეროდა.

სილრმეში კი ძლივს გასარჩევი კონტურების სახით, რომლებსაც მაგიდის პატარა სანათურის ანარეკლი შუქი კანტიკუნტად აჩენდა, მოდიდო შირმას მოვკარი თვალი და მის იქით კიდევ საწოლი ოთახის მართულობას, ორი თუ სამი უფრო გარკვეულად მოხაზული ლოგინითურთ.—ერთზე მძინარე ქალის სილუეტი ესვენა, მეორეზე ბავშს ეძინა.

მაგრამ ის, რაც შირმას იქით იყო, ჩემმა თვალებმა მხოლოდ სხვათა შორის აღნიშნეს... მთავარი ყურადღება კი იმ ჩაფიქრებულმა, საწერად გამზადებულმა კაცმა მიიპყრო, რომელიც ძალიან მკაფიოდ, მოკვეთილად მოსჩანდა.— მეტად დამახასიათებელი გრიმი ჰქონდა გაკეთებული, ისიც ისე მოხდენილად რომ შეხედვისთანავე თავში გამიელვა:

— ეს კაცი უთუოდ პოეტია მეთქი.

სინათლის წრე ახლა სცენის შუა ადგილას შეიკრა. მისგან, ერთი შუქი წამოლივლივდა. გზა-და-გზა ელვის ხაზივით დაიღრაკნა, რამდენსამე ადგილას გადატყდა და პატარა, ალმოკიდებულ ისრებივით ბნელში გაიფანტა. ძალიან ბევრი იყო. ვარსკლავებით ბჟუტავდენ და ცაცახებდენ. როგორც მუსიკის აწივლებულ ჰანგებს, ამ შუქის ისრებსაც მოუთმენლობა ეტყობოდათ.

არ გასულა ხანი, რომ მუსიკა საზეიმო მოტივზე გადავიდა, თითქოს იერიშის მიმტან ჯარს ამხნევებსო, და შუქის ისრებიც ამის კვალობაზე ამოძრავდენ. ჯერ ერთად შეჯგუფდენ, დარაზმდენ. მერე სათითაოდ ერთიმეორის დადევნებით სცენის სილრმისკენ გაექანენ და იქ სადღაც ერთ წერტილში თავგანწირვით შეერეკვენ.

შუქმიყენებული ადგილი თანდათან განათდა და ბნელში ბეჭედივით ამოჭრილი დიდი სურათის სახით წარმოგვიდგა.

ველის ყვავილების ფერებმა თვალები მომჭრეს.—

ღელის პირად ერთი ისეთი ტირიფის ხე იდგა, რომ შიშველსა და თმაგაშლილ ქალსა ჰგავდა. მის ძირში ყმაწვილი ქალი დამდგარიყო, გულმკერდღია და მოკლეკაბიანი. ეტყობოდა, უბრალო სოფლელი გოგო იყო. ცოცხალს ძა-

ლიან ჰგავდა. თვალები შავად უციალებდენ. ღაჟღაჟა ლოყები ჰქონდა და ტუჩები, როგორც მიხაკი.

მისგან ცოტა დაშორებით, ხის ძირის არეშივე, იმ გოგოს ხასიათით გახარებული ვინმე ვაჟი შეყენებული ჩახმახივით იდგა და ამ სახით ლამაზ გოგონას ალტაცებით სალამს აძლევდა.

ვერ მოვასწარი სურათს კარგად დავკვირვებოდი, რომ სინათლემ წამდაუწუმ ფერის ცვლა დაიწყო, და იმ ქალისა და ვაჟის სურათი ისე აამოძრავა, რომ ცოცხალს დაამზგავსა.

— ალბად, მსახიობები არიან ჩარჩოში ასე მოთავსებულები და მათ შორის მალე დიალოგიც გაიმართება-მეთქი, ვსთქვი გუნებაში. მაგრამ მერე ასეთი ილიუზიის მიზეზად ნაირფერ შუქთა ხშირი ხამხამი მივიმჩნიე.

მხოლოდ ახლა მივაქციე ყურადღება ერთ გარემოებას: ბედნიერი ვაჟი, რომელიც ტირიფის ძირში მდგომ გოგოს აფრთოვანებით სალამს აძლევდა, უთუოდ ჰგავდა იმ წამებულ პოეტს, სცენის კუთხეში რომ პატარა სანათურის წინ იჯდა და ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

იმ კუთხისკენ რომ მივიხედე, ამაში სრულიად დავრწმუნდი: მაგიდას უჯდა სიბერისაგან შენაცრებული და წამებისაგან დალეწილი სახე, ხოლო ტირიფის ძირში იდგა იგივე სახე, ახალგაზრდა და ბედნიერებით ანთებული.—ამ გახედვამ ერთი მნიშვნელოვანი გარეკოებაც გამოაშკარავა: პოეტსა და სურათს შორის გამართულმა შუქის კონების შეუწყვეტელმა მოძრაობამ მაგრძნობინა, რომ პოეტსა და იმ ყმაწვილს შორის უხილავი კავშირი იყო გაბმული. დასკვნის გაკეთებაც არ დაუყოვნებია ჩემს მიხვედრას: ტირიფის სურათი ქალიან-ვაჟიან პოეტის ფიქრის უშუალო ანარეკლს წარმოადგენდა.

სცენაზე რაღაც კვანძისებური ინასკვებოდა.

* * *

ნელ მუსიკას პოეტის ხმა შეერია. იგი საიდუმლო მოგონების კილოზე იყო მომართული, ინტიმურ განწყობილებას ქმნიდა და უაღრესად წვდებოდა გულს. პოეტი ისე ლაპარაკობდა, თითქოს თავისთვის, გულზე დაწერილს კითხულობსო:

— მე ვეძებ ქალწულს, რომელიც მიყვარს მას შემდეგ, რაც თავი კაცად მახსოვს და რომლსაც დღიდან აჟღერებისა ჩემი ჩანგი ამკობს. ვეძებ და ვერ მიპოვია... პირველად აი, ამ ტირიფის ძირში ვნახე... დიდი ხანია, რაც ეს მოხდა... მას შემდეგ დავკარგე... ვეძებ და ვერ მიპოვნია.

— ახალგაზრდა ვიყავი, ჭაბუკი. არც კი მახსოვს რამდენი წლისა. მახსოვს სოფლად ვცოვრობდი. მარტო დავდიოდი ტყედ და ველად და ყრმის ოცნების აბრეშუმის წმინდა ძაფით ვქსოვდი საიდუმლო ხლაპარს ტყე მშვენიერ დედოფალზე. ვერც კი ვარჩევდი კარგად: მე ვამბობდი, თუ გარემო იყო, ჩემ მაგიერ რომ მეტყველობდა. ასე ვამბობდი:

„ერთხელ ერთმა ჭაბუკმა ღელის პირად ტყის დედოფალი დაინახა, ველის ყვავილებით შემოსილი. როგორც კი დაინახა, მაშინვე შეუყვარდა“.

— სწორედ ამ დროს თმაკულულებიანი ტირიფის ძირში მე ბეს პირველად თვალი მოვკარი... ვითომ ვიცანი... ვითომ დაბადებამდე ვიცნობდი... გაოცებული შევსდექი...

ამ დროს მოულოდნელად სინათლე ჩაქრა, პოეტს რომ ანათებდა, პოეტის მაგიერ ახლა ტირიფის სურათზე დახატული ჭაბუკი სასწაულებრ ამოძრავდა და დარბაზში ისეთი აჟღერებული ხმა გაისმა, რომ გული მომტაცა.—

— „გამარჯობა შენი, სულიკო!—მიმართა ჭაბუკმა ტირიფის ძირში მდგომ გოგონას და მოკრძალებით თავი დაუკრა.

— „როტომ გგონია, რომ სულიკო მქვია? შენ ვინ ხარ?—უპასუხა შეკითხვით გოგომ.

— „გამარჯობა შენი, სულიკო!

— „დედა მყავს ძალიან ავად, მეუბნებიან უბედურს, არ გადარჩებაო. მე მამინაცვლის ხელში ვრჩები ობოლი და უთუოდ დავიღუპები. ის საშინელი კაცია, არავინ არ მყავს—არც და, არც ძმა... ახლა კიდევ დედა ავად გამიხდა. რატომ მეუბნებიან არ გადარჩებაო. მე მაინც მის მოსარჩენ წამალს ვეძებ. ერთი უსახელო ყვავილი ყოფილა, სამყურა ბალახის მსგავსი, მაგრამ თურმე ოთხი ყური კი ასხია. მითხრეს, დედას ის ყვავილი მოგირჩენსო. შენ, იქნება, იცი ის უსახელო ყვავილი სად იზრდება. მასწავლე, თუ იცი, დედა ნუ მოგიკვდება. დედა ხომ გყავს?.. ასე რად გაჩუმდი? ხომ არ დამუნჯდი? სთქვი, თუ იცი. ხომ ხედავ, რომ არ მცალია. ძალიან მეჩქარება. ავადმყოფ დედას უნდა მივუსწრო.

— „მე არ დავიჯერებ დედაშენის სიკვდილს, ისეთი მშვენიერი ხარ. მოგეშველები. ორნი უკეთ დავძებნით. გინდა?

— „რატომ არა? მადლობელი ვიქნები. დედაჩემი ყველას უყვარს, ისეთი კეთილი არის. მაგრამ რა გითხრა იცი: რომ ვნახავთ, შენ არ უნდა მოწყვიტო. მე რომ შვილი ვარ ჩემი დედის, მოწყვეტა მე მეკუთვნის. თუ არა—არ გამოდგება“.

გოგომ ჭაბუკს ზურგი შეაქცია. პატარა მინდორი გადაირბინა და ტყისკენ გაიქცა. ჭაბუკი კვალდაკვალ მიჰყვა. გაუთანასწორდა. გვერდში ამოუდგა.

ამდენ ხანს მიყუჩებულმა მუსიკამ ხმა ამოიღო.

ის გოგო და ჭაბუკი ძალიან შორს წავიდენ. გზა-და-გზა შესდგებოდენ. ყოველ ბუჩქთან მუხლს მოიყრიდენ, დაიხრებოდენ და უსახელო ყვავილს ეძებდენ. ასე ტყეში შევიდენ. ბევრი იარეს. ძლივს მოსჩანდენ.

ეს როგორ არის მეთქი, რომ ასე შორს წავიდენ. ასეთი დიდი სცენა სად გაგონილა მეთქი.

ეშვი არ იყო, წარმოდგენა ახლა ეკრანზე გრძელდებოდა.

კარგად იყო მოწყობილი. შევაქე გუნებაში ოსტატობა ჩემი მეგობარი რეჟისორის.

* * *

ეკრანზე გადიდებულად: ბუჩქი და მის ძირში ორი უცხო ყვავილი, წყვილად. გოგომ დაინახა. გახარებული მოსაწყვეტად მივარდა. დაიხარა. უბიდან ორი ძუძუს კოკორი გამოუჩნდა, წყვილადვე, იმ ყვავილების ტოლები და მაგვარები. ჭაბუკიც ხან ბუჩქის ყვავილებს შეხედავდა, ხან გოგოს გულის ყვავილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა გოგომ უცხო ყვავილების მოსაწყვეტად ხელი ბუჩქისკენ წაიღო, ჭაბუკის ხელი მის გულის ყვავილებს მიწვდა.

და ეკრანიდან სცენაზე:

— უიმე, ამას რას შვრები?—ფეხზე წამოიჭრა გამწყრალი გოგო.

— ყვავილები შემეშალა!

— აკი გითხარი, მე უნდა მოვწყვიტო მეთქი! ხელი რატომ შემიშალე?

— შენ მხოლოდ შენი დედა გეცოდება, სულიკო.

— არც კი მესმის, რას ამბობ! მართლა გგონია, იქნება, რომ სულიკო მქვია

— შენ ჩემი სულიკო ხარ!

— როგორ თუ შენი? პირველად გხედავ. თავი დამანებე, ვიღაცა ხარ. მაგვიანდება... სად იყო ის ყვავილი?.. აი, აქ დავინახე და აღარ არის. რა იქნა? რა ვქნა, სად გაჰქრა! შენი ბრალია... იქნება, ეს ბუჩქი კი არა, ის იყო, მეორე...

ეძებს. მეორე ბუჩქთან მიდის. ჭაბუკი არ შორდება.

სცენიდან ეკრანზე:

ტყის სილრმეში ის გოგო და ჭაბუკი უსახელო ყვავილის ძებნას განაგრძობენ.

* * *

მუსიკამ უცებ საშინელი კივილი მორთო, თითქოს სადღაც მეგრელმა ქალმა სიკვდილი შეიცხადაო.

გოგო ზარდაცემული შესდგა. მიაყურა. შიშისაგან თვალები გაუფართოვდენ.

— ვაიმე!—თმაში ხელი იტაცა და თავის ადგილს მოწყდა. გაიქცა. ისე სწრაფად გარბოდა, რომ ყმაწვილმა თვალი ვერ შეასწრო.

გოგომ ტყე გაირბინა. სოფლის შუკაზე გავიდა.

შუკის პირად პატარა ქოხი იდგა ეზოიანი. ეზოში ხალხი შექუჩებულიყო, უფრო მეტწილად ქალები.

ვიღაც დედაბერი ქოხიდან გამოვარდა და თმის გლეჯით და ლოყების კაწვრით კივილი დაიწყო,

ამ დროს ჭაბუკის მიერ სულიკოთ წოდებული გოგოც შემოიჭრა ეზოში. ხალხი მოთქმით, კივილით მიეგება მას. გოგონა შეუჩერებლივ ქოხში შეიჭრა.

კერიასთან დაბალი ლოგინი გამოჩნდა, რომელზედაც გულზე ხელებ-გადაჯვარადინებული და თვალებ-დაწკურული მიცვალებული ქალი ესვენა. შემოსავლის თანავე გოგონა მიცვალებულს გულში ჩაეხუტა. გადაეხვია. ზედ დაეკრა. კოცნა დაუწყო.

ქოხი მგმინავი ხალხით აივსო.

სწორედ შემზარავი სურათი იყო. მუსიკის მოთქმასა და ქვითინს გულმა ვერ გაუძლო.

მაგრამ სურათი მალე გაჰქრა და მუსიკაც შეწყდა.

დაბნელებულ სცენაზე ხანგრძლივი სიჩუმე დამყარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ВКП (б) при ЦК ВКП (б)

ამ სიჩუმესა და სიბნელეში დარბაზის სმენა პოეტის მოულოდნელმა და აქვითინებულმა ხმამ შეარხია:

— შენი მეორე უბედურების მოწმეც ვიყავი მე, სულიერ... ... უფრო საშინელი იყო. მან ჩვენი ბედი სამუდამოდ გადაწყვიტა....

* * *

სცენის ერთ კუთხეში, წინა რიგზე, ტყით მოსილი მთიდან ჩამომავალი ბილიკი გამოჩნდა. ბილიკზე: შუახნის გლეხი, მხარზე ხურჯინ-გადაგდებული. ხელში ჯოხი. გვერდით გოგონა მოყვებოდა, შავად ჩაცმული. თავწაკრული. აცრემლებული. ხელში კალანჩხა ეჭირა ბარგიანი.

— მე რა, შვილოსა... რა მდიდარი მნახე. ჩემი საკმარი პური არ გამაჩნია და შენ კი საიდან გარჩინო? დედაშენს რაც დარჩა, კარგად იცი. წელს კიდევ ჭინახული არ მოვიდა. ძროხა უნდა გავყიდო.

— დედის ძროხა?

— აბა, დედისა ახლა საიდან იქნება, სულელო? შენ კი, შვილოსა, რახან ოპოლი ხარ, ღმერთიც გიპატრონებს. ხომ გაგიგონია. ობოლს ღმერთი წყალობსო. ჰოდა, არაფერს გაგიჭირებს. ესეც არ იყოს, ამოტელა ქალი ხარ: ყოველ საქმეში გამოდგები, ა? ხომ ასეა, ნინიკავ! აი, ვარდებიც კი გამოგესხენ გულზე. ქალი ხარ, მაშ! მოიტა, ერთი შეგისრისო, უფრო მალე დაგიმწიფდება... ხიხიხი.

— ხელი გამიშვი!

— დაიცა, საით გარბიხარ? გადიჩეხები. ვერ ხედავ, ხრამია და მერე უფსკრული.... სხვების გეშინოდეს, შვილოსა, სხვების! მე რა? ქალაქში ბევრნაირი ხალხი ცხოვრობს. იქნება, ისეთ მდიდარს მოეწონო, რომ სულ ჩემზე ილოცო, რომ სოფელს მოგაშორე. მაშა! თუ არა და, შენი სამსახურის სხვა მსურველიც გამოჩნდება. თავს კარგად ირჩენ და ქალაქის ხალხშიაც გაერევი... იფ, როგორ მოგრთავენ, რომ იცოდე. სულ პეპელას დაგამგზავსებენ! არ გიხარია, გოგო? რას გაჩუმებულხარ! როცა იქაურობას შეეჩვევი, არც კი მოგაგონდება ჩემს ქოხში დაბრუნება... კარგი რომ ყოფილიყო, არც დედაშენი მიატოვებდა, მაშ! შენც დაივიწყე, შვილოსა· გული იმას მეუბნება, ისეთი ბედი გელის, რომ, იქნება, მეც რასმე ჩამოგრჩე... დაიცადე მეთქი, ნინიკავ, წინ ნუ გარბიხარ! რა გეჩქარება? ბედი არსად წაგივა, ნუ გეშინია. მანამ აქ მოდი ჩემთან ახლოს. ჩემს გვერდით იარე. მანდ, ქვემოდ, ტყე იწყება და შეგეშინდება... ჰო, ზაქრომ იხუმრა: ეს ჩვენი ლუკმა რაღა სხვის ჯამში ჩავარდესო! ხეხეხე... მოსწონხარ. მაგრამ ზაქროც რა ჩვენი ჯამია, არა გოგონავ? ხეხე... გოგომეთქი, ი შენი უცხო კურო, ლანდივით კუდში რომ დაგდევდა, საიდან გადმოვარდა, არ იცი? ჰუ, ისე დაუფეთე ანგელოზი, რომ... ჰეე, შე კუდრაჭავ შენა, დაიწყე?

მიუახლოვდა. მკლავზე ხელი წაატანა. გოგო დაფრთხა. გაქცევა მოინდომა. გლეხი უცბად გაჯავრდა· ცალი ხელი მაგრად ჩასჭიდა მკლავში, ცალით ხურჯინი მოიხსნა და მიწაზე დააგდო.

— პირძაღლო, არ გესმის, ჩემთან მოდი მეთქი!

და ორივე ხელი ტორებივით მოავლო.

გოგო შეეჭიდა. შეებრძოლა. ამან გლეხი უფრო გააბრაზა·

წამი და შებღუჯული, შემკუშული გოგო მიწაზე დაანარცხა. ზედ მოექცა. საშინელი სანახაობის ჭიდილი ახლა მიწაზე გაგრძელდა.

ამ სურათს შეუმჩნევლად ეკრანის ვიწრო და გრძელი [illegible], რომელზედაც შეყვარებული ვაჟის ფიგურამ გაიელვა, ქარის ტალღას დამსგავსებულმა. ხელები დაემუშტა. თვალები გადმოეკარკლა და თავგანწირულად მორბოდა.

და სცენაზე გლეხის და გოგოს ჭიდილი ელვის უსწრაფესად ვაჟისა და გლეხის ჭიდილად შეიცვალა.

ვაჟის თავგანწირვამ სძლია: გაგუდული გლეხი უფსკრულს გადაეშვა.

განზე გამდგარმა, შეშინებულმა გოგომ არ იცოდა, რა ექნა. თვალებში ისეთი შიში უკრთოდა, რომ გეგონებოდა, უთუოდ გაგიჟდებაო. როცა ბედნიერებით ანთებულმა გამარჯვებულმა ვაჟმა მისკენ ნაბიჯი გადადგა და ხელები ისე გაშალა, თითქოს გულში ჩაკვრას უპირებსო გოგო უცებ უკან გადახტა. გარშემო ისე მიმოიხედა, რომ თავსაფარი ადგილის მონახვა უნდოდა. მაგრამ რაკი ვაჟი შეუჩერებლად მიიწევდა მისკენ ხელებ-გაშლილი, თავსაფარის ძებნას თავი დაანება და ნამდვილ რისხვას დაემსგავსა. მოქნილი ტანი შეიმკვრივა. ბრძოლისათვის გაემზადა. ვაჟს საშინელი ხმით შეუტია:

— შესდექ!

ისე შესძახა, რომ ნაბიჯი შეუკრა.

სჩანდა, გოგოს მოეჩვენა, რომ ვაჟიც მისკენ ისეთივე განზრახვით მიიწევდა, როგორც მამინაცვალი.

ვაჟი მიუხვდა შიშსა და ეჭვს. ამან საშინლად იმოქმედა მასზე.—გაშლილი ხელები მოიკეცა და სახეზე აიფარა: მისმა თვალებმა ეს სანახაობა ვერ აიტანეს.

ამით ისარგებლა გოგომ. შეტრიალდა და ისე სწრაფად გაიქცა, რომ უმალვე მიიმალა,—სადღაც გაჰქრა.

როცა ვაჟი გამოერკვია და გამოიხედა, გოგო აღარსად იყო. აქეთ ეცა. იქით ეცა. მაგრამ კვალიც კი ვერსად აღმოაჩინა. მაშინ სასოწარკვეთილი მიწაზე პირქვე დაემხო და ბავშვივით ბღავილიანი ტირილი მორთო.

სურათი უცებ ბნელმა დაფარა.

* * *

მუსიკამ საყვირების ხმების ნამდვილი კორიანტელი დააყენა.

ეკრანზე დიდი ქალაქის სანახაობა გადაიშალა.

მაღალ გადასახედზე ვაჟისაგან გამოქცეული გოგონას შავი ლანდი გადმოდგა. თმაგაშლილი, კაბა-შემოგლეჯილი და ქალაქს შეშლილივით ცქერა დაუწყო.

ქალაქმა გველეშაპის სახე მიიღო. ასეთი არც ზღაპარში გაგონილა, ტანზე ათასი თვალი უბრჭყვიალებდა წითელნარევი ყვითელი ფერისა. ათიათასი ხელი მაღლა ჰაერში შეემართა, და ნესტოებით ამონასუნთქი სქელი და შავი ბოლი ამოსდიოდა. საშინლად ქშინავდა. იკლაკნებოდა და იკრუნჩხებოდა.

უცებ ყველა თვალი გადმოკარკლა და გადასახედზე გადამდგარ გოგოს მიაპყრო. მერე ყველა ხელი ამავე გოგოსკენ გამოაშვირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგოს შეაჟრჟოლა. მაგრამ გველის თვალებით დატყვევებული ჩიტივით ადგილიდან ფეხი ვერ მოინაცვალა.

მუსიკამ უბედურების აწივლებული წინათგრძნობის ჰანგებით შესძრა დარბაზი.

სადღაც, შორს ვაჟის თვალებმა დაიბრიალეს.

გაისმა შემზარავი, გულიდან ამოხეთქილი ძახილი:

— სულიკო!

რომელიც მუსიკამ აიტაცა და ისე გააქანა, თითქოს მთელ ქვეყანას მოსდვაო.

და ერთბაშად ყველაფერი გაჰქრა.

მუსიკაც შეწყდა.

* * *

პაუზამ სული ამომათქმევინა.

მაგრამ არ გასულა ერთი ხანიც, რომ სინათლის ორმა კონამ სცენაზე ისევ გამოაჩინა:

მარჯვნივ, კუთხეში,—პოეტის სახე, ალშეკიდებული თვალებით. ხოლო პირდაპირ სიღრმეში,—ქალვაჟი ტირიფის ძირში, როგორც ეს თავდაპირველად იყო წარმოდგენილი.—

— განვლეს წლებმა, საუკუნოებივით გრძელებმა. ჟამთა ნაკვალევში აიმართენ დროთა სრბოლვის ნაფეხურები, როგორც საფლავები, ოდესმე ცოცხალ სახეების, მომქმედ აზრების და წარმტაც მოჩვენებების... ჩამოდგენ ახლები მათ კვალობაზე. შეიცვალა ჩემი ნაცნობი ქვეყნიერება... გარდავიდენ ზნენი, ჩვეულებანი... უცვლელი დარჩა მხოლოდ ეს სურათი და ჩემი სიყვარულის ყივილი ქალწულისადმი, რომელიც დავკარგე...

* * *

დიდი ხნის პაუზის შემდეგ:

— იქნება, ისევ სოფელს დაუბრუნდა და თავი ტყეს შეაფარა, მტაცებელ ადამიანებს თვისი სიტურფე განარიდა. გაქელვას, გაძარცვას გაექცა.

იქნება, მართლა ქალაქმა ჩანთქა შეუბრალებლად და დაიღუპა, როგორც ათასი, ათი ათასი და მილიონი მეძავმა ქუჩამ წაუბილწა მშვენიერება და შერყვნა მისი სახიერება.—

და სცენაზე ელვის სისწრაფით გაიმართა ოქროსფრად მოვარაყებული ტყე, ფოთლებმა ჩაიშრიალეს.

მერე ღამე ჩამოწვა, რომელსაც მთვარით და ვარსკვლავებით ანთებული ცა ზემოდან გადმოეხურა.

მთვარის შუქზე ტყეში ათასმა სახემ გაიკრთომარა. ყველა სულიკოს ჰგავდა.

ტყეში პოეტის ლანდი შემოვიდა გულჩათხრობილი.

ეს უკვე ყმაწვილი აღარ იყო, ტირიფის ძირში რომ იდგა. ეს ის პოეტი იყო რომელიც სცენის კუთხეში მაგიდას უჯდა სანათურის წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი დიდხანს იდგა უძრავი და მდუმარე. გულზე ხელები დაეკრიფა და ხეებს შორის მიმობნეულ სახეებს უთვალთვალებდა, რომლებიც სულიკოს ჰგავდენ.

მერე ნელად, ᲫᲣᲡᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ:

— ყოველთვის მიყვარდით, ტყეო, ღამევ და მთვარეო. ცაო, ვარსკულავებით ანთებულო და ლაჟვარდო იდუმალო... და, აჰა, კვლავ თქვენთან მოველი აჰა, კვლავ თქვენთან ვარ თქვენებრ ფიქრიანი და საიდუმლოებით აღსავსე. ჩემი სულიკო თქვენი ფიქრების ანარეკლია, თქვენი სახეა და საუნჯე. თქვენს წიაღში ვიხილე იგი პირველად. ეს იყო ხილვა სიყვარულისა, სულს რომ მუდამ სწყურია. ვიცი, ახლაც თქვენს შორის არის ჩემი სულიკო. მე კი გზადაბნეული სად არ ვეძებდი. ეჭვმა გული დამისერა. სული წვალებამ დამიფლითა. და ისევ თქვენთან მოველ გასამრთელებლად. აი, უკვე დავინახე კვლავად, ვისაც ვეძებ. აი, სულიკო. მიახლოვდება. ოჰ, როგორ მინდა მისი ხმა გავიგონო. ჩემს გულს მხოლოდ ეს ხმა აჟღერებს. იგი არც უნდა შეწყდეს ერთი წუთითაც ამ ქვეყანაზე, სანამ ყურთა სმენა არსებობს და სიყვარული ერთად, ერთი გრძნობაა, რომელიც სიცოცხლეს ამართლებს. მაგრამ მე აქ იმისთვის მოველ, რომ სულიკო ჩემთან წავიყვანო, ჩემს პატარა, მყუდრო კუთხეში, რომელიც ჩემთან ერთად სულ მას მოელის. ამ ქვეყნად ყველაზე უფრო მან უწყის ჩვენი დიდი სიყვარულის ამბავი... იქ, იმ ჩემს თავშესაფარ კუთხეში თავს იყრის ყველა დროის ოცნება, რომელიც კი ოდესმე ან სადმე დაბადებულა, და ყველა სამკაული, რომელსაც ოდესმე ცხოვრება დაუმშვენებია. იგი დიდია თავისი შინაგანი მოცულობით. მასში წირვასავით გაისმის ყოველი ჟამი, რომელიც ქვეყნად ირეკება, როგორც წამი, წუთი, საათი, დღე, წელიწადი თუ საუკუნე. ჩემი სული იქ გუნდრუკს უკმევს ყველა ცხადებას, ხილულად თუ უხილავად რომ მეელინება, მათ შორის პირველი სულიკო არის და ყველაზე უფრო მიყვარს, რადგანაც ყველაზე უფრო საკვირველია და სასურველი...

პოეტის სიტყვებს ბოლოში საიდანღაც ჩუმი მოთქმის კილო შეერია. თვითონ პოეტის ხმა იძლეოდა ასეთ კილოს, თუ მუსიკა მოთქვამდა, ძნელი გასარკვევი იყო.

ეს კილო შემდეგ ნამდვილ ტირილად გადაიქცა და მუსიკამ უკვე გარკვეულად ისეთი ზარი ააგუგუნა, რომ შემკრთალმა პოეტმა უმწეოდ დაიწყო აქეთ-იქით ცქერა.

ტყეს უცნაურად სახე შეეცვალა, თითქოს შავი სუდარა გადაეფარაო.

ღამემ, ცამ, მთავარემ ისეთი პირი გამოაჩინეს, თითქოს გულამოსკვნით სტირიანო.

და ტყის შუა გულიდან პოეტისკენ მომავალი სამგლოვიარო პროცესია დაიძრა საიდუმლოებით მოცული.

წინ მაღლა ჰაერში შემართული, ყვავილებისაგან შეკონილი კუბო მოჰქონდათ, კუბოს უკან მოჰყვებოდა მთელი დასი სულიკოს ორეულებისა,—სახეგაკაწრულ, თვალცრემლიანი, თმა გაშლილი, თეთრი ძონძებით შემოსილი.

საშინელმა წინათგრძნობამ პოეტს შიშის ზარი დასცა. წინ წარსდგა ნაბიჯი და პროცესიას გადაეღობა. ხელი ამართა. დადგომის ნიშანი მისცა. მიუახლოვდა. კუბოში ჩაიხედა.

კუბოში უსულო სულიკო იწვა შესუდრვილი.

და ამ დროს გაუგებარი რაღაც მოხდა სცენაზე:

რაც ყვავილები იყო პოეტის გარშემო, ყველა ელექტროენერგიად გადაიქცენ და ნაირფერად დაენთენ.—თვითონ კუბოს ორი ელექტროთვალი გამოესხა, რომლებმაც ისეთი ძლიერი სინათლე გამოსტყორცნეს, რომ მთელი არე ლესავით გაანათეს.—

ტყის ადგილას ახლა დიდი ქალაქის ქუჩა გამოჩნდა, უზარმაზარი სახლებით, ხმაურობით, თავბრუ დამხვევ მოძრაობით.

პოეტის წინ მდგომმა კუბომ მქშინავი ავტომობილის სახე მიიღო.

გარშემო ათასმა საყვირმა ათასნაირი ხმა გამოსცა. გაიმართა ავტომანქანების გიჟური რბენა მარჯვნით და მარცხნით მათ შუა კიდევ მოციალე ლიანდაგით ტრამვაიმ გაიგრუხუნა.

პოეტის წინ ავტომობილი უცებ შეტრიალდა. პოეტს უკან სანათურიდან მოწითალო სინათლე შეაფრქვია და ისეთ კილოზე შესტვინა, თითქოს დაუძახა: მომყევიო.

ვერ გავარკვიე, ეკრანზე ხდებოდა ეს ყველაფერი, თუ სცენაზე, მაგრამ ამის მოაზრების დროც არ მქონდა, ისე სწრაფად სცვლიდა ერთი სახე მეორეს და მოვლინება მოვლინებას.

აფორიაქებული ქუჩით პოეტი იმ ავტომობილს დაედევნა.

საშინელი სანახაობა ჰქონდა საწყალს: სახეზე—შეშლილი თვალები. თავზე—აშლილი თმა. ნამდვილ გიჟსა ჰგავდა.

ავტომობილმა მრავალგზის მიუხ-მოუხვია, სად ბნელი ქუჩა გაიარა, სად მოედანი გადაჭრა. ბოლოს ერთი ქუჩის კუთხეში დადგა.

* * *

გაიღო ავტომობილის კარი და ქუჩაზე ვინმე ქალი გადმოხტა უცხოდ მორთული. მოკლე ნაბიჯებით მცირე მანძილი გაიარა და ერთი გაჩირაღდნებული სახლის შესავალში შევიდა.

პოეტიც იმ სახლს მივარდა. ჯერ გარედან შეათვალიერა. მერე შესავალში შეიჭრა.

აქაც შესდგა წამით და შემდეგ კიბეზე აირბინა.

სცენაზე უცებ აბრჭყვიალებული დარბაზი გაიშალა, ფოქსტროტის მსგავსი მუსიკით ახმაურებული და უცნაურად მოცეკვავე ქალ-ვაჟთა მორთულობით აჭრელებული.

მე ასეთი მუსიკა არსად გამიგონია და არც ასეთი ცეკვა სადმე მინახავს. ორთავე რაღაც ვაკხიურ სიგიჟეს გამოხატავდა. ცეკვა კი არა, უფრო როკვა იყო, ხვადთა და ძუთა ალმრევი, ხურაობისათვის შემამზადებელი.—

ვაჟების ვულურ ყიჟინა-დატანებულ ნახტომებს წინ ქალების შიშველი მუცლების ღრაკნილი რხევა უხვდებოდა შეწივლებით, და...

ალისფერი სქესური ვნება, წარღვნის ზვირთივით აგორებული, კუთხიდან კუთხეში გადადიოდა.—

დარბაზში პოეტი შემოიჭრა.

— სულიკო!—გაისმა მოულოდნელად და როგორც სიტყვა, ისე ხმაც ისე შესხლტენ დარბაზში გამეჯებულ რიტმის ტალღაზე, რომ უკუოქცენ და ისევ პოეტს დაუბრუნდენ. მაგრამ დარბაზი მაინც შესდგა შეკვირვებით და პოეტისკენ მოიხედა. მუსიკაც შეწყდა ერთი წამით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ისეთი ხარხარი გაისმა, რომელიც ფოქსტროტს ჰგავდა. მას ისევ მუსიკა აჰყვა.

ერთი ჭრელად ჩაცმული ქალი, წელს ზევით თითქმის სრულიად შიშველი, თავის ტყუპ მამაკაცს გაშორდა და პოეტისკენ ბარბაცით წამოვიდა.

— რაო, რაო? შენ, მგონი, სულიკო დაიძახე, უცნობო! გაიმეორე, გაიმეორე ეს სახელი ერთხელ კიდევ. მე გთხოვ.

— სულიკო!—ახლა ნამდვილი გიჟივით წამოიყვირა პოეტმა.

— ჰეე... გაიგონეთ, ხალხო! ეს სახელი რაღაც ისე ტკბილად მაგონდება, როგორც ბებიას ზღაპრები. ბებიამ ისეთი კარგი, ისეთი მშვენიერი ზღაპრები იცოდა, რომ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. მაგრამ შენ, ჩემო მეგობარო, ძალიან მკაცრად გამოსთქვამ ამ სახელს. ასე არ შეიძლება. აი, ასე უნდა: სუ—ლი—კო... ჰმ... აბა ერთი შემომხედე. ა? რას მეტყვი? მოგწონვარ თუ არა? თუ იმ მაჯლაჯუნაზე უფრო მეტი ფული გაქვს, შენი გავხდები. მორჩა და გათავდა. თუ არა და, ქარმა წაგიღოს ისე, როგორც შემოგიტანა... თუმცა არც ისეა საქმე. დამაცადე, კარგად შეგხედო... მგონია, მომწონხარ, შეჩვენებულო!

— ჯუდა, რას მიქარავ? ღალატია? ნებას არ მოგცემ, იცოდე. ვინ არის? ერთი მისი სიფათი მაჩვენე,—თავი გამოიდვა ქალის მიერ მიტოვებულმა ვაჟმა.

— დამაცადე, კაცო, თავი ნუ მომაბეზრე. ეს კაცი რაღაც მოშწონს. ძალიან უცნაურად იცქირება. ვილასაც მაგონებს და ვერ კი მომიგონებია. იძახის: სულიკოო...

— ფი, რა სულელური სახელია.

— სულაც არა! მე ძალიან მომწონს. ისე მახსოვს, მეც ბავშობაში ვიღაცა სწორედ ამ სახელს მეძახდა... ჰო და, მითხარი, უცნობო, სად დაჰკარგე ეს შენი სულიკო? დიდი ხანია?

— თავი დაანებე, ჯუდა, გეუბნები. ახლა სოფელშიაც კი არავის ჰქვია ეს გაცვეთილი სახელი.

— დამაცადე მეთქი, კაცო. თავი ნუ მომაბეზრე. მე ეს კაცი შენზე უფრო მომწონს. გიჟსა ჰგავს, თუ ნამდვილი გიჟი არ არის. მე კი, ხომ იცი, გიჟები მიყვარს. მეგობარო, აქა ვარ შენი სულიკო. მე ვარ ის, ვისაც შენ ეძებ.

— სადაური ხარ?

— ერთი სოფლიდან ვარ.

— დედა გყავს?

— დედა?.. არა, გენაცვალე.

— არა?! დიდი ხანია, რაც მოგიკვდა?

— ჰო, ძალიან დიდი. არც კი მახსოვს.

— მაინც რამდენი?

— სულ პატარა ვიყავი, რომ ობლად დავრჩი. ეს ნამდვილად ვიცი.

— ფეხშიშველი დადიოდი, მოკლეკაბიანი... სოფლის პატარა გოგონა' დედა ავად გყავდა და მის მოსარჩენად უსახელო ყვავილს დაეძებდი ტყედ და. ველად... და ერთხელ ტირიფის ძირში, ღელის პირად... აბა, მოიგონე, რაც მოხდა. უთუოდ უნდა გახსოვდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მახსოვს. მახსოვს. როგორ არა!

— რა? რა გახსოვს, აბა მითხარი.

— რა ვიცი, ასე მგონია, რომ რააღც კი მახსოვს. მოიცა, მოვიგონო...

— ქალაქში როგორ მოხვდი?

— ერთმა კაცმა წამომიყვანა...

— სად იყავი? რას აკეთებდი? როგორ ცხოვრობდი? ვინ გპატრონობდა ობოლს, პატარას და გამოუცდელს ამ უცნობ ქალაქში?

— ვინ მპატრონობდაო, ამას მეკითხები?

— ჰო, ვინ მეთქი, ჩქარა მითხარი.

— ვინც კი მოისურვებდა. ჩემო კეთილო.

— შორს მეთქი ჩემგან! მატყუარავ! შენ სულიკო არ ხარ!

— ვარ! აბა, კიდევ მკითხე და ახლა უფრო სწორად გიპასუხებ. მიგიხვდი, რაც გაწუხებს... გეუბნები მე ვარ სულიკო მეთქი! დამიჯერე და ნულარ მაჯავრებ! ცუდი ხასიათი მაქვს, როცა გამაჯავრებენ...

— ჰო, ასე რამ დაგილურჯა ეს თვალები და ეს სახე რამ შეგიცვალა ასე სასტიკად! დიდი ქალაქის დიდი ქუჩის მსგავსად რამ გაგითელა ეგ გულმკერდი და საროსკიპო სახლის აბრის წარწერასავით რამ შეგიჭრელა ეს ტანი, ეს საცმელი? რამ გაგიელამა ეს მიმჭრალი თვალთა მზერა და გადასაგდებ ნახმარ ჩვარივით რამ გაგიცვითა ეგ ლაწვ-ბაგენი, ეგ კისერი და მკლავები? ვინ აგაფარა სახეზე ეს ზარდამცემი კოშმარების სანავარდო ნიღაბი მეძავისა და გარყვნილების ლაქით ვინ მოგითხუპნა, მოგიშალა ადამიანის სახიერება მაგ პირსახეზე?

— სთქვი რაღა გარკვეულად: მოგწონვარ, თუ არა მოგწონვარ. ნუ მიედებ-მოედები. მე ეს არ მიყვარს. მართლა გიჟი ხომ არ ხარ ღმერთს გეფიცები, მეცოდები, და მინდა სურვილი აგისრულო, თუ ძალიან არ გამაჯავრებ. მოდი ჩემთან. დაწყნარდი. აჰა. მოგეფერები;

— შორს! შორს! შოორს მეთქი, საძაგელო ქმნილებავ!

მოისმა საშინელი შეძახება სცენის იმ კუთხიდან. სადაც სანათურის წინ პოეტი იჯდა. უმალვე გაჰქრა ზემოაწერილი სურათიც და გამოჩნდა პოეტი, რომელიც ისევ თავის მაგიდას უჯდა და ხელებს ისე ასავსავებდა, თითქოს მაჯლაჯუნას ებრძვისო.

პოეტის უკან კი, სიღრმეში, შირმას იქით, ამდენხანს ყურადღების გარეშე დარჩენილი საწოლი კუთხის მორთულობის კონტურთა შორის; მძინარე ქალის სილუეტი შეინძრა ლოგინზე. შეფეთებულმა, გამწყრალმა თვალებმა გამოანათეს სულ ერთი წამით და ისევ ჩაჰქრენ.

* * *

სცენაზე კი ამავე დროს ქალაქის ქუჩა მოეწყო. განაპირა უბნის ქუჩას ჰგავდა. რიჟ-რაჟი იწყებოდა. მაღალმილებიანი, კომლით შემურული ქარხნები ღვიძებდენ.—

და თეატრის ორკესტრმაც საყვირების ხმები აათამაშა.

შუა ქუჩით, ქარხნების გასწვრივ, უცებ აუარებელი შავი ხალხი ამოძრავდა, ჯერ გუნდ-გუნდათ, მერე ერთი მთლიანი მასით. მცირე ხანი და ისეთი ბობოქარი ატყდა რისხვის, შურისძიების და მძულვარების, რომ ზღვის საშინელი ქარტეხილიც კი ვერ შეედრებოდა მის სიძლიერეს.

ერთი მუშა ძაღალ ადგილზე შედგა, ხელი ამართა და პირიდან ცეცხლივით ამოაფრქვია:

— ბარიკადებზე ამხანაგებო!

აფრიალდენ დროშები. ათასმა ხმამ მეხივით დაიქექა:

— ბარიკადებზე!

და მარსელიეზის ალშეკიდებული სიტყვების ტალღამ მთელი მიდამო სისხლისფრად შეღება.

ერთ-ერთი ქარხნის კედელზე, მოულოდნელად, დიდზე უდიდესი ლანდი აეკრა ადამიანისა. ამომავალი მზის სხივებით საიდანღაც გამოტყორცნილი.

ფანტასტიური იყო მისი მოძრაობა. ხან სახურავზე გაიელვებდა ჩარაზმულ მილებს შორის. შენობიდან შენობაზე გადადიოდა. ხინ ძირს დაეშვებოდა და ამბოხებული მუშების თავზე გადაივლიდა. ზოგან მარტო თავი გამოჩნდებოდა, ქარისაგან აშლილი თმით, ზოგან ფეხები, რომლებიც რბოდენ, და ორი დამუშტული ხელი, საშინელი მუქარის გამომხატველი.

ეს იყო პოეტის ლანდი.

ამასობაში მუშებს ჯარმა ალყა შემოარტყა.

მებრძოლთა მიერ ამართულმა ბარიკადებმა შენობები დაფარეს.

და შეუწყვეტელი მარსელიეზის გუგუნის ფონზე ბრძოლა გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო თავისი შემზარავი ეპიზოდებით:

შუაში გაჩეხილი ადამიანები. გაპობილი თავები. განგმირულთა უკანასკნელი ამოსუნთქვა სისხლიანი. ტვინშერეული სისხლის თქრიალი. სიცოცხლის ხმალი და სიკვდილის ცელი, ერთმანეთს გადაჭდობილი.

ბარიკადების თავზე ქალის სახე აენთო, რომელსაც ხელში წითელი დროშა ეჭირა.

მის ზევით ცა იყო მხოლოდ და ზედ ღრუბლის ერთი ნაფლეთი.

— წინ!

ეს იყო ისეთი ძლიერებით მოქნეული რისხვა, მტრის შემმუსვრელი, რომლისათვის დაბრკოლება არ არსებობს ამ ქვეყანაზე.

და ბრძოლამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამ ქალისთვის სწარმოებსო.

ძირს გართხმულ, დაპატარავებულ ლანდს მალე თვითონ პოეტი მოჰყვა ბარიკადებთან.

იგი მებრძოლთა შორის დროშიან ქალისკენ გზას მიიკვლევდა. მისკენ ხელები გაეწვდინა და წამდაუწუმ უხმობდა:

— სულიკო.

მაგრამ ეს ტუჩების მოძრაობაზე ეტყობოდა. ხმა კი არ ისმოდა.

პირველად ყურადღება არავის მიუქცევია. გზა შეუმჩნევლად გაიკვლია და იმ ქალს დაუახლოვდა.

სწორედ ამ დროს ერთმა მებრძოლთაგანმა შეამჩნია. გაკვირვებით შეხედა შეათვალიერა. შემდეგ სახეშეკრული წინ გადაეღობა. შეჰყვირა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შესდექ!

და ორი ნაბიჯი უკან გადადგა. თოფი მოიმარჯვა და პოეტს შიგ გულში დაუმიზნა.

— უცხო ხარ! სთქვი მართალი, აქ რა გინდა?

ჰოეტი დაიბნა. ხმა ვერ ამოიღო.

— სთქვი მეთქი, ვინ ხარ და რა გინდა? ჩქარა!

პოეტმა დუმილი განაგრძო.

თოფი გავარდა.

განგმირული პოეტი შეირხა...

და უცებ ყველაფერი გაჰქრა.

* * *

ხოლო თეატრის დარბაზში ისეთი შემზარავი ხმა გაისმა, რომ მთელი საზოგადოება ძალაუნებურად ფეხზე წამოდგა.—იგი დაბალი ტონით დაიწყო და რალაც უცნაური მისტიური რხევით თანდათანობით უმაღლესზე გადავიდა, და იქაც არ შეწყდა.—

— სუ ლი-ლოოოო...

ეს იყო უიმედო შიშის და უკანასკნელი სასოწარკვეთილების ამოძახილი, რომელიც უთუოდ დაღუპვას მოასწავებს.

სცენის კუთხეში სკამის ზურგზე გადაქანებული პოეტი ისევ თავის ადგილას იჯდა მაგიდასთან. პატარა სანათურის სინათლე სახეში სცემდა.

სახეზე ყველაფერი გარკვეულად ეხატებოდა, რაც კი გადაწყდა.—პირი ჯერ კიდევ დაღებული ჰქონდა. ვერ მოესწრო, თუ ვერ გაებედნა დამუწვა. ალბად, საშინელი ხმის კვალისაც ეშინოდა.

შირმის იქით კი, სადაც საწოლი კუთხის მორთულობა მოსჩანდა, იმ ხმამ, აი, რა ამბავი დაატრიალა:

ლოგინზე ბავში წამოჯდა, შეშინებული თვალები გააღო და პირი სატირლად მოიქცია. მაგრამ მერე უცებ დაამთქნარა, თვალები დახუჭა და მოწყვეტით პირქვე ბალიშში ჩაემხო.

ქალს კი სანთლის ანთება მოესწრო. ხელში დაეჭირა და პერანგამარა, ფეხშიშველი პოეტისკენ გამოქანებულიყო.

ანთებული სანთელი ჩვეულებრივი შუახნის დედაკაცის ნამძინარევ სახეს და მოშვებულ გულმკერდს უჩენდა. ეტყობოდა, რომ შიშის გარდა, მისთვის ბრაზსაც პირისახე მოეღრანჯა. უფრო მოჩვენებას ჰგავდა.

— რა ამბავია, კაცო? გაგიჟდი, თუ რა მოგივიდა? ვის ეძახი ამ შუალამეში? ვინ ოხერი, ვინ ტიალი სულიკო გამოგიჩნდა? ქვეყანას ესმის შენი ბღავილი. ძილს ვინ სჩივის, რომ მიფრთხობ, სირცხვილს სად წაუვიდე!

პოეტი ადგა. შეხედა. მრუახლოვდა. უცნაური თვალებით დააკვირდა. უცებ შეეშინდა ქალის უკან დაიხია და ხელები გაასავსავა. თან ტუჩები ისე აამოძრავა, რომ უთუოდ შეძახება უნდოდა, შორს ჩემგანო.

მაგრამ მალე მოვიდა გონს. ახლა ტკბილად გაუღიმა და ალერსიანი ხმით მიმართა:

— მაპატიე, ჩემო სულიკო. მეტს აღარ ვიზამ.

— ამას შეხედეთ ერთი, რას მიბედავს: მეც სულიკოს მეძახის. ესღა მაკლდა. ვაი სირცხვილო!—

დაშვებულმა ფარდამ წერტილი დაუსვა წარმოდგენას.

❁ ❁ ❁

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

ცაში პირველი ნამეხარია

1

ცაში პირველი ნამეხარია,
გამოიშალა ნუშის ფურცელი;
რა მიხარიან,—
ასპიტ ზამთარს რომ გაუძელი.

2

ცაში პირველი ნამეხარია,
ცამ გაიფატრა ლურჯი მუცელი,
ამობამბული გახსნა სარკმელი,
დაიგრიალა და სთქვა სათქმელი—
სიმღერა ერთი, გამოუცვლელი...

3

მე სად ვიჭექე, სადა ვმღეროდი,
სად ამოვიღე ლექსების ქარი?
ვერც ფალავნობის, ვერც მომღერალის
ვერ დაუტოვე ხალხს იადგარი [1].

4

გაუქმებული ახალგაზდობა
გულზე მეთრია, როგორც სიმძიმე;
ყველა დღეები იყო მჩვრიანი,
ყველა ლექსები გამოვიძინე.

5

ოცდათერთმეტი წელი გასულა,
ვიხსენიები უკვე წარსულათ
და სიჭაბუკეც მიდის ვერაგი;
ძმებო, გამყიდეთ იოსებივით·
მამას უჩვენეთ სისხლში პერანგი!

1931 წ.

[1] იადგარი—სახსოვარი.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საათნავა

ფფალიასის ლექსებიდან

1

ეს საწყალი საათნავა
სიყვარულმა გაათავა;
„უძილოდ ღამეს ათევდა,
ვით ვარსკვლავი მთვარისათვინ,—
ზარუ—
ზარბაბ—
ზარისათვინ.“
მისხალივით გული სტკივა,
მისი სიტყვა ცაში მივა:
„არ გეწყინოს ჩემო კარგო,
სიტყვაშიაც იგავი მაქვს,
რომელ ერთხელ გენაცვალო,
განა რამდენი თავი მაქვს?“

2

ხეივანში ჩადგა მთვარე,
აივანზედ ოხრავს ქალი;
ტირის თარი დამარხული,
მიზრაფს სცვივა ნაპერწკალი.
— რათ აღსდექი, რათ მეძახდი,
რა ოცნებას მიპირებდი;
თარი ტირის, რათ უნდოდა,
ჩვენ ისედაც ვიტირებდით.

3

შენ იტირებ, არ მოკვდები,
შენ იმღერებ—დღე ათასი;
ქუჩებშია ჩირაღდანი,
აბრეშუმის ფიანდაზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენი თარი—შავარდენი
არის ოქროს ავჟანდითა;
ცხრა კუბოში რომ იძინო,
გასძლებ ლექსის მჟავბადითა.

გასძლებ ვიდრე შემოგცინის,
ხმა ვისთვის არ დაგეღალა—
პირლამაზი მეზობელი,
შაგვრემანი, ყელმაღალა...

4

ვაჲ, სიმღერა არის ორი:
ამღერებენ ერთზე ლერწამს,
მეორე კი—სისხლში დადის,
გრიგალივით ყელს გილეწავს.

ორი უნდა საქროლავიც,
როგორც ორი ბოლო მერცხალს;
ლექსი ვარდებს მოყოლილი,
გულს რომ სისხლით გაგირეცხავს.

სიმღერებიც არ იქნება,
თუ არ ცრემლის შარბათითა;
ცხრა კუბოში რომ ჩაგჭედონ,
გასძლებ ლექსის მჟავბადითა!

5

შე საწყალო ფეიქარო,
ხმა დამთვრალო საათნავა;
ჭიანურო, ცეცხლის მყრელო,
რა ნაღველმა გაგათავა.

. . . . . .

დღეს ტფილისის მეიდანზე
მე ვარ ლექსის ქანდირბაზი,
სამქებაროდ ჩახჩახებენ
ჩირაღდანი, ფიანდაზი!

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

სისხლიანი ბარი

სამოქალაქო ომის დამთავრების და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხანაში, ათას ცხრაას ოცდაერთსა და ოცდაორ წელს სამხედრო ოპერაციების ასპარეზის მახლობელ სოფლების მოსახლეობას ბევრი იარაღი დარჩა.

ხალხის ყველა წრის წარმომადგენლებს ჰქონდათ იარაღი აშკარად და ფარულად, კახეთში კი თითქმის ყველა ახალგაზრდას მოეპოვებოდა ვისაც კი ოდნავ მაინც შეეძლო მისი მოხმარება, მათ შორის თამაზსა და გიგოსაც.

თამაზი შეძლებული მეცხვარის შვილი იყო. მისი მამა მუდამ ცხვარში იყო შირაქის ველზე. მოხუცი თავს დასტრიალებდა ცხვრის ფარას ორი ათას სულს მოჯამაგირეებს, ფარეხებს, ბაკებს, და ამოდენა ცხვრისთვის საჭირო მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს.

სოფლადაც მძლავრი სახლკარი ჰქონდათ.

გიგო თამაზის მეზობლად სახლობდა, პაპისეულ პატარა ვენახს უვლიდა.

მამამისიც მეცხვარე იყო: ორმოც სულ ცხვარს დასდევდა უკანა-მხარში.

ოც-ოცი წლის გიგო და თამაზი ერთმანეთს მეზობლობდენ და მეგობრობდენ. საჭიდაოდ, სანადიროდ, სათევზაოდ თუ ქორწილში უერთმანეთოდ არ წავიდოდენ.

მხოლოდ ორ რამეს არ უმხელდენ ისინი ერთმანეთს—საცოლედ ამორჩეულ ქალებს და, ყოველ შემთხვევისათვის, გადამალულ იარაღს.

მეგობრები სულაც არ მოელოდენ, რომ ეს ამბავი უნებურად გამოუაშკარავდებოდათ.

წნორის წყლიდან ლაგოდეხამდე მიმავალ მოქვიშული გზის ორივე მხრით, ალაზნის მარცხნივ, ფართო და თვალუწვდენი დაბლობები ულრანი ტყეებით იყო დაფარული. საშენი მასალა, და შეშა მთელ ქიზიყს ამ ტყეებიდან გამოჰქონდათ.

რევოლუციის იმ პირველ მღელვარე წლებში, ამ ტყეში, რომელსაც სახელად ჭიაური ჰქვია, ქიზიყელებს არ მიუხაროდათ სამუშაოდ წასვლა. ამის მიზეზი ხშირი ყაჩაღობა გახლდათ. ტყეში სამუშაოდ წასულს ან მოქვიშულ გზაზე მომავალ გლეხებს უწყალოდ სცარცვავდენ, ხშირი იყო მკვლელობაც.

გიგოს სულაც არ უფიქრია ფათერაკზე, როდესაც ჭიაურის ტყეში წასვლა მოუვიდა აზრად.

სილნალის სამაზრო რევკომის მიწის განმანაწილებელმა კომისიამ, ჩამორთმეული მიწის ფონდების განაწილება მოახდინა და, სხვათა შორის, გიგოსაც არგუნეს ერთი პატარა, ნახევრად რიყით ჩახერგილი და ძეძვით ჩამაბული ნაჭერი. რალა მოასვენებდა ამის შემდეგ ვაზის მოყვარულ კახელს? ორი თვე, დღე ღამე გატეხვით, მოჭერილ ალოს დროს გიგომ მოზომილიდან რიყე გადაზიდა ძეძვები აგაზა, მოწვა და ხამყენი ვაზის ჩასარგავად მიწა გადააბრუნა, ვაზის შესაძენად ლორები და ძროხა გაყიდა. საკრედიტო ამხანაგობიდანაც ოცამდე თუმანი აიღო ვალად, იმით გასამბელი მავთული დაიბევა სასოფლო სამეურნეო საწყობში. ეხლა მხოლოდ მავთულების დასამაგრებელი ბოძებიღა აკლდა.

საბოძე ხეები გაღმა ჭიაურის ტყეში უნდა მოეჭრა, მაგრამ გიგოს ჭიაურისკენ რაღაც არ მიუწევდა გული სამუშაოდ; ყოყმანობდა, თანაც ძლიერი სურვილი ჰქონდა თავისი ხელით გაეთალა მუხის გულები. ბოლოს, როგორც იქნა გადასწყვიტა, მეზობლებს თავი მოუყარა და მზის ჩასულს შორაქანის ველზე მტვრის ტრიალით გაუდგენ.

შუა ღამე იქნებოდა, რომ ჭიაურის ტყეში იმ ადგილას გადაუხვიეს, სადაც ეხლა მეღორეობის დიდი საბჭოთა მეურნეობაა გაშენებული. მუშაობა ადრიანად დაიწყეს, სამ დღეს გაისმოდა რახუნი და მუხების დაცემა. ორ დღეში დათალეს და დაკოტრეს ხეები. მეექვსე დღეს ურმები დატვირთეს, ტყის მცველისაგან ქვითრები აიღეს და ურმებს ყევრები დაუბეს, ურმები რომ დაიძრა, მზე უკვე სილნალსა და ნუკრიანს ეფარებოდა დასავლეთს ჩინელის ფერი გადაჰკროდა: ნახევარ საათში უკვე დაბნელდებოდა, ამიტომ მეურმეები გზატკეცილზე გამოსასვლელად იჩქაროდენ. უცებ მოწინავეს კამეჩებს ვილაცები გადაუდგენ ურმები შეჩერდა. საფრებიდან რამოდენიმე შეიარაღებული კაცი გამოვიდა.

ყაჩაღებმა გლეხებს სათითაოდ დააძრეს ჩოხები, ჯიბეებიც მოუჩხრიკეს ერთ მოხუცს სამკვდრო-სამარხად შენახული, ვერცხლის ქამარი შემოხსნეს წელიდან, ჯერი გიგოზე მიდგა.

გიგო უღელზე დაყრდნობილი გულცივად უყურებდა ამ სურათს.

— აბა რას უდგეხარ, ჩოხა გაიძრე!-უბრძანა ყაჩაღმა და თვალები დაუბრიალა, თანაც შაშხანა იღლიაში დაიმზადა ბეჭზე მსწრაფლ მისადებად.

— ყველას დაუბრუნეთ ნაცარცვი, მუშა ხალხია,—ისე აუღელვებლად მიუგო გიგომ, რომ არც განძრეულა, არც სახის ფერი შესცვლია.

ყაჩაღი ერთის წუთით შეკრთა, ბრძანებაზე უფრო მეტის ბრძანების გაგონებამ თითქოს დააბნიაო. ის იყო უნდა დაენებებია თავი, მაგრამ გიგოს ჩოხა ისე მოეწონა, რომ ლეკური შინაური მაუდის სივილა ზოლების შემყურეს თოფი ისევ გაშვერილი დარჩა. გიგომ კიდევ აცალა რამოდენიმე წამს და რა გადასწყვიტა, რომ გაძარცვა არ ასცდებოდა, ხელი ელვის სისწრაფით გაიყარა კალათში, დასჭყივლა, ყაჩაღს სარმა გაჰკრა და ისეთი სროლა ასტეხა მაუზერის რომ მძარცველები დამფრთხალი ტურებივით გაიქცენ.

მეურმეებმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გადაჰკრეს ხარებს, ჩქარობდენ გასცილებოდენ საშიშ ალაგს.

უვნებლად გადარჩენილმა ყაჩაღებმა ტყის გულში მოიყარეს თავი შერცხვათ დამარცვება. ხელმეორედ გაძარცვა ველარ გაბედეს და ჯავრის ამოსაყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელად შორიდან ნიშანში ამოიღეს მეურმეები. ხარკამეჩს დაუშიზეს. სხვათ შორის გიგოს სამი სული დაუხოცეს და ტყეში შთაინთქენ.

ახლა კი მიატოვა ყველაფერი გიგომ, თავის გადარჩენა საკუთარს მიაწერა და რადგანაც მტერს პირისპირ ვერხედავდა ისე გაიქცა როგორც ადამიანი გაექცევა აგორებულ ქვას ან მეწყერს.

სროლის დროს გიგოს ერთადერთი მაუზერის ხმა ესმოდა ყაჩაღების მხრიდან; რეოლვერის ხმა აეკვიატა თავში. მოეჩვენა, რომ იმ იარაღის ხმა გაეგონა თავის მეზობლობაში და არც კი იცოდა ვისჰქონდა, მაგრამ ჩქარა ამოიგდო თავიდან ეს აზრი, რადგანაც სროლის დროს კაცს შეუძლიან გამოიცნოს რა იარაღიდან ისვრიან, ხოლო ერთდაიმავე სისტემის იარაღის ხმის დახსომება და გარჩევა არც გაეგონა, არც თვითონ გამოეცადა.

სწორედ მესამე დღეს გიგო თამაზს შეხვდა მოულოდნელად; თამაზს შეშინებულსავით შეაჟრჟოლა, ლაპარაკი აებნა. გიგო კიდევ იმან დააეჭვა, რომ დახოცილ ხარკამეჩის შესახებ თამაზმა არაფერი მწუხარება არ გამოსთქვა, იმ დროს როდესაც ყველა მეზობლები აღშფოთებულები იყვენ ეს აზრი და ეჭვიც ამოიგდო გიგომ თავიდან, რადგან თამაზს, ბევრი ძროხის პატრონს, შეეძლო სამი ცალის დაღუპვა სრულებითაც არაფრად ჩაეგდო.

ამ აზრებში გართული, იგი სოფლის შარაზე მიდიოდა, უცებ თავისი საცოლე ნინა შემოხვდა. ქალი შემოეგება და გადარჩენა მიულოცა (ასეთი ამბები კახეთში ბავშვის ყურამდეც კი მიდის). ქალმა სიხარულისაგან ცრემლებიც გადმოყარა. უცებ ისევ მკვახე გამომეტყველება მიიღო, სხვა რამის თქმას აღარ აპირებდა ქალი და ეტყობოდა, რომ არც ლაპარაკის გული ჰქონდა.

გიგოს გული დაეჩაგრა. ვერ გაიგო, რამ შეუცვალა ნინას გული. წინათ ოღონდ დრო ეხელთებიათ და ლაპარაკს მთელ დღესაც ვერ გაათავებდენ. ახლა ქალი მოულოდნელად დაეკითხა გიგოს:

— ცალი კამეჩი როდისღა გინდა იყიდო? ან ზაქი გასაქნელად რომ გყავს, როგორი გამოდის?

— ოღონდ ნურაფერს იჯავრებ და ცალის საქმესაც მთვაგვარებ—უთხრა გახარებულმა გიგომ, რაკი მიხვდა, რომ ქალს მომავალი მისი ოჯახის მდგომარეობა აწუხებდა, მაშ საეჭვო აღარაფერი იყო.

— როგორ მოგვარდება! საკრედიტო ამხანაგობის ოცი თუმანი ნაღდი ჩერვონცები, ცალუღელა და მაინც და მაინც პირველ წელსავე გაჭირვება?

— ნუ გეშინია. ღვინოს მოვიჭირვებ, ნახევარ ბოჭკას, ნაპარსაც გადმომახმარს მამა და იქნება არა გვიშავდეს რა. ანუგეშა გიგომ საცოლე.

ამ დროს ფეხის ხმა მოისმა, ორივემ მოიხედა: მოდიოდა სუსანა, მაღალი ყელი ყინჩად ეჭირა, თმები წელამდე სცემდა, მოღეღილი ზედაწენი ეცვა და ხელში დასტამბოს ათამაშებდა.

სუსანამ რაღაც უცხვირპიროდ ჩაიარა და ერთის თვალით მედიდურადაც კი გადმოხედა გიგოს. სუსანას თვალმა თითქოს უთხრა ვაჟკაცს:

„ჭიაურში დოლა-ვაცივით გარბენინესო“. გიგოს ისე ეტკინა გული, რომ ძლივს შეიკავა თავი და უნებურად წამოიძახა.

— ნინა, გეთაყვა, რაც გინდა ისა ჰქენი. გინდა გამოიყევ, არა და ვინც მოგეწონოს, იმას მისთხოვდი. არავისზე ნაკლებად არ ვიცი იარაღის ხმარება, არავისზე ნაკლები მარჯვენა არა მაქვს, არც სიმარდე, არც ბრძოლა, კლდე რომ წამოვიდეს, იმასაც გაუჩერდები რომ ჩემი გულადობა დავამტკიცო. მაგრამ სისხლი არ შემიძლიან, სისხლი არ მინდა.

— მაშ თამაზამ გითხრა, რომ სუსანას რთველის შემდეგ შეირთავს?

— რა შუაშია ეს ჩვენი ლაპარაკი, სუსანა, ქორწილი და თამაზა?—განცვიფრებით იკითხა გიგომ. თავში რაღაც აზრებმა გაჰკრა. ორიოდე წუთის წინ ნინას ჭმუნვის მიზეზი სულ სხვა რამ იყო. ჭიაურის ტყეში ნასროლი მაუზერის ხმა თითქოს გარკვევით ესმოდა. თითქოს მაუზერის ხმას და სუსანას მედიდურ გამოხედვას რაღაცნაირი ურთიერთობა ჰქონდათ.

— დაუტრაბახნია და შენი კი არაფერი უთქვამს სუსანასათვის. მე კი ვიცი, რომ თამაზა და მისი ამხანაგები კუდამოძუებული გარბოდენ თავიანთი თოფებითა და რევოლვერებით.

— დაუტრაბახნია და უნამუსოდაც! მაშ სუსანას ირთავს თამაზი? ეგ მე აქნამდე არ ვიცოდი.

— სთქვა უკვე მიმხვდარმა გიგომ ღვარძლიანად. მერე განაგრძო:—ეხ თამაზავ, კარგი ვაჟკაცი იყავი. ცუდი გზა აგირჩევია. ჰო, ნინა! ხომ მიხვდი ახლა რატომ ემატება თამაზას მამას უდოლოდ თავნი ცხვარი?

— ჰო, ახლა მესმის მაგრამ ვერ გამიგია, მაგ უბედურ სუსანას რა აქვს საამაყო? მაგის საქმე დაღუპულია. კოკა წყალზე გატყდება და ყაჩაღიც ტყვიით მოკვდება. სიბერე არ დასცალდებათ.

— ახლა კი დროა. შინისკენ წავიდეთ,—სთქვა ქალმა და გამოემშვიდობა გიგომ ცახცახით ჩამოართვა ხელი და ადგილიდან არ დაძრულა. ფიქრობდა, სჯიდა, მაგრამ რაც უფრო ბევრს ფიქრობდა, უფრო რწმუნდებოდა, რომ თუ ვინმე კვალში ჩაუდგებოდა ამ ამბავს, სისხლის დაღვრამდე მივიდოდა საქმე. ყოველივე მომხდარი ჰგავდა ცუდად დაგრეხილ თოკის სოხანეზე მორიალებულს რომელიც შეხებისთანავე ისე აირეოდა, რომ საბოლოო ანგარიშში მრავალ ალაგს გაწყვეტილი გაჭრილი და დაფსკვნილი აღმოჩნდებოდა, ჯერ კი საშიში არაფერი იყო. სისხლი არავის ჰქონდა დაღვრილი. მაგრამ მაინც საფიქრალი იყო.

ყაჩაღებთან კარგი და მარჯვე ვაჟკაცობის გამოჩენა კახეთში იმას მოასწავებს, რომ ვაჟკაცი ან თვითონაც ყაჩაღად უნდა გადავარდეს, ან იმათ მოსახლეთა რიცხვში დროით ჩაემატოს. არც ერთი და არც მეორე არ უნდოდა გიგოს, დალონებული დაბრუნდა შინ. გიგო კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ უგულოდ გამოელაპარაკა დედას და სთხოვა როგორმე ნინა თავის ტოლი ქალებით მოეყვანა შინ.

ამ ამბავმა ადმინისტრაციის ყურამდეც მიაღწია, ძნელი იყო უცბად რამე ზომები მიეღოთ. ერთ დღეს კი გიგო ბანდიტების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმში მიიწვიეს.

გიგო ცოტა ყოყმანის შემდეგ დათანხმდა. მას უკვე ჰქონდა „ლაპარაკი“ ყაჩაღებთან თავისი მაუზერის პირით ჭიაურის მუხნარში.

ნათქვამია: ადგილის კურდღელს ადგილის წევარიო. [illegible] ხელი მოჰკიდა გიგომ, თავსაც აღარ იზოგავდა. გიგოს რაზმი თავზარს სცემდა ბანდიტებს. ექვსი თვის ენერგიული დევნის შემდეგ ბანდიტები თითქმის მოსპო. ზოგი დაატუსაღეს, ზოგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, და ზოგიც დახოცეს. სულ რამოდენიმე კაცილა დარჩა ტყეში. მათი მოსპობაც საბოლოოდ აღმოფხვრიდა ბანდიტიზმს. ეს ამბავი ტყის გაფურჩქვნამდე უნდა დასრულებულიყო. მაგრამ საქმე გაძნელდა, ამ პატარა ბანდის სათავეში ყველაზედ ფრთხილი და საშიში თამაზი იდგა, რომელსაც ყაჩაღად გავარდნამდე წლინახევრის ჩუმი და ფრთხილი გამოცდილება ჰქონდა. მდიდარი მეცხვარის შვილიც იყო და, რადგან იმ დროს მეცხვარეების კოლმეურნეობები არ იყო ქიზიყში, თამაზს და მის ამხანაგებს ადვილად შეეძლოთ თავი შეენახათ ცხვრის ბინებში მილარზე, უკანასა და წინა მხრებში და მთელ შირაქში აღსტაფამდე.

კარგად დაკვირებულს გიგოს ხშირად ეპარებოდა ეჭვი, ვაი თუ საქმე საბოლოოდ ვერ დაგვიბოლოვდესო. ერთხელ კინაღამ ხელიც კი აიღო. ცხვრის ბინებში საგუშაგოებს მოვაწყობ, მაგრამ აქედან თითქოს არაფერი გამოვიდა. ნამდვილად კი სწორედ ამან დაათავა უცნაურად თამაზის და გიგოს „მეგობრობა“ დიახ, უცნაურად დაათავა, საქმეში ნინა და სუსანა ჩაერევენ.

ერთ დღეს სუსანა ნინასთან მივიდა, ჩვეულებრივად მოიკითხა ოჯახი. ლაპარაკი ბანდიტიზმზე ჩამოვარდა. რა თქმა უნდა, მთავარი გმირები ამბისა ბანდიტების მხრივ თამაზი იყო, ხოლო ადმინისტრაციისა არა ნაკლებ მარჯვე გიგო.

— ძალზე გაუჭირდათ საქმე თამაზსა და მის ამხანაგებს, ბინებში ყარაულებია ჩაყენებული, წასასვლელი გზა თითქმის აღარ დარჩენიათ, შიმშილიც მოელის. გულწრფელად და ხვნეშით აღიარა სუსანამ.

— გიგო ძლიერ პატივსა სცემდა თამაზს. უყვარდა კიდევაც. რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის იმის ვაჟკაცობა და მეგობრობა. ეჰ, ნეტა რად გაიბოროტა თავი, რა რჯიდა!

— წუხილითვე სთქვა ნინამ და ფიქრობდა კიდევაც, ხომ არაფერი მოევლებოდა ამ საქმეს.

— ყაჩაღებს ზოგ შემთხვევაში ირიგებენ, მაგრამ მაგის კი არ ვიცი. განაგრძო სიტყვა სუსანამ და თვალი თვალში გაუყარა ნინას, ხომ არ იკისრებ შუამავლობას გიგოსთანო.

— შესაძლებელია, ამისათვის გიგოს ნახვაა საჭირო.

— ნეტავი ერთად შევხვედროდით და მოგველაპარაკნა.—ინატრა სუსანამ და ხვეწნა-მუდარით სავსე თვალები დაუსველდა.

— ეგეც შეიძლება. საჩქაროდ მიუგო ნინომ და მის წინანდელ სიამაყის ვალის გადახდაც აგრძნობინა.

გიგო თავისი რჩეული რაზმით წითელ წყაროსკენ იყო წასული მდევრად. ოთხი-ხუთი დღის სიარულის შემდეგ უშედეგოდ დაბრუნდენ. საღამომ სოფელ ჯ-თან ჭოასწრო მათ და რაზმი იქვე სოფლის განაპირას დააბინავა. ღამით

ბადრი მთვარე ამოვიდა. ალაზნის ველი გაანათდა. ხელის გულივით მოჩანდა შორაქანა და გალმის პირმიდგმული ტყეები, კავკასიონის გრეხილები მძლავრად იწვენ და უძრავის ძილით ეძინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზმელებმა დაიძინეს. მორიგენი ფხიზლობდენ. გიგომ რევოლვერი გაისინჯა, თეძოზე მოიგდო და დაბლობებში გამოვიდა სასეირნოდ. მისი სოფელი იქვე იყო. გიგო მთელ ღამეს არ დაბრუნებულა. რაზმელებს ეგონათ, ალბათ შინ შეიარა რაც გიგოს ეს ფიქრადაც არ მოსვლია, დადიოდა ახლომახლო მთვარეულივით, ეძებდა რაღაცას და ვერ ეპოვა, ფიქრობდა ძალზე და ვერ კი გაეგო რაზე ფიქრობდა. ნერვები ძალზე უწიოდა და კანი საშინლად ეწოდა. ხელი უნებურად რევოლვერზედ ეკიდა თუმცა იცოდა დანამდვილებით, რომ აქ უიარაღოდაც შეიძლებოდა სიარული.

გათენებისას დილის სიომ დაჰბერა. ოდნავ ეფონა გიგოს და როგორც ერთი კვირის უძილარს, ძილი მოუნდა, ჩქარობდა ჩქარა დაბრუნებულიყო რაზმთან.

პატარა ხევს რომ გადმოაბიჯა, სუსანასა და ნინას ზედ შეეფეთა ძლიერ გაუკვირდა. მისალმების შემდეგ ბექობზე დასხდენ, გარშემო ძეძვის ბუჩქნარი ჰფარავდა და მოპარვის საშიშროება არ იყო.

გიგო, თვითონ გეტყვის სუსანა რაც უნდა. მეც მინდა ეს საქმე რაც შეიძლება კარგად მოეწყოს.

— თქვას.—მიუგო ნინას გიგომ და ყურებს არ უჯერებდა.

— იცი რა შემოგითვალა თამაზმა?

— რა?

— ისა რომ ლაჩარი ხარ, დედალიო. ლეჩაქი გხურავს, ხაფანგში აბამთ ყაჩაღებს, თორემ ვაჟკაცობა არა გაქვთო. აი თუნდაც შენ, მდევარ რაზმს თავი შეაფარე.

ქალი მკვახედ ლაპარაკობდა. გიგოს გული არ მოსვლია, რადგან ამ სიმკვახეში უფრო სასოწარკვეთილება იყო, ვიდრე იმედი.

იქნება თამაზს შერიგება უნდა?

— სწორედ მაგისთვის მოვედით. დაასწრო ნინამ სუსანას.

— მაგის რაღა გითხრათ. მარტო მე არ მეკითხება და მარტო მეც რომ მეკითხებოდეს...

— თუ ასეა... (სუსანა სასწავლებლად წამოდგა. მთლად გაწითლებული ივო სიბრაზისაგან) თამაზი მართალი ყოფილა. თავი რაზმისათვის შეგიფარებია, რა ვაჰკაცობაა!

ახლა კი ძალზედ ნაკმენი აღმოჩნდა ვაჟკაცი გიგო, ნინა კი გაფითრდა, იცოდა გიგოს ამბავი, ამას არ შეარჩინდა თამაზს და ზედ შეაკვდებოდა. გაშმაგებით ეცა სუსანას, ხელი პირზე მიაფარა და მოეჭიდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

— სუსანა, გადაჭრით გეუბნები, ამაზე მეტი გზა აღარ არის: თუ თამაზს ფული აქვს, მატარებელს დაუჯდეს და თავისით გადაიკარგოს ციმბირის ან სხვაგან სადმე. კეთილი შრომით იცხოვროს და ათი წლის შემდეგ თუ ჩამოვა, ხმას აღარ გასცემენ ან იქ დარჩეს სამუშაოდ.

— არა! მერე რაღა? გაცეცხლებით წამოიძახა სუსანამ, ხელიდან აუსხლტა ნინას, რომელსაც მიწის ფერი ედო, და შეეხვეწა გიგოს, ქვეყანა წამიმეს ფრთხილადაო. ამან გასცა საიდუმლოება. გიგო მიხვდა, რომ თამაზი ქვეყანა სადღაც ბუჩქებში. პირდაპირ გასწია იქით საიდაც ქალები მიდიოდენ, და კიდეც გაუსწრო მათ. ქალები გაოგნებულები მისდევდენ უსიტყვოდ. პატარა გვერდის ბოლოზე საფარში იყო თამაზი. ქალები მოშორებით შეჩერდენ.

ერთდაიმავე დროს გავარდა ორი მაუზერი.

თამაზი დაეცა. ტყვიას მისი მარცხენა ძუძუ გაეხვრიტა. ერთიც მაუზერს მოხვედროდა ლულის დასაწყისის წახნაგთან. ვინ იცის შემთხვევით თუ მიზანში კარგად ამოღებით.

თამაზი გვამად იქცა, მისი მაუზერი კი უბრალო ლითონის ნამტვრევებად

არც გიგო გადარჩენილა. ტყვია მარცხენა ფეხში ჰქონდა მოხვედრილი.

გიგომ მკვდარს დამტვრეული მაუზერი აართვა, თან წამოიღო, ამის შემდეგ ბანდიტიზმი მალე აღმოიფხვრა და გიგომაც სამსახურს თავი გაანება, შინ ჩადგა. ვენახს უვლიდა. ეროხელ, თამაზის ანართმევ დამტვრეულ მაუზერს ლულა მოაძრო, კარგ მჭედელს მიუტანა და თავისი ხელმარჯვე ბარი დააფოლადებია. ბარი იქვე შეაგო ტარს, გაიდო და ვენახში გასწია სადაც კოლმეურნეებს მიწა გაჰქონდათ და გამოქონდათ.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჭუთათელი

ბარიერამა

ქალაქის რკინის გზის უკანასკნელ გაჩერებაზე—მაშინდელ საგუბერნიო ციხის ახლოს—ტრამვაის ვაგონიდან უცნაური ხალხი ჩამოვიდა: ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილნი და ჩვენებურ ჩოხა-ახალუხშიაც. ესენი იყვნენ: ვექილი ესტატე მაყაშვილი, ჟურნალისტი ერემო გოდებანიძე და გენადი ქადაგიშვილი, მწერალი პლატონ მოგველაძე, მხატვარი ჯუმბერ ქოვზირიძე, დოსტაქარი ევგენი მხეიძე, ევგენის ძმა—სტუდენტი კორნელი და ამათი ბიძა—ოტია და ბეგლარ მდივნები.

დღის ოთხი საათი იქნებოდა. ქალაქსა და მის ირგვლივ ალმართულ გარუჯულ მთებს უმოწყალოდ აჭერდა ზაფხულის მზე. ორთაჭალის ბაღებიდან ჭიჭინობელას აბეზარი ჭრიჭინი მოისმოდა. მტკვრის მარჯვენა ნაპირის იქით ალმართულია მთა—შავნაბადა. შავნაბადას ქვეშ მოსჩანს უფრო დაბალი კრწანისის ქედი და ველი. ამ ქედის ძირში მდებარე ბირზოევის ყოფილი მამული შიგ აგებულ სააგარაკო სასახლით, ჩოფურაშვილის დუქნამდე აღწევს.

ტფილისიდან ჩამოსული ხალხი სწორედ ამ ყარაჩოღელ, ვინმე ჩოფურაშვილის დუქანში მიდიოდა. ორთაჭალის ბაღები მაშინ გაოხრებული იყო და შიგ ცხოვრების ნიშანწყალიც კი არ ჩანდა. დარგრეული ნაგებობანი, ლობე-ყორე, ხიდეები, არხები, გზა, ხეივნები უმწეოდ გამოიყურებოდენ, ისე როგორც ყველაფერი რაც კი დემოკრატულმა ხელისუფლებამ დაუტოვა გასაბჭოებულ საქართველოს. ტალავრები ამხმარა და გაყვითლებულა. მოუვლელ და ფითრით დაობებულ ხეხილს მუმლი დახვევია. არხები დამშრალან აქაიქ დათესილ, დამჟღნარ პამადორს და ბადრიჯანს, კიტრსა და მწვანილს მაღალი ბალახი ჰფარავდა და ქვერი სჭამლა. ორთაჭალის სახელგანთქმული ბაღები, რომელსაც მტკვრის ორ ტოტ შორის მომწყვდეული, მდინარის წყლითა და სისველით განოყილი კუნძული უკავია,—უპატრონოდ იყო მაშინ მიტოვებული. ახლა აქ ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაა.

ტრამვაის უკანასკნელ გაჩერებიდან ჩოფურაშვილის დუქნამდე ერთი კილომეტრი იქნება. ტფილისიდან ჩამოსული კომპანია ქვეითად გაეშურა იქითკენ: ტფილისელები განცვიფრებული უცქერდენ ნასწავლ ხალხში გარეულ, ჩოხა-ახალუხით და ქამარ-ხანჯლით მორთულ იმერელ აზნაურს ოტია და ბეგლარ

მდივანს. ძმები ოტია და ბეგლარ ჩამოვიდენ სოფელ კარისმერეთიდან ტფილისში თავის დისწულთან ევგენი მხეიძესთან ჩამორთმეულ მამულის ნაწილის და წისქვილის დაბრუნებისათვის. ისინი დააიმედა ევგენის მეგობარმა — ესტატე მაყაშვილმა და ახლა კარგ გუნებაზე იყვნენ. ნასახლარის წისქვილს ხანისწყლის გაღმა მდებარე სოფლების მოსახლეობა აწყდება და მინდით აღებული ფქვილი დღეში სამ ფუთს მაინც დაუტოვებს ოტიას და ბეგლარს.

მაღალ გორამდე გორაკებია და ამ გორაკებზე მოთავსებულა სოფელი კარისმერეთი. გოლიათ თაიგულივით გადაშლილ ცაცხვებს შორის წმ. გიორგის პატარა ეკლესია მოსჩანს. გალავანში დაფლულია კარისმერეთის ცნობილი ფეოდალები: ოტია, ბეგლარის დედ-მამა, ხოლო ევგენისა და კორნელის პაპა-დიდედა,—დარბაისელი და ტკბილი „დედუა"—ასე ეძახდნენ შვილიშვილები დიდედას.

დოსტაქარს ევგენი მხეიძეს დიდი ხანია რაც არ ენახა ბიძია ოტია, ბეგლარი და გადასწყვიტა მათი პატივისცემა ორთაჭალაში. თანაც მეგობრები დაჰპატიჟა.

ზაფხულის მცხუნარი მზე, ქალაქში ჩამდგარი ბუღი და პაპანაქება მეტისმეტად აწუხებდა შალის ჟღალ ჩოხაში გამოწყობილ, მსუქან ოტიას. ჩრდილში შეჩერდა. ბუხრის ქუდი მოიხადა. ოფლით გაღვარული სახე, შუბლი და სქელი კისერი ბაღდადურით შეიმშრალა. მტკვარსა და ორთაჭალის ბაღებს გაჰხედა. მის გვერდით იდგნენ მისი დისწული ევგენი და კორნელი. კორნელის მოაგონდა დედულეთი—სოფელი კარისმერეთი, ხანისწყლის გაღმა მდებარე ათი ქცევა მამული „ნასახლარი", ჭალა და ყანები. ბიძია ოტიას მაშინ ალისფერი, ჯიშიანი ცხენი ჰყავდა. სახელად „ალია" ერქვა. მაშინ ოტიას წაბლისფერი, შუაზე გაყოფილი, გრძელი წვერი და არწივივით მჭრელი ჭროღა თვალები ჰქონდა. მის ხელზე ეჟვანშებმული კაპუეტი ფართხალობდა.

— შეხედე, რავა დაგმახსოვრებია?! —გაუკვირდა ოტიას და დაიწყო.—ის მიმინო ბაბომ მომიკლა. ცხენი—ალია კი წყეულმა ნოდარ წულუკიძემ მომპარა!

მიმინო—ცხენის ხსენებაზე ფეოდალურ საქართველოს მოტრფიალე პლატონ მოგველაძე საუბარში ჩაერია:

— გაგიჟებით ყეტრფი მიმინოს. კარგ კაპუეტს გიპნოზის ძალა აქვს. კამარას შეკრავს. ხოხობს ახლოს ბუჩქზე მიუჯდება. თვალსთვალში გაუყრის. მონუსხავს. ძალას გამოაცლის. გააფუჭებს და ფრინველს დაიჭერს:

— სწორია კაპუეტი გააფუჭებს!—დაუმოწმა ოტიამ. ესტატე მაყაშვილი და მისი მეგობრები საუბრით დაინტერესდნენ. პლატონ მოგველაძე 35 წლის კაცი იქნებოდა. ევროპული ტანსაცმელი ეცვა. პირი გაპარსული ჰქონდა და ულვაშები ინგლისურად შეკრეჭილი. მან უცხოეთში დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. ლიტერატურის გვარიანი მცოდნე იყო. ჩინებულ ჟურნალისტად ჰყავდათ მიჩნეული და ორატორულ ნიჭის გამო ოქროპირს ეძახდნენ.

— კარგი მიმინო გყავდათ, ბატონო ოტია?—შეეკითხა მოგველაძე ოტიას.

— შესანიშნავი! აბა, გლახას სახლში რავა დავაყენებდი?! — უპასუხა ოტიამ.

— როგორ მოგიკლეს მერე.

— ერთ საღამოს მე და ჩემი ქალი სამზარეულოს წინ, საძირკველზე ვიჯექით.—დაიწყო ოტიამ.—„რა დეემართა, ოტია, შენ ... ?“ მითხრა ჩემმა ქალმა და მართლაც ნიგვზის ძირში ნაცრისფერმა ბატმა მთვრალივით დეიწყო ბარბაცი. წეიქცა, ბიჭმა მიუსწრო და დაკლა. ამ დროს მშიერი მიმინო ეჟვნებით აივანზე თამაშობდა. ჩემმა ქალმა არ დამიჯერა და დაკლული ბატის ღვირძლი მისცა. რა მიმინო იყო, ბეჩა? ჯერ ძარში მყავდა დამწყვდეული, მერე ბნელ ოთახში—თვალი არ გოუფუჭდესთქვა. ასე ვმართავდი, ყმაწვილო, და ვწურთნიდი. რაი მერე? მისცა თუ არა ღვირძლი ჩემმა ქალმა,—არ გასულა ნახევარი საათიც და მიმინომ მოიწყინა. იმანაც მთვრალივით დეიწყო ბარბაცი. თვალები ეემღვრა, ზედ თეთრი ლიბრი გადეკრა და ჩქარჩქარა დაახამხამა. „ნახავ შენ ეს მიმინო თუ არ მომიკვდეს!?“ უთხარი მე ქალს და მართლაც, ისე აუხდა ყოველი სიავე შენს მტერს, ერთი საათის შემდეგ მიმინოს სული გავარდა, ის მელის შესაჭმელი ბატი ჭირიანი ყოფილა!—განაცხადა ოტიამ და განაგრძო—საშინლად მეწყინა. გულზე გავსივდი კაკალი კაცი, მარა ღმერთმა უშველოს იმ ჩემ მონათლულ ლავროსია კვესიტაძეს: მახით, ბადით, ხორცით, ჩიტით და წრუპუნით მთა და ველი შეაჯერა და უკეთესი მიმინო მომიყვანა.

ოტია და მისი მსმენელნი ჩოფურაშვილის დუქნისკენ გაეშურნენ. გზაზე კორნელი ოტიას შეეკითხა;

— ალია ნოდარ წულუკიძემ შოგპარა, ბიძია?

— აბა, იმ წყეულმა წულუკიძემ მომპარა.—უპასუხა ოტიამ და შეჩერდა.— ალიას ჩემს მეტი ვერავინ ვერ ეკარებოდა. ცხენის გახედნა, ცხენოსნობა აგერ ევგენის ქე ახსოვს რანაირი ვიცოდი! ალია მაშინ გოუხედნავი მყავდა და ჯოგთან ერთად გავაგზავნე იმ ზაფხულს გორა-მაღალზე საბალახოდ. ყარაბახული ულაყის სახელი განთქმული იყო ზემოთში, მას ინატროდენ ქვემოთშიც და განსაკუთრებით კი ზეკარზე საქონლის საბალახოთ გადმოსული მეჯოგე მეგრელები: კვარანცხელია, თოლორდავები. ერთხელ ის წყეული ნოდარ წულუკიძე მესტუმრა. ხუთი ძმა.კაცი ახლდა და ერთი კვირა ვაქეიფე, დედი ჩემის სული ნუ წამიწყდება. წულუკიძე მოჩხუბარი, ლეკურის იშვიათი მხმარებელი, შეძლებული ვაჟკაცი, დიდი ღვინის მსმელი, მოქეიფე და კარგი ცხენოსანი იყო. ალიას ამბავი გეიგო. მთვარიან ღამით გორა-მაღალზე ასულა. ალიასთვის მიუგნია. ხელში გრძელი თოკი მოუმარჯვებია. საგდებელი უსროლია და ალიასთვის თავზე გადაუცვია!—სთქვა ოტიამ.

მართლაც წულუკიძემ ალია საგდებელით დაიჭრა. ცხენი დაფეთდა. ყალყზე დადგა. მაგრამ ნოდარ წულუკიძემ მაგარი მკლავით მოსწია თოკი, ბაწარი დაითოკა და ულაყი მოიახლოვა. სწრაფად მოაჩტა ალისფერ ცხენს. ფაფარში ხელი ჩასჭიდა. თოკი ცხვირზე მოახვია. გაქაფულ პირში ჩაუგდო. ალია გაგიჟდა. უკანა ფეხებზე აიმართა, დატრიალდა. დაფეთებულ თვალები გაანათა, ისკუპა და ადგილიდან მოწყდა. ქარივით წავიდა, გეგონებოდათ დედამიწა ბურთივით დაგორდა და დატრიალდა მის ფეხებ ქვეშო. მწყესებმა და ქუთაისიდან წამოსულმა მეურმეებმა უამბეს ოტიას, რომ წულუკიძემ ალიას სადავე ვერ დაუჭირა, ცხენი თხრილებს და ხრამებს ახტებოდა, ხანის წყალში ნაპირიდან გადავარდა

და თქარათქურით გაირბინაო. ალიამ სოფელი ხანი, კაკას-ხიდი, ბოლოკოური და ალისმერეთი უკან ჩამოიტოვა. ბაღდათში ჩამოვიდა. ფერსათი, დიმი და როკითი გაიარა. აჯამეთის ტყეში რაშივით შევარდა, მაგრამ ვარცხნისთან დაიქანცა, გაქაფულ და ნესტოგაბერილ ულაყს ფართო ქშენა, ფრუტუნი და ხველა აუვარდა. ხავერდის ტყავში გახვეული ფოლადის კუნთები დაურბილდა, დაუსუსტდა, სქელი და მაგარი კისერი გადაუტყდა, მოეგრიხა, თავი ჩაჰქინდრა და წულუკიძეს დანებდა. წულუკიძემ სადავე დაუკავა რიონზე გავიდა და სწორი სვლა-გეზი აიღო: პატრიკეთს ჩაუარა, შუხიანი და ფარცხანაყანები, მაღლაკი და გუბი-კუხი გაიარა და შემდეგ საწულუკიძოში ჩავიდა.

— წარმომიდგენია, ბატონო ოტია, რა გუნებაზე დადგებოდით, როდესაც ალიას დაკარგვას გაიგებდით?!—შენიშნა პლატონ მოგველაძემ.

— ალიას დაკარგვა რომ გევიგე, იმისთანა შენს მტერს მე გულზე შამომეყარა! ქვეყანა შევაზანზარე. საჩივარი შევიტანე ქუთაისში. საქმე ღუბერნატორამდისაც კი მივიყვანე, მარა ალიას ვერსად ვერ მივაკვლიე. ის წყეული ნოდარ წულუკიძე ცხენის წყალზე გასულა და ალია ფრიდონ დადიანისთვის მიუყიდია სამეგრელოში. თითონ წულუკიძეს მერე კაცი შამოაკვდა ჩხუბის დროს: უფროსი ძმის ცოლზე მისი მოურავი შეისწრო, ალაგესთან დეეწია. ლეკური იშიშვლა, რეკა და კვინიხში შემოკრა. გაპობილი თავის ძვლები მეჩიდროდ დევიდა ერთმანეთზე ისე რომ ფოლადი ძლივს გამოაძრო ხრიალით. მერე ხანჯალი იძრო და საკატლეტე ხორცივით მთლათერთიანად დაკეპა და ამისთვის ციმბირში გადაასახლეს. ან კი რა გადასასახლებელი იყო თუ კი რძალზე შეისწრო იმ კაცმა ყაძახი?—დასძინა ოტიამ.

— სულმთლად დაუკეპია, მე კაცო და, გადაასახლებდენ მაშ რას უზამდნენ?!—შენიშნა გენადი ქადაგიშვილმა ოტიას.

— დაკეპავდა, ყმაწვილო აბა რას უზამდა. რძალზე რომ ვინმე შეისწრო, რას ამბობ, შიგ ხარხაში მივცემ ტყვიას! ის კი არა და ერთხელ ფერსათში კიკნაძე შემეჯიბრა ღვინის სმაში. დაჩაგვრა მომინდომა: დაცლიდა ყანწს და გადმოიგდებდა—თუ ბიჭი ხარ მომყევიო! ვიფიქრე: ვაი, ღმერთმა მამკლას მაშინ შენ თუ კისერი არ მოგტეხოთქვა! მასპინძელს დიდი ყანწი მოვთხოვე. ორი ბორჯომის ბოთლი პირწმინდათ ჩევიდა შით, დედი ჩემის სული ნუ წამიწყდება!

— ორი ბორჯომის ბოთლი როგორ დალიეთ ერთბაშად, ბატონო ოტია?

— ცოდნა უნდა, ყმაწვილო! ყანწს არ უნდა უსუნო. სული უნდა ამოითქვა და ღვინის ორთქლი და სიმაგრე ამოუშვა. ბატის ან ქათმის ფრთით და ტყემლით წეიხემსო. დავლიე და დოულოცე. შეშინდა და მიშარა, უარი განაცხადა. თავს ნუ იგდებ თვარა გაგათავებთქვა!—დოუძახე. წახდა ყაძახი: მხრები აწურა და ეიფხორა. სავსე ყანწი მივართვი. ნახევარიც არ ექნებოდა დალეული და სახეზე მიტკალივით გათეთრდა, თვალები მიეპყუტა და სლოკინი ოუვარდა. ყანწი სტოლზე დაადგო. ბირკვილზე გადახტა და ეზოში გამექცა. წამოვავლე ყანწს ხელი და გამეეკიდე. აღარ მევეშვი, ვსდიე და ვსდიე, ყმაწვილო, უკან. ისიც იყო მიმასწრო ღობესთან და ვიძვრე ხანჯალი, ქე იქნებოდა ჩემგან ერთი ორმოცი ფეხის ნაბიჯზე და ხანჯალი წვერით ვესროლე, ზე კაკალ დუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულზე მივარბენ იმ ჭირიანს და ბარძაყი სააღდგომო კვერცხივით შეულებე, დედი ჩემის სული ნუ წამიწყდება!—ესტატე მაყაშვილმა, ევგენიმ, ბატონმა და ყველამ გადიხარხარა.

— კი მაგრამ ასე ძალით ვის გაუგონია ღვინის დალევინება?!

— თეთონ რომ გამეჯიბრა და დამალევია, აბა მე ვირის მომდენი ხომ არ ვიყავი, ყმაწვილო?!

— მეგობრებო, წავიდეთ თორემ სადილი დაგვიანდა. ასე ყოველ ფეხის გადადგმაზე თუ შევჩერდით.—საღამომდე ვერ მივაღწევთ ჩოფურაშვილამდე! — სთქვა ევგენიმ და ოტიას მოაგონა:

— კი მაგრამ, ბიძია ოტია, მე მახსოვს ალია მერეც გყავდა და შენ ხელში დაბერდა კიდეც!

— ხო. ფრიდონ დადიანი ჩვენი მოკეთე, ახლობელი იყო და ალია იმავ ფასში დამიბრუნა რაც წულუკიძემ გამოართვა!

— ეს რა მოგსვლიათ ბატონო ოტია: იძულებული გაუხდიხართ გეყიდნათ საკუთარივე თქვენი ცხენი!?—უთხრა სიცილით ვექილმა ესტატე მაყაშვილმა.

— ვიყიდე. დედი ჩემის სული ნუ წამიწყდება! ვაი, დედასა, რა ოქროს თუმნიანები ჩოუთვალე იმ ჩემი ცოდვით სავსე ფრიდონ დადიანს!—უპასუხა ოტიამ.

ამ დროს ჩოფურაშვილის დუქანს მიუახლოვდენ. ბაღებით დამშვენებულ ორთაჭალის კუნძულის ბოლოში მტკვრის ორი ტოტი ერთმანეთს უერთდება და ადიდებული მიდუდუნებს მაღალნაპირიან გზატკეცილს წინ. აი, სწორედ ამ გზატკეცილის ყურში, იქ სადაც კრწანისის ქედი თავდება, გაშენებულია ყარაჩოღელი ჩოფურაშვილის ორსართულიანი დუქანი და მისი ჰაივანი ტბასავით ფართო, განიერსა და მდორეთ მიმავალ მტკვარს გადაჰყურებს. ეს მიდამო ქეიფისათვის განგებ შერჩეული სანიავო ადგილია. მტკვრის პირად მაღალი ალვის ხეები შრიალებენ. ჩოფურაშვილის დუქანი მრავალ დროების, ქეიფის, ჩხუბისა და აყალმაყალის მომსწრეა. აქ მოდიოდნენ წარჩინებულნი და მდიდარნი ამა ოფლისანი დროშკებით, ცხენებით, რომელთაც დუქნის ეზოში და თავლაში აყენებდნენ და აბამდნენ. დუქნის ქვემო სართულის თაღებიან დარბაზში გამართულია სასადილო და ბუფეტი. დარბაზის უკან პატარა ოთახია უცხო თვალისგან ფარულ დროსტარებისათვის, სადაც მოქეიფე სოვდაგარი, ჩარჩი და მემამულე თავისი ჟინის მოსაკლავად ნივთიერი სიდუხჭირის გამო სხეულით მოვაჭრე ქალებს ჰყიდულობდა, სჯიჯგნიდა, დასცინოდა და დღესაც ამ პატარა ოთახში ატეხილ როსკიპთა ტირილისა და კივილის დროს გაგონდება გაუბედურებული და გატანჯული ქრისტინე... გაგონდება წარსული! ზემო სართულზე პატარა ხის კიბით აისვლება. კიბეზე განუწყვეტლივ დარბის ჩოფურაშვილის ჰამქარი და ჰაივანზე მოქეიფე ხალხს ემსახურება. ჰაივნის უკან ორი პატარა ოთახია. ისიც ფარულ ქეიფისათვის და დროსტარებისათვის მიჩნეული. შიგ ზეწარ გადაფარებული ტახტები—ბინძურ საქმეთა სარეცელი და მწერებისაგან დასვრილი ავეჯი დგას, რომელსაც განცვიფრებით დასცქერის კედელზე დაკილულ სურათიდან სპარსულ მუზარადით, თავსრიდედგმული კრწანისის გმირი. მისი გულის დარდები ეხლა ყარაჩოღელთა ბაიათში—საიათნოვა, ეთიმ გურჯისა და სხვათა შიქასტებ მ გაისმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახლში მხარბეჭიანი, მალალი და ძარღვიანი მიკიტანი—ყარაჩოღელი ჩოფურაშვილი დგას. ღვინით და მაგარ სასმელებით სავსე ბოფლები, ჩარაზმულან თაროებზე და ზედ პატენტი და ახალგაზრდა ჩოფურაშვილი სულიერ ჭკვიანია. ახლა ტფილისის უკანასკნელ ყარაჩოღელს—ჩოფურაშვილს ულვაშებში თეთრი შეპარვია, მაგრამ წვერი მაინც ჯეელივით გაუპარსავს. მისი ხშირი და შავი წარბები ინით შელებილსა ჰგავს. ხოლო თვალები გახელებულ ყოჩისას. ჩაქებად ჩაჭრილი ყარაჩოღელთა ჩოხა გაუხდია და მარტოკა დოშლუღიანი ახალუხის ამარა დგას. გვერდზე მრუდეთ გაჭრილ საყელოს სადაფის ჩარაზმული ღილები ამკობს და ბებუთივით კრიალობს. ჯაბასავით განიერი შალვარი ჩექმის ყელზე გადმოდის და სიარულის დროს შავიზღვის ტალღასავით ჭლეღავს და ქანაობს, მუშტ-კრივში გაწრთვნილ ყარაჩოღელს დეზებიან მამალივით გაზნექილ და ავხორციან წელ ქვეშ ვერცხლის უზარმაზარი დასევადებული ქამარი არტყია ბოქვენის ძვლამდე ჩაწეული და ზედ მუშტის ოდენა ჯიღა—გობაკუნი აზის. გალიბანდის ქუდის ნაცვლად თავზე გახურებულ დაირივით გაზიდული ფართოყალმიანი რუსული ქუდი—კარტუზი ჰხურავს.

ჩოფურაშვილი ყარაჩოღელთა უკანასკვნელი ნაშიერია. დაობლებულა ამათგან და გამოცვლილა ორთაჭალაც.

ჩოფურაშვილი და ოტია მდივანი დიდხანს სინჯავდენ ერთმანეთს გაკვირვებით. ორივენი გარდასულ თაობათა უკანასკნელი ნაშიერიღა არიან. ერთი—აღმოსავლეთ საქართველოს სატახტო ქალაქისა, ხოლო მეორე კი—დასავლეთისა.

ჩოფურაშვილი ჯარასავით დატრიალდა. წარჩინებული და საპატიო სტუმრები ჰაივანზე აიყვანა.

ოტიამ მსუქან მუცელზე მოჭერილი ქამარხანჯალი გაისწორა. მტკვრიდან მონაბერმა ნიავმა შეეღალებული წვერულვაში გაუშალა. მოლუნული ცხვირის ნესტოები გაუფართოვდა. ხშირი და გრძელი წარბები წამწამამდე გადმოფენია. განსაკუთრებით სამი თმის ღერი არის ყველაზე გრძელი და წამწამამდე დაცვენილი. ოტიას წყლისფერი თვალები აქვს და ოდნავ ცისაფერს დაიკრავს. სქელ კისერზე დარაიის ახალუხის თეთრი საყელო უჭერს. ღილებს იხსნის. შუბლიდან წურწურით ჩამოსდის ოფლი და საჩვენებელ თითით იწურავს. ბაღდადურით იმშრალებს. მისი პირისახე ფართო, მსუქანი და ჯანიანია. უხვად ნაზარდი, გრძელი წვერულვაში მოკუპრულ ბაგეებთან და ნიკაპზე შეთხელებია. ბაგე ყუნწმიწყვეტილ ხაპივით და ორშიმოს პირივით მოსწრუპნია, თითქოს ღვინის სახვრეპლად არის მოწყობილიო. ვინ იცის რამდენი ფუთი ღვინო შეუხვრეპია ამ ბაგეს და აღუვსია საპალნის ოდენა მუცელი თვისი პატრონისა!? ზღვის ქაფიან ტალღასავით მოლივლივე წვერულვაშთ შორის მოთავსებული ბაგე, ხშირი წარბები და ჭროღა თვალები საშინელია სანახავად როცა მრისხანებით მოიკუპრება. ოტიას უზარმაზარი თავის გოგრა დადგმულია მორგვივით სქელ კისერზე. მელოტ თავს მხოლოდღა წინ შერჩენია ქოჩორი და კისერზე ფაფარივით დაყრილი თმა.

სუფრის გაშლის მოლოდინში ჰაივანზე ასული კომპანია ორთაჭალის ბაღებს, დუქნის წინ ტბასავით ფართო და მოდუდუნე მტკვარს გასცქეროდა. მტკვრის იქით მახათას მთა, ავლაბარი, ნავთლუღი და სოღანლუღი მოსჩანს.

მტკვრის პირად მდებარე ამწვანებული გარეუბანი სოფელსა ჰგავს. მტკვრიდან გრილი ნიავი უბერავს. დახურულ ქალაქიდან ორთაჭალის გაშლილ ბალაზე გადამდგარმან ხალვათობა იგრძნეს და სოფელი მოიგონეს.

— რა შეედრება სოფელს? ერთი გვიცქირეთ—რას ვგევართ ქალაქში მოხარშული ხალხი და მერე თქვენ თავზე დაიხედეთ! ზედვე გეტყობათ სოფლის ბარაქა, ჯანი და ჰავა!—განაცხადა პლატონ მოგველაძემ. ოტია მართლაც გამოირჩევოდა თავისი ჯანით, მარგამ მისი ძმა ბეგლარი კი იმრიგად არა. ბეგლარი ქუთაისში მსახურებდა მოხელედ და მხოლოდ რევოლუციის შემდეგ დაიწყო სოფლად ცხოვრება და მეურნეობა. მანამდე სოფელ კარისმერეთის მამულზე ფიქრი, ხარჯი და გარჯა ოტიას ჰქონდა დაკისრებული.

— ოტია დიდი მემამულე იყო. რიონის გალმა ანანოვის გარდა მთელ ზემოთში ტოლი არ ჰყავდა!—ბააცნო მეგობრებს ბიძა ევგენიმ.

— ეხ, გაფრინდა ის დრო ჩემო დისწულო! ახლა ჩემ სახლში გამოზრდილი ტურიაშვილი გახლავს ჩემი უფროსი და ბატონი. ის ჩემი ნაშრომი და ნაოფლარი ნასახლარი, სარკოია და სხვა მამული ენდელაძეს, კვესიტაძეს, მგელაძე—ტურიაშვილებს და ათას ძაღლსა და მამაძაღლს დოურიგეს. აქით ამ ტფილის-ქალაქში რომ მოვდიოდი, რიონის სადგურამდის იმ ჩემი პატარა ჯორით მოვჩიქჩიქობდი. ნასახლარს ჩულიანი ყაზახები ჭილყვავივით ესიენ, ხიცხაცობდენ, ვენახში და ყანაში მუშაობდენ, ვითამ იმგენის საკუთარი მამული ყოფილიყოს! სისხლი ტვინში ამივარდა: ვაი, ერთი ამგენის თავი დამახოციათქვა! ვინატრე, მარა რითი უნდა დახოცო? იარაღი აგვყარეს, და ახლა ხანჯლის დაკიდებაც კი მეშინია. თვარა,—იცოცხლე მე იმგენს დევიფრენდი! შიგ ხარხაში მივცემდი ტყვიას იმ ჩემ სახლში გამოზრდილ ტურიაშვილს, დედი ჩემის სული ნუ წამიწყდება!—ოტიამ ყაჩაღივით აზიდა ცალი წარბი, წვერულვაში გაეფოფრა, თვალები ბრაზიან ლომივით დაატრიალა და განაგრძო:—კინაღამ გადმოვხტი ჯორიდან. ვიფიქრე: ჩავალ ამ ჩემ ნაშრომ და ნაოფლარ მამულში, დაუცაცხანებ ამ ტილიან ენდელაძე—ჩიბურდანიძეებს და თუ გაბედეს და შემომიტიეს,—მოვაძრობ ერთ დიდ სარს, ვროფავ თავში და დავაგდებ, ვროფავ და დავაგებთქვა, დედი ჩემის სული ნუ წამიწყდება!

— იმე! ამას შეხედე შენ! რავა როფავ და დააგდებ ასე, შე კაცო? როფავ და, იმისთანას გროფავენ რომ სულ ვაი-დედას გაძახებიებენ! ჩვენ რა შეგვიძლია ახლა, როცა მთავრობა სწორედ ის ენდელაძე-ჩიბურდანიძეა, ბატონებათ წამოგვასკუპეს თავზე, თოფ-ზარბაზანი, სალდათი და მილიცია, ყველაფერი მაგათ ხელშია?!—დაარიგა ჭკუაზე უფროსი ძმა ბეგლარმა.

— ჰო და მაგენის ხელში რომ არის ყველაფერი, მეც იმიტომ ჩამოუარე თავჩაღუნული და გალურსული იმ ჩემ მამულს. ზურგი შევაქციე, სახე განზე მივიბრუნე და კისერი მგელივით გავაშეშე, ყმაწვილო, სარნაყლაპივით. ქე მაინც ჩემი თვალით არ დევინახავ ჩემივე უბედურებასთქვა!—ამოიოხრა ოტიამ და ცალი ყბით გაიღიმა.

ყველა იცინოდა, ვინაიდან თავისი უნუგეშო მდგომარეობა ოტიამ ჰუმორულ ფერებით დახატა.

— ამ დღეში თუ ჩავცვინდებოდით რავა მეგონა, თვარა ყველაფერს მივყიდ-მოვყიდიდი და ფულს შევჭამდი. ახლა იმ ჩემ ნაშრომ და ნაოფლარ მამულში გახედ-ვაც კი მეზარება. მერე რა მიყვარდა, ყმაწვილო ნასახლარი!? რა ბედსაგალე იცოდა იმ დალოცვილმა! თითო ძირ ვაზის ხეზე თითო ფუთი კრახუნა ყურძენი ჩამო-დიოდა. ვაი, დედასა!—იძახდა გულამოსკვნილი ოტია ისე, თითქოს მშობელ დე-დას დასტირისო. მისი ჩივილი დედამიწის პირიდან ძირფესვიანად ამოგდებულ კაკის ჩივილსა ჰგავდა. ნასახლარი მართლაც ჩინებული მამული იყო. ვაზის ხეე-ბი მთის კალთაზე ჯარისკაცებივით გარაზმულან. ბაღის განაპირას კენწეროებამ-დე აბელილ და მაღალ სვეტებივით დარჭობილ მუხებთან ხის პატარა სახლი იდ-გა. შიგ მდივნების ყოფილი ყმა მოხუცი გლეხი თეოდე მენჯავიძე და მისი ოჯახობა ცხოვრობდა, რომელიც ნასახლარს უვლიდა და იცავდა. სახლის გარდა მამულში მდივანთა ხულა, ბეღელი და სასიმინდე იდგა, რომელშიაც ხანისწყლის პირად მდებარე ყანების მოსავალს ინახავდნენ. ნასახლარის შემდეგ იწყება თვალუწვ-დენი აჯამეთის ტყე. მამულის თავში ტრიალ მინდორზე ასწლოვანი მუხა დგას, გოლიათი, დაგრაგნილი. მის უზარმაზარ და შორს გაწვდილ ტოტებზე ფარ-თო ფოთლები უცნაურად შრიალებენ, ხმოვანებით ზღვის შემადარნი. ამ მუ-ხის ძირას უყვარდა კორნელის წოლა ყვითელ და თეთრ ყვავილებით აფერა-დებულ მოლზე. წინ ქარვისფერ კრახუნა ყურძენს დაიყრიდა. გამაძღარი ყმა-წვილი გაჰყურებდა ლილისფრად მოწმენდილ ცას, კავკასიონის ქედებს, უდნო-ბი თოვლით აყუდებულ უშბას. ასწლოვან მუხის სტიქიონივით გოლიათსა და საკვირველ შრიალს ისმენდა და ტანში შემოქმედების შეუმცნობი ერუანტელი უვ-ლიდა. კორნელის მოაგონდა ბავშობა, საყვარელი მუხა, ნასახლარი. მამულის მცველი დიდი ნაკაზების შემოსევა.. საშინელი შიში ჭამა მაშინ კორნელიმ. გა-ფითრებული ყმაწვილი თეოდე მენჯავიძემ მიუყვანა დიდედას. ახოვანძა და მსუ-ქანმა, თავსაფარიანმა დარეჯან მდივნის ქალმა ყმაწვილს შარდი დააქცევინა, წყალი შეასვა, მერე კალთაში ჩაიწვინა, ჩიტივით აფართხალებული გული ციდით შემოუჯვარა, წრუპუნი დაიწყო და შეულოცა: „გულო ჩადი საგულესა“.. შვილი-შვილს თვალები დაუკოცნა და კაბის შიგნით დაკიდულ დიდ ჯიბიდან ტკბილის-კვერი, ჩურჩხელა, თხილი და უნაბი ამოიღო და მისცა. დიდედის ტანისა და კალთის სურნელი ახლაც ხელსახებია კორნელისათვის და იგი დედის—ტერეზას ტანის და კალთის სურნელს აგონებს.

— ეხ, სადღა ნახავ ახლა იმისთანა ქალს? პირამდე სავსე ჩაგანძურებული ოჯახი ჰქონდა! —განაცხადა ევგენიმ. კორნელიმ სხვათა გასაგონად სთქვა:

— მახსოვს დედუა დარეჯანი გამოიტანდა ხოლმე ალიონზე კოდით ერთ ბათმან სიმინდს, სამხარეულოს საძირკველზე დაჯდებოდა და კაბადაკარწახებუ-ლი დაიძახებდა: „ჯიჭი, ჯიჭი, ჯიჭიო!“ ფართო ეზოდან, სათიბიდან და მახლობელ მთიდან წამოვიდოდა უამრავი ფრინველი: ინდაური, იხვი, ქათამი... ქათამი ჯიშია-ნი, ნოგრო სანაშენო, სავსებით მოშინაურებული და ველური ტყედწასული, ხოხო-ბივით გრძელ კუდიანი, გაქსუებული, რომელსაც დიდედა იჭერდა კუდის ნაბ-ტკენს ჰკლეჯდა და აკრიახებულს შუანა თითით კვერცხს უსინჯავდა. მაგრამ სათიბიდან ბატის ურიცხვი გუნდი რომ ფრენით წამოვიდოდა, ეს მართლაც, წარმტაცი სანახაობა იყო სამხარეულოს საძირკველზე. იჯდა ფრინველებით შე-

მოჯარული დედუა დარეჯანი და გაისმოდა ყვერულის ლულუნი, ეხვის ლაღლანი, ბატის ლაღანი-სისინი, აფხორილ ინდაურის აურზაური, ქათმის კაკანი და მამლის ყივილი.. საღამო ჟამს მწყემსები მორეკავდენ ... საქონლის ნახირს და ცხვრის ფარას. „მო..ო..დი, ირემა, მო..ო..დი ირემა!“ დაუძახებდა დედუა რქა მოტეხილ ჯიშიან ძროხას და წითელი, თეთრქოჩორა ირემა მოიწველიდა ერთ კასრა რძეს.

ოტიამ და ბეგლარმა მოიგონეს დედა, ბედნიერი წარსული და სახეზე ნეტარებით სავსე ღიმილი აღარ შორდებოდათ. მოქეიფეთა ყურადღების საგანი ისინი იყვნენ.

ამ დროს ოფიციანტმა კოწია ხარაბაძემ სუფრა გაშალა და ყველანი გარს შემოუსხდნენ. სუფრაზე მწვანილი და კიტრები ეწყო. ღვინო „კარდანახი“ და თიხის ჯამებით მოტანილი „ჩანახი“ იდგა. ოტიამ ჩოხის სახელო დაიკაპიწა და კიტრი გათალა. ვექილმა ესტატე მაყაშვილმა ღვინო გაასინჯა ოტიას როგორც მემამულეს, ზემო იმერეთის მევენახეს და ღვინის შემტყობს. ოტიამ ღიმილით აიღო ხელში ტიკჭორასავით წელში გამოჭირებული სამიკიტნოს ჭიქა, ღვინო გადაკრა, გემო გაუსინჯა, სიამით გააქნია თავი და განაცხადა:

— ვაი, საყვარელო, რა ღვინოა! რა ღვინო იცის ბეჩა კახეთის ვენახმა, იმისი ძირი არ გახმა!

ოტიას არც ბეგლარი ჩამორჩა. მანაც გაუსინჯა ღვინოს გემო და ძმის სიტყვები დაადასტურა:

— ზიარებასავით ღვინოა! ჩვენებურ ღვინოს ჯობია რაღა დროისაა!

თამადათ პლატონ მოგველაძე იქნა არჩეული. ჩანახმა ჭამის მადა გაუხსნა ყველას და კარგა ხანსაც შეიყოლა. თამადაც აგვიანებდა სადღეგრძელოების დაწყებას. ვექილმა ესტატე მაყაშვილმა ველარ მოითმინა:

— თამადა, დაგვალევინე ღვინო, თორემ წყურვილით დაციხოცეთ!

თამადამ ყანწი—ჯიხვის რქა მოითხოვა, გაავსო და ასე დაიწყო:

— მეგობრებო, ფეოდალურ საქართველოს სიკვდილთან ერთად კვდება სახე ქართული რასისა. მე ვსვამ ფეოდალურ საქართველოს წარმომადგენლების ძმების—ოტია და ბეგლარის სადღეგრძელოს. შეხედეთ ოტიას წვერულვაშს. ამ ხშირ წარბებს წაშწამებამდე გადმოფენილთ, ამ წარბებიდან მაცქერალ არყის ხის ტყავისფერ უცნაურ თვალებს, ეს თვალები ატარებენ ჭაღარა წარსულისა და ჩვენი ხალხის ათასწლოვან სიბრძნეს. შეხედეთ ამ მთიდან მოფრენილ არწივის მოღუნულ ცხვირს.. არა, ქართველი ხალხი არ გადაშენდება! არ გადაშენდება მანამდე სანამ არსებობს ოტია-ბეგლარისთანა ქართველი, პური, ვენახი, ქვევრებში ღვინო, ხრიკა, ორშიმო და ათასწლოვანი სიმღერები! ეს აყალო მიწასავით წითელი, სისხლით აღსავსე და ჯანიანი კისერი დახეთქილია მუხის ქერქივით. ეგ სისხლით დაბერილი ძარღვები, ძარღვებში შემოხლართული ჯანიან მაჯაზე და მკლავზე გვაგონებს ასწლოვან მუხის ფესვებს. ოტია და ბეგლარ, ამ თქვენ ჟღალ ჩოხას ასდის დედამიწის, მაჭრის, ღვინისა და ჭაჭის სურნელი, ხოლო თქვენს ტანს და მაჯას—თორნის პურისა და გომიჯის! ოტია და ბეგლარ თქვენა ხართ საქართველოს ხატი, რასიული ჩვენი სიწმინდე. სიამაყე და მე ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს სიხარულით!—პლატონმა დასცალა ყანწი და ოტია,

ბეგლარი გადაკოცნა. დოსტაქარი ევგენი მხეიძე მოჯადოებული იყო პლატონის სიტყვით. ვექილმა ესტატე მაყაშვილმა ველარ მოითმინა და აღტაცებით დაიძახა:

— ოქროპირია ჩვენი პლატონ, ოქროპირი!

— ძალიან კი შეგვაქო, ყმაწვილო ეს მოხუცი ხალხი!—ჩაიხითხითა ოტიამ.

— ლომი ხართ ოტია, რა უყოთ რომ მოხუცდით,—მაინც ლომი ხართ ბებერი ლომი!—დაიძახა პლატონ მოგველაძემ.

— ბებერი ლომი ზედგამოჭრილი სახელია ოტიაზე!—დაუდასტურა მხატვარმა ჯუმბერ ქოვზირიძემ პლატონს და დიდ ბლოკ-ნოტში ფანქრით დაიწყო ოტიას პორტრეტის ხატვა.

— არა ვართ, ბაბა, ბებერი! იმე ამისთანა გინახავს?!—ურჩობდა ახლა ოტია და საპალნის ოდენა მისი მუცელი კვლავ ირხეოდა ხითხითით.

— ეს მაინც მისას გეიძახის! ბებერი ვართ ახლა გეიგე?!—უკბინა ისევ თავის ძმას ბეგლარმა. ოტია დიდათ ჩრდილავდა ბეგლარს თავის შეხედულებით ბეგლარი შავგვრემანი შავწვერულვაშიანი და ჩვეულებრივი, მწყობრი სახის კაცი იყო.

— დიახაც არა ხართ მოხუცი!—დაეთანხმა ოტიას პლატონი.—ჩვენთან შედარებით თქვენ მართლაც ყმაწვილები ხართ! ჩვენ კი—გადაშენებულნი! არც ძველს ვწვევივართ და არც ახალს! ჩვენ ორ თაობათა შორის ვართ გაჩხერილი და დაღალატიანებული! ეს მიჯნა სწორედ აი, ამ კრწანისის შემდეგ იქნა გაბვლებული!—ამბობდა პლატონ მოგველაძე. ისევ აღფრთოვანებით მიეგებენ ოტიას. ისმოდა: „გაუმარჯოს ბებერ ლომს!“

— რაღა ლომი ვარ, შეკაცო?!—მოიკატუნა ახლა თავი ოტიამ.—ლომი კი არა და კატადაც ველარ გამოვდგები ხომ ხედავთ როგორ გაგვაძრეს ტყავი? ბუდიდან ამოგვაგდეს და სახლკარი დაგვიქციეს-ახლა აგერ ბატონო ერემო გოდებანიძე სულ „თაო ჩემოს“ უნდა იმღეროდეს. თქვენ კი, ბატონი პლატონო, ჟურნალ-გაზეთებში მე და ბეგლარისთანა ხალხის გაჭირვებასა და სიმწარეს უნდა აგვიწერდეთ. თქვენ კი უკაცრავად, თქვენი სახელი მხატვარო?

— ჯუმბერ!

— ჰო, ჯუმბერ ბატონო, ხომ ხედავთ ქვეყნის საქმე როგორ პირშავად მიდის? ახლა ქვეყანა შავათაა საღებავი მიადექი და ღებე და ღებე, ყმაწვილო, შავათ!—ურჩია ოტიამ ჯუმბერს. სუფრაზე სიცილ-ხარხარი ატყდა.

— მარა, რათ გინდა მერე შენ? ასე თუ დახატა არაფერს არ ემგვანება.. სად არის, ხუდოჟნიკო, თქვენი სურათი?—შეეკითხა ბეგლარი ჯუმბერს. მხატვარს ოტიას სურათი გამოართვა. დაჰხედა. ეშმაკურად გაიღიმა და გესლიანათ შენიშნა:

— ეს, ჩემო ბიძია, არც ოტიაა, არც ლომი და არც მისი ჯორი!

ყველამ გადიხარხარა. ჯუმბერმა დაირცხვინა.

— ახლა ასეთი მწერლები და მხატვრები მომრავლდნენ, ბატონო ბეგლარ! ჯორი რომ უნდათ დახატონ—ჯოხი გამოსდით და თუ კაცი დახატეს—კვიცი!—განუმარტა ბეგლარს ესტატე მაყაშვილმა.

— იმე! ეს რანაირი მხატვრები და მწერლები ყოფილა, ყმაწვილო?—გაუკვირდა ოტიას და ჯუმბერი გააფრთხილა:—არა ბაბა, არა... თავი გაანებე... ნულარ შეღებავ ქვეყანას, თვარა შავად საღებავი თუ წითლად ღებე, რაღა გამეკიდა?

— ჩინებულია... მოსწრებული თქმაა! მეგობრებო, დაუკვირდით: რა სწორი აზრია ამ თქმაში!—დაიძახა ესტატე მაყაშვილმა და ჯუმბერს ისევ სიცილ-ხარხარი დააყარეს. ჯუმბერი გაგულისდა· გაფითრდა. თავი ჩაქინდრა. [illegible] ბრეშუმის უზარმაზარი შავი ჰალსტუკი საინზე დაეცა და [illegible] ამან კიდევ უფრო გააბრაზა ჯუმბერი, ვინაიდან ორ წელზე მეტია უკვე რაც მის გარდერობში ამ ერთადერთ ჰალსტუკზე მეტი ჰალსტუკი აღარ მოიპოვება.

— ლაიბციგელ პროფესორთა მიერ აჩემებული, რქის დიდრონი სათვალეებით დააცქერდა ქონისგან დაჩენილ ლაქას.

— ეხ. ჩვენ ვმასხრობთ, მარა ჩვენი საქმე მართლაც ჭანდრაკულადაა და შავათ არის საღებავი!—

ამოიოხრა ბეგლარმა.

— არა უშავს ბატონო ბეგლარ: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უხდა ვით ქვიტკირსა“-ო, ხომ გაგიგონიათ? ღმერთი მოწყალეა. საქართველოს უარესი დღეებიც გასთენებია, მაგრამ დღემდე მაინც მოაღწია და არ აღგვილა პირისაგან დედამიწისა!—დააიმედა ბეგლარი გენადი ქადაგიშვილმა.

ჩოფურაშვილის დუქნის ახლოს კრწანისის ველია. თამადამ—პლატონ მოგველაძემ მამულიშვალური სიტყვა წარმოსთქვა:

— აი, კრწანისი, სადაც გადაწყდა საქართველოს ბედი, ბედი ქართლისა ალმამადხანთან წაგებულ ომის შემდეგ. ხომ გახსოვთ ვაჟას „დანაბარები?“.

ტფილისი სპარსთა დაიპყრეს,
მიდ-მოდის სისხლის ღვარები,
ტიალ კრწანისმა მოგვშრიტა,
დროშებს დაგვიწყდა ზარები?

ბუფეტიდან მაღლა ჰაივანზე ამოსული მეარღნე—ბაბახანი ყურს უგდებდა თამადას. თამადის სიტყვა მოეწონა. კვერი დაარტყა და ოფიციანტს, იმერელს კოწია ხარაბაძეს განუცხადა:

— სწორედ იძახის აი, შე და ჩემმა მზემ!

— ნაინტერესი რამე მოლაპარაკე ყოფილა!—უპასუხა კოწიამ.

თამადამ დაამთავრა სიტყვა. სიტყვის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მწარე ფიქრებს მიეცა. სამგლოვიარო და გულისმკვლელი სიჩუმე დაარღვია ერემო გოდებანიძემ:

— მე დავდივარ საქართველოში, როგორც ბერძენი ან იტალიელი ძველი ათინისა და რომის ნანგრევთა შორის! წარსულის დიდების ხილვა წახდენილია აწმყოს შავბნელის ძალით!—სთქვა გოდებანიძემ. შინაგან ჭვრეტით ჩაძირული თვალები უეცრად გაუბრწყინდა, ტფილისის მთებს, გაჰხედა და ლექსთა წყობასავით წარმოსთქვა:—სამშობლოვ დამშეულო, ღატაკო, უთვისტომოვ, ვხედავ ვერ გიშველეთ მხდალმან და მიტომაც,—სული გაძარცული, გული გაქურდული, გესლით გალესილი მოაქვთ, შენს შვილებს და ავსა საქმეს აწ არვინ თაკილობს! გოდებანიძის მეგობრებს ტანთ გააჭროჭოლათ, ძალზე მოიწყინეს. ოტია და ბეგლარი მოკლებული იყვნენ ქართულ ერემიადის განცდას. მათი გოდება მხოლოდღა ადგილ-მამულის დაკარგვით და პირად ინტერესებით იყო გამოწვეული. უცნაური სენი სჭირდათ ერემო გოდებანიძეს ტ მის მეგობრებს: თითქოს მათი მეობა

წარსულით განისაზღვრებოდა და არ ჰქონდათ უნარი მომავლის ხილვისა. ერონელი ჩაფლული იყო მეცნიერულ მუშაობაში, სწავლობდა ფილოლოგიას. ლიტერატურითა და ხელოვნებით გატაცება იწვევდა მის შინაგან ჭვრეტას, ამხილებ-ებას, აჭკნობდა მის ახალგაზრდობას, აშორებდა ნივთიერ [illegible] ფისათვის საჭირო გზების გამონახვას. იგი საფუძვლიანად ეცნობოდა ხალხის უძველეს შემოქმედებას, ზეპირთქმულსა და მითოსს. შავწვერა და შავსათვალებიანი ჟურნალისტი—ერემო გოდებანიძე უცნაურ თვალებით გასცქეროდა მტკვრის ლურჯ გავას და მის მისტიურ თვალთა წინაშე იღვიძებდა ქართლის ცხოვრების ჭაღარა წარსული ისეთივე ხნიერი და ხანგადასული როგორც თაკარა მზით გადამწვარი და აქლემის რუხი კუზივით გარუჯული ტფილისის მთები. პლატონ მოგველაძესაც ქართლის წარსული დიდების დარდი სტანჯავდა. ვაზიანსა და სოლანლუღში სიცხის ბუღი ჩაწოლილა მორიელითა და ხრიანკლებით ავსილი. დააქვთ პლატონის ფიქრივით მოშხამული, ავზნიანი და აპრეხილი კუდი, ამ საყოველთაო სასოწარკვეთილების ფონზე გენ-დი ქადაგიშვილი გამონაკლისს წარმოადგენდა.

— მეგობრებო,—დაიწყო მან და ღია, წაბლისფერი თვალები მიაპყრო ერემო გოდებანიძეს.—ჩვენი გოდება წარსული დიდების შესახებ და პესიმისტური მოთქმა სოციალური ძვრებით არის გამოწვეული. ჩვენ გაბატონებულ წოდებისა და კლასის დაღუპვას ეროვნულ ტრაგედიათ ვასაღებთ და ამდენად ძველ, ტრადიციულ პატრიოტიზმის გზას ვაგრძელებთ. განა ფეოდალების და მემამულეების დაღუპვა ქართველი ხალხის დაღუპვა იყო? ქართველი ხალხი—მემამულეები, საზოგადოების შეძლებული ნაწილი და მის წიაღიდან გამოსული ინტელიგენცია ხომ არ არის მარტოკა? მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენს, ყური მიუგდოთ იმათაც. რა სურთ მათ და რა აწუხებთ? მარტოკა სასოწარკვეთილი ტირილი და საბოტაჟი არ გამოდგება. უმჯობესია იარაღით ხელში შეებრძოლოთ არსებულ წყობილებას. ამაში ჩვენი გამართლებაც იქნება. აბა, რად გვინდა თავი ცოცხალი? სრულიად წავალ ოღონდაც ქართლს ჰქონდეს ბარაქი, ჩემი აკვანი წელთ ფერხულში რისთვის დაირწა თუ დიად საქმის ვერ გავხდები მსხვერპლი, ზვარაკი?! ოტიამ და ბეგლარმა უკმაყოფილოდ გადახედეს ქადაგიშვილს და გაიფიქრეს: „ჩვენი მტერი ყოფილაო“.

— ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ჩვენი ხალხი ბრძოლისთვის არ გამოდგება? რომ იგი დაკნინდა და გაჩანაგდა?—შენიშნა პლატონ მოგველაძემ.

— ხალხს უხილავი ენერგია აქვს. ჩამოჭკრავს ზარი და თითქოს ჩამქრალი ენერგია უეცრად ამოხეთქავს ხალხის გულიდან!—უპასუხა ქადაგიშვილმა.

— არავითარი ენერგია!

— რატომ გგონია?

— იმიტომ რომ კარგად ვიცი თუ რა არის სიჯანსაღე და ენერგია ერისა! —უპასუხა პლატონმა და გაიმართა შემცდარი მსჯელობა გამომდინარე იმ წინაღმდეგობიდან, რომელიც სუფევს ფანტასტიურ სურვილებსა და სინამდვილეში არსებულ შესაძლებლობათა შორის.—მსოფლიო ომის წინ ბერნილის ქუჩები სამხედრო ბანაკი გეგონებოდათ. ომი გამოცხადდა. შიგ შუა ქალაქის ქუჩებზე

მიჰქროდენ ცხენოსანი ჯარები, დიდი ყალიბის ზარბაზნები, ჯავშნოსნები, ყუთები და საბარგულები გრიალით, ქალაქი დაყრუვდა. დედამიწა გაგუნებდა. რკინის ბათალიონები მიდიოდენ ბიჯებით. ირხეოდა მათი ჩაფხუტები—ფოლადის უსაზღვრო კედელი. მძიმე ინდუსტრიის და თანამედროვე ტექნიკის პირმშო—შვილი—გერმანიის გაწრთვნილი არმია მოვიდა მოძრაობაში, როგორც ცოცხალი ორგანიზმი და გულში იჭრებოდა თავზარდამცემი შიში. ამის შემხედვარემ—ამერიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გამოიტირა მაშინ ჩვენი პლანეტა და მასზედ შექმნილი ადამიანთა კულტურა.

— ეხ, ჩემო კარგო, ორმოცი წელი ემზადა გერმანიის საზოგადოებრივი აზრი, არმია, სკოლა, მეცნიერება და მრეწველობა ომისათვის, ჩვენ კი სოციალისტობა და კოსმოპოლიტობა დავიჩემეთ!—შენიშნა პლატონს,გერმანიის კულტურით, სამხედრო ძლიერებით მოჯადოებულმა და მისმა თაყვანისმცემელმა ვეჭილმა—ესტატე მაყაშვილმა. გერმანია დამარცხდა მსოფლიო ომში, მაგრამ ვეჭილს ეს გარემოება არ სჯეროდა და საბოლოო იმედს მაინც გერმანიაზე ამყარებდა, მაშინ როდესაც საქართველო გასაბჭოებული იყო და საბჭოთა კავშირს დედამიწის ერთი მეექვსედი ეპყრა.

ამრიგად ჩოფურაშვილის რესტორანის ჰაიანზე ქეიფობდნენ რევოლუციიდან გარიყული, სასოწარკვეთილების გზაზე მდგარი ეროვნულ პარტიების წევრები—ქართველი ინტელიგენტები და იმერეთის ყოფილი მემამულენი—ოტია და ბეგლარ მდივნები.

ერემო გოდებანიძემ კვლავ თავისი საგოდებელი ჰანგები დაიწყო—„თავო ჩემო“—ოტიამ ველარ მოითმინა და საყვედური მოახსენა ევგენის და კორნელის:

— ჩემო ბიძია, საქეიფოთ მომიყვანეთ ამ ჩოფურაშვილია თუ ვანცხა ეშმაკთან, თუ სატირლად? რაცხა ორი დღის წუთისოფელი დამჩენია, ნუ გეშინია ტირილს კი მევესწრებით ბოლშევიკების ხელში! გამხიარულდით, ბოშო! რა დაგემართათ?

ვაი, იმდენი თქვენ იცოცხლეთ, რამდენიც მე თქვენ ხნობაზე ამ თფილისქალაქში ქეიფი და დროსტარება მახსოვდეს!

ბეგლარმა თავის გრძელ წვერულვაშში ჩაიცინა და ოტიას სიტყვა წაართვა:

— მე შენ გეტყვი და ადგილმამული ან ქონება არ გვიწყობდა ხელს!? ჩამოვიდოდით თფილისში ერისთვებთან, წერეთლებთან და აქაურ თავადებთან—ვაჩნაძე, მაყაშვილებთან ერთად. ვქეიფობდით ამ ორთაჭალის ბაღებში. მერე დევერევოდით ლამაზ გოგოებს!

— ეს რა მესმის, ბატონო ბეგლარ?—დაიძახა ესტატე მაყაშვილმა.

— ოტია, ბეგლარ, თქვენ კისლავოდსკშიც ხართ ნამყოფი, არა?—შეეკითხა ევგენი ბიძას.

— იცოცხლე მე კისლავოდსკაშიც დრო მიტარებია!—უპასუხა დისწულს ოტიამ და მოჰყვა;

— ერთხელ იმერული შავი ჩოხა ჩევიცვი. ჩემ ძმაკაცებს—გიორგი ერისთავს; სვიმონ წერეთელს, ნოდარ მიქელაძეს. აქვსენტი ფალავას გოუარე და

ყველა ეროად გამოჩისტული, ჩასირმულ ჩოხით, აბრეშუმის თეთრი ახალუხით, წულა-მესტებით და იარაღით შვადღეზე პარკში გევედით. რუსის ქალებს გაგიქებით მოვწონდით, პავილიონში კაზაჩი პოლკის დუხოვოი მუსიკის ბრიწინ—ბრიწინი ისმოდა, ქალები და მამაკაცები ყავას სვამდენ. ერთი ფაკადი ბილის ქალი—ტატიანა კონსტანტინოვნა, გვარი დამავიწყდა—შესანიშნავი ქალი იყო, კავალრები ბუზებივით ესეოდენ და ბიჭის ხელით ჩინებული ბუკეთი გოუგზავნე. ფული წინა ღამით მევიგე კარტში და ბლომათ მქონდა. ტატიანა კონსტანტინოვნამ დამინახა, გამიცინა და თავი დამიკრა. „Какие, красивие, прелестные грузинские князья!"-ო უთხრა მან მის გვერდში მჯდომ ლორივით ჩასუქებულ ინჟინერს, რომელიც ტატიანას ეარშიყებოდა, ენჟინერს გული მოუვიდა, რადგანაც ჩვენ ჩავჩრდილეთ და ჩემს გასაგონად უპასუხა; Ах, если бы вы только знали , Татьяна Константиновна, какие ани все глупые!"-ო. სასალი ამივარდა, ყმაწვილო, ტვინში და შევძახე: „Инжинер, подите сюда!" აკანკალებული და ზეზეულად გათავებული ინჟინერი წამოდგა და შორიახლოს გამიჩერდა. მივვარდი, ხანჯალი ვიშიშვლე და დავაღირე:

„Станте на колени и извинитесь, а-то зарежу!—თქვა გავაფრთხილე. წახდა ყაძახი, იკადრა და დეიჩოქა. სიმინდის ფოჩვივით გადაგრეხილი ქერა ულაშში ვტაცე მარცხენა ხელი და ცალი ულაში სამართებელივით გაქანქალებული ხანჯლით ძირში მივასრიპნე, მთლათერთიანათ მოვპარსე, დედი ჩემის სული ნუ წამიწყდნბა! მერე ქალთან მივედი, წინ მაგიდაზე დოუდევი და უთხარი; „Татьяна Констатиновна, примите от меня вподарок усы вашего не достоиного кавалераі" ქალმა გაიღიმა და მიპასუხა: „Благодарю вас, Князь!" მთელი ხალხი უყურებდა, იმ მამაძაღლ ინჟინერს თავი მოეჭრა და იმ ღამითვე გეიპარა კისლავოცკიდან, მოსკოვისკენ გაუვა მატარებელს და ტატიანა კონსტანტინოვნა მე დამრჩა. „ვაი, საყვარელო რა დრო იყო! რა ცხოვრება გაგვიფრინდა ხელიდან!

— ძალიან კარგი ჩაგიდენიათ, ბატონო ოტია, იმ დოყლაპია ინჟინერისთვის ულვაში რომ გაგიპარსავთ. თქვენი მარჯვენა იკურთხოს!—მოიწონა ოტიას საქციელი აღტაცებულმა პლატონ მოგველაძემ და შეეკითხა:—კარგი ქალი იყო, ბატონო, ის ტატიანა ქონსტანტინოვნაა თუ ვილაც?

— იმე, რანაირი მერე არ იკითბავ? ახლაც სნაკვათ მაქვს, ყმაწვილო, გულში!—უპასუხა ოტიამ და მკერდი ჩაიმჯიღა,

— თანაც რა დიდებული ხანჯლის ხმარება გცოდნიათ, ბატონო ოტია?!—შენიშნა პლატონმა.

— რომ გითხრათ, ყმაწვილო, არ დამიჯერებთ და რა გამევიდა! მამი ჩემის—არჩილისეული ხანჯლით ლეკურიანი გამიფუჭებია, ქვეიდან ოუკრავდი და ლეკურს ხელიდან გაგვაგდებიებდი, ო, რა ფოლადი იყო, ბეჩა?!—სთქვა ოტიამ და ისევ მოიგონა:

— ერთხელ ვარციხეში მარიობა დღეს ჩხუბი ამიტეხეს ერთი ყიფიანის ქალის ოაობაზე და მთელი სოფელი დამესია. რიონამდის მსდიეს, ყმაწვილო, სულ უკანასკნელი ერთი ორასი კაცი მაინც იქნებოდა. რიონთან რიყის ქვები მოხიკეს, და კოხივით დამაყარეს, ძაგრამ გავაშიშვლე ის ჩემი მამის—არჩილის-

ეული ხანჯალი და ტყვიასავით წამოსულ ქვებს შევახვედრე. ყველა ხანჯლის პირზე დევირტყი და ევიცდინე, დევირტყი და ევიცდინე, დადი ჩემის სული ნუ წამიწყდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგლარმა ოტიას გადახედა და ეშმაკურად გაიღიმა.

ესტატე მაყვშვილმა გაიკვირა და წამოიძახა:

— ხანჯლის ხმარებაც ასეთი უნდა!

— აბა ხანჯალი ყველას კი არ უნდა ერტყას წელზე. ხანჯლისა და ხმლის ხმარებას თავისი წესები აქვს, ბევრს ალა-ალა ჰგონია! საქართველოში ხლმისა და ხანჯლის გარშემო მთელი რიტუალებია შექმნილი!—უპასუხა პლატონ მოგველაძემ.

მეარღნე ბაბახანმა გაიცინა, ოფიციანტი კოწია ხარაბაძე გაიხმო და უთხრა:

— ო, რა ზორბა ტყუილი აჭამა იმ თქვენმა ტრაბახა იმერელმა თავადმა ამ საცოდავ ლევანდა—არიფიანებს!? ერთი უცქირე: დაიჯერეს კიდეც ამ ჩემმალალებმა!

კოწია ხარაბაძემ ეშმაკურად ჩაიცინა, მეარღნეს თვალი უყო და წასჩურჩულა:

— დაიცა, ნახე ერთი მეც როგორ ვაჭამო!—უპასუხა მეარღნეს კოწია ხარაბაძემ და მოქეიფეთა სუფრასთან მივიდა

— კომპანიას გაუმარჯოს! ბოდიში, ერთი სიტყვის ნებას თუ მომცემთ?

— რატომაც არა!

— თქვენი სახელი, მგონი ოტია უნდა იყოს, არა ბატონო?—შეეკითხა ოტიას ხარაბაძე.

— დიახ!—უპასუხა ოტიამ.

— ლეკურის და ხანჯლის ხმარებაზე მინდა მოგახსენოთ!

— ბრძანეთ!

— თქვენი სახელის მოზიარე, სეხნია ოტია ჩიქოვანი თუ გაგეგონებათ, ბატონო ოტია?

— როგორ არა!

— დიდი ვაჟკაცი იყო და ლეკურის ზორბა ხმარება იცოდა. ერთხელ ქუთაისში, თეთრ ხიდეზე თავისი ძმის ალექსი ჩიქოვანის მკვლელი ყარამან ხიდირბეგიშვილი შეხვედრია.

— ყარამანი არ გამიგონია! ვინ იყო, ბიჭო, ყარამან ხიდირბეგაშვილი?

— ისიც დიდი შეძლებული ვაჟკაცი ყოფილა, ჩემო ბატონო.

— მერე?

— ქეიფში ჩხუბი მოსვლიათ და იმ ყარამან ხიდირბეგიშვილს ოტია ჩიქოვანის ძმა—ალექსი მოუკლავს, ოტიამ ათი წელიწადი ეძია ძმის მკვლელი. სისხლის აღება უნდოდა და ერთ დღეს ქუთაისში, თეთრ ხიდეზე შეეფეთა.

— მეიცა ბიჭო, მგონი ეს ამბავი უნდა ვიცოდე! —შენიშნა ოტიამ.

— ოტია ჩიქოვანმა სასწაული რამე ხმარება იცოდა ლეკურის. ვერავინ ვერ მოასწრო შეხედვა, ისე ცქვიტათ და თვალის ერთ დახამხამებაში იშიშვლა ლეკური, მოუქნია და სწყვიტა ყარამან ხიდირბეგიშვილს კისერში. ისე სუფთათ

გაატარა კისერში ლეკური, რომ ტანზე შერჩენილმა ყარამან ხიდირბეგიშვილის თავმა კიდე მოასწრო დაძახება: „რას მერჩოდი, ოტია“-ო, მერე დაირწა და თეთრ ხიდიდან რიონში გადავარდა.

— იმე! ეს არ გამიგონია. როდის მომხდარა, ბიჭო, ეს ამბავი? — გაუკვირდა ოტია მდივანს. დანარჩენებმა კამათი გამართეს: შესძლებდა თუ არა ყარამან ხიდირბეგიშვილის გადაჭრილი თავი თეთრ ხიდიდან რიონში გადავარდნის წინ ოტია ჩიქოვანისათვის დაძახებას: „რას მერჩოდი ოტია?-ო“. მიუხედავათ იმისა, რომ ანატომიის და ფიზიოლოგიის კარგი მცოდნე დოსტაქარი ევგენი მხეიძე უარყოფდა ასეთ შესაძლებლობას და სიცილით უსაყვედურებდა ოფიციანტს კოწია ხარაბაძეს—„როგორც იყიდე ისე მოგყიდე, არა?“-ო ოტია მაინც დარწმუნებით გაიძახოდა:

— რავა არა, ყმაწვილო?! უეჭველად მოასწრებდა დაძახებას!

— კი ბატონო, ნამდვილად მოასწრო. ამის ტყვილი არ შეიძლება! — უმოწმებდა კოწია ხარაბაძე.

მეარღანე — ბაბახანი განზე მიდგა. წინსაფარი ასწია. ვითომ სახეს იმშრალებდა. ნამდვილად კი სიცილს მალავდა და თავის გულში ხითხითებდა:

— ვა, ამ ჩვენმა კოწიამაც რა მაზალო რამე ტყვილი აჭამა?!

თამადამ ახალი სადღერგძელო წარმოსთქვა. ღვინო გადაჭკრეს. შეზარხოშდნენ. სუფრაზე სიცილი, ხმამაღალი ლაპარაკი გაჩაღდა და ქეიფიც თანდათან წამოვიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ოფიციანტმა კოწია ხარაბაძემ მოხარშული თევზი—ცოცხალი მოიტანა. ცოცხალის დანახვისას ოტიას თვალები გაუბრწყინდა და სიხარულით წამოიძახა:

— თუ დამპაიჯეთ, ბარეღამ მასვით, ყმაწვილო, ეს კახური ღვინო და მაჭამეთ ეს ცოცხალი! — მოხარშულ პატარა თევზს კუდში ხელი წაავლო და თავით ხახისკენ გადაუძახა.

— ო, ხო, ხო, ხო, შენისა, რა ცოცხალია?! — ჩაახრამუნა თევზი ოტიამ და კოწიას შეეკითხა:

— სად იჭირავთ, ბიჭო, ამ თევზს?

— ესეც არის აგერ ამოვიყვანე მტკვრიდან, ჩემო ბატონო! ფაცერი გვაქვს დაგებული! — უპასუხა კოწიამ.

— ძვირფასი თევზია. მარა ჩვენი ხანისწყლის თევზთან და კალმახებთან ვერა შენ, ვერ მოგართვეს, მაინც ვერ მივა! რა თევზი იცის იმ დალოცვილმა ხანისწყალმა! — სთქა ოტიამ და მოჰყვა:

— ერთხელ ალიაზე ვიჯექი ნასახლართან, ბუჩქიდან კურდღელი გამოხტა და წევარი მიუტია.

— ბროლია? — შეეკითხა კორნელი.

— გახსოვს, კორნელი, ბროლია? იშვიათი წევარი იყო, ყმაწვილო. თოვლივით თეთრი და აკანჭალებული, ქე იქნებოდა ერთი მთავარი მოზვერის სიმაღლე, დედი ჩემი სული ნუ წამიწყდება! ისარივით ყურდაცქვეტილმა კურდღელმა მთისკენ მოჰკურცხლა. შენც არ მომიკვდე: წარბიც ვერ შეარხევია წევარმა! ბოლოს ბროლია მიუახლოვდა და მთის ძირში, როგორც იქნა, ისარი-

ვით მაღლა აზიდული მარცხენა ყური დაბლა დააწურია კურდღელს. ბარა ფერდოზე ბროლიას ძალა გამოელია და კურდღელი ისე დაიკარგა თვალიდან, რომ მარჯვენა ყური არ იქნა და არა, შენც არ მომიკვდე, ისე შერჩა თავზე შუბივით დარჭობილი. ჰო რა თვალის სეირი იყო! სწორედ ამ დროს მამა ჩემმა-არჩილმა შემომძახა: არიქა ოტია, მიხედე, ბოშო რა დეემართა იმ ქალს?! თვალი მოვკარი: დედა ჩემი ხანის-წყალთან ხრამში გადავარდა. ალია გავაქანე, და რა ვნახე არ იკითხავთ?

— რა დეემართა ნეტავი?

— ცხონებულ დედა ჩემს თავისი საშინაო ჩითის კაბა დაუკარწახებია და ხანის წყლის ნაპირზე მოზღვავებულ თევზისათვის მიუშვერია. თევზი მდინარიდან ნაპირზე ცვივოდა, წყლიდან სადაფისფერ ტანს ისროდა, ხტოდა, დედა ჩემს სახეზე ეხეთქებოდა, ბალახში ფართხალობდა და ყირამალა გადადიოდა. ერთი არშინის ხელა ბოლოწითელა ცხონებულს თავზე გადაახტა, დედა ოდნავ შეჰკივლებდა, ხარხარებდა და წყლისკენ მიშვერილი მისი კალთა სავსე იყო თევზით. მივეშველეთ და იმ დღეს ოცი ფუთი თევზი დევიჭირეთ, ფარდულიანი ურემით ავზიდეთ სახლში, იმ ჩემი დედის სული ნუ წამიწყდება!

— ეხ, ჩვენო ტკილო დედუა! რა ნათლად მიდგას თვალ წინ შენი ჭკვიანი, სანთო, ლამაზი, ფართო სახე და სიცილ როხროხი?! იგი წარმოსადგენი, ჯანიანი, გამრჯე, შეოჯახე, დინჯი და თანაც ნასწავლი ქალი იყო. სოლომონ მეფის სარდლის როსტომ წერეთლის შთამომავალი. როდესაც ბაბუა ჩემს არჩილ მდივანს დიდედა ჩემი დარეჯან წერეთლის ქალი შეურთავს,—მაყრიონს სამასი ცხენოსანი გამოჰყოლია ზოვრეთიდან!—განაცხადა კორნელიმ დედისგან გაგონილი.

— რისი სამასი?!—გაუსწორა დისწულს ბიძია ოტიამ.—ხუთასი ცხენოსანი ყოფილა! სულ რჩეული თავადაზნაურები: ერისთვები, წერეთლები, აბაშიძეები, მდივნები, ყიფიანი, ჟღენტი, კიკნაძეები და სხვ. წინ კოხტად მოფარდაგულ და ქალის უნაგრით შეკაზმულ ბედაურს ჩიხტიკოპით და თეთრი ლეჩაქით მორთული, ცამეტი წლის მზეთუნახავი და თამარ მეფესავით ლამაზი ასული მოაქროლებდა, უკან მზითვებით დატვირთული ქარავანი მოჰყვებოდა.

— ნუთუ ცამეტი წლის ქალი გაათხოვეს?—გაუკვირდა ვეჭილს ესტატე მაყაშვილს.

— ცამეტი წლის ყოფილა, იმ ცხონებული დედი ჩემის სულს გეფიცები!—უპასუხა ოტიამ და საბუთიც მოიყვანა.—დედა ჩემი სულ ბოვში ქალი ყოფილა. მამა ჩემისგან გამიგონია: ქორწილის შემდეგ ზოვრეთიდან კარისმერეთში გამდელი გამოყვა და თავის გაზრდილისთვის ბოვშის სათაამოები, ტიკინა, დედოფალა წამოიღოო!

— მახსოვს, ჩიხტიკოპით მორთული დაჯდებოდა დიდედა დარეჯანი მოფარდაგულ ტახტზე და ნელის ღიღინით იტყოდა ხოლმე ზეპირად შოთა რუსთველის „ვეფხვის ტყაოსანს“—„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი...“—მოიგონა კორნელიმ.

ამ დროს კოწია ხარაბაძემ ისევ ცოცხალი მოიტანა. დოსტაქარმა ევგენი მხეიძემ იცოდა, რომ ცოცხალი ყველაზე უფრო საყვარელი კერძი იყო ბიძია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტია და ბეგლარისთვის და ხარჯს აღარ ერიდებოდა. ბეგლარმა ჭიქა აიღო და იმერელ მოსამსახურეს—კოწია ხარაბაძეს გადასცა:

— შენი სახელი?

— კოწია, ბატონო!

— დაგვლოცე ერთი კოწია! აგაშენა ღმერთმა: ნამეტანი კაი თევზი მოგვიტანე! რა მშვენიერი თევზი ცოდნია, ხედ·ვ ამ მტკვარს!? რიონის თევზს ჯობია! თუ მესტუმრე კარისმერეთში,—პატივისცემა ჩემზე იყოს, სულ ხანისწყლის კალმახებს გაჭმევ!

ჯიხაშელმა კოწია ხარაბაძემ ქერა და ხარაბუზასავით გრძელი ულვაშები გაისწორა. ბეგლარს ჭიკა გამოართვა, მოთეთრო, მარღი და კატასავით ანთებული თვალები დაატრიალა. მარცხენა თვალის ნახევარი სისხლივით გასწითლებოდა. ტუჩებს მელასავით აცმაცურებდა. იმერელი ხარაბაძე სუსტი აგებულობის, ტანმორჩილი, ფხაჭო და კაფანდარა კაცი იყო. გულის ფიცარი ჩავარდნილი ჰქონდა. სატინის შავ ხალათზე ზარნიშებით გაწყობილი ქამარი ერტყა. საცეკვავად ალესილ და „გაწკენტილ“ ფეხზე „აზიაცკები“ ეცვა და ლეკურის თამაშის დროს მიმინოს ნისკარტივით წვრილ ფეხისწვერებზე დგებოდა და საოცარ სიჩქარით „უწვინატებდა“. კოწიას გაეცინა, ღვინის დალევაზე უარი განაცხადა და ჭიქა ისევ მაგიდაზე დადგა.

— დალიე, ბიძია, ვიცი შენი სული ამაშია!—უთხრა ბეგლარმა.

— არ ვსვამ. ანაგებ მეზარება რაცხა ღვინო, ჩემო ბატონო!—უპასუხა კოწიამ და მეარღანეს—ბაბახანს თვალი უყო. ოტიამ შენიშნა და შესძახა:

— ვის ატყუებ, შე ღვთის გლახა? დალიე, მალე ქენი, თუ არა, თავს წაგაგდებიებ, დედი ჩემის სული ნუ წამიწყდება!—ოტიამ ხანჯალზე წაივლო ხელი. კოწიამ უკან დაიხია და კრეჭა დაიწყო.

— რავა ოჩხამურის ტურასავით კრიჭავ, ბიჭო, კბილებს?!—გაეხუმრა ოტია და სასმისი გადასცა. კოწია ხარაბაძემ სტუმრები დალოცა და ღვინო გადაჭკრა. გამხდარი კისრის ძარღვები თოკივით დაეჭიმა. სახეზე წამოწითლდა. ოტიამ გვერდით მოისვა და წასჩურჩულა:

— კოწია, ჩვენებური სიმღერა თუ იცი რამე?

— კი ბატონო, პირველს თუ ვინმე იტყვის, მეორეს მოვახერხებ რავაცხა იქნება!

— პირველი ჩემზე იყოს. ბანს ბეგლარი შემოგვაწევს. ეგენი ნასწავლი ხალხია, ჩვენი სიღერები და ასავალდასავალი რა იციან!

— რომ გაგვცინოსკენ?

— ოღონდ შენ მომყევი და მაგის ჯავრი ნუ გაქვს!

— როგორ გეკადრებათ?!—წამოიძახა თამადამ.

კოწიამ გაიღიმა და თავი მოიფხანა.

სიმღერის დაწყების წინ ოტია კოწიას მიაჩერდა. წარბები შესტეხა. ჭროღა თვალები ეშმაკურად შეათამაშა. კოწიამ იგრძნო. მოინუსხა. გასწორდა. მოემზადა. ოტია თითქოს გამოცდას უკეთებსო: ჯერ კრინით დაუწყო:

— ვადღერგძელოთ ფაა..ტიი..აა!

ბეგლარმა და მისმა დისწულმა ევგენი მხეიძემ უპასუხეს:

— ჰე.. ჰე.. ჰეა.. ვაჰე.. ვარალალო.. ალალო!

კოწია ხარაბაძე დაიგრიხა, დაიმანჭა, ოტიას მიმინოსავით შეება თვალში და მეორე ჩინებულად უთხრა. ბეგლარმა ავსილ გოდორივით [illegible] ბანი. დანარჩენებიც შველოდენ. მიუხედავად სიბერისა, ოტია [illegible] ახლაც განთქმული მომღერლები იყვნენ.

— უიმე, უიმე, რა ყოფილა ეს ჩვენი კოწია ხარაბაძე? ამან თუ ამისთანა მეორე მითხრა, სიმღერას რანაირსაც გინდა იმისთანას გავჩარხავ!—წამოიძახა ოტიამ. კოწიამ მელასავით ქვეშქვეშ ღიმილით ჩაჰქინდა თავი. „Отявленный имеретин!"—გაიფიქრა მხატვარმა ჯუმბერმა. ყველანი დიდის ყურადღებით უცქერდნენ მომღერალთ. ოტიამ მუხლი ჰკრა კოწია ხარაბაძეს, აბრეშუმივით ნაზი, სუფთა, გრძელი და ჭაღარა წვერი ცალი ხელით დაიკავა. ტყის კაცივით ხშირი და გრძელთმიანი წარბი ისევ შესტეხა. არყის ხის ტყავისფერი, უცნაური თვალები მეტის ცეცხლით და ხალისით დაანთო, კოწიას გაუსწორა, მონუსხა, თავითავს მიადო და ენის კლიტემდე აღებულ ხახით ისივლა და მიაკივლა:

— ბუ..ე..ე..ბი..ი..ა..ა..ა!

ეს იყო შეძახილი, საკვირველი მიმართვა. თამადამ, კორნელიმ და ყველა დანარჩენებმაც ნათლად დაინახეს თევზით გამაძღარ მოხუცის—ოტია მდივნის ენა ნალექითა და თეთრი ყლარტით დაფარული. შუაზე გაზნექილი ენა ისე ედო ხახაში თითქოს ბულბული უსტვენსო, ხოლო თვალები ნეტარებისგან გაენაბა. კოწია ხარაბაძე ისევ წელში დაიგრიხა, დაიმანჭა, ერთგულ ბეკა-ძაღლივით მიენდო და მიეტმასნა ოტიას. ოტიას შეკივლების შემდეგ მოღიმარ სახით დაიწყეს ხმადაბალი ღიღინი:

— ჩაა..რიი..რაა..მა!

ქართული ხალხური სიმღერები მეტად მდიდარი, თავისებური, უცნაური და მრავალნაირია. ჩვენი ხალხური მუსიკა ჯერკიდევ სათანადოთ არ არის შესწავლილი, იგი დაუშრეტელ ნედლ მასალას წარმოადგენს, და ელის თავის ნიჭიერ გადამმუშავებელს, შთაგონებულ კომპოზიტორს დიდებულ მუსიკალურ ნაწარმოების შექმნისათვის, რომელიც არა ნაკლებ საპატიო ადგილს დაიკავებს მსოფლიო კულტურის სალაროში, ვიდრე ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში არსებული შოთა რუსთაველის გენიალური პოემა—„ვეფხვის ტყაოსანი". არის სიმღერები საშრომო. მაგალითად: „ნადური", შრომის დროს წარმოებულ შესანიშნავ რიტმებით. სიმღერები ცეკვათამაშისთვის მიჩნეული: „ცახგალა და გოგონა", სადაც მყივანსა და ხოროს შორის გაბართულ საუბარში—დიალოგში მოთხრობილია ამბავი ქმრისა და მისი ლამაზი ქალის შესახებ. სიმღერები მასიურ ცეკვათამაშისათვის: „ფერხული", რომელშიაც ცნაურდება უძველეს დროინდელი აგრარული და კოსმოლოგიური შინაარსი. ნელი და დინჯი რხევა—როკვა თანდათან ძლიერდება და გადადის ცეცხლოვან, ეგსტაზურ რიტმში. ლაშქრული: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ".. და სხვა, სადაც ხელსახები ხდება გმირული განწყობილება, მისწრაფება, მკლავში დაძაგრულ მხედართა და ლაგამის პირის მჭამელ ულაყთა სვლა.. სიმღერები საქორწინო „მაყრული". გარდა საშრომო, აგრარულ, ცეკვა-თამაშისათვის მიჩნეულ საქორწინო და ლაშქრულ-მხედრულისა არის კიდევ სიმღერები ლოცვისთვის მიჩნეული. სიმღერები სადაც ნათ-

ლად ჩანს ჩვენი ქვეყნის მითიურ-ზღაპრული, რელიგიური წარმოდგენები. სიმღერები, რომელშიაც ცნაურდება ბუნების სილამაზე, სიდიადე და გრანდიოზობა. მაგალითად: სვანური „ლილე". ამ სიმღერაში მოცემულია, ოთხფეს-საგალობელივით, მისტიური განცვიფრება შეუმცნობ ბუნების, მაღალ, ჯანიან და გოლიათ მთათა წინაშე. ზემოთ აღნიშნული სიმღერა „ჩარირამა" სულ სხვა დარგის სიმღერებს უნდა მივაკუთნოთ, სახელდობრ: საოხუნჯო, დროსტარებისთვის გამიზნულთ. ეს წმინდა იმერული ყალიბის სიმღერები წარმოიშვა ალბად ბატონთათვის გასართობად, მთავართა და წარჩინებულთა კარზე. ასეთი სიმღერები ბევრია. ავიღოთ მაგალითად საოხუნჯო სიმღერა; 1) „დელიოდელა", 2) „წამოკრული ღიღინი". 3) „ვახტანგული", 4) „თვალი შავი, წარბი ლესა" და სხვა. ასეთი სიმღერების ხასიათი რომ გასაგები გახდეს საჭიროდ მიგვაჩნია უფრო, დაწვრილებით ავწეროთ ოტია, კოწია და ბეგლარის მიერ „ჩარირამას" შესრულება.

ყოველი ფრაზა ოტიასა და კოწიას მიერ თქმული იყო თავისებური, თეატრალური იერით, მეტყველებით და სახისცვლით, რომელშიაც ისმოდა ოხუნჯობა, დაცინვა, ლაზღანდარული განწყობილება და უსაქმურ კაცთა თავისშექცევა:

— ოთხმოცი წლის ბებია,

რად არ გათხოვდებია? (რა გაათხოვებს?)

ლაზღანდარული განწყობილება და დაცინვა ძლიერდება:

— ჩიხტიკოპი დაიხურე,—

შენაც დაგშვენდებია...

ოტია მდივნის და კოწია ხარაბაძის სახეს სიმღერის დროს ღიმილი არ მოშორებია, მაგრამ უმალვე სერიოზული ხაზიც დაეტყო. თითქოს მომღერალნი დარწმუნდნენ იმაში, რომ ჩიხტიკოპით დამშვენებული ბებია მათ წინაშე დგას და შემდეგი ფრაზა:

— ჩარირამა, ჩემო ბებია,—ოტიამ და კოწიამ მთელის ტანის რხევით და სათანადო მეტყველებით წარმოსთქვეს, ისინი წარბაზიდულნი უცქერდნენ ერთმანეთს და მსახიობივით გაემართად დიალოგი, შეჯიბრება ოხუნჯობაში. ბებიას ურჩევენ შელამაზებას, ფერუმარილის წასმას და გათხოვებას. დაცინვა აღწევს უკიდურესობას. (ასეთი დაცინვა მხოლოდ იმერელს თუ შეუძლია.) განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ოტიას ამონაკვნესი:

— ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო,

ჩემო ახლოს მეზობელო..

ოტიამ ოდნავ ღიმილით განაბა თვალები. სამი თითი პირჯვრის სახვის დროს რომ იციან ისე შეაკავშირა, ტუჩებთან საკოცნელად მიიტანა,—თითქოს არ ჰქონდა გზახსნილი ოთხმოცი წლის ბებიის სიყვარულით დამწვარ-დადაგულს და ამოიოხრა:

— უი, შენ რომ ცეცხლი მომიკიდე...

სიმღერა დაასრულეს. ღვინით შეზარხოშებულმა ოტიამ გადიხარხარა.

— ჩინებული პირველი გქონიათ, ბატონო ოტია!—დაიძახა პლატონ მოგველაძემ.

— კიდევ დიდებულად რეკავს, ბიძია შენი ხმა!—უთხრა ევგენიმ.

— ლომი ხართ, ოტია, ლომი! რა ეყოთ რომ მოხუცდით,—ბაინც ლომი ხართ, ბებერი ლომი!—გაიმეორა ისევ პლატონმა.

— რამ დამაბერა, ყმაწვილო?—ჩაიხითხითა ოტიამ და [illegible] ულს—დოსტაქარს ევგენი მხეიძეს მიმართა:—გული მე არ მტკივა, [illegible] [illegible] [illegible]. კუჭი სად მაბია კი არ ვიცი! მე მგონია აგერ მაქვს, ყმაწვილო!—სთქვა ოტიამ და მარჯვენა ხელის მუშტი მარცხენა მხარეზე დაიკრა. ბეგლარმა ჩაუნისკარტა!

— ნუ ტრაბახობ ბიძია! ბებერი ვართ, აბა, რომ არაფერი საცოლშვილო ქოჩორა ბიჭი მყავხარ, ახლა გეიგე?!

ოტიამ ყური არ ათხოვა ძმის სიტყვებს და ისევ გაეხუმრა თავის დისწულს—ევგენის:

— შენ ოლონდ ეს კახური ღვინო მასვი და ეს ცოცხალი მაჭამე და პირველს იმისთანას ვიტყვი, რომ შენგან მოწონებულს. სულ ვისივლებ და ვისივლებ. ნემსის ყურში გავაძვრენ..

— იმე! ასე თუ გასვეს და გაჭამეს, კაი შენ კი: ისივლებ და გააძვრენ, შენ ნუ მომიკვდები!—დასცინა ბეგლარმა უფროს ძმას:

— ბიჭო, ვისივლებ და ვიმღერებ; აბა რას ვიზამ? ხომ ხედავ: თუ რამე გაგვაჩდა და გვებადა, ეს ჩვენი ნაშრომი და ნაოფლარი ყველაფერი ჩამოგვართვეს?!—უპასუხა ოტიამ ბეგლარს და მერე საჩვენებელი თითი ასწია და ევგენის უთხრა:—ასე გაგვხადეს, ყმაწვილო, თითივით!

ბეგლარი ჩაფიქრდა, თავი ჩაჰკიდა, ოტიას აჰხედა და სერიოზულად, დინჯად განუცხადა:

— თუ დააკვირდები, ბიძია, ახლა ჩვენ მართლაც თავს უნდა ვიკლავდეთ!

ოტიამ ქადაგიშვილს გადახედა, შემდეგ ახალგაზრდებს—კორნელის და მხატვარ ჯუმბერსაც და ბეგლარს ასე უპასუხა:

— ამგენს ქე უნდა ჩვენი სიკვდილი, მარა ჯინიზა არ მევიკლავ თავს!

— რატომ უნდა მოიკლათ თავი? თქვენი შრომით და ფულით შეძენილი მამული რომ ჩამოერთმიათ კიდევ ჰო..—დაანუგეშა გენადი ქადაგიშვილმა.

— იმე! ამას კი არ ჯერა, უყურებ?! ჩემი შრომით, ოფლით და ფულით იყო შეძენილი ბაბა, აბა ისე ვინ მომცემდა?

— მამა თქვენი!—უპასუხა გენადიმ.

— მამამაც შრომით, ჯაფით და ჯახირით შეიძინა. მერე მე უმატე და უმატე. სხვა რომ ასე თქვენსავით ქეიფობდა და ადგილმამულს ყიდიდა, მე მაშინ მიწაში ოფლს ვაქცევდი, ვჯახირობდი, ფულს ვაგროვებდი და მიწას ვყიდულობდი!

— აბა, ბიძია, მაგას ვინ დაგიჯერებს? შენი შრომა და ჯახირი კაცს არ უნახავს, სახალისოდ თუ გასხლავდი და დამყნიდი ვაზს!—ამხილა ევგენიმ ბიძა და მოაგონდა ისევ დედულეთი—სოფელი კარისმერეთი.

ამ დროს ჰაივანზე ახალგაზრდათა მხიარული კომპანია შემოლაგდა. ჰაივნის მეორე თავში დაიკავეს სუფრა და დასხდნენ. შეზარხოშდნენ და ხმამაღალი ლაპარაკი დაიწყეს. კორნელი ტ ჯუმბერ კარგად იცნობდნენ მათ. ერთ მათგანს—პოეტს რაფაელ ქანდარელს მკერდზე წითელი ყვავილი ჰქონდა მიბნეული. რაფაელ ქანდარელის მეგობრებმა ლექსები წაიკითხეს, მაგრამ მათი ლექსები უფრო შეეფერებოდა დიდი ქალაქების კაფე-კაბარეებს, დეკადენტურად განწყო-

ბილ პირთა სალონებს და არა ყარაჩოღელ ჩოფურაშვილის დუქნის ჰაივანს. მწერლებმა ჯუმბერი მაგიდაზე მიიწვიეს და ხელიდან ბლოკნოტი გამოსტაცეს. ბლოკნოტში დახატულ პორტრეტის ქვეშ წარწერილი იყო: „ბებერი ლომი. ორთაჭალა. ჩოფურაშვილის დუქანი“. რაფაელ ქანდარელმა მხატვარ ჯუმბერს წარწერა დაუწუნა და ასეთი წარწერა ურჩია: „იმერელი ორთაჭალაში.“ მეორე პოეტმა სანდრო ორთაჭალელმა გაოცება გამოსთქვა:—სად ორთაჭალა და სად იმერელი?!“ ჯუმბერმა იწყინა და თავის წილ რაფაელს უკბინა:

— ასე თუ ვიტყვით, მაშ სად ორთაჭალა, ჩოფურაშვილი და თქვენი ლექსები? ან კიდევ: სად მეგრელი რაფია ქანთარია და სად რაფაელი?

ჩოფურაშვილმა და მეარღნემ — ბაბახანმა მწუხარედ ჩაიქნიეს თავი, თითქოს ამბობდნენ: —აფსუს, აფსუსო!

კორნელიმ ყური მოჰკრა მწერალთა სუფრაზე გამართულ პაექრობას და ხელი ჩაიქნია. სწამდა რომ ესთეთიურის თუ სხვა რაიმე მოვლენის გაგება მასავით არც ერთ მათგანს არ ძალუძდა. პოეტმა სანდრო ორთაჭალელმა თავისი ძმაკაცი ჩოფურაშვილი და მეარღანე—ბაბახანი მიიწვია, ღვინო მიაწოდა და სიტყვა წარმოსთქვა:

— დაობლებულა და გამოცვლილა ორთაჭალა. ჩოფრაშვილი და მეარღნე ბაბახანი ყარაჩოღელთა უკანასკნელი ნაშიერი არიან. ორთაჭალა! სადღაა ახლა, მეგობრებო, მტკვრის ორ მკლავთა შუა მომწყვდეული ტალავრითა და ხეხილით სავსე ბაღი—კუნძული. მეთევზე ლოპიანას ვერცხლის ქამარი და მისი წითელი ხელსახოცი, ჩინარის ჩრდილ ქვეშ მოქეიფე ყარაჩოელღი, ძველი მოქალაქე, კინტო, მისი დარდიმანდული ლხინი და ჯამით ტოლუმბაშობა, ხოშიანად როძ შეექცეოდა წიწმატს, კიტრსა და მოთალს, გვერდზე რომ მოისვამდა რაღაც გამოუთქმელ ნაღველითა და ხურუშით ქანცმილეულ, ნიამორის თვალებით მაცქერალ აზიის კახპას, რომელიც ასე წარმტაცად დაგვიხატა ჩვენმა სახელგანთქმულმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა?!

ჩოფურაშვილმა დასევადებული ქამრის გობაკუნი გაისწორა, თავი ჩაჰკიდა და სევდიანად ამოიოხრა: აფსუს, აფსუსო! ოტიამ ისევ „ჩარირამა“ წამოიწყო და კოწია ხარაბაძეს მიაკივლა: „ბე..ბიი..აა!“

— აბითურებენ ორთაჭალას!—დაიძახა ორთაჭალელმა და ბაბახანს ჰაივანზე არღანი მოატანინა:

მოქეიფეთა სუფრაზე იგივ მწვანილი და კიტრი ეწყო. ღვინო „კარდანახი“ და თიხის ჯამებით მოტანილი „ჩანახი“ იდგა. ულვაშის ოდენა ხალიანი, შავი, გრუზა და ტლუ მეარღანე—ბაბახანი ზარებით, ფოჩებით და შიშველ ქალთა სურათებით მორთულ არღანს ატრიალებდა. არღანს ყვითელი და ყავისფერი ვარდებით ამოჩითული, გადაბდღიალებული, ბაღდადურის მსგავსი ჯუბა ემოსა. არღნის სამოსელის ფერები ეხამებოდა არღნით შესრულებულ „ჩობანისა“ და აღმოსავლურ მუსიკის ჰანგთა წყობას. ოთახების კარებზე გახუნებული, ყვითელ-წითელი არშიებიანი ფარდა ჰკიდია და ასე გგონია ამ ფარდებს ესეც არის გადასწევენ კისკისით როსკიპი ქალები, რომელთა წინდებზე პეპლების პეპლაობაა ახატულიო. კედლებს ბაღში მსხდომ ბანოვანთა და სპარსულ ტან-

საცმელით მორთულ კრწანისის გმირის—ერეკლე მეფის და სხვათა ხურათები ამკობენ ფიროსმანის ფუნჯის შავი და თეთრი ფერებით დახატული.

დაღამდა. მტკვრის გაღმა ნავთლუღის სადგურზე სანთურები აენთო, მთვარისა და სნაპირო ფარნების შუქი ანათებდა მტკვარს [illegible] ტალღათა დუდუნი იყო ეხლა უფრო ხმიერი. ერემო გოდებანიძემ სევდიანათ წამოიწყო დუნე სიმღერა:

„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!?

ახალი დროების მიერ გარიყული ინტელიგენტები და ყოფილი მემამულენი ვერა სცნობდნენ მტკვრის ტალღათა ჩივილისა და ბუტბუტის შინაარს. აზრადაც არ მოსვლიათ, რომ სულ მალე ჩვენი ქვეყნის ახალ ბატონ პატრონის მიერ ელდენად ქცეული მდინარის ტალღათა ძალა ჩირაღდნებად დაენთებოდა ქალაქში, შეანათებდა გარეუბნებში, ორთაჭალაში და ყარაჩოღელ ჩოფურაშვილის დუქანშიაც, ხელის გულივით გამოაჩენდა მის ფარულ და ჩაბნელებულ ოთახებში ჩადენილ უმზგავსოებას. ჩოფურაშვილსა და მის სტუმრებს აზრადაც არ მოსვლიათ მაშინ, რომ ამ სალოთო და საროსკიპო დუქანში დღეს თუ აგრო-ტექნიკუმის მოწაფეებისათვის საერთო საცხოვრებელი გაიმართებოდა. ამრთლაც მრავალ დროების მოწამე ხარ შენ მტკვარო!

*
* *

ჩოფურაშვილმა ვერ მოიშალა თვისი ხელობა: თავის დუქნის ახლოს ისევ პატარა დუქანი დაიქირავა, ისევ თევზითა და ღვინით ვაჭრობდა, მაგრამ ტფილისის ახალმა ჭირისუფალმა ისიც ჩამოართვა და ბინადაკარგულ ძაღლივით მოხეტიალემ, გალოთებულმა ყარაჩოღელმა ორთაჭალის ერთ დანგრეულ ღობეყორესთან დალია სული. ახალ დროებიდან გარიყული ინტელიგენტების დიდი ნაწილი შეურიგდა ახალ ქვეყანას და მისდა საკეთილდღეოდ მუშათა კლასთან მხარში ამომდგარი მუშაობს, ხოლო ზოგიერთებმა ახალ დროების წინააღმდეგ ბრძოლაში წააგეს თავი.

ღრმად მოხუცებული ოტია და ბეგლარი წელში მოხრილი და ყავარჯენზე დაყრდნობილი, დახეულ და ჩამოკინკულ ჩოხით მიხოხავენ კარისმერეთის აღმართითა და ორღობეებით თავის გაცივებულ და ჩამქრალ კერიისკენ. ოტია და ბეგლარი დამთვრალან ვიღაც ბობოლა გლეხის სახლში და ძლივსღა მიღოღავენ მოხუც აზნაურ კიკნაძესთანერთად ორღობეებით. ისევ თავის საყვარელ და ამოჩემებულ „ჩარირამას“ იმღერიან, მაგრამ, ოტიას პირველს და ბეგლარის ბანსაც ხრინწი შეპარვია. ახლა ოტია ნემსის ყურში კი არა და სოფლის ორღობეშიაც ველარ აძვრენს თავის პირველ და ძლივსღა აწვდენს მეზობლებს, რომელთაც სრულიად არ აცინებთ ოთხმოცი წლის ბებიაზე გამოთქმული საოხუნჯო სიმღერა, ვინაიდან, მათის აზრით, იგი ზედგამოჭრილი და შესაფერია ახლა მოხუც ოტიასთვის. მეზობელი გლეხები დასცინიან ოტიას და ღობეზე მომდგარნი მის გასაგონად გასძახიან:

— ჩარირამა, ოტია! შემოსძახე, ოტია!

ასე ერთობიან გლეხები, რომლებიც ოდესღაც თითონვე იმღეროდენ და თხზავდნენ მდივნებსა და მათებრ წარჩინებულთა კარზე „ჩარირამას“ თავის ბატონების გასართობად. მართლაც მრავალ დროების მოწამეა ეს ფანჯარა!

— ჩარირამა, ოტია! შემოსძახე ოტია—გაისმის ორღობეში სოფლელების ყიჟინა და სიცილ-ხარხარი. ოტია ბრაზდება, ატოვებს სიმღერას, იგინება და სწყევლის ახალ დროებას, ვინაიდან არც მისი ღვიძლი დისწული—დოსტაქაოი ევგენი მხეიძე და არც ვექილი ესტატე მაყაშვილი და არც ერთი კაკალი კაცი აღარ აძლევს ახლა ჩამორთმეულ მამულისა და წისქვილების დაბრუნების იმედს. მისი ადგილ-მამულიცა და წისქვილებიც სოფელ კარისმერეთის კოლმეურნეობის ხელში გადასულა.

• • •

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერცელ გააზოვი

ფეთზაინი*

რომანი

ნაწილი მესამე:

„მათხოვარი“

3

პუშკინისა და მუხრანის ქუჩის კუთხეში—მეორე სართული ეკავა აზიურ საჩაიეს, რომელიც დღეღამის განმავლობაში სავსე იყო ერთნაირი, სტანდარტული ტიპის ხალხით. მათი ჩაცმულობის უმთავრესი დამახასიათებელი იყო: სერთუკის მსგავსი შავი, ღილებიანი არხალუხი და ჩასუქებულ ღიპზე—ვერცხლის ქამარი. გარეგნულად: გრძელი ულვაშები და გაწითლებული, ხაშხაშა ლოყები. ჩოველ მაგიდას უსხდა ორი თუ სამი კაცი. მაგიდაზე წინ ედოთ დიდი, თეთრი ჩაის ჭურჭელი, რომლიდანაც უხვად იბნეოდა ოთახში ადუღებული წყლის ორთქლი. ჩაისთან დასაყოლებლად—მიღებული იყო თეთრი პურის ლავაში. ჭიქები ივსებოდა ხშირად, ლავაში იგრიხებოდა ჩვეულებრივად, ხმამაღალი ლაპარაკი გრძელდებოდა საათობით და ამგვარად ჩაი—ხანდახან სადილის როლსაც ასრულებდა.

ნათანისა და ცების შესვლა—საჩაიეს მუდმივ კლიენტების თვალსაზრისით ერთგვარი დისონანსი იყო. ახალგაზდები უხერხულობას ჰგრძნობდენ, გაუბედავი ნაბიჯებით მიემართებოდენ თავისუფალი მაგიდისაკენ და აქეთ იქით დაბნევით იცქირებოდენ—ვიდრე არ გაჩნდა მათ მაგიდაზეც თეთრი ჩაის ჭურჭელი და ლავაშები.

ისინი საჩაიეს ესტუმრენ შემთხვევით. ასევე შემთხვევით ესტუმრებოდენ ხოლმე სადმე კუთხეში ან მივიწყებულ განაპირა მდებარე ადგილას—რომელიმე იაფფასიან რესტორანს, რომ როგორმე მომჭირნეობა გაეტარებინათ თავიანთ მცირე საარსებო ბიუჯეტში.

დალიეს რამოდენიმე ჭიქა და ბუნებრივად ჩაიმ შესცვალა სადილი.

მიზანი მიღწეული იყო: არც ჭშიოდათ და არც დიდი ფული დაეხარჯათ.

საერთო ატმოსფერა მათაც გადაედოთ. წამოდგომა დაეზარათ. თან იყო კიდევ ერთი მიზეზი: აქ იყო ორთქლი, სითბო, გარედ კი—თოვლი, სიცივე.

ცები ამჩნევდა, რომ ნათანი ლაპარაკობდა უხალისოდ, ნაწყვეტებით, ცალკე სიტყვებით. გადასწყვიტა: როგორმე მისი განწყობილების შეცვლა.

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № № 1-2, 4, 5, 6-7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცებიმ დაიწყო—ავგუსტინათი.

— იცი ნათან, რა რიგ მოსწონხარ ავგუსტინას?

— მართლა?—იკითხა ნათანმა მეტად გულგრილად.

ერთხანს მისმა გულგრილობამ ცები დაამუნჯა. გაოცებით ეცქირა მეგობარს თვალებში, თითქოს ეკითხებოდა: „რას ეშმაკობ, ნათან?“

პაუზა აუტანელი იყო და ცებიმ ისევ განაგრძო:

— უყვარდე ვიღაცას—ეს არის მთელი ბედნიერება. ავგუსტინას უყვარხარ, მაშასადამე შენ ბედნიერი ხარ.

— გაცვეთილი სილოგიზმია, ჩემო ცები.

— მაინც რისთვის?

— ოსიპსაც უყვარს ავგუსტინა. მაშ ავგუსტინაც ბედნიერია?

— მერე შენ ოსიპის მეტოქეობის გეშინია?—გადიხარხარა ცებიმ.

ნათანი ოდნავ შეიჭმუხნა, მაგრამ მაინც დინჯათ უპასუხა:

— მე არავისაც არ ვეტოქები. ავგუსტინა მე არ მაინტერესებს.

— ძნელი დასაჯერებელია, ნათან.

— როგორც გსურდეს, ჩემო ცები. მე არ დავდევ ყოველ კაბას. მე ახალგაზდა ვარ, მაგრამ მე უკვე მაქვს საინტერესო რომანი.

გაოცებულმა ცებიმ პირი დააღო.

— მერე რისთვის გაჩუმებულხარ ამდენ ხანს?

— იყო სხვა და სხვა მიზეზები.

— მაინც?

— მე ვუზიარებ ჩემს მეგობრებს მხოლოდ სასიამოვნო ამბებს. უსიამოვნო მოვლენებს კი საკუთარ გულში ვიკლავ.

— იმას არ უყვარხარ?

— აქ უფრო რთული ამბავია. მოდი ცები, ამაზე სხვა დროს.

ცებიმ იცოდა ნათანის ხასიათი და არჩია გაჩუმება.

შემდეგში მათი ლაპარაკი წარიმართა—საერთო ამხანაგური ჯგუფის ირგვლივ.

— ჯგუფი არ მაკმაყოფილებს—ამბობდა ნათანი.

— არც მე.

— უნდა გადახალისდეს..

— უნდა.

— აი მაგალითად, ვიმსჯელოთ სათითაოდ—ყოველ მათგანზე.

— დავიწყოთ ზებულონიდან.

— ზებულონი უთუოდ დასაფასებელი ამხანაგია, მასში ბევრი კარგია და დადებითი, მაგრამ მასთან მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. მას ვერ დააჯერებ, ვერ დაარწმუნებ. გაშოეკიდება წვრილმალს და დაივიწყებს უმთავრესს. წაგეჩხუბება ერთი წერტილისათვის, სამაგიეროდ გაანადგურებს მთელ წიგნს.

— აბიშაი?

— აბიშაი—მეტისმეტად კონსერვატორია და გარდა ამისა საშინელი მლიქვნელია. იგი არაა დაბადებული ბრძოლებისათვის.

— როგორი სწორია შენი დიაგნოზი, ნათან. განაგრძე. რას იტყვი სიმონზე? თუმცა უკვე ვიცი.

— სიმონმა არ იცის რა უნდა და ვის ებრძვის. უპრინციპოა.

— ოსიპი?

— დამანებე თავი ოსიპით. ჩვენ ხომ სერიოზულად ვმსჯელობთ.

— სერიოზულად ვმსჯელობთ, მაგრამ ოსიპიც ხომ ჩვენს წრეშია?

— ოსიპი გადაულოცოთ ავგუსტინას. შემდეგ იონა...

— ჰო, რას იტყვი იონას შესახებ?

— „იცით რას გეტყვით"—გააჯავრა ნათანმა იონას ჩვეულ ფრაზას და თვითონვე უპასუხა:—ვერაფერს.

მეგობრებმა გაიცინეს.

— ვიღა დარჩა? არიელი—მოაგონდა ცების.

— არარაობა. ასე, კოელეთ[1]-ივით ახასიათებს იგი სხვებს და თავის თავსაც. ჩემი აზრით საკუთარი თავის შეფასებაში იგი არ ცდება.

— მოდი და ჩემო ნათან, ამის შემდეგ იფიქრე გადახალისებაზე! ესეც შენი ჯგუფი. ამოიწურა. ვიღა უნდა გადაახალისო?

— მართალია ცები, ძალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ასეთია დასკვნა.

— გამოსავალი?

— გამოსავალი...მე უკვე დავიბენი და აღარ ვიცი რა ვიფიქრო.

— იარაღს ხომ არ ჰყრი, ნათან?

— არა, ეს მე არ მჩვევია.

— მაშ?

— ვიფიქროთ. ვეძიოთ. ვეცადოთ.

როცა გარეთ გამოვიდენ, ცებიმ გაიფიქრა, რომ მისი მეგობრის უკანასკნელი წინადადება უფრო სულიერ დაცემულობას გამოჰხატავდა, ვიდრე იმედის რაიმე ნასახს. ცები ეძებდა ნათანის პირადი და საერთო მიზეზების ერთმანეთთან დაკავშირებას—რამაც მისი აზრით გამოსცვალა მისი მეგობარი, მაგრამ ამაოდ: ცებიმ არ იცოდა პირადის დეტალები.

ნათანი მიდიოდა დაღვრემილი, სერიოზული, ჰიუკარებელი.

და უცბად: წასკდა სიცილი.

გვიან მიხვდა ცები მიზეზს:

სომხის ბაზარზე მიდიოდენ ერთად—ხელიხელ გაყრილნი—ოსიპი და ავგუსტინა.

● ● ●

ძველი ტფილისი დღითი დღე იცვლის სახეს.

ამ წელიწადებში სომხის ბაზარი—მეტად ვიწრო ქუჩა იყო. მაიდნისაკენ ტრამვაი არ იყო—და იმ ადგილას სადაც დღეს გაშენებულია ბაღი—გადიოდა კიდევ ერთი უფრო ვიწრო ქუჩა—იერუსალიმის ქუჩის სახელწოდებით.

---

[1] კოელეთ-ეკლეზიასტი.

ქუჩა იყო სავსე დუქნებით, ვაჭრებით, წვრილი მოვაჭრეებით, მაკლერებით, სხვა და სხვა ჯურის გადამყიდველებით და ათასგვარი საექვო პირებით.

ქუჩის ცენტრი იყო—მის მახლობლად, პატარა ეზოში მოთავსებული ე. წ. „გორელიშვილების ქარვასლა“, რომელშიაც იყო დადგმული მანუფაქტურით მოვაჭრეთა ბუდკები. ამ ეზოს უწოდებდენ „შავ ბირჟასაც“ — ეს იყო მართლაც შავი ბირჟა მთელი თავის ატრიბუტებით: ვალიუტით, ტყუილით, არშინის ტრიალით, ყვირილით, ექსპლოატაციით.

თაროები სავსე იყო მანუფაქტურით, მაგრამ აქ სწარმოებდა არა მარტო მანუფაქტურის, არამედ ყოველნაირი სახის ვაჭრობა.

ყეზრა შათაშვილი ზომავდა და ჰკეცავდა, ისტუმრებდა მუშტრებს და ახლებს ეძახდა. და ყოველ მყიდველისათვის მზად ჰქონდა ერთნაირი მარაგი სიტყვებისა და მტკიცებისა, რომელიც ყოველთვის იწყებდა დაახლოვებით ერთი და იგივე ასეთი ფრაზით:

— იცი, ბიძია ეს რა საქონელია?

და მისთვის დამახასიათებელი მსჯელობით, ათასნაირი წინააღმდეგობათა შემცველი დებულებებით იგი „უმტკიცებდა“ თავის მუშტარს, რომ მისი საქონელი პირველხარისხოვან ფაბრიკებში იქსოვებოდა. ძალიან ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, რომ შემთხვევით გამვლელი, რომელსაც აზრადაც კი არ ჰქონია რამეს ყიდვა, ყურს უგდებდა ყეზრა შათაშვილს, ვიდრე არ მობეზრდებოდა ეს დაუსრულებელი აბდაუბდა და რაღაცას „გაუსაღებდა“

ყეზრა შათაშვილი ჩვეულებრივად არ ჰღალატობდა თავის თავს, აგრძელებდა თავის საქმეს და ცალი თვალით უმზერდა მის ახლო, უსაქმოდ მდგომ დანიელ თაფლიაშვილს. ყეზრა ზომავდა, ჰკეცავდა, სჭრიდა, მაგრამ მოხუცთან გამოლაპარაკების სურვილი მაინც არ ასვენებდა. თავში უღიტინებდა ცნობის მოყვარეობის ნერვი და უნდოდა შეეტყო, თუ რა ხასიათზე იყო მოხუცი.

— საქონელი არ გინდა, ძია დანიელ?

— ნისიად?

— ჯერ ჩემი სიმამრის ვალი გადიხადე განა?

— როგორც ისაა შენი სიმამრი, ისე მე რამე მმართებს მისი.

— სუდი გაარჩევს მაგას.

— სუდმა უკვე გაარჩია.

— ჯერ ვერხოვნის არ დაუმტკიცებია.

— ვერხოვნიმაც დაამტკიცა და პროკურორმაც.

— ასე გამოდის, კასაცია შენ მოუგე ჩემს სიმამრს.

— გამოდის კი არა და...სასამართლოს დადგენილება ჯიბეში მაქვს.

— ჩემი სიმამრი სასამართოლზე მაღლა წავა.

— გზა მშვიდობისა. საცა უნდა წავიდეს. მადლობა ღმერთს, ისრაელის შვილებშიაც გამოჩდენ ახალგაზდები, რომლებმაც კანონი იციან. საბჭოთა ხელისუფლება ჩემს მხარეზე ყოფილა. აწი, აღარ მეშინია.

— ასე გასწავლა მათხოვარმა?

— შენი საცოლე იმ მათხოვარს მიჰყვება—თავის მხრით არც დანიელმა დააკლო და დაუკვირდა ყეზრას, რომელმაც გადაჰყლაპა ამ ფრაზის სიმწვავე.

— ზოგიც ჩემს სიმამრს ჰკითხონ.

დანიელმა ვეღარ მოითმინა და გაიცინა:

— შე კაი კაცო, იმას თუ გაჰყვა, სადაური შენი სიმამრი იქნება?

ყეზრამ მოიყურა, თითქოს არაფერი გაუგონია და პასუხის ნაცვლად თვით შეეკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეხლა რას აპირობ?

— მალე დაღამდება და სალოცავად წავალ.

— მე საქმეზე გეკითხები. ეს ხომ გაკოტრდი, კრედიტი დაგეკეტა, საქონელს აღარავინ მოგცემს, მათხოვარი თითონ კვდება შიმშილით. იტყვი: აკადოშ ბარუხ-უ? [1] ის არაფერს გაიმეტებს შენთვის. შე უბედურო, ჩემს სიმამრს რო ჩხუბი დაუწყე, რაზე არ იფიქრე, რომ იმის მოჩხუბარი ულუკმაპუროდ დარჩება? რას იზამ აწი? აბა მითხარი!

დანიელმა როგორღაც ყეზრასთვის მოულოდნელი უცნაურობით უპასუხა:

— საბჭოთა ხელისუფლება უპატრონებს ღარიბ ისრაელს.

ყეზრამ თვალები გამოაცეცა:

— ეს სულ იმ გადარჯულებული ათანელიშვილის ოინებია. თუმცა მართალია სალოცავად მიდიხარ, მაგრამ ვინც საბჭოთა ხელისუფლებაზე ამყარებს იმედს—ის სულ ერთია მაინც გადარჯულებულად ითვლება. თუმცა მართალია, ღმერთს ვალის არ გადამხდელი არ უყვარს...

მობეზრდა დანიელასაც. ხელები ჩაიწყო უკან ქამარში და ნელი ნაბიჯით. და მკრთალი იმედით გამოვიდა ქარვასლიდან, რომ ჩვეულებრივად წასულიყო ღმერთთან სალოცავად და სამდურავად.

ხოლო ყეზრა შათაშვილს ერთი წუთი დრო არ დაუკარგავს, შეამჩნია ქარვასლაში შემოსული ქალ ვაჟი და თავისებური ბოხი ხმით, ჟესტიკულიაციით და ხელების კომენტარიით მიიპატიჟა თავისკენ:

— პაჟალუსტა. პაჟალუსტა. იცით, ბიძია, ეს რა საქონელია?

და ერთხელ კიდევ განმეორდა ყეზრას გაზეპირებული ქადაგი.

საქონლის ჩათვალიერების შემდეგ ქალი შეეკითხა ვაჟს:

— მოგწონს ეს ფერი, ოსიპ?

— შენ თუ მოგწონს, მეც მომწონს. ასე არა, ავგუსტინა?

ყეზრას დასახელებული ფასი ძვირი მოეჩვენათ და ის იყო უკან დაბრუნებას აპირობდენ, რომ ყეზრას ერთმა საკითხმა სულ სხვა გვარად შეაბრუნა მათი შემდგომი ლაპარაკი და ურთიერთი დამოკიდებულება, რამაც გამოიწვია ყეზრას მხრით საოცარი დათმობა.

— მოიცა ჯანი, რას მირბიხარ? რაღაც მეცნობები, თუმცა არ მინავხიხარ სადაური ხარ?

— ქუთაისელი ვარ. მომავალი ინჟენერი ოსიპ ოსიპის ძე ხანანაშვილი, ეხლა კი სტუდენტი. ეს კიდევ ჩემი საცოლეა—ავგუსტინა როზენფელდი. აშქენაზია. [2]

---

[1] აკადოშ-ბარუხ-უ—სიტყვა სიტყვით: „წმინდა—იყოს კურთხეული". იგულისხმება ღმერთი.

[2] აშქენაზი—რუსის ებრაელი.

— ბიჭო, ისრაელი ყოფილხარ!

— გიყვარდეს... აბა, რა გეგონა შენ, წვერი რომ გავიპარსე, ამიტომ ქრისტიანი გავხდი?

— კაი დაგემართოს. გავიცნოთ ერთმანეთი. მე სტუდენტი ვარ, მაგრამ თითქმის მეც განათლებული ვარ. მე—ცხინვალელების ლოცვის მთავარი გაბაი ვარ—ყეზრა შათაშვილი.

და თავის მუშტრებს მაგრად ჩამოართვა ხელი.

ყეზრას სულ დაავიწყდა თავის საქონელი, შეუდგა იმის „მტკიცებას“ თუ რამდენათ უყვარს მას სტუდენტები და განათლებული ხალხი და უცბად შეეკითხა:

— ნათან ჯანაშვილიც თქვენთან სწავლობს?

— რა საქმე მაქვს იმ გაფხეკილთან. მე კაი მშობლები მყავს და ინჟინერობას ვაპირობ. ის კოტორია და და ქვეყანას ბიედ-მოედება.

ოსიპმა და ავგუსტინამ ვერ გაიგეს რა მოუვიდა ყეზრა შათაშვილს, რომელსაც ამ ლაპარაკის დროს სახე გაუბრწყინდა, გამოვიდა დაზგიდან და ოსიპს გადაეხვია:

— მომწონს შენი აზრები. შენ ჩემი ძმა და მეგობარი ხარ—აწი. როცა რამე დაგჭირდეს, ჩემი თავი იკითხე.

— გიყვარდეს...—შესძახა აღტაცებით ოსიპმა.

ამ ლაპარაკით მოიგო ავგუსტინამ: საქონელი გადაუჭრეს იაფად, ზომაზე მეტი, გაუხვიეს ფერად ქაღალდში და მოწიწებით მიართვეს.

ოსიპმა და ყეზრამ ერთმანეთს ჩაუწერეს თავიანთი მისამართი და თან აღუთქვეს რომ ხშირ ხშირად ინახულებენ ერთმანეთს.

„აწი მე ვიცი“—გაიფიქრა გამოსალმების შემდეგ ყეზრამ.

„გიყვარდეს“—აწყობდა გეგმებს ოსიპი.

„ხა-ხა-ხა“ — იცინოდა ავგუსტინა.

●●●

ვაკემ დაჭკარგა ნათანისათვის მიმზიდველობა. ამიერიდან ეს ადგილი მისთვის გადაიქცა ტიალ მინდორად, რომელზედაც ესთერის ფეხი აღარ გაივლიდა. ამაოდ ელოდა ნათანი ესთერთან მორიგ შეხვედრას: ესთერი არსად არ ჩანდა.

აწუხებდა უმთავრესად მიზეზის უცოდინარობა და ხშირად სხვადასხვა აზრები გაჭკრავდა:

„ვაი თუ ავად არის?

„ვაი თუ სასტიკმა მშობელმა ჯალათურად ჩაჭკეტა სახლში და აღარ უშვებს მზის სინათლეზე?

„ვაი თუ... მოსტეხეს საცოდავი ესთერის ნება და აიძულეს გაჰყვეს იმ სულელს?“

ეს ფიქრები არ ასვენებდა ნათანს და სდევდა თან სასწავლებელში, ქუჩაში, ამხანაგების წრეში, მარტოობისას—თავის ოთახში.

ეხლაც, უაივნო ფანჯრიდან გადაჰყურებდა ეზოს და ჩვეულებრივად, თავჩაღებული ფიქრობდა და ფიქრობდა განუწყვეტლივ და აწუხებდა მარტოობა, უესთერობა.

მის ოთახში პატარა გოგო შემოვიდა. იცნო:

„ეს ხომ რუთიკოა — დანიელ თაფლიაშვილის ქალიშვილი. ... ...

„მართალია ბენიამინ ბერიძე. განა „მათხოვარს“ ქალს მისცემს? ოი, ნათან, შენ არ გიმათხოვრებია არასოდეს, მაგრამ განა ბენიამინ ბერიძისათვის მათხოვარი და ღარიბი სინონიმები არ არიან? ღარიბი კი ხარ, ნათან! საცოდავი მამაშენი! იგი სოფელში წევს ქარებით დაავადებული, [illegible] ვინ არ ჰყავს, ერთად-ერთი შვილი შენა ხარ შენი გულკეთილი და იშვიათი მშობლებისა, შენ არ შეგიძლია მათ მიაწოდო არც ერთი კაპეიკი, ხშირად თვითონაც მშიერი ხარ და გაკვეთილების შრომით შენაძენი კაპეიკები-განაწილებული გაქვს ზუსტად, მტკიცედ, რომ ელემენტარულად იარსებო. მაშ როგორღა უნდა დაეხმარო მშობლებს? შენ კიდევ ასეთ პირობებში ბედავ იფიქრო ესთერთან კავშირზე. რის იმედით?“

ხშირად ეკითხებოდა ნათანი თავის თავს, თავისთვის, ჩუმად.

რამდენი განცდა იყო ამ მწარე განცდებში!

და პირველად, ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ-გაჰკრა სინანულმა:

„რისთვის ჩამოვედი, რა მომარბენიებდა ქალაქში? რა იყო მიზანი: უმაღლესი სასწავლებელი? და განა მიშველა უმაღლესმა სასწავლებელმა, როცა ბენიამინ ბერიძემ სასამართლოში აცილება მომცა?“

„ამხანაგები? სად არიან ისინი? ვილა შემრჩა? ჯერჯერობით ცები. ვაი თუ ისიც ჩამომცილდეს. ირაკლი? განა გაიგებს ჩემს დიდ ტრაგედიას?“

„ბრძოლა? ჩამოვედი ბრძოლის დასაწყებად. მაგრამ რამდენს უნდა ვებრძოლო, რამდენს უნდა ვეომო. მე თვითონ უბრალო ჯარის კაცი ვარ, ხოლო არ არის არც ჯარი და არც სარდალი.“

„ესთერი? განა გამართლდა ჩემი იმედები? განა აქ უფრო უარესად არ გამწვავდა საკითხი? ესთერის მამამ სახლიდან გამომაგდო, ესთერი დაამწყვდია და მე მათხოვრად მომნათლა.“

„მათხოვარი ხარ ნათან, მათხოვარი“.

და ნერვიულად წამოხტა ტახტიდან, რამოდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა ოთახში და თავის თავს ნიშნოგებით ხმამაღლა უთხრა:

— მათხოვარი ხარ ნათან, მათხოვარი!

და წასკდა ისტერიკა:

— ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა!

და სიცილი შესცვალა ტირილმა. მოზღვავებულმა ცრემლებმა გადმოხეთქეს მისი თვალებიდან, ისევ მიუახლოვდა თავის ტახტს, ჩაიღო თავი და აქვითინდა.

ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ნათანის ასეთი განწყობილება, რომ ამ დროს თმაზე არ ეგრძნო ქალის ნაზი ხელის შეხება, რომელიც ალერსიანად ეუბნებოდა:

— მე არ ვიცოდი თუ ასე ძლიერ გიყვარდი. მართალია დავიგვიანე, კარგა ხანია არ ვყოფილვარ შენთან, მაგრამ არც ერთი წუთით არ დამვიწყებიხარ. ნულარ სტირი, ნათან, ჰხ ედავ, მოვედი! ასწიე თავი!

ნათანმა უხალისოდ ასწია თავისი დამძიმებული თავი და წააწყდა ავგუსტინას თავხედურად მოცინარე ღიმილს.

●●●

ცხინვალელების კანტორაში ყეზრას და მენაშეს აენთოთ სანთლები, ჩაეკეტათ შიგნიდან კარები და ერთმანეთს ელაპარაკებოდენ ბაიდუმლოთ ჩურჩულით.

კარებს იქით ცოცხით ხელში, მოუსვენრად დაფუსფუსებდა ძია დათო და თავის ადგილს ვერ პოულობდა. წამდაუწუმ მიირბენდა კარების ხვრელთან, რომ დაენახა და გაერჩია მოლაპარაკეთა სახის გამომეტყველება, ან შემთხვევით დაეჭირა მათ მიერ თქმული რომელიმე სიტყვა: არ ასვენებდა ეჭვი: „ვაი თუ ჩემს ჯამაგირზე ლაპარაკობენ“.

ხოლო მოლაპარაკეთ ამჟამად ოდნავადაც არ აინტერესებდათ ძია დათო და მისი ჯამაგირი. ისინი ლაპარაკობდენ ჩუმად, დაფიქრებით, დიდი პაუზებით. საჭირო იყო რაღაც აზრი. არაფერი გამოდიოდა და უცბად მენაშემ მიიღო გამარჯვებული სახე:

— იცი, ყეზრა, მოვიფიქრე.

— რა?

— ცხინვალელები ვართ ხომ ჩვენ?

— ვართ.

— გაბაები ვართ ხომ ჩვენ?

— ვართ.

— ე. ი. წარმომადგენლები ვართ ხომ ჩვენ?

— ვართ.

— წარმომადგენელი შეიძლება იყოს ხალხის დელეგატი. ხომ?

— მერე?

— მერე და მერე. საკითხი გარკვეულია. ნათან ჯანაშვილიც ცხინვალელია. ყოველ შემთხვევაში მისი მამა ნამდვილი ცხინვალელია. ჩვენ, ე. ი. მე და შენ შეგვიძლია მივიდეთ მასთან, როგორც ცხინვალელების ჯამაათის დელეგაცია და უთხრათ მას, რომ მან ხელი აიღოს ესთერზე, ვინაიდან ესთერი არის ისრაელის სარწმუნოებით შენი დანიშნული და მას, როგორც ცხინვალელს უფლება არა აქვს-ცხინვალელების უფროსი გაბაისთვის შეურაცხყოფის მიყენებისა.

ყეზრამ აღტაცებით თავი მოიფხანა და უთხრა:

— მომწონს. თორის მზემ, კარგი აზრია. თუმცა ცოტა საეჭვოა, მაგრამ არა უშავს. ესთერი მთლად არაა ჩემი დანიშნული, ვინაიდან იმ მათხოვარმა ჩაგვიშალა ნიშნობა, მაგრამ რადგანაც იმ ღამეს ხალხი მაინც მოწვეული იყო, ასე ითვლება თითქოს ნიშნობა უკვე ყოფილიყოს. რაც შეეხება თვითონ ჯანაშვილს, თუმცა მარიალია ის არ დაბადებულა ცხინვალში და ამიტომ ის ცხინვალელი არ არის, მაგრამ რადგანაც შვილი მამის გვარზე იწერება, ამიტომ ის შთამომავლობით ცხინვალელია და ვალდებულია დაემორჩილოს ჩვენს ობშჩესტვას. ეხლა რაც შეეხება ...

— მოიცა ყეზრა, ამდენი ლაპარაკი საჭირო არაა. თუ მოგწონს ჩემი აზრი, მაშინ წავიდეთ.

— როდის?

— თუნდაც ეხლავე. რაღა გადასადებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი. კი. წავიდეთ, რაღა გადასადებია. თუმცა მოცდა სჯობია ... მაგრამ არა, წავიდეთ.

წამოდგენ. მენაშემ კარები გააღო.

წინ აეტუზათ ძია დათო:

— რა გადაწყვიტეთ?

— რა შენი საქმეა? —გაჯავრდა ყეზრა.

— აბა ვისი საქმეა, ეს ლოცვა ჩემიცაა და თქვენიც. თქვენ მარტო ლაპარაკობთ და ფულებს აგროვებთ. მე კი ჩემი ოფლით ვშრომობ. აი ცოცხი. უყურებთ? თქვენ ხომ არ იკადრებთ ამის დაჭერას?

— რა გინდა ძია დათო? — შეეკითხა მენაშე.

— შენმა მზემ არ იცი. ვაი რა ბიჭი ხარ. გამისწორეთ ანგარიში. ჩემი ძველი თვეების ჯამაგირი მინდა.

— ხო ხედავ, რო არ გაძლევთ. დაგვანებე თავი, მოგვცილდი — შეუტია მენაშემ.

— უმალ ძია დათო თქვენ დაგანებებინებთ თავს ამ ქვეყნისათვის.

— რას გაუჩერდი მენაშე ამ ბებერს? თუმცა უნდა გაუჩერდე, მაგრამ ვინაიდან გვეჩქარება, წავიდეთ.

ყეზრა და მენაშე ჩავიდენ კიბეზე.

მათ თვალი გააყოლა ძია დათომ, რომელსაც ნაპერწკლებივით აენთო თვალები და დაებადა სურვილი, რომ აივანთან მოგროვილი ნაგავი გადაეგავა მათ თავზე, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, მიაფურთხა თავის გაბაებს და თავისთვის, მუშტის მოქნევით, დაემუქრა:

— დამაცათ, ჩამივარდებით ხელში. ძია დათო გაყურებინებთ თქვენ სეირს.

●●●

როგორი უცნაურობით იყო აღსავსე ნათანის გარშემო სანყაროს რკალი! მაინც და მაინც ვილაცას სურდა მოეტეხა მისი ნება და დაემორჩილებინა თავისათვის.

რა აცინებდა ასე თავხედურად ავგუსტინას?

იჯდნენ ერთმანეთის პირდაპირ და დამოკიდებულება ურთიერთისადმი ძალიან დაამსგავსეს კატა-თაგვის თამაშს. კატა-ავგუსტინა იყო, ხოლო საცოდავი თაგვი-ნათანი.

რამდენჯელ გაურბოდა ნათანი ავგუსტინას თვალებს, ვნებიან ტუჩებს, იმდენად ავგუსტინაში უფრო დიდი ძალით აღიძვრებოდა სურვილი ნათანის ნების მოტეხისა. ნათანი კი ამჩნევდა, რომ ესთერთან საქმის მოუგვარებლობის ფონზე—მისი დამოკიდებულება ავგუსტინასადმი აღარ იყო ჩვეულებრივ გულგრილი, ნეიტრალური. უკვე იბადებოდა ახალი საწინააღმდეგო გრძნობა: სიძულვილი.

და როდესაც ავგუსტინამ ერთხელ კიდევ გაუმეორა მეასედ გაცვეთილი საკითხი:

— ნუ თუ ნათან, არავითარი გრძნობა არ გაქვს ჩემსადმი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ნათანმა გადასწყვიტა და ოდნავ უხეშად მიახალა:

— მაქვს.

— ძლივს! — წამოიძახა აღტაცებით ავგუსტინამ და ისევ მეკითხა: — როგორი?

— მძულხარ. — თითქმის შეჰყვირა ნათანმა.

ავგუსტინა ოდნავ შეიჭმუხნა, თვალი თვალში გაუყარა და იდგა ერთხანს ჩაფიქრებული. მაგრამ-მალე მოაგონდა, რომ ამით გასცემდა თავის განწყობილებას, რის გამოც თავს ძალა დაატანა და ჩვეულებრივად გადიკისკისა:

— ხა, ხა, ხა!

ხოლო ნათანის ნერვებზე ცუდათ მოქმედებდა ეს კისკისი და თავის თავს ეკითხებოდა: „რა აცინებს ამ ქალს? ვის დასცინის? მე თუ თავის თავს? თუ ორივეს ერთად?“

და რომ ბოლო მოეღო ამ კისკისისათვის მიუახლოვდა ავგუსტინას და სერიოზული ღრმად მჭრელი დანასავით გამოკვეთილი კილოთი—მიმართა შემდეგი სიტყვებით:

— ავგუსტინა! თქვენ ამიერიდან უნდა შესწყვიტოთ ჩემთან სიარული.

— ნათან! არ გრცხვენია?

— არა!

— რისთვის მაგდებ სახლიდან?

— მე არ გაგდებთ, მხოლოდ ასეთ დამოკიდებულებას უნდა მოეღოს ბოლო. მე არავითარი სურვილი არა მაქვს ვეტოქო ოსიპს.

— ხა, ხა, ხა! აი თურმე რა ყოფილა! ოსიპის გშინებია. გიჟი ოსიპის. ხა, ხა, ხა!

— შესწყვიტეთ სიცილი. ნერვებს მიშლის. მე არავისიც არ მეშინია.

— მაშ?

— მაშ... მე სხვა ქალი მიყვარს.—

და ნათანი გააოცა ავგუსტინას ახალმა „გამოსვლამ“. იგი ყველაფერს მოელოდა ავგუსტინას მხრით, მაგრამ თუ მასზე ასე ძლიერ იმოქმედებდა ნათანის უკანასკნელი განცხადება, ამას კი აღარ იფიქრებდა.

ავგუსტინამ დაჰკარგა ჩვეულებრივი ფერი, გამოვიდა მოთმინებიდან, ეცა ნათანს, წაავლო ხელი ტანსაცმელზე, მაგრად გაანჯღრია და დაუყვირა:

— განანებ...

ნათანი იდგა სასაფლაოს ძეგლივით გარინდებული და არ ესმოდა რა ხდებოდა მის გარშემო, რისთვის სჭიროდა ავგუსტინას ასეთი მეთოდები.

უფრო მეტი: ავგუსტინას მოულოდნელად გული წაუვიდა, გაიშხლართა იატაკზე და ნათანი კიდევ უფრო დაიბნა.

კარის გაღება არ უნდოდა. „ვაი თუ მეზობლებმა გაიგონ ეს ამბავიო“.

ასე თუ ისე, რაღაც უნდა გაეკეთებინა. მივარდა ძველ ჭურჭელს, რომელშიაც იყო წყალი და თავზე გადაასხა.

„ოღონდ კი თვალები გაახილოს. არ შემომაკვდეს და რაიმე საცოდაობა არ დამედოს“.

ავგუსტინამ ოდნავ გაახილა თვალი და დააწყებინა გულის ხშირი ცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორა ხარ, ავგუსტინა? — ეკითხებოდა ალერსიანად ნათანი და თან წყალს აწვდიდა დასალევად.

ავგუსტინა ისევ თვალებს ჰხუჭავდა და მძიმედ ოხრავდა.

— როგორა ხარ, ავგუსტინა? ამოიღე ხმა, მეტი აღარ შემიძლია—მეტად შეწუხებული ეკითხებოდა ნათანი.

ხოლო ავგუსტინა, ნელა, თითით უჩვენებდა მკერდზე, რაც ნათანის კომენტარიით ნიშნავდა იმას, რომ ავგუსტინას გული სტკიოდა.

ნათანს თითქოს ოდნავ შეეცოდა ავგუსტინა, მოკიდა თავზე ხელი და სურდა რომ ავგუსტინას დახმარებოდა წამოყენებაში.

მაგრამ ავგუსტინა არ ჩქარობდა, ისევ ბორგავდა, ოხრავდა და მძიმედ ქშინავდა.

და როცა ერთხელ კიდევ სცადა ნათანმა მისი წამოყენება, ავგუსტინამ ნელა ხელი ჰკრა და თავი გადასწია მეორე მხარეს.

ნათანი ვერ ისვენებდა:

— რა მოგდის ავგუსტინა?

ავგუსტინამ თვალები მიაშტერა:

— მომიახლოვდი.

ნათანი, თითქოს ჰიპნოზის ქვეშ, ასრულებდა ავგუსტინას სურვილს.

— მაკოცე.

და ნათანი დაიხარა.

●●●

სწორედ ამ დროს, ნათანის კარების ახლოს, ადამიანები სწყვეტდენ თაგვების პრობლემას: „ვინ შეაბას კატას ეჟვანი?“

— ეს ხომ მოვედით, ყეზრა?

— მოვედით.

— დააკაკუნე.

— შენ დააკაკუნე.

— სულ ერთი არაა?

— სულ ერთი თუა, მენაშე, მე რაღას მეუბნები?

მენაშემ ოდნავ დააკაკუნა.

პასუხი არ იყო.

— მგონია სახლში არ არის—ამბობდა მენაშე.

— როგორ არ არის, რაღაცა ხმაურობა ისმის. თუმცა ვინ იცის, რა ხმაურობაა. ხმაურობაც არის და ხმაურობაც. მოდი მენაშე, რაც იქნეს იქნეს, შეაღე კარები.

— შენ მთავარი გაბაი ხარ და შენ უნდა შეაღო.

— მთავარი კი ვარ, მაგრამ ვაი თუ ლამაზი არ გამოვიდეს, მე რო პირველად შევიდე. შეაღე კარები მენაშე, სირცხვილია. ვისმე ეგონება, რო გვეშინია.

— ეგონება კი არა და... ასეა.

— რაა ასე კაცო?

— რაა და გეშინია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვის ეშინია? მე? ეხლავე გიჩვენებ. აი შევაღებ. თუმცა არა, მოცდა ჯობია.

მენაშემ გაიცინა.

— თუ ღმერთი გწამს, ნუ იცინი, არ გაიგონოს და არ იფიქროს, რომ დამცინიანო. მერე გაბრაზდება. თუმცა მე იმის ბრაზის არ მეშინია, მაგრამ მაინც...

კიდევ ცოტა ხანს ივაჭრეს, რის შემდეგაც ისევ მენაშეს დასჭირდა კარის შელება.

ეს ის წუთი იყო, როცა ნათანი დაიხარა ავგუსტინასაკენ, რომელმაც მოხვია ნათანს მაგრად მკლავები და მთელი ვნებით ჩაიკრა.

ოთახში მყოფთ არ უგრძნიათ მოულოდნელი სტუმრების შემოსვლა.

მენაშემ უხერხულობა იგრძნო, ხოლო ყეზრამ აღტაცებით ჩაახველა.

ავგუსტინა და ნათანი წამოხტენ.

ყეზრამ იცნო გაწითლებული ავგუსტინა:

— ზდრასტი, პაჟალუსტა, გიცანი. გეტყობა რა შვილიცა ხარ.

და შემდეგ მიუბრუნდა გაოცებულ ნათანს:

— მეტი არაფერი მინდა. აწი მე ვიცი... მე თუ არა, ის მაინც გადაგიხდის, ის მაინც ამოიყრის ჩემს ჯავრს. წავიდეთ, მენაშე.

და თითქმის სირბილით, მასთან დიდი სიხარულით გამოვარდა გარედ.

მენაშე უკან გაჰყვა.

ავგუსტინამ სასწრაფოდ გაისწორა თმა და ტანსაცმელი, სახეზე წაიცხო პუდრა და ტუჩები შეიღება, რის შემდეგ სიტყვის უთქმელად გამოვიდა ოთახიდან.

ნათანი იდგა მისთვის ჩვეულ პოზაში.

მოულოდნელად გააფურთხა.

და შეეკითხა თავის თავს, თუ ვის აფურთხებდა: თავის თავს, ყეზრას თუ ავგუსტინას?

ვერ გადასწყვიტა და ფანჯარა გამოაღო.

მთვარე იმალებოდა ღრუბლებში.

4.

ღვინო, მწვანილი, მწვადები.

ყველაფერი იყო და უმთავრესი: ოსიპი არ შეწუხებულა.

არვის უკრავს მისთვის თავი სამზარეულოში. იჯდა და პირიქით სხვის ჯიბეზე თვითონ იძლეოდა განკარგულებებს.

ლაქიას მოჰქონდა და ოსიპიც აღტაცებით დაჰკრავდა მხარზე ხელს ყეზრას:

— გიყვარდეს...

ყეზრა გვიან მიხვდა, რას ნიშნავდა ოსიპის თქმა „გიყვარდეს". შემდეგში მას აღარ აოცებდა ეს სიტყვა. შეეჩვია ისევე, როგორც მის თავმოტვლეპილ ავტორს, რომელიც ამ წუთებში იჯდა მის პირდაპირ და უჩვეულო ენერგიით ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი მაგიდაზე გაჩნდებოდა.

ოდნავადაც არა ჰფიქრობდა ოსიპი, რომ ყეზრას მიერ მის დაპატიმრებას ჰქონდა რაიმე საქმიანი საფუძველი.

ყეზრა ჰფიქრობდა საიდან დაეწყო.

ოსიპი მოუთმენლად ელოდა მორიგ კერძს.

სასადილო ახლოს იყო თათრების მოედანთან, საიდანაც ქოროვანი შევებით მოდიოდა ადამიანებისა და სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობის არეული ხმები.

სასადილო ეაუთვნოდა ახალციხელ ებრაელს, რომელსაც ჰქონდა დიდი შავი თვალები, გრძელი ულვაშები, თავზე ეხურა თათრული ფესის მზგავსი შავი ქუდი, წელზე შემორტყმული ჰქონდა თეთრი საფარი, რის გამოც ძნელი გასარჩევი იყო ჩვეულებრივი ლაქიისაგან. ფანჯარას ჰქონდა ებრაული წარწერა — სამი თანხმოვანი ასო — რომელიც წაკითხვისა თუ სხვა ენაზე გადატანის დროს გამოდის ხუთი:

— ქაშერ.

ეს სამი სპეციფიური ასო მორწმუე ებრაელს უხსნის გზას რესტორანში.

ყეზრა შათაშვილი იშვიათი სტუმარი იყო ამ რესტორანის, მაგრამ ოჯახური პირობების გამო არჩია ოსიპს პირველად აქ გამოლაპარაკებოდა.

რესტორანი ქაშერი იყო, ბევრი ხალხი არ ეტანებოდა და თან მისი გამგე ყეზრას საუკეთესო ძმა-კაცი იყო.

ამ ჟამათაც თითქმის არავინ იყო რესტორანში ერთი ახალგაზდა კაცის გარდა, რომელსაც ეტყობოდა, რომ სულ სხვა რაიონის კაცი იყო და პატარა ჩემოდნით ხელში, ალბად აბანოს შემდეგ, შემოვიდა, დაჯდა მესამე თუ მეოთხე მაგიდაზე მათგან მოშორებით და მოითხოვა სადილი.

ყეზრას და ოსიპის ყურადღებას სულ არ იქცევდა უცხო კაცი, თუმცა „უცხო კაცისათვის“ საინტერესო გახდა მოეგონებინა, თუ სად უნახავს კაცი, რომელსაც ერქვა ყეზრა შათაშვილი.

მაგიდა კუთხეში, სავსე საჭმელებით და იშვიათი კახურით, სამზარეულოდან სუქანი სუნი და მათი — ორთავეს განმარტოება ჰქმნიდა ორნაირი მადის სიძლიერეს.

იყო ორი დაჭიმული მადა: ჭამისა და ლაპარაკისა.

ყეზრას უნდოდა დაუსრულებელი ლაპარაკი, ოსიპს — დაუსრულებელი ჭამა.

ყეზრა ტვინს აჯახირებდა, ოსიპს — კუჭს.

ყეზრა გაოცებით შესცქეროდა ოსიპს და აწუხებდა თუ რა გააძღებდა ოსიპს.

— „რა მოუვიდა ამ ოჯახ დასაქცევს. ვაი თუ რაც მენშევიკები წავიდენ მას შემდეგ არაფერი უჭამია“ — ჰფიქრობდა შიშნარევი სიძუნწით.

ოსიპმა კი როცა შეატყო, რომ მაგიდა იცლებოდა, მიუბრუნდა გამგეს და დაუძახა:

— ეი, ლაქიავ! მოიტა რამე ცხელი, გემრიელი. გიყვარდე — ე-ეს...

რესტორანის პატრონმა დიდ მნიშვნელოვანად გადახედა ოსიპს, მიუახლოვდა, კბილები ოდნავ გაატკაცუნა და დინჯად უთხრა:

— საჭმელს მოვატანიებ. მხოლოდ ამას მოგახსენებ, ჩემ ფართუკს აშიბკაში მოუყვანიხარ. მე ლაქია კი არა ვარ და... მე თითონ ამ სასადილოს ზავედუში ვარ. ყეზრამ ხომ იცის. აუხსენი ჯანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყეზრამ მიიღო არბიტრის პოზა:

— სულ ჭეშმარიტია. ნამდვილად ზავედუშია. ვადასტურებ. მაგრამ შენც არ გეწყინოს ოსიპ ოსიპიჩისაგან.

წამოდგა და ჩუმად ყურში უთხრა:

— წადი, მოიტა კარგი საჭმელები. დიდი, დიდი კაცია. მთლად დიდი კი არა, მაგრამ ხომ იცი, ისეთი რო — საისრაელოს გამოადგება.

კონფლიქტი ამით დასრულდა, რის შემდეგ ყეზრამ გადასწყვიტა ენერგიული იერიშის მიტანა, რომ ფართო გასაქანი მისცემოდა მის სიტყვა — პასუხს.

აავსო ჭიქები, რის შედეგაც დაიწყო:

— ოსიპ ოსიპიჩ. მე ეხლა სიტყვა უნდა ვთქვა და ნუ დამძრახავ. მე მიყვარს შეგნება და განათლება. დამერწმუნე. მაგრამ ვინც კარგად ჩაუკვირდება ჩვენ თორას, ჩემსავით იტყვის, რომ თორა — განათლებული რამეა. რა გვიწერია თორაში: „ქაბედ ეთ აბიხა ვეეთ იმეხა". ესე იგი ჩვენებურად რომ ვთქვათ, ქართულად, დააფასე შენი მამა და შენი დედაო. ამას რომ კიდევ ქართული ანდაზა დაუმატოთ — გამოვა: „მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო". უკაცრავად მშობლები ხო ცოცხალი გყავთ?

— შენ რას ლაპარაკობ. გაიგე რამე თუ?

— მეც კი ვიცი, რომ ცოცხლები არიან, ღმერთმა ასოც წლამდე აცოცხლოს, მხოლოდ ისე შეგეკითხე, სიტყვის ძალად. მოდი და, ოსიპ ოსიპიჩ, ეს ღმერთმა გაუმარჯოს, კი ნუ გაუმარჯოს, პირდაპირ დაულხინოს ორ უფროს ბატონს, რომლებიც რომა არიან შენი მშობლები, ანუ რომლების შვილიც იზრდება ისრაელის ხალხისათვის საამაყო და სასიქადულო შვილი. სულით და გულით ვსვამ. არა. უნდა მოგახსენო, რომ საერთოდ მე ღვინოს არა ვსვამ, მაგრამ ეს სადღეგრძელო ჩემთვის არის წმინდა მოვალეობა, ესე იგი, როგორი მოვალეობა...

— ჰო, გავიგე. დალიე, გიყვარდე ე—ე—ს...

და ოსიპმა გადაჰკრა.

ყეზრას ხელში ეჭირა შეუსმელი ჭიქა — დაუმთავრებელი სიტყვით და არ იცოდა რა ექნა. ცოტახნის ყოყმანის შემდეგ გადაჰკრა ხმის ამოუღებლად.

ოსიპი შეუდგა მორიგი კერძის ლიკვიდაციას.

ყეზრამ აავსო ჭიქები და ერთგვარი დაზღვევის მიზნით განაცხადა:

— აწი კი ყური უნდა მიგდო. რომ იცოდე, როგორი კაცის სადღეგრძელო უნდა ითქვას. თუმცა არ იცი, მართალია არ იცი. ერთი სიტყვით რაღა თავი შეგაწყინო, მალე გაიგებ. დიდი პატივსაცემი და საყვარელი ადამიანია.

ოსიპმა ყურები აცქვიტა. ყეზრა განაგრძობდა:

— თორაში სწერია: არის კაცი, რომელიც ყოლამ — ჰაბას [1] მთელ თავის სიცოცხლეში ვერ შეიძენსო, ხოლო არის კაცი, რომელიც ერთ საათში შეიძენსო. მე ეს თქმულება ძალიან მომწონს, თუმცა სიმართლე რომ ვთქვათ პირველი ნახევარი მთლად არ მომწონს, მაგრამ ბოლო კი ძაანაა. არის კაცი, რომელმაც ყოლამი შეიძინა ერთ საათში. რითი ეხლა არ იკითხავ? სიმართლით, პატიოსნებით, ერთი სიტყვით, ისევ სიმართლით და პატიოსნებით. მე რომ პი-

[1] ყოლამ—ჰაბა —მომავალი ცხოვრება, საიქიო.

ველად გაგიცანი ქარვასლაში—იქვე გადავწყვიტე, რომ შენისთანა ადამიანები ამ ქვეყანაზე არ არიან. თუმცა არიან, მაგრამ სხვადასხვანაირი, შენ კიდევ სხვანაირი ხარ. ეს ღმერთმა შენ გაგიმარჯოს, ოსიპ ოსიპიჩ, მოგცეს ბედნიერი ჯანი. გიცოცხლოს დედამის თავი და არ მოგაკლოს თავისი წყალობა, თუმცა შენ მისი წყალობა არ გაკლია.

— გაგიმარჯოს. თანახმა ვარ. გიყვარ—დე—ეს...

გამოცალეს.

ოსიპის ინიციატივით ერთმანეთს გადაჰკოცნეს.

ოსიპის კოცნა ყეზრასთვის დიდი სტიმული იყო, რომლის შედეგაც მან დაუყონებლივ გაავსო ჭიქები და შეუდგა მორიგ სადღეგრძელოს:

— თორაში სწერია: თუ გითხრას კაცმა დავიღალე ძებნით და ვერ ვიპოვეო—არ დაუჯერო, არ დავღლილვარ ძებნით და ვიპოვეო —არ დაუჯერო, დავიღალე ძებნით და ვიპოვეო —დაუჯერე. ეს სწორეთ ჩემზე სწერია. მთელი ჩემი სიცოცხლე დავიღალე ძებნით, შრომით, მუშაობით და ვიპოვე ქონება. თუმცა რას ქვია —ვიპოვე, ქუჩაში კი არ მიპოვია, არამედ ჩემი ნიჭით, მარიფათით და გამჩენის შემწეობით —შემიძენია. ეს ღმერთმა გამიმარჯოს მე —ყეზრა შათაშვილს, ცხინვალელების ობშჩეტვას უფროს გაბაის, რომელიც რომ...

— კი უსათუოდ. უნდა გაგიმარჯოს. გიყვარ—დეს... შენ იცი,როგორი კაცი ხარ, ყეზრაჯან? შენ თითონაც არ იცი. არც მე ვიცი. მარტო ღმერთმა იცის. ღმერთი მე არ მწამს, მაგრამ ხანდახან, როცა გამიჭირდება —მწამს. მაშ ასე... გიყვარ—დეს... გაუმარჯოს ყეზრა შათაშვილს...

და იმდენად მოეწონა ყეზრას ოსიპის საპასუხო სიტყვა, რომ მერე უკვე თვითონ გადაეხვია ოსიპს და რამოდენიმეჯერ ჩაჰკოცნა.

ოსიპი უკვე ღვინისაგან ნელნელა თავის ტრიალს ჰგრძნობდა და ამიტომ არც გაუგია, თუ როგორ აივსო ხელახლად მისი ჭიქა.

ყეზრა არ ეშვებოდა დამსახურებული თამადის როლს:

— შენი არ ვიცი, მაგრამ მე კი ძალიან ბევრი მიფიქრია: რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ქვეყანაზე ღმერთს სიმამრი არ გაეჩინა. იცი რა არის სიმამრი? იცი —მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა. სიმამრი, რომ არ იყოს—ქალის შერთვა აღარ მოხდებოდა. რა ჯობია კაი სიმამრს, პატიოსანს, სახელ განთქმულს ქონების პატრონს. მოდი და... ოსიპ ოსიპიჩ, რაც იყოს იყოს. ეს გაუმარჯოს ჩემს სიმამრს—ახალციხელების უფროს გაბაის ბენიამინ ბერიძეს.

— გამიგია. დიდი კაცია. დავლიოთ. ესეც გიყვარ—დე—ეს...

ყეზრამ მიმოიხედა აქეთ—იქით:

— რესტორანის პატრონს ჩასძინებოდა დახლზე, ხოლო უცნობი ახალგაზრდა გართული იყო გაზეთის კითხვაში.

— კიდევ ბევრი კაი რამეები მაქვს სათქმელი, ოსიპ ოსიპიჩ. ეს ხომ პურმარილია. აი ამ პურმარილს ფიცავ, რომ მე და შენ უნდა საუცხოო დრო გავატაროთ. იცი რა არი ხე? იცი. მაგრამ ყველა ხე ხომ ერთნაირი არაა. მაგალითად უბრალო ხე და ვაშლის ხე. ვაშლი ეს —ნაყოფია. რა სჯობია კაი ნაყოფს, კაი ვაშლს. რას იტყვი, თუ ეხლა ჩვენ მივიღებთ კაი ვაშლის სადღე-

გრძელოს. ვინ არის ეს კაი ვაშლი? ეს არის კარგი ოჯახის ნაყოფი. ბენიამინ ბერიძის ქალიშვილი და ჩემი დანიშნული. გაუმარჯოს ჩემს დანიშნულს და იმის საქმროსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიყვარ—დეს... გიყვარ—დეს... გიყვარდეს... მისიც, ... ერთ-ბაშად უნდა სამი ჭიქით გამოვცალოთ.

— გამოვცალოთ შენი ჭირიმე...

და ექვსი ჭიქა ღვინო შეისვა დაუყონებლივ, უყოყმანოდ.

ოსიპის განწყობილება აიწია და ყეზრას უსაყვედურა:

— შე კონტრრევოლიუციონერო რატო არ დამპატიჟე ნიშნობაზე?

— ვაი რომ მაშინ არ გიცნობდი. არა, როგორ არა, გიცნობდი, მაგრამ გაცნობილი არ ვიყავი. რომ ხცოდე რანაირი ნიშნობა მქონდა, რამდენი ხალხი იყო. მართალია ცოტა კი დამამწარეს, მაგრამ მეც ჩავამწარე... მართალია ცოტა ძველი ამბავია, მაგრამ ჩემს გულში კი ყოველთვის ახალია. ეჰ, ოსიპ ოსიპიჩ, რომ იცოდე რამდენი მაქვს სათქმელი, მაგრამ რომ არ ვიცი, როგორ დავიწყო, საიდან დავიწყო. რა ბედნიერი კაცი ვიქნებოდი —მე და შენი მეგობრობა ცოტა ადრე რომ დაწყებულიყო. მოდი, ოსიპ ოსიპიჩ, ეს დავლიოთ ჩვენი ძმობისა და მეგობრობისა. მტერს არ გაეხაროს ჩვენზე და...

— მოიცა, მოიცა. მაწყეინებ. ეს საჭიროა, მაგრამ მერე, ეხლა ეს მითხარი შე კაი კაცო, შენი დანიშნულის სადღეგრძელო რომ დალიე, დაგავიწყდა, რომ მეცა მყავს დანიშნული? ხომ გაგაცანი ავგუსტინა, გახსოვს თუ არა?

— მახსოვს, როგორ არა.

— მერე?

— ეჰ —პასუხის ნაცვლად ამოიოხრა ყეზრამ.

— რა გაოხრებს?

— ეჰ, ძმაო, რა გითხრა, აქა მაქვს საქმე და...

— ნუ ღეჭავ.

— თორაში სწერია: ღმერთმა ქალს ბისცა გრძელი თმა და მოკლე ჭკუაო.

— ეგ ტყუილი დაუწერიათ.

— სულ სიმართლეა თორის ბზემ.

— რაა სიმართლე? რა გამოცანებით მელაპარაკები შე კონტრრევოლიუციონერო?

— ჩემი თვალით ვნახე ისინი.

— ვინ ისინი? —წამოვარდა გახურებული ოსიპი.

— ავგუსტინა და... ის...

— ვინ ის?

და გაბრაზებულმა ოსიპმა დაავლო ბოთლს ხელი.

სასადილოს პატრონს ისევ ეძინა, ხოლო უცნობმა მუშტარმა ძალაუნებურად მიაპყრო ამ სცენას ყურადღება.

ყეზრას შიშისაგან უცახცახებდა ენა და ნაცემი ძაღლის გრძნობით, დაბლა თავდახრილი, სიბრალულის თვალებით ეკითხებოდა:

— ვთქვა?

— კიდევ მეკითხები შე სულძაღლო? აბა მითხარი ვინ იყო იმასთან?

— ვიტყვი, ვიტყვი, რა გაეწყობა. როგორ შემიძლია შენისთანა მეგობარ კაცს ამისთანა ამბავი არ შევატყობინო? იმასთან იყო... ნათან ეუბნა შეიფი.

უცნობ ახალგაზრდას ნათანის ხსენებაზე დაეტყო ოდნავ შეშფოთება, მაგრამ თავი შეიკავა და ოსტატურად, მათ მიერ შეუმჩნევლად, გადმოჯდა მათ ახლოს და თავი ჩაჰყო გაზეთში, თითქოს ეს ამბავი მას არც ეხებოდა.

ხოლო გაცეცხლებულმა ოსიპმა წაავლო ხელი ყეზრას საყელოში:

— აბა მოჰყევი თავიდან, რა ნახე, რას აკეთებდენ, არაფერი გააპარო...

— რაც დავინახე იმას ვიტყვი, რაც არა და —ხომ არ მოვიგონებ. ნათქვამია —შემცოდავმა ერთი ცოდო ჩაიდინაო და დამბრალებელმა ორიო.

— გამოცანები მეყოფა. დაიწყე, მოჰყევი.

— ერთი სიტყვით ოსიპ ოსიპიჩ, რა დაგიმალო თურმე წინედ ჩემს დანიშნულს სადღაც სოფელში შეხვედრია ეს მათხოვარი. მას უკან გადაჰკიდებია და საშველს არ აძლევს.

— შენი დანიშნული რაში მაინტერესებს? მოჰყევი იმას, რაც საჭიროა.

— ამ საქმეებს ერთმანეთთან კავშირი აქვთ: როგორი კავშირი? მე კი არაფერ შუაში ვარ. ისაა შუაში, ის მათხოვარი.

— რას მიედ-მოედები? შენ ხომ არ გინდა რომ მოგკლა?

ყეზრა ოდნავ გაფითრდა, სკამი უკან დასწია, მაგრამ პასუხი მაინც არ დააყოვნა.

— თუ ბიჭი ხარ და ვაჟკაცი, მოსაკლავი ვინც არის—ის უნდა მოკლა, ვინც რომ შენს პატიოსან სახელს ჩირქი მოსცხო, ვინც...

განრისხებულ ოსიპის თვალებიდან უკვე იცქირებოდა შურისძიებით აღსავსე მხეცი, რომელიც მზად იყო ნათანის მაგიერ ყეზრა გაეგლიჯა.

— იტყვი თუ არა შე მამაძ..

— ვიტყვი, ვიტყვი, სსს... ხო ხედავ, ვიღაც კაცია.

და ყეზრამ მიუახლოვა თავი ოსპს და ჩურჩულით უთხრა:

— მე და გაბაი მენაშე მივედით იმ მათხოვართან, როგორც დელეგაცია ჩემი დანიშნულის შესახებ. გავაღეთ კარები. არ მახსოვს, რომელმა ადრე შეაღეთ.

— ეგ სულ ერთია...

— ჰო, სულ ერთია. და რა ვნახეთ. ვაი თვალებს, უი ყურებს!:.. ისრაელის მტერს ეს ამბავი. გული მეტკინა, დამერწმუნე პატიოსნებას, ნეტავი არ გცნობდე მაინც. ნეტავი ის დღე არ გათენებულიყო. თუმცა ის დღე კი გათენდებოდა, მაგრამ ის ამბავი არ მომხდარიყო. ოჰ! ოჰ! ოჰ!

— ოი შენ და სიკვდილი. რა ნახე, სთქვი.

და ოსიპმა თავისი სქელ ფრჩხილებიანი თითები წაუჭირა ყელში.

ყეზრამ შიშით და ხროტინით წაილუღლუღა:

— იმ მათხოვარს წაეკცია შენი დანიშნული მიწაზე, აჯდა ზედ, ეხვეოდა, ჰკოცნიდა, ჰკბენდა, ღმერთმა იცის კიდევ რას სჩადიოდა.

ოსიპი მძიმედ დაეშვა, ხოლო ყეზრამ თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს რაღაც დიდი ლოდი მოსწყდა მისი გულიდან.

ხმაური, ღვინო, სადღეგრძელოები სადღაც გაჰქრა და ადგილი დაუთმო საეჭვო სიჩუმეს, რომელშიც ისახებოდა მუქარა და უძლურება.

ყეზრა და ოსიპი ერთმანეთს ზომავდენ თვალებით.

ყეზრამ შეამჩნია, რომ ბოროტი გადაწყვეტილების ელვა ჩაიელვა ოსიპის სახეზე.

— გადაწყდა: უნდა მოვკლა.

— ძნელი გასაბედია—წააქეზა ყეზრამ.

— ვისთვის? ჩემთვის? აბა შენ არ გცოდნია ვინ არის ოსიპ ოსიპიჩ ხანანაშვილი.

— რითი მოჰკლავ?

— სახლში სამართებელი მაქვს. წავიღებ და ყელში გამოუსვამ.

— რომ გაგიგონ?

— ვინ გაგიგებს. ჩავიხელთებ მარტო და მაშინ ვიზამ.

— ქალს რას უზამ?

— ქალს რა უნდა უყო. ისიც. კია დასახჩობი, მაგრამ შეიძლება იმ ლაწირაკმა ჯანაშვილმა ძალით ჩაიგდო ხელში. ავგუსტინა მე ამას არ მაკადრებდა. მე ამას გამოვიკვლევ.

— მეცა მგონია, რომ ქალი არაფერ შუაშია. ხოლო შენ როცა გაუსწორდები ნათან ჯანაშვილს, მაშინ მოდი ჩემთან და მოვილაპარაკოთ. დასაგვიანებელი აღარ არის. პირდაპირ უნდა წაიკითხოთ ქეთუბა შენ და ავგუსტინამ. მე მოველაპარაკები ცხინვალელების, რაბის რომ უფასოდ გააკეთოს ეს საქმე. ესეიგი მთლათ უფასოდ კი არ წაიკითხავს, მაგრამ ფულს ჩვენ გავიღებთ, ცხინვალელების ობშჩესტვა.

ოსიპმა ოდნავ გაიღიმა და კინაღამ წამოსცდა საყვარელი სიტყვა, შემდეგ წამოდგა, ყეზრას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— მაგაზე თანახმა ვარ. ეხლა მივდივარ პირდაპირ იმ მათხოვართან.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ფრთხილად. სსს...

ოსიპი გავიდა გაბედული ნაბიჯებით.

ყეზრამ გააღვიძა რესტორანის პატრონი:

— ძია ეფრაიმ, ჩვენ გავათავეთ ჭამა. ესეიგი მთლად კი არ გაგვითავებია. ცოტა რამე დავტოვეთ სუფრაზე. იანგარიშე რიგიანად და ხვალ შემომიარე ქარვასლაში. სათითაოდ ჩამომიწერე რაც ვსვით და ვჭამეთ. გაიგე?

— კი ბატონო, გეახლები...

ყეზრა გავიდა და კარები მაგრა გაიხურა.

მათი გასვლის შემდეგ უცნობი ახალგაზდაც საჩქაროდ წამოხტა, გადაიხადა სადილის ფული და ჩქარი ნაბიჯებით გადავიდა ქვაფენილის მეორე მხარეს.

ახალი ნაწვიმარი იყო.

მალე დაღამდებოდა და სოფლელები ნელი და მცონარე ბიჯებით მისდევდენ უკან ზარმაც აქლემებს.

მიჰქროდა ავტო.

და ახალგაზრდამ უნებურად გაავლო პარალელი:

„ავტო და აქლემი".

„ნათანი და ყეზრა".

●●●

როცა ირაკლი შეევიდა ნათანთან, უკანასკნელმა მას სიხარულით უთხრა:

— რომ იცოდე როგორ მაკლია შენი კურდღლის თვალები. რამოდენიმე დღეა არ მინახავს შენი თავი და ასე მგონია თითქოს საუკუნეებია გაბმულეს.

— ვითომ დაგიჯერო შეეკითხა ირაკლი ცნობისმოყვარეობით.

— განა მოგეცი საბაბი ეჭვისა?—ოდნავ ნაწყენი კილოთი პასუხის მაგივრად მიუგო ნათანმა.

— ვინ იცის. შეიძლება კი, შეიძლება არა.

— ირაკლი! დღეს ხუმრობის გუნებაზე ხარ?

— სრულიადაც არაა.

— მაშ?

— იცი ნათან, ამხანაგური ურთიერთობის მოგვარება, მისი რეგლამენტაცია—მეტად ძნელი საქმე ყოფილა. აი ჩვენ მაგალითად ამხანაგები ვართ, ხოლო მე დღემდე ვერ გამოვძებნე ვერც ერთი შესაფერი ფორმულიროვკა—თუ რა არის ნამდვილად ამხანაგობა. ისე ზოგადად—გულწრფელობაა ურთიერთისადმი. მაგრამ აქაც ყოფილა რაღაც საზღვრები, ფარგლები, დამაცილებელი ჯებირები.

— არაფერი არ მესმის.

ირაკლიმ პასუხის ნაცვლად კარები ჩაჰკეტა.

ამან კიდევ უფრო გააოცა ნათანი.

— თუ რისთვის ჩავკეტე—ამას გეტყვი. მოიცა, რა გაჩქარებს. ჩვენ ეხლა ციხე კოშკში ვართ და აღარავითარი ხიფათი არ მოგველის. ჯერჯერობით კი მე მინდა ისევ ამხანაგობის შესახებ ვილაპარაკოთ და უპირველეს ყოვლისა, გისაყვედურო, რომ შენ არა ხარ გულწრფელი.

— მე ვდგავარ შენს წინაშე, როგორც ურიელ აკოსტა მონანიების აქტის წაკითხვის ჟამს. მე ვდგავარ, შენს წინაშე როგორც მომაკვდავი სტუდენტი ჩვენი მოხუცი პროფესორის მელიტონ გობეჯიშვილის წინაშე—გამოცდების ჩაბარების ჟამს. მე ვდგავარ შენს წინაშე, როგორც ბრალდებული ნათან ჯანაშვილი და ველი შენგან ამხანაგო პროკურორო კონკრეტულ ბრალდებას.

— მე შენთან სერიოზული ლაპარაკი მინდა, ჩემო ნათან, შენ კი განზე მიგდებ ჩემს განზრახვას,

და ირაკლიმ ოდნავი აღელვებით გაიხედა ფანჯარაში.

ნათანიც დაეჭვდა:

„ნეტავი რას უნდა ნიშნავდეს ირაკლის წინასიტყვაობა ამხანაგური ურთიერთობის შესახებ, კარების ჩაკეტვა, ფანჯარაში ცქერა?“

და ერთხანს უცქირა ირაკლის „კურდღლის თვალებს“, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა.

— ჩემო ირაკლი! იქნება მითხრა, რაც გაქვს სათქმელი?

და ირაკლიმ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, დინჯათ და მშვიდათ მიუგო:

— არის ორი ქალი. ერთს ჰქვია-ესთერი, მეორეს-ავგუსტინა. მე მინდა გელაპარაკო მათ შესახებ.

— რა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უნივერსიტეტში მოვიდა შენთან ქალი, რომელსაც ჰქვია ესთერი. ამ შეხვედრის შემდეგ—შენ უფრო გამოიცვალე და უარესად გულიათხრობილი შეიქენი. შენ არ გითქვამს ჩემთვის არაფერი.

— ისევე როგორც არც ერთი ჩემი ამხანაგისათვის.

— სულ ერთია, ეს საქმეს არ ცვლის. აქ საქმე ხასიათშია.

— ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისი პირადი საქმეებისა.

— მაგრამ როდესაც ეს პირადი იღებს საერთო ხასიათს?

— ეს როგორ?

— შენ ვინ გიყვარს: ესთერი თუ ავგუსტინა?

— განა სულერთი არაა?

— რასაკვირველია. მაგრამ შეიძლება შენ ორივესთანა გაქვს ერთსა და იმავე დროს რომანი?

— შეიძლება ასეც იყოს. შემდეგ?

ჩამოვარდა უხერხული დუმილი და ორივე მეგობარს აკვირებდათ ერთმანეთი. ნათანი შეეკითხა:

— არა სჯობია პირდაპირ მითხრა, რაშია საქმე?

— ძალიან კარგი. გეტყვი. მხოლოდ არ შედრკე. მზადდება თავდასხმა შენს მოსაკლავად. თავდამსხმელი ალბად მალე მოვა.

— ეხლა შენ დაიწყე ხუმრობა?

— სრულიადაც არა. ყური მიგდე ჩემო ნათან. მე ვიყავი აბანოში. გზაზე მაგრად მომშივდა და შევედი ებრაულ სასადილოში. იქ იჯდენ ერთად ორი კაცი. ერთმანეთს უწოდებდენ ყეზრას და ოსიპ ოსიპიჩს.

— ფერი ფერსა...

— ჰო და ჩემო კარგო, ყეზრა მოუყვა ოსიპს როგორ შემოგასწრო ტრფობის დროს ავგუსტინასთან, ოსიპიც აენთო და წავიდა სახლში სამართებლის მოსაძებნად, რომლითაც გიპირობს ყელის გამოჭრას.

ნათანმა თავი ვერ შეიკავა და ძლიერი სიცილი წასკდა.

— ამისათვის ჩაჰკეტე კარები? ხა, ხა, ხა!

— რა გაცინებს?

— ოსიპი აპირობს ჩემს მოკვლას? აი რას ნიშნავს ირაკლი, შენ რომ მას არ იცნობ. უნდა უსათუოდ გაგაცნო. მას მკლავებში უეჭველად დიდი ძალა აქვს, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესო მშიშარაა. დაიწყებს გულადობით და დაასრულებს სასაცილო სიმხდალით.

— ვთქვათ ესეც ასეა. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ხიფათი აგცდება, ვინაიდან ჯერ კიდევ თვალწინ მიდგას მისი მხეცური თვალები, რომელსაც ის აბრიალებდა საშინელი მრისხანებით. მაგრამ ყოველივე ამას რო თავი დავანებოთ, ერთი ეს მითხარი, როდის შემდეგ გახდი ქალთა საკითხში ასეთი ტარიელ მკლავაძე?

— შემცდარი ხარ, ჩემო მეგობარო. ამ საკითხებზე შენ გაქვს ბუნდოვანი წარმოდგენა და ამით აიხსნება ჩემი ასეთი არამართებული კვალიფიკაცია. ავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუსტინა შემთხვევით გადამეღობა ჩემი ცხოვრების გზაზე, მე-ოგი სულიადაც არ მიყვარს და მასთან არაფერი მაკავშირებს.

— ესთერი?

ნათანმა არ იცოდა როგორ ეპასუხა. ჩაფიქრდა. და როცა გადაწყვიტა მეგობრისათვის გადაეშალა მთელი თავისი გული, ამ დროს კარებზე დააკაკუნეს.

ნათანი უნებურად შეკრთა და კარების გაუღებლად შეეკითხა:

— ვინ არის?—რაზედაც პასუხის მაგივრად გაისმა ოსიპის ნაცნობი ბოხი ხმა:

— ნათან ჯანაშვილო! მარტო ხარ სახლში?

— ხო გითხარი...—უთხრა ირაკლიმ.

— ნუ სწუხარ. შენ აგერ ამოეფარე ამ ფარდას და უცქირე სეირს.

— როგორ თუ სეირს უცქირო? მართლა რომ რამე ჩაიდინოს იმ სულელმა?

— მაშინ მომეშველე .. ეხლა კი დაიმალე. ამას ხედავ? ჩემი მეზობლის დაჟანგული ძველი, გაცვეთილი რევოლვერი... რკინად უნდა რომ გაყიდოს... სოფელში წავიდა და მე დამიტოვა... ეშინია არავინ მოჰპაროს... დიდი განძი ჰგონია.

კარებზე მოისმა მაგარი წიხლის კვრა:

— აღებ თუ არა კარებს შე კონტრრევოლიუციონერო?

— მოიცა ოსიპ, მოვდივარ—უპასუხა ნათანმა და კარების გამოღებამდე რევოლვერი უკან ხალათის ქამარში გაიკეთა, ხოლო ირაკლის თვალით ანიშნა, რომ უკვე დამალულიყო.

ნათანმა შემოუშვა ოსიპი და თან მოერიდა ხელის ჩამორთმევას, იხევდა უკან უკან და მათ შორის მანძილი გაჩნდა.

— დაბრძანდი, ოსიპ...

— დაბრძანდი...—გამოაჯავრა ოსიპმა...—ვიცი, შეგეშინდა. მე ეხლა დასაბრძანებლად არ მცალია. შენ, ყმაწვილო, ვაჟბატონო, კონტრრევოლიუციონერო და სხვადა-სხვა არა სასურველო ელემენტო, ამ წუთში მიპასუხე: რა კავშირი გაქვს ჩემს საცოლესთან?

— თვითონ ჰკითხე...

— მე შენ გეკითხები და არა იმას. გესმის? ეხვეოდი არა? ჰკოცნიდი არა? ფაქტია ხომ? მე შენ გიჩვენებ შე...

და ოსიპმა ჯიბიდან ამოიღო გალესილი სამართებელი.

ნელნელა მიიწევდა ნათანისკენ და მისი ნაბიჯები უდაოდ ადასტურებდენ მისი პატრონის განზრახვის სერიოზულობას.

ნათანმა იძრო რევოლვერი და დაუმიზნა პირდაპირ გულში:

— ხელები ზევით. დანა მიწაზე!

ოსიპი მოულოდნელობისაგან გაფითრდა, დანა გაუვარდა და ხელები ინსტიქტიურად ზევით ასწია.

ნათანმა შეამჩნია, რომ ოსიპის თვალებში გაქრა ცეცხლი, შურისძიების გრძნობა და სამაგიეროდ მათში უკვე იცქირებოდა საყასბოში დასაკლავად

გამზადებული ცხვარი. მიუხედავად ამისა თავდაცვის ინსტინქტი აიძულებდა ნათანს რევოლვერი ისევ მომართული ჰქონოდა, ხოლო ოსიპს ამის გამოსაშინლად აცახცახებდა და როცა შეატყო, როგორი სერიოზულობით [illegible]ბას ნათანის თვალები, ველარ მოითმინა და თავი შეაბრალა:

— კაი ეხლა, ხო ხედავ გავჩერდი. მე ვხუმრობდი და შენ კი ზარბაზანი დამიმიზნე. ჩამოუშვი თუ ძმა ხარ...

— ხა-ხა ხა!—გაისმა ირაკლის სიცილი, რომელმაც ველარ აიტანა ნაძალადევი სუნთქვა ფარდის იქით და დადგა ოსიპის პირდაპირ.

ოსიპმა იცნო რესტორანის უცხო სტუმარი და ორმაგად დაიბნა.

ირაკლიმ აიღო დანა იატაკიდან და ჯიბეში ჩაიდო:

— როგორც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი.

სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებდა ამ დროს ოსიპი, რომელიც სრულიად აღარ ნანობდა თავის განზრახვის უკულმა შეტრიალებას, ხელები აწეული ჰქონდა ზევით და სიბრალულით აღსავსე თვალებით, ძაგძაგით და ცახცახით, ეხვეწებოდა ნათანს, რომ იარაღი მოერიდებინა.

ირაკლი კი პირიქით ოსიპის ცეცხლზე ნავთს ასხამდა:

— კაცის მოკვლა და მოკვლის განზრახვა—ეს ერთი და იგივეა. ასე გვასწავლის სისხლის სამართლის კოდექსი. ათი წელიწადი—სულ ცოტა იქნება.

ოსიპმა დაიწყო ტირილი:

— მე რა შუაში ვარ. ვიყავი ჩემთვის. მოვიდა ყეზრა შათაშვილი. დიდი გაბაი ვარ, დიდი ვაჭარი ვარ, ესა და ესაო. წამიყვანა რესტორანში და გამაბრიყვა. თუ ეხლა გამიშვებთ და არაფერს მიზამთ, მაშინ მე წავალ და ყეზრა შათაშვილს ისე მოუგრეხავ კისერს რო დაავიწყდეს თავის გაბაობა და თავის დანიშნულიც.

მეგობრებმა გადაიხარხარეს.

ნათანი მიუახლოვდა ოსიპს, რევოლვერი დაბლა დასწია, მხარზე ხელი დააოდო და ოდნავ დამტუქსავი კილოთი უთხრა:

— უნდა გრცხვენოდეს, ოსიპ. უმაღლეს სასწავლებელში სწავლობ და ამისთანა მეთოდებით მოქმედობ.

— რევოლვერი კარგი მეთოდია?—შიშით შეეკითხა ოსიპი.

— ეს ისეთივე რევოლვერია, როგორი სიმართლეც შენთვის ყეზრა შათაშვილს უთქვამს. ხედავ, როგორი ძველია, ჟანგიანი, გაცვეთილი, შიგ არც-ერთი ტყვია არ არის. ნუ თუ მართლა გგონია, რომ ნათან ჯანაშვილი შენსავით კაცს გაიმეტებს საპიკვდილოდ?

— მაშ აბა შენ ავგუსტინას არ ეარშიყები?

— არა, ჩემო ოსიპ. ყეზრა შათაშვილს შენთვის უთქვამს ჭორი, სისულელე. ნუ თუ ისე დაბრმავდი, რომ ვერ მიუხვდი თუ როგორი პირადი ინტერესებით მოქმედობს ჩემს წინააღმდეგ? ხოლო შენი თავი კი მას სურდა გამოეყენებია ბრმა იარაღად.

— მივხვდი, მივხვდი, გავიგე. გამიშვით ეხლა და მე იმას ყოფას ვუწვალებ.

— გაშვებით გაგიშვებთ. ჩვენ არ დაგაკავებთ და არც გავახმაურებთ ამ ამბავს, ხოლო ყეზრა შათაშვილს კი თავი დაანებე. რა საჭიროა უაზროდ იჩ-

ხუბო. ის კაცი მაინც ისეთივე დარჩება, როგორიც იყო. კუზიანს სამარე გაასწორებს. გაგიგონია, ოსიპ?

— ოსიპიც გაასწორებს.

ისევ გაიცინეს, ხოლო ოსიპმა, ამით უფრო გამხნევებულმა, ბიძაშთა ბათანს:

— ოღონდ ავგუსტინას თავი დაანებე და ოსიპი შემოგევლოს.

— აი ჩემი ხელი ოსიპ, რომ მე ავგუსტინა სრულიად არ მაინტერესებს.

ოსიპმა მადლიერი გრძნობით მაგრად ჩამოართვა ხელი და შეეკითხა:

— წავიდე?

— რასაკვირველია.

ოსიპს თვალები გაუბრწყინდა და კარის გამოღებამდე სიხარულით შესძახა:

— გიყვარ—დეს...

5

დანიელ თაფლიაშვილმა შაულ ათანელიშვილის დახმარებით საქმე მოუგო ბენიამინ ბერიძეს და ამ დღის შემდეგ იგი გახდა უმუშევრად. ბენიამინ ბერიძესთან მას აღარ ჰქონდა მისასვლელი პირი, ყეზრა შათაშვილს თავისი თავი ისევ სიძედ მოჰქონდა, ხოლო დანარჩენი ვაჭრები ბენიამინის მორიდებით არ აძლევდენ ნისიას—მოხუც ღარიბს. დანიელი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და აღარ იცოდა რა ექნა. ეს მოგება მის შემეცნებაში უკვე დიდ წაგებას უდრიდა.

ჩვეულებად გადაექცა შაულთან და ნათანთან სიარული, უფრო ნათანთან, რომელთანაც ამ ბოლო დროს ხშირად შაულიც შემოდიოდა.

ნათანი დამტვერილი თაროებიდან ალაგებდა იატაკზე უყდო წიგნებს.

შაული ხარბად შეჰყურებდა ყოველ წიგნს და წვიმით დასოვლებულ დანიელის შემოსვლა—ოთახში მყოფთ თითქმის არც გაჰკვირვებიათ.

დანიელს უყვარდა ფანჯარასთან ჯდომა, ნაკლები ლაპარაკი, სხვების ყურის გდება.

გარედ წვიმა ასხამდა კოკისპირულად და ქუჩაზე ღვარი იდგა.

როცა დანიელის ახალგაზრდა მეგობრები კამათობდენ, დანიელი მხოლოდ იმას ნატრობდა, რომ რომელიმე მათგანს მისი პატარა რუთი შეერთო.

მაგრამ დღევანდელმა ლაპარაკმა, აზრთა სხვადასხვაობამ, მათმა კამათმა დანიელი დააბნია და თავის თავს მისცა ასეთი შეკითხვა:

„ორივენი კარგი ახალგაზრდები არიან. ორივეს კარგი გული აქვთ და ადამიანებისათვის ცუდი არ უნდათ. ვის მხარეზეა სიმართლე? განა სიმართლეც სადაოა?“

უცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს, კამათი გრძელდებოდა, მაგრამ დანიელმა მაინც ვერ გადასჭრა თავის საკითხი.

ერთი იცოდა მხოლოდ, რომ მშიერი იყო და მისი ცოლშვილიც პურის მოლოდინში სტიროდა და ცრემლად იღვრებოდა.

— „რა უნდა ჰქნან ამ კარგმა ახალგაზრდებმა? ნეტავი თვით დანიელს ჰქონდეს და მისცეს რამე მათ“—ჰფიქრობდა ასე და მაინც, უნებურად ყურს უგდებდა.

ნათანი ეუბნებოდა შაულს:

— ეს წიგნი ევდოშვილის ლექსების კრებულია. მე შემიყვარდა ევდოშვილი მისი უაღრესი ლირიკისათვის. იგი ხშირად მაგონებს ჰეინეს. ბევრ-ბევს ებრაელებზე დაწერილი ორი ლექსი: „ისმინე ერო ისრაელისა“ და „ტირილი ებრაელებისა“. ებრაელი ერის ტრაღედია ასე ღრმად არ განუცდია არც ერთ ქართველ პოეტს. მე წაგიკითხავ ზოგიერთ კუპლეტებს. თქვენ ხომ არ მოიწყენთ ძია დანიელ?

— არა, შვილო. იკითხე.

და ნათანმაც აღელვებით და პათეტიურობით წაიკითხა:

„კიდითი კიდე მთელი ქვეყნისა,
უცხოთა შორის უცხოხი მარად,
დატანჯულები, დაქსაქსულები,
გზა დაბნეულნი დავძრწით მთა—ბარად“...

. . . . . .

ოხ, მართალს ამბობს...სხვითა კარებზე
ლუკმა პურით ხომ კბენარიც ძღება,
და ისრაელი, როგორც ოთხფეხი,
წელში მოხრილი დაიკაკვება“.

დანიელმა ამოიოხრა და თავისთვის წაიბუტბუტა:

— როგორც ოთხფეხი... წელში მოხრილი...როგორი სიმართლე უთქვამს.

ნათანს შეებრალა დანიელი და გაგრძელება დაუმძიმდა.

დანიელმა შეატყო და თვითონ მოსთხოვა ნათანს, რომ კითხვა არ შეეწყვიტა. ნათანმაც განაგრძო:

„აღარც წარსული...მამათ ჭაღარა...
არც მომავალი შვილთა ჩემთათვის,
„მხდალი ურია, გადმოკარგული“
ყველა თხის გოგრა ასე მომძახის“.

. . . . . .

„ვისაც სახლკარი არა აქვს თვისი
სამშობლო მაინც მას გააჩნია,
ისრაელი კი, როგორც ფოთოლი
ქარს სათამაშოდ გაუტაცნია“.

. . . . . .

„ვწყევლი განთიადს, რადგან არ ვიცი
სად დამიკრავს ბინდს, სად დაღამდება
და ვწყევლი ღამეს, რადგან არ ვიცი
სად რომელ კუთხეს, გამითენდება“.

. . . . . .

„ან და—ზურგს თოფრა მოკიდებული
თავ ჩაღუნული რომ მივალ გზაზე,
ვხედავ ამაყ შვილს, ამაყი ქვეყნის
და მობუზული გაურბი განზე“...

ნათანმა შესწყვიტა. დანიელი ცრემლს იშრობდა, ხოლო შაული იცქირებოდა გაურკვეველი მიმართულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიელის ცრემლებმა ცხადჰყვეს მისი სიმპატია ავტორისა და ნათანის მხარეზე, ხოლო ნათანისათვის უფრო საყურადღებო იყო თუ რას ჰფიქრობდა შაული, რომელსაც თითქმის განგებ პირი მოეკუმა და ხმის ამოღებას არ აპირებდა.

— არ მოგწონს?—შეეკითხა ნათანი, რომელმაც მოთმინება დაჰკარგა. შაულმა გაურკვევლად გადააქნია თავი და ნათანმა შეკითხვაზე პასუხი ვერ მიიღო.

მაშინ ნათანმა ქვედა თაროდან გამოიღო ფრუგის ლექსების კრებული, წითელი ფანქრით ხაზი გაუსვა ერთ კუპლეტს და უთხრა შაულს:

— გაგიგონია ფრუგი, ებრაელი პოეტი, რომელიც სწერდა რუსულ ენაზე? შენ ვერ წარმოიდგენ რა რიგ მგრძნობიარე პოეტია. ბავშობაში მიტაცებდა მისი ლეგენდა მისტიური ცრემლების თასის შესახებ, სადაც სათითაოდ სწვეთავს ქვეყნის გამჩენის ცრემლი ებრაელი ერის ყოველი გაჭირვების დროს. მაგრამ იგი არ ივსება. ხოლო როცა აივსება—გაჭირვებაც შესწყდება და ქვეყნად მოვა მესსია მხსნელი. და აი ფრუგის ლექსში პატარა ბავში ეხვეწება დედას, რომ იგი იტირებს და დეე დედა ღმერთს შეევედროს, რომ მისი ცრემლები შეუერთდეს თასის ცრემლებს, იქნებ იგი მალე აივსოს, იქნებ გაჭირვება შესწყდეს, იქნებ...

— და შენ, ნათან, გწამს ყოველივე ეს?

— მე ეს მწამდა ბავშობაში, გიმნაზიის პირველ კლასებში. მას შემდეგ განვლეს წლებმა. ეხლა გაცილებით უფრო მომწონს მისი სხვა ლექსი. აი მე წაგიკითხავ ერთ კუპლეტს. ეს არ არის მარტო ლექსი. ეს მე ვარ, ეს შენ ხარ, ეს დანიელია. ეს ყოველი ჩვენთაგანია. ეს ჩვენი ბედია და გალუთის [1] შესანიშნავი დახასიათებაა. რამდენჯელ წამიკითხავს და რა რიგ მიყვარს იგი:

„Друг мой, я вырос в темнице холодной,
сыном неволи и скорби народной.
Два достоянья дала мне судьба:
жажду свободы и долю раба“.

ნათანმა შთაბეჭდილების გასაძლიერებლად გაიმეორა უფრო ხმამაღლად. შაული ჰგრძნობდა თავის სახეზე ნათანის თვალებს. ალმოხდა მშრალად:

— არ მომწონს.

— არა?—გაოცდა ნათანი.

შაული მოცილდა წიგნებს, დაეყრდნო მაგიდას, მიაჩერდა პირდაპირ ნათანს და მეტისმეტად აუღელვებელი, მაგრამ დამაჯერებელი კილოთი დაიწყო:

— არც ევდოშვილი-და არც ფრუგი ჩვენთვის მისაღები არ არის. მაგათი ლექსები დანიელ თაფლიაშვილის მშიერი ოჯახის მდგომარეობას ვერ გამოასწორებს.

— ეს პოეზიის დამცირებაა, შეუფასებლობაა.—შეაწყვეტინა ნათანმა.

— არ ვიცი რა ჰქვია ამას. მე კი მგონია, რომ მიუხედავად ჩემი მაზოლებისა, სიმართლე ჩემს მხარეზეა. აბა მითხარი ნათან, შენს ამოდენა წიგნებში—არ გაკლია უმთავრესი ავტორი, რომელიც ყველაზე მოწინავეა მთელ მსოფლიოში, ჩვენს ეპოქაში?

[1] გალუთ—ტყვეობა, დიასპორა.

ნათანი გაოცებით შესცქეროდა თვითგანვითარებულ შაულს.

— ლენინი გაქვს?

— ლენინი?

— ჰო, ლენინი.—და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა:—ეს ისი ორა დასწერა ლენინმა ებრაელების შესახებ?

ნათანი გაწითლდა დამნაშავესავით, ხოლო დანიელი უდიდესი ცნობის მოყვარეობით ადევნებდა თვალყურს მათი აზრების სხვადასხვაობას.

შაული განაგრძობდა:

— ფრუგი და ევდოშვილი სტირიან ებრაელების ბედზე. ფაქტს ადასტურებენ და მოთქვამენ. იმათ გამოსავალი არა აქვთ. „თავისუფლების წყურვილი და მონის ხვედრი“—გაიძახის ფრუგი. ეს ხომ გაკოტრებაა, იდეოლოგიური მათხოვრობაა...

უკანასკნელ სიტყვებზე ნათანმა შუბლი შეიქმუხნა, ხოლო შაულს არაფერი შეუმჩნევია და თანდათან უფრო მეტი ხალისით ამტკიცებდა თავის აზრს:

— ეს ლექსები—ფაქტიურად თვალების ახვევაა. სად არის აქ წამალი? რისთვის არ არის ცეცხლი, იმედი, მოწოდება ბრძოლებისათვის, უკეთესი მომავლისათვის? რისთვის არ არის ღარიბი კაცი გამოყოფილი მდიდრისაგან? რისთვის არ არის მოცემული მოქმედების გეგმა? რისთვის არ არის ნათქვამი: სად არის ხსნა? რისთვის არის შერიგება ამ მონურ ხვედრთან და არ არის გაკიცხული ეროვნებათა შორის შუღლის ჩამომგდები შავი ადამიანები? აქ არის ტირილი, წუწუნი, მოთქმა, გოდება. აქ არის ფაქტიური შერიგება ანტისემიტიზმთან, ძველი, მეფური დროის რუსეთის შავრაზმულ იდეებთან. აქ არის მონური ხვედრი, აქ არის მათხოვრობა...

„მათხოვარი...აქაც მათხოვარი“—უსიამოვნოდ გააჟრჟოლა ნათანს და მეტის მეტად მწყრალი თვალებით გადახედა თავის ახალ მეგობარს, რომელიც ვერ ჭგრძნობდა თუ როგორ ტკივილს აყენებდა ნათანის გულს თავისი პირდაპირი და „უცნაური“ აზრებით.

ნათანისათვის შაულის სიტყვებში იყო რაღაც ახალი, მაგრამ შორეული, აბსტრაქტული, ბუნდოვანი. ძნელი იყო მისთვის იმ აზრის შერიგება, რომ შაული იქნებოდა მასზე უფრო ახალი და მოწინავე იდეების მატარებელი. არა!

„დეე შაულმა შეაფასოს ნათანის უდიდესი იდეები—„იდეოლოგიურ მათხოვრობად“. ეს ასე არ არის, არ არის!“

და მაინც ყურს უგდებდა შაულს, რომელიც თანდათან იერიშზე გადადიოდა.

შაულმა ჯიბიდან ამოიღო ორად დაკეცილი პატარა ბროშურა, გაშალა შუაზე, მონახა სათანადო გვერდი და სიხარულით განაგრძო:

— ეს არის ლენინი. წამოვიღე უჯრედიდან. თუ გინდა, ეხლა წაგიკითხავ ზოგიერთ ადგილებს.

— მესმის—ძალდატანებით მიუგო ნათანმა და უნებურად ყური მიაპყრო შაულს, რომელიც კითხულობდა ლენინის ყოველ სიტყვას, როგორ ლოზუნგს, მოწოდებას, კანონს, უდიდეს სიმართლეს.

—„რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკაში, საცა აღიარებულია ყველა ერების მშრომელთა მასების თვითგამორკვევის პრინ-

ციპი—არა აქვს ადგილი ნაციონალურ ჩაგვრას. ებრაელი ბურჟუა მტერია ჩვენი არა როგორც ებრაელი, არამედ როგორც ბურჟუა. ებრაელი მუშა—ჩვენი ძმაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარი დევნა, რომელი ერის მიმართაც არ უნდა იყოს ეგი—დაუშვებელია და სამარცხვინო.

სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს ანტისემიტურ მოძრაობას და დარბევებს—დამღუპველად მუშათა და გლეხთა რევოლუციის საქმისათვის და მოუწოდებს სოციალისტური რუსეთის მშრომელ ხალხს ყველა საშუალებებით ებრძოლონ ამ ბოროტებას.

ეროვნული მტრობა ასუსტებს ჩვენს რევოლიუციონურ რიგებს, აჭუცმაცებს ერთიან—განურჩევლად ეროვნებათა—შრომის ფრონტს და ხელს შეუწყობს მხოლოდ ჩვენს მტრებს.

სახკომსაბჭო უბრძანებს ყველა დეპუტატთა საბჭოებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები ანტისემიტური მოძრაობის ძირშივე აღმოსაფხვრელად. დამრბევლები დარბევის აგიტატორები გამოცხადებულ იქნენ კანონს გარეშე.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: ლენინი".

შაულმა ცოტახანს შეისვენა და დაუმატა:

— ლენინის ეს ერთი დეკრეტი—უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე ყველა ლექსები, სადაც ტირილის იქით საქმე არ მიდის. ლენინი—ძალაა, სიმართლის ძარღვი. ლენინი—უდაოა, ხოლო შენი ლექსები რა საცოდავად გამოიყურებიან მის უძლიერეს აზრებთან. აი კიდევ ერთი ადგილი მის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან:

„ებრაელები კი არ არიან მშრომელთა მტრები. მშრომელთა მტრებია—ყველა ქვეყნის კაპიტალისტები. ებრაელთა შორის არიან მუშები, მშრომელები—ისინი არიან უმეტესობა. ისინი ჩვენი ძმები არიან კაპიტალის მიერ დაჩაგვრაში, ჩვენი ამხანაგები არიან სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ებრაელთა შორის არიან კულაკები, ექსპლოატატორები, კაპიტალისტები; როგორც ყველა ჩვენს შორის, კაპიტალისტები ცდილობენ გააჩაღონ მტრობა სხვადასხვა რჯულის, სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა რასის მუშების შორის. მდიდარი ებრაელები, ისევე როგორც მდიდარი რუსები, როგორც ყველა ქვეყნის მდიდრები, ერთმანეთთან კავშირში ახრჩობენ, აწამებენ, აშორებენ ერთმანეთს მუშებს.

ზიზღი წყეულ ცარიზმს, რომელიც აწამებდა და სდევნიდა ებრაელებს!

ზიზღი მათ, ვინც სთესავს შუღლს ებრაელების მიმართ, ვინც სთესავს მტრობას სხვა ეროვნებების მიმართ!

გაუმარჯოს ყველა ერების ძმურ ნდობას და მებრძოლ კავშირს კაპიტალის დამხობისათვის ბრძოლაში".

შაულმა ოფლი გადაიწმინდა და მიაჩერდა დანიელს, რომელიც მიუახლოვდა შაულს, აღელვებით ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— მართალი დაუწერია, შვილო, ლენინს. რაც უბედურებაა ქვეყანაზე სულ მდიდრებისაგან მოდის.

ნათანი კი თავისი ფიქრებით ჯვარედინ გზაზე იდგა. მას არ უყვარდა მდიდრები, მაგრამ მდიდრების და ღარიბების ასეთი ღრმა დაყოფის მას შეეშინდა.

უფსკრული ღრმავდებოდა ნათანისა და შაულის შორის, ვინაიდან ლენინმა შეიტანა სიცხადე მათ ურთიერთ დამოკიდებულებაში.

— ვინც ლაპარაკობს ჩვენი ხალხის დაყოფაზე, ის ჩვენი მტერია—ამბობდა ნათანი.

— ვინც ლაპარაკობს ბენიამინ ბერიძისა და დანიელ თაფლიაშვილის ერთიანობაზე ის ღარიბი დანიელის მტერია—ამბობდა შაული.

— დანიელი მაინც მშიერია.—უკბინა ნათანმა.

— ეს დროებითია. საბოლოოდ დავამხობთ კაპიტალისტურ ნაშთებს და მაშინ...

— მანამდე?

როგორი შორეული თვალებით უცქერდნენ ერთმანეთს ნათანი და შაული!

დანიელი კი იყო ამ მტრული პაუზის უსიტყვო მოწმე და მონაწილე, გულს სტკენდა, რომ იგი გახდა ახალგაზრდების და „კარგი ადამიანების“ მწვავე კამათის ობიექტი და მწარედ ეკითხებოდა თავის თავს:

„რისთვის?“

● ● ●

ოსიპს უყვარდა მურაბა და ცალი დაჭუტული თვალით ყურადღება მთლიანად შეეწირა მისათვის, მაგრამ ხელის ხლების საბაბი არ ჰქონდა, ვინაიდან სამურაბე ჭურჭელი დახურული იყო და მაგიდაზე მის მეტი არაფერი იყო. გარდა ამისა ზებულონი იმუქრებოდა პენსნეს ქვეშ, ხოლო დანარჩენებიც უფრო მეტს ჰფიქრობდენ წამოჭრილ საკითხის ირგვლივ და, როგორც ჩანდა, ოსიპის გარდა მურაბა არავის ახსოვდა.

ოსიპისათვის—ის რაც ხდებოდა—ჩვეული და მოსაწყენი ამბები იყო უჩვეულო მხოლოდ მურაბა იყო და ამიტომაც ჯერჯერობით ესოდენ მიუწვდომელი და განუხორციელებელი!

მართლაც და, ოსიპის არ იყოს, იყო ნაცნობი სურათი:

კრება ზებულონისას და მაგიდის გარშემო—რვა ამხანაგი:

ზებულონი, სიმონი, იონა, არიელი, აბიშაი, ოსიპი, ცები, ნათანი.

თავმჯდომარე, როგორც ყოველთვის უცვლელი ზებულონი თავისი სერიოზულობით და მარად შეუსმელი ჭიქა წყლით.

სიმონი—წარბშეკრული, სერიოზული, მრისხანე. „ნეტავი ვისზე მოსდიოდა გული?“

იონა—ჩაწერილი იყო რიგში და მოუთმენლად ელოდა თავის სიტყვის დაწყებას. ყოველ შემთხვევაში პირველი ფრაზა უკვე მზად ჰქონდა: „იცით, რას გეტყვით?“...

არიელი, ჩვეულებრივად ჯერჯერობით დინჯათ იყო, მაგრამ ალბად მალე გამოელევა მოთმინება და „არარაობითი“—შეუკურთხებს ყველას.

აბიშაი—უხმოდ, ტუჩებით ბუტბუტებდა რაღაც გაურკვეველს და ოსიპს ეგონა, რომ იგი იმეორებდა რომელიღაც უთქმელ ლოცვას.

ცები და ნათანი კი იჯდენ მაგიდის ბოლოში და ჩვეულებრივად—შეადგენდენ თავშეკავებულ ოპოზიციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიურ წესრიგში იდგა ერთი საკითხი: ერთი დიდი საღამო—კონცერტის მოწყობა.

ინიციატორების აზრით საღამოს უნდა ჰქონოდა მრავალმნიშვნელოვანი ნაყურადღებო მნიშვნელობა: პოლიტიკურ—აღმზრდელობითი, სააგიტაციო და უმთავრესი—მატერიალური ბაზის შექმნა განზრახული კრებულის გამოსაცემად.

როცა დაასრულა ზებულონმა ყოველივე ამის დასაბუთება, არიელმა განაცხადა:

— მე სერიოზულად ვეპყრობი ამ საკითხს. არამც თუ ხელს შეგიშლით, პირიქით ყოველ ნაირად ზურგს გაგიმაგრებთ, მაგრამ ნება მიბოძეთ გამოვთქვა ჩემი განსაკუთრებული პესიმისტური აზრი ამ არდაბადებულ კრებულის შესახებ. დაიხსომეთ კარგად ჩემი სიტყვა: ეხლა არის ათასცხრაასა ოცდა ორი წელი, უკაცრავად, უკვე კიდეც ილევა, მაგრამ ეს საქმეს არა ცვლის. გაივლის ათი წელიწადი და იქნება ათას ცხრაასა ოცდა ორმეტი წელიწადი და ჩვენი კრებული მაშინაც არ იქნება გამოცემული.

ზებულონს სახეზე გაოცება დაეტყო, პენსნე გაისწორა, ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა, თავისთვის მრავალმნიშვნელოვანად წარმოსთქვა „აჰა“ და არიელს მიუბრუნდა:

— ეს რისთვის ამხანაგო არიელ?

— იმისათვის, რომ თქვენ საქმის ხალხი არა ხართ. თქვენ ყველანი ხართ არარაობა...

— ვნახავთ, ვინ იქნება არარაობა—უპასუხა ზებულონმა და განაგრძო:

— მე ამ საკითხს არ ვაყენებ პრინციპიალურად. იგი უკვე მიღებული და გადაჭრილია. მე ეხლა წაგიკითხავთ პროგრამას და შემდეგ ვიმსჯელოთ.

— ბუფეტი ხომ იქნება? მე და ავგუსტინა ვიმუშავებთ ერთად—წამოიძახა ოსიპმა.

გაისმა საერთო სიცილი, ხოლო ზებულონმა თავი შეიკავა და სერიოზული სახის გამომეტყველებით მიუბრუნდა ოსიპს:

— დასტოვებ კრებას...

ოსიპმა სინანულით გადახედა მურაბას და ბოდიშის მსგავსად წაილულლულა:

— კაი შე კაცო... მეტს აღარ... აი გავჩუმდი, ხმა ჩავიკმინდე.

— აჰა—წარმოსთქვა ზებულონმა და შეუდგა პროგრამის კითხვას.

პროგრამა შესდგებოდა სამი დიდი ნაწილისაგან. პროექტით უხვად იყო მრავალნაირი გასართობი: აზიური მუსიკა, ცეცხლის აღლუმი, ფოსტა, ფერადი სანათურები, აუქციონი.

ერთმა სახელწოდებამ გამოიწვია სიმონის მიმართვა თავმჯდომარისადმი:

— გთხოვთ გაიმეოროთ...

— კაბარე.—გაიმეორა ზებულონმა.

— მე წინააღმდეგი ვარ—განაცხადა სიმონმა ავტორიტეტულად.

— თქვენ იცით რა არის კაბარე?—შეეკითხა გაბრაზებული თავმჯდომარე.

— მე არც მსურს გიპასუხოთ ამ საკითხზე. მე წინააღმდეგი ვარ. მორჩა და გათავდა.

— მეც.—განაცხადა იონამ.

— აჰა, შენც.—და ზებულონმა მაგიდაზე მუშტი დაჰკრა: —იყოს სმენა და დისციპლინა! კრებაზე აღვირახსნილობას არ დაუშვებ.

— რა აღვირახსნილობაა საკუთარი აზრის გამოთქმა—აპილპილდა აბიშაიმეც წინააღმდეგი ვარ. ჩვენი ხალხი არ არის შეჩვეული მაგნაირ ამბებს. უცბად არ შეიძლება ყველა ისეთი გასართობის ჩვენება, რაც ეწინააღმდეგება მის რელიგიურ მრწამსს. საჭიროა სიფრთხილე, საჭიროა ტაქტიკა.

— მე შენ გიჩვენებ ტაქტიკას, შე ღმერთის ვირთხავ! სიჩუმე. ნუ იქნება უწესრიგობა. მე კენჭს ვუყრი ჩემს წინადადებას. ვინ არის მომხრე კაბარესი?

ხელი ასწიეს ზებულონმა და ოსიპმა.

— ვინ არის წინააღმდეგი?

ხელი ასწიეს სიმონმა, იონამ და აბიშაიმ.

— ვინ შეიკავა თავი? არიელმა, ნათანმა და ცებიმ. მაშასადამე—რა გამოვიდა? კაბარე—უარჰყავით, ეს ხო უაზრობაა, ეს ხო საქმის დაღუპვაა. თქვენ მტრები ხართ ჩვენი საერთო საქმისა, ჩვენი ხალხისა, ჩვენი აღორძინებისა, ჩვენი...

— შეაჩერე მატარებელი! ეხლა ხომ ხართ ნამდვილი არარაობა...

— არარაობაც ხართ და უმსგავსოებაც! თქვენ ღირსი არ ხართ ატარებდეთ ებრაელ სტუდენტის სახელს.

სიმონმა მაგიდაზე მუშტი დაჰკრა:

— აღარ გაიმეორო თორემ გახანებ...

ზებულონი აპირობდა გამეორებას, ხოლო სიმონი ემზადებოდა ფიზიკური ჩხუბისათვის. შუაში გადადგენ არიელი და იონა, ხოლო აბიშაი აქნევდა ხელს და ჰყვიროდა:

— დაწყნარდით, კაცო, დაწყნარდით. ეს რა გამოვიდა. კაბარე-კებურა [1] გახდა.

— ჰო, შენ მართალი სთქვი, კებურა. ამაღამის შემდეგ მე თქვენი ამხანაგი არა ვარ.—განაცხადა ზებულონმა.

— აღარც მე—გვერდში ამოუდგა ოსიპი.

— არც საჭიროა თქვენი თავი. დაუსვი წერტილმძიმე ოსიპის უტვინო შუბლს და ემთხვიე რბილ ნაწილზე...—გამოაჯავრა სიმონმა.

— ხმა...

— ხმა...

კიდევ ერთხელ მიიწ-მოიწიეს, მაგრამ უშედეგოდ. საერთო ენა დაიკარგა, ხოლო ოსიპი ტყუილა იშიშვლებდა მკლავებს ზებულონის დასაცავად. ნათანმა და ცებიმ ამხანაგები სათითაოდ გამოიყვანეს ზებულონის ოთახიდან, სადაც დარჩენ მარტო ზებულონი და ოსიპი.

გარედ გამოსვლისას იონამ განაცხადა:

— იცით, რას გეტყვით... ზებულონთან დარჩა მარტო ოსიპი. რისთვის დარჩა? მხოლოდ მურაბისათვის.

● ● ●

ზებულონთან კავშირის გაწყვეტა—საკმაო საბაბი იყო და ნათანმა გადასწყვიტა ინიციატივის ხელში აღება.

[1] კებურა—სამარე.

— ან ეხლა, ან არასოდეს—ეთანხმებოდა ცებიც.

ზებულონის ოთახის დატოვების შემდეგ, ყოველი მათგანი ჰგრძნობდა, რომ ამაღამვე საჭირო იყო რაღაცა ახალის გაკეთება, გაფორმება, რომელიც ახლა თავისი გულისწყრომის გამოთქმა.

ქუჩაში მიდიოდენ დაღვრემილები.

— რაც უნდა მომხდარიყო—მოხდა. წავიდეთ ამხანაგებო ჩემთან და მოვილაპარაკოთ.

ნათანის წინადადებას შეხვდენ დიდი ხალისით, რამაც შეამცირა მანძილი ნათანის პატარა ოთახამდე. ზებულონის დიდი ოთახის შემდეგ მეტად ვიწროდ ეჩვენებოდათ ამხანაგებს ნათანის ოთახი, მაგრამ ამ სივიწროეში იყო მეტი სითბო, რაღაც გაურკვეველი პერსპექტივების იმედი და შემამჭიდროებული ძაფები.

ლაპარაკობდა ნათანი. და საოცარი იყო. უსმენდა ყველა, უსმენდა სიმონიც, ვინაიდან ჯერ არასოდეს არ ულაპარაკნია ნათანს ასეთი თავდავიწყებით, ასე ლამაზად და ასე ძლიერად. ახალგაზდური ცეცხლი, უშრეტი ენერგია, საქმის ღრმა სიყვარული, გაურკვეველი ახალი გზები და რეალურად გაკეთების სურვილი—არ როგორ იყო მისი პროგრამა.

— სიძნელეები?—ასრულებდა ნათანი—შეგვხვდება არა ერთი. ასობით, ათასობით. ყოველ ფეხის ნაბიჯის გადადგმაზე. უნდა შევშინდეთ? არა. უნდა ვიაროთ წინ, მუდამ წინ—და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი მიზანია—რეალურად საქმე გავაკეთოთ. გვეყოფა ჩხუბი, კამათი, დაუსრულებელი ლაპარაკი. გაიხედეთ ამხანაგებო, ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ ძილს შეუპყრია. სძინავს მას ათეული საუკუნეები. ჩვენი ვალია გავაღვიძოთ სამკითხველოებით, სკოლებით, გაზეთებით, კულტურის ათვისებით. უმთავრესი ამოცანაა—შევკავშირდეთ მტკიცედ, კორპორატიულად, რომ არ განმეორდეს ამიერიდან ზებულონის ამბავი, რომ გვქონდეს ერთმანეთის ნდობა, სიყვარული, პატივისცემა, რომ უმწიკვლოდ ვემსახუროთ საერთო მიზანს, რომ ვუჩვენოთ ყველა მერყევებს და სხვადასხვა ჯიშის მოაზროვნეებს, რომ სიმართლე მხოლოდ ჩვენს მხარეზეა, რომ კულტურული რევოლუციის მოხდენა შეგვიძლია მხოლოდ ჩვენ, რომ არ დავყრით ფარხმალს ვიდრე ძირიანფესვიანად არ გადავაბრუნებთ ფეთხაინის დამყაყებულ უბანს და ვიდრე საქართველოს ებრაელსაც არ გავხდით ღირსეულ მოქალაქედ.

გაისმა ძლიერი ტაშისცემა.

— ფიცია საჭირო—დაიძახა აბიშაიმ.

— ფიცი, ფიცი!—მისცეს მას ბანი დანარჩენებმა.

პირველად დაიფიცა ნათანმა:

— ვფიცავ ჩემი ხალხის მზეს, ჩემს სიყვარულს მისდამი, რომ ვიქნები მარად ერთგული ჩვენი ახალი ჯგუფისა, რომელმაც თავის დროშას დააწერა წინსვლა და შრომა.

ნათანი შესცვალა ცებიმ:

— თუ დაგივიწყო ერო ჩემო, გახმეს ჩემი მარჯვენა!

აბიშაიმ დაიფიცა თავისებურად:

— ვფიცავ ღმერთს, რომელიც მიყვარს და რომლის წინაშე ვლოცულობ დღეში სამ ლოცვას, რომ ვიყო ერთგული ისრაელის ხალხისა.

— დეე გადმაქციოს ყოვლის შემძლემ არარაობად თუ გიღალატოთ თქვენს ახალ დაწყებულ საქმეში.—წარმოსთქვა არიელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიცი მიიღეს სიმონმა და იონამაც.

შემდეგ წამოიჭრა საკითხი, რომ ჯგუფისთვის მიეცათ სახელწოდება. გაისმა რამოდენიმე წინადადება:

— შრომა!

— წინსვლა!

— ფოლადის ჯგუფი!

— მებრძოლი ებრაელი!

— მაქაბი! [1]

— დავიდის ფარი!

აბიშაიმ დაასაბუთა, რომ ყველაზე უფრო შესაფერისი იქნება უკანასკნელი წინადადება, ვინაიდან ამხანაგობა შესდგება ექვსი წევრისაგან, ხოლო დავიდის ფარიც წარმოადგენს ექვსკუთხედს. აბიშაის წინადადება ერთხმად მიღებულ იქნა.

ამის შემდეგ გადაეხვიენ ამხანაგები ერთმანეთს და გადაჰკოცნეს.

— დავითის ფარო! ხვალიდან, მუშაობა, ბრძოლა, ცეცხლი! — ამბობდა ნათანი.

— ხვალიდან მუშაობა, ბრძოლა, ცეცხლი!

— მუშაობა, ბრძოლა, ცეცხლი!

— ბრძოლა, ცეცხლი!

— ცეცხლი! —

იძახოდენ სათითაოდ და იყო ენტუზიაზმი აუწერელი და შინაგანი წვამამლის ყივილზე დაიშალენ ამხანაგები.

ცები დარჩა ნათანთან ღამის გასათევად.

დიდხანს იბაასეს მეგობრებმა, ვიდრე იმათაც არ ჩაეძინათ.

დილაზე ცები ვააღვიძა ნათანის ყვირილმა:

— ცები!

— რა იყო ნათან?

— აი ხედავ... მარჯვენა მხარეს დგას ბენიამინ ბერიძე და მეძახის მათხოვარს... მარცხენა მხარეს დგას შაულ ათანელიშვილი და მეძახის მათხოვარს... არა, არა! მე მათხოვარი არა, ვარ. მე ვდგევარ თქვენს შუაში და ვარ ნათან ჯანაშვილი. ფარი... აწი მე ჩემთან ერთად არის ამხანაგი ცები და ფოლადისებური ჯგუფი — დავიდის თქვენ გიჩვენებთ მათხოვარს...

— დაწყნარდი ნათან! ავად ხო არ ხარ? აქ არავინაა.

ნათანი ჩუმად იყო.

ცები ნელა წამოდგა, სიფრთხილით მიუახლოვდა მეგობრის საწოლს, ღრმად ჩაუკვირდა ნათანის თვალხუჭ მძინარე თვალებს და გაუსწორა საბანი, რომელიც სანახევროდ იატაკზე ეგდო. შემდეგ მიბრუნდა თავის საწოლზე, წამოწვა მაგრამ ძილი აღარ მიეკარა და გვიანობამდე შეუბრალებლად დასდევდენ: ნათანი, „დავიდის ფარი“, განვლილი ღამე.

● ● ●

(გაგრძელება იქნება)

---

[1] მაქაბი — ისტორიული „გმირი ძმების“ გვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფო მგელაძე

გზა და გზა *

კარებთან პოლინა გაუბედავათ შედგა. მაგრამ როდესაც დაინახა ავადმყოფი და ფერმკრთალი ზურაბი, ადგილიდან ერთბაშად მოსწყდა, მისი ლოგინის წინ მუხლებზე დაეშვა და თავი ქვითინით მის გულში ჩამალა.

— ადექი პოლინა, წარმოსთქვა ზურაბმა დაღლილი ხმით და შეეცადა არ შეემჩნევინებინა მისთვის ის ჯანღი, რომელიც მის თვალებში იწვა და რომელიც მის სახეს ჩრდილავდა.

— მე არავისთვის არ მიმიცია არც ჩემი სიქალწულე და არც ჩემი ქალობა, მე წამართვეს ის, წამართვეს ძალად და ვერაგულად.

ზურაბი გაფითრდა და მის სხეულზე თითქოს ჭიანჭველებმა დაიწყეს ცივი ფეხებით სიარული.

— ეს მოხდა მოსკოვში ჩასვლის პირველ წელს. მე გავეცანი იქ კურსისტკებისა და სტუდენტების ჯგუფს, რომელიც მუშაობდა არალეგარულად, შევედი მათთან და დავიწყე ფარულ კრებებზე სიარული. ჩემს ამხანაგ ქალებში ერთი პოლონელი ქალი ყველაზე მეტად მიყვარდა. ერთ დღეს სწორედ ეს ამხანაგი დაიჭირეს ჟანდარმებმა ქუჩაში, ბინა გაუჩხრიკეს და აღმოაჩინეს რამდენიმე აკრძალული ბროშურა. ძალიან შემაწუხა ამ ამბავმა და მეც წავედი თხოვნით ერთ ერთ მოხელესთან, რომელსაც შეეძლო მისი განთავისუფლება. როცა კაბინეტის კარები შევაღე, შიშმა ამიტანა ისეთი ველური გამოხედვა და ბოროტი გამომეტყველება ქონდა იმ კაცს.

— მობრძანდით— წარმოსთქვა მან. თქვენ ქართველი ხართ?

— დიაღ, ბატონო— მიუგე მე და შევეცადე არ შეემჩნია ჩემ სახეზე ის ზიზღი, რომელიც აღიძრა ჩემში მის დანახვაზე.

— რითი შემიძლია გემსახუროთ? — მეკითხება ის და დაჟინებით მათვალიერებს. მე მოკლედ აუხსენი საქმის მდგომარეობა.

— როგორც ჩანს, დამნაშავე არ უნდა იყოს, აკრძალული ბროშურები შეიძლება შემთხვევითაც მოხვდეს ადამიანის ბინაზე. ხვალ საღამოს შვიდ საათზე შემოდით ჩემთან და ვეცდები გაგინთავისუფლოთ ამხანაგი. ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი კილოთი ითქვა და ისე ცინკურად შემავლო თვალი, რომ გავწითლდი, მაგრამ პასუხით მაინც კმაყოფილი დავრჩი. იმდენათ ახალგაზრდა და

---

* გაგრძელება იხ. მნათობი № 6-7.

იმდენათ გამოუცდელი ვიყავი, რომ ვერ მივხვდი, რა იყო მისი ასეთი თავაზიანობის მიზეზი. მეორე დღეს ისევ მივედი მასთან. იმავე კაბინეტში მიმიღო, კარები ჩაკეტა და მითხრა, თუ რა ფასით შემიძლია დავიხსნა ამ ... ...

— ადამიანს, რომელმაც დამასწავლა ხელოვნების სიყვარული, რომელმაც დამიხსნა საშინელი მომავლისაგან და რამდენათ დიდია მისი ღვაწლი, იმდენათ დიდია ჩემი სიყვარული მისდამი.—ამ სიტყვებით ხელი დაეჭირა მას და ისეთი გიჟური გატაცებით მოეხვია, რომ ქალის სხეულს ცეცხლი წაეკიდა. წუთით თითქოს აზროვნების უნარი დაეკარგა, მაგრამ ჩქარა ისევ დაუბრუნდა ცნობიერება და აღშფოთებით ხელი ჰკრა აღელვებულ მამაკაცს.

— გასწი აქედან, გასწი ეხლავ, ამავე წამს—ამბობს მარინა ანთებული სახით და ანატოლის კარებზე უთითებს.

— ნუ გამაგდებ, მარინა, მე ხომ მიყვარხარ შენ·

— მე რომ არ მიყვარხარ, მე რომ მეჯავრები?!

— სტყუი— შენი სხეული უპასუხოდ არ სტოვებდა ჩემს სხეულს.— ის იღვენთებოდა ჩემს მკლავებში, ის ეკვროდა ჩემს მკერდს და ეხლაც, ეხლაც შენ თრთი, თრთი აღელვებისაგან და ვნებისაგან. ჩამოიგლიჯე ეს მეშჩანური პირბადე და მეჩვენე, მეჩვენე შენი ნამდვილი სახით.

— აი ჩემი სახე—და ამ სიტყვებით სურათზე მიუთითა.

— არა, შენ არ გევხარ მას ეხლა. ამ წუთში შენში იწვის ქალი, ქალი, მთელი თავისი ვულკანური ვნებით.

— ვნება სიყვარული არ არის.

— ვნება ანსახიერებს სიყვარულს. აცოცხლებს მას. სიყვარული უვნებო, ეს ამომშრალი აუზია, რომელსაც არ მიუახლოვდება არც ერთი მოწყურებული ადამიანი. ნუ მკრავ ხელს, ნუ უარყოფ ჩემს ახალგაზრდობას, ვიცოცხლოთ ლამაზი სიცოცხლით და დავიწვათ სიყვარულის გიჟური ექსტაზით. ეს სიტყვები ისეთი გატაცებით ითქვა და ამ სიტყვებში იმდენი გულწრფელობა ისმოდა, რომ მარინას შეეშინდა საკუთარი თავის.

— მე მიყვარს სხვა. გესმის? სხვა მიყვარს.

— დიტო? ის არასოდეს...

— მე დიტოზე არ ვლაპარაკობ.—ამ სიტყვებით ფანჯარა გამოაღო და საღამოს გრილ ნიავს გახურებული სახე მიაგება.

გვიანი შემოდგომის სევდიანი დღე იყო და ეს სევდა ოთახში ნიავთან ერთად შემოიჭრა.

ანატოლი ერთბაშად ჩაქრა. უაზროდ თმები უკან გადაიყარა და არეული ნაბიჯით კარებისაკენ გაემართა.

— ანატოლი!!

— რა გნებავთ? თქვენ გიყვართ სხვა—წარმოსთქვა მან გარინდებული სახით და გაყინული თვალებით გახედა სივრცეს.

მარინა შეაშინა მისი სახის გამომეტყველებამ, მიირბინა მასთან და მის ხელებს ბავშვივით მიეფარა.

— დამშვიდდი, ანატოლი. დარჩი კიდევ ცოტა ხანს. ჩვენ ხომ ისევ... მეგობრები ვართ?!

— გმადლობთ მაგრამ.. მე უნდა წავიდე. და ამ ალერსმა მასზე არავითარი გავლენა არ მოახდინა.

— სად მიდიხარ ეხლა?

— ქუჩაში. —მოუჭრა მოკლეთ და კარები საჩქაროთ გამოალო. გასვლისას ერთხელ კიდევ მოხედა მას და მის თვალებში ჩაწოლილი ცხელი რაღაცა შუქმა ერთბაშად გასჭრა.

კარები დაიხურა..

*
* *

— პოლინა, ხედავ ამ კუდებს? —შეეკითხა მარინა მას და ერთერთი კოოპერატივის წინ მიუთითა.

— ვხედავ, ჩემო კარგო.

— როდის უნდა მოეღოს ბოლო ასეთ მდგომარეობას?!

— უნდა მოვითმინოთ, ბეგობარო. სოციალიზმს ვამყარებთ. რევოლიუცია ქორწილი არ არის...

— გჯერა, რომ ევროპასაც მოედება ეს ცეცხლი, რომელიც ანთია საბჭოთა კავშირში?

— ეს რომ არ მჯეროდეს ვერც ამდენ უბედურებას ავიტანდი.

— ვერ წარმომიდგენია საბჭოთა ევროპა, ეს ლორდების, ბარონების და გრაფების ქვეყანა კომუნიზმის ცეცხლით აფეთქებული.

— წარმოიდგინე ერთის წუთით და ნახე რა მოგეჩვენოს.

პაუზა.

— რა ქენი, მეტად რთული ამოცანა მოგეცი?

— არც იმდენად რთული, მე ეს წარმოვიდგინე და ის, რასაც ვხედავ ზღაპრულ სანახაობას უდრის.

— კარგია, რომ ეს მაინც იგრძენი, მაგრამ ეხლა შევიხედოთ ამ შენობაში. აქ სამკერვალო არტელი გვაქვს გახსნილი და მინდა დავათვალიერო.

როცა დარბაზში შევიდენ, დაინახეს ასიოდე ქალი, აქა-იქ მწყობრად ჩამწკრივებული, ზოგი მანქანაზე კერავდა, ზოგი სჭრიდა, ზოგი შეკერილს ასუფთავებდა და ლარებს აცლიდა. პოლინამ სათითაოდ ჩამოუარა ყველას და გამგეს შემდეგი კითხვით მიმართა:

— როგორ ჩატარდა თქვენ წარმოებაში სოც-შეჯიბრის საკითხი?

— ძალიან კარგათ. შეჯიბრებამ გამოასწორა რამოდენიმე მოზარმაცო ამხანაგი და წინ წასწია ჩამორჩენილი ქალები.

— საკერავი მანქანა საკმაოდ არის?!

ორი სამი კიდევ დაგვჭირდება, მაგრამ ამისათვის გაცემულია სათანადო განკარგულება.

— შეხედე, აი ის ქალი ყოფილი მეძავია. უთხრა პოლინამ მარინას და თვალებით ერთ ქალზე ანიშნა. ოცი, ოცდა ორი წლის შეხედულება ქონდა და ბავშვის პატარა კაბას კერავდა.

— თქვენ არ გიჭირთ ამ სამუშაოს შესრულება? კითხა მას მარინამ.

— არა, მე აქ ძალიან კარგათ ვგრძნობ თავს.

— ლამაზათ კერავთ, ალბათ წინათ მკერავი იყავით.

ქალი წამოწითლდა, ნემსი ზედი ზედ ამოუცვა და ყოყმანით წარმოსთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, წინათ ქუჩაში მოხეტიალე ქალი ვიყავი.

— ბედნიერი ყოფილხარ, რომ ასეთმა ცხოვრებამ ღრმა ... ვერ დაასო თქვენს ქალურ ბუნებას.

— კმაყოფილი ხარ მდგომარეობის შეცვლით? —შეეკითხა პოლინა.

— ძალიან. მე ვიცი რომ თვის ბოლოს ჯამაგირს მივიღებ და ვიცი, ეს ფული პატიოსანი შრომით არის შენაძენი, რა სჯობს ასეთ ცხოვრებას?!

— ეს ერთი დახსნილია, მაგრამ რა ეშველებათ იმათ, აი, იმათ, ისევ ქუჩებში რომ ყრიან —სთქვა მარინამ, როდესაც გარეთ გამოვიდენ.

— ჩვენ ვხსნით სხვა და სხვა სამუშაო არტელებს, ვაარსებთ თავშესაფარს უბინაო და უმუშევარ ქალთათვის, გვექნება უფასო სასადილოები, ამ საუბარში ისინი მიუახლოვდენ პოლინას სახლს და რამდენიმე წამის შემდეგ ცხელ სამოვართან საუბრობდენ.

*
* *

„სრულიად გავჯანსაღდი, მოუთმენლად მოველი იმ დღეს, როდესაც ისევ დაუბრუნდები ტფილისს, ჩემს პოლინას და პარტიულ მუშაობას“ ასე ეწერა ზურაბის სოხუმიდან გამოგზავნილ უკანასკნელ წერილში. ამ წერილს ის თითქოს თანვე გამოყვა და სიურპრიზის სახით წარსდგა პოლინას წინაშე.

პოლიტიკურ ასპარეზზე ენერგიულად მომუშავე პარტიული ქალი ნაზი და მოსიყვარულე ცოლი შეიქნა ზურაბის და ისიც აფასებდა თავის იშვიათ მეგობარს.

— შენ ეხლა ათასჯერ უკეთესი ხარ, პოლინა, ვიდრე იყავი წინათ. უთხრა ერთ დღეს ზურაბმა.

— ეს იმიტომ რომ... შეყვარებული ვარ.

— ვინ უყვარს წეტავი, პოლინას?

— ვითომ არ იცოდე.

— არ ვიცი —ეუბნება ზურაბი ცულლუტური ღიმილით და მის სახეს კოცნით ახალისებს. ვიღაცამ ზარი ჩამოჰკრა და აცელქებული ცოლქმარიც დადინჯდა.

კარებში მარინა აღიმართა.

— მარინა ვიღაცას გაუჯავრებია. შეხედე, ზურაბ!!

— ზურაბმა ქალს თავაზიანად სკამი მიაწოდა.

— მართლა უწყრები ვინმეს, მარინა? შეეკითხა ზურაბი.

— ვუწყრები, დიაღ, ვუწყრები.—წამოიძახა მან აღშფოთებით, ქუდი და პალტო იქვე მიაგდო და ისეთი პოზით წარსდგა მათ წინაშე, თითქოს ბრძოლას მათთან აპირებდა.

— გვითხარი მაინც, ვის?!

— ვისა და... კომუნისტებს. უკანასკნელი სიტყვა ისეთი ხაზგასმით ითქვა, რომ პოლინამ სიცილი დაიწყო.

— როგორ მოგწონს ზურაბ, მოდის უპარტიო ქალიშვილი და ორ სერიოზულ კომუნისტს ასეთი სიტყვით უმასპინძლდება.

— რამ აგაშფოთა ასე, მარინა? ეკითხება ზურაბი.

— რამა და ერთ-ერთმა თქვენმა დაწესებულებამ. უნდა გითხრათ, რომ ამ დაწესებულებაში წითელი ნიღაბით ფაშვიანი ბიუროკრატიზმი დასეირნობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ ვიცი პირდაპირ ვისთან მივდივარ, ამხანაგ კომუნისტებთან, თუ ნიკოლოზის ჩინოვნიკებთან.

— რას ეძებდი მაინც ამ ხალხთან?

— სამსახურს.

'მენ გინდა გაექცე ჩვენს რედაქციას, გინდა უღალატო მეგობარს? ეკითხება პოლინა წყენით.

— არა, ამით მე არავის ვღალატობ. სარედაქციო საქმეებში ისევ ისე დაგეხმარები და ისევ ისე ვიმუშავებ, როგორც წინათ, მაგრამ ჩემთვის საჭიროა ზედმეტი სამუშაო. საჭიროა ზედმეტი ჯამაგირი. ჩემი ძმა გოგი ორი წლის შემდეგ საშუალოს დაამთავრებს და მინდა უნივერსიტეტში შევიყვანო, მეც მალე ექიმი გავხდები და როგორც ხედავთ ერთ ოთახში ვერ მოვთავსდებით, საჭიროა მეორე ოთახი და ამისათვის კი საჭიროა ფული.

ჰო და მეც გადავსწყვიტე მეშოვნა ქიმიის მასწავლებლობა. წავიღე საჭირო ქაღალდები, საჭირო ცნობები და წავედი სადაც ჯერ არს. მაგრამ ეს ქაღალდები ხელში დამიძველდა და გამგის მოადგილის ამხ. ფერაძის ნახვა არ მომეწყო.

მდივანი ნაცნობი კაცი აღმოჩნდა და იმის ხელით შეუგზავნე ისინი. დაიტოვა და შემოთვალა. ორ დღეში შემოიაროსო. წავედი.

— სხდომაა—მეუბნება ბებერი მეკარე, სახე დაღმეჭილი და ბრუციანი. წავედი მეორე დღეს. კარებზე განცხადებაა გაკრული:

— დღეს ამხანაგი ფერაძე მიიღებს მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუქტორებს. წავედი მესამე დღეს. პასუხად... გამგის კაბინეთში იმყოფება, მალე ვერ გამოვა. წავედი მეოთხე დღეს.

— უბრალო მთხოვნელებს პირველი საათის შემდეგ ღებულობს—მეუბნება იგივე მეკარე, ათი საათია, პირველამდე დერეფანში ხომ ვერ დავიცდი. პირველზე მეუბნებიან.

— წავიდა, ალბათ დღეს აღარ დაბრუნდება. წავედი მეხუთე დღეს. „გამოსასვლელი დღე", მეჩხირება თვალში უშველებელი განცხადება.

ასევე განმეორდა მეორე კვირას, მესამე კვირას, მთელ თვეს. დავდივარ ყოველდღე, მაგრამ თვალიც კი ვერ მოვკარი მას.

— ალბათ უჩინმაჩინის ქუდი ხურავს ამ კაცს, თორემ სად არის, რად არ სჩანს, ვეკითხები ერთ ერთ საშუალო ხნის ქალს, რომელსაც ყოველ დღე ვხედავ და რომელიც მუდამ ამ კაცის კარებთან არის ატუზული.

— არ ვიცი, ამხანაგო, ჩემი მდგომარეობა პირდაპირ უნუგეშოა, ამბობს ის და ყვება თავისი ცხოვრების ტრაღედიას, მაგრამ მის ამბავს მთელი წინგი მოუნდება და აქ ვერაფერს ვიტყვი ამის შესახებ.

ერთხელ შემთხვევით გავიგე, რომ ამხ. ფერაძე გამგის კაბინეთში ზის. მეც დავდექი კარებთან იმ გადაწყვეტილებით, რომ აღარ წავსულიყავ, სანამ არ გამოვიდოდა.

დერეფანში ხუთასამდე კაცი დადის და ყველა ამ კაცს დაეძებს. ყური რომ დაუგდო მათ საუბარს, გაიგებ რომ ყველა შეწუხებულია მიღების ასეთი წესით.

ზოგი სოფლიდან არის ჩამოსული, ზოგს ავადმყოფი ყოლია, ზოგიც თვითონ არის ავად და საათობით ფეხზე დგომას ვერ იტანს.

— სტალინს ალბათ უფრო ადვილად ნახავს ადამიანი, ვიდრე ამ კაცს, გაიგონებთ აქა იქ.

უეცრად ოთახიდან პატარა ტანის მასწავლებელი გამოვიდა და ახარა ხალხს.

— ეხლავე გამოვა.

გაიღო კარი და აიმართა ამ კარებში ფრიად სიმპატიური გარეგნობის ახალგაზრდა. მაღალი, ბეჭებში ოდნავ წახრილი, დაღლილი სახე და მელანქოლიური თვალები. რაცა შეკრებილ ხალხს გადახედა, თვალებში სიცივე ჩაუდგა და ტუჩებზეც ირონიული ღიმილი აუტოკდა.

ზედაც არ შეხედა არავის. ჩქარი ნაბიჯებით გაიარა და თავისი კაბინეთის კარები ჩაიკეტა.

ხალხმა მრავალმეტყველი თვალებით გადახედა ერთმანეთს, მაგრამ ყველამ ენას კბილი დაადგა და ისევ მორჩილებით დაიწყო ლოდინი. მე მეტს ველარ დავიცდიდი და პირდაპირ გამგის კაბინეთში შევედი.

ჭაღარა შერეული, მაგრამ ჯანსაღი კაცია. მყუდრო ოთახი აურჩევია და ფანჯარასთან ახლოს დარგული ცაცხვები სასიამოვნოდ შრიალებენ.

ფართე სავარძელში არხეინად ჩამჯდარა და უსაქმური ადამიანივით გაყურებს სივრცეს. მასთან მაინცა და მაინც არავინ შედის, მაგრამ თუ ვინმე შევიდა ერთი და იგივე პასუხი აქვს ყველასათვის მზად.

— მე ეს არ მეხება, მიმართეთ ბირჟას და მეტი არაფერი.

გესმით? გამგეს თურმე არ ეხება ის, რაც ხდება მის დაწესებულებაში. მეც ასეთი პასუხი მომცა, ხელს ხელი დაადო და ისევ ცაცხვებს დაუწყო ცქერა.

ერთი მითხარით, რას აკეთებს აქ ეს გამგე, როდესაც მის მოადგილეს ყოველდღიურად ხუთასამდე კაცი აზის კისერზე. ბარემ ბალდახინი გაუკეთეთ და ისე გამოიყვანეთ ქუჩებში სასეირნოთ.

— მარინა, შენ ულოლიკობას იჩენ. ფერაძის წინააღმდეგ ლაპარაკობდი და გამოდის, რომ ის მართალი ყოფილა. შენიშნა ზურაბმა.

ამ შემთხვევაში უსათოდ არის მართალი და მეც არ მიკვირს მისი მელანქოლია. როგორ შეიძლება ჩაეტიოს ერთ პატარა თავში კითხვა ხუთასი კაცისა?!

— შენი საქმე მაინც არ გაკეთდა? კითხულობს პოლინა.

— არც გაკეთდება. აქ არის საჭირო მუდმივ კარებთან დგომა, და მუდმივ თავის მობეზრება, მე ეს არ შემიძლია.

— გენახა მაინც ის კაცი და გაგეგო, რას გეტყოდა.

— ვნახე ამას წინათ, დერეფანში შემეფეთა, მეც გავექანე და უბოდიშოდ წინ დაუდექი.

— ითქვა თუ არა რაიმე ჩემი საქმის შესახებ? ვეკითხები მე. ალმაცერად გადმოხედა და ცალი ყბით ცივად გადმოიგდო:

— გადავეცი კომისიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდ ხანს მომიწევს ლოდინი? ვკითხულობ ისევ და პირდაპირ თვალებში შევყურებ. მინდა ცოტა ხნით დავაბა ეს კაცი ჩემს ახლოს რათა გამოვგლიჯო როგორმე პასუხი.

— ეს მე.. არ ვიცი.—წარმოსთქვა უეცრად შეცვლილი ტონით და გაიღიმა. უცნაური იყო ეს ღიმილი და ეს ღიმილი ისე დაეცა მის სახეს, და ეს ღიმილი ისე შეიჭრა მის თვალებში, როგორც პაწია მზის შუქი ბნელ უკუნეთში.

— თქმა ფრიად პოეტურია. შემდეგ? კითხულობს ზურაბ.

— იმ კაცში იმ წუთს მე დავინახე ხელოვანი და არა რომელიღაც დაწესებულების მოხელე. იშვიათად მინახავს სახე შინაგანი განცდით ამგვარად დამძიმებული. სახე, რომელიც ასე მძაფრად ამჟღავნებდეს სულის სულ უმნიშვნელო მოძრაობასაც კი ის კარგი იქნებოდა კინო ეკრანზე, კარგი იქნებოდა სცენაზე, კარგი იქნებოდა სხვადასხვა დრამატიულ როლებში. მაგრამ... მე ისევ ინერციას გავყევი და ჩემი ამბავი ვერ დავამთავრე.

— განაგრძე, ჩვენ ისევ გისმენთ.

— ჰო, და იმას ვამბობდი. როდესაც იქედან გამოვედი, გავიგე რომ ორ სხვადასხვა სასწავლებელში ქიმიის მასწავლებლის ადგილი—განთავისუფლებულიყო, მაგრამ სახამ მე კიდევ ვნახავდი ფერაძეს, ამ ადგილზეც დანიშნავდენ ვინმეს. კარებში ერთ ახალგაზრდა პედაგოგს შევეფეთე, სიმპატიური ადამიანია და მეც მეგობრულად ვარ მასთან განწყობილი.

— მე ვიცნობ ფერაძეს და დღესვე მოველაპარაკები ამის შესახებო, მითხრა. მეორე დღეს ისევ წავედი, მაგრამ მისი კაბინეთი, როგორც ყოველთვის დაკეტილი დამიხვდა და მეც შევედი ერთერთ კომისიის წევრთან, რომელიც ანაწილებს და გზავნის მასწავლებლებს.

— მე მახსოვს რომ თქვენ შესახებ იყო რაღაც დადგენილება. უნდა მოვაწყოთ და ისევ ვიღაც სხვას მიუბრუნდა. უცდი თუ როდის გაათავებს ლაპარაკს. ესეც მისი რაინდული ზრდილობა, ჯერ ერთისათვის არ გაუცია რიგიანი პასუხი და მეორეს ელაპარაკება.

— დადგენილება მერე ჯიბეში უნდა შეინახოთ? როდის აპირებთ მოწყობას, როდესაც ყველა ადგილები თითქმის დანაწილებულია და აქ დავასახელე ჩემ მიერ აღმოჩენილი ადგილები.

— კარგი, ვეცდები, ამბობს ის მაგრამ მისმა „ვეცდებითმა“ მე მხოლოდ იმაში დამარწმუნა, რომ ეს კაცი არაფერსაც არ ეცდებოდა.

ამ ადგილზედაც სხვები გაგზავნეს და მე ისევ... უადგილოთ დავრჩი. გაჯავრებული შევდივარ მასთან. ვლაპარაკობ. რას? ყველაფერს, რაც გულში მაქვს და რასაც ვფიქრობ. არავის არ ვერიდები და არავის არ მეშინიან.

— ნუ ცხარობთ, ამხანაგო. ისინი ძველი მასწავლებლები იყვნენ და უპირატესობა მათ ეკუთვნოდათ. უსათუოდ დაგნიშნავთ სადმე. პირველ რიგში ხართ. იქნება კიდევ ადგილები. ამბობს ის და ამბობს ისე, როგორც მოწაფე რომელმაც გაკვეთილი არ იცის და აბდა-უბდათი ცდილობს მასწავლებლის მოტყუებას. „პირველ რიგში“ ვიყავი და დღეს უკვე ნოემბერია.

არსად თავისუფალი ადგილი არ არის. მოდი და ნუ გეწყინება.

ეხლა რამდენიმე სიტყვა ამ კომისიის წევრზეც ვთქვათ.

ახალგაზრდა კაცია, აზნაურთა შთამომავლობის, მოგრძო არისტოკრატიული სახე აქვს და ოქროსფერი ხუჭუჭა თმები ზევით აქვს ავარცხნილი. ლამაზი გარეგნობა და ცისფერი თვალები. ნამდვილი რომეო. აკლია მხოლოდ ჯულიეტა და არიან ახლად გამოჩეკილი მასწავლებელი ქალები, რომლებიც შეჰყურებენ მას ჯულიეტას თვალებით.

— ასე და ამგვარად შენ გვირჩევ მოვხსნათ ეს ორი კაცი და ხელოვნების მუშაკთა კავშირს გადავსცეთ? ამბობს ღიმილით ზურაბი.

— მე არაფერსაც არ გირჩევთ. მე მხოლოდ გამოვთქვი ჩემი აზრი ამ ადამიანებზე და მათ საქმიანობაზე.

*
* *

— რა ქენი, მარინა კიდევ ვერაფერი გააკეთე?—შეეკითხა პოლინა ერთი კვირის შემდეგ მათთან მისულ მარინას.

— ვერაფერი და მე ამერიდა ამ ხალხთან არ მივალ, მაგრამ შენ როგორც ქალთა ჟურნალის თანამშრომელი და ხელმძღვანელი მეტ ყურადღებას უნდა აქცევდე განათლების საქმეს... ხომ გახსოვს ამ რამდენიმე წლის წინათ ქართული გაზეთის ერთერთი რედაქტორი რას სწერდა?!

„პირდაპირ სამარცხვინოა უნივერსიტეტ დამთავრებულ ახალგაზრდების განვითარებაო“. და მოყავდა სანიმუშოთ რამოდენიმე ადგილი იმ რუსული თარგმანიდან, რომელიც გადაეთარგმნა მისთვის, რომელიღაც ახალგაზრდას... უმაღლესი განათლებით. მე მაშინ ეს ამბავი გამეხარდა და ვიფიქრე, რომ ამერიდან რუსულ ენას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ მეთქი.

— ნამდვილად აგრე არ მოხდა.

აღნიშნავენ პრესაში ნაკლს, მაგრამ ამ ნაკლის გამოსწორებაზე მაინცა და მაინც არავინ ფიქრობს.

— მაგალითად ამას წინად აი, რა მოხდა, დიდი ხნის მასწავლებელი, რომელმაც მოსკოვში დაამთავრა უნივერსიტეტი, უადგილოთ დარჩა. იმ ადგილზე რომელსაც ის თხოულობდა, დაინიშნა ერთი ახალგაზრდა და თქვენ უნდა დაუგდოთ ყური მის რუსულ გრამატიკას.

— ესეც მოისმინე?

— სრულიად შემთხვევით. ამას წინად ბაღში ჩავედი. ეს კაცი მახლობელ სკამზე ზის და რუსის კოპწია გოგონას ინტიმურად ესაუბრება. ლაპარაკობს უმთავრესად ქალი. ვაჟი ცდილობს აყვეს მას, მაგრამ გრძნობს თავის სისუსტეს და სიტყვებს ძუნწად უშვებს.

ეეცრად: „ზაჩემ ტი მენია.. სტრადაეშ“-ო, წარმოსთქვა მან და მეც სიცილი ვეღარ შევიმაგრე. თითქმის იმავე წუთს ქალის პასუხიც მომესმა.

„ნეუჟელი ტი პრეპოდაიოშ რუსკი იაზიკ, სამი პოსლედნი საპოჟნიკ, ლუჩშე ვლადეეტ რუსსკოი რეჩიუ ჩემ ტი“.

ეტყობოდა აღშფოთებით ლაპარაკობდა და გული მოსდიოდა, რომ მის ქვეყნის სიამაყის, პუშკინისა და ლერმონტოვის ენას ამგვარად უმახიანჯებდენ. ამ ქალს ასეთი პასუხისათვის ჩემს გულში მადლობა უთხარი და ბაღიდან კმა-

ყოფილი სახით გამოვედი. გამოვედი და თან ისეთი გრძნობა გამომყვა, თითქოს ამ უცნობმა ქალიშვილმა ფრიად სასიამოვნო ძღვენით დამასაჩუქრა.

მარინა! საჭიროა ამის შესახებ დასწერო წერილი. კარგი? კითხულობს პოლინა.

— კარგი. მე ამ თემაზე სიამოვნებით ვიმუშავებ, მაგრამ იცი რა მაკვირებს, პოლინა? რატომ ემართება ჩვენს ქვეყანას, რომ ის ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში ვარდება ხოლმე. მაგ. წინათ საშუალო დამთავრებული ახალგაზრდა ცხრა წლის შემდეგ რომ ოჯახში ბრუნდებოდა სრულიად გაუწითლებლად ამბობდა: „უკაცრავატ, მე კარტული არ ვიცი“. და მან მართლაც არ იცოდა ქართული და არ იცოდა იმიტომ რომ ეს ენა სრულიად მივიწყებული და აბუჩად აგდებული იყო.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა. მაგრამ სამაგიეროთ საშუალო დამთავრებულ ადამიანთან რომ მივიდეს ვინმე და უთხრას რუსულად: მათხოვე ნემსი. ის ადგება და ნემსის ნაცვლად ნაჯახს მიაწოდებს. რამდენი კურიოზული მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა ამის შესახებ, მაგრამ მე ეს შორს წამიყვანს.

დავასახელებ მხოლოდ ჩემს გოგის.

ძალზე ნიჭიერი და განვითარებული ბავშვია, ქაროული კლასიკოსები ყველა თითქმის ზეპირად იცის. თანამედროვე მწერლებიც შესწავლილი აქვს, მაგრამ ის ძვირფასი, რუსული წიგნები, რომლებიც ბლომად არის ჩემს ოთახში დაგროვილი, დღესაც ხელუხლებელი აწყვია. როდესაც უსაყვედრე ეს, მიპასუხა:

— რა ვქნა, დაიკო მარინა, მე განა არ მინდა ვიცოდე რუსული?! ავიღე გავშალე, წავიკითხე, მაგრამ ვერაფერი გავიგე და ისევ დავხურეო. მე მომიწევს მასთან სერიოზული მეცადინეობა, როცა ტფილისში ამოვიყვან, მაგრამ ხომ არიან ახალგაზრდები, რომლებიც მოდიან პროვინციიდან, შედიან უნივერსიტეტში და ათავებენ უნივერსიტეტს. არც ერთი მათგანი არ ფიქრობს, რათა ივარჯიშოს და განვითარდეს ამ საგანშიც. და თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ როგორი უნდა იქნეს განვითარების დონე იმ ადამიანისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ლიტერატურას ეყრდნობა.

ამ საკითხში სავსებით გეთანხმებით, მაგრამ ეხლა სამწუხაროდ უნდა დაგტოვოთ. კრება მაქვს და მიმეჩქარება. ამ სატყვებით მან ქუდი აიღო და ის იყო გასვლას აპირებდა, რომ პოლინამ შეაჩერა.

— პალტო წაიღე, ზურაბ, ხომ იცი რომ საღამოობით ცივა, ყოველთვის უნდა მოგაგონო ეს, უცნაურო კაცო?!

— მილაია მაია პოლინა, ზაჩემ ტი მენია... სტრადაეშ?!—მიუგო ზურაბმა კომიკური სერიოზულობით და ქალებმაც სიცილი დაიწყეს,

— საძაგელო ზურაბ. შენ სულ მუდამ უნდა იხუმრო? ასე დასცინი განა სწავლა-აღზრდის საქმეს?!

— ახ, მარინა, მარინა! რა იცით თქვენ, უპარტიო ხალხმა, თუ რამდენი საქმე უნდა გავაკეთოთ ჩვენ და რამდენი საქმე უნდა გავასწოროთ ჩვენ, რაც შეეხება სიცილს, განა არ იცი, რომ...

...„და სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“?!

***

— მე ისევ მინდა დაუბრუნდე შეწყვეტილ საუბარს და მოვიყვანო კიდევ ერთი მაგალითი—შეილაპარაკა მათ ოთახში ქარივით შეჭრილმა მარინამ, ცოლ-ქმარს შუაში ჩაუჯდა და მარცხენა ხელით პოლინას მიეფერა, მარჯვენათი ზურაბს.

ზურაბმა ყურადღებით მიიბრუნა მისკენ თავი, და პოლინამაც საქმეს ხელი გაუშვა, რათა უფრო კარგათ მოესმინა ის, რასაც იტყოდა მისი ჭირვეული მეგობარი.

— ამას წინათ ეკრანზე პუშკინისა და მისი დროის დიდ ადამიანებს აჩვენებდენ. წავედით მე და ჩემი ნათესავი ქალიშვილი. თვით პუშკინზე არაფერს ვიტყვი და არ ვიტყვი იმიტომ, რომ თუ ამ კაცზე ლაპარაკი დავიწყე, ის ადრე არ გათავდება.

ვიტყვი მხოლოდ შემდეგს,

რატომ არის, რომ საზოგადოება არასოდეს არ უფთხილდება ისეთ ადამიანებს, რომლებიც სახელი და დიდებაა თავისი ერისა.

რუსეთში ასიოდე კაცი რომ ერთდღეს მომკვდარიყო, ამით მრავალ მილიონიან ქვეყანას ბევრი არაფერი დააკლდებოდა, მაგრამ მოკლეს პუშკინი და ლერმონტოვი და გაიყინა იმდროინდელი ლიტერატურა. ისინი ხომ ისეთი ადამიანები არ იყვნენ, მილიონებით რომ იბადებიან ყოველ წლიურად. სასახლეები უნდა აეშენებინათ მათთვის, მცველები უნდა დაეყენებინათ მათ კარებთან, რათა ბოროტი განზრახვით მოწამლული მტერი არ შეჭრილიყო მათ სამფლობელოში. ყოველთვის, როდესაც მათზე ვფიქრობ, სინანული მიპყრობს და ვამბობ: რა უდროოდ დაიღუპა ეს ორი დიდებული ადამიანი და ეს რომ ასე არ მომხდარიყო, რამდენ უკვდავ ნაწარმოებს დაუტოვებდენ კაცობრიობას მეთქი. კაცობრიობა!! ეს ხომ ის უმადური ბავშვია, რომელსაც ისეთი სიხარბით მიაქვს პირისკენ ყოველგვარი საზრდო და ტკბილეულობა და როდესაც გაიძღებს ჯუჭს მაგიდას წიხლსა ჰკრავს და ყველაფერს დაუზოგავად დაანიავებს. ის არ იფიქრებს იმაზე, რომ შესაძლოა ისევ მოშივდეს და არც იმაზე იფიქრებს, ის თუ ვინ აწესრიგებს ყველაფერ ამას და იქნება უჭირს რამე იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთ სასიამოვნო საზრდოს უმზადებენ.

— სწორია, მაგრამ ესენინისა და მაიაკოვსკის წინაშეც დააშავა კაცობრიობამ? იკითხა ზურაბმა.

— აქ თვით ცხოვრებამ დააშავა. შეიქმნა ტრაღიკული მდგომარეობა და ისინიც დაიღუპენ.

— შენ ისე სწორად იცი დიაგნოზის გამოტანა. მიზეზი?

— წარმოშობა, აღზრდა, წრე. ამ უკანასკნელს ყველაზე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ. თუ ადამიანი წლობით შეჩვეულ კალაპოტიდან ამოვარდა ცხოვრების მიმდინარეობა მას უგზო უკვლოდ გაიტაცებს და გრიგალივით დაატრიალებს.

რამ დაამაგროს? ფეხქვეშ ნიადაგი გამოცლილი აქვს, და ისიც ქანაობს და იქანავებს მანამდე, სანამდე არ წაიქცევა.

ავიღოთ ესენინი. ეს გაარისტოკრატებული, მაგრამ ნიჭიერი და სათუთი განცდის პოეტი. მან ჯერ დუნკანთან ერთად იფრინა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. შემდეგ გრაფის ქალი შეირთო ცოლად და კიდევ შემდეგ. შეეცადა, რათა სამშობლო ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ გამოეცხადებინა თავისი თავი. შეეცადა მაგრამ...

ემძიმა რკინა და ჩაქუჩი.

მან გადახედა სხვებს, გადახედა რევოლუციის ცეცხლიდან ამოვარდნილ ადამიანების მდევის ნაბიჯებს და სურვილი აღეძრა რომ... „პადნიავ შტანი, ბეჟატ და კომსომოლომ“.

შარვალიც აიწია, რამოდენიმე ნახტომიც გააკეთა, მაგრამ ამაოდ. ის ახალ ადამიანებს ვერ დაეწია და უკან ჩამორჩენილმა პოეტმა საკუთარი თვალით გაზომა სიღრმე თავისი მწუხარებისა. მისი პოეტური გაქანება შედგა, გაიყინა, გაიყინა როგორც წყალი გუბეში და სამოქმედო ასპარეზიც სხვებმა დაიჭირეს.

გზები გადაიჭრა, მუშაობის საშუალება მოისპო და იგრძნო მან, რომ მისი შემოქმედების ულამაზესი ნიმუშები წარსულს გადაყვა. იგრძნო რომ მას ვერ აამეტყველებდა ახალი სიტყვით, ახალი ქვეყანა და როდესაც ამაში დარწმუნდა...

მარყუჟი გააკეთა და უშიშრად შიგ თავი გაუყარა.

— მაიაკოვსკი?

— მაიაკოვსკი ესენინზე უფრო მაგარი ნების ყოფის კაცი იყო. მან მიაფურთხა წარსულს, რათა გაყოლოდა ახალს და გაყვა ამ ახალს და მისდია ამ ახალს ფეხდაფეხ, მისდია საქმით, სიტყვით, ლექსებითა და პოემებით. დათვივით დატორა ფერმკრთალი ყვავილები ლირიული პოეზიისა. მედგრად აიტანა თავისი დაღლილი მუხლები რევოლუციის ბარიკადებზე, დადგა ამ ბარიკადებზე და აღრიალდა, აღრიალდა მთელი თავისი გულით, ფილტვებით, ამოსუნთქვით და თავისი პოემა „მთელი ხმით“ კაცობრიობას შუშასავით თავზე გადმოამტვრია.

და აქედან იწყება მისი ტრაგედიაც. როდესაც ერთს იტყვი. უნდა თქვა მეორე, მესამე და ასე სულ.

ალბათ ხმა ჩაუწყდა, მუხლებშიც სისუსტე იგრძნო და ვიდრე ამას შეამჩნევდენ სხვები, რევოლვერი აიღო, და პოეზიით აძგერებულ გულს ტყვიები დაუშინა.

ის მოკვდა ისე, როგორც ბრძოლის ველზე მოკვდება გმირი.

— აქ კი ველარ გეთანხმები. აბა რა გმირობაა თვითმკვლელობა?! ის ჯერ კიდევ სჭიროდა მუშათა კლასს, ეუბნება პოლინა.

— ცუდია, როდესაც ხელოვანი ეს სალარო ძვირფასი და ლამაზი საგანძურებისა არ უფრთხილდება საკუთარ თავს და საკუთარი ხელით სპობს და ანადგურებს იმ განუზომელ სიმდიდრეს, რომელიც საუკუნოების განმავლობაში (არაწვრილფეხა პოეტებს ვგულისხმობ) მხოლოდ ერთ ადამიანს, მხოლოდ ერთხელ მიენიჭება ხოლმე. მაგრამ.. თუ სხვა გზა არ არის?!

— გზები არსებობენ, მაგრამ ეს გზები თვითონ არ მივლენ ადამიანთან, საჭიროა მოინახოს ისინი.

უეცრად საათმა შვიდჯერ დარეკა.

— ხედავთ? მთელი ორი საათია რაც თქვენთან ვზივარ. რვაზე უნივერსიტეტში უნდა ვიყო.

— ჩვენ(ა კრებაზე მივდივართ, მაგრამ მანამდე კიდევ გვაქვს მთელი საათი.

— ეხლა კი ჩქარა დავამთავრებ ჩემს ამბავს. ხომ გახსოვთ პუშკინზე ვლაპარაკობდი. ამ სურათში ბევრი სახის აღნიშვნა შეიძლებოდა, მაგრამ მე მხოლოდ ერთი მინდა დავასახელო, ერთი, რომელსაც კავშირი აქვს ჩემს სანიმუშო მაგალითთან.

ეს არის ბელინსკი.

იცით, როგორ გამეხარდა როდესაც ის ეკრანზე დავინახე!?

ეს დიდებული და ძვირფასი ადამიანი, რომლის სტრიქონები ჩემს სულში მარგალიტებივით ხმაურობენ და რომელსაც არა ყავს ბადალი მსოფლიოში. ის დგას და მის სახეს სინათლე ადგია. აღტაცებულია პუშკინისა და ლერმონტოვის ნიჭით და ლაპარაკობს ამ ნიჭზე. დრო და დრო ხველება აუტყდება, ტუჩებთან ცხვირსახოცი მიაქვს და მისი პატარა, ჭლექისაგან დალეული სხეული ტკივილებისაგან იკუმშება. მე ვერ გაუძელი ამ სანახაობას. ასე მეგონა რომ ჩემი საკუთარი გულის ძარღვები წყდებოდენ.

— ბელინსკი, ბელინსკი, გაისმა აქა იქ.

— ვინ არის ბელინსკი!? მეკითხება ჩემი ნათესავი გოგონა, რომელმაც წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. მე რასაკვირველია, აუხსენი ვინც იყო, მაგრამ როდესაც იქიდან გამოვედი, სასტიკად გავკიცხე ამისათვის.

— ბელინსკი არ იცი, ლერმონტოვი და პუშკინი არ წაგიკითხავს. ტოლსტოი, ტურგენევი, უცხონი არიან შენთვის. თანამედროვე რუსი მწერლების ნაწერები თვალითაც არ გინახავს. აბა ვინ იცი?

მარტო აკაკი, ან მარტო ილია?

შერცხვა, მარა თავი მაინც იმართლა.

— სახელმძღვანელოებში საუკეთესო მწერლები უმნიშვნელო ნაგლეჯებით არიან წარმოდგენილი. მწერალი რომ გაიგო, მის სულიერ მსოფლიოს რომ სრულად ჩასწვდე ერთერთი მისი მთლიანი ნაწარმოები მაინც უნდა გქონდეს შესწავლილი. ბელინსკის შესახებ სკოლაში არაფერი უთქვამთ. ჩემი დედმამა სამსახურისა და ოჯახურ საქმეებზე არიან გადაყოლილი და ჩემთან ლიტერატურაზე არ საუბრობენ. თუმცა მომზადებითა და განვითარებით ზოგიერთ ჩემს მასწავლებელს სჯობიან კიდეც.

რა ვქნა, აბა რა ჩემი ბრალია, თუ არავინ არაფერს მასწავლის?! და მართლაც.. რა მისი ბრალია ეს?

***

— მარინა, გუშინ ფერაძეს შევხვდი. მითხრა, ხვალ შემოიაროსო. მიდი დღეს.—ეძახის ტელეფონით ზურაბი.

— ერთხელ კიდევ ვცდი—გაიფიქრა მან, ჩაიცვა და საჩქაროთ ქუჩაში გავიდა.

მზე ავადმყოფი ქალივით ჟრინავდა და ნისლის გამურული ნაფლეთები ისეთი ზანტი მოძრაობით მისცურავდენ სამხრეთიდან აღმოსავლეთის მიმართუ-

ლეთით, როგორც უდაბნოს უდაბურ ბილიკებზე აქლემების დალილი ქარავანი.

ერთხელ კიდევ შეავლო ცას თვალი, ტრამვაის ვაგონიდან გადმოხტა და ხუთი წუთის შემდეგ ფერაძის კაბინეთის კარებთან იდგა. რამოდენიმე სიტყვა დააწერა პატარა ბარათს და აგრეთვე თხოვა, საჩქარო საქმეები მაქვს და გთხოვთ მალე გამანთავისუფლოთო. ბარათი მეკარემ შეუტანა და იმავე მეკარის პირით ასე შემოუთვალა.

„ცოტა ხანს დაიცადეთ და გამოგიძახებთო“.

სხვა გზა არ იყო, უნდა დაეცადა და მარინამ სხვებთან ერთად ერთხელ კიდევ დაიწყო, ლოდინი.

წამებმა წუთები შეზღუდეს.

წუთებმა საათები ამოათავეს, დაძახებით მაინც არავინ იძახის.

დაიღალა, შეწუხდა, ოფლი დააყარა. უეცრად კარები გაიღო და გამოვიდა ამხ. ფერაძე. ხალხს გადახედა, მარინასაც შეხედა, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს არასოდეს არ ენახოს ეს ადამიანები. დინჯათ ჩაიარა და რომელიღაც ოთახის კარები შეაღო.

ეხლა კი ველარ მოითმინა მარინამ და მთელი სიფიცხე გურული ქალის ტემპერამენტისა იმით გამოხატა, რომ იქვე იატაკს მაგრად ფეხი დაარტყა და აღშფოთებული გრძნობით სამსართულიან კიბის საფეხურებზე საჩქაროდ დაეშვა.

მზე აღარა ჩნდა.

ჟინჟლავდა და საშემოდგომო სუსხიანი ქარიც საგრძნობლად სცემდა. ტუჟურკის საყელოები ზევით აიწია და ჩქარი ნაბიჯებით სახლისაკენ გაემართა. ოთახში რომ შევიდა უჩვეულო შეცივება იგრძნო და ორივე გვერდებში ისე მძაფრად დაარტყა მჭვალებმა, რომ სულის ამოთქმა გაუძნელდა და ტკივილებისაგან ლოგინზე ჩაიკეცა. მოწვეულმა ექიმმა ფილტვების ანთება აღმოაჩინა. პოლინამ შვებულება აიღო და მის ოთახში გადმოსახლდა; საუბნო ექიმი მოხუცმა პროფესორმა შესცვალა, მაგრამ ავათმყოფობამ მაინც მაგრად მოკიდა ხელი და მისმა მდგომარეობამ მისი მეგობრები ძალზე დააფიქრა.

თითონ მარინა პირველ ოთხ დღეს, მეტის მეტად სწუხდა, ბორგავდა წამდაუწუმ წყალს თხოულობდა. მეხუთე დღეს ცნობიერება დაეკარგა და ბურანში ჩავარდნილი ავადმყოფი ტკივილებს თითქმის აღარც კი გრძნობდა. თვალებ დახუჭული პირაღმა იწვა ის და გაორებული სულით უცნობ სამყაროში დადიოდა.

უცხო ყვავილები, მთის კალთებზე შეფრქვეული აბრეშუმის ფერად ხალიჩებად იშლებოდა მის ფეხებ ქვეშ და ნისლის მსუბუქი ნაფლეთები თეთრი მანდილებივით ეკიდა აქა იქ. ყველაზე მეტად ჩანჩქერი იზიდავდა. ჩანჩქერი, ბროლის ნაკადულებს შუშასავით რომ ამსხვრევდა აგორებულ პიტალო ქვებს.

ახ, რა ძალიან ენატრებოდა მარინას მისულიყო ამ ჩანჩქერთან, გაფიცხებული ტუჩებით დასწაფებოდა მას და ერთი მოსმით შეესვა ეს ცივი, დარხეული ზვირთები, მზეზე რომ ამგვარად ელვარებდენ და ერთი ორად რომ უორკეცებდენ ავადმყოფს წყურვილს.

უეცრად ჩვენება იცვლება.

ღამეა. ჰაერში ციცინათელები დაფრინავენ, სადღაც შორს უკრავს მუსიკა და ეს ბგერები ნიავის ფრთებით მიფრინდენ მასთან. ერთბაშად მის წინ აღიმართა უზარმაზარი, შავებით მოსილი მანდილოსანი. ხელში სასწორი უჭირავს და ამ სასწორზე სდებს მარინას. სასწორი ქანაობს მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ და ასე სულ...

მარცხნით ჩაშავებული პირღია უფსკრულია, მარჯვნით ყვავილოვანი წალკოტი.

ქალის სხეულს უნებური თრთოლვა შეიპყრობს, როდესაც სასწორი მარცხნით გადაიხრება ხოლმე. აღარ ახსოვს რამდენხანს გაგრძელდა ეს წამება, მაგრამ უეცრად ტვირთი მარჯვენა მხრით საგრძნობლად დაიდრიკა.

სასწორი განთავისუფლდა.

შავებიანი მანდილოსანი სადღაც გაჰქრა.

მარინამ თვალები გააღო.

მოხუცი პროფესორი მის სასთუმალთან ზის და ითვლის მის მაჯას. მარინამ ბავშვივით გაუღიმა ჯერ პოლინას, შემდეგ პროფესორს, შემდეგ კიდევ მომვლელ ქალს. სამივეს გულიდან შვებისა და სიხარულის ოხვრა აღმოხდა, მაგრამ პოლინას სიხარული სხვების სიხარულს არა გავდა. მთელი კვირის მწუხარება, შიში და სევდა ამ უეცარმა სიხარულმა სრულიად წალეკა და თავის დასუსტებულ მეგობარს ათასი ამბორი და ათასი საალერსო სიტყვა კოხივით დააყარა.

— კრიზისი გადატანილია. ხომ ვამბობდი, რომ ჩემ პაციენტკას მაგარი ორგანიზმი აქვს და სიკვდილს ასეა დვილად არ დანებდება მეთქი.—სთქვა მოხუცმა პროფესორმა მხიარულად და თავზე მამასავით ხელი დაადო.

— მე თქვენთან დიდი, დიდი მადლობელი ვარ, ძვირფასო პროფესორო. და მე თქვენ უნდა გიმადლოდეთ, თუ დღეს ჩემი მეგობარი ცოცხალი მყავს. —უთხრა მას პოლინამ და ორივე ხელი მადლობით ჩამოართვა.

— პროფესორი ჰანრი, ეს სახელგანთქმული ავტორიტეტი ვინ მოიყვანა ჩემს ლოგინთან, პოლინა?—იკითხა მარინამ როცა პროფესორი გავიდა.

— ის მოვიდა თვითონ შენს სანახავათ და გკურნალობდა სრულიად უსასყიდლოდ. „ეს ქალი ჩემი ნიჭიერი სტუდენტია რომლის კარგი მომავალი მე უსათუოდ მწამსო“, მითხრა ერთ დღეს.

ჩემი ძვირფასი, ჩემი კეთილი პროფესორი, რითი დავიმსახურე ნეტა ასეთი ყულადღება? წარმოსთქვა მარინამ სათუთი ღიმილით და თვალებში სინაზე ჩაუდგა

— ეხლა ბულიონი გავათბოთ, კარგი?—კითხულობს პოლინა.

— გაათბე, მე მგონია რომ.. მშია.

— უნდა ვახარო ეს ამბავი ზურაბს. ძალიან შეწუხებულია საბრალო. ამ სიტყვებით პოლინა ტელეფონთან მიდის და იღებს მის ყელს.

— ალლო! შენ?!

— ცუდი არაფერი მითხრა, პოლინა, გესმის? არაფერი მითხრა ცუდი.— ისმის მისი ხმა დარხეული და დაყრუებული.

— მახარობელი ვარ, ზურაბ. ჩვენი მარინა კარგათ არის და ამჟამად ბულიონსაც მიირთმევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიცინა და ტელეფონის მილი ჩამოკიდა.

— რა იყო?

— მოდის. ისე აღრიალდა ტელეფონთან რომ კინაღამ ყური

არ გაუვლია სულ ათიოდე წუთს, რომ ოთახში ზურაბი შემოიჭრა და როდესაც გაღიმებული მარინა დაინახა, თითონაც გაიღიმა და მის ხელს მეგობრულად ხელი დაადო.

— იცი, მარინა, რა განვიცადეთ ამ ერთი კვირის განმავლობაში მე და პოლინამ?

— ვიცი, ჩემო მეგობარო, და ცხოვრებაში სხვა არავითარი ბედნიერება რომ არ მეღირსოს, ჩემი ცხოვრების ბედნიერებათ ისიცა კმარა, რომ ორი თქვენისთანა მეგობარი მყავს.

— ახ, რა კარგია, რომ დახუჭული თვალების კოშმარი მოგვშორდა.

— ეს რაღა არის? კითხულობს ავადმყოფი.

— სამი დღეა თვალები არ გაგიხსნია, დრო გამოშვებით წამწამები დაიწყებდენ თრთოლვას და უცნაური იყო ეს დახუჭული თვალები ათრთოლებული წამწამებით.

— თქვენ უნდა დაგენახათ, თუ როგორ მოვდიოდი მე ახლა ქუჩებში. ასეთი ნაბიჯებით ალბათ წერილების დამტარებლები დადიან. ამ სიტყვებით ზურაბი წამოდგა და სხეულის კომიკური მოძრაობის ოთახში რამოდენიმე ფართო ნაბიჯი გააკეთა.

— ნუ მაცინებ, ზურაბ. მე ჯერ კიდევ არ შემიძლია გაცინება. ამბობს მარინა ბავშური კილოთი და სცდილობს რომ ღიმილი სიცილად არ გადაექცეს.

— ნანინა, მარინა,—აღიღინდა მხიარულად პოლინა, როდესაც ზურაბი გავიდა, მაგრამ მან ვერც კი მოასწრო სიმღერის დამთავრება, რომ მარინას უკვე ჩაეძინა, ჩაეძინა ჯანსაღი ძილით და პოლინამც თავისი დაქანცული სხეული მეორე ლოგინზე მოასვენა.

*
* *

ორ კვირაში მარინა ფეხზე დადგა და თავის ყოველდღიურ საქმეებს დაუბრუნდა.

ერთ დღეს გაზეთი გაშალა და უკანასკნელ გვერდზე შემდეგი ამოიკითხა

„ამხ. ფერაძე. ქარცივაძე და გელოვანი იწვევს სამედიატორო სამართალში ჟურნ. „ახალი ქალი“-ს თანამშრომელს, „კამილას“ ფსევდონიმით, რომელიც ყალბ ცნობებს აწვდის საზოგადოებას ზემოდ დასახელებულ ამხანაგების საქმიანობის შესახებ. მედიატორებად დანიშნულია ამხ. დოლაბერიძე და ამხ. მუმლაძე.

— კითხულობ? იკითხა ოთახში შემოსულმა პოლინამ, სკამზე ჩამოჯდა და სიცილი დაიწყო.

— რა გაცინებს?

— აბა ავტირდე?

— რას მომისჯიან, თუ იცი?

— ნუ ხუმრობ, პოლინა, ეს ხალხი მე უნდა გამომეწვია სამედიატორო სამართალში და ისინი მიწვევენ მე? ძალიან კარგი. მე მათი არ მეშინია. მედი-

ატორებათ ჩემი მხრით შენა და ზურაბი იქნებით. ერთი სიტყვით მრავვარეთ ყველაფერი რაც საჭიროა ასეთ შემთხვევაში.

სამი დღის შემდეგ სამივემ გამგის კაბინეთი შეაღეს [illegible] ბიბლიოთეკა ხალხს სალამი მისცეს.

მარინას სალამს ცივად უპასუხეს; მაგრამ მან ეს არც კი შეიმჩნია. სკამზე ჩამოჯდა, პალტოს საყელო ფრთხილად გაიხსნა, ხელთათმანები იქვე მაგიდაზე დააწყო და როდესაც პაუზა გახანგრძლივდა, თავი აიღო, ცივი სიამაყით შეათვალიერა თვითეული მათგანი და დინჯი ირონიით შემდეგი წარმოსთქვა:

— რას მიჩივით?

— ამ წერილის ავტორი თქვენა ხართ?—კითხულობს მუმლაძე და აღნიშნულ წერილს ფერადი ფანქრით წრეს უკეთებს.

— დიაღ, უპასუხა ქალმა და ამ თქმამ შოლტივით გასჭრა ჰაერი.

— ეს ადამიანები თავს შეურაცყოფილად გრძნობენ.

— ამ წერილში ლაპარაკია ერთერთ დაწესებულების სამ თანამშრომელზე, მაგრამ გვარები ამ ადამიანებისა აქ არ არის დასახელებული.

— რა საჭიროა დასახელება, როდესაც ყველაფერი ნათელია. ამბობს ამხ. ფერაძე და ნერვიულად ფურცლავს ჟურნალს.

— თქვენ, ამხანაგო მუმლაძე, იქნება გახსოვთ ანეგდოტი ჟანდარმების მეფის ბენკერდოხთისა და პუშკინის შესახებ? კითხულობს მარინა.

— არ მაგონდება.

— პუშკინმა დასწერა უსახელო პასკვილი მინისტრ უვაროვზე. ხელთნაწერი გავრცელდა საზოგადოებაში და ეს ამბავი მივიდა უვაროვის ყურამდე,

ბენკენდორფმა დაიბარა პუშკინი თავის კაბინეთში. ისიც წავიდა. ასეთი ნიჭიერი კაცი ხართ და ასეთ პასკვილებს ჯღაბნით. რატომ არ გრცხვენიათ ამის, პუშკინო?! მიმართა მას, და თავის წინ გადაშალილ ქაღალდზე მიუთითა. მართალია ამ ნაწარმოებს ლათინურიდან გადმოთარგმნილად აცხადებთ, მაგრამ რუსის საზოგადოება იმდენათ განათლებული კი არის, ასეთი ქარაგმები გაიგოს.

— ფრიად და ფრიად მახარებს განათლება რუსის საზოგადოებისა, ეუბნება ირონიულად პუშკინი.

— მე თქვენ ბევრჯერ გაგაფრთხილეთ, თქვენ მაინც თქვენსას არ იშლით, იბღვირება ბენკენდორფი.

— მე ეს უვაროვზე არ დამიწერია, ამბობს საპასუხოდ. ის, ჯერ კიდე ფეხზე დგას და ხელში რაღაც ჟურნალი უჭირავს.

— მაშ ვიზე დასწერე?!

— თქვენზე, თქვენზე, თქვენზე.—ამბობს პუშკინი სამჯერ ზედიზედ. სამჯერ ზედიზედ უახლოვდება ჟურნალი ბენკენდორფის ცხვირს და სამჯერ ზედი ზედ ისე დაბრუნდა ფეხის წვერებზე მის წინაშე, რომ ის ხან პოეტის ზურგს შეყურებდა, ხან კიდევ მის ანთებულ თვალებს.

— რაო, ჩემზე? დაიღრიალა მან ისეთი ხმით, რომ დავლა კიხაღამ დაეცა, მაგრამ., მოითმინეთ, ყმაწვილო, მოითმ ნეთ და შემოხედეთ აი ამას.. ამას, ამ ბობს ის და ხაზს უსვამს იმ ადგილს, სადაც შეშის ქურდობაზეა ლაპარაკი. თქვენის აზრით მე სახელმწიფო შეშას ვიპარავ?

— ამას თქვენ მართლაც რომ ვერავინ დაგწამებდათ, მაგრამ ჩანს რომ უვაროვი იპარავს, რაკი ასეთ ბრალდებას თავისთავზე ღებულობს.

როგორც იქნა ჩასწვდა ბენკენდორფი პოეტის მიერ გადასროლილ სილოგიზმს

— ჰო, მართლაც. დაილაპარაკა მან და მისი აღშფოთებაც ერთბაშად დასცხრა.

— ეს ანეგდოტი ამ ამბავს ცოტათი ჩამოგავს. თუ ხსენებულმა ამხანაგებმა ამ წერილში თავისი თავი იგრძნეს, ეს იმას ნიშნავს რომ.. მე მართალი ვყოფილვარ.

სიტყვას თხოულობს ამხანაგი ფერაძე.

ის ლაპარაკობს მთელი საათის განმავლობაში იმაზე, თუ რა გააკეთეს მათ სწავლა აღზრდის საქმეში, რას აკეთებენ და რა უნდა გააკეთონ კიდევ მომავალში.

— ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა და ის უეჭველად უნდა გაბათილდესო, დაამთავრა მან.

— როგორ გინდა გააბათილო ის? კითხულობს მარინა.

— თქვენ მოიხდით ბოდიშს პრესის საშუალებით და იტყვით, რომ ეს წერილი შეცდომით დაიწერა.

— როგორ? წამოიძახა მარინამ, ზეზე წამოიჭრა და მისი თვალებიდან ცეცხლი და ფოლადი დაიფრქვა. ორი თვის განმავლობაში თქვენ მატყუეთ და მატარეთ თქვენს დაწესებულებაში. ორი თვის განმავლობაში თქვენ დამაყენეთ ბავშვივით თქვენი კაბინეტის კარებთან, ორი თვის განმავლობაში თქვენ გამიცდინეთ ჩემი საქმეები, თქვენ დამაზარალეთ ზნეობრივად, ფიზიკურად, მატერიალურად და თქვენ.. კიდევ თქვენ მოითხოვთ ჩემგან ბოდიშებს?! მომისაჯეთ რაც გენებოთ და მე იმას მოვიხდი, მაგრამ რაც შეეხება ბოდიშს, ნურას უკაცრავად და.. ბოდიში არ იქნება! ამ სიტყვებით მან დინჯად აიბნია პალტოს საყელო, თავისი ხელთათმანები აიღო და უსიტყვოდ კაბინეთის კარები გაიხურა.

-- რა ითქვა ჩემს შემდეგ? შეეკითხა მარინა, როცა პოლინა და ზურაბი დაბრუნდენ მასთან.

— არაფერი, მიუგო ზურაბმა. მუმლაძემა სთქვა: „ჩვენ ამ ქალს ჩეკაში ვერ ჩავსვამთ მხოლო იმისათვის, რომ... სიმართლე დასწერაო.

ამაზე ჩვენ ყველას გაგვეცინა და ეს საქმეც მოხსპო.

*
* *

„მარინა! დღეს დავამთავრე ჩემი მეცნიერული ნაშრომი და მინდა წაუკითხო ზოგიერთ ამხანაგს. გელით თქვენც შვიდ რვა საათამდე. თქვენი ერთგული მეგობარი გერმა“.

წერილი მაგიდაზე დადო და ოდნავ გაიღიმა, მაგრამ ამ ღიმილმა მის თვალებში მძიმე ჯანლად ჩაწოლილი ნაღველი ვერც კი შეარხია. პირიქით, ის უფრო დამძიმდა და მის სახესაც მუქი, სასტიკი გამომეტყველება მისცა.

„ერთგული მეგობარი“ ჩაილაპარაკა ირონიულად და მისი თვალთახედვის ისრები დაიმსხვრა იმ შავ ჩარჩოში ჩაჭედილ სურათზ, რომელიც იქავე მაგიდაზე იდო ახოვანი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, ზევით აწეული შავი თმებით, სქელი

ტუჩებით და დიდრონი შავი, ცეცხლოვანი თვალებით, რომლებშიაც ჩაწოლილა ვნება, ვნება, და კიდევ ვნება. აქ არის მამაკაცი, ჯანსაღი მამაკაცი, მთელი თავისი ფიზიოლოგიური თვისებებით, მაგრამ არც ერთი ნაკვეთი მისი სხეულისა, არც ერთი მოხაზულობა მისი სახისა არ ლაპარაკობს იმაზე, რომ ამ სხეულს უდგას სული, სული კეთილშობილი და მაღალი მისწრაფებით აღზნებული. წარბები უსიამოვნოთ ეკეცება, სურათს ზურგს აქცევს და სცდილობს ანალიზი გაუკეთოს საკუთარ განცდას, საკუთარ სურვილებს.

ხუთი წელიწადი სრულდება და მან კიდევ ვერ გამოარკვია თავისი სულიერი მდგომარეობა. ის გრძნობს, რომ აკლია რაღაც და ეს რაღაც.. მამაკაცია, სიცალიერისა და მარტოობის გრძნობას მძაფრად განიცდის და ეროტიული სიზმრებიც გამუდმებით აწვალებს მას.

როგორ მოიქცეს?

არ არის მეშჩანური მსოფლმხედველობით შეპყრობილი და ძველ საზოგადოებრივ მორალსაც კარგა ხანია, რაც ზურგი აქცია, მაგრამ როგორ შეიყვაროს ისეთი მამაკაცი, რომელიც არ აკმაყოფილებს, როგორც ადამიანს, რომელშიც არ გრძნობს მეგობარს და რომელმაც ვერ აღძრა მასში გრძნობა პატივისცემისა. მიუხედავათ ამისა, ეს კაცი იზიდავს და მისი უბრალო მოგონებაც კი აღელვებს, დასჩემდა ნერვიულობა, აწუხებს უძილობა და თავის ტკივილი.

ერთი ამბავი აგონდება.

ერთ დღეს, როცა განსაკუთრებული დაღლილობა და სისუსტე იგრძნო, მიმართა პროფესორ რენოს, რომელსაც განსაკუთრებული სიმპატიით უყურებდა და რომელთანაც მეგობრულ განწყობილებაში იყო.

ავადმყოფობის მიზეზი გამოიკითხა, დაკვირვებით გასინჯა და იმის ნაცვლად რომ რეცეპტი დაეწერა, პირდაპირ დაუდგა, ხანგრძლივად თვალებში ჩახედა და..

— თქვენ უნდა გათხოვდეთო, უთხრა.

ყველაფერს მოელოდა, ასეთს დიაგნოზს კი არა. გაწითლდა და პროფესორს დაბნეული სახით ახედა.

რენომ რბილად გაიღიმა, გაიღიმა ისე, როგორც გაუღიმებენ შემკრთალ ბავშს და მის თვალებიდან ნაზი შუქი გამოკრთა.

— მოჭარბებული სისხლი და მხურვალე ტემპერამენტი გამოსავალს თხოულობს. დიაღ, თქვენ უსათუოდ უნდა გათხოვდეთ:

გაჩუმდა. მის სხეულს მუდამ სწვავდა ვნებიანობის გამანადგურებელი შხამი, მაგრამ თავს იკავებდა და ელოდა რჩეულს. ბედმა მისი ცხოვრების გზაზე ისეთი ადამიანი დააყენა, რომელსაც არაფერი სწამს, რომელსაც ვერ ენდობა.

— თქვენ დაფიქრდით. გაქვთ რაიმე სათქმელი?

მარინამ გულახდილად უამბო თავის წარსული დამოკიდებულება დიტოსთან და აგრეთვე მისი უცნაური განცდა განწყობილება გერმასამდი.

— მე არაფერი მესმის ჩემი საკუთარი თავის, დაბნეული ვარ და ვეძებ გამოსავალ ბილიკებს·

— ასეთი რამ ხშირად ხდება, შეიძლება გიყვარდეს და პატივსცემდე ადამიანს, მაგრამ ამავე დროს სრულიად არ გაღელვებდეს ის.

— მიზეზი?!

— მიზეზი ფიზიოლოგიურ სხვაობაში უნდა ვეძიოთ, მარილი, რომ მარილს მიუმატო ამით მ სი სახე არ იცვლება, მაგრამ სულ სხვა ნივთიერებას მივიღებთ მარილი რომ ერბოში ჩავყაროთ. საჭიროა ტიპისა და ტემპერამენტის შერჩევა და ყველაფერ ამას ადამიანები ინტუიციით აღწევენ.

ამ სიტყვებით მან თავის კაბინეთის ფანჯრები გამოაღო და ბოტანიკური ბაღიდან საღამოს გრილმა ნიავმა შემოიქროლა. მზემ ოთახში უკანასკნელად შემოიხედა, თეთრად შელესილ კედლებს ვარაყიანი ფოთლები დააყარა და ორმოცი წლის ჯანსაღი პროფესორის სხეული ოქროს ქსოვილებში გაიხლართა. ბევრი არაფერი იცოდა იმის შესახებ მარინამ, მაგრამ ის კი დანამდვილებით იცოდა, რომ მისი ცოლი რეინის ნაპირებთან ვილაც ინჟინერთან სეირნობდა და რომ პროფესორი ცხოვრობდა მარტო, თავის 7 წლის ვაჟთან ერთად.

*
* *

გერმა ღელავს. ის ელის მარინას. უყვარს ის?

ამაზე დანამდვილებით ვერ გიპასუხებთ. მისი განცდა ხანდახან სიძულვილს უფრო გავს, ვიდრე სიყვარულს.

ეს ქალი თავის გამჭრიახი მზერით ისე ღრმად იხედება სულის მივარდნილ კუნჭულებში, რომ აკრთობს, აშინებს, მიუხედავად ამისა არასოდეს არცერთ ქალს არ დაუპყრია მისი გული ასე ხანგრძლივად და არასოდეს არც ერთი ქალი არ სდომებია ასე ძლიერად, როგორც ის. მზად არის წავიდეს ყოველგვარ კომპრომისზე, მზად არის დააკანონოს ეს განცდა. თუ ურთიერთობა გამწვავდება თუ ერთმანეთს ვერ შეეთვისებიან, გაშორებაც ხომ გაადვილებულია.

ასე ფიქრობს ის და ამ ფიქრებში თავის ოთახს აწყობს და ასუფთავებს. უკეთესი წიგნები, ვარაყიანი ყდით საწერ მაგიდაზე დაალაგა. ლამაზი ნივთები აქა იქ მიმოიფანტა, ვაზები ხრიზანტემებით აავსო და ბროლის ლარნაკები ყურძენმა და ვაშლმა შეალამაზა.

თავის თავიც არ დაივიწყა, პირი მოიპარსა, ვანა მიიღო, ახალი კოსტიუმი ჩაიცვა, სუსხით წყალი თავზე გადაისხა და ასე ამგვარად დაიწყო ლოდინი. „მცენარეული ნაშრომი“ კი სადღაც, საწერი მაგიდის უჯრაში იყო მიმალული და ასეთი ტყუილი მის სინდისს ოდნავადაც კი არ ქენჯნიდა.

ამ რამოდენიმე წლის წინად განიზრახა დაეწერა ის. იყიდა სქელი რვეული და სათაურად ასე დააწერა: „გამოკვლევანი ტუბერკულიოზის შესახებ“, მაგრამ სათაური სათაურად დარჩა და მისმა გამოკვლევამ დიდტანიანი რვეულის ერთი ფურცელიც კი ვერ შეავსო.

როცა კაკუნი შემოესმა ფერმა გადაკრა და გულის ძგერით კარები გამოაღო.

მარინა, წამოიძახა მან გულწრფელი სიხარულით და აღტაცებით ორივე ხელები დაუკოცნა.

— გამარჯობათ, ექიმო, მაგრამ თქვენ ისე მორთულხართ, თითქოს წვეულებაში აპირებდეთ, წასვლას, სთქვა მან ღიმილით და მის სიტყვებში ოდნავი ირონია გამოკრთა.

— ეს ტანსაცმელი თქვენთვის ჩავიცვი.

— როგორ, თქვენ გინდათ ტანისამოსით მომაწონოთ თავი?!

— არა, მაგრამ..

— კეთილშობილი ადამიანი გახუნებულ ხალათშიც კეთილშობილად მოსჩანს.

— დაანებეთ თავი ნოტაციებს მარინა. ხომ იცით რომ ჩემი გარდაქმნა შეუძლებელია.

— არა. შეუძლებელი არაფერია. ადამიანს შეუძლია აღზარდოს თავისთავი და იყოს უკეთესი, ვიდრეა ნამდვილად. თქვენში კი საამისო სურვილი არასოდეს არ ყოფილა, ამ სიტყვებით ლარნაკი მოსწია და გრძელი, სუფთა თითებით რამოდენიმე ნაყოფი აიღო.

ჩალისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა და ასეთივე ფერის ქუდზე რამოდენიმე ყვითელი ყვავილი ებნია.

—როგორ გიხდებათ ეს კაბა მარინა.“

— თქვენ ამჩნევთ გარეგნულ ბრწყინვალებას და უდიდეს ყურადღებას ჩაცმა დახურვას აქცევთ, მაგრამ ადამიანის შინაგან თვისებებზე და მის შინაარსზე კი არასოდეს არ გიფიქრიათ.

— თქვენ უშინაარსო ხართ?

— თქვენ მწერდით, რომ გინდათ წაიკითხოთ რაღაც ნაშრომი. ჩემის აზრით დროა მოსძებნოთ ის. ალბათ მალე თქვენი მეგობრებიც მოვლენ. წარმოსთქვა მარინამ და მისი შეკითხვა უპასუხოდ დასტოვა.

— მე არავის ველი. რაც შეეხება ნაშრომს, თქვენ წაიკითხავთ მას, როდესაც დაიბეჭდება.

— მაშ რატომ მოიწერეთ?

— თქვენი ნახვა მინდოდა.

მარინა წამოდგა და გაყინული სახით კარებისაკენ გაემართა.

— ნუ გამიწყრებით. მე თქვენთან სალაპარაკო მაქვს. ამ სიტყვებით კარებს ზურგით მიაწვა და ვედრებით ორივე ხელები დაუჭირა.

— „ვაჟკაცისა ცრუობასა ნეტამც ქვეყნად რა შეგავდეს“?!

— ეს პატარა ცრუობა შენმა სიყვარულმა მათქმევინა.

— ცრუობა როგორი პატარა არ უნდა იყოს ის, მაინც ცრუობაა, მაგრამ.. თქვენ აღარ მიშვებთ მე?

— არა, სანამდი არ მომისმენთ.

— რა გაქვთ სათქმელი?

— მინდა ვიცოდე თუ როდის გახდები ჩემი, სრულიად ჩემი. ხუთი წელიწადია, რაც მიყვარხარ და გიცდი, მე აღარ შემიძლია მეტი ცდა.

— მე თქვენში არ მიყვარს და არ მომწონს ადამიანი.

— მამაკაცი გიყვარს. ადამიანს შემდეგ დაინახავ.

— დაჩუმდი.

— კარგი, მაგრამ. ნება უნდა მომცე გიცქირო თვალებში. გიცქირო აი, ასე.

მე მიყვარს ისინი, როცა სევდიანობენ, მიყვარს, როცა ფიქრებით იტვირთებიან, ცნობისმოყვარეობით ინთებიან, მაგრამ ყველაზე მეტად მე მიყვარს

ისინი, როცა უეცრად ვულკანებს აფეთქებენ და ცეცხლის ნაკადულებში დაიწყებენ ცურვას აწყვეტილი ვნების ხომალდები

— ფრთხილად, შესაძლოა ქარიშხალი ამოიჭრას და ბრმად ნაცვებული ხომალდები ნამსხვრევებათ აქციოს.

— ეგ არ მოხდება. შენ იქნები ჩემი და იქნები დღესვე. ამ სიტყვებით კარებს კეტავს და კლიტეს ჯიბეში იდებს.

— რას აპირებ შენ?!

— ყველაფერს.

— ძალას დამატან. შეურაცყოფას მომაყენებ?

— არც ერთი მოხდება და არც მეორე. მე ავირჩევ მესამე გზას.

— მაინც?

— მე შენ... დაგიმორჩილებ. აბა შემომხედე!! ამ სიტყვებით მან ხელი ხელს შემოჰკრა და ქალს ისეთი თვალებით დაუწყო მზერა, როგორც იმზირება ესა თუ ის დახელოვნებული გიპნოტიზორი ამა თუ იმ სეანსის დროს.

თვალები დაეხუჭა, სხეულიც ერთბაშად მოუდუნდა და ბურანში ჩავარდნილ ქალს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა.

ელექტრონი ჩაქრა..

(დასასრული პირველი ნაწილისა)

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სევასტი თალაკვაძე

გადასასვლელი

(თავი რომანიდან)

მაღლა სივრცე ლურჯად იხედებოდა. ღრუბლის ნაგლეჯიც კი არ ფარავდა არსად მოციმციმე შორეულ ვარსკვლავებს, მაგრამ ამ ღამით მომავალ ხალხს მთვარე მაინც არ ეჩვენებოდა, თითქო იგიც კი დამალოდა ჩვენი დედამიწის ნახევარს.

ამ უკუნეთ ღამეში ვაჟები და ქალები, შარა-გზებით თუ სოფლის ვიწრო ბილიკებით, ღობიდან ღობეზე გადასვლით, დავა-ლაპარაკით ახმაურებულნი, თემის ცენტრში—კოლექტივის საერთო კრებაზე მოედინებოდენ.

ბაიაშვილიც ამათ შორის იყო. მას ნასადილევს გამოეწია რაიონიდან თემში და კოლექტივის ყანაში მისულიყო, საცა კოლმეურნე გლეხების ერთი ნაწილი ხელახლა აბრუნებდა ზოგიერთ გაწბილებულ მიწებს და სიმინდს სთესავდა ხოლო მეორე ნაწილი პატარა გიჟმაჟ მდინარეს, ამ ყანის შუაში ჩამომავალს კალაპოტს უცვლიდა და ჭირნახულს მოსალოდნელ ნიაღვრის საფრთხისაგან იცავდა. ბაიაშვილი იქიდან საღამოს ჩვეულებისამებრ შინ გამოყოლოდა გლახუნს და, ნავახშმევი ახლა თინასთან ერთად განაგრძნობდა ჩაბნელებულ სოფლის გზას.

გლახუნი და სხვა მეზობლები მათ უკან მიეტოვებინათ.

სოფლის მკვიდრნი შეშჩეოდენ ღამით ბნელაში სიარულს და ალღოთი იკვლევდენ გზებს. ისინი ზოგ მათგანს დროგამოშვებით მაინც ფეხს წაჰკრავდა მაგრად შებურთულ ადგილს, ქვას, და იწყევლებოდა.

„უუ, დაიქეცი!.. შვავმა წაგიღო!... მეწყერმა ჩაგიტანა!..“

მაგრამ ყველანი არ ბრაზობდენ. უმეტესობა სოფლის ამ წამხდარ გზების გამო სულ სხვანაირად ანვითარებდა აზრს:

„თესვის მოთავების შემდეგ პირველ რიგში ამ გზებს უნდა შევესიოთ და გავაკეთოთ...“

„თესვა ქე მოვათავეთ აბა, მარა ჩქარა სამარგლელი რომ გვექნება?“

„არა, ამისათვის უნდა გამოვყოთ კოლექტივიდან ნაწილი ამხანაგებისა...“

„ჰო, და კიდევ ჩვენს ადგილობრივ მთავრობასაც უნდა ვსთხოვოთ დახმარება—იი რაცხა გზის სატკეცი „პარაოზი“ რომაა, ის უნდა გამოგვიგზავნონ.“

„... მარტო ეს არ იკმარებს,—ელექტრონითაც უნდა გავანათოდ ეს გზები“

„ოო, ეს ძალიანი იქნება. როის ვეღირსებით ამ ბედნიერებას როცა სოფლელები ქალაქის ქუჩებივით გავანათებთ გზებს!..“

„ ჩვენი კოლექტივების წარმატებებზეა ეს დამოკიდებული. გეგმაში გვაქვს შეტანილი ელექტრო-სადგურის აშენება...“

„ კი, მარა კოლექტივები მარტო რას იზამს, თუ მთავრობა [illegible] დეგვეხმარა“.

„ მთავრობა და პარტია თვითონ გვიკარნახებს ამას და ჩვენზე უფროა დაინტერესებული ამ საქმეში; დაგვეხმარება და შეგვაძლებინებს აბა, რა!“.

„ კი, მთავრობას გეგმაში აქვს სოფლების ელექტროფიკაცია· სოფლები ისე უნდა განათდეს, როგორც ქალაქებია!..“

„ უ, რა იქნება მაშინ! ელექტრონით განათებულ სოფელში ღამეც ქე შეგვეძლება მუშაობაi..“

„ ჰო, სწორედ ისთე, როგორც ქალაქში მუშები!...“

„ სოფლებში უფრო მეტია ღამის სამუშაოები“

„ მეტი შეიძლება არ დაგვირჩეს, მარა ჩვენც რომ ბევრი გვექნება სამუშაო, ეს ცხადია.“

„ თეატრები და კინოებიც ისთე გვექნება როგორც ქალაქს.

არ შორდება მათ განახლებისა და გარდაქმნის ეს იმედები. მოლოდინის ცეცხლით ანთებულან ისინი და უყოყმანოდ მიესწრაფებიან წინ, არ ნახულიყენ...

თინასა და ბაიაშვილის უკან ერთად მომავალი გლახუნი და ალექსი, რომელთაც შემდეგ ჭუჭულა ეპიტავაც შემოუერთდა გზაში, დაბალი ხმით ელაპარაკებიან ერთმანეთს. მათი სალაპარაკო თემა კრებაზე მომავალ სხვა გლეხების საუბრისაგან განირჩევა. მათ გულს დიამეტრალურად საწინააღმდეგო ამოცანები ამოძრავებს. ამ ამოცანების სასარგებლოდ მათ ბევრი რამე გააკეთეს კიდეც და ახლა გზადაგზა აჯამებენ მას. „გაკეთებულებში“ მათ უნდა ჩაუთვალოთ ის, რომ ბევრგან დათესილი მიწები ხელახლა დასათესად მოაქციეს; წვიმის შემთხვევაში საშიშარ მდინარის—ნიაღვრეთის კალაპოტი ისე არ შეაცვლევინეს თემს, როგორც ეს სასურველი იყო ჭირნახულის საფრთხისაგან დასახსნელად; აქტიური კოლმეურნე კომუნისტი გლეხი და ერთი ხელმძღვანელთაგანი კოლექტივისა ტარიელი სიკვდილის პირზე მიიყვანეს და სიცოცხლის საათებს ათვლეინებენ ახლა.

არა, თავიანთი ამოცანებისა მათ ბევრი რამე შეასრულეს, მაგრამ წინ კი. დევ უფრო მეტი უდევთ. ერთი დიდი და უმთავრესი საქმე ამაღამ ელოდება მათ.

— ამხანაგო ხალამპრე, აქ ნელა და ფრთხილად გავიაროთ, თორემ..

— თორემ რა, „ხიფათი“ მოგველის?—არ დაათავებია ბაიაშვილმა თინას.

— ჰო, საშიშარია, თხრილში არ გადავვარდეთ. იმ ღობეების ძირში ღრმა თხრილებია გაყვანილი,—დაასრულა სიტყვა თინამ.

— ჰოო... მაშინ შენც ნუ ჩქარობ თინა, ჩემთან ახლოს იყავი· ვინ იცის. თუ ფეხი გადამიცურდა იმ „საშიშარ“ თხრილისაკენ, ხელი მტაცე და დამაკავე.—მიუგო ბაიაშვილმა ხუმრობა-შერევით და ხელი ჩაავლო მკლავში, გვერდით მიიზიდა.

თინა არ ეურჩება მკლავის გამოყრას, მაგრამ მაინც რაღაც უხერხულობა იგრძნო.

ნორჩ ტოლ-ამხანაგებში მკლავის მკლავში გამოყრა არც მისთვის იყო უცხო. თინა ხომ ჯერ კიდევ ნორჩი ქალიშვილი იყო. უხერხულობის გრძნობა მკლავის გამოყრის მომენტში მან ვერ დაფარა. ბაიაშვილმა შენიშნა ეს, გაუბედელი შმუშვნა და თრთოლვა. ეს რხევა და ტორტმანი მან სხვანაირად ახსნა და შეუგნებლად, ხელი მკლავზე მოუჭირა.

თინა ამან შეაძრწუნა, გრძნობამ სტიქიურად მოუწოდა თავდაცვისაკენ მაგრამ ხელის განთავისუფლება მაინც ვერ გაბედა. უფროსი ამხანაგის მორიდებისა და პატივისცემის გრძნობამ დაბორკა იგი. ამ გარემოებამ ბაიაშვილი კიდევ უფრო გაათამამა და აიტაცა.

— . . . თინა, რამდენი ხანია კომკავშირელი ხარ? რამდენი წლის იქნები?—ჰკითხა ბაიაშვილმა მას მექანიურად და თავისი ხელის თითები თინას ხელის თითებთან მიაცურა, გაუბედავად, ოდნავი მორიდებით მოუჭირა.

თინა, როგორც ტყვე და უძლური ძლიერს ისე დაემორჩილა ბაიაშვილს. მაგრამ მის თითებს არ უპასუხა თანაგრძნობით, სითბო არ მისცა ბაიაშვილს.

გრძნობა-ფაქიზი ადამიანი ამ გარემოებაზე თითქო უნდა შეჩერებულიყო. თანასწორი ნდომა ამ მომენტში უნდა გაენელებია, უნდა გაექრო. მაგრამ სისხლ-ჭარბსა და მოუქნელ ბაიაშვილს ეს კითხვები არ ებადებოდა. იგი ამ წუთს მამაკაცური ნდომის სტიქიას სულ მთლად დაეფლო. თინას სულის შიგნით ვერ იხედებოდა ბაიაშვილი, მისი გრძნობის სიმთა ჟღერას ყურს ვერ უგდებდა იგი. ვერ იკავებს თავს ბაიაშვილი.

„ რა კრძალვა! რა მორიდება! რისთვის?.—უელვებს თავში მას,—დედაკაცი იმიტომ გაჩნდა დედაკაცად, რომ მამაკაცს სურვილი შეუსრულოს.

„ ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა ქალ-ვაჟის ურთიერთობისა. რა საჭიროა აქ გრძელი „ამბავი“. სიყვარულის „დიდი ისტორიის“ შექმნა! ისინი ზედმეტად ტვირთავენ ადამიანებს და სწყვეტენ მათ, განსაკუთრებით ჩვენს დროში, დიდს საზოგადოებრივ საქმეებს აცდენენ ტყუილაუბრალოდ. ფიქრობს ბაიაშვილი და კიდევ უფრო მოუთმენელი ხდება.

ბაიაშვილს თითქო დაავიწყდა, რომ ადამიანები უტყვი ცხოველები არ არიან. ისინი ცხოველებივით „დღევანდელი დღით“ არ სცხოვრობენ, სიცოცხლის აზრი და ანგარიშები ამ „სიცოცხლეში“ მათთვის სხვაა. ადამიანების გონებათ ხედვა, გრძნობა, სინაზე, ყნოსვა და მოთხოვნილება ცხოველთა ნდომა-სურვილების რკალში არ თავსდება. მან თითქო მხედველობიდან გაუშვა, რომ ქალ-ვაჟის ფიზიკურ კავშირს ამზადებს და აზრს აძლევს წინასწარი ესთეტიური განცდები, გაიგივებული ხასიათები და უაღრესი მეგობრული ნაშენობა ურთიერთისა. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ბაიაშვილი თითქო გვერდს უვლის იმ გარემოებასაც, რომ ამ აქტში დედაკაცი არ არის თანაბარი მამაკაცისა, დედაკაცისთვის უშედეგოდ არ რჩება ეს ფიზიკური კავშირი, დედაკაცისთვის საჭიროა იცოდეს ვისთან გააბა მან კავშირი, რამდენად გაინაწილებს იგი ამ კავშირის შედეგის სიმძიმეს.

ნუ იქნება ეს შედეგი? სულ შეუძლია გვერდი აუხვიოს ამ შედეგს? მაგრამ ეს ხომ დამახინჯებაა ადამიანის, რეაქციაა მის ყოფა-ცხოვრებაში, კომუნისტური საზოგადოება ამას ვერ დაადასტურებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენი ხანია?

— ორი წელიწადი. მესამეში გადავედი...

— რამდენი წლის?

— რაიზა კითხულობთ?.. აბა ეს რა საჭიროა! მე კარგად არც კი ვიცი... — ცივად, თითქმის შეშფოთებითაც და ამავე დროს მოკრძალებით მიუგო თინამ.

ეს ლაპარაკი არ ანელებს მათს ნაბიჯს, შეუჩერებლივ განაგრძობენ გზას. ბაიაშვილი უფრო უმატებს ნაბიჯებს, თითქოს ცდილობს უკანიდან მომავალ თინას მამას და სხვა მეზობლებს დაშორდეს, დიდი მანძილით დაშორდეს.

თინამ იგრძნო ბაიაშვილის მკლავში განსაკუთრებული მამაკაცური სიცხოველე და სითბო. მაგრამ ახლა იგი პირველი აღარ იყო მისთვის. ადრე ეს ანდროსთან განეცადა მას, მაგრამ არა ამ სახით როგორც ახლა ბაიაშვილთან. ანდროს უნებურად, ანდროს გაუგებრად, ქურდულად განიცადა, და ერთხელ სოფლის კომუჯრედისა და კომკავშირის გაერთიანებულ კრებაზე თინაც იმ სკამზე ჩამომჯდარიყო შემთხვევით, რომელზედაც ანდრო იჯდა. ბინა პატარა იყო. ნავთის ლამფაც სუსტად აშუქებდა მას. ანდრო და თინა სივიწროვის გამო მაგრად აწვებოდენ ერთმანეთს. ხშირათ თინა გულ-მკერდითაც ხვდებოდა ანდროს მხარ-მკლავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ანდრო გვერდით-მჯდომ მეზობლებს მოუბრუნდებოდა და ყურში ჩუმად რაღაც ლაპარაკს დაუწყებდა ნორჩ ქალიშვილს მკერდში პირველად გაუთბა რაღაც, გაუთბა უჩვეულოდ. პირველად აუნთო მაშინ „მამაკაცმა" ცეცხლი, უჩვეულო ცეცხლი და ამან სრულებით შეუგნებლად ჩაუგდო ანდრო გულში. ამ შემთხვევამ თინა „ტყვე" გახადა ანდროსი. თვითონ ანდროს კი ეს ამბავი არც უგვრძნია, არ გაუგია.

ანდრო გვერდს უხვევდა თინას, როგორც ქალს, არ ფიქრობდა მასზე, როგორც დედაკაცზე.

„... ხანში შესულია, ნაოჭებიანი. პირისახე არა დაუძლურებული მოხუცისა. ძველი ბოლშევიკი, სასტიკი და შეურიგებელი რევოლიუციონური საქმის კაცი, მარა უბრალო კომუნისტი, ზედმიწევნით თავმდაბალი, სოფლის ცხოვრების გარდაქმნით გატაცებული. მუშა, ტლანქი, ახოვანი, მარა მოქნილი, კულტურული, განათლებული ინტელიგენტის იერი. უსაყვარლესი და სანდომიანი ასე დაიხატა თინას თვალში ანდრო.

და ახლა ეს მსგავსი განცდა მსგავსი გრძნობისა ბაიაშვილის გვერდით თინას აწითლებს, არცხვენს. თუმცა—განცდას გრძნობისას არ უნიშნებია მისი ცნობა და მიღება.

ახლა ეს განცდა არაა ისეთი, როგორც მაშინ იყო, ანდროსთან. მაშინ თითონ თინა მიიწევდა ანდროს შეუგნებლად შეუცნობლად და სტიქიურად.

— ... რაიზა მიჭერთ ხელს ასთე, ამხანაგო ხალამპრე! მეტკინა... რაფერ მიყურებთ!.. ნუ მაშინებთ.—უთხრა თინამ ბაიაშვილს და შეუჩერდა.

თინა შეეცადა გაენთავისუფლებია თავისი მკლავი ბაიაშვილის მკლავის მარწუხებიდან, მაგრამ ამაოდ.

ბაიაშვილი თითქო გაბრაზდა, მან უფრო ახლოს მიიზიდა თინა და მოწურა მკლავ-იღლიაში. მაგრამ ეს წუთით მოხდა.

— რისი შიში თინა!... რად უნდა გაშინებდე!? დამშვიდდი, კომკავშირელი და ასეთი მეშჩანობა, ასეთი გაუბედავობა? წავიდეთ, რატომ შესდექი?—მიუგო ბაიაშვილმა მას და ხელი მოუშვა სულ კი არ გაანთავისუფლა, ხელიმოდ შეანელა თინას მკლავის წურვა თავის მკლავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინაც რამდენიმედ დამშვიდდა და გზა განაგრძო, მაგრამ ამ სიმშვიდეს არ გაუნელებია მისი წყენა და გაჯავრება, ბაიაშვილის საქციელით გამოწვეული.

— კომკავშირელი... კომკავშირელი ქალი, თქვენის აზრით, მაშინ იქნება გაბედული და არა მეშჩანი, თუ ასეთ ხელების მტვრევას გაუძლებს კაცებისაგან? მაინც, რა გსურს ჩემგან, მე ვერ გამიგია.—უთხრა თინამ ბაიაშვილს.

თინას ჯერ ვერ დაეღწია თავი გულუბრყვილობისგან. ჰასაკმა და გამოცდილებამ საშვალება არ მისცა ჩაწვდენოდა ბაიაშვილის ზრახვებს, მის ვნებათა ღელვის სურვილებს.

ეს გარემოება უფრო მეტად აღიზიანებს და ლახავს ბაიაშვილის გრძნობას

— რა მსურს, თინა?... რა მსურს და... მე სიამოვნებით ვისურვებდი შენთან ერთ ჭერს-ქვეშ დარჩენას, ალერსს, კოცნას...

— რა სთქვი? ვერ გავიგონე კარგად, გაიმეორე!—არ დაასრულებია თინამ სიტყვა.

— მე ვისურვებდი მეთქი შენთან ერთად ცხოვრებას, ცოლ-ქმრობას.... რომ იცოდე თიხა, მე დიდი ხანია გულში მყავხარ ჩავარდნილი,—დაუმატა ბაიაშვილმა თავის ნათქვამს.

— რაფერ, ხალამბრე!? თქვენ ხომ ცოლიანი ხართ?! ჩემი ქმრობა თქვენ. კაი, რომ მოვისურვო ცოლობა, რანაირებ შეგვეძლება?—გაიკვირვა თინამ.

ისევ მეშჩანობა! განა ცოლთან სამუდამო პირობით ვარ შეკრული!? ველარ გავეყარე?!—მოკლედ მოსჭრა ბაიაშვილმა. შენ, თინა, ესეც არ იცი, რომ ჩვენი საბჭოთა კანონები ამ „საქმეს" ძალიან აადვილებს, სულ უბრალოდ ხდის?! არ მინდა მასთან ცხოვრება და გათავდა! ვერავინ ვერ დამაძალებს ოჯახში იმას რაც არ მინდა.

ბაიაშვილს არ იამა, რომ თინამ იცოდა მისი ცოლიანობა. მაგრამ ეს უსიამოვნება მაინც არ შეიმჩნია. მის მიერ ნათქვამმა თინას დიდი ეჭვები აღუძრა და შიში დაუბადა. ეს ეჭვები და შიში უმეტესად მხოლოდ შეუგნებელი და სტიქიურია.

ქმარშვილიან ქალებისაგან თინას სმენია ქალებმა ვიკითხოთ, თვარა მამაკაცებს რა უშავს ამ თქმას ბაიაშვილის დასკვნასთან კავშირი ნაკლებად ჰქნოდა. პირველი—სქესობრივ დამოკიდებულების შედეგზე ლაპარაკობდა, მეორე კი თავისუფალ სიყვარულზე და ცოლქმრულ ერთიერთობაზე. მაგრამ იგი ამ ორივე ნათქვამის შორის მაინც პოულობდა კავშირს.

„ როგორ, არ უნდა და გამეყარა? მერე!? ეს ყველაფერი ვაჟების სასარგებლოდარ იქნება? მათ ერთნაირად უჯდებათ გაყრაც და შეყრაც. ჩვენ, ქალებს? რაფერი სოციალისტური კანონია ეს! ნუ თუ საბჭოთა ხელისუფლება ჩვენს მდგომარეობას, ჩვევს დაცვას არ ითვალისწინებს?. „ არ მინდა მასთან ცხოვრება, და გათავდა"-ო. რაფერ! რა ქნას მერე ქალმა? ბავშვები? ხომ ეყოლებოდა ბავშვები?.. ვსთქვათ თუ გინდ ბავშვი არ ყავს. მარა თი-

თონ? ვინ აჭმევს? ვინ არჩენს ან ვინ მიხედავს ქმარისაგან გაუტანელი და გაგდებულს?;", უევლებს თინას თავში ეს აზრები შეუგნებლად და კიდევ ერთი მეზობელი ქალის გაფრთხილება აგონდება—„ვაჟები საშიშარია, ბიბლიოთეკა! უნდა ერიდო"-ო.

ბაიაშვილი ამ გარემოებას თითქო ივიწყებს, ან შეუგნებლად უხვევს გერდს.

— მეშჩანობა! ამიხსენით, ამხანაგო ხალამპრე,—რა არის ბოლოს ეს „მეშჩანობა", ასე ხშირად რომ მნათლავთ მაგ სიტყვით. თქვენ ეგება სხვანირად გესმით—წყენით უთხრა თინამ ბაიაშვილს.

— შენ როგორ გესმის, თინა? სასოფლოს შვიდწლედში გისწავლია, ლიტერატურაშიც ალბათ გათვითცნობიერებული იქნები, და მგონი შენც ჩემსავით უნდა გესმოდეს. მეშჩანობა ცხოვრების ძველი ფორმების გამოკიდებაა, ჩვეულებისა და ადათების მორჩილებაა, ძველის უკუსაგდებლად გაბედულობის გამოუჩენლობაა... ახალის წინაშე შიშია... პატარა ნაჭუჭში მოქცევა და შემოფარგლული ცხოვრება... აა? ხომ ასეა?!—

— ჰო, კი, ასთე ვიცოდი მეც. მარა ერთი მაინც ვერ გამიგია, რაიზა ვარ მეშჩანი? მე მივსდევ განა ძველს. მეშინია ახლის?—ჰკითხა თინამ ბაიაშვილს ჩაფიქრებით.

მან აქ ერთი რამე არა სთქვა: ფრაზა „მეშჩანი" სმენოდა მას ზეპირ ლაპარაკში და ბროშურებშიც ამოუკითხავს, მაგრამ მისი სრული შინაარსი და მნიშვნელობა არ იცოდა. მას ეგონა, მეშჩანი მხოლოდ კულაკები და ბურჟუები იყო, ახლა კი პირველად გაიგო იგი სისრულით ბაიაშვილის პირით.

— ეეჰ, თინა! კარგი, დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს.

— კაი, კაი, დავანებოთ. მარა ნუ გამიჯავრდებით არ მინდა, რომ ჩემზე გაჯავრებული იყოთ.

თინას არ გამოეპარა ბაიაშვილის მომართვის გაჯავრებული კილო და ისე სთქვა ეს სიტყვები, რომ ბაიაშვილმა სითბო იგრძნო, ისეთი სითბო, რომელიც თინას არასოდეს არ ეჩვენებინა მისთვის. გული აუტოკდა, გახელდა ბაიაშვილი..

მან ერთი წამით შეაჩერა თინა, სწრაფად შემოაბრუნა, თვალებში ჩააშტერდა და ვნებიანად აკოცა. ისე სწრაფად მოხდა ეს „ამბავი", რომ თინამ ოდნავი წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოახერხა, ვერ მოასწრო. გაუსხლტა მას ხელიდან ეს ქურდული წამი...

— აბა, რა ქენით! არ გრცხვენიათ!? ბაბას და სხვებს რომ დაენახათ? უკან მოგვდევენ.—თავდაჭერილი აღშფოთებით უთხრა თინამ და პირის სახე დაეშალა, ცრემლებმა უწყო დენა თვალებიდან.

— კარგი თინა, ნუ სტირი კომკავშირელი რევოლუციონერი და ტირილი გაგიგონია! არავის არ შეეძლო დავენახეთ ამ ბნელაში. არაფერი გაუგონარი არ მიქნია შენთვის. უფრო მეტიც ხდება, მაგრამ თავს არ იკლავენ.—მიუგო ბაიაშვილმა და ცალი ხელი წელზე შემოარტყა.

თინას კილოში მან პროტესტის ნაცვლად თანხმობა დაინახა. თავნებათა ღელვამ უფრო მეტად აიტაცა.

— ხელი მიშვით!! მართლა და მართლა, თქვენ დიდი კაცი რომ ხართ, იმიზა ყველაფრის ნებას კი არ მოგცემთ!—გაანჩხლებით შეჰყვირა თინამ და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისე მოსწყდა მის ხელებს, როგორც ვაშლის ყუნწს. გამოცალკევებით შესდგა გზაში.

ბაიაშვილიც შეჩერდა. პასუხი არ გასცა.

— ... „მეტიც ხდება“! მეტი კიდევ რაღა?. ძალის ხმარება? გეცადათ ერთი და გაჩვენებდით ჩემს „კომკავშირულ რევოლუციონერობას.“! ჩემი პატივის ცემა უფროსი ამხანაგის მიმართ ძალიან ცუდათ გამოიყენეთ.

მან იგრძნო, რომ მართალი იყო და გაბედულება მიეცა, გათამამდა, როლში შევიდა, ამ როლმა ცოტა არ იყოს ზედმეტათაც გაიტაცა.

მან ბევრი რამ უთხრა გაჯავრებით.

ბაიაშვილს თითქო ენა მუცელში ჩაუვარდაო, უტყვი შეიქნა.

დამნაშავის სრული შეგნებით იდგა იგი თინას წინაშე თავ ჩაქინდრული და დუმილით ჩასცქეროდა მიწას. მას ისიც აშინებდა, რომ გლახუნი არ წამოსწრებოდა მათ ლაპარაკს და ეს ამბავი მის ყურამდის არ მისულიყო. მან დაინახა ახლა, რომ არა კომუნისტურად, არა ახალი ადამიანის შესაფერად მოექცა ქალს და ამხანაგს, უმცროს ამხანაგს—თინას, რა უნდა ეპასუხა! თავის მართლება და ბოდიშიც ზედმეტად მიაჩნდა.

„... რა ვქნა ახლა? კარგად არ მოვიქეცი. მართლაც ძალადობის ელემენტი გამოვიჩინე. ნეტა ჩემი ამხანაგები როგორ იქცევიან ასეთ დროს? მათ არ ემართებათ ასე? ჰმ, რა იცის კაცმა, როგორ გაზომოს და მოიქცეს ასეთ შემთხვევაში. როცა შიგნიდან, თავის არსების შიგნიდან, რაღაც უმძლავრესად მოაწვება და აიტაცებს, სულის სიმშვიდეს სულ ერთიანად დაურღვევს. როგორ უნდა დაიცვა წონას-სწორობა სულისა?

— ... ძალიან სამწუხაროა, რომ თქვენ არ ჰგავხართ სხვა დიდ კომუნისტებს, მაგალითად ანდროს... ანდროსთან მე ვყოფილვარ ღამე გზაში მარტოდ. მარა ამის მსგავსი არ უკადრებია ჩემთვის. თუმცა შეიძლება ანდროსთან მე ასე არ გავჯავრებულიყავი, რადგან იგი... თქვენი შეცდომა იმაშია, რომ სულ არ ჩააგდეთ ანგარიშში ჩემი სურვილი...—განაგრძობდა გათამამებული თინა.

— კარგი, თინა, მეყოფა! ჩვენ ახალგაზრდები ვართ; რაც ჩვენ მოგვეტევება, ის ანდროს და მისთანებს არ ეპატიებათ. მაინც ტყუილად ჩაგითვლია ანდრო დიდ კომუნისტებში. ძველი კომუნისტია, „დიდი“-ია კი რა მოგახსენო. ამას გარდა ანდრო მემარჯვენეა, ოპორტუნისტია,—ცივად, შინაგანი აღშფოთებით მაგრამ მაინც მორიდებით მიუგო ბაიაშვილმა.

თინას ნათქვამში ყველაზე უფრო ემწვავა ბაიაშვილს ანდროს ხსენება და შედარებები. ამან სხვათა შორის ეჭვებიც აღუძრა მას, აა, ანდრო მეცილება, შენ ანდრო გყვარებიაო!—ეუბნებოდა ის გულში თავის-თავს როცა თინა ლაპარაკობდა. ამიტომ დააწვა ახლა ანდროს სახელს ბაიაშვილი.

— ანდრო „მემარჯვენე“, ანდრო ოპორტუნისტი! თქვენ უგონებთ ამას თქვენ ბოროტი კაცი ყოფილხართ. ანდრო უფრო უყვართ გლეხებს, მას თქვენზე უფრო მეტად უჯერებენ და ამიზა ნათლავთ მას მემარჯვენედ...—მეტად გულმოსვლით და აღელვებით მიაყარა თინამ ბაიაშვილს ეს სიტყვები.

— სწორედ, სწორედ რომ მემარჯვენეა ანდრო და ოპორტუნისტი, ეს იქიდანაც სჩანს, რომ შენ, შეძლებული გლეხის შვილი და შენისთანები, იცავთ მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე თავგამოდებით!—ვეღარ მოითმინა ბაიაშვილმა და მანაც ასე ალღვებით და უკმეხად მიუგო თინას.

თინა დაიბნა გაშეშდა.

— ... რაფერ!? მე „რომ ვიცავ იმიზა“, მე „შეძლებული გლეხის შვილი“.. ეს არავის არ უთქვია! აბა ჩვენ აღარ ვყოფილვართ საშუალო გლეხი... ჩემი დაოლლას ეს კომკავშირლობაც აბა ყალბი ყოფილა!?. თქვენ, თქვენ შურს იძიებთ ჩემზე—შესძახა თინამ ბაიაშვილს, ცხვირსახოცი მიიდო თვალებზე, ბრაზისაგან მოგვრილი ცრემლების დაფარვას შეეცადა.

თინა და ბაიაშვილი მწვავედ შეებენ ერთმანეთს. ბაიაშვილმა კიდეე უთხრა თინას მაგარი და გასაბრაზებელი სიტყვები. ბევრი ეცადა, მაგრამ მაინც ვერ შეიძლო დაფავრა გაცრუებული გაღიზიანებული გრძნობისა. განსაკუთრებით ანდრო რომ მოიყვანა მაგალითად, ანდროს რომ მიუდგა და ქება შეასხა, კიდევ უფრო ამხედრდა იგი. თავმოყვარეობა შეულახა ბაიაშვილს ანდროს დაპირისპირებამ და მაღლა დაყენებამ.

მეორე მხრივ თინაც ვერ ივიწყებდა ძალადობით მოტაცებულ კოცნას, ამ ძალადობის განვითარების ცდას, და ანდროს წინააღმდეგ გალაშქრებამ სულ გამოიყვანა იგი მოთმინებიდან.

თინასა და ბაიაშვილის დაპარაკს ახლა ობიექტივობის ნიშან-წყალიც აღარ აჩნდა, პრინციპიალურ საკითხებზე ასული მათი დავა ახლა პირადი მომენტებით იჟღენთებოდა და მეტად უხეშ მიკერძოებას ამჟღავნებდა.

ამ ჯახში და შეხლა-შემოხლაში ისე უცბად კი გამოეჭიმა მათ წინ ვიღაც ვიღაც ჩაბალახ ორ პირი, რომ ეგონათ, თითქო მიწიდან ამოიჭრენო.

— ქალიშვილო, ცოტა ხნით უნდა დაგვანებოთ ეს შენი კავალერი—მიმართა ერთმა მათგანმა თინას, რომელსაც ეტყობოდა ცდილობდა ხმა გამოეცვალა.

— თუმცა ამ ბნელაში პატარე კი შეგეშინდება მარტო წასვლა ბიძია, მარა ტყვილა ხომ არ ხარ კომსომოლა.

— უნდა „გაუძლო“ დაუმატა მეორემ გესლიანად.

თინა და ბაიაშვილი გაჩუმდენ და განცვიფრებით შეაჩერდენ უცნობის აჩრდილებს. მათ ინსტიქტურად იგრძნეს რაღაც საფრთხე და უცნობების მოთხოვნის გამო კიდევ უფრო ახლო დადგენ ერთმანეთთან, შემჭიდროვდენ.

თინას უკანასკნელის ხმა ეცნაურა, მაგრამ სახე რომ არ უჩანდა და განსაკუთრებულად იყო ჩოხა-ახალუხში გახვეული, ამიტომ მისი ვინაობა ვერ მოიგონა.

„სად უპირებენ ნეტავი ამ სიბნელეში ხალამპრეს წაყვანას? რა ექნა მამაჩემი და სხვა მეზობლები, რომ არ წამოგვეწიენ ამდენ ხანს?“—უელვებს თავში თინას.

— ვერ გაიგონე, ქალიშვილო, დაანებე თავი ამ კაცსო რომ გითხარით!

— ჩქარა! არ გვცალია!—კიდევ გაუმეორა პირველმა ბაიაშვილს.

ამ უცნობის უხეში ბრძანებითი კილო ეჭვს აღარ ბადებდა. ცხადი იყო რომ ისინი აქ სამოყვროდ და სასიკეთოდ არ იყვნენ გაჩენილნი.

თინას ნორჩი ქალური გული შიშმა მოიცვა. არ იცის როგორ მოიქცეს. შეასრულოს უცნობის ბრძანება დასცილდეს ბაიაშვილს? მარტოდ დასტოვოს იგი? თუ პირიქით, დარჩეს მასთან და უშველოს მას, „ეს" გამოუცხადოს უცნობებს?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ბაიაშვილის გული სძგერდა მშვიდად იგი შიშის ქარს შეეპყრო. მას არასოდეს არ გამოეცადა ასეთი მომენტი მან შეიგნო, რომ ეს თავპირ შეხვეული უცნობები სამტროდ იყვნენ მოსული. მხოლოდ ვერ აეხსნა, რას თხოულობდეხ მისგან და რაღა მაინცა და მაინც ახლა დაუხვდნენ შუა გზაზე და სიბნელეში?

ამ საღამოის კრება დიდი მზადების შემდეგ და საგანგებოდ არის მოწვეული. ეს კრება, განურჩევლად მიმართრლებისა და პოლიტიკური პოზიციებისა, ყველას აინტერესებს, ყველას აცხოველებს და ამახვილებს. ამ კრებაზე უნდა დაემშვიდობონ საბოლოოდ გლეხები ძველსა და შეუდგენ ახალს, ან პირიქით ომი უნდა გამოუცხადონ ახალსა და ისევ ნაჩვევსა და ნატკეპნს გამოეკიდონ.

ეს გარემოება ყველას საქმეს უჩენს ახლა და აქტიურობაში მოჰყავს.

ბაიაშვილს ვერ გამოუცნია ამ ორ კაცს აქვს რაიმე კავშირი მომენტთან კრებასთან?

„ეს მოწყობილი პროვოკაცია ხომ არაა ნეტავი? ალბათ უნდათ მოხსენება ჩამიშალონ. მაგრამ ვის სჭირია ეს? საშუალოებიდან ვისმეს? კულაკებს?

ანდროს რო ჰკითხო, კულაკები სულ არ ჰყავდათ ამ სოფელში, და თუ ერთი ვინმე გამოერია „შემთხვევით", იგი კლასიურად განიარაღებულია, ლიკვიდაცია ქმნილია. მაშ მენშევიკების მოწყობილი იქნება? მაგრამ ისინიც ხომ უნდა ემყარებოდენ რაღაც სოციალურ ბაზას! რომელ ფენაში უნდა იყოს მერე ეს ბაზა? საშუალოებში? ცხადია, აბა ღარიბებში ხომ არ იქნება! გლახუნიც უნდა დავსვათ მაშ აქ საეჭვოთა სკამზე? ანდრო მას ისეც ასობს კბილებს როგორც მენშევიკს. არა ეს შეუძლებელია! გლახუნზე უფრო ენერგიულად და ერთგულად არავინ არ მუშაობს! იგი ყველაზე მეტ ფანტაკიურ მემარცხენე უკიდურესობას იჩენს. გლახუნი სოციალისტურად შეგნებული საშუალო გლეხია. რა უყოთ, ღონიერია, მაგრამ მაინც საშუალო გლეხია. მერე კიდევ მე, კომუნისტს, ასე კარგად რომ მექცევა და პატივსა მცემს? არა როგორ შეიძლება გლახუნს კავშირი ჰქონდეს ამ ბანდასთან! იქნება პოლიტიკური სარჩული არც კი აქვს ამ დაცემას? იქნება ყაჩაღები არიან. გაძარცვის მიზნით გადამილობეს გზა? მე რა მაქვს. რას წაიღებენ ჩემგან! უუჰ, არამზადები! როგორ გადაუხადო ახლა მათ ეს „პატივისცემა".

ბაიაშვილს მოაგონდა, რომ პალტოს ჯიბეში მაუზერის რევოლვერი ედო, ვაზნებით გატენილი. მოინდომა ხელი ქურდულად ჩაეყო ჯიბეში, როგორმე სწრაფად ამოეღო და... მიგრამ იმ, აზრმა, რომ ამოღებული რევოლვერი მყისვე უცნობებისათვის უნდა მიემიზნებია, ბაიაშვილს ტანში გააჟრჟოლა და კანკალი დააწყებია.

რომ მოუხდეს სროლა? მას ხომ არასოდეს არ უსვრია ტყვია, ადამიანისათვის, მტრისათვის, მაგრამ მაინც ადამიანისათვის! მას ცივმა ოფლმა დაასხა. უცებ შეამჩნია უცნობებს, რომ ჩოხა-ახალუხების ჯიბეებში მათაც რევოლვერები

ეჭირათ ხელში და ოდნავ გამოჩენილი ჩახმახი უბრჭყვიალებდათ, რომელიც სიბნელეს ჰკვეთდა, ანათებდა. შეამჩნია ისიც, რომ ისინი ბაიაშვილის უბრალო შენძრევასაც კი არ აშორებდენ თვალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ მათ რომ დაასწრონ რევოლვერის გასროლა და მოუსპონ სიცოცხლე?

საშინელი წუთი იყო ეს ბაიაშვილისთვის. ახლა დაუდგა მას პრაქტიკულად თვალწინ მანამდე თეორიულად წარმოდგენილი მტრების „სამკვდრო-სასიცოცხლო შეყრა".

„რა სისულელე ვქენი მაინც, რომ მოვიტოვე უკან ახლობელი ხალხი და გამოვიჭერი წინ, თინასთან, გამოცალკევებით!"—უელვებს თავში მას.

საკვირველი გარემოებაა! და უჭირს ბაიაშვილს გარკვევა ამ ხლართებში, წინააღმდეგობათა მთლიანობის დასაწყისის მოხახვა, მთლიანობის წინააღმდეგობათა განვითარების ძირების მიწვდენა.

— არა, მე ჩემს ამხანაგს არ მოვშორდები. რაც გინდათ ქენით.—გულუბრყვილოდ, მაგრამ კომკავშირული სიმკვირცხლით უთხრა თინამ უცნობებს და ჩაბალახიდან ოდნავ გამოჩენილ ერთის თვალებს ჩააცქერდა.

ეს თვალები თინამ თითქმის იცნო, მაგრამ ჯერ ვერ გაბედა სახელის დაძახება. ამ თვალებში თინას წარმოუდგა თავისი ახლობელი მეზობელი და შიში შეუნელდა, გათამამდა, ბრაზიც კი მოუვიდა ბრაზი არა მარტო თავის მეზობლისადმი, არამედ ბაიაშვილის მიმართაც.

თინამაც იცოდა, რომ ბაიაშვილს ჯიბეში გატენილი რევოლვერი ედო და მოუთმენლად ელოდა ამ რევოლვერის ამოღებას, ბაიაშვილის მხრივ ვაჟკაცობის გამოჩენას, რევოლუციონერის თავგანწირვის ჩვენებას, თავდასხმელთა დაპატიმრებას და წამოყვანას. მაგრამ ამაოდ.

— რატომ, თინა, ხომ შეიძლება ცოტა მოშორებით დადგე. ეგებ საიდუმლოდ უნდათ ამხანაგებს რამე გადმომცენ.—დიპლომატურად გადაუკრა ბაიაშვილმა მას. იგი ძლივს ფარავდა აღელვებას. შემდეგ მან უცნობებს მიმართა:—აა, ამხანაგებო, ასეთი რამე საიდუმლოება გაქვთ მართლა ჩემთან?

— ჩვენ არაფერი საამხანიგო თქვენთან არ გვაქს და არც საიდუმლოება ჩვენ საქმე გვაქვს თქვენთან, როგორც კოლექტივიზაციის ხელმძღვანელთან და გლეხობის მტერთან. უმჯობესად ვაცნობთ თქვენთვის, რომ ამ ქალიშვილს ახლა ჩვენი ლაპარაკისათვის არ ეყურებია.—სთქვა პირველმა და კიდევ უფრო ახლოს მივიდა ბაიაშვილთან.

ბაიაშვილს ემცნო ახლა, რომ ეს უცნობები ყაჩაღები არ იყვნენ. ისინი პოლიტიკურ ნიადაგზე გამოცხადებული იყვნენ, პოლიტიკურ ანგარიშს ასწორებდენ მასთან. და მაშინლა შეუნელდა მას შიში. როცა სათქმელი ჰქონიათ და მოსაკლავად არ მოსულანო.

— სთქვით, გვითხარით, რაცა გაქვთ სათქმელი, ნუღა გვაყოვნებთ, კრებაზე გვიგვიანდება.—უთხრა ბაიაშვილმა მათ, წელში გასწორდა და მშვიდი სახე მიიღო.

— კრებაზე დაგიგვიანდებათ!.. ჩვენც ამიზა გეახელით ბატონო ბაიაშვილო, რომ დაგაგვიანოთ და ჩაგიშალოთ ეს საქმე, ძალიან უკაცრავად თუ არ ვიქნებით!—მიუგო მეორემ გესლიან კილოზე.

— ალექსი! არ გრცხვენია, ეს შენ ხარ კულაკის შვილი-ჭუჭულა ეპიტავასთან ერთად კოლექტივიზაციის წინააღმდეგ!. შეჰყვირა მას თინამ და თვალები ფართედ გაახილა. ეხლა კი ორივენი იცნო მან.

— სწორედ ამიტომ არ გირჩევდით ქალიშვილო, ჩვენ-ლაპარაკისთვის გეგდო ყური ჰო, არა მარტო მე, „კულაკის“ შვილი ჭუჭულა ვარ კოლექტივიზაციის მტერი, ღარიბი გლეხი ალექსაც კი ჩემთანაა და უარესებს კიდევ აწი გაიგებ. მარა სულ ერთია, ამის გამხელას ვერც შენ და ვერც ეს ყმაწვილი ვერ გაბედავო, თუ სიცოცხლე არ მოგძულებიათ.—დაბალი ხმით, მაგრამ მეტად მრისხანედ მიუგო ჭუჭულა ეპიტავამ თინას და ალექსის გადახედა, თვალებით გაამხნევა, ანუგეშა.

მან შეატყო, რომ თინას გამოცნობამ და შეყვირებამ ალექსი ცოტა არ იყოს მოსტეხა, დააბნია.

თინაც ამ გამოაშკრავებამ საგონებელში ჩააგდო, შეაძრწუნა.

ჭუჭულა ეპიტავა და ალექსი ერთად არიან! საძაგლობაა! უფრო უარესიც: მათი უეჭველი მოკავშირეა იმის მამაც. ალექსი მათთან ხშირად უნახავს მასსაიდუმლოს ლაპარაკობდენ.

„ყველაფერი წინასწარ არის მოწყობილი! აღარ ხუმრობენ. უნდა კრება ჩაგვიშალონ ამაღამ. ვერ ურიგდებიან კოლექტივს. ყველაფერი აშკარაა!“— ფიქრობს თინა და აღარ იცის როგორ მოიქცეს.

— რა გნებავთ ჩემგან, აღარ გვეტყვით!?—მიმართა ბაიაშვილმა მათ ოდნავი გაბრაზებით.

— ნუ ღელავთ, ყმაწვილო! ჩვენ თქვენზე მეტად გვეჩქარება. აი, ხომ ხედავთ!—უთხრა ჭუჭულამ ბაიაშვილს და ჯიბიდან ამოთრეული რევოლვერი დაუმიზნა—ამ ნაგანის შვიდივე ტყვია თქვენს გულს და გვერდებს უცდის, თუ ახლავე არ აიბარგებით სოფლიდან და გლეხობის ერთმანეთის წაკიდებას თავს არ დაანებებთ...

— დიახ, დიახ, დაგვაყენეთ ჩვენთვის! ნუ ღუპავთ ამ თქვენ კოლექტივიზაციით სოფელს...—დაუმატა ალექსიმ.

ჭუჭულა ეპიტავა რევოლვერით დგას გაუნძრევლად და თვალს არ აშორებს ბაიაშვილს.

რევოლვერის დანახვაზე თინა კანკალით მიეკრა მკლავზე და თეძოზე ბაიაშვილს და შეშინებული თვალებით დაუწყო მზერა ამ სახიფათო სურათის განვითარებას. მას იმედი გადაუწყდა, რომ ბაიაშვილი მოიხმარებდა რევოლვერს და, მის ჯიბესთან მიკრულმა, თვითონ წაიღო ქურდულად ხელი რევოლვერის ამოსაცოცებლად.

ბაიაშვილი დამიზნებულ რევოლვერის დანახვაზე ისევ შეშინდა, დაიბნა ამას იგი თითქოს არ ელოდა. ენა ვერ დასძრა. მისი ბედი ამ წამს ჭუჭულა ეპიტავას ხელში იყო. ეს მას კარგად შეეგნო. ეს ერთი წამი აშორებდა ახლა ერთმანეთს ბაიაშვილის სიკვდილ-სიცოცხლეს.

— აა, რას გვპირდებით?! - კიდევ უთხრა ჭიჭიკომ ბაიაშვილს, რომელიც ისევ დუმილს განაგრძობდა.

— კააარგი... წავალ, რა გაეწყობე, თუ ასეთ „უბედურებას“ გაყენებთ... მე კი მეგონა, რომ...

— თქვენ რომ „გეგონათ“ იგი გრამაფონშია! მპირდებით აბა, რომ აიხვეტებით აქედან, და აიხვეტებით ახლავე, კრებაზე გამოუცხადებლად.— არ დაა თავებია სიტყვა ჭუჭლამ და რევოლვერიც შეათამაშა ხელში.

— მაგ რევოლვერს ნუ ეხუმრებით, ბატონო ჭუჭულა,—მართლა არ გაგივარდეთ.—შენიშნა თინამ და ამ მომენტში მოასწრო ბაიაშვილის რევოლვერის მომარჯვებაც ხელში.

— თინა, აბა რას შვრები, გატენილია. ჩახმახს თითი არ დააჭეჭ...

— ტკაც! ტკაც!

— ტკაც! ტკაც!

ვერ დაასრულა ბაიაშვილმა სიტყვა, რომ თინას ხელში პატარა მაუზერი ოთხჯერ გატკაცუნდა რაღაც მანქანური სისწრაფითა და შეუპოვრობით. თინას მხრივ ეს თავშეუკავებელი უნებური აქტი იყო, რომელსაც თითქო ასეთივე თავშეუკავებლობით და უნებურობით მოჰყვა ნაგანის რამდენჯერმე გასროლაც ჭუჭულა ეპიტავას ხელიდან.

ერთ წამში ყველანი მიწაზე დაეცენ.

* * *

ბაიაშვილს და თინას ბევრი დააყოვნდათ გზაში.

ანდრო განაგრძობდა თავის მოხსენებას.

მოხსენების დასაწყისში სამტროდ მომართულმა ელემენტებმა ვერ შესძლეს თავიანთი თავმჯდომარის გაყვანა და ახლა შეეცადენ უადგილო რეპლიკებით, და ხმაურობით შეეშალათ ხელი, მაგრამ ამ გარემოებას ანდრო არ შეუჩერებია, არც გაუბრაზებია. მისი სიტყვა იმავე კილოზე და უბრალოებით გრძელდებოდა, როგორც დაიწყო. ანდრო გვერდს უვლიდა ხულიგნობის ყოველგვარ ცდას და მოხერხებულად ჩერდებოდა კოლმეურნეობის წესდებასთან დაკავშირებულ გლეხობის მტკივნულ საკითხებზე, მაგალითად სოფლის მეურნეობის უმაღლეს საფეხურზე აყვანისათვის მიწის საარტელო წესით დამუშავებაზე, საცა ხელისუფლება გაუმჯობესებული იარაღებით და სხვა ტექნიკური საშვალებით დაეხმარებოდა,— მაგრამ არა კომუნას. სამუშაო იარაღებისა და საკუთარი მკლავის ძალების გაერთიანება მსხვილი კოლექტიური მეურნეობის შესაქმნელად,— მაგრამ არა ყველა ქონების გაერთიანება და განსაზოგადოება, მაგალითად ძროხის, ცხვრის, შინაური ფრინველების, კარმიდამოსი, ბოსტნეულის და ოჯახის სხვა დოვლათის და ავეჯეულობის, ინდივიდუალური მეურნეობაც იარსებებდა და ს. ხელმწიფო იმათაც ხელს შეუწყობდა შესაძლებლობის საზღვრებში, მაგრამ არა შეძლებულ გლეხს, არამედ ღარიბსა და საშუალოს. ამ პოლიტიკურმა მოხაზვამ ყველა მტრული ელემენტების ყურადღებაც კი მიიპყრო და იარაღი დააყრევინა. მალე მათი ხმაურობაც ჩაკვდა.

ღელავდა და საკუთარ ტყავში ხტოდა მხოლოდ გლახუნი. იგი დროზე გამოცხადებულიყო კრებაზე. ამაოდ ფიქრობდენ წეღან ბაიაშვილი და თინა, რომ გლახუნი მათ უკნიდან მისდევდა და საცაა დაეწეოდა. მან გზას გადაუხვია, მოკლე ბილიკს გაჰყვა და უკან მოიტოვა თავისი ქალიშვილი და სტუმარი ბაიაშვილი. მან წინასწარვე იცოდა სამზადისი და დაუჯერებულიც იყო, რომ

ეს აქტი სასურველად დაბოლოვდებოდა და ამიტომ იქ მოცდა და ბეჯალაყურეობა ზედმეტად მიაჩნდა. მას იმ საღამოს ტარიელის ბინიდან კრებაზე წამოსულ ანდროსათვისაც ისე უნდა გადაეღობათ გზა, როგორც ბარბაშოვს უყვეს, და მოეწყვიტათ კრებაზე, აქეთ წასვლას და ამ საქმის შესრულების გაგება—შემოწმებას გლახუნი უფრო ესწრაფებოდა. ამ მხრივ ანდრო უფრო საშიშარ და მოუდრეკელ კაცად ეგულებოდა მას და ხიფათსაც მეტს ელოდა, შედეგსაც იმედით არ უყურებოდა. ამიტომ ანდროს საწინააღმდეგოდ გამოყოფილ ჯგუფის მოქმედების ადგილისაკენ გაეშურა იგი. მაგრამ გლახუნის სასინანულოდ სულ სხვა რამე მოხდა. ანდროს ვერაფერი დაუშავეს. ანდრო ხელუხლებელია, უვნებელია და ახლა კრებას ხელმძღვანელობს. მის მოხსენებას სულ-გატრუნული ისმენენ. მას დაუტყვევებია მოწინააღმდეგენი და ბრძოლის უნარი წაურთმევია. ჯერ ბაიაშვილის თავგადასავალისა არაფერი არ ისმის. არც ალექსი და არც მისი ქალიშვილი თინა, რომლებიც აქტის შემდეგ უნდა გამოცხადებულიყვნენ კრებაზე, არა სჩანან.

მეტად ცუდი ამბავია. კრების გახსნის შემდეგ დარბაზში შემოსულმა ერთმა პირმა ზოგიერთებს გადასცა, რომ სადღაც მოშორებით, როცა მოვდიოდით, რევოლვერის რამდენჯერმე გასროლა მომესმაო. მაგრამ მსმენელნი იმდენად იყვნენ მოხსენებით გატაცებული, რომ არავინ საჭირო ყურადღება არ მიაქცია მას, იფიქრეს, ვიღაც ქეიფობს, ვინმე დათვრებოდა და გაისროდაო. ამ ცნობას გლახუნის ყურებამდე არ მიუღწევია, მაგრამ მისი ყურადღება იმ გარემოებამ მიიქცია, რომ რაიონის პოლიტ-სამართველოს აგენტი გორსაძე კრების გახსნამდე იქ ჩანდა და შემდეგ კი სადღაც გაქრა თემის მილიციონერთან ერთად.

გლახუნი ღელავს. ვერ ეტევა საკუთარ კანში. იგი ჩუმად უწყრება და ლანძღავს ანდროს „თავდასხმელის“ ერთ ხელმძღვანელთაგანს—ჩმონიას.

— რა უნდა ვქნათ კაცო, სადილის შემდეგ მთელი დრო კოლმეურნეობის საბჭოს ოთახს და მის თავმჯდომარეს არ მოშორებია ის ოხერი, რაცხას თურმე ანგარიშობდენ. შემდეგ მათ სიპიტა და გიგლაც ესტუმრათ და ბჭობდენ აქიდანვე კრებაზე. მაგ შეჩვენებულმა ვახშამიც კი არ სჭამეს.

— ბევრს ქე მუშაობენ. მიუგო ჩმონიამ გლახუნს ასევე ჩუმად და მომხსენებელს დაუგდო ყური.

მომხსენებელი კი უკვე ათავებდა სიტყვას და დასკვნებს აკეთებდა. გაისმა ტაში. ანდრომ გაათავა მოხსენება. თავმჯდომარემ მიმართა კრებას მიეცათ შეკითხვები მომხსენებლისათვის.

— ყველაფერი გასაგები და კარგი იყო.

— გაუგებარი არაფერი არ ყოფილა.

— კი, ყველაფერი კარგად სთქვა.—ერთხმად გაისმა დარბაზში.

— ამხანაგებო! შეკითხვები არ გქონიათ, მარა სიტყვის თქმა კია საჭრიო მოხსენების ირგვლივ. გამოდით, ილაპარაკეთ, ჩაეწერეთ...—მიმართა თავმჯდომარემ კრებას

— ამხანიკო თავმჯდომარე! მე მინდა ვიკითხო ერთი, თუ შეიძლება, მე ეგება კომუნა მინდა და რაფერ მივიღო ეს ქოლექტივის წესდება?—სთქვა ზეზე ამდგარმა გლეხუნმა და ისევ დაჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააგვიანდა მას შეკითხვის მიცემა, იმიტომ რომ მძიმე ფიქრებში იყო გართული.

—ჰო, რაცხა ეს კოლექტივი ნამეტან ლიბერალურ [illegible] გამოიყვანა მომხსენებელმა...

— კი, მართალია. რაფერი ერთიანობა და ამხანიკობა იქნება ის, თუ ძროხები, ღორები, ბაღჩები საკუთრებად შერჩებიან. ვისაც ეს არ ჰყავს და არ აქვს?

— ... კიდევ, ამას გარდა, იგინს, რომლებიც ჩვენს კოლექტივში შემოსვლისას არ ისურვებენ და ძველებურად ცალკე იმუშავებენ, მთავრობა რაიზა უნდა დაეხმაროს? არ მესმის—გამოეხმაურენ გლახუნს რეპლიკებით.

ამათ შორის იყო ჩმონიაც და, ასე გასინჯეთ, კომკავშირელი კოლია და უპარტიო, ულარიბესი გლეხი მაქსიმელი.

აქ ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. სიტყვის სათქმელად ემზადებოდენ ალათი, გიგლა და სხვები, მაგრამ გლახუნის მიცემულმა შეკითხვამ და გამოხმაურებულმა რეპლიკებმა ისინი ცოტა არ იყოს დააბნიეს და შეაჩერეს.

—ამხანაგო, ჩვენ, კომუნას ვერ გირჩევთ. ამ საფეხურზე ჩვენს პარტიას და ხელისუფლებას შესაძლებლად მიაჩნია სოფლის მეურნეობის საარტელო წესით განვითარება. თუ მაინც და მაინც კომუნას ისურვებს თემი, ბისი ნებაა, მაგრამ შედეგის პასუხის მგებელი თემი იქნება და არა ჩვენ. მეურნეობის განვითარების არტელური წესი ოჯახის საკუთრებას კარ-მიდამოებზე და პირად საქონლებზე არ ზღუდავს, არ სცვლის... არც იმ ღარიბ და საშუალო გლეხს, რომელსაც ჯერ ვერ შეუგნია კოლექტიური მსხვილი მეურნეობის უპირატესობა და მომგებიანობა და არ შემოდის არტელში, მას მტრად არ ვთვლით, ჩვენი რიგებიდან არ ვრიცხავთ, ჩვენ მასაც ხელს შეუწყობთ და დავეხმაურებით შესაძლებლობის საზღვრებში. ჩვენ გვესმის, რომ ეს გლეხი ჩვენი კლასიური ოჯახიდანაა და არ დაგვეკარგება. ჩვენი საქმე, დღეს თუ არა ხვალ, დაარწმუნებს მას და გახდება არტელის წევრი.—მიუგო ანდრომ გლახუნს და ყველას, ვინც მას თანხმობით გამოეხმაურა.

კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე. თითქო ყველა დააკმაყოფილა. მიცემული კითხვები ამოსწურა.

ანდროს ავტორიტეტი მეტად გაიზარდა. ილაპარაკეს ალათიმ, გიგლამ, კოსანდილემ, ექვთიმემ და მრავალმა სხვებმა, რომლებიც ერთხმად იწონებდენ მომხსენებელის აზრს და პრაქტიკული მითითების დამატებით ანვითარებდენ მას. არც ერთმა საწინააღმდეგოდ გასწყობილმა ელემენტებმა არ ისურვა, გამოლაშქრება.

— ... დავმარცხდით. ჩვენი საქმე გათავებულია ამ კრებაზე. მარა მარტო ამით რომ გათაკდებოდეს, ვინ ჩივა კიდევ.—ჩუმად ჩაფიქრებით შესჩივლა გლახუნმა ჩმონიას,

ბრაზი სწურავდა მას, რომ დაწყობილ გეგმას არაფერი შედეგი არ მოუტანია, რომ ანდროს ვერაფერი ვერ მოუხერხა და თავის ბოლშევიკურ საქმეებს წარმატებით ატარებდა იგი. ბოლმით ადევნებდა იგი თვალ-ყურს კრე-

ბის მსვლელობას. მოხსენების ირგვლივ გამართული მსჯელობა ამორწყურა. იწყებენ საკოლმეურნეო წესდების მუხლობრივ განხილვა-მიღებას.

— ეს არაფერია. ჩვენი დრო კიდევ წინაა. ეს მხოლოდ ქაღალდზე პროგრამა და დაპირებაა ჯერ. მისი ამხანიკები ამას ვერ გატარებენ და ჩვენ ისევ ვიწნევთ გამარჯვებას.—მიუგო ჩმონიამ ზანედ გლახუნს.

მან იცოდა, რომ გლახუნს ალექსისა და თინას გამოუჩენლობა აწუხებდა დამატებით და ამაზე თითონაც სდუმდა შიშით.

— რა ვიცი, მე ჩვენი აწინდელი გამარჯვება მაფიქრებს. ბუნებაც კი ბოლშევიკებს ხელს უწყობს, ყველა დათესილი მიწები შესანიშნავი შეიქნა. იშვიათ ჭარბად ამოვიდა სიმინდები და ზღვასავით ღელავს. ჩქარა სამარგელი გახდება. ჩვენმა ეშმაკობამაც ვერ გასჭრა, ხელახლა დათესილებშიც უკვე ამოსულან შესანიშნავად და ჩქარა დაეწევიან გაუწპილებენ ყანებს.—პესიმისტურად აიღერღა გლახუნი.

მწუხარებას გამოსთქვამს იგი, რომ კოლექტივის ყანები კარგია, აგრეთვე მისმა და ჩმონიას ორმაგობა-ცულლუტობამ რომ დიდი ვნება ვერ მიაყენა კოლექტივის ყანას.

— ...ჰო, ეს კარგი ყანები კი ვერ მოიტანს ჩვენთვის მთლად კარგ ამბავს. მაგრამ რას იზამ, ტრაქტორებმა და რუსულმა ცხენებმა თავისი სასწაული მოახდინეს, ღრმად დახნეს მიწები და იქინეც კი, სადაც მწირი მიწა იყო და არაფერი იყო მოსალოდნელი, ავი კაცის თვალს არ დაეხახება, შავ-მწვანე სიმინდები ამოსულან... არა, გულის გატეხა ჩვენს საქმეზე მაინც არ გვმართებს. სოციალიზმის აშენება რომ ასთე მარტო კაი პროგრამით ყოფილიყო ჩვენში შესაძლებელი, ჟორდანიას ვინ მოასწრებდა ამ პროგრამის შედგენას...—ემოწმება ჩმონია გლახუნს, მაგრამ იმედზე მთლად არ იღებს ხელს.

— არა, რა თქმა უნდა, გულს არც მე ვიტეხ. ვითვალისწინებ ისე, მხოლოდ სიძნელეებს ჩვენს გზაზე და მძიმე მომენტებს .. ჩვენი ბრძოლის პირობები მაინც საშინელია.—მე ოჯახშიც კი ყველა მტრები მყავს; ცოლთან და შვილებთან ამ ჩვენს საქმეს კი ვერ ვამხელ, საიდუმლოდ ვინახავ.

— მეც გლახუნ. ჩემებიც ასთე არიან აღერღილნი; ცოტა ეშინიათ მხოლოდ ჩემი და ეს აკავებთ.

— მოიცა, მოიცა! რაცხა ამბავია, ყური უგდოთ...—უთხრა გლახუნმა ჩმონიას და თავჯდომარისაკენ მიიმართენ, სმენად გადაიქცენ.

სწორედ ამ დროს თავჯდომარე მოუწოდებდა კრებას და შეშფოთებით აცხადებდა:

— ამხანაგებო! მეტად სამწუხარო ამბავი, მომხდარა... ამის შესახებ ჩვენი პოლიტ-სამმართველოს წარმომადგენელს ამხანაგ გორსაძეს რიგს გარეშე ეძლევა სიტყვა და მოგახსენებთ.

დარბაზში სამმარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სმენად გადაიქცენ. ნერვები დაიჭიმა. ბევრს აუფანცქალდა შიშით გული, განსაკუთრებით იმათ, ვინც ელოდა და თვალში აკლდა-ალექსი, თინა და ბაიაშვილი. გლახუნი ხომ სულ ჰკარგავდა სიმშვიდეს და საშინელების მოლოდინში იწურებოდა.

ბევრმა გაიფიქრა, რომ ეს სამწუხარო ამბავი ტარიელის სიკვდილს შეეხება ალბათ საავადმყოფოშიო, და სევდით აივსენ.

— ამხანაგებო!—დაიწყო მძიმედ გორსაძემ—ჩვენი მტრები ვერ ალეწეს. მათ არ აუხსნიათ ბრძოლის იარაღი. ისინი არ ამოწურულან.—სალელიას პირთან, შარაზე, ჩვენს ამხანაგებს. ბაიაშვილს და თინას თავს დასხმიან ჩვენი სოფლის კულაკის შვილი ჭუჭულა ეპიტავა და...—აქ გორსაძეს ენა დაება. ემძიმა მას მეორის სახელზე შეჩერება,

კრებამ უფრო გაამახვილა სმენა და სულისთქმა. შესწყვიტა გლახუნმა და ჩმონიამ კი იცოდენ ვინ იყო ეს მეორე. სრულებითაც არ აღელვებულან. პირიქით ესიამოვნათ კიდევაც. საერთოდ გორსაძის ინფორმაციაში მათთვის ჯერ ცუდი და მოულოდნელი არაფერი არ იყო, ისიც, რომ თინას, გლახუნის ქალიშვილს, ბაიაშვილთან ერთად იხსენიებდენ, გლახუნს საამოდ და საჭიროდაც მიაჩნდა.

— ...მეტად სამწუხარო ამბავია, ამხანაგებო, რომ ეპიტავასთან ერთად ჩვენი უღარიბესი გლეხი ალექსიც აღმოჩნდა ამ საქმეში.—განაგრძო გორსაძემ თავისი სიტყვა,—მარა ეს უნდა დავაბრალოთ ჩვენს საკუთარ თავს, რომ საკმაო პოლიტიკურ და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ვერ ვაწარმოებთ და ალექსი მტრებმა გადაიბირეს, მას ვერ შევაგნებინეთ ეს ღალატი საკუთარი საქმის.

ხალხი ღელვამ მოიცვა. შეიქნა ხმაურობა, წყენისა და საყვედურის გამომხატველი. ვიღაცეებმა წამოიძახეს: უნდა გადაგვესახლებია ეპიტავები ჩვენი სოფლიდანო... შეცდომა დაუშვით, რომ მას ლიბერალურად მოვეკიდეთო,

ყველა ეს რეპლიკები თავის თავზე მიიღო ანდრომ და იძულებული შეიქნა ესროლა საპასუხო სიტყვები:

თუ ეს აუცილებელია, აწიც არ იქნება გვიანი ამხანაგგბო. მაგრამ მთავარი ეს ზომები არაა. მთავარია ჩვენი პოლიტიკური სიფხიზლე და კლასიური შეურიგებლობის ცოდნა. ამ სიმაღლეებს თუ დავეუფლებით,—უნდა დავეუფლოთ ამხანაგებო!—მაშინ ეპიტავები ჩვენ თმის ერთ ღერსაც ვერ დაგვაკლებენ, თვითონ კი უკვალოდ დაიღუპებიან.

— ამხანაგი ანდრო მართალია!—დაუდასტურა გორსაძემ მას—მარა სიჩუმე, ამხანაგებო, მე მთავარი თქვენთვის ჯერ კიდევ არ მითქვამს.—მიმართა მან ახმაურებულ კრებას და კვლავ განაგრძო. შედეგი ამხანაგებო ამ თავდასხმის: ჭუჭულა ეპიტავა და თინა ზვიადაძე მძიმედ არიან დაჭრილნი, პირველი—ფეხში და თავში, მეორე-ხელში და გულმკერდში; ბაიშვილი და ალექსი ფეხებში და მკლავებში, მარა არა მძიმედ, მსუბუქად... ყველა ეს დაჭრილები იქვე მახლობლად ერთი ამხანაგის ოჯახში წავიყვანეთ დროებით... მილიციონერმა, რომელიც თან მახლდა, სადღაციდან მოიყვანა ჭრილობებში გამოცდილი სოფლის ექიმბაში და მოვაბანიეთ ნატყვიარები, შევახვევიეთ... ამ ექიმის შეტყობით ტყვიები არ არიან დარჩენილნი არც ერთის ჭრილობაში. იგივე ჩვენი მილიციონერი თავზე დაუყენეთ მცველად ეპიტავას და ალექსის, როგორც პატიმარის მდგომარეობაში მყოფი, მე აგრეთვე ვაცნობე ეს ამბავი ზვიადაძის ოჯახობას და დედა და დაი მაშინვე გაჩნდენ და თავზე ადგია ახლა როგორც თინას ისე ბაიაშვილს...

დილით ადრე ყველა დაჭრილებს ტფილისიდან გამოვლილ მატარებლით წავიყვანთ ბათომის საავადმყოფოში... ჩადენილი დანაშაულობის გამოსარკვევად ძიება სწარმოებს.

გორსაძე ცდილობდა მოკლე ყოფილიყო მისი ინფორმაცია. წინასწარ იგი არ შეურჩევია, არ დაუწყვია და ამიტომ ისე არ მოუვიდა, როგორც ფიქრობდა. შეჩერდა ისეთებზეც, რომლებიც საჯარო კრებაზე ზედმეტი იყო. გამორჩა ზოგიერთი საჭირო დამახასიათებელი დეტალი, და ის, რაც სთქვა, თვითონ მას არ მიაჩნდა მოხდენილად ნათქვამი. რაღაც დაკუწული აზრების შთაბეჭდილებას სტოვებდა თითონ მასზე. ამას იგი იმას აწერდა, რომ ამ ამბავის გამო ძალზე ღელავდა და აღელვებული კრებაც აძლიერებდა მის დაბნევას და აზრების დაწყვეტას.

გორსაძეს არ დაუსრულებია სათქმელი. იგი ნაძალადევად შეჩერდა იქ, საცა უნდა ეთქვა, რომ რაიონის პოლიტ-სამმართველოს უფროსს ეს ამბავი მაშინვე ტელეფონით აცნობა და, რომ იგი ამაღამვე, რამდენიმე თანამშრომლით დაჭრილებთან გაჩნდებოდა.

მაგრამ იმან, რაც სქთვა და როგორც სთქა გორსაძემ, თავზარი დასცა კრებას. ყველას პირი შეეკრა. მძიმედ ჩაფიქრდენ.

ზოგნი, ვინც საკუთარ ნაბიჯებს საიდუმლოდ ინახავდა და ეჭვით უყურებდა თავის ბედს, დაშინდა. „შეიქნება ახლა ჭერა-დევნა ხალხში ჩეკასაგან, და ჩვენც არ გვიწიოს ამ ცოდვამ! ო.—უელვებდა თავში მათ. ზოგიერთებს აწუხებდა ეს უბედურება და ბოლშევიკებთან ბრძოლის გაუთავებლობა თავისთავად, და ის, რომ ამ ამბავს დაწყებული ახალი საქმეები არ შეეფერხებია, „რა უნდათ ახლა! ველარ შეურიგდებიან ბედს და ვერ დაეტევიან საკუთარ ტყავში!? ალექსის რაღა დაემართა მაინც!"—ამბობდენ თავიანთთვის ისინი.

გლახუნი კი სულის წონასწორებას ჰკარგავდა, შეგნების საზღვრებიდან ამოდიოდა და საღლაც უგზო-უკვლოდ გაჭრას ცდილობდა, ამაოდ ამშვიდებდა ჩმონია და ძლივს-ძლივობით ამაგრებდა მას.

თინას „მძიმე დაჭრის" ხსენების წამს გლეხუნმა ერთი მწარედ შეჰბღავლა—„ვაიმე შვილო!"-ო და თვალები აემღვრა, ყველაფერი დაბნელდა მისთვის, აღარაფერი არ ჩანდა.

თავისი ჩავარდნილი, ცუდი შედეგით დათავებული პოლიტიკური საქმეები ედარდა, ეტირა გლახუნის, თუ საკუთარი ქალიშვილი? ორივეს სტიროდა ახლა. პირველ მომენტში თითქო ყველაფერი დაავიწყდა და მარტო თინაზე შეჩერდა, მარტო მისმა ბედმა შეშოკა და დაბა. შვილის უბედურების გრძნობამ დაფარა ყველა დანარჩენი. მაგრამ ეს იყო პირველი მომენტი. მეორე მომენტი მას აღემართა წინ მთელი სერიოზულობით და სირთულით პოლიტიკური საქმე, რომელსაც თავს სწირავდა არა ერთ წელს, მასთან შედარებით შვილის უბედურება დაპატარავდა, თინას ბედი უკანა რიგში მოექცა. მას მთელი სიმძიმით და შედეგის სისასტიკით დაეკიდა გულზე ჭუჭულია ეპიტავასი და ალექსის ბედი, რომლებთანაც დაკავშირებული იყო თავისი პირადი ბედიც, საკუთარი ყოფნა არ ყოფნის საკითხიც.

მართალია, გლახუნი საშუალო გლეხია, კლასიურად იგი მოკავშირეა ღარიბი გლეხობის და მისი მეშვეობით პროლეტარიატის, მაგრამ წინააღმდეგობათა ხლართებმა ის მენშევიკი გახადა და [illegible] ბოლშევიკების საპირდაპირო პოლიტიკური მიზანი ამოქმედებს. [illegible] ალექსა და მისი შვილები კულაკები არიან და მათ საკუთარი კლასიურ-ეკონომიური ამოცანები აქვთ. ალექსი ულარიბესი გლეხია და მას ამოქმედებს საკუთრების საფუძველზე სრულებით შეუგნებლად დაყრდნობით მძიმე ნივთიერ მდგომარეობიდან ამოსვლა, ამ ნიადაგზე იგი ობიექტურად დაპირდაპირებია კომუნისტებს. რამ მიიყვანა ისინი ერთმანეთთან? ერთმა მომენტმა: მხოლოდ—კოლექტივის მიუღებლობამ, კოლმეურნეობის მიუღებლობამ, კოლმეურნეობის დანგრევის სურვილებმა.

და გლახუნი მხედველობიდან უშვებს, რომ ეს ინტერესის სხვადასხვაობა, მხოლოდ შემთხვევითი და დროებით ერთიანობა მათ აცლის ბრძოლის სიმაგრეებს, გაბედულობებს, პოლიტიკური შეურიგებლობის ხასიათებს. მათი „ანგარიშები“ სწორედ „შინაურობით“ იფარგლება და თავდება.

გლახუნი ამავე ხაზით განაგრძობს ფიქრს. მას მოაგონდა თინას ნათქვამი: „...აბა, ტყუილად არ მოუტანია თურმე ანდროს შენზე ეჭვები, რომ მენშევიკი ხარ... და იცოდე, რომ მე კომკავშირელი ვარ და არ დაგინდობ, თუ თავი არ დაგინებებია მენშევიკობისათვის. მე ყველაფერს ვეტყვი ჩემს კავშირს. ჩემს პარტიას... და ჩემთან იქნება აქ ოლღაც და დედაც. შენ, ბაბა, ჩვენი მტერი ხარ!..

„ჰმ, ია მე მეტი საბუთი მაქვს ჩემი ურჩები ოჯახში არ დავინდო!, არ შევიბრალო თინა და არ შევიწუხო მისთვის თავი... მტრები!“ დაასკვნა გლახუნმა ფიქრები თავის გულში.

— რაიზა ასთე გაშტერებით ზიხარ და არ დატოვებ კრებას, არ გაიქცევი დაჭრილ ქალიშვილთან?.. წახვიდე უნდა! ჭუჭულასა და ალექსის მდგომარეობასაც გაიგებდი თან...—გაკვირვებით მიმართა ჩმონიამ გლახუნს.

— რის ქალიშვილთან!? ის ჩემი აღარაა, ბოლშევიკებისაა... ჭუჭულასა და ალექსის ნახვაც ჩემ მიერ ზედმეტია ახლა და მოუხერხებელი. თინა და მთელი ჩემი ოჯახობა ამ უბედურებაში, უეჭველია, მეც მდებენ ბრალს. თინა თუ გონზეა ახლა, პირდაპირ მიმცემს ხელში პოლიტ-სამმართველოს.—მიუგო გლახუნმა ჩმონიას ჩუმად, მაგრამ აღელვებით, ის თავს ძალს ატანდა და ფარავდა.

— ოოხ, კაცო, აბა რას ამობ, მაგას რავა იზამს შვილი! მარა ასეც რომ იყოს მოსალოდნელი, მაინც უნდა ადგე და წახვიდე. უხერხულია, რას იტყვიან, სასიკვდილოდ დაჭრილ შვილთან არ გაიქცაო. უფრო აიღებენ ეჭვს, კომკავშირელი შვილი შესჯავრებიაო.

— ჰოო.. ეს თუმცა ქია მართალი. მხოლოდ ჩვენებთან მაინც ვერ მივალ. იგენს ხომ მილიციონერი ადგია თავზე, როგორც დატყვევებულებს. კი, წავალ ისევ მე. დაეთანხმა გლახუნი ჩმონიას და წამოდგა სკამიდან.

— კი, კი. უნდა წახვიდე და რაც შეიძლება ჩქარა. მარა მოიცა! გორსაძეს, როგორც სჩანს, არ გაუთავებია სიტყვა, კიდევ ამბობს რაცხას.—უთხრა ჩმონიამ გლახუნს და შეჩერა, ეორსაძე მიმართავდა კრებას:

— ...კიდევ ერთი მეტად სამწუხარო ამბავი: ჩვენ, ამხანაგებო, ბოლშევიკები ვართ და მწუხარებას არ ვმალავთ, მას პირდაპირ ეხვდებით და მივდივართ ჩვენის გზით, არ ვჩერდებით... ჩვენი საუკეთესო ამხანაგი-ტარიელი მოკვდარა ბათომის საავადმყოფოში. ეს მძიმე ამბავია ჩვენთვის, უფრო იმიტომ, რომ მეტად მოულოდნელი იყო მიხი სიკვდილი. სულ მესამე დღეა რაც ის ლოგინად დაწვა და გათავდა. ვერ უშველა ვერც ოპერაციამ... ეს სამწუხარო ცნობა დაჭრილი ამხანაგის თინას დედამ მოგვიტანა, რომელიც ტარიელის ცოლს ახლდა ბათომში და დღეს დაბრუნდა... ჩვენ მივიღეთ ზომები, რომ გვამი ხვალ იქნას ჩამოსვენებული.—დაასრულა ინფორმაცია გორსაძემ.

კრება გლოვამ მოიცვა.

— ამხანაგებო! პატივი ვსცეთ დაღუპულ მებრძოლს ადგომით!—მიმართა თავჯდომარემ კრებას.

ყველანი მსწრაფლ წამოდგენ დამწუხარებულნი. ეს მძიმე მეტყველობა გლოვისა გლახუნს და ჩმონიას ჭმუნვით არ უხაზავდა პირისახეს, პირიქით, განსაკუთრებით გლახუნს, რაღაც შურის სხვით გაუნათდა და გაუღიმდა იგი.

— აა, ეს ხომ მაინც წაშავდა!.. ერთი შეგნებული პოლიტიკური მტერი მაინც მოგვაკლდა.—უთხრა გლახუნმა ჩუმად ჩმონიას და, სულით შემსუბუქებული დაჯდა სხვებთან ერთად.

— მაინც საწყენია. ჭკვიანი და სერიოზული კაცი იყო ტარიელი. საკვირველია, ასთე უცბად რაფერ მოკვდა.—ჩაფიქრებით სთქვა ჩმონიამ.

ეტყობოდა, რომ ის გლახუნის კმაყოფილებას და სიხარულს მთლად არ იზიარდება. გლახუნმაც თითქო შეატყო ეს, და მას ყველა საიდუმლოებები ტარიელის სიკვდილისა არ გააცნო. მან იცოდა ბაგრატა ეპიტავას ახალგაზრდა ექიმი შვილის მასიკოს მიერ შესრულებული როლი ამ საქმში, მის მიერ დასმული დიაგნოზი და თვითონ მამა მისის ნათქვამი ავადმყოფობის მიმართ: „ხეირს არ დავაყრით, ნუ გეშინია, კაის მქნელია ჩვენთვის თუ!?“

თუმცა ეს გამოთქმა გლახუნმა არ მოუწონა ბაგრატს ეს არ ივარგებს, ვინც არ უნდა იყოს, ავადმყოფს მოვლა არ უნდა დააკლდეს. ჩვენ კარგად მყოფებს უნდა გაუსწორდეთ... ეს საძაგლობა და სამარცხვინო იქნება!—შენიშნა მან ბაგრატს. მაგრამ ბაგრატი არ დაეთანხმა და მიუგო: „რატომ, გლახუნ“! იგი ჩვენი მტერია, და მტერი არასოდეს არ უნდა დაინდო, არასოდეს არ უნდა გაუშვა ხელიდან შემთხვევა!“-ო.

ახლა კი აზრი შეეცვალა გლახუნს. მისი პოლიტიკური ამოცანებისათვის შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ ძალზე გააბოროტა იგი და შურით ააავსო.

— ჭკვიანი და სერიოზული კაცი რომ იყო ტარიელი და არა სულელი და სუსტი, მერე ეს ჩვენთვის იყო სასასრგებლო!? სწორედ ამიზა იყო იგი უფრო საშიშარი და არა დასანდობი!—მიუგო გლახუნმა ჩმონიას მწვავედ და ალარ დააყოვნა, სწრაფად წამოდა და კრება დასტოვა, გაქრა.

კრება ახლა გიგლას სიტყვის დასასრულს ისმენდა.

— ...ბოლშევიკებმა, ამხანაგებო, გლოვა და სასოწარკვეთილი ტირილი არ ვიცით დაღუპულ ამხინაგის გვამთან. ბოლშევიკები დაღუპული მებრძოლის პატისაცემად კიდევ უფრო აძლიერებენ იმ საქმეს, რომელსაც დაღუპული ამხა-

ნაგი ემსახურებოდა. ჩვენც ამიტომ გავაგრძელებთ კრებას და ამოვწურავთ დღის წესრიგში დარჩენილ საკითხს.—დაასრულა მან და კრება დაუბრუნებდა საკოლმეურნეო წესდების განხილვა-მიღების საკითხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაგრძეს წესდების მუხლობრივი კითხვა და წაკითხულის ცალცალკე განხილვა.

ბევრი დავა წაკითხულ მუხლებს არ გამოუწვევია და ჩქარა მორჩენ განხილვას.

შემდეგ თავჯდომარემ მთლიანად უყარა კენჭი. კრებამ მიიღო

ზოგიერთებმა, მხოლოდ ერთეულებმა, თავი შეიკავეს, წინააღმდეგ კი არავის არ მიუცია ხმა.

ამის შემდეგ თავჯდომარეც მოემზადა კრების დასახურავად, ბევრი უმალვე წამოდგა წასასვლელად, მაგრამ აღათიმ პატარა სიტყვა ითხოვა და კრებაც—ზოგი ფეხზე დგომით, ზოგი დამსხდარნი—მოსასმენად შეემზადა.

— ...ახლა, ამხანიკებო,—მიმართა აღათიმ კრებას—ჩვენს კოლექტივს წესდება აქვს. ჩვენ კოლმეურნეებმა არ უნდა დავივიწყოთ მხოლოდ, რომ ამ წესდების მიღება ჩვენს პასუხის-მგებლობასაც ზრდის. ვინც ამ წესდებას დაარღვევს, მას არ უნდა გაუკვირდეს კოლმეურნეობიდან გარიცხვა. ამ წესდების მიღებამ ჩვენში უნდა გააძლიეროს შრომის დისციპლინა და საქმიანობის ინტერესი.—დაასრულა მან.

— ვაშა აღათი!

— სწორეა, სწორე!

— რა შესანიშნავი კოლმეურნე ქალი შეიქნა აღათი!—

შესძახეს იმედითა და სიხარულით და სკამებიდან აიშალენ, და შარა-გზებზე თუ ბილიკებზე გამოეფინენ.

• • •

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

გოეტეს ცხოვრების რომანი*

(დასასრული)

პროტესტანტი გოეტე ხუმრობის გუნებაზე დააყენა რომის კათოლიკური ეკლესიის გაუთავებელმა ცერემონიებმა და პათეთიურმა ზეიმმა. ერთ ერთი დღეობის თანადამსწრე თავის დღიურში აღნიშნავს: „ცალკეულ წმინდანს რომ ამდენ პატივს მიაგებენ სხვა დანარჩენს რაღას უზამენ?... პაპი სწირავდა.. და მე ასეთი იდუმალი სურვილი მქონდა: ქრისტეს მოსაყდრეს ოქროპირობა გამოეჩინა და მოეთხრო ჩვენთვის გამოუთქმელი ნეტარისათვის და მორწმუნეთა სულნი მოეხიბლა. მაგრამ როცა დავინახე პაპი უბირ ხუცესსავით რომ დაბორიალებდა საკურთხევლის ახლოს, წარამარა რაღაცას ბუტბუტებდა, მყის პროტესტანტულმა ცოდვამ გაიღვიძა ჩემს გულში. ქრისტე ხომ ჯერ სავსებით ჭაბუკი იყო, როცა იგი პირადად განმარტავდა სამღვთო წერილს და არც თუ დუმილით უქადაგნია ოდესმე. პირიქით, იგი სიამოვნებით გამოდიოდა ხალხში და ენამჭევრობას იჩენდა კიდევაც... ნეტავ რას იტყოდა ქრისტე, ამ წუთში აქ რომ შემოსულიყო და მიწიერი თვისის მოადგილის ასეთი უნიათო ბუტბუტი და უსაზმნო ყანყალი დაენახა?“...

გერმანელი მხატვარი ტიშბაინი რომში დაუხვდა გოეტეს. მთელი დღეები მოუსვენრად დაწრიალობს პოეტი მარადიულ ქალაქში. წმ. პეტრეს ეკლესიას, სიქსტინის კაპელლას, ვატიკანს, კვირინალს, ანგელოსის ციხეს, კაპიტოლს, კოლიზეუს, ვილლა ბორკეზეს დ სხვა უამრავ ვილლებს, მუზეუმებს, მოედნებს, ეკლესიებს, კიდევ მუზეუმებს, სურათების გალლერეებს, ძეგლებს, სტატუებს, ქუჩებს და ღამის ცხოვრებას უთვალთვალებს მისი გაუმაძღარი თვალი.

დასასრულ დაასკვნის: მხოლოდ რომში თუ შეუძლია ადამიანს რომის შესაცნობად მოემზადოსო.

გოეტე თავად საშუალო საუკუნის კულტურის პირმშო იყო, იგი თავისთავს წარმართ ბერძენს ადარებდა, მაგრამ იდეების მისის ფესვები უფრო მეტად ფეოდალური კულტურიდან გამოდიოდა. გასაგებია რომში იგი ისე გრძნობდა თავს, როგორც მორევში გადავარდნილი ორაგული.

და ამ გასაოცარი ქალაქის სტუმარ პოეტს თავის დღიურში აღუნიშვნავს 7. XI-ს: „ეჰ, კარგი იქნებოდა აქ დიდხანს დარჩებოდე ადამიანი და პითაგორისებურ დუმილს დაადგებოდე“.

---

[1] იხ. მნათობი № 6—7

„რაფაელის ლოჟები და ათინული სკოლის მხატვრების დიდი სურათები დავათვალიერე დღეს. ასე მგონია: სანახევროდ შერყვნილ ეტრატზე ჰომეროსს ვკითხულობდე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოეტე რომში სცხოვრობდა პალაცცო რონდანინის ფასადურ სართულ კორზოს მე-18 ნუმერში. ამ სახლს დღესაც ამშვენებს წარწერა: „ამ სახლში სწერდა უკვდავ ქმნილებებს ვოლფგანგ გოეტე“.

არსებობს ტიშბაინის მიერ დახატული სურათი: გოეტე რომში. ამჟამად იგი 40 წელს მიღწეული იყო. სავსებით ახალგაზრდა სჩანს პოეტი. ნანგრევების ფონზე ტახტზე წამოწოლილია. თავზე იტალიური ფართე, შავი ქუდი ახურავს, ტანზე რომაული ტოგას მინაგვარი წამოსასხამი აცვია, მოკლე ტურისტული შარვალი და მაღალ ყელიანი წინდები აცვია ფეხზე. ნანგრევებს გასცქერის მზეერავი ლომის პოზაში გარინდებული გენია.

* * *

ვაიმარელ მეგობრებს სწერს პოეტი:

„შვენიერი, წყნარი ამიდია, ცა მოკრიალებულია და მზე უხვად გვათბობს. მე და ტიშბაინ პეტრეს ეკლესიის მოედანზე ვსეირნობთ, იძალა სიცხემ, დიდი ობელისკის ჩრდილს შევაფარეთ თავი. ვზივართ და ყურძენს ვჭამთ... შემდეგ ამისა სიქსტინის კაპელლაში შევიარეთ. აქაც სითბოა და სინათლის სიუხვე, სურათებს მზის ნათელი ეფინება. გაგვაოცა მეორედ მოსვლამ (მიქელ ანჯელოსი) ამ დიდი ოსტატის სიდიადე და მამაკაცური ხაზმოსმა ჩვენს გაკვირვებას იწვევს“.

წყნარი გერმანული ტემპერამენტის პოეტს ყურადღება მიუქცევია შფოთიან იტალიელების ყოფაცხოვრებისათვის. ფრაუ ფონ შტაინს ატყობინებს... „მართებული იყო ამ ერის შესახებაც მომეწერა რაიმე. ის რაც უცხოელს უთუოდ აოცებს აქ, ეს არის ხშირი მკვლელობა. რაც მე აქა ვარ, ოთხი კაცი მოჰკლეს. დღეს ერთ ჩინებულ ხელოვანს თავს დაესხნენ... მკვლელმა ორჯელ დასჭრა იგი და როცა პოლიციამ მოუსწრო, ბოროტმომქმედმა თავი მოიკლა“.

ტიშბაინმა წარუდგინა გოეტეს რომში მცხოვრები გერმანელი ხელოვანნი. თავად პოეტს, ინკოგნიტოდ ყოფნა ერჩია, მაგრამ ტიშბაინის გარეშეც ცნობილობდენ მას თანამემამულენი. გოეტეს ყურადღება მიიქცია მშვენიერმა ანჟელიკა კაუფმანმა. თავდაპირველად ანჟელიკას სილამაზეს სახელი გაუვარდა ხელოვნების დიდი ისტორიკოსის ვინკელმანის მიერ დახატული პორტრეტის მეოხებით. ანჟელიკა ოსტატურად უკრავდა პიანოს და კარგადაც მღეროდა. ანჟელიკა კაუფმანს სალონი ჰქონდა პიაცცა დელლა ტრინიტაზე. აქ დადიოდნენ გოეტე და სხვა გერმანელი ხელოვანნი. ხატავდნენ, შაირობდნენ, მღეროდნენ, ხელოვნების საჭირბოროტო საქმეების გამო საუბრობდენ. ამ სალონში წაიკითხა გოეტემ თავისი იფიგენია. ფრაუ ფონ შტაინი შორს იყო და ანჟელიკა მის მაგივრობას უწევდა პოეტს. რომშივე უმეგობრდება გოეტე გერმანელ მწერალს კარლ ფილიპ მორიცს. გოეტეს მუზეუმში, ვაიმარში ახლაც აჩვენებენ გოეტეს მიერ იტალიაში დახატულ სურათებს, მათ შორის ფრიად საყურადღებოა „ესკიუსის პირამიდა მთვარიან ღამეში“. მცხრალი მთვარის ჩრდი-

ლში პირამიდის გაშუქებული ზეთავი მოსჩანს, მხარმარჯვნით ძილნასვამი ლიბანის ნაძვები სთვლემენ.

იტალიაში ყოფნამ გააძლიერა გოეტეს ისტორიული შეხედულება და მანვე გაამახვილა მისი ისედაც დიდი ინტერესი პლასტიური ხელოვნებებისადმი. ბელკედერელი აპოლონის ნახვას აღტაცებაში მოჰყავს პოეტი და თავის „საყვარელს“ უწოდებს იუნონა ლუდოვისის. „ჰომერის ერთ ერთ ქებას“ ადარებს იგი ამ ქანილებას და ხოტბას ასხამს პალაცცო ჯიუსტინიანოს ცნობილს მინრევას.

ფერია ეგერიას ხშირად ეწვევა ხოლმე, ვია აპიას დანგრეულ მავზოლეებს ათვალიერებს, კარაკალლას დოლის მოედანზე დაყიალობს.

„ამ ადამიანებს,— სწერს გოეტე თავის რომაულ დღიურში,— მარადჟამობისათვის უმუშაენიათ, მათ ყოველივე მოსალოდნელისათვის ანგარიში გაუწევიათ, მაგრამ ერთი რამ დავიწყებიათ: ბარბაროსულად მმუსვრელთა უსაზმნო ჟინი. რომის უდიდესი წყალსადენის ნაშთები გაოცებისა და პატივისცემის ღირსია, დიადი და შვენიერი აზრია ხალხისათვის წყლის მიწოდება.... საღამოს კოლიზეოს ვეწვიეთ. ბინდი ეშვება ირგვლივ როცა კოლიზეოს შესცქერი ადამიანი, სხვა ყოველივე მცირედ და უმნიშვნელოდ გეჩვენება. კოლიზეო ისე დიდია, რომ მისი სურათი სულში არ გეტევა, წახვალ და მოგონებაში იგი ისევ დაპატარავდება, მიხვალ ისევ ნახავ და ახლა უფრო მატულობს შენს თვალში მისი სიდიადე“.

რომი. 11 XI.

„წუხელ ღამ საშინელი მერეხი მოვიდა. ქუხილი სჭექდა. წვიმდა და წვიმდა, მაინც ტფილოდა. მე შემიძლია მხოლოდ რამოდენიმე სიტყვით გამოვხატო ამ დღეებში ნაგრძნობი ბედნიერება. ანდრეა დელლა ვალლეს, ფარნეზეს გალლერიისა და კარაკაჩიოს ფრესკები დავათვალიერე. ამდენი შთაბეჭდილებების მიღებას არამც თუ ერთი დღე, ხუთი თვეც არ ეყოფოდა“.

რომში ყოფნისას მუდამ აღმოსავლეთი და საბერძნეთი თვალწინ გიდგას ადამიანს. იტალიური მოგზაურობა აძლიერებს გოეტეს ინტერესს ანტიურ და ხელოვნებებისა და აღმოსავლეთის პოეზიის მიმართ. რომში ხელახლად გადაიკითხა გოეტემ პლუტარხი და ტიტუს ლივიუს— რომაელი ისტორიკოსები. იტალიის ბუნებას იყენებს გოეტე როგორც განცდის მოტივს, ხოლო ქვათა ღაღადი ისტორიულ შეგნებას მისსას ავრცელებს და აღრმავებს.

თავის იტალიურ დღიურში გოეტე ეხება პერსონალურ ხელახლად შობას“ Wiedergeburt. „მე იმ ხუროთმოძღვარსა ვგავარ, კოშკის აგებას რომ ლამობდა და ერთ შვენიერ დღეს შენიშნავს: ბალავარი ცუდად ჩაუყრია თურმე.

მერმე მოდგება ეს ხუროთმოძღვარი და ხელახლა ანგრევს ამ ბალავარს. ახლა ახალი გეგმის გადაკეთებას და გადამუშავებას შეუდგება. ასე იღწვის ხუროთმოძღვარი და უხარია რომ მოვალი კოშკი უფრო მტკიცე და მყარი იქნება“.

* * *

ეს იდეური „ხელახლადშობა“ ეხება უმთავრესად პოეტის შემოქმედებას. იტალიაში ყოფნის დროს იგი დაუცხრომლად აშუშავებს „იფიგენიას“, „ტასსოს“ და „ფაუსტს“.

მივხედოთ ახლა ვაიმარსაც. ჰერცოგი საშობოდაც არ მოეწერა თავის მინისტრს ვაიმარში. ჰერცოგსა და გოეტეს შორის მუდმივი მიწერმოწერა იყო.

გულნაწყენი იყო ფრაუ ფონ შტაინ. ცნობილია, ასეთ შემთხვევაში ქალის ინსტიქტს ვაჟისა ვერ შეედრება. შარლოტე გრძნობდა, რომ ეს მისგან გაქცევას მოასწავებდა.

23.12.1786 წ. საღამო ჟამს. გოეტე ასე სწერდა შარლოტტეს: „ძვირფასო, დიდი მადლობა მომიხსენებია შენი წერილისათვის. ნება მომეცი წამიერად დავივიწყო ის ტკივილები, რომელნიც შენმა ბარათმა მომაყენა. ჩემო საყვარელო, ჩემო საყვარელო! გეველრები, გეველრები, როგორმე გამიადვილე შეხთან მიბრუნება, თორემ ამ უცხო ქვეყანაში მიუსაფარი მწირი ვიქნები. დიდსულოვანად მომიტევე ყოველივე და გამაზნევე..... იცოდე შენს მაგივრობას ვერავინ გამიწევს... ვერ აგიწერ, როგორ მიღონდება გული, როცა გავიაზრებ რომ შენ ჩემის მიზეზით გამხდარხარ ავად... ჩემო საყვარელო, ჩემო საყვარელო... გუშინ ჩემს ოთახში შემოვატანიე იუნონას უშველებელი თავი. იუნონა ჩემი სიყვარულის პირველი საგანი იყო აქ რომში. ნეტავ ახლა მე და შენ ერთად ვსჭვრეტდეთ ამ იუნონას თავს“.

1787 წ. 17.I. ისევ შარლოტტეს ატყობინებს: „ჩემი დის სიკვდილის დღიდან არაფერს ისე არ დავუღონებივარ, როგორც იმ ტკივილებს, რომელნიც შენ გაგიცდია ჩემგან განშორებისა და ჩემი ხანგრძლივი დუმილის გამო. დღეს შენივე წერილიდან შევიტყვე ჩემი დღიური რომ მიგიღიათ. დავმშვიდდი და გავხალისდი. ვნანობ: ყოველ სადგურიდან რომ არ გიგზავნიდი დღიურის ფურცლებს. ვიმედოვნებ ეგმონტი, ტასსო და ფაუსტი აქ მოვათავო. ვილჰელმისათვის მრავალი ახალი იდეა დამიგროვდა“.[1]

1787, 13, I-ით დათარიღებულ წერილში გოეტე დასცინის კარდინალებს იმავე ბარათში იგი ახსენებს ქართულს („კოლხურს“.) ამის გამო მე მინდა ეს ბარათიც გადმოვაქართულო:

...„ჯიუსტინიანის სასახლეში ერთი მინევრა სდგას. მას ეკუთვნის უდიდესი თაყვანისცემა ჩემგან... როცა ამ ქანდაკებას ვათვალიერებდით, სასახლის კუსტოდე ქალმა გკიამბო: ეს ქანდაკება ოდესღაც წმინდა ხატი ყოფილაო და ინგლეზი[2], რომელნიც ამავე რჯულისანი იყვნენ კვლავინდებურად თაყვანსცემდნენო მას და ხელებს უკოცნიდნენო იუნონას. რადგანაც მლოცველები ცალ ხელზე ჰკოცნიდნენ, ეს ხელი გათეთრებიაო. მართლაც და განაგრძობს პოეტი ეს ცალი ხელი კოცნისაგან მთლად გათეთრებული იყო, ხოლო თავად ქანდაკება სინგურის ფერს გადაიკრავს ოდნავ. ამას წინად ვინმე ინგლეზის შჯულის ქალი იყოო აქ, განაგრძო დედაკაცმა, მუხლებზე დაეცა და თაყვანი სცაო. მე სიცილი ვერ შევიკავეო და დარბაზიდან გავედიო. რაკი მეც არ ვეშვებოდი იუნონას ქანდაკებას, კუსტოდე ქალი შემეკითხა შენც ინგლეზის შჯულისაგან ხომ არა ხარო. ამ კეთილი ქალისათვის დია გასაგები იყო თაყვანისცემა და სიყვარული, მაგრამ მას ვერ შეეგნო წმინდა გაოცება ამ შესანიშნავი ქმნილე-

[1] იგულისხმება ვილჰელმ მაისტერის „ციკლის რომანები“. კ. გ.

[2] იტალიელები „ინგლეზის“ უწოდებენ ინგლისელებს.

ბის მიერ ჩემში აღძრული და ვეღარც ძმური აღტაცება ადამიანის ქმნილებისადმი.....

„.... ახლა სხვაკვარი სანახაობის შესახებაც უნდა მოგითხრობ —

„ამას წინად პროპაგანდაში [1] ვიყავით. აქ სამი კარდინალისა და ლიდაღი საზოგადოების წინაშე ლათინურად წარმოსთქვეს სიტყვა. ორატორი არკვევდა ბოსელში მიიღო ღვთისმშობელმა მარიამ აღმოსავლეთის სამი მეფე თუ სხვაგან სადმე? ამის შემდეგ ლათინური ლექსები წარმოსთქვეს. 30 სემინარიელი გამოვიდა და ყოველმა მათგანმა თავთავიანთ ენაზე ლექსი სთქვა. მალაბარულ, ეპიროტულ, თურქულ, მოლდავურ, სპარსულ, კოლხურ, ჰებრაულ, არაბულ, სირიულ, კოპტურ, სარაცენულ, სომხურ, ბერძნულ, მადაგასკარულ, ისავრულ, ისლანდურ, ეგვიპტურ და ეთიოპურ ენებზე. ეს ლექსები ნაციონალური მეტრით იყვნენ დაწერილი. საზოგადოება იცინოდა, ხარხარებდა ამ უცხო ბგერების გამგონე, ასე რომ ეს სპეკტაკლი ფარსად გადაიქცა.

„კიდევ ერთი მცირე რამ უნდა გიამბოთ: განსვენებული კარდინალი ალბანი დასწრებია თურმე ერთხელ ასეთ საზეიმო საღამოს. ერთ ერთ შეგირდს უცხო ენაზე ლექსი უთქვამს კარდინალისაკენ პირშექცეულს. „ბნაია, ბნაია“, იმეორებდა მოწაფე. ხოლო დამსწრეებს ეს სიტყვები „კანალია, კანალია“დ მოესმოდა სწრაფად ნათქვამი „როგორც სჩანს ამ ყმაწვილს კარგად გავუცვნივართო“. წასჩურჩულა თურმე კარდინალმა თავისიანებს“.

რომიდან პალერმოსაკენ მიიწევდა პოეტის გული. ქვემო იტალიის ბუნება და ასე თუ ისე შეურყვნელი იტალიელების ნახვა სურდა. იტალიაში მგზავრობის დროს უთუოდ რწმუნდები ადამიანი რომ მთელს ევროპაში უმშვენიერეს ქვეყანაში ყველაზე უბედური ხალხი სცხოვრობს. ჯერ იყო და ამ ბუნების სილამაზით წაქეზებული მეზობლები ანადგურებდნენ იტალიას დაუცხრომელი შემოტევებითა და თავდასხმით. ახალ საუკუნოებში ცივილიზაციამ ახალი საშუალებანი გაუჩინა ყოველი ჯურის თავდამსხმელებს. მთელი ქვეყნის ათასი კიდიდან მილლიონები ჩამოდიან იტალიაში, ზოგი ისტორიული ძეგლების, ზოგი ეკლესიების, ზოგი პაპის და რომის სანახავად ასე რომ იტალიას თავად იტალიელები „სასტუმროს და დუქანს“ უწოდებენ. ამ „დუქანში“ სტუმრები გაცილებით უკეთ გრძნობენ თავს, ვიდრე მასპინძლები. ადგილობრივი მკვიდრი იოლ საშოვარს მისჩერებია. ყოველი კაცი უცხოელის მოლოდინშია. ზოგი ბინას აქირავებს, ზოგი მოგზაურობას უწევს ტურისტს, ზოგი მათხოვრობს, _ზოგიც ბორიტმოქმედების შემთხვევისა და ავანტიურის მოლოდინშია. რომის, ვენეციის, ფლორენციის, ნეაპოლის, ბოლონიას ქუჩები, პარკები, ფორუმები, ტაძრების და სამსხვერპლოების ნანგრევები და ნიშები ღამღამობით სავსეა უბინაო მათხოვრებით, ლოთებით, წვრილფეხა ავანტიურისტებითა და ბოზებით. და ეს ლაცარონები, მშიერი ლუმპენპროლეტარიატი თავისი უდიდესი ისტორიის ძეგლებს მხოლოდ ორის მოსაზრებით ღა უყურებს: როგორმე ღამე გაითიოს თავის წარსული დიდების პანთეონებში, ან და მეორე დღეს უცხოელს უჩვენოს, ტყუილი და მართალი უამბოს და ორიოდე ლირა დასტყუოს.

[1] იგულისხმება რომის კათოლიკური მისსიონერობის საზოგადოება. Congregatio de Propaganda fide. კ. გ.

ეს ყოველივე იტალიელის ბუნებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. სიცრუეს, ფლიდობას, აჩვევს მას. და უცხოელებისგანაც ყოველივე სიჭლახეს იოლად ითვისებს.

ეროვნული

სხვათაშორის, გოეტეს იტალიურ დღიურში ჩინებულად აწერილია ქალაქ კოლიზეოში შეხიზნულ ბოგანოების ღამისთევა და ჟრიამული. მაშინდელი ნეაპოლი სავსებით არა მკვანებია რომს, არც პროვინციალურ დაბას ვაიმარს. დღედაღამ დაძრწოდნენ ქუჩებში ფეხსაცმელის მწმეხდელები (და მართლაც ახლანდელი ნეაპოლიც განირჩევა ამ პროფესიის ხალხის სიჭარბით!), მათხოვრები, მეგაზეთეები, მეგზურები, უამრავი მეეტლები და ტროვატორები—პაპიროსების ნამწვარების მაძიებელნი". პოეტს გული გაუწყალეს აბეზარმა ზეზეურად მოვაჭრეებმა. და ეს გასაგებია, რადგან ევროპის დასავლეთში გასაყიდი საქონლის შეძლევა და მიძალება დაუშვებელია. გაოცებული უთვალთვალებს ნეაპოლის საჯაროდ წარმომთქმელებს, რეჩიტატორებს, რომელთაც უსაქმურების ბრბოები გარს ეხვეოდნენ. მოედნებზე და ქუჩებში დამსხდარიყვნენ ბარათების მწერალნი და მკითხველნი (scrivomi publici) წერაკითხვის უცოდინარების ლაშქარი გარს ევლებოდათ, წერილებს აწერინებდნენ და აკითხვინებდნენ უშველებელ სამელნეებთან დაყუნცულ მწიგნობრებს. ზიმზიმებდნენ ქუჩებში გარყვნილი უსაქმო ბიჭუნების ბრბოები, ჯოგები, ეტლები, მებარგენი და ტვირთის მზიდველნი.

მოუსვენრად დადის გოეტე ნეაპოლის, ქალაქის შემოგარენის, პოცცუოლის-პორტიჩის; ტორრე ანუციატას დასათვალიერებლად და შესასწავლად.

ვეზუვიმ დააინტერესა პოეტი არა მარტო როგორც ბუნების მოყვარული. არამედ როგორც გეოლოგი. რესინას მწერვალზე ავიდა, აქედან ჯორცხენით ლავამდის მიაღწია. მესამეჯერ ცდის შემდეგ ვეზუვის მხრჩოლავ ყელამდის ავიდა, პომპეისა და ჰერკულანუმის ნანგრევები დაათვალიერა,

ვეზუვის პირისპირ მზის ჩასვლის მაცქერალს ეს სტრიქონები შეუტანია გოეტეს თავის ღღიურში:

„უმშვენიერეს მზის ჩასვლას დავესწარი. პირდაპირ ციური საღამოა. მიუხედავად ამისა, გონებას მიმღვრევს ამ უშველებელი კონტრასტების ურთიერთობა. საშინელი მშვენიერის გასწვრივ და პირუკმოდ. ორივენი ურთიერთს აბათილებენ თავიანთი შთაბეჭდილებით. ნეაპოლიტანელი უთუოდ სხვაგვარი ადამიანი იქნებოდა, ღმერთსა და სატანას შორის გაჩხირული რომ არ ყოფილიყო"....

...„აქაურებმა არაფერი იციან ერთიმეორის შესახებ. ისინი ერთად დახეტიალობენ, დღე და ღამ ქუჩებში დარბიან და ვერც კი ამჩნევენ ურთიერთს. ასე დაძრწიან ისინი ამ მიწიერ სამოთხეში. ბევრი ფიქრით თავს არ იტკივებენ, არც გარემოს აკვირდებიან, და როცა მათ მეზობლად ხახადაბჩენილი ჯოჯოხეთი აზვავდება, მაშინ ზმინდა იანვარიუსის სისხლს იშველიებენ".

ნეაპოლში მობრუნებული მუზეო ნაციონალეს შესწავლას შეუდგა.

ერთი თვე ნეაპოლში ყოფნის შემდეგ გოეტემ გადასწყვიტა სიცილიასაც სწვევოდა.

ნეაპოლიდან მიმავალ პოეტს ძველი სენტენცია წამოცდა:

Vedi napoli, e poi mori—ნეაპოლი ნახე და შემდეგ მოკვდიო.

ამჟამად რომიდან მესსინაში მიმავალი ექსპრესსით გადაუჯდომად შეგიძლიათ სიცილიის კუნძულზე გადასვლა. ექსპრესსი ხმელეთს რომ მოათავებს, ნაპირთან მიდგება გემი და მატარებელი პირდაპირ გადადის ... ბაქანზე. მოიხსნება გემი ღუზიდან და მემანქანის მაგივრათ ... ყვანს მატარებელს. გოეტეს დროს ასე შორს არ იყო წინ წასული ცივილიზაცია.

გოეტე მთელი ორი დღე სვიანქარს უცდიდა ხმელეთის კიდესთან,

„როცა უკვე ხმელეთი დაიმალება და ზღვა შემოგერტყმება გარს, უკვე გავიწყდება ეს ქვეყანაც და შენი ურთიერთობა მისადმი“ ეს პირველად გავიდა გოეტე ზღვაში.

„როგორც ლანდშაფტის მხატვარს—ამ დიდმა და სადა ხაზებმა სავსებით ახალი აზრები აღმიძრა“ ზღვამ ძლიერ აწყინა ხამ მეზღვაურს.

როგორც დღიურიდან სჩანს, გოეტეს ძალიან გაძნელებია ზღვაზე გადასვლა. როგორც იქნა გამოჩნდა „უშველებელი კუ“ მკაფიოდ გამოისახა ლიბეის მთის თხემები და კაპო გალლო. დელფინების არვე თან მისდევდა აფრააშვებულ ხომალდს.

ესეც პალერმო—გერმანელი ჰოჰენშტაუფელი კეისარების ძველი რეზიდენცია, ალქიმიკოსების, მენცარების, ტრუბადურების, ასტროლოგების, ჯადოქრების და საშუალო საუკუნის მისტიკის ძველი სატახტო.

გოეტეს მხლებელი მხატვარი კნიიპ დაუცხრომლად ხატავდა გზადაგზა ზღვისა და ხმელის ლანდშაფტებს. გოეტეს თავის დღიურის ფურცლებზე გადაჰქონდა ნახული, განაგონი და შენიშნული.

პალერმოს მფარველის წმ. როზალის ეკლესიას აგვიწერს პოეტი მთას მონტე პელეგრინოს და პალერმოელ მარმალილოს წყაროსთავს, პალერმოელი პრინცის პალაგონიას სისულელეებსა და ოინებს.

შენელებული ჰუმორით აგვიწერს პრინცის პალაგონიას სასახლის საოცარ სამკაულებს, მათხოვრების, ესპანელების, მავრების, მუსიკოსების, თურქების ლმერთების, აქილევის, ხირონის და პულჩინელის სურათებს და ქანდაკებებს. ცხენების, ძაღლების, მაიმუნების, გველების, ვეშაპების სტატუებს, ფიგურებს და ვაზებს.

პოეტი ათვალიერებს პალაცცო რეალოს, სან მარტინოს, კაპელლა პალატინას, ნორმანულ მავრულ სტილზე აგებულ ეკლესიას სან ჯიოვანნი დეგლი ფრემიტის.

იტალიაში მოგზაურობამ ნუმიზმატიკისადმი ინტერესი გაუღვიძა გოეტეს. პალერმოშივე დაათვალიერა მან პრინჩიპე ტორემუცცას მედალიონების კაბინეტი.

„იტალია, სიცილიის გარეშე დასრულებულ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს“, სწერს პოეტი, „აქ მოცემულია ყოველივეს გასაღები, ჰავისთვის კარგს ვერაფერს ვიტყვი.

„სწვიმს და სწვიმს დაუცხრომელად. დღეს (12.IV) ქუხილი იყო... აქ საუცხოვო ხილია... ზეთი და ღვინო სანაქებოა...“

გოეტეს ეპოქას საოცარი სენსაციებით აფორიაქებდა იტალიელი ავანტურისტი და მისტიკოსი კ ა ლ ი ო ს ტ რ ო—ჯ ო ზ ე პ ო ბ ა ლ ზ ა მ ო. პალერმოშიაც

ბევრს ლაპარაკობდენ იმ ჟამად კალიოსტროს ოინების გამო. გოეტემ შემთხვევით გაიგო რომ კალიოსტრო პალერმოელი ყოფილა და მისი ოჯახი მცხინახულა კიდევაც.

პალერმოდან გამგზავრებულმა სეგესტას ტაძარი დაათვალიერა, აქიდან ალკამის გაემართა, 28 აპრილს გიორგენტის სვეტებამდის მიაღწია. სიცილიაში მოგზაურობის დროსაც გზადაგზა მინეროლოგიურ დაკვირვებებს აწარმოებდა.

შემდეგ ცხენდაცხენ მიჰყვა ზღვის კიდეს და 6 მაისს ტაორმინას ჩავიდა. ტაორმინას საქვეყნოდ განთქმული თეატრის ნანგრევებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. „უნდა გამოვტყდეთ, რომ არსად და არასოდეს თეატრალის თვალს ტაორმინაზე უკეთესი თეატრი არ უნახავს. მარჯვნით უშველებელი მთის ფლატეა აღმაროული, ხოლო ამ ფლატზე კოშკი. აქიდან მოსჩანან ენტოს მთები, მხარმარცხნიდან თქვენ ხედავთ კატანიას და სირაკუზს“. 8 მაისს მიემგზავრება გოეტე მესსინას. თოვლით დაფარული ეტნის მთას უალერსებდა თვალი, გზადაგზა ნარინჯისა და ფორთოხლების ბაღებიდან სიცილიელი ბულბულების სტვენა ატკბობდა მის სმენას.

მესსინა 1783 წელს დაიქცა მიწისძვრისაგან. დღეს მესსინას ნანგრევების ფერხთით მშვენიერი ქალაქი ჰყვავის. გოეტეს მიერ ნახული სურათი გაცილებით სასტიკი და უნუგეშო იყო.

„მესსინა. ხუთშაბათს, მაისის 10-ს.

„ ამგვარად მესსინას ჩამოვედით. რა კი სხვა გზა აღარ გვიჩნდა, მეურმის ქოხში უნდა გაგვეთია ღამე. ამ შემთხვევამ გაგვიადვილა იმის გაგება, თუ რას ნიშნავს ნანგრევებად ქცეულ ქალაქში ცხოვრება. ვინაიდან ვიდრე ჩვენ ბინამდის მოვაღწევდით, მეოთხედი საათის განმავლობაში ნანგრევებს შორის მოვდიოდით ცხენებით .. მეორე დღეს ვნახეთ სახლები მთლად დალეწილი იყო. ხალხი კარვებსა და სახელდახელოდ შეხანხლულ ქოხმახებში ბინადრობდა. ერთი ეკლესიის ნანგრევს ქვეშ მრავალი ათასი სული მოქცეულა თურმე კატასტროფის დღეს“.

სიცილიიდან რომში მობრუნებულ პოეტს მცირე რომანი შეემთხვა მილანოელ ლამაზ ქალთან-მადდალენა რიგგი. ეს მოხდა რომის მახლობლად მდებარე ფრასკატის ვილლა კასტელ განდოლფოში. მაგრამ მადდალენა დანიშნული აღმოჩნდა და ვერტერის ავტორს დამბაჩები არ მოულერებია საკუთარ შუბლზე და არც ვეცლარის ტრაგედია განმეორებულა მის გულში. რადგან ვერტერს ვერავინ დასწერდა მეორეჯერ. ამ მცირე ხნის მიჯნურობას მოჰყვა მისი ლექსი:

„ამური როგორც ლანდშაფტების მხატვარი“. გაცილებით უფრო მეტად „ნაყოფიერი“ აღმოჩნდა მადდალენას სიყვარული ქმრისადმი თუ კი ცოცხალი ადამიანი ლექსზე მეტს ნიშნავს, მან 8 შვილი დასტოვა და 1825 წელს გარდაიცვალა. არსებობს ანჯელიკა კაუფმანის ხელით დახატული სურათი მადდალენასი. მადდალენა რიგგი ამ სურათში თავად ნაყოფიერების ღმერთქალს მიაგავს. ფრასკატში, კასტელ განდოლფოში რამოდენიმე დაუვიწყარი დღე გაატარა პოეტმა. დილას და საღამოს ზღვიდან და ზღვაზე ამომავალ მზისა და მთავარის შეხედვითა და ანჯელიკა კაუფმანისა და მადდალენას სიახლოვით სტკბებოდა.

მისი გაუმაძღარი წარმართი გული სტკბებოდა ორ ქალთან გამიჯნურების იდუმალი მღელვარებით.

„ერთხელ ორივენი ერთად იდგნენ გარეგნულადაც კონტრასტებს წარმოადგენდნენ: წაბლისფერთმიანი რომაელი ქალი და თაფლისფერთმიანი ბერძენი. ერთს შოკოლადის ფერი სახე ჰქონდა, მეორეს ნათელი და სალუქი—ანჯელიკას თითქმის ცისფერი თვალები ჰქონდა, მადდალენას ყავისფერი. რომაელი დარბაისელი იყო და თავდაჭერილი, ბერძნოელი—უფრო გულღია და კისკასა“

ანჯელიკას დედა დარბაისლურად ჩაერია საქმეში და მოკრძალებულად განუმარტა პოეტს თავისი ამურული ცუღლუტობის უსაზმნობა. გოეტემ თავმოდრეკილად ბოდიში მოიხადა და მადდალენასკენ გადაიხარა, მაგრამ უკვე გვიან იყო...

ვაიმარში მშვიდობით მობრუნებულ პოეტს ეს მღელვარე დღეები გადაავიწყა ცალკერძ ახალმა შთაბეჭდილებებმა, ცალკერძ შარლოტტე ფონ შტაინის დედობრივ სიყვარულთან მომიჯნე ალერსმა.

და თავის ტასსოში კვლავ ერთისადმი სიყვარულს მიუძღვნა პოეტმა უკვდავი სტროფები.

Einer Einzigen angehören
Einen Enzigen verheren...

XX ქრისტიანე ვულპიუს.

Alles geben die Götter, die unendlichen
Jhren lieblignen ganz
Alle Freuden die uuendlichen
Alle Schmerzen, die unendichen ganz.

ლორდ ბაირონი ადრე გადაეგო, დიონისური პერიოდიდან აპოლინურში გადასვლა აღარ დასცალდა. ვინ იცის, ეგებ მართალი იყოს ჰომერის შესახებ შეთხზული ლეგენდა, თითქოს მას ბევრი ემოგზაურნოს და მიხრწნილებაში დაეწეროს თავისი პოემები. ეგებ ნიცშეც არა სცდებოდეს, როცა იგი ქრისტეს დასცინის: ჩემოდენა რომ ეცხოვრა, ჩემსავით ჭკვიანი იქნებოდაო და არც ის ბრძენი ფრანგი სტყუოდეს, რომელიც ამტკიცებდა: ადამიანმა ისე უნდა იცხოვროსო როგორც ბურჟუამ, ოღონდ ღმერთის დარად იაზროვნოსო.

დიდოსტატობისათვის, მწიფე შემოქმედებისათვის ასაკია საჭირო. ასაკი და მოცალეობა.

უთუოდ, გოეტეს ცხოვრებაში ბევრი იყო ფილისტერობა. 1788 წ. ივნისში იაკობისადმი მიმართულ ბარათში, იტალიიდან მობრუნებული პოეტი აღტაცებული მოუთხრობს მეგობარს თავისი ვაიმარელი ბაღის ვარდების შესახებ. ჰერცოგი და ჰერცოგინ წარამარა ჰპატიჟობდნენ. იტალიის ამბებს ათხრობინებდნენ. გოეტეს ვაიმარში ჩამოჰყვა იტალიის ატლასის ზეცის ბრწყინვალების სიყვარული იგი უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა ვაიმარის ღრუბლიან დღეების და გაუთავებელი თქორის შემყურე. სწუხდა: ეს მოღუშული ცა ყოველგვარ ფერებს რომ ნთქავდა და აბათილებდა.

ვაიმარში ბევრი რამ შეიცვალა. ვილანდსა და გოეტეს შორის საკმაოდ გულგრილი ურთიერთობა დამყარდა, კნებელ იენაში გადასახლდა. ჰერცოგი დაავადდა, ჰიპოხონდრიის ჭრიჭინებმა იძალეს, მუდამ ბუზღუნებდა და უგუნებობას ეძლეოდა, ან საჰერცოგოს საქმეებს მისდევდა.

გოეტეზე იტალიურმა მოგზაურობამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. იგი ისევ სამხრეთს გასცქეროდა მზემოწყურვებული. „უსახო და უაღნაგო გერმანიას“ აძაგებდა „ფორმადასრულებულ იტალიის“ მონატრული.

მე მგონია, ეს სპეციფიური თვისება ჩრდილო და დასავლეთის ხალხების დამახასიათებელია. როცა ისინი სამხრეთის მზესა და ტაროსს გაიცნობენ, მერმე ჩრდილოეთში მიბრუნება ეზარებათ. ეს ინსტიქტი სარჩულად ედვა ყოველ დროში ჩრდილო და დასავლეთის ხალხების ინვაზიებს სამხრეთის ქვეყნებისაკენ მიმართულს.

ანნა ამალიაც აიტანა იტალიისადმი ტრფიალმა ქვრივი ჰერცოგინ, დია მოწადინებული იყო: გოეტე თან წაჰყოლოდა კარისკაცისა და მეგზურის სახით, მაგრამ პოეტმა საქმეები მოიბოდიშა და უარი მოახსენა. იტალიური ცხოვრების ვითარების დაკვირვებამ გოეტეს ვაიმარელ გარემოზე გული აუცრუა; აგრეთვე როგორც პოეტი, იგი იტალიური თემატიკის ორბიტრში მოექცა და გოტცის, ვერტერის ავტორმა ანტიურ თემებისაკენ იბრუნა პირი. თავისთავად ცხადია, იმ დროინდელი გერმანელი მკითხველი სავსებით მოუმზადებელი იყო ამ ახალი მოტივების შესაცნობად, ვინაიდან ანტიური პოეზიის წიაღიდან აღებულ თემის გაგება უთუოდ ფრიად კულტურულ მკითხველების წრეს გულისხმობს წინასწარ. ასე რომ მისი ტასსო, იფიგენია და ელპეონორ უთუოდ უცხო ფიგურებად მოეჩვენებოდა თანადროულობას.

მუდამ ასე ყოფილა: დიდი იდეური ნოვატორები და სტილისტიური რეფორმატორები მუდამ ათეული წლებით წინუსწრებდნენ თავის დროს და პოეტსა და მკითხველს შორის ეს ბადებს ხოლმე მარად ძველსა და მარად ახალ გაუგებრობას. გოეტეს უგუნებობას მისი მეგობარის მერკის თვითმკვლელობაც ზედდაერთო.

თუ ოჯახურ ცხოვრებას სერიოზულად შევხედავთ, ცოლის შერთვა უთუოდ ისევე საბედისწერო ნაბიჯია მამაკაცისთვის, როგორც დაბადება და სიკვდილი. რა თქმა უნდა გააჩნია, ვინ როგორ შესცქერის ამ თუ იმ მოვლენას. გოეტესთვისაც საბედისწერო გახდა დაოჯახება. თუმცა პოეტმა, მაგრამ მაინც ფრანკფურტელმა გონიერი მოქალაქის ნაშიერმა თავისებურად ივარაუდა; რომელიმე აზნაურის თავაშვებული ქალი შეერთო? ეს გაცილებით მეტ დროს დააკარგვინებდა შემოქმედებითა და შრომით დატვირთულ პოეტს. ალბად ამიტომაც უახლოვდება გოეტე ქრისტიანე სოფია ულპიუსს--სავსებით უბირ ქალს ხელოვნური ყვავილების ქარხანაში მომუშავეს. ამ ამბავმა დიდი სენსაცია გამოიწვია, უფრო მეტი, ვიდრე გოეტეს „გააზნაურებამ“ და „გამინისტრებამ“ ოდესღაც.

როგორ? ჰერცოგის მინისტრმა და სახელგანთქმულმა პოეტმა ხასად აიყვანა „ვილაც უბირი მუშა ქალი?“ და ამას უნდა შერიგებოდა ვაიმარის „მაღალი“

არისტოკრატია? ისევ აკრუსუნდნენ ხანგადასულია ბარონესსები, კამერერების და მინისტრების ცოლები.

გოეტეს საუკუნეში აქ რელიგიური მომენტიც ერია. ეკლესიის გარეშე შეუღლებას დიდ ცოდვად უთვლიდნენ ყოველ ქრისტეანს.

გოეტე უფრო მარტივად უყურებდა ამ ამბავს. მან შემთხვევით ნახა ქრისტიანე თავის ბაღში, მოეწონა მის შუბლზე ჩამოღვარული წაბლის ფერი კულულები და განიერი იეძოები.

ეს შეხვედრა პოეტმა უკვდავჰყო ფავის ლექსში: Gefunden—ნაპოვნი. 1790—91 წლებში გოეტე კმაყოფილებით აღვსილი იხსენიებს თავისი ერთგულ პენელოპეს „ოჯახისა და კერის“ ერთგულ დარაჯს.

ქრისტიანესვე მიეძღვნა „რომაული ელეგიები“—„ოქროში გადადნობილი“ ბუნებრივი ურთიერთობა პოეტურ.

ქრისტეანესადმი მიძღვნილი ციკლი ლექსებისა გოეტეს შემოქმედებაში ერთგვარი ბალავრის ჩაყრა იყო ცოლისადმი სიყვარულის ლირიკისათვის.

სამხრეთისა და აღმოსავლეთის პოეტებს გვეუცხოება მუზადქცეული ცოლის ამბავი. დასავლეთში ეს სავსებით გასაგებია ამჟამად და ბუნებრივი.

და ეს იმიტომ ხდება, რომ აღმოსავლეთის თვით ქრისტეანულ ქვეყნების პოეტების აზროვნებაზედაც დიდ ზეგავლენას ახდენს ჰარემისა და ჩადრის სიახლოვე.

უშესანიშნავესი ლექსები უძღვნა გოიტემ ქრისტეანესთან შეუღლების პირველი თვეების ვნებას. არსებობს გოეტეს მიერ დახატული „მძინარე ქრისტიანე“ ამ სიყვარულის მიუხედავად გოეტე ორიოდე წლის შემდეგ მეორე ჯერ მიემგზავრება იტალიას და სავსებით ჩვილ ბალღსა და ახალგაზრდა ცოლს მარტოკა სტოვებს ვაიმარში.

ვაიმარელი ჭორიკანები დარწმუნებულნი იყვნენ: გოეტე ამ ულირს ქალს უთუოდ მალე გააგდებდა.

„Dicke Hälfte—სქელ ნახევარს“ უწოდებდნენ ქრისტეანას ვაიმარელი სასახლის დამები. ქრისტიანე გაუნათლებელი იყო და საკმაოდ შეზღუდული, გოეტეს სავსებით არ აწუხებდა ეს ამბავი, იგი გულმოდგინედ ასწორებდა წერილების მისის ორთოგრაფიას.

ცხადია, უმართებულო და სასაცილო იქნებოდა ეს ყოველივე გოეტეს აზროვნულ რადიკალობისათვის რომ მიგვეწერა. პოეტს საკმაოდ დიდი ბოჰემური სტაჟი ჰქონდა და როგორც ლილის და ფრიდერიკეს შემთხვევაში, იგი აქაც გაურბოდა ცოლქმრული ურთიერთობის დაკანონებას. მოკლედ: ოჯახური არტახების ეკრძალებოდა. 1790 წელს ვაჟი ეყოლა გოეტეს, მაგრამ ამის მიუხედავადაც არ აჩქარდა იგი და არც კი ფიქრობდა ქორწინებისათვის. ასე რომ მხოლოდ 1806 წელს დაქორწინდნენ გოეტე და ქრისტიანე.

გოეტეს იდეალი იყო ამ შემთხვევაში უწყინარი ცოლი, რომელიც არ აღუკვეცდა მას სხვა ქალებთან ურთიერთობის შესაძლებლობას.

ვაიმარის ჭორიკანა საზოგადოების სისინის უპირველესი შთამგონებელი გახდა შარლოტე ფონ შტაინ. ასე რომ ის ქალი, რომელმაც პოეტმა უკვდავი

ძეგლი დაუდგა თავის იფიგენიითა, უამრავი ლექსებითა და ბარათებით, რევიანობისაგან გააფთრდა და უკანასკნელ ჭორიკანას დაემზგავსა. აქ კი ცხენისა და უნაგირის იგავი აღსრულდა. გოეტეს ვერაფერი დააკლეს და ბედშავ ქრისტეანეს მიუშკირეს გესლიანი ისრები.

ვაიმარელი მოხეები არა სცხრებოდნენ, ახალსა და ახალ ზღაპრებს სთხზავდნენ ქრისტიანეს „ღალატის“ შესახებ. თავად ქრისტიანეს ფრიად მოკრძალებულად ეჭირა თავი, თავის საკმაოდ დიდ ოჯახსა და ბავშვს უვლიდა, ქსოვდა, ოოლ საკითხავებს ჰკითხულობდა, ყვავილებს უვლიდა და იადონებს აპურებდა. მოკლედ ისე სცხოვრობდა, როგორც ყოველი კეთილგონიერი და შეზღუდული ბურგერის ცოლი, რომელსაც დავიდარაბისათვის ტემპერამენტი არა ყოფნის და მეზობლების აზრს რიგიანად მოდუღებული ყავა ურჩევნია.

ამ გზით ქრისტიანე უქმნიდა ჭვრეტითა და შემოქმედებით გართულ პოეტს აღუშფოთებელსა და მყარ ატმოსფეროს.

1790 წელს გოეტე ჰერცოგინ ამალიას შესაგებებლად კვლავ მიემგზავრება იტალიას. ამ შემთხვევაში სულ სხვა სვლის გეზით: ზაალფელდ-ბამბერგ აუგსბურგ,—ინსბრუკის გზით—ვენეციისაკენ. ჰერცოგინ ვენეციაში არ დაუხვდა და კარგა ხანს მოუხდა ლოდინი.

გოეტე თავად აღვიარებს ვენეციიდან მონაწერ ბარათში რომ იტალიაში მეორეჯერ ჩამოსვლამ უთუოდ შეარყია მისი სიყვარული იტალიისადმი. მოგზაურების შთაბეჭდილებანი ყოველთვის პირობითია. ვენეციაში ცუდი ამინდები შეხვდა გოეტეს. გარდა ამისა, საგნის შეცნობა ხშირად აზიანებს კიდევაც საგნისადმი სიყვარულს. „ბევრი რამ კარგი უნდა მომეწერა და ამ ჟამად მხოლოდ ეს შემიძლია შეგატყობინოთ, რომ უკვე ვენეციაში ვარ. რაც უფრო მეტი დრო გადის, მე უფრო და უფრო მეტ შეუგუებლობას ვიჩენ ამ ერის ლორული ცხოვრების მიმართ. ვენეციიდან წამოსული გვამცნობს: „როგორც იქნა თავი დავაღწიე ამ წყლისა და ლოდების ბუდეს“.

თავის ეპიგრამებში გოეტე სარკასტულ ისრებს უშენს იტალიის სოციალ-პოლიტიკურ და რელიგიურ ურთიერთობათ.

იმავე წლის იკნისში გოეტე ვაიმარს მოუბრუნდა.

1740—45 წლების მანძილზე შლეზიის დასაპყრობად ომს აწარმოებდა ფრიდრიხ დიდი ავსტრიის იმპერატორის მარია ტერეზიას წინააღმდეგ. 1791 წელს ფრიდრიხმა დიდძალი ლაშქარი მოსჯარა ავსტრიის საზღვარზე, რათა საზავო მოლაპარაკებაზე ერთგვარი ზედგავლენა მოეხდინა. კარლ აუგუსტ მაგდენბურგის კავალერიის კომანდორად დანიშნა. ჰერცოგი თავის ჯარით ბრესლაუს მახლობლად დაბანაკდა და გოეტე იხმო. გზაში დრეზდენში დაისვენა გოეტემ, დრეზდენის სამხატვრო გალლერეია მოინახულა. აქვე გაიცნო მან პოეტი ქრისტიან გოტფრიდ კერნერი. ბრესლაუში დაბინავებული პოეტი გლაცში დადიოდა და თავის მინერალოგიურ დაკვირვებებს ახდენდა. ჟამიდანჟამზე ბარონ ფონ შუკმანის ოჯახში დადიოდა. აქ გაეცნო და გაუმიჯნურდა პოეტი ჰენრიეტე ფონ ლეტვიცის ასულს.

ევროპის აღმოსავლეთს ნაკლებად იცნობდა გოეტე. მან ჰერცოგთან ერთად კრაკოვი და სცენსტახოუ მოინახულა. საერთოდ ამ მგზავრობის დროს იგი არა-

სიმპატიურად იხსენიებს „სლავიანელ კაცაბებს და ყაზახ რუსებს“ ითგორც დღიურებიდან სჩანს, გოეტე თვით სამხედრო ფუსფუსის დროს შედარებით ანატომიითა და მინერალოგიით იყო გართული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXI. რევოლუცია

სწორედ იმ ეპოქაში, როცა „ტასსო“ დასრულებული ჰქონდა, „ფაუსტზე“ მუშაობდა და ბუნების მეტყველებით იყო გატაცებული, საფრანგეთის რევოლუციის ქვემეხმა დაიგრუხუნა. გოეტე სავსებით ჩამოცილებული იყო ვაიმარის საზოგადოების ფუსფუსს და თავის პოეტური თემებითა და მეცნიერული კვლევით იყო გართული. გოეტე გულგრილად შეეგება ამ მოულოდნელ ციკლონს. არსებითად კი საფრანგეთის რევოლუციის აჩრდილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნელნელა ზედ ეფინებოდა დასავლეთ ევროპის ცხოვრებასა და ლიტერატურას. თავად ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი ამ მოახლოებული რევოლუციის სუნთქვით იყო გაჟღენთილი, მაგრამ ვერტერის იდეები გოეტემ თავის ახალგაზრდობას თან გააყოლა.

არაა საჭირო მწერლისთვის ბოდიშის მოწმენდა. განსაკუთრებით გოეტეს არ ესაჭიროება იგი, მაგრამ არც ისაა მართებული გერმანელი ფაშისტები თავიანთ იდეოლოგიურ პაპად რომ სახავენ ვაიმარელ ბრძენს.

„მე არც ერთს არ ვეკუთვნოდი,—აღვიარებდა გოეტე,—არც არისტოკრატიულს და არც დემოკრატიულ ცოდვილებს“. უნდა ითქვას ლესსინგი, შილლერი და კლოპშტოკიც კი, უფრო გულტფილად შეეგებნენ საფრანგეთის რევოლიუციას.

ლესსინგის ემილია გალოტი და შილლერის დონ კარლოსი დაბეჩავებული კლასების პროტესტის გამოსახვა იყო.

ბასტილიის აღებამ დიდი ზეიმი გამოიწვია გერმანიის სხვადასხვა კუთხეებში. მისტიკოსმა კლოპშტოკმა ოდები უძღვნა საფრანგეთის რევოლიუციას. უკიდურესი პატრიოტი გერმანიისა „ფრანგობას“ ნატრობდა, პრუსსიის დამარცხება ეწადა, ოღონდ რევოლიუციას გაემარჯვნა. ასევე სიმპატიურად შეეგებნენ რევოლიუციას ჰერდერი, ვილანდი და კნებელი.

გოეტე უფრო კონსერვატიულად მოაზროვნე იყო. იგი გრძნობდა რომ რევოლიუცია არა მარტო ძველ რეჟიმს, ძველ ყოფა ცხოვრებასაც შეარყევდა და შიშობდა კიდევაც კულტურული მუშაობისთვის საჭირო მყუდროება არ დაერღვია. ფრანგობაც, როგორც ერთხელ ლუტერობამ ეს ჩაიდინა და უკან სწევს მყუდრო განათლებას ამ არეულ დღეებში.

ორიოდე კომედიაში გაეხმაურა გოეტე ამ უშველებელ ისტორიულ კატაკლიზმს. ეს კომედიები (Lustspiele) არც არაფერს წარმოადგენენ დიდი ხელოვნების თვალსაზრისით. ცხადია, უკეთესად ვერ დასწერდა თვით უდიდესი პოეტიც, რადგან ჯერაც პერსპექტივა არ არსებობდა, რევოლიუციასა და რევოლიუციის მეგრეტელს შორის.

საგულისხმო ამბავია, რომ რამოდენიმე ათეული წლის მანძილზე არც ერთს დიდს მწერალს ევროპისას დიდი ქმნილება არ გამოსვლია ხელიდან რევოლიუციის თემატიკის რკალიდან. რადგან არც ერთი დიდი რევოლიუცია ერთი

დღის, თვის, ან ათეული წლის ამბავი არაა, როგორც ყოველ დიდ ისტორიულ ფენომენს მას ათეული წლების წინასწარი სამზადისი წინ უძღვის და შემდეგ კი ერუპციის, განკითარების და კრისტალიზირების, ჩამოყალიბების ეტაპები მოდიან. ამ რთულისა და ცვალებადი პროცესსების წიაღში [illegible] ძალა იცვლება, მერყეობს, და სანამ ტიპები მკვეთრად არ ჩამოყალიბდებიან თავად სინამდვილეში, მწერალი ვერ შესძლებს მათ ფიქსაციას.

ცხადია, ეს არ ეხება შემთხვევით ლექსს, ოდას, ესკიზს, თუნდაც ნარკვევს, მე აქ დიდ შემოქმედებას ვგულისხმობ ეპოქის აღსახველს და შემდეგ ეპოქის შემქმნელს. რადგან მთელი ეპოქის გადმოსაცემად ამ ეპოქის ტკივილებით უნდა განიმსჭვალო, ეპოქა უნდა გადაიტანო ან უშუალო განცდის, ან ხალასი წარმოდგენის მეშვეობით და თუ ხსენებული ეპოქის თანადამსწრე არა ხარ, იგი უნდა შეისწავლო, შეიცნო და შემდეგ ასახო. ამას ყოველივეს დრო უნდა ხანგრძლივი და ვრცელი მანძილი.

გოეტე ზოგიერთ ეპიგრამულ სტროფებში ნოიტრალური მეკვრეტელის როლს გადასცდა.

„თავისუფლების ქადაგი ყოველი მძაგდა მე ყოველთვის გულით".

სწორედ ამიტომაც თვით უდიდესს ოსტატს თავის საუკუნისას ხელი მოეცარა იმ ნაწერებში, სადაც იგი რევოლიუციის ეპოქას შეეხო.

„Der Bürgergeneral", 1793 წ. ვაიმარის სცენაზე დაიდგა. რა თქმა უნდა გოეტეს სახელს ტაში დაუკრა საზოგადოებამ. ეს პიესა სულ მალე ჩამოვიდა სცენიდან და არც მკითხველთა წრეებში მოუხვეჭია მას სახელი.

სატირიული სტრიქონები უძღვნა გოეტემ რევოლიუციას თავის ფრაგმენტარულ რომანში „Reise d. Söhne Megaprazons". ასევე უდღეური აღმოჩნდა მისი „das Mädchen von Oberkirch".

მოვლენები მაინც თავიანთ ეტლს მიჰყვებოდნენ.

1793 წ. საფრანგეთის კონვენტმა ომი გამოუცხადა ავსტრიას. ავსტრიას პრუსსიასთან ჰქონდა სამხედრო კავშირი და ამგვარად ჰერცოგიც თან გაჰყვა საფრანგეთის წინააღმდეგ სალაშქროდ წასულ პრუსსიის ჯარს და წასვლის წინ სიტყვა ჩამოართვა თავის მინისტრს, მოგვიანებით ბრძოლის ველზე მოსულიყო გოეტეს საგსებით არ ეხალისებოდა თავის მუშაობის მიტოვება და ომის აურზაურში გარევა, თუმცა შლეზიაში ყოფნის დროს იგი აღვიარებს „ომის აურზაურშიაც მარტოობას ვეძლევიო".

გოეტე ძალიან სათუთი მამა იყო. საფრანგეთს გამგზავრებული ტრიერიდან სწერს თავის ცოლს ქრისტიანეს:

„შენ ალბად არც გეცოდინება და ვერც წარმოიდგენ თუ სად იმყოფება ტრიერი. ვერც იმას, რომ ტრიერი ვაიმარიდან შორსაა და მეც ძლიერ, ძლიერ შორსა ვარ თქვენგან...

ჩემი ერთად ერთი სურვილია შენი და ბავშვის ნახვა".

ეს ბარათი თვალსაჩინოდ გვიხატავს, როგორც ქრისტიანეს მცირე განათლებას ისე გოეტეს მამობრივ გრძნობებს.

ვერდენის ციხე შემუსრეს პრუსსიელებმა და როგორც 1914 წელს, ახლაც დარწმუნებულნი იყვნენ ერთი ორი გასეირნების შემდეგ, უკვე პარიზის კარებ-

თან იქნებოდნენ, გოეტე კიდევაც ჰპირდებოდა თავის ცოლს პარიზიდან ნაირ-ნაირი საჩუქრების მოტანას. პრუსსის ჯარებს ბრაუნშვაიგელი ჰერცოგი და ვილჰელმ III მეთაურობდნენ. მონარქისტები დიდის ზეიმით ეგებებოდნენ პრუსიელ და ავსტრიელ ინტერვენტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირეთა მთავარსარდლობას ერთობლივი მოქმედების უნარი აკლდა.

ავსტრიის ჯარების სარდალმა კლერფეტმა ლაკრუა ობუა აიღო ერთის შეტევით.

მაგრამ ვალმისთან დიდი ვაჟკაცობა და რევოლიუციური პათოსი გამოიჩინა საფრანგეთის რესპუბლიკურმა ჯარმა. საარტილერიო ბრძოლის სილამაზით აღტაცებული გოეტე გუტენბერგის გენიალურ გამოგონებას ადარებს არტილერიას; „მსოფლიოს ისტორიის ახალი ეპოქა ვალმის კანონადიდან იწყებაო“, სწერს თავის დღიურში „საფრანგეთში გალაშქრება“. 29 სექტემბერს მთელი ფრონტზე უკუაქციეს მოკავშირეები. საშინელი მერეხი მოდიოდა და გოეტეც უკუქცეულ კავალერიასთან ერთად ტრიერისაკენ მოაქანებდა თავის ცხენს, თანაც უფრთხილდებოდა გელერის ფიზიკური ლექსიკონი არ დაშავებოდა. ბოლოს მხედარს ცხენი შეეცოდა და სამზარეულოს ორბორბალაში გადაჯდა.

ტრიერიდან ფრანკფურტში გზად გავლა უნდოდა გოეტეს, დედა მოენატრა, მაგრამ ფრანგი გენერალი კიუსტინე ქორივით თავს დააცხრა მაინც და იმავე კვირაში ფრანკფურტიც აიღო.

ვაიმარში მიბრუნებული პოეტი პლატონის ნადიმმა და ფედროსმა გაიტაცა.

1782 წელს გოეტემ მეგობრების წრეში წაიკითხა თავისი რაინეკე მელიას პირველი ვარიანტი. რაინეკეც რევოლიუციის ციკლის ქმნილებებს ეკუთვნის, მე მგონია ამ ქმნილების მნიშვნელობას ძლიერ აჭარბებენ გერმანელი ლიტისტორიკოსები. რაინეკეშიც ალაგ ალაგ ცალკერძ დემოკრატიისა და რევოლიუციის, ცალკერძ ხუცების წინააღმდეგ ილაშქრებს პოეტი.

ამავე ხანში გოეტე ამუშავებს ციკლიურ რომანს „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“ და ბუნების მეტყველურ კვლევას ეწევა. მეცნიერ ბატშთან ერთად აარსებს ბუნების მკვლევართა საზოგადოებას და ბოტანიურ ინსტიტუტს იენაში.

*
* *

გავიდა წლები. გოეტემ ოდნავ შეიცვალა აზრი რევოლიუციის შესახებ. უკვე დაბრძენებული ვაიმარელი ოლიმპიელი ეკერმანთან საუბარში აცხადებს: „როგორც მეცნიერულ, ისე რელიგიურ და პოლიტიკურ საქმეებში მე მდგომარეობას მირთულებდა ჩემი პირდაპირობა. მე არ შემეძლო პირმოთნეობა და ფარისევლობა. რა კი მუდამ საკმაოდ გაბედულად ვაღვიარებდი გულწრფელად ნაგრძნობს.

საუბარში საფრანგეთის რევოლიუციას გადასწვდა გოეტე.

„ხალხის შევიწროება შეიძლება, მაგრამ დამონება არასოდეს“...

იქვე: „ხალხის დაბალი ფენების რევოლიუციური ამბოხებანი მუდამ ამ ქვეყნის ძლიერთა უსამართლობის შედეგი ყოფილა“.

ამიერიდან არავითარ უსამართლობას არ შეურიგდები და ამას უთუოდ ვიზამ, თუნდაც დემოკრატიის სახელითაც რომ მომიხდეს საომრად წასვლა.

„ასეთი იყო ჩემი აზრი მაშინაც, მაგრამ მიუხედავად ამისა ისეთი სახელები შემარქვეს, რომ მე მათი განმეორებაც მიმძიმს“. „ამისათვის ... კმარა თქვენი ეგმოხტი რომ წაიკითხოს კაცმა“—ეუბნება ეკერმან.

„ვილაცეებს ასე სწადიათ, მაინც და მაინც ისეთი დამსახონ, როგორიც არა ვარ, ისინი შეგნებულად თვალს არიდებენ ყოველივეს, რაც ჩემს ნამდვილ რაობას შუქსა ჰფენს. შილლერი ჩემზე ბედნიერი იყო ამ შემთხვევაში და მას ხალხის მეგობარს უწოდებდენ, თუმცა უნდა ითქვას ჩვენს შორის, იგი გაცილებით უფრო მეტად არისტოკრატი იყო. მე არ მშურს ეს, ერთად ერთი ჩემი ნუგეში ის არის რომ ჩემზე ადრე არც სხვას დადგომია უკეთესი დღე.

„ისიც მართალია, მე არა ვყოფილვარ საფრანგეთის რევოლიუციის დიდი მეგობარი. რადგან ამ რევოლიუციის გამოისობით აღმოცენებული საშინელება ჩემს თვალწინ დატრიალდა და მისი კეთილი ნაყოფი ჯერ კიდევ არა ყოფილა ჩემთვის საცნაურ... მაგრამ არც თუ ბატონური ძალმომრეობის მეგობარი ვყოფილვარ ოდესმე მე მაშინაც მრწამდა რომ არც ერთი დიდი რევოლიუცია არა ყოფილა ხალხის მიზეზით, მუდამ მთავრობას მიუძღოდა ამ შემთხვევაში ბრალი...

„რაკი მე რევოლიუცია მძაგდა, ამიტომაც არსებული რეჟიმის მეგობარს მიწოდებდნენ. ეს ორპირიანი ცნებაა და მე პროტესტი უნდა გავანცხადო ამის გამო. არსებული რომ სრულყოფილი და მართებული იყოს, საწინააღმდეგო არა მექნებოდა რა. მაგრამ რადგანაც ამ კარგის გვერდით მრავალი რამ ცუდი, უსრულო და უმართებულო არსებობს, მაშინ ყოველი არსებულის მეგობარი იმავე დროს დახავსებულისა და ცუდის მეგობარიც ხდება“.

„დრო კი მარადჟამული პროგრესის წინაშე სდგას და ადამიანური ურთიერთობანი ყოველ ერგასწელში ახალსა და ახალ აღნაგობას ღებულობენ, ასე რომ ის რაც 1800 წელს სრულყოფილად მიგვაჩნდა, შესაძლოა 1850 წელს უკულმართი გვეჩვენოს“.

მუდამ ასე ყოფილა: ადამიანები ხშირად წარმავალი ცხოვრების ეფემერულ ფაქტორებს უფრო მტკიცედ ებღაუჭებიან, ვიდრე უკვდავი პოეტები უკვდავ სტრიქონებს.

მხოლოდ ბისმარკმა მიაქცია ყურადღება გოეტეს რადიკალიზმს. რაიხსტაგში წარმოთქმულ ერთერთ სიტყვაში ბისმარკი ამტკიცებდა: გოეტეს ფაუსტში ისეთი საშიში იდეებია, როგორსაც ამ ბოლო დროს სოციალისტები ჰქადაგებენო.

არც როგორც ტალანტს, არც როგორც ფრანკფურტელ მოქალაქეს გოეტეს არ შეეძლო არისტოკრატიისა და ევროპული რეაქციის აპოლოგეტი ყოფილიყო. ასე რომ გერმანელი ფაშისტები საკსებით ამაოდ სცდილობენ თავიანთი დროშების ჩდიოში დააყენონ ვაიმარელი ოლიმპიელი.

XXII შილლერი.

Was kann der Mensch in Leben mehr gewinen
Als das sich gott-Natur ihm offenbare.

გოეტე. „შილლერის თავისქალის ჰვრეტისას“.

„შილლერი უკანასკნელი რაინდი იყო, სწერს გოეტე· Chevalier „sans täche et sans reproches.[1] მან არ იცოდა თუ არ იყო შური“.

ჩვენს დროში, როცა მწერლობა ხელობად იქცა, მწერლები ერთმანეთს ისე უმართებულოდ მტრობენ ურთიერთს, როგორც ოდესღაც [illegible] ლიტერატურის ხუცები, ამიტომაც სანატრელად მოსაგონარია ის გასაოცარი მეგობრობა, რომელიც ასულდგმულებდა ამ ორ ბრწყინვალე დიოსკურს გერმანიის პოეზიისას გერმანიის ხალხის მოგონებაში შილლერის და გოეტეს სახელი განუყრელი დარჩება უკუნითი უკუნისამდე. საოცარია, რად უყვართ ერებს ასე დაწყვილება თავის საყვარელი პოეტებისა? ალბად, ასეთი პოეტური წყვილი ტემპერამენტის და ტალანტის სხვაობით ავსებენ ურთიერთს. შესაძლოა, აქ გოეტესებური პოლარულობის ურთიერთობისადმი ლტოლვასთან გქვონდეს საქმე.

შილლერისა და გოეტეს სახელების დაწყვილება უნებლიეთ ჩვენს დაუვიწყარ აკაკისა და ილიას გვაგონებს.

მეგობრობაც ისეთივე იშვიათი ნიჭია, როგორც პოეტობა.

მეგობრობა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ძალუძს ვინმე ან რაიმე უანგაროდ უყვარდეს. „უანგრობა ჩემი ბუნების განუყრელი თვისებაა“ ამბობდა გოეტე. და მართლაც ამ უანგარობის გარეშე არავის არაფერი დიდი და შესანიშნავი არ შეუქმნია. ავიღოთ თუნდაც განუზომელი სიყვარული საკუთარი ენისადმი, სიყვარული ხელოვნებისადმი, სიტყვისადმი სიყვარული. ვინ გამოიანგარიშებს იმ განუზომელ სიყვარულს, რომელსაც გრძნობს ხოლმე დიდი პოეტი სიტყვისადმი?

ვერავითარი ოქრო და ამ ქვეყნიური დიდება ვერ გააღებინებდა მიკელ ანჯელოს იმდენ ენერგიას, რასაც იგი ხარჯავდა ხოლმე მარმალილოს ლოდებთან ბრძოლაში· ასეთ სასტიკსა და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს პოეტი მის მეხსიერების კარებთან მოზღვავებულ სიტყვების მასსებთან· და ეს ბრძოლა მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდება კეთილად, თუ მას უანგარო სიტყვის ეროსი ამოძრავებს· ცხადია ეს ეროსი ამოძრავებდა გოეტეს გენიას და ამიტომაც ღია იყო მისი გული მეგობრობისათვის და თვალი მისი ისევე უმეშურნო როგორც ერთად ერთი და განუმეორებელი მზე. გრიუნერმა აცრემლებულ გოეტეს მიუსწრო ერთხელ, შილლერის 30 წლის ომების ისტორიის კითხვისას.

— რა მოგვიდათ თქვენო ბრწყინვალებავ?

— არაფერი ჩემო კარგო, მე იმას ვწუხვარ, რომ ამ გვარი წიგნის ავტორს აქამდის ჯეროვანი ყურადღება ვერ მივაქციეო“. გოეტე ბედის მიერ გალალებული სეფეწული იყო, ბრწყინვალე მინისტრი და უფრო ბრწყინვალე პოეტი. შილლერი უბრალო სამხედრო ფელდშერი იყო და სიკვდილის პირამდის ლუკმა პურისათვის იბრძოდა.

ამ ქვეყნად წარმოუდგენელია პოეზიის გარეშე სხვა ძალა, რომელსაც შეეძლოს ორი ასეთი უკიდურესად განსხვავებული მდგომარეობის ადამიანის შეკავშირება.

---

[1] უზადო და უმწიკვლო რაინდი.

მუდამ უდიდესის სიყვარულითა და გაოცებით მიმზერია ერთმე ერთ კვარცხლბეკზე მდგარ შილლერისა და გოეტეს ძეგლისათვის გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში.

ეროვნული

ორივე გიგანტი მხარდამხარ დგანან და მარჯვენა ხელებ[illegible] ერთმანეთ[illegible]ერთ-გვინისათვის მარადიული მეგობრობის სიმბოლოდ.

ახლა წარმოიდგინეთ თქვენ ასეთ პოზაში მდგარი მიხისტრი და ფელდშერი, ან მექარხნე და მუშა. მე მგონია ასეთი რამ წარმოუდგენელი რამ არის.

შილლერი გააბოროტა უკულმართი რეჟიმის უკულმართმა ცხოვრებამ და კერნერისადმი მინაწერ ბარათში მას ეს სიტყვები წამოსცდა: „ამ კაცმა, ამ გოეტემ პირდაპირ გზა მომიჭრა. როგორის მსუბუქი ფრთებით ატარებდა ბედისწერა გენიას მისას და რა სასტიკად მექცეოდა მე ჩემი ბედი, რომელთანაც დღემდე დაუცხრომელ ბრძოლას ვაწარმოებ“. ფილტვების ავადმყოფობით დასნეულებული შილლერი ცალკერძ შიმშილს ებრძოდა, ცალკერძ სატანურის ჯიქობით ერკინებოდა თავის უამრავ იდეებს, გერმანული სიტყვისთვის და შემოქმედებისათვის იბრძოდა გააფთრებული. ბაირონი და გოეტე „ღმერთების მიჯნურები“ იყვნენ სვეგამწარებულ შილლერთან შედარებით. შილლერი გოეტეს პოეზიის ჩრდილში გაიზარდა, სიჭაბუკის მისის შემოქმედება გოეტეს გავლენის ქვეშ მომწიფდა, მაგრამ მათი ცხოვრების გზები გათიშულად წარიმართნენ. გოეტეს არ მოსწონდა მისი ჭაბუკური რადიკალიზმი, განსაკუთრებით შილლერის „ყაჩაღები“.

კაცმა რომ სთქვას, „ყაჩაღები“ მართლაც საუკეთესო ნიმუშია იმ გარემოებისა, რომ გენიის კალამი დიდ სისულელეებს გვახვევს ხანდახან თავზე.

ან როგორ შეიძლება საერთოდ სერიოზულმა პოეტმა ამდენი მელანი დახარჯოს ყაჩაღობის იდეის აპოლოგიისათვის? როცა ერთი რეჟიმის პრიზმიდან მეორე რეჟიმის ფონზე წარმოშვებულ ყაჩაღობას ვუმზერთ, ეს სიმპატიურია, მაგრამ თვით ძველ რეჟიმში წარმოშვებული ყაჩაღობის რომანტიზმი ახალი რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილ ახალთაობაშიაც თანაგრძნობას იწვევს და საერთოდ ანტისახელმწიფოებრივ ინსტინქტებს აღვივებს ერში.

გოეტე არ ყოფილა ბაირონსავით ანარქისტი და ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ მას შილლერის „ყაჩაღები“ არ მოსწონდა.

შილლერი პირველ ხანებში აღმერთებდა გოეტეს, თავადაც აღვიარებდა გოეტეს შემოქმედების ჩრდილში გავიზარდეო.

გოეტე ჰერდერის დარად არ ანებივრებდა ახალ თაობას, დიდხანს არ „ცნობილობდენ“ გოეტე და ჰერდერი შილლერის ნიჭს.

ახალ თაობას აბოროტებს ასეთი არცნობა, მაგრამ შემოქმედების იმპულსს მატებს მას და არავის ისე არ უხდება ეს როგორც ახალგაზრდა ტალანტებს ისინი, ვისაც ამ ახალი თაობის წინაშე დამსახურება მიუძღვის სასტიკად ექცევიან მას, ხოლო ისეთნი რომელთაც ჭაღარის მეტი არაფერი დაუმსახურებიათ ზომავალი თაობის წინაშე, ფეხქვეშ ედებიან ახალგაზრდებს, რათა სიკვდილის შემდეგ ცუდათ არ მოიხსენიონ ეს სულით გლახაკები.

ალბად ამას მიეწერება გოეტეს იტალიაში ყოფნის დროს შილლერი შურით აღვსილი რომ სწერდა კერნერს: „როცა გოეტე იტალიაში ხატავს და

უქმად ყოფნისთვის 1800 ტალერს ღებულობს, ფოიტებმა და შმიტებმა (ე. ი. ხალხმა) მის მაგივრად ოფლი უნდა ღვარონო“.

გოეტეს „იფიგენიას“ წაკითხვამ აზრი შეუცვალა შილლერს. „ძალიან მაინტერესებს იგი“,— სწერს შილლერი,— „საერთოდ კეთილად განწყობილი ვარ მისადმი და იშვიათ პატივისცემას ვგრძნობ მისადმი კიდევაც.

1788 წ. შეხვედრის შემდეგ აღფთოვანება მატულობს: ... „გოეტე საშუალო ტანისაა. უკარება სჩანს და უდრეკელი, ასე უჭირავს თავი და ასევე დადის მოღუშული სახე აქვს, მაგრამ გრძნობიერი და მრავლის მეტყველი თვალები... ძალიან სერიოზულია თანაც კეთილი გამომეტყველება ემჩნევა... ხმა განსაკუთრებით საამური აქვს, თხრობა იოლი და ამოდ სასმენი. როცა კარგ გუნებაზეა ბევრს ლაპარაკობს და უთუოდ საინტერესო მოსაუბრეა“.

გოეტე უთუოდ ცივი იყო თანაბარ ტალანტებთან ურთიერთობაში, იგი თავისი მშვენიერი აღნაგობითა და ჯადოსნური თხრობის უნარით დაატყვევებდა, მიიყვავილებდა ადამიანს, მაგრამ გაღრმავებულ ინტიმობას გაურბოდა. საშუალო ტალანტებთან ურთიერთობას არჩევდა. შილლერს კიდევაც უყვარდა და კიდევაც სძაგდა გოეტე.

თავად შილლერი აღვიარებდა: ჩემი მისადმი დამოკიდებულება ბრუტუსისა და ცეზარის ურთიერთობასა ჰგავსო. „მე სიამოვნებით მოვკლავდი მის სულს და მერმე ისევ გულითადად შევიყვარებდი“.

სიყვარული და სიძულვილი ერთი და იმავე მედალიონის ორი სხვადასხვა მხარეა. ისინი ტოლად დადიან როგორც შუქი და ჩრდილი, დღე და ღამე.

ვისაც დიდი სიყვარული არ უგრძვნია, არც სიძულვილის ნიჭი აღმოაჩნდება.

და „სამოთხე ნაზ სულებისთვისაა გაჩენილი, ხოლო წარწყმენდილნი ისინი არიან, ვისაც არაფერი უყვართ“.

ყოველი ერი იმის ცდაშია საკუთარი გენიის პირმშოს ხვედრითი წონის მნიშვნელი მოუმატოს. გერმანელები განსაკუთრებულ სიბეჯითეს იჩენენ ამ შემთხვევაში. დიდი სიყვარული კრიტიკას ვერ ითმენს. გოეტესადმი სიყვარული ფეტიშიზმად გადაექცათ მათ, ხოლო შილლერის მნიშვნელობას ვგონებ ოდნავ აჭარბებენ. შესაძლოა შილლერი ისე ღრმად იყოს შეჭრილი გერმანული სიტყვისა და სულობის ტევრში, ამადაც მიუწვდომელი იყოს არა გერმანელისათვის, როგორც არა ქართველისათვის მარად შეუცნობი დარჩება ჩვენი ძვირფასი ვაჟა ფშაველა. ეს არის მხოლოდ შილლერი თავისი მოტივებით ვაჟასავით სუპერნაციონალური არაა. თავისი პოეზიის ანტიური ფერწერით შილლერმა ზოგად ევროპული კოლორი მოიხვეჭა. გოეტესთან მეგობრობამ მაინც ძალიან წამოსწია შილლერი.

გოეტე სიყრმიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის გარეგნულ გამომეტყველებას· ამას ლაფატერის ფიზიონომისტიკის ზეგავლენაც ზედ დაერთო ალბად.

„მე მუდამ ასე მგონია: ადამიანის აღნაგობა უნდა იყოს თავად ის საუკეთესო ტექსტი, რომლისაგანაც საგრძნობელსა და სათხრობელს ამოვიკითხავთ ხოლმე“.

გოეტე ტანწყობილი იყო, მაღალშუბლიანი; ფოიბოს აპოლონს ადარებდნენ მას ქალებისა და ღმერთების მიერ უზომოდ განებივრებულ ოლიმპიელს. ცეცხლის მფრქვეველი თვალები გამოკრთოდენ მშვილდივით მოხრილ წარბების არედან. მხარბეჭიანი და საროსტანიანი იყო, ამპარტავანი და ამაყად ბოარული. ხმას უქებდნენ საამურსა და ამოდ მოუბარს. მეევრმეტყველი ყოფილა თურმე სახალხო ტრიბუნობის მაოად მონატრული ოქროპირი. ასეთი შთაბეჭდილება რჩება მიუნხენში, ლენბახის მოედანზე მდგარი გოეტეს ძეგლიდან და მისი ნაწერებიდან.

შილლერს ავადმყოფური; დუხჭირი აღნაგობა ჰქონდა, ოდნავ ღაწვმაღალი სახე ჩაცვენილი თვალისუპეები ფიზიკურ სისუსტესა და მუდმივ უძილობას უდასტურებდა, გოეტესავით მასაც იუპიტერისებური შუბლი ჰქონდა, მკერდჩაზნექილი იყო და განუზომელი შრომისაგან ოდნავ მოდრეკილი.

ასე წარმომიდგა მე შილლერი 1913 წელს კენიგსბერგში, მისი ძეგლის პირველად მნახველს. გამხდარსა და ჩონჩხიან ტანს ულაზათოდ გამოჭრილი ფრაკი ემოსა და ფეხზე გერმანელი სოლდათის ჩექმები ეცვა ასევე უშნო და ქვინტგანიერი.

არის რაღაც შეუმუსვრელობა სხეულის მისის რხეულობის პირისპირ მდგარი, ხორცდაშრეტილი ბერის ფანატიზმი გამოკრთის მისი თითების ძვლების ნახაზებისაგან, ცეზარების სისასტიკე მოსჩანს მისი თავისქალის ნაგებობისაგან და სატანური შეუპოვრობა განთხრმულა მის წარბებისა და უჯიათ ნიკაპის გარშემო. და მთელი აღნაგობის მისის სიძაბუნის მიუხედავად იგი ისე ამაყად სდგას, როგორც გამარჯვებული ლაშქარის ძირსდაუხრელი შტანდარტი.

XXIII. ნაპოლეონი

გოეტე საფრანგეთის რევოლუციამ შეაშფოთა, დასცხრა გრიგალი და მოვიდა ახალი. მოიქნია ნაპოლეონმა თავისი სისხლიანი ხრმალი და ხუხულებსავით დალეწა სამეფოები და სამთავროები. გუდურებსავით გადაჰყარა მეფეები და ჰერცოგები.

გოეტე ინდივიდუალისტური კულტურის ნაშიერი იყო და მას ამ აპოკალიპსური მხედრის არც ისე შეშინებია.

შილლერის სიკვდილმა უმძიმესი შთაბეჭდილება დასტოვა გოეტეზე. კარჩაკეტილ ცხოვრებას მიეცა და ბუნებისმეტყველური განსწავლის გაღრმავებას განაგრძობდა. სწორედ ამ დროს ნაპოლეონმა დიდი ფრიდრიჰის მიერ შექმნილი პრუსის არმია დაამსხვრია და ფრანგების ბატალიონების მარშმა ვაიმარელი ბრძენის მყუდროება შეაკრთო. 1806 წელს გოეტეს პრუსსიის სამეცნიერო აკადემია ირჩევს თავის მუდმივ წევრად.

ვაიმარში 40.000 ფრანგი შემოვიდა. მარშალს ნეის გოეტეს ბინა მოეწონა და გამხეცებულმა ფრანგის ჯარისკაცებმა კინაღამ სიცოცხლეს არ გამოასალმეს პოეტი. ქრისტიანემ დიდი თავგანწირვა გამოიჩინა, გააფთრებული ეკვეთა მთვრალ ჯარისკაცებს.

სამაგიეროდ გოეტემ სასახლის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ქრისტიანეზე. ვაიმარელ ჰორიკანებს უკვე აღარა ჰქონდათ საბუთი „მადემუაზელ ვულპიუს“ ეწოდებინად გოეტეს მეუღლისათვის.

1808 წ. ერფურტის კონგრესი უნდა შემდგარიყო. სენტემბერის 23-ს რუსების მეფე ალექსანდრე I ვაიმარს ეწვია. ერფურტის ახლოს ცხენით შეეგება ნაპოლეონი ალექსანდრეს. გოეტე ჰერცოგს ეახლა. რამოდენიმე დღის შემდეგ მინისტრმა მარეტმა ვაიმარის ელჩის მიულერის პირით გოეტეს ამცნო ნაპოლეონის სურვილი: პოეტი წარედგინათ მისთვის.

აუდიენცია დაინიშნა ოქტომბრის ორისათვის. „იმპერატორი, სწერს გოეტე, უშველებელ რგვალ მაგიდას უჯდა და საუზმობდა. მხარმარჯვნით, ოდნავ მოშორებით ტალეირანი იდგა. მხარ მარცხნით, თითქმის უფრო ახლოს დარუ. ნაპოლეონი კონტრიბუციების საკითხების გამო ესაუბრებოდა დარუს. დამინახა თუ არა მანიშნა ახლოს მივსულიყავი. მე წინ წავიწიე, მაგრამ საპატიო მანძილზე შევდექი. ნაპოლეონმა ყურადღებით მომავლო თვალი და მითხრა: Vous êtes un homme [1]. მე თავმოდრეკილი სალამი მივეცი“.

სიტყვა აიღო დარუმ. იგი განმარტავდა გოეტეს ქმნილებებს, დასასრულ გოეტეს მიერ მაჰომედის თარგმნა ახსენა. ნაპოლეონმა აძაგა ვოლტერის დრამა და სავსებით მოულოდნელად ვერტერს შეეხო. შვიდგზის წაკითხული მაქვსო ასე ამბობდა. ვერტერი ეგვიპტეში თანა ჰქონია ნაპოლეონს. უფრო მეტად გაოცდა გოეტე როცა იმპერატორი ვერტერის უკანასკნელ პასსაჟებს შეეხო და შეურაცყოფილი პატივმოყვარეობისა და ვნებიანი სიყვარულის ურთიერთში აღრევა აღნუსხა და დაიწუნა კიდევაც.

გაოცებული გოეტე დაეთანხმა ნაპოლეონს ამ საკითხში, და სავსებით დაავიწყდა, რომ ჰერდერის მიერ გამოცემულ ვერტერში ეს დეტალი შესწორებული იყო კიდევაც. იმპერატორი ისევ დრამას დაუბრუნდა. ფრანგული სცენა ბუნებას და ჭეშმარიტებას ღალატობსო. ბედისწერის დრამას მისწვდა და წამოიძახა: ეჰ, ბედისწერა ჩვენს დროში?... თავად პოლიტიკაა ბედისწერა.

ვაიმარში გამართულ ბალის დროს ნაპოლეონმა ტრაგედიას „ხალხებისა და მეფეების სკოლა“ უწოდა. დაჟინებით სთხოვდა პარიზს ჩამოსულიყო გოეტე და ტრაგედია „ზეცარის სიკვდილი“ დაეწერა. დასასრულ „ლეჟიონ დ'ონორის“ ორდენი მიიღო პოეტმა საფრანგეთის იმპერატორისაგან „ეს იყო იგი და მას ზედვე ეტყობოდა რომ იგი იყო“ გოეტე რატომღაც გაურბოდა ნაპოლეონთან პირველი გასაუბრების შინაარსი გაემხილა, არსებობს ტალეირანის უსრულო მოგონებანი. ასე რომ დაწვრილებით არავინ იცის თუ რა უამბეს ურთიერთს ამ ორმა „დაიმონმა“.

„ჩემს ცხოვრებაში მასზე უფრო ზენარული და სასიხარულო რამ ვერავინ შეხვდებოდაო“ დაასკვნის გოეტე.

ცნობილია ნაპოლეონი სიჭაბუკეში ცეზარის ტრაგედიის დაწერას აპირებდა ასეთივე ტრაგედიის დაწერას ლამობდა სიყრმეში გოეტეც. გოეტეს აპოლიტიურ უსაქციელობაში ჩამოართვეს ნაპოლეონისადმი ტრფიალი. ნაპო-

[1] კაცი თქვენა ხართ.

ლეონში იგი პოლიტიკურ პიროვნებას და სამშობლოს მისის ბეტერს როდი ჰხედავდა, არამედ უშველებელ ფენომენს, დემონიურ ძალების განსაცდელებას.

დიდ კაცს უთუოდ დიდი მემკვიდრეობით აჯილდოებენ ისტორია. ნაპოლეონი საფრანგეთის რევოლიუციის მემკვიდრეობით იყო დაჯილდოებული დიდი პიროვნების შეხედვა ისეთსავე აღტაცებას იწვევს პოეტის გულში, როგორც აზვავებული ბუნების სტიქიონის ჭვრეტა.

სულ ერთია რამდენად მიზანშეწონილი იქნება იგი, ასეთი უანგარო გრძნობიდან გამოსული ეტრფოდა გოეტე ნაპოლეონს. იგი შორს იყო ურაპატრიოტების ჩხავილისა და პატარა კაცების მიერ შეთითხნილი პოლიტიკური პრინციპებისათვის ანგარიშის გაწევისაგან. რადგან გენიას ორგანიულად არ ძალუძს დიდი ადამიანის სიდიდის მჭვრეტელმა დამუწოს პირი.

„უნდა ეცადო მაინცდამაინც არ შეეჩვიო ლამაზ ქალებს,—ეუბნება პოეტი ეკერმანს—„ვინაიდან ისინი იოლად გადაგვიტყუებენ ხოლმე უსაზღვროების სამანისაკენ. ნაპოლეონს ჯერ კიდევ ელბაზე ყოფნის დროს, უამრავ ანგარიშებს უგზავნიდხენ პარიზელი კოსმეტიკის სავაჭროები. ამ საუბრის დროს გოეტეს ვაჟმა ინატრა: „ნაპოლეონის ცხოვრების სურათებით სავსე ოთახი მქონდესო ნეტავი“. „ეს ოთახი უთუოდ დიდზე დიდი უნდა იქნესო, შენიშნა გოეტემ. მაგრამ ესაა სურათებიც ვერ დაიტ ვდენ ალბად საქმეთა მისთა“.

... „ნაპოლეონი მუდამ ანთებული იყო, მუდამ სამოქმედოდ მზად მყოფი. ყოველ ჟამს საკმარისი ენერგიით აღვსილი, როგორც კი რაიმეს მიზანშეწონილად დაინახავდა, მყისვე მოქმედებას შეუდგებოდა. ცხოვრება მისი ეს ნახევარ ღმერთის ბრძოლიდან ბრძოლისკენ, გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ დაუცხრომელი სწრაფვა იყო. მასზე ითქმოდა სწორედ: მუდამ ანთებულიაო მიტომაც ასე ბრწყინვალე იყო სვე მისი და ასეთი რამ მის მოსვლამდის არვის უნახავს და საეჭვოა მის შემდეგაც რომ ნახოს ვინმემ“. „იცით, ეუბნება გოეტე ეკერმანს: „ადამიანი ხელახლა უნდა შეიმუსროს. ყოველ არაჩვეულებრივ ადამიანს განსაკუთრებული მოვალეობა აქვს დაკისრებული. როცა იგი ამას შეასრულებს. იგი უკვე ძოცემულ ალნაგობაში საჭირო აღარაა.

„და ზენარი ძალა სხვა მიზნისთვის მოიხმარს მას. და რაკი საქაოში ყოველივეს ბუნებრივი ეტლი აქვს მიჩნეული, ამიტომაც დემონები ზედიზედ კვანტს გამოსდებენ მას, ვიდრე იგი არ წაიქცევა. ასე მოუვიდა ნაპოლეონსაც და სხვას მრავალს მისთანას. მოცარტი 36 წლის დაილუპა, რაფაელიც ამავე ასაკში, ბაირონი ცოტა უფრო ხნიერი მოკვდა, მაგრამ ყველამ ბრწყინვალედ შეასრულა ზენარისაგან დაკისრებული მისსია“.

XXIV ბეტინა

„საუფლო შენი ცათა შინაა და არა ამ სოფლად“.

გოეტეს დედის მინაწერი.

გოეტე უკვე სიბერეში იყო გადამდგარი. არავის ისე არ უჭირს სიბერის ჭირი როგორც პოეტს, რადგან მასში ყველაზე ხანგრძლივად სცხოვრობს ბავშვი და ჭაბუკი. ბეტინასადმი სიყვარული ეს გადასული ახალგაზრდობისადმი ტრფიალის ნამუსრევია გოეტეს საყვარლების ალბომში შემთხვევით შეჭრილი.

ბეტინა მაქსე ბრენტირის-გოეტეს სიჭაბუკის მიჯნურის ქალი იყო.

ბეტინა მონასტერში აღიზარდა, ჯერ კიდევ ოდნავ მოჩიტული გოგონა ოფენბახს ჩამოვიდა დიდდედასთან, მადამ ლაროშთან. იგი [illegible] გაიტაცა გოეტეს პოეზიამ და ვაიმარელ ბრძენთან დასაახლოებლად გოეტეს დედას ამოეფარა და მისი შემწეობით გაიკაფა გოეტესკენ გზა.

ბეტინა ფრიად ჰიბრიდი იყო. მამა იტალიელი ჰყავდა კათოლიკე, დედა გერმანელი და პროტესტანტი. მასში აღრეული იყო თანადროული ქალაბიჭობა, უნაფერესი გრძნობიერება და გასაოცარი ფანტაზიის ნიჭი.

გოეტეს დედის წერილების მიხედვით ბეტინას ასეთი სურვილი ჰქონდა თავდაპირველად: ბიჭურად გადაცმას ლამობდა და ვაიმარს ფეხით წავლა. 1807 წ. ეღირსა როგორც იქნა ბეტინა გოეტეს გაცნობას.

„როცა მასთან ვიყავი, მე ასეთი სიშლეგე გამოვიჩინე: გოეტეს შევეკითხე დედა თუ გიყვარს მეთქი. მან ხელები მომხვია, მკერდზე მიმიხუტა და მითხრა: ხელი შეახე სიმს და იგი ხმას გაიღებს, თუნდაც ამ სიმს მრავალი ხნის განმავლობაში მცირედი ჩქამიც არ გაეღოს“.

ბეტინა რომანტიკოსის კლემენს ბრენტანოს და იყო.

ბეტინა ტიპიური წარმომამდგენელია რომანტიკოსების უმწიფარი, არეული, ღრმა და დალაგებულ კონცეპციებს მოკლებული თაობისა, გარდამავალი თაობის ცოდვილი პირმშო. გარღვეული, ფრიად მგრძნობიარი, ხშირად აბსურდული და გახელებული. ...„სწორედ იმიტომაც, რომ არავითარი გონების ნატამალი არაა ჩემში, რაკი ზოგ ზოგი რამის მიმართ ღრმა გრძნობებს ვატარებ, და მიუხედავად ამისა თავშეკავების უბრალო ბურთი ვარ, ამას ვგრძნობ და ეს მტანჯავს კიდევაც, ამ სენისგან გადარჩენას ვნატრობ და არც კი ვიცი როგორ და რა გზით“.

გაცილებით უფრო ფხიზელი იყო ბეტინას დიდდედა მადამ ლა როშ. იგი დიდის ინტერესით თვალყურს ადევნებდა მოვლენებს, ჩინებული ბოსტანი ჰქონდა, ამერიკიდან ახლად შემოსულ სანიმუშო ქართოფილს რგავდა, უშორესს ქალაქებში ნიმუშებს აგზავნიდა მთელს ბუხჰალტერიას აწარმოებდა, თავის შვილიშვილს საფრანგეთის რევოლუციის ამბავს უამბობდა. დიდდედამ ბეტინას მოსთხოვა ლათინური ესწავლა, მაგრამ ასეთი პასუხი მიიღო: „შენ იცი მე არ გამაჩნია ისეთი გონება, რომელსაც ჩემი ხელმძღვანელობა შეეძლოს, მე ელექტრონის ნაპერწკალი ვარ და ლათინურის ზღვაში მე რას გავაწყობ“. მუსიკის მასწავლებელი ჰოფმანი ეუბნება ბეტინას: მუსიკას დაეწაფე კომპოზიციის ოსტატი გამოხვალო.

—„მე არ შემიძლია მუსიკის ოსტატობას დავეუფლო მე ის მირჩევნია მუსიკის ტალღები მე დამეუფლოსო„.

საოცარი სიყვარულით დაკავშირებული იყო ბეტინა გოეტეს დედასთან. ეს იყო გოეტეს ფესვებისადმი უსაზღვრო ტრფიალი. ბეტინა ფიზიკურად რაღაც მოუთავებელ და საოცარ არსებას წარმოადგენდა. როცა მას სამოცწელს გადაცილებული გოეტე შეუყვარდა, იგი 25 წლის იყო, მაგრამ 13 წლის უასაკო გოგონასა ჰგავდა. მასში გაერთიანებული იყო ქალის, ჭინკის და ფერიის

თვისებები და ყოველივე ამას მამაკაცური გამბედაობა და ავანტიურისადმი სიყვარული ემატებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოეტე—ბეტინას რომანში უამრავი პსიქოინალიტიური ნიუანსებია. ქალის ტრფიალი მამისადმი და პირუკმოდ. ბეტინას ასეთი იდეე ფიქსი ჰქონდა თითქოს იგი გოეტეს ქალიშვილი ყოფილიყო. გოეტეს მიერ მოწერილი ბარათები ბეტინამ მოაგროვა გამოსცა და ამგვარად უჭკნობი ძეგლი აიგო თავად. ბეტინა გოეტეს ისეთი მანძილიდან შესცქეროდა როგორც უბრალო მწყემსი ქალი ქუხილის მოისარს კრონიონს. გოეტეს რაღაც საოცარი ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა. ბეტინა როგორც ქალი მისი იდეალი არა ყოფილა.

თაყვანისცემაო? განა თაყვანისცემელი აკლდა ვაიმარელ ბრძენს? ბეტინას დედაკაცური სიმწიფეც აკლდა, ქალური პასივობაც და ბალღური უცოდვილობა. გოეტეს განცდათა სამყაროში მას არც ისე ღრმა კვალი დაუტოვებია როგორც ეს ზოგს ჰგონია[1]. ქალის ტემპერამენტში მოცემულია მაშვალისა და შურისმთესველის ბუნება. ბეტინა ბევრს ეცადა მუსიკისა და პოეზიის ორი დემონი ბეთჰოვენი და გოეტე ურთიერთთან დაეკავშირებინა, მაგრამ ბეთჰოვენისათვის გოეტე მხოლოდ მელოდიების ტექსტი იყო და არა აზღვავებული ბგერათა სამყარო. გოეტე თუმცა ფრიად მუსიკალური იყო, მაგრამ საამისოდ იგი საკმაოდ დიდი თაყვანისცემელი იყო სიტყვისა და როცა მისი ლექსები მუსიკის ენაზე გადაჰქონდათ, იგი მუდამ სჩივოდა: სიტყვები, სიტყვები მეკარგებაო.

გარდა ამისა, გოეტეს მსოფლმხედველობის სხვაობანიც აშორებდა ბეთჰოვენისაგან. ბეთჰოვენის რესპუბლიკური იდეები და მანერები არაფრად ეპიტნავებოდა გოეტეს.

გარდა ამისა მსოფმხედველობის საკითხებიც სთიშავდა ალბად გოეტეს და ბეტინას. გოეტე ნახევარი საუკუნის განმავლობაში იძახოდი: Ruhe, ruhe,— ჩუმად, ჩუმადო, ამბოხებულ ევროპის ატმოსფერას ვერ შეგუებოდა.

ბეტინა რომანტიკოსი იყო[2]. რომანტიკოსების უახლოესი თაობა, ე. ი. ბეტინას თაობას ასეთი ლოზუნგებიც კი ასულდგმულებდა: შესაძლებლად ფართე საფუძველი, ხალხის სუვერენობა და სხვ.

ბეტინას ძმას კლემენს ბრეტანოს სძაგდა რადიკალიზმიცა და რევოლუციაც, მაგრამ ბეტინა? ექსცენტრიული ბეტინა საკუთარ სხეულში ვეღარ ეტეოდა, მირაბოს ეტრფოდა და საფრანგეთის რევოლიუციას გუნდრუკს უკმევდა. ცხადია, ბეტინას რევოლიუციური რომანტიზმი თანადროული გაგებისა არა ყოფილა, იგი რევოლიუციის გმირების ვაჟკაცობისაგან იყო აღტყინებული.

რევოლიუციის მეწყერების შემხედვარე მარმალილოს გოეტეს ოლიმპიურ სიმშვიდეს და მის გამუდმებელ Ruhe, ruhe-ეს ბეტინა ისევე აძაგებდა, როგორც იმ დროინდელი ახალგაზრა გერმანია და რომანტიკოსების მეორე თაობა.

---

[1] მე მგონია ამ შემთხვევაში ძლიერ აჭარბებს ფრანგი მწერალი რომენ როლან თავის წიგნში: „გოეტე და ბეთჰოვენი" რატომღაც როლანის მიხედვით ბეტინა 1875 წ. უნდა დაბადებულიყო, არსებითად იგი 1785 წელს დაიბადა.

[2] ჩვენში სავსებით ამაოდ ჰგონიათ, თითქოს რომანტიკოსები ერთბაშად რეაქციონერები ყოფილიყვნენ. გერმანელი რომანტიკოსები ფრიად რადიკალურად მოაზროვნენი იყვნენ თუნდაც რევოლიუციის საკითხშიაც.

კლემენს ბრენტანო არც გოეტესთან დაახლოვებას უქებდა ბეტინას. მის გულში ძმურმა იჭვნეულობამ გაიღვიძა. კლემენ საშინელის სიმძაფრით გიცხავდა „უგუნურ“ ბეტინას, რომელმაც თავისი ქალწულური პატიოსნება განუკითხავად ანაცვალა მოხუცი პოეტისადმი უსაზღვრო სიყვარულს. ბეტინა პირველს, განმაცხოვლებელ სამოთხისებურ ძილს უწოდებს გოეტესთან მიჯნურობას.

გოეტეს და შექსპირს შესანიშნავად გამოუსახავთ ძმის იჭვნეულობა ფაუსტსა და ჰამლეტში. ხოლო სინამდვილეში გოეტემ თავად განიცადა ეს ამბავი. კლემენს ბრენტანოც ამგვარმა იჭვეულობამ წაჰკიდა გოეტეს. სახალხო ხატობაზე ურცხვად გაშიშვლებულ ფრინას ადარებს კლემენს ბრეტანო თავის დას ბეტინას, გვარის, ქმრის და ჩამომავლობის შემარცხვენელი შეარქვა მას, თანაც მოხუცებული გოეტეს დაფნის გვირგვინებსაც წასწვდება.

თავდაპირველად გოეტე ფარზე ჰყავდათ აყვანილი რომანტიკოსებს. ნოვალსმა „პოეტური სულის მიწიერი მოსაყრდე“ შეარქვა მას, მაგრამ გოეტე თავის უკმაყოფილებას ვეღარ მალავდა ამ მოუთავებელი და უმწიფარი თაობების მიმართ. ოდესღაც ახალი თაობა ისევე დადიოდა ვაიმარსა და იენაში გოეტეს სანახავად როგორც მორწმუნე კათოლიკენი რომში, პაპისათვის თაყვანისსაცემლად. „მოხუცებულსა და ღვთაებრივ ბრწყინვალება“-ს უწოდებდნენ.

მაგრამ მოხუცებულებას კიდევ ერთი ჭირიც ემართებოდა: ისინი არა თანაბართაგან ღებულობენ განკითხვას და ნოვალისმა გადაისროლა პირველი საომარი ლოზუნგი: „რაინდი რაინდია, მაგრამ არც ჩვენა ვართ ჭაბუკები“.

ამ იდეურ უთანხმოებას ყველაზე მძაფრად განიცდიდა კლემენს ბრენტანომ, თავის დის „უსირცხვილობით“ უზომოდ გაწბილებულმა და მოჰყვა კლემენს ბრენტანო იმის მტკიცებას რომ გოეტე დაბერდა, რომ მისი სახელი ხელოვნურად იყო გაფუებული, რომ მისი წიგნები აღარ იყიდებაო და სხვა მისთანანი.

ბეტინა არწმუნებდა გოეტეს: შენსავით სხვა მამაკაცს არაოდეს გაუტაცნივარო და იგი მართლაც გასაოცარის თავდავიწყებით მინებდა გოეტეს, რომელსაც სიკვდილის წუთამდის არ მოსწყენია სიყვარული, პოეზია და სინათლეგაანჩხლებული ქალური ვნება სჩქეფს ბეტინას წერილებისაგან და მოხუცი გოეტეც ახალგაზრდული ტემპერამენტით ეწაფება სიყვარულს უმწიფარ დიაცისადმი, რომელსაც ბალღივით უსაზმნოდ უყვარდა გოეტე, თუმცა არც ისე უასაკო იყო რომ მამისადმი სიყვარული მამაკაცისადმი ტრფიალისაგან ვერ გაერჩია.

1808 წელს გარდაიცვალა ფრაუ აია. ამ ამბავმა ბეტინასადმი სიყვარული გააძლიერა გოეტეს გულში. მაგრამ გოეტესა და ბეტინას შორის ბეთჰოვენი ჩადგა და იჭვნეული გოეტე გაწბილდა ამის გამო. გარდა ამისა გოეტეს არც შეიძლებოდა გულწრფელად ჰყვარებოდა ისეთი ქალი, რომელსაც თავისი საკუთარი იდეური სამყარო ჰქონდა. იგი ქალში მომეტებულად „მარად ქალობას“ — (Das Ewigweibliche) ეძებდა, ამ მხრით ქრისტიანე ყველაზე შესაფერი ცოლი იყო მისთვის.

XXV. ულრიკე ფონ ლევეტცოვ

„ესოდენ ციური წყვილი, აღმ[illegible]
„ხნიერი ღა ბრძენი პსიქე, ამური სავსებით ყრმა“.

მოუხშირა გოეტემ საგარაკოთ სიარულს. დროც იყო: სიბერე ეწვია და ავადობა ეახლა. 1818—23 წლებში იგი ბოჰემიის კურორტებს შეეჩვია. დასვენების გარდა სხვაგვარ ინტერესს მოჰყაედა ბოჰემიაში იგი: მინერალოგიურ კვლევაძიებას ეწეოდა. უკანასკნელი და ყველაზე მეტად გულისდამწყვეტი მიჯხურობა შეემთხვა გოეტეს აქ, მარიენბადში. თვრამეტი წლის ქალწული შეუყვარდა 73 წლის მოხუცს. და ამ სიყვარულმა მარად ჭაბუკური სიძლიერით ააღლერა მიხრწნილებამდის მიღწეული მოხუცი პოეტის ჩანგი.

ურლიკეს უძღვნა მან თავისი „მარიენ ბადის ელეგია“.

ულრიკეს დედასთან დაახლოვებული იყო გოეტე ჯერ კიდევ 1806 წელს. 1822 წელს ულრიკეს დედა და მისი ქალიშვილები იმავე სახლში სცხოვრობდნენ სადაც გოეტე ზაფხულს ატარებდა. ერთი წლის შემდეგ გულის ავადმყოფობა გაურთულდა გოეტეს, სიკვდილის მოლოდინში იყო „სიკვდილი ყოველკუთხიდან მითვალთვალებს და ხელებს მიწვდის, მაგრამ შიში ნუ გაქვთ“ ეუბნებოდა პოეტი ექიმებს. მთელი ევროპა შეაძრწუნა მისმა ავადმყოფობამ.

მალე ისევ გამომჯობინდა პოეტი. თეატრში ტასსო დადგეს, დიდი ზეიმი გაიმართა. 11 ივლის ფრაუ ლევეტცოვ ჩამოვიდა მარიენბადს, თავისი ქალიშვილებიც თან ჩამოიყვანა. წარჩინებული სტუმრებიც ეწვიენ გოეტეს ჰოლანდიის ნამეფარი ლუდვიგ ბონაპარტე, ჰერცოგი ლოიხტენბერგ, კარლ ავგუსტ და სხვ. „ჩვენ ყველას მოგვეპოვება ელექტრონის და მაგნეტის ნაპერწკლები, ამის ძალით ვიზიდავთ, ან ვიშორებთ არსებებს“. ამტკიცებდა გოეტე.

გოეტე ფრიად დახელოვნებული იყო სულიერ მყუდროების შენარჩუნებაში

ფონ მჟულერთან საუბარში აცხადებს მოხუცი პოეტი: „მე არც ისე დავბერებულვარ მსოფლიო ისტორიისათვის თავი რომ შევიწუხო. ამაზე უფრო აბსურდული რამ მე არ მეგულება არაფერი. ჩემთვის სულ ერთია ეს თუ ის ხალხი მოკვდება თუ არა. მე დიდი ზლეგი ვიქნებოდი ასეთი რაიმე რომ მაინტერესებდეს.

„ადამიანი უნდა ეცადოს მუდამ აღტყინებული იქნეს და დეპრესსიას ბრძოლოს“.

ეს მუდმივი აღტყინება აძლევდა მას საშვალებას ახალი და ახალი განცდების მოსახვეჭად.

ულრიკე ანიჭებდა მას ამ აღტყინებას. ხანდახან პიანისტი ქალი შჩიმანოვსკა ეწვეოდა და მუსიკით კურნავდა მის დაქანცულ სულს.

1823 წლის აგვისტოს 18-ს, მადამ ფონ ლევეტცოვ და მისი ქალები კარლსბადს გაემგზავრნეხ, გოეტეც თან გაჰყვა მათ.

გეოტე მთელი დღე არ შორდებოდა ულრიკეს და ისეთ ბედნიერ წუთებს განიცდიდა, ფრიდერიკეს, ლოტტეს, ლილის სიახლოეს რომ შემოხვევია ოდეს-

ლაც. საღამოჟამს ულრიკე გატრუნული იჯდა ხანდახან ვაიმარელი ბრძენის გვერდით, ვარსკლავებით მოჭედილ ცას შეჰხაროდა და გენიის სუნთქვა ახურ-ვებდა მის ახალგაზრდა გულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოსადგენია როგორი დიდის მწუხარებით შეიცნო გოეტემ ულრიკეს პირისპირ რომ იგი უკვე მიხრწნილებას მიღწეულიყო, როცა ხედავდა რომ მისი წარმართული გული ველარ ფეთქდა ძველებურის ძლიერებით. მის მოგონებაში ირეოდნენ გადასულ მეგობრების, გულის მიჯნურების, განვლილი მწუხარების და ნეტარი შვების წუთები და გადასული აჩრდილები. და როგორ უყვარდა მას სიცოცხლე, სინათლე და პოეზია!

„ო, შეგვრჩებოდეს ნეტავ მარადჟამს
სიყვარულის და ბგერების ლხენა“.

ეროსი ძალოვანი მონადირეა და გულებისადმი ამბოხის მომგვრელი.

ულრიკემ შეაშფოთა უკანასკნელად შემოქმედების უხვი რთველით დახუნ-ძული გული მოხუცი პოეტისა, ვინაიდან სხვას ვის უნდა ჰქონოდა მასზე მეტი უფლება განვლილი ცხოვრებითა და შენაქმნით კმაყოფილი რომ ყოფილიყო.

ხანდახან მარტოკა იჯდა გოეტე მარიენბადელი აგარაკის აივანზე. მზესა და მწვანეს, შუქის და ჩრდილის თამაშს შეჰხაროდა და ღრუბლების სახე ცვლას. შმოესმოდა თუ არა ბაღის ხეივნიდან ულრიკეს წკრიალა ხმა, მყისვე დგებო-და, თავის ქუდსა და ჯოხს ხელს წამოავლებდა და გამოუდგებოდა ულრიკეს.

და რა სასტიკად შეარყევდა ალბად მის გულს ძალოვანი მშვილდოსანის ეროსის და სიბრძნეს შორის ატეხილ ბრძოლის ასპარეზად ქცევა.

მარიენბადის და ვაიმარის ჭორიკანებს ახალი მასალა მიეცა. ასე ამბობ-დნენ: გოეტე ქრისტეანეს ეყრება და ახალგაზრდა ულრიკეს ცოლად ირთავსო.

კარლ ავგუსტ ამ საქმეში გარეულია და მათი შეუღლების მომხრეაო.

გოეტეს ბავშვები საოცრად ააწრიალა ამ უკანაურმა ამბავმა.

მოახლოვდა 5 სექტემბერი ულრიკესაგან განშორების ყავლი.

„და ბოლოს... გაყრა, სიკვდილია გაყრა“. (ლექსიდან „ვერტერისადმი“.)

XXV. ლორდ ბაირონ

ის ღმერთების სწორია
და ქუხილის ნაქადი,
„მას შერჩება გლორია
ჩვენ კი ცრემლის ნაკადი“.

„ლორდ ბაირონი, უამბობს ეკერმანს, გოეტე ცეცხლმოდებული ჯაგი იყო, ლიბანის წმინდა ნაძვებს ხანძარით რომ მოსრნა.

იგი უჩვეულო ტალანტი იყო. ერთხელ შობილი უბადლო ნიჭი და უნდა, ითქვას, მისოდენი ტალანტი ჯერ არავის ჰქონია დედისაგან შობილს“.

საუკუნის უდიდესი სულები ურთიერთს გაეხმაურნენ. ბაირონმა ტრაგედია უძღვნა ვაიმარელ ბრძენს შემდეგის წარწერით: „ბრწყინვალე გოეტეს“. გოე-ტემ უპასუხა ლექსით: „Ein freundlich Wort kommt eines nach dem andern“.

ლექსმა ლივორნოში მოუსწრო ბაირონს საბერძნეთის განმთავისუფლებელ ომში გამგზავრების წინ.

1824 წ. მისოლუნგში დაიღუპა ლორდ ბაირონი. ... ...

„ესეც მარქვი ვაჯინავალკია“, განაგრძო რიტაბაგას ძემ „როცა იგივე კაცი ცეცხლად იქცევა, სუნთქვა მისი—ქარად, თვალის მისი—მზედ, მისი „მანს“ მთვარედ, ყური მისი პოლიუსად, გვამი მისი მიწად, ატმანი მისი—ალმასად, თმები მისი—ბალახად, სისხლი და თესლი—წყლად, მაშინ რაღად იქცევა ადამიანი?“

და რქვა მას ვიჯანავალკია: „მომკიდე ხელი ძვირფასო მეგობარო არტაბაგა რიტაბაგას ძევ, ამაზე ჩუმად მოვითათბიროდ მე და შენ, აქ ხალხში კი არა, მარტოკანი როცა დავრჩებით.“

და მყის განმარტოვდნენ ვაჯინავალკია და არტაბაგა რიტაბაგას ძე.

და ის რის გამოც მათ ითათბირეს, ეს იყო შემოქმედება.

„ჟეშმარიტად, მხოლოდ შემოქმედება რჩება კაცისაგან ჩემო არტაბაგა“

ესა სთქვა და კიდევაც დადუმდა ვაჯინავალკია.

ასე ესმოდათ ადამიანის ცხოვრების მიზანი

ძველ ჰინდოთა, რიგვედას ავტორებს.

* * *

გოეტეს ჩრდილში გაზრდილ რომანტიკოებს სულ სხვაგვარად წარმოედგინათ ეს მიცვალება.

„ტყეში მივდიოდი, სწერს ნოვალისი, ჩემი საყვარელი ადგილის საძებნადერთ უშველებელ ცაცხვის ქვეშ შევდექი, ხის ტანს მიყრდნობილმა დავიმუხლე, ჭალიკონს ცაცხვის შტოებიდან ძირს ჩამოებერტყა ღამის პეპლები. ისინი სავსებით გაბრუებულნი ეყარნენ მწვანეში, სთვლემდენ, ფეთქავდენ წამწამებსა და ფრთებს აფარფატებდენ.

ასე უმწეოდ ფართხალებენ, ფეთქავენ და ბორგავდნენ.. ამასობაში მზე ჩადის და მთვარე ამოდის. ვამბობ მე ჩემთვის. ამ პეპლებს არა სძინავთ, არც თუ ფხიზლობენ ისინი.

ვინ უწყის, ეგებ ჩვენი საოცარი ცხოვრების სიმბოლო იყვეს აქ მოცემული?

განა ჩვენც ასე მიჯაჭვულნი არა ვართ მიწაზე და სიკვდილსა და სიცოცხლეს ასე არ ვებრძვით? ვინ იცის, ეგებ სიკვდილი მზის ჩასვლა იყოს, ეგებ ჩვენც კვლავ გამოვფხიზლდეთ და თავისუფლად ამოვისუნთქოთ ოდესმე“.

ეკერმანთან საუბარში ხშირად ეხება გოეტე უკვდავების იდეიას.

„რამდენი სიბრძნე დაუხარჯავთ სიბრძნისმეტყველთ უკვდავების საკითხის გამო. მერე რა გამოვიდა აქედან? ჩვენს უკვდავებაში მე ეჭვი არ მებადება. ბუნება ვერ დაიკლებს ენტელექიას. ესაა მხოლოდ ყველა თანაბრად უკვდავი ვერ იქნება. თუ თავად მოგეპოვება ენტელეხია, მერმისში უთუოდ აღმობრწყინდები როგორც დიდი ენტელექია.“

„სიკვდილი ისე საოცარი მოვლენაა, რომ ყოველივე განაგონის მიუხედავად, შეუძლებლად მიგვაჩნია ხოლმე. საშინელი რამაა განსაზღვრული და ჩვენთვის ცნობილი არსობიდან უცნობ ყოფაში გადასვლა.“

„უკვდავების იდეებით თავის გართობა, ბრწყინვალე წოდების, განსაკუთრებით ქალების საქმეა, იმათი, ვისაც საქმე შემოლევია. ხოლო საქმიანი კაცი, რომელსაც სწადია სააქაოში შეჰქმნას თვალსაჩინო რამ, დღედაღამ იღწვის და იბრძვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომავალ სამყაროს და საიქიოს ამბებით თავს არ იწუხებს და საკუთარ შრომობს კიდეც შეძლებისამებრ“.

*
* *

ეკერმან და გოეტე ტიფურტიდან ვაიმარისკენ მოდიოდნენ ეტლით. მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო.

გოეტემ თვალი შეასწრო ბნელისაკენ მიმავალ მნათობს და ეკერმანს შეესიტყვა:

„ბნელს ჩამავალიც ხომ იგივე დარჩება მზე“.

„როცა ადამიანი 50 წელს გადასცდება, განაგრძო ღიმილით მან, ხანდახან სიკვდილზე დაიწყებს ფიქრს. მე ეს ფიქრი არც ისე მაშფოთებს, რადგან გულდინჯად დარწმუნებული ვარ, რომ სული ჩვენი შეუმუსვრელი ბუნებისაა, იგი მარადჟამობამიდან მარადჟამობამდის ავრცელებს ზედგავლენას თვისას, და სული ემზგავსის მზეს, რომლის ბნელსდანთქმა ჩვენს თვალს ეჩვენება ხოლმე, არსებითად კი ეს მნათობი აროდეს ჩაეშვება ბნელში, იგი დაუცხრომლად განაგრძობს სხივებისფრქვევას.“

1832 წლის მარტის 11-ს, ეკერმანთან საუბარში გოეტე რელიგიურ საკითხებს შეეხო:

„თუ შემეკითხებიან არის თუ არა ჩემში მისდამი (ქრისტესადმი) თაყვანისცემის გრძნობა, მე ვიტყოდი: დიახაც მეთქი. მე ქედს ვიდრეკ მის წინაშე რადგან მას ზნეობრივობის უზენაესი პრინციპის განცხადებად ვთვლი.

თუ შემეკითხებიან მზეს თუ სცემო თაყვანს? აქაც განმეორებით ვიტყოდი უთუოდ: დიახაც მეთქი. რადგანაც მზე უზენაესის განცხადებაა, უაღრესი და უდიადესი განცხადება. მე თაყვანს ვცემ მზეში მოცემულ პირველ ძალას სინათლისას და ქმნედობრივ ძალას და თესლს ღმერთობისას, რადგან ამ ძალის შემწეობით ცოცხალვართ როგორც ჩვენ, ისე ცხოველნი და მცენარენი. მაგრამ უკეთუ შემეკითხებიან: მოციქულის პავლეს ან პეტრეს ცერისძვლის წინაშე ქედს თუ მოიდრეკო, მაშინ უთუოდ ამგვარ პასუხს მიიღებენ ჩემგან: ეკლესიის შჯულისდებაში მრავალი სიშლეგეა მეთქი, მაგრამ ამ ეკლესიას ბატონობისადმი მიდრეკილება სჩვევია და საამისოდ შეზღუდულ მასსებს იკრეფს თავის გარშემო, რათა ეს მასსები დაიმორჩილონ და განუკითხავად განაგონმეთქი“.

ვაიმარი ერთგვარი ახალი რომი და მეკკა გახდა. მიხრწნილებაში გადამდგარი ბრძენის სანახავად და მოსასმენად ევროპის სხვადასხვა მხრიდან მოდიოდნენ პოეტები, მწერლები, სიბრძნის მეტყველნი, მეცნიერნი, ჰერცოგები, თავადები, მუსიკოსნი, ლამაზი ქალები, ყოველი ჯურის მოქადაგენი, მღაღადებელნი და მეტყველნი. უკანასკნელი წლების საუბრებში გოეტე თავის შემოქმედების შეფასებას, თავის ღვაწლის თვალისმოვლებასაც არ ივიწყებდა. 1832 წლის 17-თებერვალს სორეტთან ბაასის დროს მან შესანიშნავი ანალიზი გაუკეთა თავის ხანგრძლივ მუშაობას.

„ჩვენ ყველამ სხვებისგანაც უნდა ვისწავლოთ და მივიღოთ რამე, იმათგანაც ვინც ჩვენზე ადრე ყოფილა, იმათგანაც ვინც ჩვენთან არიან. თვით უდიდესი გენიაც შორს ვერ წავა თუ იგი მარტოოდენ საკუთარ შინაგან ბუნებას დაეყრ-

დნო. მრავალს კარგ ადამიანსაც არ ესმის ეს და იმიტომაც ამგვარნი მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე ბნელში დაფათურობენ ორიგინალობისათვის ოცნებას აყოლილნი. მე ვიცნობდი ისეთ ხელოვანთაც, რომელნიც ოცნებობდნენ კიდევაც: აროდეს არც ერთი ოსტატის შეგირდი არა ვყოფილვართო და ყოველივე საკუთარი ტალანტის ძალით მოგვიხვეჭნიაო.

„შლეგები.....

„მე ვამტკიცებ: ერთი ამგვარ ხელოვანთაგანი აქ ამ ოთახში რომ შემოივლიდეს და ამ კედლებზე ჩემს მიერ დაკიდებულ დიდოსტატების ნახატ სურათებს თვალს შეავლებდეს, მას საკუთარი გენიაც რომ ჰქონდეს, იგი უთუოდ გავიდოდა აქედან როგორც სავსებით სხვა და უფრო დიდი ტალანტი. რა სიკეთე მოგვეპოება ჩვენ, თუ არა ისეთი ძალა და მიდრეკილება, რომლის წყალობითაც გარე სამყაროს მოვიზიდავთ ხოლმე და ჩვენის უზენაესი მიზნების სამსახურში გამოვიყენებთ. ვგონებ მე ნება მაქვს ჩემს შესახებაც ორიოდე სიტყვა დავსძრა და გულწრფელად ვაღვიარო: მართლაც მე ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მრავალი რამ შემიქმნია და გამიკეთებია, რის გამოც უფლება მაქვს კიდევაც ვიამაყო და თავი მოვიწონო. მე უთუოდ არაფერი შემრჩებოდა ხელში, ნათქვამის, განაგონის, ნანახის საკუთარი სულით გაცხოველების, გარდაქმნისა და ოსტატურად კვლავგადმოცემის უნარი რომ არ მქონებოდა. ჩემი ქმნილებანი მარტოოდენ ჩემი საკუთარი სიბრძნის წყალობა როდია, არამედ ათასი პირის მიერ მოწოდებული მასალის ნაყოფი. მათ შორის ბევრი ერია როგორც შლეგი, ისე ბრძენი, როგორც ნათელი, ისე შეზღუდული გონების პატრონნი. ყოველი მათგანი ისე მომითხრობდა, ვის როგორაც გაუჭრიდა ჭკუა, ვინ როგორ ფიქრობდა, ვინც როგორ სცხოვრობდა, როგორ მუშაობდა, ვის როგორი გამოცდილება მოეხვეჭა ცხოვრების გზაზე და მე, მე კი სხვა საქმე არა მქონია თუ არ ყოველივე ის მომეხვეჭა და მომემკო, რაც კი ჩემთვის სხვებს დაეთესნათ.

„დიდი სისულელეა კითხვაც იმისა: მავანსა და მავან კაცს თავად შეუძენია რაიმე თუ სხვებისგან მიუღიაო? საკუთარის ძალით ეწეოდა იგი შემოქმედებას თუ სხვების შემწეობითო? აქ უმთავრესი ეს არის: დიდი ნებისყოფა, ნიჭი და ამტანობა გაგაჩნდეს განზრახულის შესასრულებლად, სხვა დანარჩენი სავსებით უმნიშვნელოა.

* *
*

უკანასკნელი დაბადების დღე ილმენაუში გააატარა გოეტემ.

ილმენაუში მას სანადირო სახლი ჰქონდა—მთის თხემზე.

მხნე, ვაჟკაცური ნაბიჯით აიარა მაღლობი. ორივე შვილისშვილი თანახლდა. შევიდა სახლში, ოდესღაც ფანქრით კედელზე წანაწერი ლექსი „დადუმებულან მთები, ველები...“ გადაიკითხა.

ცრემლები მოწანწკარებდნენ მის დამჭკნარ ღაწვებზე.

აუჩქარებალად, დინჯად ამოიღო თავის ყავისფერ კოსტიუმის ჯიბიდან ცხვირსახოცი, ცრემლები მოიწმინდა და ხმამილეულმა გაიმეორა უკანასკნელი სტრიქონი

„მოიცა ცოტა, დასცხრები შენაც.“

ნასადილევს მეგობრებთან საუბარში იმედი გამოსთქვა გაისადაც აქ გადავიხდითო ჩემი დაბადების დღის გამო ნადიმს, შემდეგ თავისი ლიტერატურული გეგმები მოიგონა, ბერძნული მოირას—ბედისწერის პრობლემა ტრაგედიის საბით უნდა დავამუშაოო. ბიბლიას შეეხო საუბარში და [illegible] საკითხებიც არ დავიწყებია. 1834 წლისათვის მოსალოდნელ კომეტაც ახსენა ბაასის დროს.

*
* *

1832 წლის 15 მარტს გაცივდა გოეტე. ლოგინად ჩავარდნილი იმედს არა ჰკარგავდა, მალე ავდგები და ჩემს სამუშაოს განვაგრძობო.

მარტის 22-ს, დილას 6 საათზე მოითხოვა: ამაყენეთო. წამოდგა, თავის სამუშაო კაბინეტში გაიარგამოიარა. შირმის გადაღმა მთელი ღამე მორიგეობდა მისი რძალი:

ქალო, ასე ადრე რამ ჩამოგიყვანაო?

ერთბაშად უძლურება შეიგრძნო და სავარძელს მიაშურა.

ექიმები სავსებით უიმედოდ შესცქეროდნენ მის გადარჩენას. კატარულ ციებას ვერ გაუძლებსო, ასე ასკვნიდნენ.

ავადმყოფი იმედს არ კარგავდა, ამ სენს უთუოდ მოვერევიო.

მეგობრებს ანუგეშებდა: აპრილი დადგება, ცოტა ხანს ქარბუქი იქნება, მაგრამ ისევ გამოიდარებსო, ოღონდ ექიმმა წამალი არ დამალევინოს, ისედაც კარგად ვიქნებიო.

მზის ამოსვლისას ავადმყოფი უფრო დაუძლურდა. ექიმის განკარგულებით თალხი ფარდებით დაბნელებული იყო საწოლი ოთახი.

„მოიტათ სინათლე“ წამოიძახა.

სინათლემ თვალი ატკინა ავადმყოფს. მაშინ ხელი აიფარა გოეტემ საფეთქლის მახლობლად, შორიდან მაყურებელს ეგონებოდა: ხელს ისე იჩრდილავს შორეულის დანახვას ლამობსო.

თავისი რძალი მოახმობინა, ხელი მოჰკიდა გამოწვდილ ხელს,

დილის 9 საათზე წყალნარევი ღვინო ითხოვა.

ჭიქას ხელი დაავლო მხნედ, გამოსცალა, და სთქვა: ბევრი ხომ არ ჩაგისხამთ ღვინო?

იკითხა: რომელი რიცხვიაო: როცა თავისი სიკვდილის დღე 22 მარტი დაუსახელეს, მაშ გაზაფხული კარსმოგვდგომია და მალე მოვრჩებიო ამბობდა.

მცირე ხნის შემდეგ ჩასთვლიმა.

ბოდავდა: ..ხედავთ რა ლამაზი თავი აქვს იმ ქალს... როგორი შავი კულულები! რა მშვენიერი სახისფერი...

შემდეგ წამოიძახა: „ფრიდრიჰ, მოიტა ის სახაზი ალბომი.“

თვალი გაახილა.

მსახურმა ალბომის ნაცვლად წიგნი მიუტანა.

„წიგნი რათ მინდა პორტფელი მოიტა.“

მსახური არწმუნებდა: თქვენ რომ მიმითითეთ იქ პორტფელი არ არისო.

„მაშ ეს მოჩვენება ყოფილა“.

საუზმედ ფრინველის ცივი ხორცი მოითხოვა. მოუტანეს. ცოტა მოსწიწკნა ხორცი. რაიმე დამალევინეთო, ითხოვა.

ფრიდრიჰმა ისევ წყალნარევი ღვინო მიაწოდა.

ფრიდრიჰ, შაქარი ხომ არ გაგირევია ამ ღვინოში, შაქარი ნაყენი.

ამის შემდეგ სადილი შეუკვეთა მსახურს, თანაც დასძინა: 24 მარტს ჰოფრატ ფოიგტი სტუმრად გვეწვევა და მისი სანუკველი საჭმელები გააკეთებინეთო.

ცოტა ხნის შემდეგ შილლერი ახსენა. ლაპარაკის დროს შენიშნა: იტალიაზე ქალალდის ნაჭერი ეგდო. შილლერის წერილი ძირს რად დააგდეთო? უსაყვედურა ფრიდრიჰს. შემდეგ ამისა ისევ მიუბუნდა მსახურს:

„დარაბა გამოალე, რათა მეტი სინათლე შემოვიდესო.“

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

ენა ჩაუვარდა. მსახურებს და მახლობლებს ჰაერში გავლებული თითით ანიშნებდა თავის სურვილს. შემდეგ ამისა საჩვენებელი თითით სწერდა ჰაერში რაღაც იდუმალ სტრიქონებს, როცა მკლავში ღონე გამოეცალა, საბანზე გავლებული თითით სწერდა გამოუთქმელსა და დაუწერელს. დამსწრენი ამჩნევდნენ. თვით სასვენ ნიშნებსაც არა სტოვებდა. პირველი წინადადების პირველი ასო შეიცვნეს: ლათინური: ვ. შემდეგ კი მაყურებლის გონებისათვის საესებით მიუწდომელი და შეუცნობი გახდა მის მიერ საჩვენებელი თითით ნაწერი.

თითები გაუცივდა, ფრჩხილები ლიბრი ფერით შეეღება, ნელნელა ეკვროდა სუნთქვა და უმწეო ხროტინი ღა ისმოდა. თვალზე მიფარებული ხირმი ჩამოხსნეს და თვალები ჩამქრალი ნახეს.

*
**

„გოეტეს სიკვდილის მეორე დღეს, გვიამბობს ეკერმან. მისი ერთგული მდივანი, „უაღრესმა სურვილმა ამიტანა, მისი მოკვდავი ნეშთის ნახვას მოწყურვებული, გოეტეს ერთგულმა მსახურმა ფრიდრიჰმა ოთახის კარი გამიღო. პირაღმა იწვა და ისე მშვიდად ესვენა მუნ, თითქოს მძინარე ყოფილიყო. სრული მშვიდობა და სიმკვრივე ცხადდებოდა სახის მისის აღნაგობის პირისპირ. ძალიან მინდოდა კიდევ ერთხელ ხელი შემეხო თმების მისის კულულისათვის და ცოტა მომეჭრა, მაგრამ მის წინაშე კრძალვამ არ დამანება ამის ჩადენა. მისი შიშველი სხეული ზეწარში შესუდრლი ესვენა. ირგვლივ ყინულის უშველებელი ბელტები შემოეწყოთ. ფრიდრიჰმა ზეწარი შემოხსნა, სხეულის მისის ღვთაებრივმა ბრწყინვალებამ და სილამაზემ გამაოცა. მკვრივად ჩამოქნილი დეკური მკერდი ჰქონდა, ხელ-ფეხი სავსე და კუნთებიანი, ლამაზი, წვრილი ფეხები და მთელს სხეულზე ვერსად იპოვნიდით ზედმეტ სიმსუქნეს და ვერც მიხრწნის ნიშანს. ამ ნაკვთმშვენიერი სხეულის ხილვამ მე წამიერად დამავიწყა, რომ მისი უკვდავი სული გაყროდა კიდეც ამ ცხედარს. გულზე დავადევი ხელი, ღაღრესი მდუმარება საცნაურვყავი, პირი ვიბრუნე და გარედ გავედი, რათა მოზღვავებულ ცრემლისათვის მიმეცა გზა...“

ბოლოსიტყვა

ეს ნაშრომი საქართველოს სახელგამმა შემიკვეთა გასულ წელს გოეტეს თვალსაზრისის გამო. იგი პირველი ცდაა ბიოგრაფიული რომანისა ქართულ ენაზე. ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ. ჯაჯანაშვილი

ნაგერალი

1

ნანგრევებს შორის

ქაიხოსრო შავგულიძე, ქართლის ცნობილი მემამულე, სახელ-განთქმული იყო უფრო თავისი მევენახეობითა და მებაღეობით, ვიდრე დიდი მამულით. სახლ-კარი მამისგან მინგრეულ-მონგრეული მიიღო. ჭერ-ახდილი ბოსელი, ჩაწოლილი საბძელი და დანჯღრეული ორ-სართულიანი სახლი—ჩალეწილი კრამიტიანი სახურავით და მოღრეცილი აივნით, რომელიც ბებრუცუნის მოცვეთილ კბილებსავით ფანფალებდა.

მთის კალთაზე ყვავის ბუდესავით აკრული სახლი ზევიდან გადასცქეროდა ღობე-აყრილი, სანახიროდ გამხდარ „ზვარს", საიდანაც ძველი სიამაყის სამარცხვინო ნაშთად გამოიყურებოდა ორიოდე ბებერი ვაზი და სამიოდე ნახევრად გამხმარი და ჭია-მოდებული ძირ-მომპალი ვაშლის ხე. შავგულიძიანთ ზვარი დიდიხანია სასოფლო სანახიროდ იყო გადაქცეული. ზვარში მშვენიერი წყარო ამოჩუხჩუხებდა. სოფლის მეხრეები საქონელს წყალს აქ ალევინებდნენ და აქვე დაჭყრიდნენ ხოლმე დასასვენებლად და საცოხნელად.

მამა რომ გარდაეცვალა, ქაიხოსრო უკვე ოცდათუთხმეტი წლის კაცი იყო.

ქაიხოსრომ მამა დამარხა. უკანასკნელი ვალი მოიხადა, ქელეხი გადაიხადა და მშობლის სულის საცხონებლად მეზობლები დეკეულის ხორცით გამოაძღო. ქაიხოსრომ მეზობლები თავაზიანად მიიღო, არც თავისი გულ-წრფელი პატივისცემა მოაკლო. მაგრამ მათს შეხვედრას მაინც სითბო და გულახდილობა აკლდა, როგორღაც მშრალად გამოიყურებოდნენ ქაიხოსროს ღრმად ჩავარდნილი ყავის ფერი თვალები ყინულივით ცივი იყო ამ ყავის ფერი თვალების გამოხედვა მაშინაც-კი, როდესაც ტუჩებზე ღიმილი უკრთოდა. გარეგნული თავაზიანობის გადაღმა, სადღაც გულის მიყრუებული კუნჭულიდან სიცივე ჰბერავდა, სიჯიუტე და სიჯიქე მოსჩანდა...

სტუმრები ნელ-ნელა დაიშალნენ. ქაიხოსრო შავგულიძე მარტო დარჩა თავის სამფლობელოში.

საღამო იყო, ნიავმა ხის ფოთლები ააშრიალა, დღის სიცხით გავარვარებული ჰაერი გააგრილა და არე-მარეს მოჰფინა ჯადოსნური სურნელება ხავერდივით აბიბინებული მინდვრისა.

ქაიხოსრო აივანზე ჩაფიქრებული იჯდა და თავის გაპარტახებულ მემკვიდრეობას გადასცქეროდა. შორს ნახირი გამოჩნდა. ნახირმა ქაიხოსროს ზვრის

გასწვრივ ჩამწკრივებულ ფშატებს ჩამოეარა, აქა-იქ შერჩენილი ჩამპალი ძეძვიანი ლობე ლაწალუწით გადატკეპნა, მწვანე ბალახს მოედო და ძოვნით წყლისკენ გაემართა.

ქაიხოსროს სახე მოეღრუბლა და გულში რაღაც შელახული ადამიანური ეობის გრძნობამ გასჩხვლიტა. მთელი სოფლის ნახირმა ჩლიქებით თითქოს მკერდზე გადაურა და გულის ძაფები ჩაუწყვიტა, სოფელს მოცილებულმა და ქალაქის ერიამულით გაბრუებულმა, გულ ჩათხრობილმა და გოროზმა ქაიხოსრომ აქ, განმარტოებულ ნანგრევებს შორის, აბობინებული მინდვრის შრიალში თითქოს პირველად იგრძნო დაჭიმული ძარღვების თრთოლვა და უცნაური ბორგვა მუდამ გაყინული გულისა.

ჰაერი ყამირი მიწის სურნელებით გაჟღენთილიყო. ქაიხოსრო ამ სურნელებას რაღაც უცნაური, თავისი წარმოშობით გაუგებარი ვნებიანობით ისუნთქავდა და გზის პირად ჩარიგებულ ფშატებსა და აოხრებულ ნაზვრევს ხარბად გადაჰყურებდა. „ატავიზმია“, გაიფიქრა ქაიხოსრომ, უცებ წამოდგა და აღელვებით აივანზე დაიწყო სიარული. მის გულში უკვე მტკიცე გადაწყვეტილება აღიბეჭდა.

ქაიხოსრომ ოთახის კარები გამოიხურა, გადარაზა, დინჯად კიბეზე ჩავიდა და კარ-მიდამოს დათვალიერება დაიწყო. ჭერ-აყრილ ბოსელთან მივიდა. ნაბოსლარი ღორღითა და მიწით ავსილიყო, ეკალი მოსდებოდა. გუთნეული, საქონლის, სადგომი ხვლიკებისა და გველების საბუდრად გადაქცეულიყო. ნაბოსლარიდან თვალი საჩქელს გადაავლო და კალოსკენ გაემართა. კალოზე რომ ავიდა, პატარა გორაკის ფერდოებზე წამოწოლილი მოხუცი გლეხი ილო თანდილაშვილი დაინახა.

ილო თანდილაშვილი შეძლებული გლეხი იყო. ოთხი ვაჟიშვილიდან სამი უკვე დააბინავა, ყველას ცალკე სახლი აუშენა და პატარა კარმიდამო მოუწყო.

მოქნილმა ჭკუამ, გაიძვერობამ და ენა-წყლიანმა სიტყვა-პასუხმა ილო თანდილაშვილი ცხოვრების ზედა-პირზე ამოატივტივა და სოფელში „პირველ“ კაცად გახადა. ქორწილისა და ნათლობას უთანდილაშვილოდ ვერავინ გადაიხდიდა, ქელეხში სუფრის თავზე პირველად ის მოიკეცავდა, სასოფლო წესისა და სამართლის დამდგენელიც ილო თანდილაშვილი იყო. მისი მჭექარე ხმა ხან თამამად და დარდიმანულად ისმოდა, ხან შემპარავად და მლიქვნელურად; მისი გამხდარი, ძვალ-მსხვილი სახე ხან პირქუშად და დაუნდობლად გამოიყურებოდა, ხან თვალთმაქცური სათნოებით და სიყვარულით. მის შუბლში ღრმად ჩამძვრალი თვალებიდან ხან მწვავე სიხარბე აშუქებდა, ხან სიბრძნე ცხოვრების ჭიდილში გამობრძმედილი ადამიანისა. ვაჭრობისა და მომჭირნეობის ქარ-ცეცხლში გამოვლილი და სოფლის ცხოვრების კენწეროზე მოქცეული ილო თანდილაშვილი გულის სიღრმეში რაღაც განსაკუთრებულ სიამაყეს ატარებდა და მეზობლებს ზევიდან გადასცქეროდა. მეტ სახელს სოფლელებს ილო თანდილაშვილი უგონებდა: ბრუციანი, ლიყიანი, მაჭარა, კურკა, ბოტი, ზიპო, ლოქო! ადამიანები როგორღაც მობრეცილებად, მოღრეცილებად, მოკუნტულებად, ბრუციანებად და ლიყიანებად ეჩვენებოდა, თითქოს წელ-გასწორებული ამ სოფლად მარტო ილო თანდილაშვილი დადისო.

უკვე მოხუცებულებაში შესული ილო თანდილაშვილი მშიმე საბუშარს ხელს აღარა ჰკიდებდა. გულის ჭიის მოსაკლავად ზოგჯერ გუთანს, თუ ალაფილიტებდა. უფრო სახლში ტრიალებდა და ხშირად თავის დაუბინავებელ ბიჭურს შვილზე ფიქრობდა. ფშატების ბოლოში გადაჭიმულ ნაფუზარს უთვალთვალებდა. ფულიც მოაკროვა. მოლაპარაკებაც გამართა, მაგრამ... ბედმა უმტყუნა... ნაამაგდარი ნაბატონარი გარდაიცვალა.

ქაიხოსრო სოფელში თითქმის არავის იცნობდა, მაგრამ ილო თანდილაშვილი მაინც ახსოვდა. უიმისოდ ქაიხოსროს მამა პურს არა სჭამდა. ილო თანდილაშვილი ხან ძველ ამბავს მოუთხრობდა ტახტზე ნებივრად გაშხლართულ მემამულეს, ხან შეზარხოშებული კილოთი ბუხრის პირას მრავალ-ჟამიერს დასძახოდა და თავისი მაგარი კბილებით ლამაზად დაბრაწულ სიმინდს ახრამუნებდა...

ეხლა ეს ილო თანდილაშვილი ფერდობზე წამოწოლილიყო, ჩიბუხს აბოლებდა და ხარბი თვალით შავგულიძის ნაოხარს გასცქეროდა, შორიდან ზვერავდა თითქმის სრულიად უცნობ მემკვიდრეს, რომელიც გულზე-ხელდაკრეფილი, დაღვრემილი და სევდიანი თავის დანგრეულ მამულს ათვალიერებდა.

ქაიხოსრომ ილო თანდილაშვილს გახედა და შორიდან მიესალმა. ილო მაშინათვე წამოდგა, ფარაჯა გაისწორა, ჩიბუხი დაბერტყა, წელში გაირჭო და ზლაზნით თავ-ქვე წამოვიდა.

— სახლ-კარს ათვალიერებ, ნათლი?—შორიდანვე გადმოსძახა ილო თანდილაშვილმა.

— ვათვალიერებ!—მოკლედ მოუჭრა ქაიხოსრომ ღა კალოს პირას გადებულ დამპალ ტივის ხეზე ჩამოჯდა.

— ეხ, სოფლის მხუთლობას რა ვუთხრა,—ამოიოხრა ილომ და საბძლის ჩამოგრეულ კედელს მიეყუდა.—ჰაი, დედასა, რა დროება გამიტარებია ჩემს პატარობაში ამ კალოზე! აი, ასე, კალოს გარშემო მთასავით ძნები გადაეჭიმებოდა, ხოლმე ოთხი ცხენი ურბენდა, მოზვრებს ხომ ნუღარ იტყვი! ბეღლები რომ აღარა გვეყოფოდა, პურს ორმოც კოდიან ორმოებში ვინახავდით. ოთხი დედაკაცი პურს აცხობდა, შვიდი ბიჭი ბზის შეხვეტას უნდებოდა. გათავდებოდა ლეწვა და ვახშამიც მზად იყო ამ კალოსკენ გამოსეირნება ცხონებულ მამა ჩემსაც უყვარდა აი, ამ საბძლის უკან დიდი კაკლის ხე იდგა,—თქვენც უნდ გახსოვდეთ,—იქ გაგვაშლეინებდა ხოლმე. სუფრასა ცხელი პური, მწვანილი, ყველი, კაი წითელი ღვინო, ცივად დედლები! თან პურსა ვჭამდით, თან ნელ-ნელა ვჭუკჭუკებდით ჩვენთვისა.., გადაეკიდა ვიღაც ოხერი, არ მოუსვენა, სანამ არ მოაჭრევინა... რა კაკალი იყო! მერე, ღირებულიყო რამედ მაინცა, სულ რაღაც ხუთი თუმანი გადმოუგდო. თვალებიდან წინწკლები მცვივოდა შვილივით ნაზარდ ხეს გვერდებს რომ უჩეხავდნენ... აფსუს!—ერთხელ კიდევ ამოიოხრა ილომ და გაჩუმდა.

მუხლებზე იდაყვ-დაყრდნობილი, თავჩაქინდრული ქაიხოსრო მიწას ჩასცქეროდა და პატარა წკეპლით ქვიშაზე რუსული ასოები გამოჰყავდა хи-тришь,—წაიკითხა ქაიხოსრომ მაშინალურად დაწერილი რუსული სიტყვა და ტუჩებში ჩაიცინა.

— მუშას დღეში რას აძლევდა?—ჰკითხა უცებ ქაიხოსრომ.

ილომ გულიანად გადიხარხარა.

— მუშასა? დღეგრძელმიც იყავთ, ყმაწვილო, როგორ გამაცინე! რა უნდა მიეცა? შავი ჭირი და ნაცარი ცხელი. შინაური ბიჭები ვეყოფა ბოგს ვენახი ეჭირა, ზოგი მიწასა ხნავდა, ზოგს ბოსტანი მოჰყავდა. ერთი ადგილი საკუთარი მიწა არავისა გვქონია. მკასა და ლეწვაში მუშას ვინ დაუჭერდა? ვახშამი, თითო ჩარეჭი ღვინო და იმათი ჯანი! უპასუხა ილომ და ჩაფიქრდა.—განა, ყმაწვილო, იმ დროს ნაბატონარი მუშას ქირას მისცემდა?: რაღაც იდუმალი გულამოსკვნით დაუმატა ილომ და დანაოჭებულ სახეზე მწუხარებამ გადაურბინა.— ქირა ქალაქელების მოგონილია. ჩვენ კეთილ ბეზობლობითა და პურ-მარილითაც იოლად მივდიოდით!

— ოთხი ქალი, შვიდი კაცი, ოთხი ცხენი, ოთხი ხარი, ორი მორბედი, დღეში ათი შაურიც რომ ვიანგარიშოთ, მარტო გალეწვა ერთი თუმანი ჯდება ახლა მოხვნა, დაფარცხვა, მორწყვა, მომკვა! ჰო, მუქთა მუშა თუ ეყოლება კაცსა, კიდევ არა უშავს რა, მაგრამ ქირით პურის მოყვანა, ალბათ, გიჟების ხელობა უნდა იყოს!—ანგარიშობდა ქაიხოსრო.

— თქვენ რაღა ხელობას მისდევთ, ყმაწვილო?—ჰკითხა ქაიხოსროს სიტყვებით ცოტა არ იყოს გაოცებულმა და ჩაფიქრიანებულმა ილომ.

ქაიხოსრომ არაფერი უპასუხა.

— ეხლანდელ თაობას მამული აღარ უყვარს,—განაგრძო ილომ,—სულ გარ-გარე იწევენ! აი, რამოდენა კაცი გახდი და შენს ოჯახში სულ ორჯელ აო მინახავხარ. მართალია, მამული დიდს სახარბიელოს არაფერს იძლევა. აი, მთელი ოჯახი წელებზე ფეხს ვიდგამთ, მაგრამ მაინც ვერასა ვხვდებით. არც ჩაცმა-დახურვაა ჩვენთვის რიგიანი, არც პურის ჭამა გვაქვს თავის დროზე! გაძაღლებული ცხოვრებაა, ვწვალობთ, რაღა! დღიურ მუშებსავით გამოვდივართ. მაგრამ მამულს... ‘ეაინც პატრონობა უნდა. აბა, დახე რასა ჰგავს აქაურობა!— დაუმატა ბოლოს ილომ და ქაიხოსროს რაღაც ეჭვიანი, გამომცდელის თვალით გადახედა.

ქაიხოსრო გაჩუმებული იჯდა და ჩაფიქრებული სივრცეს გასცქეროდა.

ილომ წელიდან ჩიბუხი გამოიძრო, თამბაქოთი გასტენა და ცეცხლი მოუკიდა.

ჩიბუხს აბოლებდა და ჩაფიქრებულ ქაიხოსროს თვალს არ აშორებდა...

ქაიხოსრო შავგულიძემ აეჯეულობა ერთს, ყველაზე უფრო საიმედო ოთახში მოითავსა, სახლი მაგრა დალურსმა და სოფლიდან წავიდა.

რამდენიმე წლის განმავლობაში ამ დარაბებ გამოკეტილსა და დალურსმულ სახლისათვის არავის მოუხედია. ისეც აოხრებული და გაპარტახებული სახლ-კარი და კარმიდამო უფრო მეტად გატიალდა. ნაბოსლარიდან სოფლელებმა ქვა გაზიდეს და თავიანთ სახლებს მოახმარეს. საბძელი დაანგრიეს. ნახევარ სახლს კრამიტი აჰყარეს. ერთ ოთახში მთლათ გადამპალი თავხეები ჩამოწვა და ავდრიან დღეებში წყალი ქვედა სართულში შხუილით ჩადიოდა. აივანსაც ბოძები ჩაულპა და მთელი აივანი როგორღაც სასაცილოდ მოიღრიცა. კიბე ღამის მეხრეებმა დაწვეს. სახლის კარმიდამო ‘ეალახ-ბულახით და ეკლით აივსო. არც ზვარს დაადგა ხეირი. ზვრის გასწვრივ, შარა გზის პირად ჩამომ-

წკრიალებული ფშატები გადაჰკაფეს და ბირიან-ფესვიანად ამოგდეს. აქა-იქ შერჩენილი ბებერი ვაზი და დაჭიანებული ვაშლები გადაჩეხეს და დაწვეს. იქ, სადაც იდესღაც ზვარი იყო გადაჭიმული, ეხლა, გუთნები დაფრიალებენ.

ოთხი წელიწადი გავიდა,

ზამთარი კვე მიწურულში იყო, ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა და გზები თოვლ-ჟყაპით იყო ატალახებული, როცა შარა გზაზე ოთხცხენიანი მძიმედ დაბარგული ეტლი გამოჩნდა. ეტლში უკვე შეჭაღარავებული კაცი იჯდა ტანზე თბილი ქურქი ეცვა და თავზედაც თბილი ტყავის ქუდი ეხურა. ეტლმა ზვარს გვერდით ჩამოუარა, მარჯვნით გაუხვია და პატარა აღმართით შავგულიაძიანთ სახლისაკენ გაემართა.

ეტლის ყღარუნზე სოფლის ბიჭ-ბუჭობა გარეთ გამოცვივდა აქა-იქ მოზრდილებმაც გამოიხედეს. სანამ სოფლელები თავიანთი სახლების წინ ჩოჩქოლობდენ, ეტლი აღმართზე ავიდა და შავგულიძიანთ სახლის წინ გაჩერდა. ეტლიდან ამ ნაოხრის მემკვიდრე ქაიხოსრო შავგულიძე გადმოხტა. დანგრეული სახლი რომ დაინახა, გადაფითრდა, წატორტმანდა, მაგრამ მალე თავი შეიკავა, ტუჩზე მწარედ იკბინა და ეტლიდან ბარგის გადმოღება დაიწყო.

— ნადირები! —კბილის კრაჭუნით ამოიხვნეშა ქაიხოსრომ და ცივი, ბოროტი ყავის ფერი თვალები დანგრეულ სახლს მიაშტერა.

კარგა ხანს ჩაფიქრებული იჯდა.

ქაიხოსრომ როგორღაც განაპირებულათ იგრძნო თავი, იგრძნო რომ შეშორტყმული იყო მტრულად განწყობილი მოსახლეობით, რომელიც ამ თავის მტრულ გრძნობას ღრმად ინახავდა და თავის გულის კუნჭულებში აღვივებდა. ეს დანჯღრეული აივანი, რაღაც იდუმალი სიბოროტით მოღრეცილი ფანჯრის ჩარჩოები და ჩალეწილი შუშები, კრამიტ აყრილი სახურავი, მინგრეულ-მონგრეული კედლები და ნეხვით ავსილი კარ-მიდამო უჩინართ განმანადგურებელი ხელით დასახიჩრებულ ჩონჩხსავით გამოიყურებოდა. ქაიხოსროს გონების წინ ერთბაშად, რაღაც ჯადოსნური სიმკვეთრით ვადაეშალა ისტორიულათ აღმართული უზარ-მაზარი უფსკრული, რომელსაც უკვე ვეღარა ჰფარავდა ტრადიციული ნათელმირონობა, კეთილ მეზობლობა და თვალთ-მაქცი, ყალბი ენაწყლიანობა.

— ნათლი! რას აკეთებ მანდა? —მოესმა ფიქრებში გართულ ქაიხოსროს ილოს ნაცნობი მჭექარე ხმა.

— რა უნდა ვქნა? —ყრუდ უპასუხა ქაიხოსრომ, —ვზივარ და აი, ამ დანგრეულ სახლს შევცქერი.

— მერე, შე კაი კაცო, ერთი როგორ არ შეგვეხმაურე? მტრისას ხომ არა ხარ? ეხლავე კიბეს გადმოგირბეინებ....

— აბა, შენ იცი, ჩემოი ილო, თორემ პირდაპირ სასაცილო საქმე მემართება. სახლში ვეღარ ავსულვარ.

— კიდევ კარგი, გადმოვიარე, ვიფიქრე ნამგზავრია, იქნება რამე დასჭირდეს მეთქი! რას ვიფიქრებდი, აქამდის გარედა ზიხარ! ერთხელ კიდევ დასჭექა ილომ და სახლისაკენ გადაეშვა,

ქაიხოსრომ ილოს თვალი გააყოლა და ამოიოხრი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

ახალი პატრონი

მალე შავგულაძიანთ ნაგნრევებზე ორ სართულიანი სახლი წამოიჭიმა. პიველ ნახევრად მიწაში ჩასულ სართულში ქაიხოსრომ დიდი და განსაკრებული ვარაუდით დაგეგმილი სარდაფი გამართა. ეს სარდაფი მომავალი ფრანგული ღვინოების საწყობად უნდა გადაქცეულიყო, ახალი ტიპის მარნად, სადაც ქვევრების ნაცვლათ უზარ-მაზარი კასრები დაიდგმებოდა და ძველებურ საწნახელს მექანიკური საწურავები შესცვლიდა. ეს სარდაფი, ქაიხოსროს გეგმით, მეღვინეობის ლაბორატორიად უნდა გადაქცეულიყო. მეორე სართულში საცხოვრებელი ბინა გაიმართა. გრძელი დერეფანი სახლს ორს დამოუკიდებელ ნაწილად ჰყოფდა. დერეფნის მარჯვნით დიდი და ფართო ოთახები ქაიხოსრომ ევროპიული გემოვნებით მოაწყო და ქალაქიდან მოტანილი ავეჯი განსაკუთრებულის მზრუნველობით მიალაგ-მოალაგა. სასადილო, დარბაზი და ორი პატარა, საგანგებოთ სტუმრისათვის აშენებული და მოწყობილი ოთახი პირდაპირ შუშაბანდიან აივანზე გადიოდა და მაღლობიდან მინდვრებსა და ვენახებს გადაჰყურებდა.

დერეფნის მარცხნით ქაიხოსრომ თავისი პირადი საცხოვრებელი გაიმართა ორი პატარა ოთახი ეზოში გადიოდა. ეზოს გარშემო ცაცხვები და აკაციები ჰქონდა ჩარიგებული, შიგნით იასამანისა და ვარდის ბუჩქები იზრდებოდა. აივნიდან ხეივანი პატარა აუზისკენ ეშვებოდა და აქ მარაოსავით იშლებოდა.

საცხოვრებული ბინა ქაიხოსრომ სპარტანული სისადავით მოაწყო. კირით გალესილი კედლები, რკინის კრაოტი, ჩალის ლეიბ-ბალიში, თხელი ბაიკის საბანი, პატარა მაგიდა და ჟესტის უბრალო პირსაბანი, —აი ქაიხოსროს საწოლის მთელი მოწყობილება.

მეორე უფრო ფართო ოთახი კაბინეტსა და ბიბლიოთეკას დაუთმო.

პედანტიური წესრიგით ჩარიგებული წიგნები ადამიანის ნაფიქრითა და ნაგრძნობით იყო დაღარული. ნერვიულად გასმული ხაზები, ხან ლურჯი, ხან წითელი, ხან შავი, —კითხვითი ნიშნები, სადაც უცნაური წერილები და მხოლოდ მკითხველისათვის გასაგები იორგლიფები ფურცლებში პატრონის ბნელის სულის საიდუმლო ანაბეჭდათ ჩამალულიყვნენ.

თახჩებზე მწკრივად ჩარიგებული წიგნები თითქოს მათი პატრონის მეორე არსებად გადაქცეულიყვნენ. ფანჯრებზე ჩამოფარებულ ყავის ფერ ფარდებს მზის შუქი ვეღარ ატანდა. ბიბლიოთეკა დღისითაც ყოველთვის ჩაბნელებული იყო და როგორღაც ცივად გამოიყურებოდა, როგორც თვით ქაიხოსროს გაყინული თვალები. შუალამისას, როდესაც ხალხს ძილი დაეუფლებოდა ქაიხოსრო შავგულაძე აქ ამ ჩაბნელებულ ოთახში იკეტებოდა და პატარა ლამფის ბჟუტავ შუქზე წიგნების ფურცვლას იწყებდა.

გადიოდა წუთები, საათები. ამ წუთებსა და საათებს ქაიხოსრო ხან მიწის წიაღში ჩაჰყავდა და ქიმიურ ანალიზებში აღრმავებდა, ხან საბერძნეთის ფილოსოფოსებთან აბაასებდა, ხან რომის კეისრებთან აკამათებდა, ხან მეტერლინკის მისტიურ ბურუსში ახვევდა. მეორე დღეს-კი, გათენებისას, საშინაო ხა-

ლათში თბილად გახვეული ქაიხოსრო აივანზე იდგა, დილის სუფთა ჰაერს ხარბათ ისუნთქავდა და თავისი ჩაფერფლილი თვალებით სივრცეს გასცქეროდა. ამომავალ მზის პირველ სხივებს თან მოჰქონდა მიძინებული ცხოვრების დუღილი. ღამის გალიუცინაციებით დანისლული ტვინი იწმინდებოდა, მოდუნებული ძარღვები იჭიმებოდა და გაკაჟებული ნების-ყოფა სამოქმედოთ იმართებოდა.... სენტიმენტალური გრძნობები წყვდიად ღამესთან ერთად იკარგებოდა, პლატონის იდიალისტური ფილოსოფია გულის სადღაც მიყრუებულ კუნჭულებში იბუდებდა და არისტოტელეს სილოგიზმებშიც ცხოვრების ლოღიკაში იბლანდებოდა. თენდებოდა დღე და თან მოჰქონდა ძარღვებ-დაჭიმულ ადამიანთა ბრძოლის ვნებიანობა....

* * *

სახლის შემდეგ ქაიხოსრომ ვენახისა და ბაღის გაშენება დაიწყო. ერთხელ როგორღაც სოფლიდან წავიდა. ათი დღის შემდეგ შარა გზაზე ურმების ქარავანი დაინახეს. წინა ურმის კოფოზე თვით ქაიხოსრო იჯდა და ხალისიანად ხარებს ერეკებოდა, მუხის ბოძები და ეკლიანი მავთული მოიტანა. ურმები ნაზვრევთან გააჩერა და ბოძების გადმოწყობას შეუდგა.

ბინდდებოდა. მინდვრიდან დაბრუნებული მუშები შარაზე ჩერდებოდნენ და გრძლად გადაჭიმულ მუხის ბოძებსა და პრიალა ეკლიან მავთულს ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდენ.

— ე, ყველა კარგი, ნათლი, მაგრამ სხვა სოფლელები რომ არ მოგეყვანა, ამ მუხის ბოძებს განა ჩვენ კი ვერ მოვიტანდით! ქირა მაინც არის და რად დაგიკარგე? —შეეკითხა ერთი წვერებ გაბურძგნული, დაგლეჯილ ფარაჯაში უცნაურად გახვეული გლეხი, რომელსაც მეტ სახელად ბრუციანს ეძახდნენ.

— შენ ქირასა სჩივი და ზოგი ამ ლიყიანსა ჰკითხე, დანა რომ დაარტყა წვეთი სისხლი არ გამოუა, —უპასუხა მეორემ, ბარის წვერი მიწას ჩაჰკრა და რუს პირად ჩამოჯდა.

— ვითომ რატომაო? —იტკიცა ლიყიანმა.

— ზოგი ამის შემდეგ გადაჰხანი ამ ზვარში ანეულები?

— რა უყოთ მერე, და ძალა მაქვს? პატრონია და უვლის. შენი ლომ ყოფილიყო ასე ალ მოიქცეოდი? ლალას გიკვილს?

— ლიყიანს რა? მარტო შარშან არ მოხნა აი ის პატარა ნაჭერი! შენ ილუა თანდილაშვილი ნახე ლომბეშოსავით გაბღენძილი რომ დადის, აბა, ერთი ჩემი ტატიაც დავაქორწილო. შავგულაძიანთ ნაფუზარში იმასაც თუ არ წამოუჭიმე სახლი, კაცი არ ვიქნებიო! გახსოვს, გიგლა, როგორ ტრაბახობდა?.

სატრაბახებელი არა აქვს თუ? ცხონებული ამი მამის ნაფუზრები სულ იმან არ ჩაიგდო? მარტო ფერდის მიწა რადა ღირს! კუპრივით ბილტებად გადმოაქეს ხოლმე გუთანსა. აი, ამ ხნის კაცი მოვიყარე და ფერდის მიწა ჯერ მოცდენილი არ მინახავს. რა იცოდა, იმ ცხონებულმა! გზა კვალი აუბნია. ეს ჭაობიანიაო, ეს ქვიშიანიაო!

— ზოგი ეხლა იფარფაშოს!..ვერა ხედავ, როგორ ამრეზილი დადის! კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

— იმას რაღა უჭირს! გამართული გუთნეული, სახლები, ორი ბოსელი, საბძლები, ეკაცი ყელამდის აივსო. ცოტა კი არ სწუწნა შავგულიძიანთ ქონება. შენ ისა სთქვი, შენ რაღა უნდა ჰქნა, შე უბედურო, სასიმინდოდ მიწა! რომ აღარსადა გაქვს!

— რა ვქნა! რაც იქნება, იქნება! ყველაფერი ღვთის განგებაა! —ამოიოხრა მოხუცმა. ეაცმა და სევდიანი თვალები ნაზვრევს გადაავლო.

რუსთან მოგროვილ სოფლელებს შორიდან ყურს უგდებდა ერთი ახალგაზრდა გლეხი, რომელიც თოხის ტარს დაყრდნობოდა და ხან გრძლად გადაჭიმულ მუხის ბოძებს გასცქეროდა, ხან მომუშავე ქაიხოსროს თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდა; გლეხი თითქოს რაღაცას საზრიანობდა და უკვირდებოდა, ზოგჯერ კი შუბლ-შეჭმუხვნილი თავის მეზობლებს უბღვეროდა: მათი ლაპარაკი თითქოს არ მოსწონდა და აბრაზებდა.

— რას იბღვირები, ზალიკო? —რაღაც გესლიანი, დამცინავი კილოთი მიუბრუნდა განმარტოვებულ ახალგაზრდას ბრუციანი და ულვაშებში ჩაიცინა — არ მოგწონს, განა? კაი დუმა ჩამოგაცალეს, არა? შარშან რომ იხარბე და ამ მიწაში წილი არ დამიდე, განა შეგრჩებოდა! ეხლა როგორა სარ?.

— რა შენი თხელი ჭკუის საქმეა! —შეუბღვირა ზალიკომ.—შენ ხომ მოგწონს და სხვა რაღა გინდა? ისე ხომ ქონი გაგდის გვერდებში და კიდევ ერთი ბატონი თუ წამოისვი კისერზე, მაშინ ხომ სულ აშენდები; ისემც ცხონდება გაქუცული მამაშენი!.

— გაქუცულიცა ხარ და გაქეციანებულიც, შე ვირო, შენა! —გაჯავრდა ბრუციანი და ბუზღუნით ზალიკოს მოსცილდა. —ისე დიდგულად არის, თითქოს შავგულიძიანთ ზვარს ეს აკეთებდეს!... გაქუცული! მამაშენი ხომ სულ ნაზუქების სინოყივრემ დაახრჩო, მამაგიცხონდა! —ვერ ისვენებდა ბრუციანი.

— მაინც ლას აპილობ აქა, ნათლი? —ხელმეორედ ჩაერია ლიყიანი და ქაიხოსროს გვერდით ამოუდგა.

— რას ვაპირებ? —ტუჩებში ჩაილაპარაკა ქაიხოსრომ, რომელიც სწორედ ამ დროს დიდ მუხის ბოძს ხვნეშით ურმიდან მიათრევდა. —თავიდან აუწიე, მიხო, თავიდან! ხო, ეგრე! ეხლა ამ მხარეს ჩაურიგოთ, თორემ მანდედან შეიძლება წყალი შეუდგეს.

ურმები დასცალეს. ქაიხოსრომ გაჭუჭყიანებული პიჯაკი გაიბერტყა და მხარზე გადაიგდო

— აბა, ხალხო, რას იტყვით კარგსა? —მიუბრუნდა უცებ სოფლელებს და თავისი შუბლში ღრმად ჩამძვრალი თვალები განმარტოვებულ ზალიკოს მიაშტერა. —წეღან რომელმა იკითხა, ქირა რად დაგვიკარგეო? მე, ჩემი ძმაო, სანამ ამ მეურმეებს გავურიგდებოდი, ჩვენებურებს შევეხმაურე. არავინ ყურადღება არ მომაქცია. ზოგს არ ეცალა, ზოგს კამეჩი დაუკოჭლდა, ზოგს მოსარწყავი გამოუჩნდა. აბა, რა ვქნა! მე ბატონი არა ვარ და თქვენ-ყმები, რომ ძალით გამუშაოთ! აი ეხლაც, ნახევარი ბოძი მოსატანი მაქვს. თუ გინდათ, წამომყევით. ფასი იცით. არ გინდათ —თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვის! —მტკიცედ და გადაწყვეტით უთხრა ქაიხოსრომ, — ხვალ დილით ადრე სადგურზე უნდა

გადავიდე, მეზობლებშიც ხმა მიაგდ-მოაგდეთ. ამაღამვე შემატყობინეთ, რომ მეც ჩემი თავდარიგი დავიჭირო, —დაუმატა ქაიხოსრომ და სახლისკენ გაემართა. აღმართს რომ მიუახლოვდა, ცოტახანს შეფიქრიანდა, მობრუნდა და ნაზვრებთან შეჯგუფულ სოფლელებს თვალი გადაავლო.

— ბრუციანო, ჰა, ბრუციანო! —გადაესძახა ზევიდან ქაიხოსრომ და ღობის ძირას ქვაზე ჩამოჯდა.

ბრუციანმა ყურები ცქვიტა და ქაიხოსროსკენ გაძუნძულდა,

— ბიჭო, მოდი, პატარა ხანს აქ ჩამოჯექი! —მიუბრუნდა ქაიხოსრო ბრუციანს და დაფლეთილ ფარაჯში გახვეულ გლეხს თვალი გადაავლო. —შენ დარბაისელი კაცი ხარ, მაგ ლახლანდარა ხალხის აყოლა არაფერს გარგებს. მაგათ საქმე გვერდზე აქვთ მოგდებული: ხარ-კამეჩით გამართული არიან, ცოტ-ცოტა მიწებიც ეგულებათ; შენ თუ მაგათ ფეხის ხმას აჰყევი, სულ ეგრე ტიტველ-შიშველი და ცარიელი იქლი. ამის შემდეგ აქ ბევრი საქმე მექნება; არ გინდა ჩემთან იმუშაო? —შეეკითხრა ქაიხოსრო ბრუციანს და თვალი თვალში გაუყარა.

— რატომაც არ მინდა..... ახლა.... ვითომ.... რატომ არ უნდა მინდოდეს? —როგორღაც ორჭოფულად უპასუხა ბრუციანმა და კისერი მოიფხანა.

— ჰოდა, თუ მუშაობა და წელში გასწორება გინდა, ხვალ ჩემთან გადმოდი, ორიოდ სამიოდე შენისთანა დარბაისელი კაციც გადმოიყვანე და ბოძების გადმოსატანად წავიდეთ, ქირას კარგს მოგცემთ, არ გაწყეინებთ. მაშ ეგრე, ხვალ გელი! —მოკლედ მოუჭრა ქაიხოსრომ და წამოდგა.

ბრუციანმა აღმართზე მიმავალ ქაიხოსროს თვალი გააყოლა. მერე ნაზვრევისკენ გაიხედა და ჩაფიქრდა.

— ჰო, მართლა, აბა, აქ მოდი! --წამოიძახა უცებ ქაიხოსრომ,—თუ გინდა ფულს წინდაწინ მოგცემ! —შემპარავი კილოთი უთხრა ქაიხოსრომ, როდესაც ბრუციანი მიუახლოვდა და ქაიხოსროს ხელში დაბღუჯული ფულის დასტას ალმაცერად თვალი გადაავლო.

— ოჰ, აგაშენოს ღმერთმა! —სასწრაფოდ უპასუხა ბრუციანმა, საჩქაროდ ფული გამოართვა, ჭუჭყიან ტილოს ნაგლეჯში შეახვია და უბეში ჩაიდო.

— ნათი...ნათი... მე... მე... იქა... იქა.—მოესმა ქაიხოსროს უკანიდან ნაცნობი ბლუყუნი.

— ოჰ, შენა ხარ, ტიღურ?

— მე... მე... იქა... იქა... ნტა.... ნტა...

— მოიტანე! კარგს იზამ, პირი წყაროს ცივი წყლით ჩავისველოთ.

ტიღურა ქაიხოსროს ხტუნაობით მისდევდა, რაღაცას ბლუყუნებდა და თან ხელებს იფშვნეტდა. დაგლეჯილი, დაძონძილი ფარაჯა დახეთქილსა და დაწყლულებულ სხეულს ძლივს უფარავდა, ფეხზე ქალმანის ნაცვლად ჭუჭყიანი ძონძები შემოეკრა. ერთ თვალზე ბისტი ჰქონდა გადაკრული, მეორე განუწყეტლივ ეცრემლებოდა; დალურჯებული ტუჩებიდან დორბლი სდიოდა.

ეს უცნაური უპატრონო არსება, სოფლის გიჟი, ქაიხოსროს თავიდანვე გაუშინაურდა, ძნელი სათქმელი იყო, ტიღურას სნეული სული მუდამ წარბშეკრულ მოღუშულ, გულჩაბრობილ და ჯიუტ ქაიხოსროს სულს რა იდუმალი ძაფებით

გადაენასკვა. ხალხში ყოფნა ქაიხოსროს არ უყვარდა. თავის ახლად აშენებულ სახლში განდეგილივითა სცხოვრობდა და არავინ იცოდა, გრძელსა და მოსაწყენ ღამეებში დარაბებ გამოკეტილ ფანჯრებს იქით ეს უცნაურად განმარტოვებულა ადამიანი რას აკეთებდა. და აი, ხალხს ძორიდებული ქაიხოსრო ხშირად საათობით ტიღურასთან იჯდა და გიჟის უცნაური ჟარგონით ერთობოდა; ცნობის მოყვარეობით ჩასცქეროდა ტიღურას ამღვრეულ თვალებს, რაღაც უცნაური სიჯიუტით აქოთებდა მის სნეულს გულს, თითქოს ხილული არსების გადაღმა ჰსურს მისი მეორე, დაფარული სახიერება დაინახოსო.

ტიღურაც ქაიხოსროსთან თითქოს იცვლებოდა. ეს საცოდავი არსება თითქოს მთელს თავის შინაგან ძალას იკრეფდა, რომ მასპინძლისთვის ესიამოვნებინა და მისი განზრახვები გაეგო. მის შეშლილ ტვინში თითქოს რაღაც აზრი დატრიალდებოდა ხოლმე და თვალებშიც შეგნების მზგავსი ნაპერწკლები გაუთამაშებდა. ტიღურას რაღაც განსაკუთრებული ძაღლური ერთგულებით უყვარდა ქაიხოსრო და ძაღლური ალღოთი მიუხვდებოდა ხოლმე, როცა პატრონი კარგს გუნებაზე ჰყავდა; მაშინ ტიღურაც ველური სიხარულით ხტოდა, ხელებს იფშვნეტდა და განუწყვეტლივ ბურტყუნებდა. მაგრამ საკმარისი იყო ქაიხოსროს წარბი შეეკრა და ერთხელ მრისხანედ გადაეხედა, რომ ტიღურა მაშინათვე გაჩუმებულიყო, განაბულიყო და ფეხაკრეფით სახლიდან გაპარულიყო.

გიჟის ენა ქაიხოსრომ კარგად შეისწავლა და თავის მარტივ აზრსაც ადვილად აგებინებდა. ქაიხოსრო ტიღურას ხშირად ჰსაქმავდა და არ ყოფილა არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომ ამ შეშლილ ადამიანს დავალება სწორედ არ შეესრულებინა. „ჯადოს უშვრება, თუ რა ჯანდაბაა“ — ჰკვირობდნენ ხშირად მეზობლები, როდესაც ტიღურას ასეთ საქმიანობასა და ერთგულებას ხედავდნენ.

— აბა, ტიღურავ, ეს კოკა წაიღე, კარგად გამორეცხე და წყალი მოიტანე. მერე დავსხდედ და პური ვჭამოთ. კარგი?.

— ხო... ხო... მე... მე... იქა... იქა... ესა... ესა... ჭუპა... მერე აქა... მაშა... მაშა,.. ხო... ხო, —მხიარულად წაიბურტყუნა ტიღურამ, გოზაურს ხელი წამოავლო, კიბეზე შურდულივით დაეშვა და წყაროსკენ გაქანდა.....

ქაიხოსრო და ტიღურა გაჩუმებული სჭამდნენ. ქაიხოსრო თავის ფიქრებში იყო გართული: ჰგეგმავდა, ხაზავდა, ლარი გაჰყავდა, ნიადაგს სინჯავდა, ყურძნის ახალ ჯიშებს არჩევდა. ტიღურაც გაჩუმებული იყო. იგი თითქოს ჰგრძნობდა, რომ მისი პატრონი მძიმე ფიქრებში იყო გართული; ჰგრძნობდა, რომ მრისხანე მეგობარს მისთვის არ ეცალა და უადგილო კუნტრუში ძვირად დაუჯდებოდა. ტიღურა თავჩაღუნული ჩუმად იღმურძლებოდა და გაქონიანებულ ტუჩებს ენით ილოკავდა.

— ეხლა, ტიღურ, ერთი რამ უნდა გიჩვენო! ვინძლო არ შემარცხვინო და კარგად გაუფრთხილდე! —მიუბრუნდა ქაიხოსრო ტიღურას, როცა პურის ჭამა გაათავა.

ტიღურამ თავისი სახელი რომ გაიგონა, თვალები უცნაურად აახამხამა და გაოცებით ჩააშტერდა ქაიხოსროს, რომელმაც ტახტის ქვეშიდან რაღაც გამოაძვრინა. ახალ-ახალი ფარაჯა იყო.

— აბა, ტიღურ, ეს ფარაჯა შენია! მოგწონს?

ტიღურა გაშეშდა, მერე ნელ-ნელა უკან დაიხია და კედელს აეკრა.

— ესა... ესა... მე... მე... არა... არა...

— მოდი აქა! —მკვახედ უთხრა ქაიხოსრომ და მრისხანედ თვალებიც დაუბრიალა. — ეხლავე ჩაიცვი!.

ქაიხოსრომ თითქმის ძალით გააძრობინა ჭუჭყიანი ძონძები და ფარაჯა ჩააცვა.

ტიღურამ თავის თავს ახედ-ჩახედა და შეშლილი თვალები ქაიხოსროს მიაშტერა. უცებ როგორღაც საზარლად დაიღმუილა, პირქვე დაემხო და დორბლიანი ენით ქაიხოსროს ფეხებს ლოკვა დაუწყო.

— ტიღურ! —დაუყვირა ქაიხოსრომ და ფეხები დაუტყაპუნა.

ტიღურა მაშინათვე წამოდგა და კუთხეში აიტუზა.

— აი, ეს წინდები და ქალამნებიც შენია, წადი, წყაროზე ფეხები კარგად დაიბანე, ჩაიცვი და აქ მოდი. გესმის?.

— ხო... ხო... მე... მე... იქა... იქა... ფეხი... ჭუპა-ჭუპა....

მინდვრიდან დაბრუნებული სოფლელები იმ საღამოს ხედავდნენ, რომ ტიღურა წყაროს პირას იჯდა, თავისთვის რაღაცას მხიარულად ბურტყუნებდა და ქვიშით ფეხებს გამწარებული იხეხავდა.

3

პირველი ბრძოლები

— შენ რაღას გაჩუმებულხარ, ილო? —მიუბრუნდა ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ ერთი გლეხი თანდილაშვილს, რომელიც საფლავის ქვაზე ჩამომჯდარიყო, თავის განუყრელ ჩიბუხს თამბაქოთი სტენავდა და სოფლელების ამღელვარებულ ბჭობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. —ჭკვიანი კაცი ხარ და შენი დუმილი საგონებელში გვაგდებს. იქნება ჩვენი მოთხოვნა უსაბუთოა? სასოფლო საქმეზე ვლაპარაკობთ, ჩემო ილო, და ორიოდე სიტყვა შეგვაწიე. აბა, შენ თითონვე გასაჯე! ამ წყაროთი სოფელი მამაპათაგან სარგებლობდა. ეხლა კი ქაიხოსრო მოვიდა და სასმელ წყალს მართულით გვიღობავს! განა, კანონი მაგის ნებას აძლევს? —ყრუდ დაუმატა გლეხმა, კომბალს დაეყრდნო და ილო თანდილაშვილს თვალებში ჩააშტერდა.

ილომ ერთბაშად არ უპასუხა. მან იგრძნო, რომ სასოფლო საქმიდან გამოთიშვა გლეხებში ავტორიტეტს დაუკარგავდა და საერთო მტრის ბანაკში მოაქცევდა. მაგრამ ქაიხოსროს წყენაც არ უნდოდა. გამოსარჩენი თუ რამ იყო, ისევ ქაიხოსროსთან იყო, და ამისთანა კაცის გადაკიდება ილოსთვის რა სახეირო უნდა ყოფილიყო? ამიტომ პირდაპირ მომართული კითხვისათვის ილომ ერთბაშად პასუხი ვერ იპოვა.

სოფლელები ეკლესიასთან მოგროვილიყვენ. ზოგი ჩამონგრეულ კედელს მიჰყუდებოდა, ზოგი საფლავის ქვაზე ჩამომჯდარიყო, ზოგი კი შორიახლოს მწვანე ბალახზე წამოწოლილიყო.

საღამო იყო. მთის კალთაზე აკრულ სოფელს ბინდი გადაეფარა და შორი მთების მწვერვალები ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივებით დაიკერცხლა. ეკლესიასთან მოგროვილი ხალხი მთების ჩდილში გაეხვია. საფლავებშორის ფაფარ-ტული სილუეტები როგორღაც ნაცრის ფრად გამოიყურებოდნენ. შორიდან კავთურის შრიალი ისმოდა. მისი ყრუ დუდუნი გარინდული ბუნების მყუდროებას არღვევდა და თავისი ხმაურობით თითქოს ეკლესიასთან გაშლილი ხალხის ამღელვარებული გულის ფეთქვას ბანს აძლევდა.

— მაშ, შენ რასა ფიქრობ, ილო? გახა კანონი მაგის ნებას მისცემს? ჩვენ ხომ თავისას არაფერს ვედავებით? აი, მეც ზვრიდან გამომაგდო, მაგრამ რა ძალა მაქვს? ბევრი რომ ვიხტუნაო, ვერას გავხდები. მაგრამ ეს ხომ სასოფლო საქმეა! წყალსა და ჰაერს ვერავინ დაგვიჭერს. რავქნა, მე ჩემი მოკლე ჭკუით ისე ვფიქრობ, რომ კანონი ნებას არ მისცემს...

— მე თუ მკითხავთ, —ტკეპნით წარმოსთქვა ილომ, —კანონი ქაიხოსროსკენ იქნება. იმიტომ რომა, თუ კანონზე ჩამოვარდება...

— რას მიჰქარავ, რასა?—წამოიძახა შორიდან ახალგაზრდა გლეხმა ზალიკომ, საფლავების ქვებს გადმოახტა და ილო თანდილაშვილისკენ გადმოეშვა.

ილო ჭარხალივით წამოწითლდა, ტუჩები სიბრაზით გაულურჯდა და პატარა თვალები ბოროტი ცეცხლით აენთო.

— შენ ეი, ლაწირაკო, ბედისწერას ნუ აუტაციხარ! —ჩახლეჩილი ხმით უპასუხა ილომ და წამოდგა. —შენ თითონ მიჰქარავ, რომ მაგას მიბედავ, შე გველის წიწილო, შენა! —დასჭექა უცებ ილომ და ზალიკოსკენ გაიწია.

— ნუ ძალაობ, ილუავ, ნუ ქვეშქვეშობ შე ბებერო მელავ, თორემ სისხლი ყელში მოვიდა, ლამის არის ბრაზმა შუაზე გამხეთქოს! —კბილების კრაჭუნით უპასუხა გადაფითრებულმა ზალიკომ.

— ბიჭო, მოიცა, რა გითხრა! —ჩაერია ლაპარაკში უსინათლო მოხუცი ბერიკა. რომელიც იქვე ახლო ქვაზე ჩამომჯდარიყო და გლეხების ჯიჯღინს გაჩუმებული ყურს უგდებდა.

ბერიკა წამოდგა, ცახცახით ილოსკენ წავიდა და დინჯად ზალიკოს მიუბრუნდა.

— აბა, შვილო, როგორ შეიძლება! განა, ამის ჭაღარა წვერს ეგეთი უკმეხი სიტყვა-პასუხი ეკადრება? ნუ, შვილო! ბრიყვული ლაპარაკით თავს ნუ შეირცხვენ! შენ ჯეელობას, შენს ვაჟკაცობას ჩრდილს ნუ მიაყენებ, მოხუცთან და დედაკაცთან ყოველთვს ლმობიერი და თავდაბალი უნდა იყო, შვილო! ჩვენც დინჯად და წყნარად მოვისაზროთ. გამოვა ხო —რაკარგი, არ —გამოვა და ალბად, ასეთი ყოფილა ღვთის განგება! —სასოებით წარმოსთქვა ბერიკამ და უსინათლო ვალები ზეცას მიაპყრო.

— ღვთის განგება! —ჩაიცინა ზალიკომ და გვერდზე გადკა. —თქვენ ქაიხოსრო შავგულიძე კისერზე დაისვით და მერე ღვთის განგებას დააბრალეთ, რას ამბობ, ძია ჩემო, რასა! რის ღვთის განგება, რა ღვთის განგება! ვერა ხედავ, კაცი სალტესავით შემოგვერტყა და სუნთქა შეგვიკრა! წყალი რა არის, სასმელი წყალი, ისიც კი წაგვართვა! შენ კი გადმომდგარხარ და ღვთის განგებაზე ლაპარაკობ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხო და რა, მართალს ამბობს ე ბიჭი!

— წყლის წართმევა რაღა უბედრებაა!

— არც კანონი მისცემს!

— ჩვენ ჩვენი უნდა ვქნათ!

— დათმობა არ შეიძლება!

— ბიჭი ხარ—არ დაუთმობ!

— ვითომ რატომაო? მაშ, სამართალი აღარსად ყოფილა!

— შენმა თავისმა ხეთქამ, რაც სამართალმა შენთვის არ გასჭრას!—გაისმა აქეთ-იქიდან გლეხების ხმები.

— მოიცათ, ხალხო, —ჩაერია ლაპარაკში ილო თანდილაშვილი, —ყვირილი და მამლაყინწობა საქმეს ვერ უშველის. თუ საქმე კანონზე მიდგება, ვერას გავხდებით: კანონი წყაროს იმას მიაკუთნებს, ვის მამულშიც ამოდის; ჩემია და არ გაძლევო, გეტყვით. რა ძალა გაქვთ! ზალიკოსაც კარების წინ გემრიელი ნამყენი გარგალი უდგას. თქვენი სიტყვით, ვისაც გარგალის ჭამა მოუნდება, ყველამ ხელი უნდა წაატანოს! არა, ჩემო ძმაო, ასე წაღმა-უკუღმა სიარული ხეირს არ დაგვაყრის. ტყუილა უბრალოდ იმ კაცსაც გადავიკიდებთ და ვერაფერსაც ვერ გავხდებით.

— მაშ, რა ვქნათ კაცო!

— მაშ, უწყლოდ დავრჩეთ!

— შენ რა გიჭირს, შვილონიასა, წყარო სახლის თავით ჩამოგიდის!

— ზოგი ჩემს დედაკაცსაც ჰკითხე, კოკის ზიდვით წელი აქვს მოწყვეტილი!

ისევ აყვირდნენ გლეხები.

— რა უნდა ვთქვათ და უნდა ვთხოვოთ!—მტკიცედ წარმოსთქვა ილომ.— თუ გინდათ, ეხლავე ქაიხოსროსთან წავალ, ცოტახანს ჩვენთან გამოვიხმოთ. აქ დინჯად და მშვიდობიანად მოველაპარაკოთ. თუ დაგვყაბულდება, ხომ რა კარგი, თუ არა და —ტყუილი ჭიჭყინი იქნება...

ილო თანდილაშვილი ეკლესიიდან თავქვე დაეშვა, ქაიხოსროს ეზოსთან მივიდა და ფრთხილად ალაყაფის კარები გამოაღო. ეზოდან ძაღლმა გამოჰყეფა.

— ვინ არის?—გამოეხმაურა აივნიდან ქაიხოსრო.

— მე ვარ, ნათლი!—უპასუხა ილომ.

ქაიხოსრომ ილო სახლში შეიხმო.

— სადა ხარ, აღარსადა სჩანხარ! შენი გიორგაც ორი დღეა აღარ გადმოსულა. მოურაობა ხომ არ მოსწყინდა? —ღიმილით შეეკითხა ქაიხოსრო და ილოს სკამი მისთავაზა.

— მობეზრდა და —თითონვე იტეხოს თავი! სახვეწარი შენ არაფერი გაქვს! —პირმოთნეობით უპასუხა ილომ და ქაიხოსროს გამომცდელის თვალით შეხედა.

ქაიხოსროს ტუჩებში ჩაეცინა.

— ნამყენებს როგორი პირი უჩანთ?

— არა უშავთ რა. ვაშლებმა კარგად ითამამეს, მსხალი-კი როგორღაც ცუდად გამოიყურება, ფოთლები უყვითლდება.

— ბევრი წყალი ხომ არ მოზდის?

— ალბად, სწორედ მაგის ბრალი იქნება, რუ ზედ გვერდით ჩამოუდის!

— არ ივარგებს, უნდა დააშორო. ნაზი ჯიშის ხეა და ბევრი წყალი აწყენს. სხვა, ილო, რაზე გარჯილხარ? შენ ხომ უსაქმოდ არ მოხვიდოდე?

ილო სკამზე შეტორტმანდა კისერი მოიფხანა და ჩაფიქრდა.

— რა ვიცი, ამ ჩვენს სოფლელებს რაღაც სათხოვარი აქვთ და შუა კაცად გამომგზავნეს. წყაროს თაობაზე რაღაცას მიედებ—მოედებიან. სასოფლო საქმეა და ქაიხოსრო უარს არ გვეტყვისო! შენთან მოლაპარაკება უნდათ! აქვე ეკლესიასთან არიან მოგროვილნი.

— დიდი სიამოვნებით! სასოფლო საქმეს არასოდეს არ გავქცევივარ და არც ეხლა გავექცევი. პატარა მომითმინე, ხალათს გამოვიცვლი და წამოვალ!— ხალისიანად უპასუხა ქაიხოსრომ და ოთახში შევიდა.

გაოცებულმა ილომ ქაიხოსროს თვალი გააყოლა, წარბი შეიკრა და ჩაფიქრდა...

ქაიხოსრო ეკლესიასთან მოგროვილ ხალხს დინჯად მიუახლოვდა, მიესალმა და იქვე ახლო საფლავის ქვაზე ჩამოჯდა.

— ჩემთან რაღაც საქმე გქონიათ! —შეეკითხა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ქაიხოსრო და თავისი მუქი ყავისფერი თვალები გლეხებს არწივისავით შემოურბინა.

ხალხი გარინდული იყო.

— რას გაჩუმებულხართ? —კვლავ შეეკითხა ქაიხოსრო და ტუჩებზე ცოტა არ იყოს დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა.

— რა იყო, ნათლი, და, —დაიწყო ერთმა შუახნის გლეხმა,—ხალხს აი იმ წყაროს შესახებ უნდა მოგელაპარაკოს.

— რომელ წყაროს შესახებ?

— თქვენს ზვარში რომ ამოდის.

— რაო? შენ რომელ წყაროზე მელაპარაკებოდი, კაცო? —მიუბრუნდა ქაიხოსრო ილოს და თვალებში ბოროტმა ცეცხლმა გაურბინა. —მერე,რა გნებავთ? —მიუბრუნდა ისევ გლეხს და თვალი თვალს გაუყარა.

— რა გვინდა, ნათლი —და, ეხლა ე ზვარი რომ შემოღობე, სოფელი ხომ უწყლოდ დარჩა! წინათ ბილიკით ჩავდიოდით და ეხლა რაღა ვქნათ?

— მერე მე რა გიყოთ! მიწაცა და წყაროც ჩემია. ჩემს მამულ-დედულთან თქვენ რა გესაქმებათ? მაინც კარგად ვერ გავიგე, რა გინდათ? მამულზე ხელი ავიღო, თუ როგორ არის თქვენი საქმე?

— მამულს ვინ გედავება?

— უწყლოდ დარჩენაც არ შეიძლება!

— მაშ, ჩვენ რაღა უნდა ვქნათ?

— ბარემ სუნთქვა შეგვიკარით!

გაისმა კანტი-კუნტად გლეხების მოკრძალებული ხმები.

— მოითმინეთ, მოითმინეთ! —მტკიცედ შეაჩერა ქაიხოსრომ გლეხების ბუზღუნი. —თითქოს შეშლილები არა ხართ და ძალიან აბნეულად-კი ლაპარაკობთ! თუ მამულზე ხელს ვერ ამაღებინებთ და ფიქრობთ, რომ უფლება მაქვს ჩემს მამულში საქმე ისე მოვაწყო, როგორც მესიამოვნება, მაშინ რაღას მედავებით?

— როგორ თუ რას გედავებით?—წამოიძახა უცებ ზევიდან ზალიკომ, ნაბდის ქუდი გაისწორა და წინ წამოდგა.

— რა გნებავს?—მრისხანედ შესძახა ქაიხოსრომ და თვალები გადაუბრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისა მნებავს, რომ სოფელი უწყლოდ ვერ დარჩება!

— მერე?

— მერე ისა, რომ ზვარს შუა გზა უნდა დასტოვო, გაერთიანება არ შეიძლება!

— რას მეუბნები! —წამოიძახა ქაიხოსრომ და გადიხარხარა. —მე პატარა საქმეს არ ვიწყებ, —მიუბრუნდა ქაიხოსრო ხალხს, —მაგ შემოღობილ ადგილში ვენახის გარდა ბევრი რამ სხვაც იქნება გამართული: სანერგე, სათბურები, ბოსტანი. ეგ წყარო რომ არ იყოს! მიწა კიტრის ფასად არ ეღირება. თქვენ კი გადმომდგახართ და ზღაპრებს მელაპარაკებით. მაგრამ უწყლოთაც, რომ არა რჩებით! ილო თანდილაშვილის თავით კარგი წყარო გამოდის! იქიდან წყლის გამოყვანა ორმოც თუმანზე მეტი არ დაჯდება. თითოს ხუთი მანეთიც არ შეგხვდებათ. ითავეთ და გააკეთეთ. ჩემის მხრივ ამ სასოფლო საქმისათვის ათ თუმანს გადავდებ. ორ თვეში წყარო სოფელში გექნებათ. სხვა რაღა გინდათ? ზღაპრებსა და არეულ-დარეულ ლაპარაკს კი თავი დაანებეთ,, არც თქვენ სიდარბაისლეს ეკადრება და უნაყოფო წყლის ნაყვაც იქნება.

ქაიხოსრო გაჩუმდა. ხალხიც დადუმებული იყო.

— ეგრე! წყაროს გამოყვანას თუ დაიწყებთ, გამაგებინეთ და ამორჩეულ კაცებს ათ თუმანს გადავცემ, სხვაფრივ ვერ დაგეხმარებით. ეხლა კი გამარჯვებით! —გამოესალმა ქაიხოსრო და წამოდგა.—ხო, მართლა! —მიუბრუნდა უცებ ზალიკოს, —დამპალოს მიწა, მგონია, შენ გიჭირავს, ყმაწვილო! გუთანი აღარ შეიტანო, მე მჭირდება! —გესლიანად დაუმატა ქაიხოსრომ და სახლისკენ გაემართა.

— ყმაწვილო, ორიოდე სიტყვა მეც მომისმინე, თუ საწყენად არ დაგრჩება! —აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა უსინათლო მოხუცმა ბერიკამ და ფეხზე წამოდგა. —თვალით ვერა ვხედავ, მაგრამ ყურით მესმის, რომ გაჯავრებული ხარ. პაპიშენის სახლში გავიზარდე და ცხონებული მამიშენის ნათელ-მირონმა მასაზრდოვა. ჩემი ხნისა, მგონია, ქვაც აღარ ჰგორავს. ამიტომ მოხუცის ამ სიტყვებს, შვილო, კადნიერებათ ნუ მიიღებ. ხალხი, რომ გაჭირვებული არ იყოს, არც შეგაწუხებ ია. ზვრიდან გამორეკე, წყალი შეუკარი, აი, ზალიკოსაც ეხლა დამპალოს მიწა ჩამოართვი, ნაფუზრებში დიდი ხანია აღარავის უშვებ. სად წავიდეს ეს ხალხი? რითი იცხოვროს? ესენიც ხო ადამიანისშვილები არიან? ხალხის საზარალო საქმეს ნუ იზამ, უსოფლოდ ვერც შენ გასძლებ. ჩვენსშორის რომ შუღლისა და შფოთვის თესლი ჩამოვარდეს, კარგი არ იქნება, შვილო.

ქაიხოსრო მოხუცს მიუახლოვდა, მხარზე ხელი დადო და ცოტა არ იყოს ამღელვარებული ხმით ყრუდ უპასუხა:

— ცხოვრება თავის გზით მიდის, ჩემო მოხუცო, და მე და შენ მის მსვლელობას გზას ვერ შევუცვლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეხლა რაღას იტყვი? —მიუბრუნდა ერთი გლეხი მეორეს, რომელიც ქაიხოსრო გლეხების ჯგუფს მოშორდა და გორას მიეფარა. — ერა გაბულდება. რა უნდა უყო?

— რა უნდა უყო? თავში კეტს ხომ ვერ დაარტყამ?

— ეჰ, შვილოსანა! ერთი პირი არ გვაქს, თორემ ვერაფერსაც ვერ გაიტანდა. მაგის მამამაც ბევრჯერა სცადა ზვრის გაერთიანება, მაგრამ ვერაფერს გაიგა. მაგრამ ახია ჩვენზე! გლეხის საქმე სულ წაღმა მიდიოდა და ეხლაც წაღმა მიდის.

— ახლა ჩვენს შოლისა ლომა ვთქვათ, ლა თქვა იმ კაცმა ულიგო? ლატომ ალ შეიძლება წყალი გამოვიყვანოთ? —წამოიყოყლოჩინა ლიყიანმა.

— მეხი კი დაგაყარე მაგ ტუტრუცანა თავში!—უპასუხა გვერდზე მდგომმა ჯეელმა ბიჭმა და ლიყიანს თავში ჩაუტყაპუნა.

ხალხმა სიცილი დაიწყო.

— ლას მიქალავ, შე სულელო, შენა! ხომ ალ გინდა, გველდები ჩაგიმტვლიო —გაჯავრდა ლიყიანი და თავზე ჩამოფხატული დაფხავებული ნაბდის ქუდი გაის, წორა.

— ჰაი, თუ მუქთა კუბოში ჩაწვები, ლიყიანო! —ჩაურთო სიტყვა ილო თანდილაშვილმა.

— მუქთა კუბო ლათ იქნება!

— მაშ რა იქნება! ხელად თუმნიანები არ გადმოაწყო ან შენი გუთნეული ხარ-კამეჩი არ მოგვაშველო, შენმა თავისმა ხეთქამა! რა ძალა მადგია? წყარო იქვე ჩამომიდის. ვისაც სჭირდება, წყაროც იმან გამოიყვანოს.

— ამ ზალიკოს რაღა უყო, ვერა ხედავ?

— აბა, შვილო, ხომ გეუბნებოდი, ნუ ჭიჭყინობ მეთქი, —ნიშნის მოგებით მიუბრუნდა ილო თანდილაშვილი საყდრის კედელთან ატუზულ გადაფითრებულ ზალიკოს. —ერთი მიწაღა გეჭირა, შე საცოდაო და ისიც დაჰკარგე. ეხლა წადი და იკუნტრუშე.

— როგორ თუ დაჰკარგა! —შეჰყვირა ერთმა გლეხმა, რომელიც აქამდის გაჩუმებული იდგა და ილო თანდილაშვილს ამრეზილი უცქეროდა. —მაშასამართალი აღარსადა ყოფილა! ეგ რო მიწებს ეგრე ქორივით დააცხრეს, მალე სინსილას გაგვიწყვიტავს. ჩვენ კი აღარ გვინდა ცხოვრება! ხვალვე ერობაში გადავიდეთ და უჩივლოთ.

— უჩივლოთ, თორემ ერთბაშად წითელი კვერცხები არ გაგვიგორონ! ერობაც მაგათია და მთავრობაც!—უპასუხა მეორე გლეხმა.

— იმ დღეს დოყაანთ ნინო კი არ გადავიდა საჩივლელად, რომ ცარიელ-ტარიელი გამოისტუმრეს!—დაუმატა მესამე გლეხმა.

— მაგას სხვანაირად აეგება ანდერძი!—გადმოსძახა უცებ ზევიდან გადაფითრებულმა ზალიკომ და ამ ძახილმა რაღაც უცნაურ ზარსავით გაიბზრიალა გულჩათხრობილი, დასევდიანებული სოფლელების გულში.

უკვე დაღამდა, მთების მწვერვალებიდან ბადრი მთვარე ამოცურდა და შავად ჩაბნელებულ, მიძინებულ, გარინდულ სოფელს თავისი სხივები მოჰფინა.

— ეჰ, რაღასა ვდგევარ! ხვალ მინდორში ვარ წასასვლელი! —მიუბრუნდა ერთი გლეხი მეორეს. —მიხავ, ერთ ხარს ხომ ვერ მათხოვებ, ვინაცა მიწა მაქვს გამოსაფარცხი?

— აბა, როგორ გათხოვო! ერთი გიგამ წაიყვანა, მეორე კი დასანალი მყავს.

— არ ვიცი, რავქნა! მათიას შინა ჰყავს საქონელი?

— შინ უნდა ჰყავდეს!

ხალხი თანდათან იშლებოდა. სოფლის ყოველდღიური ჭირვარამი კვლავ მთელი თავისი სიმძლავრით წამოიჭრა და ხალხის გულში წუთით გაელვარებული ნაპერწკალი ჩაიფერფლა...

4

ყვავის ბუდე

რამდენ. მე წელიწადმა გაიარა. ნაზვრევში უზარმაზარი, ამერიკულ ძირზე დამყნილი ვენახი გაიშალა. ვენახს გარშემო ტყემლის თანაბრად შეკრეჭილი ლობე ჰქონდა შემოვლებული. ვენახის გვერდით ხეხილის ბაღი იყო გაშენებული. საკუჭნაოები ხილით, ჩირებით, თაფლით და რძის სხვა და სხვა ნაწარმოებით აივსო. სახლის უკან, დიდს ეზოში, ხის ფარდულებს ქვეშ აუარებელი ყუთები, კალათები და ჭურჭელი იყო ჩარიგებული. მძიმედ დატვირთული ურმები ხილს აქედან ეზიდებოდნენ. სარდაფში კასრები ღვინოებითა და ორ ნახადი არყით აივსო. ქაიხოსრო შავგულიძის სახლში სიმდიდრე და დოვლათი დატრიალდა.

სახლის გარშემო ჩამწკრივებული ალვის ხის ჩრდილები ფართო, მოწკრიალებულ ეზოში გრძლად გადაშლილიყვნენ და ციმციმემდნენ. საღამოს გრილი ჰაერი ყვავილების სურნელებით ფეთქავდა.

ქაიხოსრის სახლი მთი კალთაზე ყვავის ბუდესავით აკრულიყო და ზევიდან გადმოსცქეროდა პატარა სოფელს, რომელიც თავისი ერთმანეთზე მიყრილი დაბალ-ბანიანი სახლებით შორიდან როგორღაც შავად გამოიყურებოდნენ. სოფელი ორ მდინარის შუა იყო მოქცეული. ერთის მხრით გუდალულა ჩამოუდიოდა, მეორეს მხრით—კავთურა. პატარა გუდალულა, წყალდიდობის დროს მშფოთარე და მღელვარე, ზაფხულობით შრებოდა და პატარა ნაკადულად მორაკრაკებდა. მთიდან მოვარდნილი კავთურის ჩქარი, აქაფებული ტალღები - კი უზარმაზარ ლოდებს ეხეთქებოდა და მისი ბუტბუტი და გუგუნი ღამის მყუდროებაში ველურ ნანად ისმოდა.

ქაიხოსრო შავგულიძე რბილ სავარძელში იჯდა, თავისი დამშრალი, ძარღვიანი, ხმელი თითებით ქარვის კრიალოსანს ათამაშებდა და ზევიდან გაშლილ, ამწვანებულ ზვარს გადასცქეროდა. შორს ჭალები და სოფლელების ნახევრად გადაბმარი, ჩაყვითრებული ვენახები მოსჩანდა. ასწლოვანი კაკლის ხეები თავისი გაზიდული ტოტებით ამაყად გამოიყურებოდნენ. ჭალებსა და ვენახებს უკან თვალგადაუწვდენელი, აბიბინებული მინდორი იშლებოდა. შორი-ახლოს კავთურის შრიალი ისმოდა. მდინარის ეს დუდუნი, შავად ჩაბნელებული ხეობა

განაბული ბუნების სიჩუმე და ყვავილების სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი ნერვიულად ათრთოლებულ გულს ამშვიდებდა, აწყნარებდა, [illegible] ცხოვრებასთან არიგებდა და კოსმიური დაუსრულებლობის [illegible] ინებდა.

ქაიხოსრო შავგულიძე ამ საღამოს როგორღაც მოდუნებული იყო. მისი დიდი შეჭმუხვნილი წარბებიდან ყავისფერი თვალები ჩვეულებრივი მრისხანებით არ გამოიყურებოდნენ. გაშლილი შუბლით და დაწმენდილი თვალებით გადასცქეროდა უზარმაზარ ზვარს, ზვრის გვერდით გაშენებული ბაღის გრძლად გაჭიმულ ხეხილებს და ყინულივით ცივს გულს სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობა უთრთოლებდა.

ოთახიდან ძველებური ვალსის ხმა ისმოდა. კლავიშებზე ვიღაცის მტკიცე თითები დასრიალებდა და პიანინოს მელოდიურს, მთებში გადაკარგული სოფლისათვის უჩვეულო ჰანგებს დადუმებულ სივრცეში ჰფანტავდა.

უცებ მუსიკა შესწყდა.

— ძია, ჩაის არ მიირთმევთ? —მოესმა ჩაფიქრებულ ქაიხოსროს წკრიალა ხმა.

კარებში ახალგაზრდა, ჩვიდმეტ—თვრამეტი წლის ქალი იდგა. ორი გრძელი, ოქროს ფერი ნაწიავი მხრებზე ეყარა. პატარა ცხვირთან და ლოყებზე ოდნავ დაყრილი ჭორფლი მის ცქრიალა სახეს და მოჟუჟუნე თვალებს რაღაც განსაკუთრებულ სილამაზეს აძლევდა.

ეს ქალი ქაიხოსროს დისწული ელენე იყო. ელენეს დედმამა მალე დაეხოცა და უპატრონოდ დარჩენილი ობოლი გასაზრდელად უცოლშვილო ქაიხოსრომ აიყვანა. ეხლა ელენე სოფელში ისვენებდა და თავის მჩქეფარე ახალგაზრდობით მარტოხელა ქაიხოსროს გაციებულ კერას ათბობდა.

ქაიხოსრომ ელენეს ნაზი სიყვარულით გადახედა და წამოდგა.

— სიამოვნებით, ჩემო კუდრაჭავ! — უპასუხა ქაიხოსრომ და ელენეს შუბლში აკოცა. — შენი სტუმრები სადღა არიან? რად დაიგვიანეს?

— ალბად, მალე მოვლენ! — უპასუხა ელენემ.

— ისიც ხომ გაგვაბედნიერებს თავიანი მობრძანებით? —ეშმაკური ღიმილით ჰკითხა ქაიხოსრომ და დისწულს გამომცდელი თვალით გადახედა.

— რაში მეკნაჭება! — ტუჩაბზეკით უპასუხა ელენემ და აილწა.

— კარგი, გენაცვა! ოღონდ კი ცეცხლად ნუ დაიწვები და აღარაფერს გკითხავ! —უთხრა ქაიხოსრომ და გაწითლებულ ელენეს თვალი მოარიდა.

ბიძა-დისწული სასადილო ოთახში შევიდნენ. ოთახის შუაში გრძლად გაშლილ მუხის მაგიდაზე უკვე სამოვარი ჩუხჩუხებდა. ბუფეტის შკაფიდან ელენემ ჩაის სერვიზი გამოალაგა და ბიძას ჩაი გაუკეთა.

— ხომ აღარაფერი გნებავთ, ბიძია?

— არაფერი, გენაცვალე!

— მაშ, მე კავთურიკსენ გადავირბენ, შეიძლება რიყე-რიყე წამოვიდნენ, მოკლე გზითა.

— როგორც შენს პაწაწკინტელა გულს ესიამოვნებოდეს, ჩემო კარგო! — უპასუხა ქაიხოსრომ და სიყვარულით თვალი გააყოლა დისწულს, რომელმაც საჩქაროდ თავზე შარფი მოიგდო, წიგნი აიტაცა და სახლიდან გავარდა.

ელენემ წისქვილს ჩაუარა, ღიმილით მიესალმა მოხუცებულს მეწისქვილეს, რომელიც იქვე წისქვილის კარებთან დიდს ლოდზე ჩამომჯდარიყო და ჩაფიქრებული ჩიბუხს აბოლებდა; გზაში გაჩხირულ ტომრებით დატვირთულ ურემს გვერდით აუხვია, ლომა კამეჩს ჭკვიან თვალებში შეხედა, გახურებულ, ბანჯგვლიან შუბლზე ხელი გადაუსვა, პატარა ჩახრიალაზე გადახტა და ვიწრო ორლობით კავთურისკენ წავიდა.

მდინარის ნაპირთან ნერგის ქვეშ დიდ ქვაზე ჩამოჯდა და კითხვა დაიწყო. გატაცებული და აღელვებული კითხულობდა. კნუტ ჰამსუნის ვიქტორიას უკანასკნელი, ღრმა სევდითა და კაეშნით სავსე სიყვარულით აცრემლებული წერილი ელენეს პატარა გულსაც აფორიაქებდა და ამღელვარებდა. ვიქტორიას ტანჯვით აცრემლებულმა ელენემ ვერ შეამჩნია, მდინარის მეორე ნაპირას საპალნით დატვირთული ურემი როგორ მოადგა. კოფოზე ჯეელი შავგვრემანი, მოკლე ახალუხში გამოკრული ყმაწვილი იჯდა. პატარა კახური ნაბდის ქუდი კეფაზე ძოეგდო და ჩუმი, რაკრაკა ხმით ურმულს დაღიღინებდა.

ყმაწვილმა ხარებს სახრე გადაუტყლაშუნა და ურემი რახრახით წყალში შეაგდო. შუა წყალში ურმის თვალი დიდს ლოდს გამოედო. ურემმა გაიჭრაჭუნა და გაჩერდა. ჰაერში იფნის სახრემ გაიზუზუნა და ხარს მუცელზე შოლტივით შემოეკრა. ხარმა კისერი წაიგრძელა, გაოწია, მაგრამ ურემი მაინც ადგილიდან ვერ დასძრა. ელენემ შუა წყალში გაჩხირული ურემი რომ დაინახა, წამოხტა წიგნი ქვაზე დასდო და ნაპირთან მიირბინა.

— რა დაგემართა?— გასძახა მეურმეს.

— რაღა რა დამემართა, ე ვერანა ურემი ნაპირზე ვეღარ გამიტანია! — წაიბუზღუნა მეურმემ და გამწარებულმა ხარებს სახრე ერთხელ კიდევ გადააწნა.

ხარები აქეთ-იქით მიეხეთქ-მოეხეთქნენ, მაგრამ ვერას გახდნენ: წვეტიანი ლოდი შიგ ურმის ხელნაში გაჩხირულიყო.

— აი გაოხრდით, ვერნეპო! — ბუზღუნებდა მეურმე და ახალუხის კალთით შუბლიდან ოფლს იწმენდდა.

— მოიცა, მე გიშველი!—დაუყვირა ელენემ და შარფი ქვაზე გადააგდო. მეურმემ ელენეს შეხედა, ტუჩებში ჩაიცინა და თავი უიმედოდ გაიქნ-გამოიქნია.

ელენემ აქეთ-იქეთ მიხედ-მოიხედა, ფეხსაცმელები და წინდები გაიძრო და წყალში შესტოპა.

— აბა, სახრე მომაწოდე! მე ხარებს გაუჯავრდები, შენ კი ჩამოხტი და უკანიდან ურმის თვალი ასწიე.

მეურმე ყოყმანობდა: არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო; ქალაქელი უცხო ქალის დახმარებას თითქოს თაკილობდა და გაოცებული შესცქეროდა ლამაზ გოგონას, რომლის თეთრ ფეხებსაც კავთურის აქაფებული ტალღები უშხაპუნებდა.

— რას გაშტერებულხარ? ჩამოხტი! ვერა ხედავ, წყალი საპალნეს გისველებს?—არ ეშვებოდა ელენე.

— ვაჰმე!—წაიბურტყუნა ყმაწვილმა, კისერი მოიფხანა, კოფოდან გადმოხტა და სახრე ელენეს მიაწოდა.

— ჰაამ!- დაუყვირა ელენემ ხარებს და უღელს ხელი მოჰკიდა. მეურმე თვალსა სწვდა, მიანჯღრ-მოანჯღრია, მაგრამ ურემი მაინც ადგილიდან ვერ დასძრა.

— ჰაამო, ჰააამო! - უყვიროდა ელენე, თავისი პატარა ულვაშიანი ხელით სახრეს ხალისიანად ატრიალებდა და ხან ერთ ხარს ურტყამდა, ხან მეორეს.

უცებ შეკრთა. მდინარის ნაპირზე ჩაყოლებულ ნერგებიდან ნაცნობი სახე გამოიყურებოდა; ლეიტენანტი გივი იყო,; ღობეს დაჰყრდნობოდა და ღიმილით უცხო სანახაობას უცქეროდა. ელენემ ინსტინქტიურად თავის ტიტველა ფეხებზე დაიხედა და გაწითლდა.

— თუ ნებას მომცემთ, გეახლებით! - გადმოსძახა ღობიდან ლეიტენანტმა გივიმ. - დიდს საფრთხეში კი ბრძანდებით! წაბლა ხარს თქვენი წითელი კაბა არ მოსწონს და ცუდს გუნებაზე აყენებს. წაბლა ხარის სულიერ განწყობილებას კი ანგარიში უნდა გაუწიოთ, ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი ხარია და, მეორეც, ამ ხარს ფრიად ჯიშიანი რქები აქვს.

გივიმ ელენეს დასტურს აღარ მოუცადა, ღობეზე გადაეშვა, კავთურის ლოდებზე გადახტა და ნაპირთან მივიდა. ცოტა ხანს შეფიქრიანდა, მერე ხელი ჩაიქნია, ფეხსაცმელები და წინდები გაიძრო, შარვალი ბარძაყამდე დაიკარწახა და წყალში შესტოპა. გივიმ მეურმე ხარებს დაუყენა, თვითონ ურმის თვალსა სწვდა მიანჯღრ-მოანჯღრია მერე მთელი ძალღონე მოიკრიფა და ასწია. ღერძმა ჭრაჭუნი დაიწყო მეურმემ შეუყვირა; ხარებმა გაიწიეს და ურემი რახ—რახით ნაპირზე გაიტანეს.

ელენე და გივი წყალში მარტო დარჩნენ. გივიმ ჯერ ელენეს მარმარილოსავით თლილს და თეთრს ფეხებს შეხედა, მერე თავის ბანჯღვლიან კანჭებს გადავლო თვალი, გაიცინა, დინჯად ელენესთან მივიდა და ხელი გაუწოდა:

— ეხლა ნება მიბოძეთ მოგესალმოთ!

ელენემ ხელი ჩამოართვა და გაწითლდა.

— ჩვენ დანაშაულობა არ ჩაგვიდენია და ამიტომ ერთმანეთისა არც უნდა გვრცხვენოდეს!—ღიმილით დაუმატა გივიმ და ელენეს თვალებში შეხედა....

უკვე კარგად დაღამებულიყო, გზაზე სტუმრების ხმა—მაღალი ლაპარაკი რომ მოისმა. ქაიხოსრო აივანზე გადმოეყუდა და მოჭუტული თვალი ალაყაფის კარებს მიაშტერა.

სტუმრები ეზოში შემოვიდნენ და სახლისკენ გაემართენენ. წინ ლეიტენანტი გივი მოუძღოდა. გივი შაგვულიძის მეზობლის შვილი იყო და ამ ოჯახში სხვებზე დაშინაურებულად გრძნობდა თავსა. გივიმ მკლავში ხელი გაუყარა შუატანის, ცომის გუნდასავით დარგვალებულ ყმაწვილს, რომელსაც ქუდი მოეხადა და უკვე საკმაოდ გამელოტებულ თავზე ხელსახოცით ოფლს იწმენდდა. ეს ყმაწვილი ქალაქელი ვაჭრის' დიმიტრი ერგელისშვილი იყო.

დიმიტრი ერგელი, ცნობილი მეტყავე, უკვე შუახნის კაცი იყო. პირველი შვილი რომ გაუჩნდა, ბებია ქალმა მემკვიდრე საბანში გაახვია და კაბინეტში მიჰგვარა. დიმიტრი ერგელი უხერხულად აწკმუტუნდა და სიამოვნების ნიშნად თეთრი, ფაფუკი ხელი ღიპზე გადაისვა. ამ ჟესტმა ოჯახის წევრებს აგრძნობინა, რომ თავისი ნაყოფით კმაყოფილი დარჩა.

— პუპსიკ!—მიუალერსა ბებია ქალმა საბანში გახვეულ მემკვიდრეს და ეჭვიანად თვალი გადაავლო დიმიტრი ერგელის მსუქან თითებს, რომლებიც ჟილეტის ჯიბეში ათამაშდნენ. ბებია ქალმა ოქროს ოუმნიანი მიიღო, მემკვიდრემ კი—პუპსიკის სახელწოდება. პუპსიკი თავაზიანი ყმაწვილი [illegible] ამოჩნდა და, როცა მამამ ხელში აყვანა სცადა, უგემურად აჩხავლდა; დიმიტრი ერგელი გაწითლდა, ახვნეშდა და გალურჯებული, ჩაბჟირებული ბავშვი ბებია ქალს გადასცა.

პუპუსიკი მამას დაემსგავსა. დარგვალდა, ღიპი გაეზარდა და თვალები შუბლში ჩაუძვრა. პატარა, ოდნავ აბზეკილი ცხვირი ჰქონდა. უდროოდ შეთხელებული თმა ბრიოლინით გადაეპრიალებინა. რგვალ, თოვლივით თეთრ სახეზე მუდამ კმაყოფილი ღიმილი უკრთოდა. სიცილის დროს მთელი სხეული უცახცახებდა და პატარა თვალები შუბლ ქვეშ ეკარგებოდა. პუპსიკმა იურიდიული ფაკულტეტი გაათავა. ჭლექიანი პრინციპები და ნერვიული გატაცება მის სინდისს არ ამძიმებდა. კომერციულ კომბინაციებში აღზრდილმა მამამ შვილს მემკვიდრეობით გადასცა მომაჯადოებელი ზრდილობა, მოღალატური მლიქვნელობა და სიხარბე.

მშვიდობიანი, უწყინარი ცხოვრებისთვის პუპსიკს მეტი არაფერი სჭირდებოდა.

ლეიტენანტმა გივიმ სტუმრები სახლში აიყვანა.

— გთხოვთ იცნობდეთ—მიუბრუნდა გივი ქაიხოსრო შავგულიძეს და პუპსიკს მხარზე ხელი დაჰკრა,—იცინის, როდესაც გუნებაზეა; მაგრამ, რადგანაც პუპუსიკი ფიქრობს, რომ სიცილი ტირილს სჯობიან, ამიტომ იცინის მაშინაც, როდესაც გაჯავრებულია. საზოგადოდ, კარგი ბიჭია, ცოტა მელოტი თავი რომ არ ჰლალატობდეს; მაგრამ მე და თქვენ განათლებული ადამიანები ვართ და ვიცით, რომ მელოტი თავის ქალას გადაღმა შეიძლება დიდი ტვინი იმალებოდეს: დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არც ეს ყმაწვილია უტვინო ადამიანი.

პუპსიკი ქაიხოსრო შავგულიძეს დიდის მოწიწებით მიესალმა და, რასაკვირველია, გაიცინა.

— ამ ყმაწვილს თქვენც კარგად იცნობთ,—განაგრძო გივიმ და მოჟუჟუნე თვალები აივნის ბოძთან ატუზულ ყმაწვლის მიანათა,—გადაშენებული ცხოველების უკანასკნელი ეგზემპლიარია. მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო დანგრეული სახლი, აზნაურის გაფხეკილი გვარი, დაჟანგებული თოფი, გრძელი ულვაშები და სვავის კუჭი. თითო ჯერზე შეუძლიან ერთი თუნგი ღვინო დალიოს და ნახევარი ხბო შესჭამოს. ბოლო დროს ცოტა ცუდ გუნებაზე მყავს, ქელეხები როგორღაც შემცირდა და ქორწილებსაც ძველებურად აღარ ეტანებიან. სანამ არ დაითვრება, კარგი ადამდობა იცის. სიმთვრალეში ჩხუბი არ უყვარსისეც ურიგო ბიჭი არ არის, კარგი ამხანაგობა იცის და ამიტომ არასოდეს ვალებს არ იხდის· აბა, ზურაბ, ორი ნაბიჯით წინ! მიესალმე მასპინძელს და მის მშვენიერ დისწულს.

ზურაბი ზლაზნით მივიდა ქაიხოსროსთან და ელენესთან და ხელი ჩამოართვა.

— ეს ყმაწვილი,—აქეთ მოდექ, აყლაყუდავ!—სტატისტიკოსია. ზოგჯერ რომანებსაც სწერს. მისი სტატისტიკა ყოველთვის პოეტურია და პოეზია—სტა-

ტისტიკური. ნაწერები ტომებად აქვს შეკრული და აკინძული, თუმცა ჯერ არც ერთი მისი ნაწარმოები არ დაბეჭდილა; მაგრამ არაუშავს—რა, ახალგაზრდა კაცია, ორმოცდაათი წლისა წელს გახდა და ალბად მალე გამოაქვეყნებს. ესეც—და ლეიტენანტმა გივიმ სალოკი თითი უკანასკნელ სტუმარს ~~ჩაუჭიხა~~,—ფოსტის მოხელეა, მარკებსა ჰყიდის. ორი თვის წინად მთავრობას დიდი მოსსენება წარუდგინა ღორების ჯიშის გაუმჯობესების შესახებ. რაო? რა ბძანეთ? მარკები და ღორი? ჰმ! თქვენგან არ მიკვირს! ფაქტია! ფოსტაში მარკებსა ჰყიდის და სახლში კი ღორებზე სწერს. ამრიგად, თქვენ ეხლა ყველას იცნობთ. ცოტა ჭრელი კამპანიაა, მაგრამ არა უშავსრა! სამაგიეროდ, მადა ყველას ერთნაირი აქვს. ჩვენს მასპინძლებსაც ეს უნდათ.

ქაიხოსრო შავგულიძემ სტუმრები სახლში შეიპატიჟა. ლეიტენანტი გივი მაშინთვე ტატზე გაიშხლართა და ფეხები სკამზე შეაწყო.

სტატისტიკოსი კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს ათვალიერებდა. ფოსტის მოხელე კუთხეში სკამზე ჩამოჯდა და მოსაწყლებული მორჩილებით ხელები მუხლებზე დაიწყო. პუპსიკი ნებივრულად სავარძელში ჩაეშვა, ზურაბმა—კი სამზარეულოს მიაშურა.

სასადილო ოთახში ელენე ვახშამს აწყობდა. ზურაბი ოფიციანტის მოვალეობას ასრულებდა. მადიანად დაბრაწულ საჭმელებს ხარბად დასცქეროდა და ნერწყვ—მორეული ტუჩებსაცმაცუნებდა. სუფრა, მართლაც დოვლათიანად გაიშალა. შესანიშნავი სერვიზი. სხვადასხვა ჯიშის ყურძნის მტევნები, გვერდ ალეწილი უზარმაზარი ატმები, შამპანიური რენეტი ბელ-ფლიორი, თეთრი კალვილი, ქლიავები ბროლის გზაზე თაიგულივით გამოიყურებოდა. საკუთარი თაფლითა და კარაქით დამზადებული ნამცხვრები, შინ ნახადი კონიაკი, ტკბილი სასმელები, ტომატები და საუზმეულობა.

— პუპსიკ! არაფერი გესმის!

— მესმის!—ტკბილით უპასუხა პუპსიკმა და დაამთქნარა.

— როგორ გგონიათ, ინდაურია თუ ქათამი?

— მე მგონია, ინდაური უნდა იყოს.

— მეც ეგრე მგონია. ქაიხოსრო შავგულიძე ძველი დარდიმანდი არ არის, მაგრამ სტუმრებს მაინც კარგად გაუმასპინძლდება. რა მამულია! აფსუს.

— ეგ აფსუსი რაღაა?

— „აფსუს“ სულთათანაა. ხომ გაგიგონია: „განუსვენე უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისასა!“.

— არაფერი მესმის.

— რა ღმერთი გიწყრება! დედამიწა ზანზარებს და შენ—კი არაფერი გესმის; ქაიხოსრო შავგულიძე განწირული ადამიანია, შენც განწირული ხარ, მეც, აი ის სტატისტიკოსიც, რომელსაც ქვიქვირი ჩამოუშვია და ფილოსოფიური გამომეტყველებით სურათებს ათვალიერებს.

სტატისტიკოსმა გივისკენ მიიხედა და მხრები აიჩეჩა.

— რა გაშტერებული მიცქერი, აყლაყუდავ? თუ ჭკუა გაქვთ, წუთისოფელს დაეშურეთ! ჭამე, ჭამე, ძღომამდის ჭამე, ჭამე, სანამ შეგიძლიან. დილით კახეთში

ისაუზმე, საღამოთი სვირის ღვინო სვი. შეჯექი იორღაზე და მაწანწალასავით კარდაკარ იარე სასუსნავად და კუჭის ამოსავსებად.

სტატისტიკოსი აიმრიზა, ცოტა არ იყოს გაჯავრდა კიდეც. ადამიანის დანიშნულების შესახებ მას საკუთარი თეორია ჰქონდა და ლეიტენანტი გივის ღვარძლნარევი სიტყვები შეშლილი ადამიანის ბოდვად ეჩვენებოდა.

— ეგ ხომ შენი აკვიატებული აზრებია! თუთიყუშივით აგიჩემებია, ქვეყანა ზანზარებს, ინგრევა, იღუპებაო. სადა ზანზარებს, რა ინგრევა? რა იღუპება? ხომ ხედავ, სამშვიდობოში გავედით! ხომ ხედავ, სახელმწიფოს ვაშენებთ! ცოტა კიდევ—და შენისთანა სკეპტიკოსებსაც ენა მუცელში ჩაუვარდებათ.

ლეიტენანტმა გივიმ გესლიანად გადაიხარხარა.

— სახელმწიფოს ვაშენებთ? ვინ უნდა აგიშენოს სახელმწიფო, შე საცოდავო, შე ღვთის ბატკანო, შენა? გლეხებს შენთვის არა სცალხიათ, თავიანთი დარდი აწუხებთ მემამულეებთან ისტორიულ ანგარიშებს ასწორებენ; მუშები თავიანთ კლასიურ ინტერესებს შენ არ შემოგწირავენ, ბურჟუაზია არ გყავს. მაშ, ვინ უნდა აგიშენოს სახელმწიფო, მიკიტნებმა?

— შენ რა ბოლშევიკურად ლაპარაკობ?—ჩაურთო სიტყვა პუპსიკმა, თვალი მოჭუტა და დამცინავი სახით გივის მიუბრუნდა.

— აბა, მობრძანდით!

კარებში ელენე იდგა და სტუმრებს ვახშმად ეპატიჟებოდა.

ქაიხოსრო სუფრის თავს დაჯდა, მის მარჯვნივ—ლეიტენანტი გივი, მარცხნივ—პუპსიკი. პუპსიკის გვერდით წეროსავით სტატისტიკოსი გაიჭიმა, სტატისტიკოსის პირდაპირ ფოსტის მოხელე მიიბუზა. სუფრის ბოლოში ზურაბი მოთავსდა. ელენესთვის ადგილი ქაიხოსროს გვერდით დასტოვეს.

დაქანცული სტუმრები მალე დაითვრნენ. პუპსიკს თეთრი მსუქანი ლოყები წამოუწითლდა, პატარა თვალები აუჟუჟუნდა და ლაპარაკად გადაიქცა. გადაყვითლებული ფოსტის მოხელე ჭიაყელასავით გაიჭიმა, ამღვრეულ თვალებს აცეცებდა განუწყვეტლივ აბოყინებდა. ზურაბი უკვე სკამზე ტორტმანობდა და წარა—მარა მაგიდას მუშტს უბრახუნებდა. ცალხელში ინდოურის ბარკალი დაეჭირა, ღრღნიდა და გაქონიანებულ ულვაშებს ენით ილოკავდა, მეორე ხელით კი ღვინოს ასხამდა და აჭოჭებდა. სუფრა გამოხრული ძვლებითა და პაპიროსების ნამწვებით აივსო. პუპსიკი სასაცილოდ თავს აკანტურებდა, იჭუტებოდა და ელენეს უკვე ზეთიანი თვალებით უცქეროდა.

— თქვე.....თა.... თრებო, თქვენა!—წაიბურტყუნა ზურაბმა და სკამზე შეტორტმანდა,—ერთი სიმღერა მმა... მაინცა სთქვით!

ორი ქოთანი ვიყიდე, ვაი!
ყურიანი და უყურო ვაი!
საიქიოს ერთათ წავალთ, ვაი, ვაი!
ცოლიანი და უცოლო, ვაი!—

ხრინწიანი ხმით ჩაიმღერა ზურაბმა; მაგრამ მხარი არავინ დაუჭირა და დაჩუმდა.

გივი სუფრის ბოლოს გადაჯდა. დაღვრემილი დამთვრალ სტუმრებს შუბლქვეშ გასცქეროდა და გულს რაღაც ბოროტი გრძნობა ეხვევოდა. ელენემ პურის

გულის პატარა გუნდა გააკეთა, გივისკენ გაისროლა და ცხვირში მოარტყა. გუნდა ცხვირს ასხლტდა და ღვინის ჭიქაში ჩავარდა. სუფრაზე ხარხარი გაისმა.

გივმა ელენეს ცალი თვალით შეხედა და გაიღიმა.

— არშიყობად არ მიიღოთ!—გამომწვევი კილოთი უფროსი—[illegible]

— ფუჰ! რა საძაგელი სიტყვაა! არშიყობა! არ—შიყ—შიყ— ტუჩის აბზეკით წაიბუტბუტა პუპსიკმა

— უკაცრავად მიჯნურობა.

— მიჯნურობა? ეს სიტყვაც ობმოკიდებულია.

— ტრფობა?

— ეგეც ხომ მეთორმეტე საუკუნის ხავსითაა მოდებული!

— მაშ რა?—გაოცებით იკითხა ელენემ და ხელები გაშალა.

საქმიანი მიდგომა,—წაილაპარაკა სუფრის ბოლოში ლეიტენანტმა გივმა.

ელენე გაბრაზდა, გაწითლდა და გივის გაალმასებული თვალებით შეხედა.

— დიახ საქმიანი მიდგომაა! მერე თქვენ რა გნებავთ? მიუბრუნდა ელენე გივის, წამოდგა, სკამს ხელი ჰკრა და ოთახიდან გავიდა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. პუპსიკი აიმრიზა და გივის მტრულად გადახედა.

— რად მიცქერი?

„დაპრილ ირემს ცრემლები სდის,
ნუკრი ცქრიალებს,
რაუყოთ. რომ ეს ქვეყანა
ასე ტრიალებს!“

ამ პატარა ინცინდენტმა სტუმრები თითქოს გამოაფხიზლა. ღვინის სმა და ჟრიამული შეწყვიტეს და ცოტახნის შემდეგ წამოიშალნენ კიდეც.

აივანზე გავიდნენ.

ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჭახჭახი გაჰქონდა. დადუმებულსა და ძილში განაბულ სოფელს ბნელი ღამე დასწოლოდა. არაფერი არღვევდა ამ დუმილს გარდა კავთურის ყრუ დუდუნისა და ჭოტის მონოტონური კივილისა.

სტუმრები გაჩუმებული იყვნენ. აივნის კუთხეში როგორღაც შეთქმულებსავით მიმსხდარიყვნენ, თითქოს ეშინიანთ, ეს ჯადოსნური დუმილი ჩვენი ლაპარაკით უხეშათ არ დავარღვიოთო.

ქაიხოსრო შავგულიძეც გაჩუმებული იყო და ღრმად ჩაფიქრებული ბნელ სივრცეს გასცქეროდა.

— ხომ არ მოისვენებთ? იკითხა ცოტა ხნის შენდეგ ქაიხოსრომ.

— რა მშვენივრებაა! პასუხის ნაცვლად წამოიძახა პუპსიკმა, წამოდგა და აივნის მოაჯირთან მივიდა. არ მეგონა, თუ ჩვენს სოფელში სადმე ასეთი კულტულური მეურნეობა იქნებოდა.

— კულტურული საქმე! ბოროტად ჩაიცინა ტუჩებში ლეიტენანტმა გივიმ და თავისი ამღვრეული თვალები პუპსიკს მიანათა.

— როგორ. განა ეჭვი გეპარება? —გაოცებით იკითხა პუპსიკმა და დანარჩენ სტუმრებს გადახედა, თითქოც იმათაც მოწმედ იწვევსო.

ლეიტენანტი გივი წამოდგა და ნერვიულად აივანზე სიარული დაიწყო.

— კულტურული საქმე!... კულტურული საქმე! კულტურული საქმე! — რაღაც უცნაური, გაუგებარი სიბოროტით იმეორებდა გივი ერთსა და იმავე სიტყვებს.

— მაინც ვერ გამიგია, გასაკვირველსა და გასაოცებელ რასა ხედავ? კვლავ იკითხა პუპსიკმა და მხრები აიჩეჩა.

ლეიტენანტი გიგი უცებ მობრუნდა. პუპსიკთან მიიჭრა და ჩახლეჩილი ამღვრეული ხმით უთხრა:

— რომელ კულტურაზე მელაპარაკები? ცხოვრემა სიბინძურის განხორციელებაა, ადამიანი კი — ამ სიბინძურის ჭურჭელი. კულტურა! სისულელეა! გამაძღარი, ბედით კმაყოფილი ადამიანი ბეტჰოვენის კონცერტს ისმენს, სენტიმეტალურად დაბრეცილი ყბებით შოპენს დასტირის და ანტრაქტებში — კი იმაზე ფიქრობს ვინ მოატყუოს და თავისი გახრწნილი სხეული როგორ შეაკოწიწოს. კულტურით გაკეთილშობილებული ადამიანი რომ ვინმემ დაინახოს, საგიჟეთში დაამწყვდევენ. გაკეთილშობილებული ვაჟბატონი კონტრასტი იქნებოდა ყოველივე იმისა, რითაც ადამიანი სულდგმულობს. იგი განხორციელება იქნებოდა სინდისისა, რომელიც ადამიანს არასოდეს არც ჰქონია, არც აქვს და არც ექნება. ადამიანი მალე მოუგრეხდა კისერს პამპულასავით წამოჭრილ სინდისის, რომელიც გენიოს შარლატანებს ტუტუცებისათვის მოუგონიათ. ადამიანი მხოლოდ თავის ხორცს ემსახურება, დაჭიანებულსა დაბადებიდანვე სასიკვდილოდ გამზადებულს სხეულს. ხორცს! აი ადამიანის ღმერთი! ადამიანსა ჰსურს თავისი სტომაქი გემრიელი საჭმელებით აივსოს, ადამინსა სურს თავისი ღვთაებრივი სხეული თბილად და ფაფუკად ჰქონდეს შენახული. ადამიანსა ჰსურს, ქალი ლამაზი იყოს, რადგანაც იცის, რომ ლამაზი ხორცის ლოშნა უკრო გემრიელია. ადამიანი ხორცია, ხორცის მონა და ხორცის ყმა. ხორცის სიამოვნებისათვის ადამიანი ძმასაც გაჰყიდის, მეგობარსაც და ამხანაგსაც, ხორცის სიამოვნებისათვის ადამიანი იცრუებს კიდეც, მოიპარვს კიდეც, მოჰკლავს კიდეც, ხორცის სიამოვნებას ლაჩრები იპარავენ, ვაჟკაცები ძალით იტაცებენ. ლატაკების აჯანყება მდიდრების წინააღმდეგ დამშეული სხეულის აჯანყებაა ცხოვრების გრძელსა და გემრიელ სუფრაზე რჩეულნი წამოსკუპულან; დამშეული ხორცი — კი შურით შესცქერის. ლატაკს აღარ ჰსურს, ძონოძებში იაროს მშიერს აღარ სურს შიმშილობა. ღარიბს აღარ სურს, რომ ქალი, რომელთანაც ყოველლამ წვება ოფლისა და ჭუჭყის სუნით ჰყარდეს. ქვეყანა ყალყზეა შემდგარი. ადამიანი გავარვალებულ ქვაბში იხარშება. საზღვრები გადალახულია მომავალი კატაკლიზმის მოლოდინში წუთისოფელს ეშურება, იცის რომ კაცობრივობას საშინელი ცეცხლი მოედება, და მოსპობს ყველასფერს ანადგურებს.

— ვერა, გივი ყველასფერს ვერა! — გააწყვეტინა სიტყვა უცებ ქაიხოსრომ, რომლის ხმაშიც მღელვარებამ გაიბზრიალა, — შენ მართალი ხარ! ადამიანი ჭუჭყიანი ჭურჭელია, ადამიანი დამპალი სასუქია მარადიულობის გასანაყოფიერებლად, მაგრამ ადამიანშიც არის რაღაც, რის მოსპობაც ვერავითარ კატაკლიზმებს ვერ შეუძლიან. ყური დამიგდე. აი, სოფელია. მუშაობა გაუთავებიათ, ძილის პირას გლეხები კალოზე მოგროვილან და დინჯად ბაასობენ. ზოგი ძნასთან წამოწოლილა, ზოგი არნადზეა დაყრდნობილი, სდგას და გულმოდგინედ ძონძებში გახვეულ

მოხუცს უსმენს. ლაპარაკობს მოხუცი და არ იცის, რომ იგი ცოცხალი მატარებელია მრავალი საუკუნოებისა; არ იცის რომ იგი განუწყვეტელის ძაფებითაა გადაბმული წარსულთან. დაგლეჯილი, დაკონკილი, ფარაჯაში გახვეული მოხუცის საუბარი უცნაური გამოხმაურებაა იმავე მუსიკისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საუკუნეთა განმავლობაში ისმოდა. უსმენ ამ მუსიკას და ოცნებით შორეულ წარსულში გადავდივარ. სასწაული ხდება. დრო და სივრცე გადაილახა. მოისპო წლები, მოისპო საუკუნოები. ყველაფერი დროული, ყველაფერი გარდამავალი უფსკრულში შთაინთქა. დარჩა მხოლოდ მარადიული. რომელიც ამ მოხუცის საშუალებით შთამომავლობას გადაეცემა...

ქაიხოსრო უცებ გაჩუმდა.

ადამიანი კი, ადამიანი!—ქაიხოსრომ სიტყვა აღარ დაამთავრა, ხელი ჩაიქნია და სავარძელში ჩაჯდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მთის კალთაზე ყვავის ბუდესავით აკრული სახლის აივნის კუთხეში შეთქმულებსავით მიმალულ სტუმრების დუმილს მხოლოდ ჭოტის მოსაბეზრებელი კივილი არღვევდა...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

• • •

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან მარუაშვილი

სამი თვე ზვავების ქვეყანაში

ნარკვევი

თოვლიანი მთაგრეხილებით ჩაკეტილსა და კარ-გადარაზულ ენგურის ზემო ხეობაში, ელვარე მარადიულ-თოვლისა და ზღაპრულ „გველ-ვეშაპებად“ ჩაწოლილი ყინვარების სამფლობელოში უხსოვარი დროიდანვე ბინადრობენ თავისუფალი სვანები.

ადამიანი გარემოს შედეგია. ეს ურყევი დებულება სვანებზედაც ბრწყინვალედ მართლდება. შუა კავკასიონის მრისხანე ბუნებამ საუკუნეთა განმავლობაში აღზარდა ხალხი, რომელიც საკმაოდ განსხვავდება სხვა ხალხებისაგან, და განავითარა მეტად ორიგინალური ყოფა, ეპოსი და თავისებური მატერიალური კულტურა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ დაახლოებით გაიცნო სვანები. მართალია ჯერ კიდევ სტრაბონის (1 საუკ.) აღწერილობაშიც ვპოულობთ ზოგიერთ ცნობებს „სუან“-ების შესახებ. სტრაბონის თქმით, ეს იყო მძლავრი, მაგრამ კულტურის დაბალ დონეზე მდგომი ერი, რომელსაც განაგებდა 300 რჩეულისაგან შემდგარი საბჭო; სვანებს შეეძლოთ გამოეყვანათ ბრძოლის ველზე 200.000 მეომარი (?) რომლებიც შეიარაღებული იყვნენ მოშხამული ისრებით; ტყავის ქურქების შემწეობით, სვანები მდინარის ლამიდან ოქროს მოიპოვებდენ. ისტორიულ წყაროებში დარჩენილი ცნობების თანახმად, თამარის დროს სვანეთსა და საქართველოს მეფეებს შორის კეთილი ურთიერთობა დამყარდა. სვანების და მათი ყოფა-ცხოვრების მეცნიერული შესწავლა მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში სწარმოებდა (ბართოლომეი, კოვალევსკი, და ბაქრაძე და სხ. მკვლევარები) და ამ საკითხის ირგვლივ მრავალი სტრიქონები დაწერილა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ცნობები სვანეთის შესახებ ფართო საზოგადოებაში ვერ ვრცელდებოდა. გარდა ამისა, ზოგიერთი მოგზაურის აღწერილობა ტურისტულ აღფრთოვანებას არ გასცილებია. ამ ავტორების „ნაშრომში ვერ იპოვით იმ გარემოს გაშუქებას, რომელშიც მოქცეულია სვანი და მიდგომა ყოფა-ცხოვრების საკითხებისადმი აშკარად ტენდეციურია. ავტორებს იქაც კი ჰსურდათ დაენახათ ეკზოტიკა, სადაც იგი არ იყო, ცდილობდენ დაეხასიათებინათ სვანები, როგორც „ველურები“, ან „ბუნების გერები“, და ამგვარი ხერხით განემარტათ სვანეთის თავისებურობა.

ყველა ამ ტიპის ნაშრომებში მოქცეულია ერთი ჭეშმარიტება: განმხოლოებულმა ცხოვრებამ თავისი დაღი დააჩნია სვანეთს. საუკუნეთა მანძილზე აქ ხდებოდა გვაროვნული წყობის და მისი ატრიბუტების კონსერვაცია: მეზობელ ქვე-

ყნებში მომხდარი ცვლილებები სვანეთის კლდეებით მოზღუდულ ბინაში ისევე ძნელად შედიოდა, როგორც ახალი სამეცნიერო თეორია მოხუცი მეცნიერის აზროვნებაში. სვანებმა გვაროვნული წყობა მეცხრამეტე საუკუნემდე შეინარჩუნეს. მაგრამ ამასთანავე ერთად აქ განვითარდა ზოგიერთი [illegible] სვანური" საყოფაცხოვრებო მოვლენა, რომლის წარმოშობა თვით სვანეთის განსაკუთრებულ გეოგრაფიულ-ეკონომიურ პირობებში უნდა ვეძებნოთ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც დედამიწის ხმელეთის ერთ მეექვსედზე თვით გამორკვევის უფლება ყველა მცირემ და ჩაგრულმა ერებმაც მიიღეს, როდესაც სამეურნეო მშენებლობასთან ერთად გაიშალა ისტორიისთვის ჯერ უცნობი კულტურული რევოლიუცია,—მაშინ სვანეთის ბედიღბალიც ძირ-ფესვიანად შეიცვალა.

Человеческий заповедник—ასე უწოდა სვანეთს ერთერთი შაბლონური წიგნის ავტორმა 6-7 წლის წინათ. ეხლა კი იმდენად მჭევრმეტყველია სინამდვილე, რომ ეს „ფრთოსანი" გამოთქმა სვანეთის მნახველს სასაცილოდ მოეჩვენება.

სამწუხაროდ, ასეთი შემცდარი აზრი სვანეთის შესახებ გავრცელებული იყო არა მარტო რუსეთში და საზღვარ-გარეთ, არამედ უკანასკნელ ხანამდე ჩვენშიც არსებობდა. სვანეთის ზვიადი თოვლიანი მწვერვალები უკვე დაპყრობილი იყო ინგლისელი და გერმანელი მთასვლელების მიერ; სვანეთის ბილიკებს უკვე სთელავდენ ლურსმნიანი სამთო ფეხსაცმლით რუსეთიდან მოსული ტურისტები, როდესაც ჩვენში, სვანეთის კარი-ბჭესთან, სვანეთი თითქმის ისევე ნაკლებად პოპულიარული იყო, როგორც ტიბეტი.

ხალასი ოქროს კლდეები, მშვილდ-ისარი, ნადირთა ქურქებში ჩაცმული „ველური" ხალხი—აი ნიმუშები იმ შეხედულებების, რომლებსაც ხშირად შეხვდებოდით საზოგადოებაში.

* * *

სვანეთში მისვლა მაინც-და-მაინც ადვილი საქმე არაა. მაგრამ, როგორც ზოგიერთებს წარმოუდგენია, მგზავრს აღარ მოელის არც სიკვდილი და აღარც მრავალ-გვარი გაჭირვება.

1926 წლიდან ენგურის ხეობის ბილიკი, რომელიც ზემო სვანეთის ცენტრს მესტიას ქ. ზუგდიდთან აკავშირებს, მთელი წლის განმავლობაში ღიაა ცხენოსანი მგზავრებისათვის. ზაფხულობით, ადვილია სვანეთში მისვლა აგრეთვე აფხაზეთის, ლეჩხუმის და რაჭის მხრიდანაც. ყველა ამ მიმართულებით შესაძლებელია უხიფათოდ ცხენით მგზავრობა.

ჩვენი მოგზაურობა თავისუფალ სვანეთში დაიწყო მაისის შუა რიცხვებში. სვანეთის ქედს ჯერ ისევ სქელითოვლი ეფარა. თოვლი ზვავოდა, ამინდიც ცუდი იდგა და ამიტომ მოგზაურობამ სოფ. ორბელიდან ლანქორის უღელტეხილით და მუშურის მთის მწვერვალით თავისუფალ სვანეთში საკმაოდ ძნელ პირობებში ჩაიარა.

23 მაისს ერთ ჩოლურელ სვანთან ერთად მუშურის მთის მწვერვალს გადავადექით. მთაგრეხილის თხემზე ქარბუქი თარეშობდა და არე-მარეს ჯანღი ჰბურავდა. სადღაც დაბლა დრო-გამოშვებით გრიალებდა ზვავები. ვერაფერს ვხედავდით. ჩემმა გამყოლმა ნაზვავარ თოვლზე დათვის ნავალიაღმოაჩინა, რომელმაც მდინარე მუშურის წყლის ხეობაში ჩაგვიყვანა.

ასე მოვხვდით თავისუფალ სვანეთში.

თავისუფალი სვანეთის პირველი სოფელი ჩვენს გზაზე ლალხორი იყო. ეს არის ტურისტების და მგზავრების გზა-ჯვარედინი. აქედან შეიძლება წასვლა მესტიაში, ხალდეში, უშგულში, მუშურის და ლატფარის უღელტეხილებზე.

მგზავრების გაცხოველებული მიმოსვლით უსარგებლია მოხუც სვანს—გიერგ მარგელანს და ზედ გზის პირას დუქანი გაუხსნია.

კუპრივით სიბნელე იწვა სვანეთზე როცა მარგელანის დუქანს მივაწყდით. წყვდიადის ფარდა მბჟუტავი სინათლით გაიფხრიწა. ჩოლურელი მეგზური გამომემშვიდობა და სიბნელეში გადნა, მე კი ღუმელით გახურებულ დუქანში შევედი.

სვანს ძნელად თუ გააკვირვებთ. გიერგ მარგველანს არ გაჰკვირვებია ჩემი მოსვლა, თუმც მეტეორიტივით მოულოდნელი იყო ეს მისთვის. დიალოგი ჩვენს შორის რამდენიმე სიტყვით ამოიწურა. შემდეგ ფიცრულ ტახტზე დამეძინა. უთუოდ განთიადსაც მძინარე დაუხვდებოდი (მუშური ზამთრობით დიდი ენერგიის დახარჯვას მოითხოვს), რომ რაღაც გამოურკვეველ მღერას არ გამოვეღვიძებინე. სიმღერა ჯერ სუსტად შემომესმა, თითქოს ხელში რადიო-ტელეფონის მილი მქონდა და ნახევარი მეტრის მანძილზე ვისმენდი. მაგრამ თან და თან ხმები იზრდებოდა, მძლავრდებოდა, მეხისებურ გრგვინვად იქცეოდა. უცნობი ჰანგები სიმფონიური კონცერტის აკკორდებივით ავსებდენ ჰაერს და... გამომეღვიძა. სადღაც მეტად ახლოს მღეროდენ... მღეროდენ, ისე, როგორც არ უმღერიათ სხვაგან. ეს იყო ჩემთვის სრულიად უცნობი მოტივი და კარგახანს ვერ მომეფიქრა—სად ვარ და ვინ მღერის.

ჩემ თვალ-წინ მთელმა მოგზაურობამ გაირბინა რკინის გზით ტფილისიდან-ქუთაისამდე, დანჯღრეული ეტლით ოსეთის გზაზე, ორბელი... ლანქორის უღელტეხილი... ლაშხეთი და მოაში... ცხენით ჩოლურში... მუშურის მწვერვალი...

ჰო, თავისუფალ სვანეთში უნდა ვიყვე. მაშ ეს სიმღერაც სვანური სიმღერა იქნება...

ნახევრად გაღებულ კარში 7 სვანი დავინახე, რომლებიც მცირე მაგიდას შემოსხდომოდენ. ენერგიულ სახეებზე სიდარბაისლე აღბეჭდილიყო, რომელსაც სვანი ქეიფშიც კი არა ჰკარგავს. ზოგიერთი მაოგანი ყვითელი ქურქის მოკლე მოსასხამით იყო შემოსილი. მათ შეამჩნიეს ჩემი გამოღვიძება და მომესალმენ.

ხევსური ეჭვის თვალით უხვდება ტურისტს. ამას სვანეთში ადგილი არა აქვს. სვანი აღუშფოთებულია. ესე აღზარდეს იგი ზვავებმა და კლდეებმა. ამასთანავე ერთად სვანის ლაპარაკი ლოღიკის ჯაჭვითაა განმტკიცებული. გესიამოვნება სვანთან საუბარი. ხალდეშლები თავაზიანად გამომესაუბრენ, მკითხავდენ ტფილისის შესახებ' მიამბობდენ სვანეთის ამბებს და მარწმუნებდენ, რომ ზამთარში მუშურზე სვანების გარდა არავინ გადმოსულაო. პირველი შთაბეჭდილებანი ყოველთვის გადამწყვეტ როლს ასრულებს რაიმე საკითხზე წარმოდგენის შემუშავებაში. იქნება ამით აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ კავკასიონი მთიან კუთხეებს შორის სვანეთი ბუნებრივადაც და ეტნოგრაფიულადაც უმდიდრესად მიმაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ ხალდეშლებმა ჩემი თხოვნით ისევ იმღერეს „ვი და ლილე“ სიმღერა ოქროს-რქიანი ხარების შესახებ.

ასე ხვდებიან სტუმარს თავისუფალი სვანები.

* *
*

თვალწარმტაცი დილაა. გრანიტის ლოდებს შორის დამფრთხალი რაშივით მიექანება დაუდგრომელი ფერ-ლაჟვარდა ენგური; ქაფად ქცეული, კლდეებს ლოკავს, ჩანჩქერებზე ხტის და პაწია ხიდებს აზანზარებს.

ხეობის გვერდობები ნაძვნარითაა მოქარგული. ტყის ზოლიდან ზევით მილტვიან ნაზამთრი თოვლებით დაწინწკლული ალპიური მინდვრები. მაღალ მწვერვალებს ჯერ ისევ შერჩენია ჯანყი. მზის შარავანდედით დამარცხებული ნისლი ნიავისაგან დაბრჭყალული უამრავი ხელებით ებღაუჭება კლდეებს, სცდილობს შეინარჩუნოს მარადიული თოვლით გარბილებული სარეცელი, მაგრამ.. ნიავი უფრო ძლიერია და მალე გაპარ-გამოპარული ჯანყი ათავისუფლებს სვანეთის ბუმბერაზ მწვერვალებს.

ლახირელი სვანი ალექსი დინჯად მიაბიჯებს წინ. მე „ლაფშა“ ცხენზე შემჯდარი მივდევ. ბილიკი თვითნებურად იცვლის ხასიათს: ხან ტყეში გრძელ ალმართს შეუდგება, ხან ბოგირით ენგურს გადააბიჯებს და ხან კი იმდენად ახლოს მიჰყვება მდინარეს, რომ მისი ხეფი გვასველებს.

მესტიაში მივდივართ...

ულვირის ულელტეხილიდან თვალ-წინ გადაგვეხსნა მდინარე მულხურას ხეობა და კავკასიონის მთავარი ქედი—მედიდური, ყინულის აბჯარში ჩამჯდარი და თოვლის მუზარად-დახურული მწვერვალები. ვეებერთელა ყინვართა კუდები ღრმა ხეობებში ჩამოცოცებულან და ძუძუს აწოვებენ ფეხ-მალ მდინარეებს. ყინვარების თავზე საზღაპრო ციხე-დარბაზივით ამართულან მიმსხვრეულ-მომსხვრეული კლდეები. ორი ტან-წერწეტი გრანიტის კოშკი—ესაა უშბა, მთასვლელების რისხვა... უზარმაზარი შაქრის ნატეხი—ესაა თეთნულდი... სარდლებად მოსდგომიან მხარ ბეჭიან მთების ულეველ ჯარს...

მდელოზე დასვენების დროს, სანამ ცხენი ბალახობს, ალექსი, ჩემი თხოვნით ნადირთა ქალ-ღმერთის დალის ამბავს მომითხრობს.

მარადი თოვლით მოსილი მაღალი მთების ბუნება კაცობრიობისათვის ბევრს გაუგებარ მოვლენას შეიცავდა. უსიცოცხლო თოვლეთის შეხამება გააფთრებულ სტიქიონებთან განცვიფრებას აღძრავდა. კულტურულად ჩამორჩენილ ხალხს ყოველთვის მოკრძალებას აღუძრავს მისთვის გაუგებარი მოვლენა. რელიგიის საფუძველიც ხომ სწორედ ეს გაუგებრობაა! მთელი დედამიწის ზურგზე, სადაც კი ეხვდებით მაღალ მთაგრეხილებს, უთუოდ ვპოულობთ მთების კულტის ნიშნებსაც. ყირღიზები თაყვანს სცემენ მუს-თაგ-ოთას მწვერვალს (პამირზე), იაპონელები—ფუძიამას, ინდოელები და ტიბეტელები კი—ჰიმალაის ცამდე აზიდულ მწვერვალებს. მთა უზენაეს ქმნილებად არის დასახული. მთა ღვთაების სამყოფელია და ზეცის კარის ზღურბლი. ბრაჰმას მოძღვრებაც ამბობს: „ვით დილის ცვარ ნამი აორთქლდება გარიჟრაჟის ბრწყინვით, ასევე კაცობრიობის ცოდვებსაც გააქარწყლებს ჰიმალაის მთების ხილვა“. კავკასიონის მთიელებს შორის მთების კულტმა მკაფიო გამოხატულება ჰპოვა იმ თქმულებათა და რწმენის სახით, რომლებიც დღემდეა გავრცელებული იალბუზის შესახებ ყარაჩა-ბალყარეთში, ბრუტ-საბძლის ოსეთში, არარატის შესახებ კი სომხეთში.

ანალოგიურ მოვლენას ვხედავთ სვანეთში.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სვანების ბედ-იღბლის ერთერთი მოწმე იყო „ქავქაზ“—თოვლიანი კავკასიონი. ხალხის თვალი [illegible] საკვირველ თოვლის სამყაროს, ფანტასტიურ კლდეებს, [illegible], მაგრამ... ხალხის გონებას ვერ დაეძლია ბუნების დიადი ამოცანა და შუა კავკასიონის მარადიული სიმკაცრე, სრული ნეიტრალობა კაცობრიობის არსებობისადმი ბრმა შეძრწუნებას იწვევდა. ბევრი მისწრაფება დაემსხვრა ადამიანს დროთა ვითარების ჩაქუჩის ქვეშ, მთები კი უცვლელი დარჩა. ზვავები დღესაც იმნაირად სჭექავენ უშბას დს თვეთნულდის ფერდობებზე, როგორც ჰეროდოტეს და სტრაბონის დროს. როდესაც სვანეთის დასავლეთით ჰყვაოდა ქალაქი დიოსკურია და ფაზისზე ცურავდენ სავაჭრო ხომალდები, კავკასიონი მაშინაც იგივე იყო, რაც ეხლაა—რადიოს და ელექტრონის საუკუნეში.

ეს მარადიულობა, ეს საზარელი უცვლელობა მთების, სიმკაცრესთან შეერთებით, სვანებისათვის ღვთიური საიდუმლეობით იმოსებოდა. ღვთაებრიობა ამის ერთად ერთი ახსნა იყო.

ასე უნდა წარმოშობილიყო რწმენა ნადირთა და კლდეთა ღმერთის მზეთუნახავ დალის შესახებ.

ხალხის დაუშრეტელმა ფანტაზიამ სვანეთის ქალ-ღმერთი საზღაპრო სილამაზით დააჯილდოვა. დალის თვალები მთებში ჩამწყვდეული ანკარა ტბის ლაჟვარდს ედარება, თმები კი—მზის შარვანდედისა და აბრეშუმის შენაერთს.

ნადირობა სვანების უმთავრესსა და თითქმის ერთად-ერთს საქმიანობას წარმოადგენდა. სანადირო იღბალი და სიმარჯვე ბედის განგება იყო. ცხადია, რომ ამ გარამოებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა სვანების მსოფლმხედველობაზე. მართლაც, სვანური ფოლკლორის საუკეთესო ნაწილი სანადირო შინაარსზეა დამყარებული. ფერხულს უეჭველად თან სდევს სანადირო სიმღერა, სვანური ზეპირისიტყვაობის ერთერთი მთავარი გმირი ბეთქილი მონადირე იყო. სანადირო ლეგენდების და სიმღერა—ლექსების წარმოშობა საუკუნეთა სიღრმეში იკარგება არსებობს მკაფიო საზღვარი ამ თქმულებებსა და იმ გადმოცემებს შორის, რომლებიც ქრისტიანულ ეპოქაში წარმოიშვა.

სვანების დალი იგივეა, რაც ელინების დ ი ა ნ ა ა. სვანეთის ფანტასტიური ქალ-ღმერთა კლდეებში ცხოვრობს და ჯიხვის ქურქებზე იძინებს. დალი მოკლებული არაა ქალურ თვისებებს. დალის თქმულებებში ეროტიული ხაზები მუქადაა გავლებული. დალი თავს შეაყვარებს საუკეთესო ვაჟკაცებს, ტრფობის საფასურად ჯიხვებს და არჩევს უგზავნის ისრით, განსაგმირავად მაგრამ ღალატისათვის კი სასტიკად სჯის მას. დალის შურისძიებამ დაღუპა ბეთქილ-გმირი, რომელმაც დალის მშვენება საკუთარი რძლის, თამარის სიკეკლუცეზე გასცვალა.

უღვირის ფერდობიდან ჩვენ ჩავყურებთ მულახის თემს-თავისუფალი სვანეთის კოლორიტულ ნიმუშს. უზარმაზარ ყინვარს ოდესღაც გაუთლია მულხურას ხეობა. მისი ძირი ამჟამად ვრცელს და ოდნავ დაქანებულ ვაკეს წარმოადგენს. მთელი ვაკე და ჭირნახულის ნათესები წესიერ ოთხ-კუთხედებადაა დაყოფილი. ნათესებს შორის ბავშვის სათამაშოებივით გაფანტულა მაღალი კოშკები. კოშკებს მიჰკედლებია ვიწრო-სარკმლიანი შეკვარტლული ქვის სახლები.

ორღობეები სოფელს ერთმანეთთან აკავშირებენ. ვისაც უმოგზაურია თავისუფალ სვანეთში იგი ვერ შესძლებს წარმოიდგინოს ეს ქვეყანა უკომკოდ. კოშკი აქაური ლანდშაფტის განუყოელი ნაწილია. მაღალი კოშკები სვანეთის მაღალ კონცხებს შესდგომიან. სამწუხაროდ, სვანეთი ჯერ კიდევ [illegible] ადგილია ასახული ჩვენი ხელოვნების მიერ, რომ ვერც ერთს არსებულ ნახატში ვერ იპოვით ზემოაღნიშნულ ჰარმონიის და საერთოდ სვანური პეიზაჟების უტყუარ გადმოცემას.

***

სოფელი მესტია. სამაზრო ცენტრი. 1400 მეტრის სიმაღლეზე ოკეანის დონიდან. ირგვლივ ნაძვნარი. აღმოსავლეთით—თვეთნულდი, დასავლეთით კი ასეთივე თოვლიანი ლაჰილის მთა.

კოშკების ჯგუფი რკალივით შემორტყმია სეტის „სვიფ"-ს, ე. ი. მოედანს სვიფი ძველად საჯირითო, საღრეობო და სათათბირო ადგილი იყო. დღეს მან ყველა აღნიშნული ფუნქციები შეინარჩუნა და, ამის გარდა, ზედ დაერთო ზემო სვანეთის კულტურული და ადმინისტრატიული ცენტრის მშენებლობა.

აღმასკომის სუფთა შენობა დიდ კონტრასტს შეადგენს. ჭვარტლიან კოშკებთან შედარებით. სახურავზე ამართული რადიოს ანძები და კოშკთა ელამი სათოფურები, კლუბი და ბოსელივით სახლები, საბეითლო წერტი და კვარის განათება —ეს რა არის, თუ არა წინააღმდეგობათა შეთავსება?!. თოვლი მესტიაში დიდი ხანია გადნა, მაგრამ ჯიშიანი ყარაჩაული ხარები სვიფზე ეხლაც დაათრევენ მარხილებს. ზემო სვანეთისთვის ჯერ უცხო ხილია ბორბალი და ეტლი. სვიფის განაპირას ხის ხარიხებზე მიბმული ბალყარული ტაიჭები ტორებს სცემენ მიწას, ჭიხვინებენ და მხედრების მოლოდინში, მოუთმენლად ტოკავენ. მხედრები კი ან სასადილოში სხედან, ან მოედანზე ერთმანეთს ჭორებს უზიარებენ. ჭორი მთიელთა საერთო სისუსტეა. ჩაჩნები მზად არიან ორი დღე იმგზავრონ ახალი ამბების შესატყობად. ჭორი და ამბავი შუა აზიის მომთაბარე ყირღიზებსაც უყვართ. მესტიის სვიფი—ზეპირი „პატეჟურნალის" რედაქციაა.

მესტიის დათვალიერების დროს ადვილი შესამჩნევია ის გარდატეხა, რომელიც მომხდარა და ხდება სვანეთში. მიმდინარეობს ყოფა-ცხოვრების პირობათა გაუმჯობესება ეკონომიური, სანიტარ-ჰიგიენური და კულტურული. უკანასკნელ დროს მესტიაში რამდენიმე ათეული ქალაქური ყაიდის სახლი აშენდა. პარტიის ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით სვანებმა მიუხედავად კულტურული ჩამორჩენისა და ფანატიზმისა უკვე შეიგნეს ახალი ცხოვრების დადებითი მნიშვნელობა და ხალხმა იგრძნო, რომ მათს ქვეყანას აღარ შესცქერიან უწინდელ „Заповедник" სავით სვანეთი იწყებს აქტიურ მონაწილეობის მიღებას სოციალიზმის მშენებლობაში.

აგერ მოხუცი სკანი, რომელსაც ახსოვს სოფელ ხალდეს გაოხრება მეფის ჯარის მიერ. ამ მოხუცის შვილს-შვილი პიონერია და წითელი ყელსაბამით ამაყობს. დღეს მესტიაში პიონერ-კოლექტივების ხელმძღვანელთა ყრილობაა და ამიტომ სვიფზე ხშირად ვხდები ზემო სვანეთის მიყრუებულ კუთხეებიდან ჩამოსულს ახალგაზრდებს. მესტიის ირგვლივ მშენებლობაა გაჩაღებული. შენდება აბანო; შენდება ჯებირები მდინარე მესტია-ჭალას თვითნებობის შესაზღუდად; მთავრდება ხე-ტყის სახერხი ქარხანა; იზომება ადგილი თეატრისათვის.

ლალამისკენ თუ წახვალ, სახელმწიფო საფუტკრეს ნახავ. ხნიერი სვანი აგრონომი მამასავით უვლის შრომის მოყვარე მწერებს. იგი გიამბობსთ, რომ სვანეთის ფუტკარმა, თავისი გრძელი ხორთუმის მეოხებით სახელი გაანთქვა მთელს მსოფლიოში და უცხოეთიდან მრავალი დაკვეთა მოდის დედა-ფუტკრებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა განძეული აქვს სვანეთს?

გეოლოგიის მხრივ სვანეთს ჯერ კიდევ ესაჭიროება შესწავლა. ნაპოვნია ანთიმონიტი, დარიშხანი, მარმარილო, ბთის ბროლი. სვანეთის მარდი მდინარეები იაფი ენერგიის ისეთ რაოდენობას შეიცავს, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს სვანეთს და მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მთელი ამიერ-კავკასიის ენერგეტიულ ქსელსაც. გზის გაყვანა და ავტო-მიმოსვლა თავისუფალ სვანეთს მთლიან ალპიურ კურორტად გადააქცევს და მრავალ ტურისტს მოიზიდავს მოკავშირე რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდანაც. ამის თავდებია სვანეთის კრისტალურად სუფთა ჰაერი, სიწყნარე, ტყეები, იშვიათი სილამაზის პეიზაჟები და ნაირ-ნაირი მინერალური წყლები.

სვანეთის მინერალური წყლები დღევანდლამდე თითქმის არაა ცნობილი. ეს უგზოობის და კარ-ჩაკეტილობის ბრალია. აქაურ მინერალურ წყაროებს ახასიათებს მრავალ ნაირი ქიმიური შემადგენლობა, რადიო-აქტივობა უხვი ნახშირ-მჟავა აირი, და დიდი დებეტი. მესტიის არემარეში ოციოდე წყაროა, რომლებიც ტიპის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა. მესტიიდან მულახამდე, ზედ ბილიკთან სამ ვეძს შეხვდებით. სოფელ ხალდეს აღმოსავლეთით ერთერთს წყაროს ისეთი დებეტი აქვს, რომ ზედ წისქვილია მოწყობილი. ზოგიერთი წყარო სვანებს შორის სამკურნალო თვისებებით არის განთქმული. ზაფხულობით აქ იმართება სახალხო კურორტები. მინერალური წყლების სარგებლიანობის შეგნება სვანს იმდენად გასჯდომია ძვალ-რბილში, რომ მტკნარი წყალი თითქმის არ იხმარება. „სგიმ ლიც“ (მჟავე წყალი) საჭმლის მოსახარშადაც კი იხმარება და მინერალური წყლის ზოგიერთი ენტუზიასტი დღე-და-ღამეში 3—4 ლიტრას სვამენ. რა თქმა უნდა, შესაძლოა გადაჭარბებასაც უარყოფითი შედეგი მოჰყვეს სამაგიეროდ, მჟავე წყლები შინაურ პირუტყვის მარილის მაგივრობას უწევს. რომელიც კოოპერატიული ქსელის მოწესრიგებამდე დეფიციტიან საქონლად ითვლებოდა.

ზემო სვანეთი წარმოადგენს საუკეთესო ტურ-ალპინისტურ რაიონს. მის მწვერვალებს და უღელტეხილებს არა ერთი უცხოელის აღტაცება გამოუწვევია. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ევროპიელი მოგზაურები (ფრეშფილდ დეში, მერცბახერი; სელლა, დონკინი, ვულლეი, კოკკინი, ჰოლდერი) იკვლევდენ კავკასიონის სვანურ ნაწილს და თავისი ნაწერებით სვანეთს პოპულარიზაცია უყვეს მთელ ევროპაში. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ტურიზმის პირველი ფაზა—ფაზა “ალპინისტური დაპყრობის“ სვანეთში (და, საერთოდ, კავკასიონზე), უკვე მთავრდება. ევროპასა და ამერიკაში სვანეთი ცნობილია, როგორც ბუნების იშვიათი ძეგლი—ძეგლი, რომელსაც მხოლოდ ჰიმალაის სამხრეთი ფერდობები თუ შეედრება, სხვა მთიანი ქვეყნები კი არა—ვერც პამირი, ვერც შვეიცარია და ტიროლი, ალტაი, ან სამხრეთ ამერიკის ანდები. სვანეთის, როგორც ალპინისტური რაიონის, სამკაულს წარმოადგენს მთა უშბა, რომელიც

ერთერთ უძნელეს მწვერვალად ითვლება მსოფლიოში. იწყება მეორე ფაზა კავკასიონის ტურისტულ „დაუფლებაში"—მასიური ტურიზმი. მაგრამ ამ უკანასკნელს სათანადო პირობები სჭირდება. თუ ეს პირობები შეიქმნა, ტურიზმი სვანეთისათვის მძლავრ საშემოსავლო წყაროდ გადიქცევა. [illegible] სახელმწიფო ბიუჯეტი უმთავრესად ტურიზმს ეყრდნობა. სვანეთი კი, ტურიზმის თვალსაზრისით, არც შეეცარიას ჩამოუვარდება. და აი, პროლეტარული ტურიზმის საზოგადოება აწარმოებს გაძლიერებულს სატურისტო მშენებლობას. შენდება ბაზები დასახლებულ ადგილებში შენდება საუღელტეხილო ქოხები; მზადდება ალპიური გიდების (მეგზურების) კადრი; იქმნება სპეციალური ლიტერატურა; ხდება მთებში ხიფათ-განცდილებისათვის დახმარების ორგანიზაცია. გავა რამოდენიმე წელი და სვანეთი ისევე ხელმისაწვდომი გახდება, როგორც ყაზბეგია. თბილისიდან მესტიაში მისასვლელად ერთი დღე და ღამეც იკმარებს და... გაქრება ლეგენდა და ზღაპარი სვანეთის შესახებ.

* * *

კულტურული ჩამორჩენილობა საბჭოთა სვანეთის მუშაკებს მნიშვნელოვან დაბრკოლებად ეღობება წინ. კულტურული რევოლიუციის იდეის შესათვისებლად საჭიროა ხალხს ჰქონდეს კლასიური შეგნება და მომწიფებული გონება. ძველი თაობა ყოველთვის შურით უყურებს ახალი მოვლენების წარმატებას. სვანეთში თავისებური ტრადიციების მეოხებით ძველ თაობას უფრო მეტი ავტორიტეტი აქვს, ვიდრე სადმე სხვაგან. იმპერიალისტური რუსეთის ხელში სვანეთი ძალა-უნებურად დარჩა „Заповоденик"-ად და ახალი ცხოვრების მშენებლობა ხშირად პირის-პირ ხვდება ძველი თაობის ენერგიულ წინააღმდეგობას.

მოგვყავს დამახასიათებელი შემთხვევები.

კალის თემში სვანს მცირე-წლოვანი ვაჟი-შვილი გაუხდა ავად. ექიმბაშებმა ვერ უშველეს. მაშინ ავადმყოფი კალის ექიმთან მიიყვანეს. ექიმი შეეცადა ბავშვის მორჩენას, მაგრამ ავადმყოფობა უკვე გაზვიადებული იყო და წამლობამ ვერ უშველა. ბავშვი მოკვდა. მამამ შვილის სიკვდილი ექიმს დააბრალა, გზაზე ჩაუსაფრდა და თოფით მოჰკლა უდანაშაულო ექიმი.

სვანებს წინათ ჩვეულებად ჰქონიათ მდედრობითი სქესის ბავშვის გადაგდება. ფიქრობენ, რომ მიზანი გამრავლების ტემპის შენელება იყო (მიწა არ ჰყოფნიდათ). 1928 წელს მესტიის საავადმყოფოში მულახელმა ქალმა გოგო ჰშობა და ქმრის შიშით უარი სთქვა მისს წაყვანაზე. ამაოდ ეუბნებოდენ მას, რომ კაცსაც და ქალსაც არსებობის თანაბარი უფლება აქვთ. ქალი შინ გაემგზავრა მაზრალმასკომის ქალთა განყოფილებამ ეს პაწია გოგონა იშვილა. გაიარა ორმა კვირამ და დედა ცხენით მოადგა საავადმყოფოს; ქალმა ტრადიცია სძლია დედამ შვილი წაიყვანა.

რაც შეეხება სისხლის აღებას, შურის ძიება ეხლაც მოკლულის უახლოესი ნათესავის მოვალეობას შეადგენს მაგრამ ეს წესი თანდათან ისპობა ახალგაზრდობა ენერგიულად ებრძვის ამ ძველის ძველ ტრადიციას, რომელსაც ზოგჯერ შედეგად მთელი გვარების ამოწყვეტა და სოფლელების გაპარტახება

მოჰყოლია, ზოგჯერ კომკავშირლები მკვლელის ნათესავთა სახლებს შურის ძიებისაგან იცავენ.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულახის და იფარის თემთა სოფლებს აღმოსავლეთიდან ბოთლიანი-ყინულიანი თვეთნულდის მწვერვალი დაჰყურებს. ქარიშხალი ხშირად ათამაშებს ფიფქი თოვლის შადრევნებს კეკლუცი მთის თხემზე, ხან კი ღრუბლებში გაჰხვევს და მოპარული იაგუნდივით მაღაღს მართლაც იაგუნდივით ელვარე მწვერვალს...

ზვავის ჩაგუგუნება ხშირი მოვლენაა თვეთნულდის ფერდობებზე. 1930 წ. თებარვალში აქ მოხდა ყინულის ჩამონგრევა, რომლის ბადალი არც ერთ სვანს არ ახსოვს. ამ ჩამონგრევის ხმაური ლატალშიც კი ისმოდა, ე. ი. სწორი ხაზით 25 კილომეტრის მანძილზე. ჩვენი გამოანგარიშებათ ამ დროს ჩამოინგრა დაახლოვებით 1—1½ მილიონი კუბიკური მეტრი ყინული. ყინვარზე ალბად დღევანლამდეც ჰყრია სასახლის ოდენი ყინულის ნაჭრები, რომლებიც ხსენებული ჩამონგრევის დროს გაჩნდა.

ამ ჩამონგრევაზე ჩვენ უმიზნოდ არ მივმართეთ მკითხველის ყურადღება. 1929 წელს აგვისტოში თვეთნულდზე ასვლის დროს დაიღუპა ორი ტფილისელი ტურისტი. ვინაიდან „ლჯირა“ ე. ი. თვეთნულდი, სვანებს დალის ადგილსამყოფელათ, მიაჩნდათ, ამიტომ მოხუცებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ სჯერათ ეს უძველესი სვანური რწმენა, „წმინდა“ მთის ფერდობებზე მომხდარი კატასტროფა ქალ-ღმერთის რისხვის გამოხატულებად ჩასთვალეს. კვლავ გამოფხიზლდა და შეიშმუშნა ლეგენდა, რომელიც აქამდე ახალი სინამდვილის ხელით კოშკების კუნჭულებში იყო ჩატენილი. „დალი არავის არ მისცემს ნებას რომ მისი ბინის მყუდროება დაარღვიოს მრავალი თავხედი მონადირე დაუბრმავებია მზეთუნახავს მისი ბინის ძებნის დროს. თვეთნულდზე წამსვლელი მიზანს ვერ მიაღწევს, და თუ იმამაცა, დაიღუპება“.

შედარებით უფრო ნასწავლი და გონებრივად განვითარებული სვანები თვეთნულდის მწვერვალზე ასვლის შეუძლებლობას, რა თქმა უნდა, ქალღმერთს კი არ მიაწერენ, არამედ ტეხნიკურ სიძნელეს და მკაცრს კლიმატიურ პირობებს. მონადირეები ამბობენ, რომ თვეთნულდზე განუწყვეტლად ჰქრის ქარიშხალი, რომელსაც ოც-ფუთიანი ქვების ათამაშებაც კი შეუძლიანო. ამბობდენ აგრეთვე, რომ თვეთნულდის ფერდობების ყინული „ბოთლის მინასავით მაგარია“ და წრიაპის ფოლადის კბილებსაც კი არ ემორჩილება. აი აზრი ერთერთი სვანის, რომელსაც საშუალო სასწავლებელი დაუმთავრებია: „წელს, თვეთნულდზე წამსვლელს ბევრს ვნახავთ, მობრუნებულს კი ვერავის. ტყუილია, ვითომც უცხოელები ასულიყვენ მწვერვალზე. თუნდაც რომ მიიაღწიოს ვინმემ მწვერვალს, ჩამოსვლისას უთუოდ დაიღუპება!!.

1930 წელს ზაფხულში მთელ ოთავისუფალ სვანეთში სულ ორიოდე პიროვნება მოიძებნებოდა, რომლებსაც სწამდათ თვეთნულდის დაპყრობა ალპინისტური ტეხნიკის საშუალებით. ერთერთი მათგანი იყო ხალდეშელი ახალგაზრდა, ვინმე გოჯი ჩეგიანი, რომელიც 1929 წლის მთასვლურ ექსპედიციაში მეგზურად იყო ნამყოფი. ჩეგიანი ერთი პირველთაგანი იყო იმ სვანთა შორის რომელნიც ზემო სვანეთში მოსვლისას გავიცინოთ. თუ მკითხველ ახსოვს ჩვენი ნაამბობიდან, მუშურზე გადმოვლის შემდეგ ლალხორში შვიდი სვანი შეგვხვდა.

ამ შვიდთა შორის იყო გოჯიც, რომელიც თვეთნულდზე ასვლის დროს — თანამგზავრობას დაგვპირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჩეგიანი ქერაა, თითქმის „ბლონდინი“, მთებში გამორეობილი და ფიზიკური ღონით უხვად დაჯილდოებული. საიმედო ამხანაგია, გამბედავი და კლდეებზე სიარულის „სპეცი“, თვეთნულდის დაპყრობის ენტუზიასტი—ასეთი გახლდათ ჩვენი თანამგზავრი.

ივნისის მიწურულში სოფელ ხალდეს მივადექი.

1876 წელს სვანების ამბოხების დროს რუსეთის ჯარმა გაანადგურა ხალდე, ააფეთქა აქაური კოშკები და მთელი სოფელი გააპარტახა. ხალდეშლებმა სხვა სოფლებს შეაფარეს თავი გავიდა ხანი და მათ იწყეს ხალდეში დაბრუნება და სახლ-კარის აღდგენა. ამიტომაა, რომ თანამედროვე ხალდე თავისუფალი სვანეთის ერთადერთი სოფელია, რომელშიც არ მოიპოვება კოშკები. აქაური სახლები ჰიგიენური თვალსაზრისით გაცილებით სჯობია ჩვეულებრივ სვანურ ქოხებს: ფანჯრები ნორმალური ზომისაა, ბოსელი ცალკეა მოთავსებული, გვხვდება, ორ-სართულიანი სუფთა შენობები და აივნებიც.

გოჯი შინ იყო. „პირობა რა კი მოგეცი, უნდა კიდეც შევასრულო, მით უმეტეს, რომ მე თითონაც მენატრება ლ-ჯირაზე ასვლა-“ო. მაგრამ გოჯის მშობლები, ცოლი, ნათესავები და ყველა სხვა ხალდეშლები სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებას იცავდენ. ისინი გვიშლიდენ თვეთნულდზე წასვლას, აგვიწერდენ უძირო ნაპრალების საშინელებას, ქარიშხალის სიმძლავრეს და ხშირად დალსაც ახსენებდენ. ყველანი დარწმუნებული იყვენ ჩვენს დაღუპვაში. მაგამ გოჯიმ სიმტკიცე გამოიჩინა და ორივენი სამაზადისს შევუდექით.

მეორე დღეს დილის 10 საათზე მივატოვეთ ხალდე დედამ გულ-წრფელი ცრემლებით გამოიტირა გოჯი, განრისხებული მამა კი მხოლდ გამომშვიდობების უკანასკნელ წამს მოლბა და დაგვპირდა, რომ როგორც კი მზიანი ამინდი დადგებოდა განზრახული გვქონდა (უამისოდ არ გვეცადნა ასვლა), იგი ჩხუტნიერის თხემზე ავიდოდა და იქიდან ბინოკლით ადევნებდა თვალს ჩვენს ასვლას.

ჩხუტნიერის უღელტეხილით გადავედით სოფელ ჰადიშში.

* *
*

ჰადიში მიყრუებული სოფელია. შეშინებული წიწილებივით შეჯგუფებული ოცდაათი კოშკი უზარმაზარი კრუხის—თვეთნულდის ფრთას ამოჰფარებია. ჰადიშის არემარეები მოკლებულია ტყეს, ვინაიდან ეს სოფელი, ზღვის დონესთან შედარებით, 2150 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

ჰადიში გონებრივი ჩამორჩენილობის და ჭუჭყის მხრივ სვანეთის პიროებებშიც კი სანიმუშო ადგილია. ესაა საშუალო საუკუნეების ძეგლი, რომელიც უგზოობამ დაიცვა განადგურებისაგან. შეუძლებელია თვალი მოჰკრა სწორკუთხოვან სვეტებად ამართულს გამურულ საგვარეულო კოშკებს თვეთნულდის თოვლის ფონზე და არ იგრძნო უძირო უფსკრულის არსებობა ჰადიშსა და ჩვენი საუკუნის შორის.

ვიწრო, მრუდე, ნეხვით და ტალახით სავსე ქუჩები სერავენ ციხე-სოფელს შუაგითად ამოშენებული ყორეებიდან მოქონავს წყალი სარწყავებიდან. „ქუჩებს“ გამოსცქერის სათოფურები და ასეთივე ვიწრო სარკმელები.

ჰადიშში გოჯიმ და მე გოჯის შორეულ ნათესავთან ნიკოლოზ ავალიანთან შევისვენეთ. საუბედუროდ, ჩვენი არჩევანი მაინც და მაინც სასარგებლო არ გამოდგა: ნიკოლოზს ქალდანების გვარის კაცის მოკვლა ჰბრალდება. მთელი ჰადიშის მოსახლეობა ორ გვარად იყოფა: ავალიანებად და ქალდანებად. მართლა მოჰკლა თუ არა ნიკოლოზმა ქალდანი — „ალაჰმაც არ იცის“. ფაქტი ისაა, რომ ჩვენი ყოფნის დროს, ჰადიში ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ავალიანები და ქალდანები ერთმანეთს მტრულად ეპყრობოდენ, ხოლო თვით ნიკოლოზი, აგერ, უკვე ნახევარი წელია, რაც საკუთარი კარის ზღურბლს არ გამოსცილებია. მან იცის რომ ქალდანები სდარჯობენ მას დღითაც და ღამითაც და ცოცხალს არ გაუშვებენ, თუ კი ნიშანში ამოიღეს, ან ხანჯალი მიაწვდინეს.

შინ ჯდომისაგან ნიკოლოზს ზაფრანის ფერი დასდებია. მისი ცოლი — სანახევროდ ავადმყოფი, ნაადრევად დამჭკნარი ქალი-ძლივსღა აუდის სამეურნეო საქმეებს. შვილები მცირეწლოვანი არიან. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გაუხარდა ნიკოლოზს ჩვენი სტუმრობა. იგივე არ ითქმის ჩვენ შესახებ, ვინაიდან, როგორც ნიკოლოზის სტუმრებს, ქალდანები ალმაცერად გვიყურებდენ და ბავშვებსაც კი აგონებდენ, რომ ჩვენთვის სიტყვიერი შეურაცაყოფა მოეყენებიათ. საერთოდ შურის მაძიებლები სცდილობდენ ნიკოლოზი როგორმე „გარეთ გამოეწვიათ და მოეკლათ. მაგრამ ნიკოლოზი ფრთხილობდა.

იყო ასეთი შემთხვევა ღამის 10—11 საათზე ნიკოლოზის დარბაზის კარზე ვილაცამ მოაკაკუნა. ნიკოლოზს ჯერ თვითონ უნდოდა კარის გაღება, მაგრამ გოჯიმ ნება არ მისცა და კარი გააღო. როგორც გოჯიმ გვითხრა, სიბნელეში მან შეამჩნია კართან ატუზული კაცი, რომელსაც გაქცევის დროს შიშველი ხანჯალი გამოუჩნდა. როგორც სჩანს, ეს იყო რომელიმე ქალდანი, ნიკოლოზის მოსაკლავად მოსული. გოჯის დანახვაზე თავის ვინაობის გამომჟღავნებისა შეეშინდა და გაიქცა.

ჰადიშში იყო ერთად ერთი ქალდანი, რომელსაც ნიკოლოზთან და სხვა ავალიანებთან კარგი უთრიერთობა ჰქონდა. ეს იყო ქუთაისის ერთერთი სკოლის მოსწავლე (სახელი დამავიწყდა).

ჰადიშში იყო ქალაქებიდან საარდადეგოდ ამოსული ხალხი ახალგაზრდა ჰადიშელი. ისინი ხშირად მოდიოდენ ნიკოლოზთან დროის გასატარებლად. ცეცლის გარშემო იმართებოდა სჯა-ბაასი და ხმამაღლა კითხვა. ხნიერი სვანებიც კი დიდის ინტერესით ისმენდენ ჩვენს ახსნა-განმარტებას, გვეკითხებოდენ სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის მიზეზებს სჩიოდენ სვანების უსწავლელობას; ათჯერ მაინც წაკითხეს „არსენას ლექსი“. ზოგჯერ მეზობელი ქალები მოდიოდენ, ჭიანურს უკრავდენ და „სტუმრებს ასე უტკბობდენ სმენას.

ჰადიშელებს ძლიერ უყვართ არაყი 4—5 წლის ბავშვებსაც კი ასწავლიან არაყის სმას. ასეთი წესია მთელს თავისუფალ სვანეთში. არაყის გადაჭარბებულ ხმარებას შედეგად მოჰყოლია დეგენერატიული ტიპების სიმრავლე, მამაკაცების სქესობრივი უძლურება.

მოსაწყენი და ერთფეროვანია ჰადიშელების ცხოვრება. აქაური ადამიანი ძრწის ბუნების ძალის წინაშე.

საუბედუროდ, ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში იძულებულნი ვიყავით ჰადიშში გვეცხოვრა. ამიდი ცუდი იდგა. 3 ივლისს ვცადეთ თვეთნულის გზების გასინჯვა, მაგრამ საძოვრების საზღვართან სეტყვამ და კოკის პირულმა წარღვნამ მოგვისწრო და გვაიძულა უკანვე დავბრუნებულიყავით. იმ დილიდან დაწყებული ერთი კვირის განმავლობაში ნისლი არ მოშორებია ფერდობებს, ღრუბლები კი—მწვერვალებს. იშვიათად, საღამოობით, რამდენიმე წუთით გაწეულ-გამოწეული ჯანყი მცირე სარკმელს გააჩენდა და ამ უკანასკნელში აკაშკაშდებოდა კეკლუცი თვეთნულდი, მაგრამ ნიავი ისევ შეამჭიდროვებდა ღრუბლის ალყას და ნოტიო ორთქლის მასები მაჯლაჯუნასავით წვებოდენ ჰადიშზე.

ეს ერთი კვირა ერთ საუკუნედ მოგვეჩვენა.

მოწყენილობას გამოდარების მოლოდინს, მოუთმენლობას ზედ დაემატა სრულიად გაუთვალისწინებელი გარემოება.

ერთს საღამოს, ნიკოლოზის ძმამ ივანემ გვითხრა:

— ეს გაჭიანურებული ავდარი ჭირნახულისათვის ძალიან საზიანოა. თუ ამ დღეებში არ გამოიდარა, მოსავალი ცუდი იქნება...

— გამოიდარებს.—ანუგეშა გოჯიმ.

— ძეც ეგრე მგონია.—განაგრძო ივანემ.—მაგრამ... სულელი ბებრები ამბობენ, რომ...

— რომ! .

— ამბობენ, რომ ავდრიანობის მიზეზები თქვენ უნდა იყვეთ. თვეთნულდზე ასვლა გაქვთ განზრახული... დალი განგებ ჰხვევს ლ-ჯირას ღრუბლებში, რომ თქვენ არ გაბედოთ ასვლაო.

— მერე გჯერა?

— არა... არ ვიცი...

— კარგი ღმერთი ყოფილა თქვენი დალი, თუ ჩვენი ასვლის შიშით ხრიკებს მიმართავს...

— სსუ!—თითის დაქნევით და თვალის ჩაკვრით გამაჩუმა გოჯიმ.

ეს მაგალითი ნათლად ხდის ჰადიშელების კულტურულ ჩამორჩენილობას.

* * *

9 ივლისს ღრუბლები გაიფანტა, საძოვრების თავზე თვეთნულდი აელვარდა და ჩვენც სამზადისს შევუდექით.

10 ივლისს ისევ კარგი ამინდი იდგა და ჩვენ აუჩქარებლად ავიარეთ საძოვრების ზოლი. ტვიბ-მაშარის თოვლით ამოვსებული ხევის ჩრდილს ნაპირზელაკ ჩხილდარის გრანიტოვანი ქედის კლდეებში ბანაკი გავმართეთ. ეს ადგილი დაახლოებით 3400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გადმოხურული კლდე ვაკე მოედანს ჩამოვარდნილი ქვებისაგან და ატმოსფერული ნალექებისაგან იცავს.

ღამე სუსხიანი გამოდგა. მთვარის შუქი კლდეებზე ფანტასტიურ არშიებს ხატავდა. მთვარის შუქზევე მარადიული თოვლი მოვერცხლილივით ბრწყინავდა

დილა ადრიან შურთხის სტვენამ გამოგვაღვიძა...

ჰადიშის ხეობაში სუფრასავით გაფენილიყო ნისლი. დილის ნიავი ანცი იერიშით ჰფხრეწდა სუფრას და ნაფხრეწებში იცქირებოდა ჰადიშის კოშკები.

დილის 5 საათზე გავედით ბანაკიდან.

7 საათზე კი უკვე ნაგება-ყინვარის თოვლიან მინდვრებზე ვიდექით. ქარი ამოვარდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ დიდხანს ვიდექით ერთს ადგილზე და გადავცქეროდით მულხურას ხეობას. ვინც კავკასიონის მაღალ მწვერვალებზე არ ასულა, იგი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს იმ უცნაურ განცდებს, რომლებიც იპყრობს მთასვლელს თოვლიანი მინდვრებიდან გადმოხედვის დროს მართლაც განა უცნაური არ არის, რომ მკაცრი არკტიკიდან ჩასცქერი ტყეების და საძოვრების უხვ სიმწვანეს, ყანებს შორის გაბნეულ კოშკებს და სახლებს?!. უცნაური არ არის მარტოობა ყინვარზე იმ დროს, როდესაც შენს ფეხქვეშ სდუღს ცხოვრება?!. საზარელი მთა და ტურფა ხეობა ერთმანეთს უპირდაპირდებიან. სხვათა შორის, ეს გადაწყვეტი მომენტია ყოველ ასვლის დროს: შესაძლოა მთის სიმკაცრემ შეაძრწუნოს მთასვლელი, ხეობის სიტურფემ კი გადააფიქრებინოს განზრახვა. მაგრამ თუ შესძლე ამ მომენტის დაძლევა და დაივიწყე სიცოცხლით აღსავსე დაბლობი, მაშინ გამარჯვებაც ნახევრად ძლეულია.

გერმანელი ალპინისტის გოტფრიდ მერცბახერის აღწერილობიდან სჩანს, რომ თვეთნულდის მწვერვალის მისაღწევად საჭიროა თვეთნულდის სამხრეთ-დასავლეთ სერზე ასვლა და ამ სერის თხემით სვლა ბოლომდე. 1930 წელს ზაფხულში მერცბახერის აღწერილობა ჩვენს ხელთ არ იყო, მაგრამ ლოღიკამ გვიკარნახა, რომ სამხრეთ-დასავლეთი სერი მწვერვალზე ასვლის საუკეთესო შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. სანამ სერის დასაწყისს მივაღწევდით, ციცაბო ყინულოვან ფერდობზე ავედით. იქ ალაგ-ალაგ საფეხურების გაჭრა იყო საჭირო. საუბედუროდ, თვეთნულდს სქელი ნისლი შემოეხვია და ამიტომ 4200 მეტრის სიმაღლიდან უკან გამოვბრუნდით, მაგრამ მალე შევხვდით მთასვლელების მეორე ჯგუფს და მათთან ერთად განვაგრძეთ ასვლა.

შეერთებული ჯგუფი 9 მონაწილისაგან შესდგებოდა. ნისლი იმდენად სქელი იყო, რომ წინ მიმავალი უკანასკნელს თითქმის ვერ ხედავდა. გზა კი სახიფათო იყო: ჩვენ მივდევდით „დანის პირივით“ მახვილს თოვლიან სერს. უფსკრულზე გადაწეული თოვლის „კარნიზების“ ჩანგრევა დაღუპვით გვემუქრებოდა. მაგრამ სვანების და ყაზბეგელი განთქმული მეგზურ-მთასვლელის იაგორას უტყუარი ალღო გვერდს უვლიდა ხიფათს. მივდევდით სერის მარჯვენა წახნაგს საფეხურებს ვჭრიდით და თოკით ვიცავდით ერთმანეთს.

თხელი ჰაერი გვაიძულებდა ნელა გვევლო და ხშირად დაგვესვენა. ფეხები გვეყინებოდა. დრო-გამოშვებით ქარი, შემოგვიტევდა, მაგრამ მისი იერიში არ ამართლებდა სვანების აზრს თითქოს ადამიანი თვეთნულდის ქარიშხალს ვერ გაუძლებსო.

ზევით ჯანყი თანდათან სქელდებოდა, ნაცრისფერ ბინდ-ბუნდებში იხაზებოდა ამაღლებული ბორცვები, რომლებიც ჩვენ მწვერვალი გვეგონა. ბორცვის თხემზე ასვლისას ვამჩნევდით დაუბოლოვებელი სერის გაგრძელებას უკვე საღამოს 4 საათი იყო და მწვერვალი კი ჯერ არ სჩანდა.

თვეთნულდის მწვერვალი 4853 მეტრის სიმაღლეზეა ამართული. ერთ-ერთი მონაწილის ალტიმეტრი (სიმაღლის მზომი) კი უკვე 5100 მეტრს აღნიშ-

ნავდა. როგორც სჩანდა, მწერვალი უკვე ახლოს იყო. შემდეგში დავრწმუნდით. რომ სინამდვილეში ამ ასვლის დროს მიღწეული სიმაღლე 4750 მეტრი იყო და მწვერვალამდე მხოლოდ 100 მეტრი დაგვრჩენოდა. მაგრამ, [illegible] სახიფათოდ ვცანით ასვლის გაგრძელება და... უკან გამოვბრუნდით.

მეორე დღეს ამხ. ალექსანდრე ჯაფარიძე გუშინდელი ნავალის მიყოლებით ავიდა თვეთნულდის მწვერვალზე.

ეს მოხდა მზიან დღეს. თვეთნულდის სამხრეთ დასავლეთი სერი მშვენივრად სჩანდა ჰადიშიდან. მთელი სოფელი გამოიხვეტა სახლებიდან და მონადირეების ბინოკლებით ხედავდენ სერის თხემზე აღბეჭდილს ნავალს ადამიანის ოდნავ შესამჩნევი ფიგურა მიდიოდა ამ მავალით მწვერვალისაკენ...

თვეთნულდი დამარცხდა.

სვანებმა საკუთარი თვალით ნახეს როგორ ავიდა ადამიანი ლ-ჯირას მწვერვალზე. ლეგენდა შეირყა, დალის რწმენა დაიმსხვრა და ჰადიშელები სიხარულით ულოცავდენ ერთმანეთს ამ ღირს-შესანიშნავ მოვლენას ჰადიშის ცხოვრებაში.

იმ ზაფხულს თვეთნულდზე კიდევ ხუთჯერ ავიდენ მთასვლელები. ჰადიშიდან, ჭოლაშიდან, ჩხუტნიერიდან და წანერის ყინვარიდან სვანები ხედავდენ მწვერვალზე აფრიალებულ დროშას. ეს დროშა იყო მთების კულტის სამარე და საუკეთესო აგიტაცია რელიგიის წინააღმდეგ.

* * *

ტვიბერის უღელტეხილი წარმოადგენს ზემო სვანეთის ერთერთს უადვილეს მისადგომს ჩრდილოეთის მხრიდან. ამ უღელტეხილით გადადის ბილიკი მუჟალის თემიდან ჩეგემის ხეობასა და ქალაქ ნალჩიკში. 1929 წელს ზაფხულიდან ტვიბერის უღელტეხილზე გაჩაღდა ტურისტული ჯგუფების მიმოსვლა. გზა მუჟალიდან ბალყარეთის პირველ (უახლოეს) სოფლამდე შეუჩვეველი მგზავრისათვის ერთ დღეში ძნელი გასავლელია და მოგზაურობის გაადვილების მიზნით პროლეტარული ტურიზმის საზოგადოება შეუდგა ღამის გასათევი ქოხების მშენებლობას უღელტეხილის ორივე მხარეზე—სამხრეთით ტვიბერ-ყინვარის ბოლოდან $1^1/_2$ კილომეტრის მანძილზე და ჩრდილოეთით—გარა-აუზუ-სუს ვეტერინარულ კორდონის მახლობლად—იქ, სადაც მდებარეობს განთქმული მეავე ვეძი.

ვინაიდან სამხრეთით ქოხის აგების ხელმძღვანელობა ჩვენ გვქონდა დაკისრებული, ამიტომ 5 კვირას ვიცხოვრეთ 2000 მეტრის სიმაღლეზე, იმ ადგილში, რომელსაც სვანურად „ნაკრავალ“ ეწოდება.

სიტყვა „ნაკრავალ“ ქართულ „ნაკარვალს“ უდრის. მართლაც, ამ ადგილებში შენახულა მწყემსთა კარვების ნაშთები.

საუცხოვო ადგილია ნაკარვალი. ტვიბერის ხეობის მარჯვენა ნაპირზე-ყინვარის კუდიდან $1^1/_2$ კილომეტრის დაშორებით ხშირი არყნალი ტყით გარემოცული ბალახოვანი მინდორი მდებარეობს ლაგვხალიერის და გვალდარის ალპიური ველებიდან მოსჩქეფს ბროლივით ანკარა და გრილი ნაკადულები, რომლებიც საამური ჩუხჩუხით გადაჭკვეთენ ნაკარვალის მინდორს, სადაც ძირს ჰბობოქრობს მდინარე ტვიბერი; ისმის ლოდების ყრუ ჯახუნი—თითქოს

ხეობაში გაშოტილი დაკოდილი ბუმბერაზი კბილებს აკრაჭუნებდეს [illegible] მოლოდინში. „წყალგაღმა საღი სიმწვანით ჩამოფენილან თხარპელია უხვი იალაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისის ერთ მშვენიერ დღეს „საღმშენებლო პარტიამ“ ძიატოვა სოფელი ჟაბეშ (მუჟალის თემი). პარტიაში შედიოდა 8 სვანი, მათ შორის 4 კალატოზი. წამოვიდენ აგრეთვე უფროსი კალატოზის—ივანე ქოჩგიანის მეუღლე დანილა (!) და მცირეწლოვანი ვაჟი-შვილი.

ივანე უფროსი ოსტატიც იყო და მამასახლისიც. ივანეს მიერ აშენებულ სახლებს კარგი გემოვნება ეტყობა. წარმოიდგინეთ, სოფელ ცალდაშში კოშკიც კი აუშენებია ამ 6—7 წლის წინათ. ჩვენ მოვახერხეთ ამ კოშკის დათვალიერება და მივადექით იმ დასკვნას, რომ კონსტრუქციით ეს კოშკი სვანეთის ძველის ძველი კოშკებისაგან („მურყვამ“) არ განსხვავდება, ამტკიცონ ამის შემდეგ შანშიებმა* და სხვებმა, რომ „სვანებს არა აქვთ კოშკების აგების უნარი და შეუძლებელია სვანეთის კოშკები სვანების აშენებული იყოსო“ო. ოსტატის სახელწოდება ქოჩგიანების გვარს საუკუნეთა სილრმიდან მოსდევს და მემკვიდრეობით მამით შვილზე გადადის.

უქმე დღეებში ივანე მიდიოდა მესტიაში. ხელში მამა-პაპური „ჯაზაირით“ ეჭირა. სვანური (?) ჯაზაირი წარმოადგენს გურზის და „მიჯვრას“ (ალპენმტოკის) კომბინაციას. ეს გრძელი ჯოხია. მის ზემო ბოლო ეკლიანი ფოლადის ბირთვით თავდება, ქვემო კი ფოლადისვე გრძელი და მახვილი ოთხ-წახნაგიანი წვეტით. ამგვარად, „ჯაზაირი“ თავდაცვის იარაღიცაა და ყინულზე დასაბჯენი ჯოხიც. არ ვიცი, მოიპოვება თუ არა სვანეთში ამ იშვიათი იარაღის მეორე ცალი. ივანე ქოჩგიანს ბევრნი ეცაჭრებოდენ და მოზრდილ თანხას აძლევდენ „ჯაზაირში“, მაგრამ ის უარს ეუბნებოდა: „ჩემი მამები და პაპები თუ კი ატარებდენ ამას, მე რათ უნდა გავყიდო“-ო. ზოგიერთი მესტიელი ამხანაგები შესაძლებლად სთვლიან, რომ ქოჩგიანების წინაპარი სვანი არ ყოფილა და ჯვაროსნული ლაშქრობის დროს მოჰყვა სვანების რაზმსო.

უნებურად გადავუხვიე მოთხრობის ღერძს და ვჩქარობ ისევ დავუბრუნდე. ჟაბეშიდან ჩემმა თანმგზავრებმა თან წამოიყვანეს რამდენიმე მეწველი ძროხა და გუდებით წამოიღეს ქერის ფქვილი. ეს იყო მთელი ჩვენი საკვების მარაგი ალმართი ავიარეთ და ტვიბერის ხეობაში შევედით. მდინარე ტვიმბერზე გადასასვლელად ვისარგებლეთ ორიგინალური „ხიდით“. ეს არის ხეობაში ჩამოზვავებული თოვლი მის ქვეშ მდინარეს უზარმაზარი გვირაბი გაუთხრია. თოვლის თაღი აგვისტოს ბოლო-რიცხვებამდე ადვილად უძლებს დატვირთული ცხენების სიმძიმეს. სწრაფი მდინარე ჰქუხს გვირაბის სილრმეში. იქ 0°-იანი სიგრილეა.

ნაკრავალის მინდორზე ორი ტილოს კარავი დავდგით. ეს იყო ჩვენი საცხოვრებელი. რა თქმა უნდა, ალპიური ბუნების მკაცრ პირობებში სახარბიელო არაა კარავის მცხოვრების მდგომარეობა, მაგრამ უკეთესი ბინის უქონლობის გამო ამით უნდა დავკმაყოფილებულიყავით. ნაკრავალის ალმოსავლეთით და

* З Шаншиев. „По Сванетии“. გამოცემა Заккнига“-სი.

დასავლეთით მაღალი მთები აყუდებულა. მთები სჩრდილავს ხეობას. ნაკრავალზე მზე გვიან ამოდიოდა და ადრე ჩადიოდა. დილის ხუთ საათზე [illegible]-ფრად იწყებს კაშკაშს თოთის და ასმაშის თოვლით მორიული [illegible], ნაკრავალზე კი ჩრდილი და სიცივე კიდევ სამ საათს გასტანდა. საღამოს 4—5 საათზე ისევ ჩრდილი შეგოჭავდა ნაკრავალს, თოთი და ასმაში კი ორ საათს ჩაუქროლ-ბლად ენთო. ამიტომ იქცა ტრადიციად ნაკრავალზე გვიან ადგომა და ადრე დაძინება.

ტურისტული ქოხი ნელა შენდებოდა. ცხენები ეზიდებოდენ კირს საპალნეებით („კვიდოლა") მუჟალიდან. საშენი ქვა და კირთან შესაზავებელი ქვიშა ყარაჩაულ ხარებს მოჰქონდათ მარხილებით.

საათი ნაკრავალზე არავის ჰქონდა. საჭიროც არ იყო. სვანების ალღოს მეოხებით ცხოვრება ქრონომეტრის სიზუსტით მიმდინარეობდა. დაძინების დროს ყინვარის ცივი ნიავი გვატყობინებდა. პირის დაბანა, საუზმე, მუშაობა, სადილობა, ვახშმობა სვანური რიტუალების, უფროს-უმცროსობის და სტუმარ-მასპლიძლობის წესების დაცვით ხდებოდა ამ სტრიქონების ავტორი რატომღაც სტუმრად ითვლებოდა—ალბად იმიტომ, რომ სვანები თავს შინ გრძნობდენ.

თიხოვანი ფიქლის სიბრტყეზე, რომელსაც ქვემოდან არყის ხის შეშას ვუნთებდით, დანილა ქერის მრგვალ პურებს აცხობდა. ქერის პური და ნაღებივით მაწონი, სურნელოვანი მარწყვი და ჟოლო, მომჟავო „ღეხ" საუმელი ალპიური ბალახი)—ასეთი იყო ჩვენი სტანდარტული „მენიუ" ხუთი კვირის განმავლობაში. მიუხედავად კვების ამ ერთფეროვნებისა, ნაკრავალზე გატარებულმა დღეებმა უფრო სასარგებლოდ ჩაიარეს თითეული ჩვენგანის ჯანისათვის, ვიდრე რომელიმე კურორტის სანატორიუმში ცხოვრებას შეეძლო. ზედმიწევნით სუფთა მთის ჰაერი, ულტრა-იის ფერი სხივებით მდიდარი მზის შუქი, სიცივე, ვიტამინებით მდიდარი საკვები და წუნ-დაუდებელი წყალი—ასეთი იყო ცხოვრების პირობები 2000 მეტრის სიმაღლეზე, თავისუფალი სვანეთის ზვიადი „ქავქაან"-ის ძირში.

ყოველ 8-10 დღეში ერთხელ ავდარი ყაჩაღივით გვატყდებოდა თავზე, უცბად მოიღრუბლებოდა, იჭექებდა. კამეჩივით ზანტი ნისლი შემოცოცდებოდა ტვიბერის ხეობაში. სტიქიონების იერიში 2—3 საათს გრძელდებოდა. კოკისპირული წვიმა და მსხვილი სეტყვა რიგ-რიგად ურახუნებდა კარვის ტილოს. თუ ავდარი ღამე გაჩნდებოდა, ვიღვიძებდით და ვხედავდით, რომ წყლის გუბეში ვწევართ ნახევარ საათში სეტყვა მთელ არე-მარეს გადაათეთრებდა. სეტყვის მარცვალი ზომით თხილს სჭარბობდა, მათი სისქე კი 15—20 სანტიმეტრს აღწევდა.

მაგრამ, აი ნიავმა წამოუბერა. ეს გამოდარების უტყუარი ნიშანია, ერთ საათში ღრუბლები გაიფანტებოდა, ნისლიც მოუხეშავად აცოცდებოდა მაღლა და... მოწმენდილ ცაზე ან მზე; ან ვარსკვლავთა მოელვარე ღილები აკაშკაშდებოდა.

პავლე და გოჯი ზურებიანები სვანეთში მარჯვე მონადირეებად არიან ცნობილნი. ხანდახან სანადიროდ გაიპარებოდენ. იქნება მკითხველს გაუკვირდეს, მაგრამ სვანეთში დაკანონებულია მონადირის შეუმჩნევლად წასვლა, რა-

თა „ავი თვალი არ ეცეს“. სავალდებულოა აგრეთვე, რომ სანადიროდ წასვლამდე მონადირემ ორი კვირის განმავლობაში თავი შეიკავოს სქესობრივ კავშირისაგან. თუ მონადირის სახლში რომელიმე ქალს რიგი აქვს, მაშინაც აკრძალულია სანადიროდ წასვლა. ცუდ სიზმარსაც შეუძლია სვანს სანადიროდ წასვლაზე ხელი ააღებინოს.

ტურისტთა ჯგუფები ხშირად მოდიოდენ უღელტეხილიდან. ზოგნი ჩერდებოდენ ნაკრავალზე ღამის გასათევად, ზოგნი კი პირდაპირ მუჟალში მიდიოდენ. ცეცხლის გარშემო შეიყრებოდა ინტერნაციონალური საზოგადოება—ტურისტები და სვანები. ამ სტრიქონების ავტორის მუდმივი როლი თარჯიმნობა იყო. ვისლა ახსოვდა ან ეროვნული სხვაობა, ან კულტურული უთანაბრობი, ან და ის ნახევრად ზოოლოგიური მოვლენა, რომელსაც შოვინიზმი ეწოდება!. ბუნება აახლოვებს უცნობებს, ჰქმნის ადამიანთა სოლიდარობას, ანგრევს ენისა და კულტურის მიერ შექმნილ ზღუდეს. მოსკოველი, ლენინგრადელი ხარკოველი ტურისტები ნახევარ საათში მუჟალელი სვანების უახლოესი ნაცნობები ხდებოდენ.

ტურისტების ნაკრავალზე მოსვლა ზოგჯერ საკმაოდ კურიოზულ პირობებში ხდებოდა. ერთხელ, მაგალითად, დილის 9 საათზე კარავიდან გამოსულმა დავინახე „ხაკ“-ის ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა, რომელიც შორი-ახლოს იდგა და გაუბედავად მიყურებდა.

— Здравстуйте!—დაუყვირე მე.

უცნობის სახეზე სიხარული აღიბეჭდა. გაუბედავობა გაჰქრა.

— Скажите, где находится южны приют?

Сейчас вы находитссь в южном приюте. А как вы пополи сюда так рано?!

გამოირკვა, რომ უცნობს და მისს თანამგზავრს ჯგუშინ დაჰგვიანებოდათ უღელტეხილზე გადმოსვლა და ყინვარის კუდთან დაჰღამებოდათ. ტყეში ხეტიალის შემდეგ ღამის 10-11 საათზე გაჩერებულან ღამის გასათევად ღამით წვიმდა და „რობინზონები“ დასველდენ. თურმე მათი ღამის სათევი ჩვენი კარვებიდან 40 მეტრის მანძილზე მდებარეობდა... სიბნელის გამო მათ ვერ შეამჩნიეს კარვები და სიცივისაგან კანკალებდენ იმ დროს, როდესაც რამოდენიმე ნაბიჯის სიშორეზე მათ მყუდრო თავშესაფარი ელოდებოდა.

იყო ასეთი შემთხვევაც; ტურისტების ჯგუფი, ყინვარის გამოვლის შემდეგ მარჯვენა ნაპირის მაგივრად ხეობის მარცხენა ნაპირს გაჰყვა. შუალამისას წყალ-გალმიდან ყვირილი შემოგვესმა. სვანებმა არყის ხის ქერქის მაშხალებით გაიგნეს გზა ხიდისაკენ და გახარებული უკრაინელები მოიყვანეს.

ტურისტებს შორის ნაირ-ნაირი პროფესიის და მდგომარეობის ხალხი იყო აქ იყვნენ მეცნიერებიც და მრეწველობის მუშებიც, ექიმებიც და ინჟერებიც, პედაგოგები და მოსწავლეებიც. რა ეზიდება მათ კავკასიონის მიუვალი უღელტეხილებისაკენ? განა ისინი ეძებენ დროს გასატარებელ ადგილებს? სრულიადაც არა, ტურიზმი ჩვენში არც სპორტია. ტურისტებს ცოდნის წყურვილი ამოძრავებს. ისინი მზად არიან გონებრივ სალაროს შესავსებად ყოველგვარი გაჭირვება აიტანონ შეუძლებელია არ გავიხსენო ხნიერი მოსკოველი მასწავლებელი ქალი, რომელსაც ფეხსაცმელი გაუცვდა და ტვიბერის ყინვარები ფეხშიშვე-

ლამ გამოიარა. იგი არ უჩიოდა თავის ბედს. რას ნიშნავს დროებითი ტანჯვა მაშინ, როდესაც შენი თითეული ნაბიჯი დამატებითს ცოდნას, გაძლევ?... ბუნება ხომ ენციკლოპედიაა, მთებში კი ამ ენციკლოპედიის უტყუარ ილუსტრაციებიც ემატება... სრულიადაც არაა საჭირო გეოლგი, ან გეოგრაფი იყვე, რათა კავკასიონში მოგზაურობამ დიდძალი გონებრივი მასალა მოგცეს. თანამედროვე კულტურა ადამიანისაგან უნივერსალურ ცოდნას და ფართო მსოფლმხედველობას მოითხოვს. მათს მოსაპოებლად კი მოგზაურობა საუკეთესო გზაა. მართალია, იმანუელ კანტი თავის სიცოცხლეში ქალაქ კენიგსბერგის ფარგლებს არ გასცილებია, მაგრამ იგი უხვდებოდა შორეული ქვეყნებიდან ჩამოსულ მეზღვაურებს, ჰპატიჟობდა ყავაზე და საუზმის დროს იგებდა მათგან ხანგრძლივ მოგზაურობის დროს ნახულ-გაგონილს. ბუნების მეტყველების ყველა დარგებში უდიდესი აღმოჩენები ეკუთვნის მოგზაურებს. ის გეოლოგი-ბოტანიკოსი, ან თუნდაც ენტომოლოგი, რომელიც მცირე სივრცეს იცნობს თავისი უშუალო დაკვირვებით, შეგვიძლია შევადაროთ მოჭადრაკეს, რომელსაც მხოლოდ ერთად ერთ მოწინააღმდეგესთან ჰქონია თამაში. დაკვირვებათა სივრცის გადიდება დააზუსტებს დასკვნებს და წარმოშობს ახალ მოსაზრებებს. ბუნებისმეტყველებას რომ თავი დავანებოთ, ახალი ქვეყნების გაცნობა მეცნიერების სხვა დარგებშიც უდიდეს შედეგებს იძლევა. თითეულ ხალხს თავისი გონებრივი და მატერიალური კულტურა ახასიათებს. ხელოვნება მდიდრდება ხალხური შემოქმედების ნაყოფით. რომელიმე დიალექტს შეუძლია მაღალ დონეზე მდგომი ლიტერატურული ენის შევსება საჭირო სიტყვებით. ზოგჯერ მედიცინა სააღმშენებლო საქმე, სასოფლო მეურნეობა ხალხისაგან სესხულობს მეთოდებს.

სვანეთი, როგორც საბჭოთა კავშირის ერთერთი უშესანიშნავესი კუთხე, უკვე ფართო საზოგადოებრივი ყურადღების საგანი გახდა. ყოველ სეზონთან ერთად სვანეთში გამვლელი ტურისტების რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით მატულობს. ამ ფაქტის წინაშე მოგომს შეუძლებელია არ გვაკვირვებდეს სვანეთისადმი უყურადღებობა ტფილისის მხრივ. საკმარისი არაა მუზეუმში სვანეთის ექსპონატების გამოფენა. საჭიროა ჩვენმა მეცნიერებამ და ხელოვნებამ ხელი მოჰკიდოს სვანეთში დაგროვებულს მასალას, რომელიც დღევანდლამდე ელის გამომზევებას...

* *
*

აგვისტო მიიწურა. ალპიური ზამთრის გრილი სუნთქვით შეყვითლებულს საძოვრებზე და კლდეებზე უკვე რამდენიმჯერ დასთოვა. თოვლი ისევ მალე, დნებოდა მაგრამ ყინვის იერიში დღითი-დღე ძლიერდებოდა.

ზავების ქვეყნის—სვანეთის მიტოვების მომენტიც დადგა.

უკან დაგვრჩა:

პირქუში კლდეების არქიტექტურა, თოვლის და ლოდების მოზაიკით შემკული...

გრანიტოვან მწვერვალ-ბუმბერაზთა იშვიათი სკულპტურა, ყინვართა ფრესკებით მოხატული...

ცა—ფირუზის გუმბათი...

ლატფარის თხემზე მდგომს, ცხენი მოუთმენლად მეწევა ჩვენმო სამხრეთისაკენ და ქარის მიერ გაშლილი მისი ფაფარი თვალებზე მცემს...

ბილიკი ჩაიზნიქა სამხრეთისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობით, ზვავების ქვეყანავ! გადაეცი სალამი შენს შვილთ—სვანებს, რომლებმაც თავისუფლების დროშა კულტურის გარიჟრაჟიდან განთავისუფლების ეპოქამდე მოიტანეს.

დიდმართი. უკან მოხედვისას ვხედავ, რომ ლატფარის მწვანე ზურგმა დაჰფარა ურჩხულის რქებივით სიმაღლეში ატყორცნილი უშბა, თვეთნულდი, ჯანყი და მათს ძირში—ხეობების სიღრმიდან ამოსვეტებული გამურული კოშკები-

• • •

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა რადიანი

თანამედროვე პოეტები

1 სიმონ ჩიქოვანი

სიმონ ჩიქოვანი სამწერლო ასპარეზზე საქართველოს ოქტომბრის შემდეგ გამოვიდა, და ამრიგად მისი ჩამოყალიბება, როგორც პოეტისა, საბჭოთა სინამდვილეში მოხდა. პირველ ხანებში იგი ქართულ ლიტერატურაში ფუტურიზმის ტიპიურ წარმომადგენლად გვევლინებოდა.

ს. ჩიქოვანი პოეტურ მუმაობას იწყებს მაშინ, როდესაც ჩვენებური სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული სკოლა, უკვე კრიზისს განიცდის. თვითონ ჩიქოვანი ფუტურიზმის ლიტერატურული პოზიციებიდან უპირისპირდება და ებრძვის ამ მომაკვდავ მიმართულებას. მისი პირველი გამოსვლები დეკადენტური ლიტერატურის წინააღმდეგ უმთავრესად გამოხატავდა მხოლოდ წვრილ ბურჟუაზიულ ინდივიდუალისტის პროტესტს. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ბრძოლის პროცესში ზოგჯერ,თვითონ ჩიქოვანიც ნაწილობრივ ემორჩილებოდა (და საგრძნობლადაც) იმ ლიტერატურული სკოლის გავლენას, რომელსაც ებრძოდა („მიძღვნა ახალ პოეტს“, „სიმონ ჩიქოვანის ნახტომი“ და სხვ.).

ს. ჩიქოვანის პოეზიას პირველ ხანებში ახასიათებდა იდეების და სიტყვების ჟონგლიორობა, წვრილ-ბურჟუაზიული „უჩვეულობით“ გატაცება და გადაჭარბებული ფრაზეოლოგია. განსაკუთრებით დიდი ადგილი ეჭირა ამ ხანებში ჩიქოვანის პოეზიაში ფუტურისტულ „სიტყვათა-ქმნადობას.“ ის გვევლინებოდა რუსი ფუტურისტების (კრუჩონიხის, კამენსკის და სხვ.) დაგვიანებულ ეპიგონად. იგი ჰქმნიდა უსიცოცხლო ხელოვნურ სიტყვებს და ფრაზებს, „ზაუმნიკურ“ პოეზიას („ცირა“, „სანაპირო სიმღერა ხაბო“ და სხვ.). გარდა ამისა, რომ ეს ექსპერიმენტები უაზრო იყო, მას არავითარი ესთეტიურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აქ ს. ჩიქოვანი ეხმაურებოდა დაცემის გზაზე დამდგარ ბურჟუაზიულ ესთეტიკას. თავისი ასეთი „ძიებით“ ს. ჩიქოვანი მეტად დაგვიანებით უბრუნდებოდა უკვე განვლილ პირველყოფილ ფუტურიზმს.

ს. ჩიქოვანის პირველი პერიოდის ლექსებში სტიქიურობას იგრძნობდით. ეს სტიქიური გაქანება დაშორებული იყო ნათელ კლასიურ კორდინაციას. მის ნაცვლად გვქონდა აბსტრაქციული „ნგრევის“ მიდრეკილებები და მის ქვეშაც არსებითად იფარებოდა პასიურ-ჭვრეტითი დამოკიდებულება სინამდვილისადმი. ს. ჩიქოვანის წვრილ-ბურჟუაზიული აქტივიზმი, აბსტრაქციული გაქანება არსებითად დაშორებული იყო ქვეყნის შეცნობის პრაქტიკისაგან.

თავისი პოეტური მუშაობის შემდეომს პერიოდში ს. ჩიქოვანი იმისთვის იბრძვის, რომ თავი დააღწიოს თვითმიზნურ ესთეთიკას, აბსტრაქტულ-ინდივიდუალურ „ნგრევის“ ტენდენციებს, ეს ბრძოლა მეტად მძიმე ტკივილებთან-ერთად-ებოდა. დიდი სიძნელეების და წინააღმდეგობების დაძლევის შემდეგ ს. ჩიქოვანი უკვე ავიდა თავისი პოეტური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. ეხლახან გამოქვეყნებული ლექსების კრებული ამ პროცესის ნითელ სურათს იძლევა. თვით წიგნის სათაური—„გმირი და წინ“ ს. ჩიქოვანის პოეზიის საერთო სახეს განმარტავს მიმდინარე ეტაპზე.

ხელოვნების ყოველი დარგის ძირითად პრობლემას წარმოადგენს შემომქმედის სინამდვილისადმი, ცხოვრებისადმი დამოკიდებულება. ამ დამოკიდებულებით, რომელიც შეიცავს მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და ესთეტიურ შეხედულებათა სისტემას, განისაზღვრება სინამდვილის გაგება და გადმოცემა მხატვრულ ნაწარმოებშიაც.

სინამდვილის და ხელოვნების ურთიერთობის გარკვევის საფუძველზე ნათელი ხდება ის გარემოება, თუ რატომ აქვს დღეს ჩვენს პირობებში წვრილ-ბურჟუაზიულ ლიტერატურაში ასეთი დიდი ადგილი დათმობილი ხელოვნების და რევოლიუციის დამოკიდებულების პრობლემას. წვრილ-ბურჟუაზიული მწერლები ამ პრობლემას იმის საფუძველზე სწყვეტენ, თუ საით მიემართება მათი გზა—პროლეტარიატისაკენ თუ ბურჟუაზიისაკენ.

ს. ჩიქოვანისათვისაც დღეს განსაკუთრებული სიმწვავით დგას პრობლემა მისი პოეტური მუშაობის და ცხოვრების, მისი პოეზიის—ეპოქასთან, დროსთან, საბჭოთა ქვეყანასთან ურთიერთობის შესახებ.

მართალია, ს. ჩიქოვანი სვამს ისეთ პრობლემას, რომელიც სალიტერატურო ინტელიგენციისათვის არ არის ახალი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, იგი მას სწყვეტს უეჭველად თავისებურად და რევოლიუციონურ თანამედროვეობისათვის მისაღებად.

„გმირი და წინ“ იხსნება ლექსით „გამოთხოვება სიყმაწვილესთან“. ეს ლექსი ერთგვარი პროგრამაა ს. ჩიქოვანისათვის. ამ ლექსში იგი ცდილობს ანგაში გაუსწოროს თავის წვრილ-ბურჟუაზიულ წარსულს. ს. ჩიქოვანი კრიტიკულს, საღ დამოკიდებულებას იჩენს თავის ფუტურისტულს ახალგაზრდულ „გატაცებისადმი“. იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ „დღეს სიყმაწვილის დაკარგვა მერგო და ვხედავ ირგვლივ ვერავინ მიხსნის.“ ეს წვრილ-ბურჟუაზიული, „სიყმაწვილე“ პოეტის იდეურ—მხატვრულ წინსვლის შემაფერხებელი იყო. ამას გრძნობს ს. ჩიქოვანიც, მაგრამ აქ წარსულის „კაზიონურ, მხოლოდ დეკლარატულ-საზეიმო შეფასებასთან არა გვაქვს საქმე. ს. ჩიქოვანი მთელი თავისი გონებით და გრძნობით, მსოფლათვისებით უპირისპირდება წარსულს და სწორედ აქედან გამომდინარეობს ერთგვარი ტრაგიკული კილო მის ხმაში:

> გონიერ ცეცხლით კვდება ყმაწვილი,
> მას დაუანგდა ძველი ფარხმალი;
> ღონე დაცლილი დიდი არწივი
> ძირს დაეცა და სიკვდილს ფართხალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ შემოხედავს სასოწარკვეთილს,
მაღალ გენიის
ფოსფორი იწვის,
არ გამოივლის არვინ კეთილი
და მაშველ ხელსაც არ გამოგიწვდის.
მაშ მოკვდი ერთხელ
მოკვდი ბოლმაში
და სიყმაწვილის სიკვდილი იცან...
(„გამოთხოვება სიყმაწვილესთან“)

წვრილ-ბურჟუაზიულ „სიყმაწვილის“ სიკვდილი არ არის ცუდი ს. ჩიქოვანისათვის. მაგრამ ძნელია მისი ერთის დაკვრით მოშორება. აბიტომ არის, რომ „სიყმაწვილის“ „სიკვდილთან“ ს. ჩიქოვანისათვის დაკავშირებულია მთელი განცდები. მაგრამ იგი სძლევს მათ და გამოდის ჯანსაღი რევოლიუციონურ შეხედულების გზაზე.

რომელ ცხოვრებაში, რომელ სინამდვილეში ეძებს ეხლა ს. ჩიქოვანი პოეტურ „საქმეს?“ საბჭოთა სოციალისტური ცხოვრება, სინამდვილე არის დღეს გამხდარი მისთვის პოეტური „საქმის“ მასალად. ოქტომბერი, კოლექტივი, ხუთწლედი, სოციულისტური შრომის გმირები—აი ვის ეხება დღეს თავის ლექსებში ს. ჩიქოვანი:

მე ეხლა მინდა
იარაღად ლექსიც გამოდგეს,
რეცხავდეს სიტყვა
საუკუნეზე ნირჩენილ ლაქებს;
იბრძოდეს ლექსი
ხუთწლედებში გამუდმებულად,
როგორც დამკვრელი და მოქალაქე.
ჭუსლი დავადგი სიყვარულის ხატს,
კლასიკურ გმირებს,
ეპიურ ტილოს·
მე თვით დავახრჩობ
ბულბულიანის ნაჭლექებ ხმას;
და ჩემ ძველ ტკივილს
მე თვით გავხდი დღეს სასაცილოდ.
ჩემო გონებავ
ჩემო ბგერავ
არ ვამბობ უცხოს
შენი სიმძიმე მე ტვირთივით ხურგზე მეკიდა;
ხავსი და კვნესა გავხვეტეთ ცოცხით
და ვერ გალობენ იადონნი გალიებიდან...
(„პოეტის საქმე“)

ამ სტრიქონებში უკვე მკაფიოდ არის მოცემული ს. ჩიქოვანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიცია. ს. ჩიქოვანი გრძნობს, რომ ახალ ცხოვრებასთან, პროლეტარიატთან მისვლამ მისი გული ცეცხლივით აღადგინა, რომ მისი წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ ახალი ცხოვრების მშენებლებთან—ხუთწლედის გმირებთან ერთად. „ტრადიცია“, „ძველი კულტურა“, რომელიც ფუტურისტული არსენალიდან მოდის, შემაფერხებელია ამ გზაზე.

ზოგიერთ შემთხვევაში, ეპოქასა და ინტელიგენციას შორის დღესაც არსებობს ერთგვარი მანძილი. ს. ჩიქოვანის უკანასკნელი პერიოდის პოეტურ მუშაობაში არ მოსჩანს ეს მანძილი. ის ადამიანი, რომელსაც ვხედავთ ამ შემოქმედებაში, მოსჩანს, როგორც სოციალისტურ ეპოქასთან ახლოს მისული და მისი იდეებით გამსჭვალული, რომელიც თავისთავს მიმართავს: „ლექსი გაწვრთნილი დროების ხმალით, შობილს გახსოვდეს ოქტომბრის ჯალი“ („ლექსი ბროძოლაში“).

არ იქნება სწორი, რომ აქ ჩვენ თვალები დავხუჭოთ და არ დავინახოთ ს. ჩიქოვანის შემოქმედების ზოგიერთი სუსტი მხარე.

მართალია, ს. ჩიქოვანმა დიდი ნაბიჯი გადადგა პროლეტარიატისკენ, მაგრამ ყველაფერი, რაც საჭიროა ამისათვის, მას ჯერ კიდევ მთლიანად არ გაუკეთებია. ს. ჩიქოვანის იდეურ—შემოქმედებითი გარდაქმნა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. გავსინჯოთ თვით მისი უკანასკნელი ლექსები, რომლებიც განსაკუთრებით ნათლად ადასტურებს მის მოახლოებას პროლეტარიატთან და იქაც კი დავინახავთ, რომ ჩიქოვანი ზოგჯერ უკან იხედება არა სასურველი სახით. მის პოეზიაში აქა იქ მოისმის ძველი „ფრაზა“.

ს. ჩიქოვანს დღესაც ძლიერ, უკეთ რომ ვსთქვად—გადაჭარბებულად შეაქვს თავის ლექსებში რაციონალისტური მომენტები. ეს უკანასკნელი ხშირად სრულიად ჰფარავს, სდევნის ლექსში გრძნობითი მომენტს. ეს მდგომარეობა ს. ჩიქოვანის პოეზიაში ჯერ კიდევ ფუტურისტული ნივთის შენების თეორიიდან მომდინარეობს.

თავის შემოქმედების პირველ პერიოდში ს. ჩიქოვანს, როგორც საერთოდ ყველა „მემარცხენეს“ ახასიათებდა ნივთის გადაჭარბებული ფეტიშიზმი. აქედან—ლოზუნგი ნივთის შენების შესახებ. მაგრამ ეს იყო არსებითად ბურჟუაზიული ტეხნიციზმის უკრიტიკო მიღება და გამეორება. სადაც უარყოფილი იყო რევოლიუციონური თანადროულობის პრობლემები. უკანასკნელ ლექსებში ს. ჩიქოვანი ცდილობს განთავისუფლდეს ამ შემცდარი თეორიისგან, მაგრამ იგი მთლიანად ჯერ ვერ ახერხებს ამას. ს. ჩიქოვანის ზოგიერთ ლექსში ეხლაც მოსჩანს ეს „ლეფური“ ნივთის შენების თეორიის გამეორება. ამის შედეგი კი ის არის, რომ ცოცხალ ადამიანს სცვლის ნივთი და ეს უკანასკნელი გამოდის პირველ პლანზე. დამახასიათებელია ამ მხრივ ლექსი „გმირის ძიება ნატაჩიოში.“ ტეხურის ნაპირას, სენაკის ახლოს, ნატაჩიოში პოეტმა დაათვალიერა კოლმეურნეობა. ბევრია მათ შორის „მშრომელი, მკვეთრი მუშის კუნთის და აზრის მხლებელი.“ მაგრამ ყველასაგან გამოირჩევა „გლეხებში თითით საჩვენებელი,“ „მეხის ბადალი,“ რომელიც „ხვნაში ამარცხებს სამ მომუშავეს,“ რომელსაც უწოდეს „მინდვრის სარდალი“—გვარად ბოჯგუა. პოეტს სურს იხილოს ნატაჩიოს გმირი. ეძიებს მას, მაგრამ ვერ პოულობს. სამაგიეროთ ხედავს მის ნამოქმედარს, მის მიერ გაკეთებულ ნივთს:

> გმირის ერთი დღის ნამოქმედარი
> ხატავს გმირსა და საზღვრავს კაცობას.
> სახის მაგიერ საკმე დახატეთ—
> გმირის ჩვენებაც გამოვა ნამდვილ...

ამ შემცდარმა თეორიამ ს. ჩიქოვანი მიიყვანა მოვლენების შეცდარ ჩვენებამდე. ნატაჩიოს კოლმეურნეობაში ვხედავთ გმირის გრანდიოზულ წამოქმედარს, ხოლო თვითონ ცოცხალი ადამიანი კი სადღაც მიმალულა.

ს. ჩიქოვანის უკანასკნელი დროის სხვა დექსებშიც [illegible] „ლეფური“ თეორიის გამოძახილი ნივთის შენების შესახებ.

ს. ჩიქოვანის ზოგიერთი უკანასკნელი ლექსი უფრო რაპორტს ჰგავს, ვიდრე რევოლიუციის სახის მხატვრულ გახსნას.

ს. ჩიქოვანი მთელ რიგ ლექსებში მხატვრული გამოსახვის მაღალ სიმაღლეს აღწევს. მაგრამ ზოგიერთ ლექსში იგი მხატვრულ სახეს სცვლის აბსტრაქციული, მძიმე ფორმულით. ამ ლექსებში მოტივების სიმფონია ადგილს უთმობს გადაჭარბებულ „ბრძნულ“, „ღრმა“ მსჯელობებს.

მიუხედავად ასეთი შეცდომებისა და „სუსტი“ მხარეებისა, „გმირი და წინ“-ის მთელი რიგი ლექსები ადასტურებს, რომ ს. ჩიქოვანს თავისი თავი ტლეს უკვე შეგნებული აქვს, როგორც დიდი ეპოქის აქტიური მონაწილე. ეს სრულიად ნათელი, გარკვეული იდეური თვალსაზრისია, რომელიც არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომელიც პოეტის წინაშე შლის უდიდეს და უნაყოფიერეს შემოქმედებითი პერსპექტივას. დღეს ს. ჩიქოვანი საკმაო გაბედულებით უპირისპირდება ძველს, ანტი-რევოლიციონურს და მომაკვდავ განწყობილებებს, „გმირი და წინ“-ის ს. ჩიქოვანის ედეიური ჰორიზონტის გაფართოებას გვაჩვენებს.

ჩიქოვანი თავის უანასკნელ ლექსებში ცდილობს გადავიდეს კონკრეტულ მოვლენების და ფაქტების მხატრულ განსახიერებაზე იბრძვის იმისათვის, რომ დასძლიოს აბსტრაქციული დეკლარაციულობა, რომელიც მის ადრინდელ ლექსებს ახასიათებდა, ის ცდილობს გვიჩვენოს სოციალისტური მშენებლობის პოეტური სურათები.

„გმირი და წინ“-ის მთელი რიგი ლექსები ეხება ჩვენი ცხოვრების კონკრეტულ მოვლენებს: ზარმაცის სოციალისტური შრომის ენტუზიასტად გადაქცევას („გმირის დაბადება“), დამკვრელ ბრიგადელებს („დამკვრელი ბრიგადების მარში“), სოციალისტურ სოფელს („სამურზაყანოს კოლექტივებს“), ხუთწლედის ძლევამოსილ წინსვლის შედეგად უდაბურ ადგილებში ახალი ცხოვრების დაწვებას („ალაზნის პამბა“) და სხვ.

რამდენიმე ლექსში ჩიქოვანი მთასაც ეხება. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს საქმე იდილიურ ან ეგზოტიურ მიდგომასთან მთისადმი. ს. ჩიქოვანი გვიხატავს საბჭოთა მთას, სადაც მთელი რევოლიუცია მიმდინარეობს ადამიანთა ყოფაში და შეგნებაში. საუკუნოებით სიბნელესა და ცრუ-მორწმუნეობაში მყოფ მთას სცვლის ახალი მთა, სადაც შეჭრილია საბჭოთა კულტურა და ჯანსაღი მეცნიერული რევოლიუციონური აზროვნება.

„შემოღამება ხახმატში“—ამ ლექსში ჩიქოვანი ეხება ახალი ადამიანის ზრდას ხევსურეთში. ყუდია ალუდაური უკვე შოფერობისაკენ მიისწრაფის. მას უნდა დაარღვიოს მთის ტრადიცია და თოფ-იარაღის მაგიერ მართოს ავტომობილი:

— მე მინდის ვიყო კარგის შოფერი,
შეისწავლების?
თქვენ როგორ იტყვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული არ მერჩის... ხევსურთ სოფელი
გამოზრდილია ხმალით და ტყვიით....

ყუდიასათვის შოფერობა არის სიმბოლო ახალი ცხოვრების დაწყების. ყუდიას სჯერა, რომ ახალი ცხოვრება ძირეულად გარდაქმნის ხევსურეთს:

— ქვეშ გაკეთდების რიყეზე შკოლა,
გაგვტეხავს ჯიუტს, მოიტანს გაზეთს:
არ ვარგის მუდამ ხატებში წოლა,
თვალ გავაყოლოთ სამხედრო გზაზეც...

„უშგულის კომკავშირში“ ჩიქოვანი ლენინურ ახალგაზრდობას გვიხატავს, როგორც მოწინავე ენტუზიასტ მებრძოლებს ახალი საბჭოთა მთისათვის.

სხვა ლექსებში ჩიქოვანი ეხება ხევსურთა ყოფა ცხოვრებას (ხევსურული ძროხა“), ან და თავის მგზავრობას მთაში („გადასვლა გორვაშზე“" მგზავრობა ფშავ-ხევსურეთში“) და სხ.

პოეტების წრეში აქა-იქ გაისმის ხმები, რომლებიც ეჭვს ქვეშ აყენებენ ბრძოლას პოეზიაში სოციალისტურ რიალიზმს როგორც ჩვენი ლიტერატურის წამყვან სტილს. მათ ამ სტილისათვის ბრძოლა შესაძლებლად მიაჩნიათ პროზაში, დრამატურგიაში და სხვ., მაგრამ შეუძლებლად ეჩვენებათ პოეზიაში, ვინაიდან, მთი აზრით, იგი არის შემოქმედების ყველაზე უფროპირობითი ფორმა (დაკავშირებულია რიტმთან რითმასთან, პოეზიის ენა რომელიც განსაკუთრებული სახით ორგანიზებულია, არ ეთანხმება ყოველდღიურ ჩვეულებრივ სასაუბრო ენას და ა. შ.). ეს პირობითობა პოეზიას თავისი ბუნებით აპირისპირებს რეალიზმთან. განსაკუთრებულ თვისებებს პოეზია გამოჰყავს სოციალისტური რეალიზმის სტილის გარეშე.

ეს არგუმენტაცია არსებითად ყალბი და მიუღებელია. აქ საქმე გვაქვს ამ მეტად რთული და დიდი პრობლემისადმი ფორმალისტურ მიდგომასთან. პოეზიის პირობითობის და რეალიზმის შეთავსებულობის მოსაზრების წამოყენება გამომდინარეობს იქიდან, რომ მის ავტორებს არ ესმით არც ერთის და არც მეორის არსებითი შინაარსი.

ჩვენ კარგათ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ პირობითი მომენტი შედის არა მარტო პოეზიაში, არამედ ხელოვნების ყოველ დარგში (რასაკვირველია, თავისი სპეციფიკის ამათუ იმ დარგისათვის). პირობითობა შეეხება რომანს, მოთხრობას, პიესას, მხატრობა, სკულპტურას, მუსიკას და ამგვარს.

პოეზიის პირობითობის და რეალიზმის შეუთავსებლობის მომხრე ავტორები საკითხს უდგებიან პრიმიტიულად და არსებითად ვარდებიან უაღრეს ფორმალიზმში.

ჩვენის გაგებით სოციალისტური რეალიზმი, როგორც საბჭოთა ლიტერატურის წამყვანი სტილი, სავსებით შეეხება პოეზიასაც. მხოლოდ საჭიროა სათანადო გზების პოვნა ხელოვნების ამ სფეროში სოციალისტური რეალიზმის სტილის გამოსამუშავებლად. მართალია, პოეზიაში ეს შედარებით ძნელი საქმეა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის შეუძლებელი. პოეზიის პირობითობა არ ეწინააღმდეგება რეალიზმს.

ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სოციალისტური რეალიზმი, როგორც ლიტერატურის სტილი და რიალიზმი როგორც, წერის ფორმალური მა-

ნერა. შეიძლება მწერალმა რეალისტურად გვიჩვენოს ცხოვრების ცალკეული დეტალები, მაგრამ საბოლოოდ კი შეჰქმნას ისეთი ნაწარმოები, რომელიც არ გვეტყვის სიმართლეს ცხოვრების შესახებ. ნამდვილი რეალიზმი (სოციალისტური რეალიზმი) იწყება იქ, სადაც მწერალი არსებითს აშორებს [illegible] როდესაც იგი გვიჩვენებს მოვლენების განვითარების ტენდენციას და ძირითად მამოძრავებელ ძალებს.

სოციალისტური რეალიზმისათვის დამახასიათებელია სწრაფვა მომავლისაკენ. იგი დღევანდლობაში ხვალინდელ დღეს ხედავს. სოციალისტური რეალიზმი წარმოუდგენელია რომანტიკის გარეშე.

რომანტიკა ყოველთვის არის ოცნება, რომ სინამდვილის აწმყოს გადაშორდე. სინამდვილის ეს გადაშორება გულისხმობს ერთის მხრივ—თვით ამ სინამდვილის ობიექტიურ ტენდენციებზე დაყრდნობით იოცნებო მომავალზე. ეს არის დამახასიათებელი რევოლუციონური რომანტიკისათვის. მაგრამ მეორეს მხრით—როდესაც მწერალი სინამდვილის აწმყოდან გამოდის და წარსულს აიდიალებს—ეს არის უკვე რეაქციონური რომანტიკა.

რევოლიციონურ რომანტიკას არ ახასიათებს გაქცევა ცხოვრებიდან. იგი იზრდება კონკრეტიულ სოციალისტურ რეალობაზე, მაგრამ ამ რეალობაში შედის არა მარტო დღევანდელი დღე, არამედ იგი დაკავშირებულია მომავალთანაც. „სიმართლე არა ჰგავს თავისთავს. იგი არ არის გაჩერებული ერთ ადგილზე. სიმართლე მიფრინავს, სიმართლე არის განვითარება, სიმართლე არის კონფლიქტი, სიმართლე არის ბრძოლა, სიმართლე არის ხვალინდელი დღე. ჩვენებური სიმართლე სწორედ ასეთად უნდა დავინახოთ“ (ა. ლუნაჩარსკი). სწორედ ასეთი სიმართლის გადმოსაცემად, რომელიც მომავალსაც უკავშირდება, სოციალისტური რეალიზმი თავის თავში იტევს რევოლიუციონურ რომანტიკასაც.

ს. ჩიქოვანის ლექსებისათვის დამახასიათებელია ანტი-რომანტიულობა. პოეტი უფრო ხშირად მიმართავს „ლეფურ“ „რიალიზს“, რასაც იგი მიჰყავს ხოლმე ნატურალიზმამდეც, გაშიშვლებულ ფოტოგრაფიამდე. ჯერ კიდევ დაუძლეველი რაციონალისტური დეკლარაციულობა ხელს უშლის ს. ჩიქოვანს გვიჩვენოს მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირი, დღევანდელ დღეში-ხვალინდელი დღე და სხვ. ეს კი დიდი საბრთხეა მისთვის, როგორც საბჭოთა პოეტისათვის. ს. ჩიქოვანს ენერგიული ბრძოლა სჭირდება სოციალისტური რეალიზმის სტილის დასაუფლებლად. აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ სოციალისტური რეალიზმი არ არის მზა-მზარეულად მოცემული სქემა. მისი დაუფლება მწერლებს სხადასხვა გზითა და თავისებურ მრავალფეროვანებით შეუძლიათ. ეს კი დიდ შემოქმედებითი გაქანების საშუალებას აძლევს მწერალს.

როგორია ს. ჩიქოვანის პოეზიის მხატვრულ-ფორმალური მხარე „გმირი და წინ“-ის მიხედვით?

ს. ჩიქოვანს „გმირი და წინ“ ში მოთავსებული აქვს ისეთი ლექსები, რომლებიც უმთავრესად სასაუბრო თხრობითი მანერით არის განვითარებული, ამ მხრივ იგი დღესაც განიცდის მაიაკოვსკის გავლენას. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელისათვის „სასაუბრო ენა წარმოადგენდა არა მარტო ხერხს, არამედ სისტემას, რომელიც ბატონობს მისი ნაწარმოების დანარჩენ ელემენტებზე“

(არვატოვი). ჩიქოვანი დღესაც ცდილობს ამავე გზას გაჰყვეს. სასაუბრო თხრობითი ენა არის გაბატონებული მის ლექსებში სხვა ელემენტებთან შედარებით.

საბჭოთა პოეზიაში საკმაოდ მკვეთრად დგას ნოვატორობის საკითხი. მის შესახებ უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობენ. ის ახალი შინაარსი, რომელიც მოაქვს პროლეტარიატს ხელოვნებაში, ლიტერატურაში, პოეზიაში მოითხოვს გამოსახვის ახალ საშუალებებს. მაგრამ როდესაც ლაპარაკობენ ნოვატორობაზე, უმეტეს შემთხვევაში ივიწყებენ შინაარს. არსებითად კი ეს ნიშნავს ამ მეტად რთული პრობლემის ფორმალისტურ დასმას და გაგებას, როდესაც უგულებელყოფილია იდეური, შინაარსიანობრივი მხარე.

ნოვატორობა ჩვენ გვესმის, როგორც ახალი სიტყვა (შინაარსი და ფორმა), რომელსაც ამბობს პროლეტარიატი იდეოლოგიის ამ ურთულეს სფეროში — ხელოვნებაში, ლიტერატურაში, პოეზიაში.

ს. ჩიქოვანი თავის უკანასკნელ ლექსებში თანდათან თავისუფლდება ნოვატორობის ფორმალისტური გაგებისაგან. მისთვის ეხლა ერთმანეთისაგან დაუშორებელია ახალი ფორმა და ახალი შინაარსი.

ეხლა საბჭოთა პოეტის ხმა სხვაგვარად მოისმის და მიდის ამთვისებლამდე, ვიდრე წინათ, რევოლიუციამდე მომქმედი პოეტების თანამედროვე ლექსის სტრუქტურაზე მეტად დიდი გავლენა იქონია იმ ცვალებადობამ, რომელიც მოხდა ჩვენს პირობებში პოეტის და მკითხველის ურთიერთობაში. ძირეულმა სოციალურმა ძვრამ-რევოლიუციამ პოეტი და მკითხველი სხვაგვარ ურთიერთობაში შეახვედრა ერთმანეთს, ვიდრე წინათ იყო.

თანამედროვე პოეტისათვის ის არის დამახასიათებელი, რომ მას ჰყავს საკუთარი აუდიტორია, არა მარტო მკითხველის, არამედ მსენელის სახითაც. დღეს პოეტი გამოდის არა იმ მოსაზრებიდან, რომ მის ლექსს ან პოემას წაიკითხავს საერთოდ ვინმე, განუსაზღვრელი მკითხველი, არამედ თვითონ ის წაუკითხავს აუდიტორიას. ეს არსებითი მომენტი გავლენას ახდენს პოეტის შემოქმედებაზე, მისი პოეტური ფაქტების კომპონენტებზე: რიტმზე, რითმაზე, ინტონაციაზე და სხ. ამ გარემოებას თვითონ პოეტებიც გრძნობენ. ამ მხრივ დამახასიათებელია ელვინსკის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მისი ლექსი, რომელიც განსაკუთრებულ კითხვას მოითხოვს, გადაღებული იქნას გრამაფონის ფირფიტაზე. რომელშიც მოცემული იქნება ლექსის ტექსტი და მისი წაკითხვის ხასიათი.

ს. ჩიქოვანი გადაჭარბებულად მოზროვნე პოეტია. იგი ყოველთვის ცდილობს ლექსში, რაც შეიძლება მეტი აზრი ჩაატიოს, ამიტომ ზოგიერთ მის ლექსს სიცივე ეტყობა.

ს. ჩიქოვანის ლექსების სტრიქონები და რიტმი მეტად მძიმეა და „ხელშესახები". მას ლექსებში შეგნებულად არ შეაქვს მუსიკალობა. ამ მიზეზის გამო მისი ლექსები ხშირად ისეა განვითარებული, რომ მეტად საძნელო ხდება მათი ათვისება, როგორც პოეტური ფაქტის.

ს. ჩიქოვანისათვის დამახასიათებელია კლასიკური პოეტური ფაქტების და კუთხური დიალექტების გამოყენება. მაგრამ თავის ლექსებში ს. ჩიქოვანი არ გვევლინება მათი უკრიტიკოდ გამმეორებლად. ნ. ბარათაშვილის, ი ჭავ-

ჭავაძის, ვაჟა-ფშაველას და სხა კლასიკოსთა მზა ფორმულების, მათი ლექსების რიტმიულ—სინტაქსიური წყობის ნაწილობრივ გამოყენებით, ს. ჩიქოვანი ამდიდრებს საკუთარ პოეტურ ლაბორატორიას. მართალია, ს. ჩიქოვანი იყენებს კლასიკოსების პოეტურ ფაქტებს, მაგრამ იგი არასდროს არ გადაიქცევა მათი ტრადიციის გამგრძელებლად. კლასიკოსების ლექსების ფორმულებს იგი თავისებურ, არსებითად ძირეულ რედაქციას უკეთებს და საკუთარ წინააღმდეგობად აქცევს „ლექსი ბრძოლაში", „გმირი და წინ" „პოეტის საქმე" და სხვ)

კუთხური დიალექტების გამოყენების ნიმუშებს იძლევა ს. ჩიქოვანი „გმირის და წინ"-ში მოთავსებულ ძველ რიგ ლექსებში. ამ მხრივ დამახასიათებელია „სვანური იავნანა , „სამურზაყანოს კოლექტივებს" და „შეძოლაშება ხახმატში". კუთხური დიალექტების გამოყენებით ს. ჩიქოვანი საკმაოდ ამდიდრებს და ამრავლფეროვანებს თავის პოეტურ ლექსიკას.

თუ წინათ ჩიქოვანი გაურბოდა მხატრული შედარების შეტანას, ეხლა იგი უკანასკნელ ლექსებში უკვე სერიოზულ ყურადღებას აქცევს მას. ჩიქოვახი მიმართავს უმთავრესად საგნობრივ შედარებებს: „ბრძოლით ნაფერი დღეები ფრაქის", „ნაფოტივით ამსხვრევს და ისვრის" („ლექსი ბრძოლაში"), „სიტყვები ისხდენ, როგორც მონები" („გმირი და წინ"), „რორგორც ბრმა თვალებს —დათხრიან ბელტებს („სამურზაყანოს კოლექტივებს"), „ყანა გაეხსნათ კოლმეურნეებს, ვით ბოლშევიზმის მეტყველი პრესა" („გმირის ძიება ნატაჩიოში") „ხარს კლდეზე რქები გადაეღუნავს" („ხევსურული ძროხა") და სხვ.

საერთოდ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჩიქოვანი ახალი მხატვრული ფორმისათვის ენერგიულათ იბრძვის. ამ მხივ მას ერთგვარი მიღწევებიც აქვს. მისი დღევანდელი ბრძოლა ახალი ფორმისთვის არსებითად განსხვავდება უწინდელი ფუტურისტული „სიტყვათა ქმნადობისაგან", უაზრო სიტყვათა ჟონგლიორობისაგან.

სხვა პლობლემებთან ერთად დღეს საბჭოთა პოეზიის წინაშე მკვეთრად სდგას ბრძოლა ახალი შინაარსის შესატყვისი მხატვრული ფორმისათვის. ბევრ ჩვენს პოეტს ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია ფორმალისტური „ავადმყოფობა". ფორმალიზმს პოეზიაში ახასიათებს, როდესაც სოციალიზმის მოწინააღმდეგე იდეებს ხვევენ ფორმალისტურ ჯამბაზობაში, როდესაც მსოფლმხედველობის, აზრის სიღარიბეს მოსავენ ფორმალისტურ ტრიუკებში და სხვ. უდავოა, რომ ამ სახის ფორმალიზმს უნდა ვებრძოლოთ. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, როგორც ამას ზოგიერთი ვულგარიზატორი ფიქრობს, რომ ფორმალიზმი ძიებაა ახალი ფორმის ახალი რითმის, კომპოზიციის და ა. შ. ცნობილია რომ ფორმის მრავალი დიდი ნოვატორი იმავე დროს არ ყოფილა ფორმალისტი. ამ მომენტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ს. ჩიქოვანმა ძირითადში უკვე განვლო ფორმალისტური „ავადმყოფობა". მაგრა ამ მხრივ მას ყველაფერი, რაც საჭიროა, არ გაუკეთებია.

დიდ საკითხებს, რომლებიც დასვა ს. ჩიქოვანმა თავის წიგნში, ყოველთვის ვერ სწყვეტს იგი საჭირო სიღრმით და იდეური გამართულობით. მისი მსოფლმხედველობის სუსტი მხარე, ძველი აბსტრაქციულ-მეტანისტური აზროვნების ნაშთები ჯერ კიდევ მთლიანად და საბოლოოდ არ არის დაძლეული. მაგრამ მიუხედავად ამისა, „გმირი და წინ" ს. ჩიქოვანისათვის ნიშნავს წინსვლას, ორგანიულ გარდაქმნის დასაწყისს. ამ წიგნის ძნიშვნელობა არ განისაზღვრება უბრალო თემატიური გარდაქმნით. აქ მსოფლმხედველობითი გარდაქმნასთანაც გვაქვს საქმე

„გმირი და წინ" საგრძნობი ნაბიჯია ჩიქოვანის იდეურ-მხატვრული წინსვლის საქმეში.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

ქართული მხატვრობის გამოფენა

ქართული მხატვრობის უკანასკნელი გამოფენა, როგორც გამოფენის სათაური გვეუბნება, მიძღვნილია პირველი ხუთწლედის მშენებლობისადმი. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის თემატიკით შემორკალულია ჩვენი მხატვრების ფერებით და ხაზებით ამეტყველებული ტილოები. ხსენებული გამოფენა უსათუოდ მაჩვენებელია სახვითი ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკების და ოსტატების და იდეური წინმსვლელობის.

საბჭოთა სინამდვილეში აღზრდილი და გამობრძმედილი ახალგაზრდები (ა ბ ა კ ე ლ ი ა, ს ა ნ ა ძ ე, რ ო მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ლ ე მ ა ნ ჯ ა ვ ა და კ ე შ ე ლ ა ვ ა) შაწინაურდენ, ორგანიულად უკავშირდებიან დღევანდელობას და ცდილობენ მიმდინარე ცხოვრებიდან აღებული სახეობათა მხატვრული აღნაგობა მოახდინონ. ქართული მხატვრების წინა თაობაც (მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი, თ ო ი ძ ე, გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი და ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი) უახლოვდება საბჭოთა სინამდვილის ნმოცანებს და მთლიანად ქართული მხატვრობა გამოდის დინამიურ რეალიზმის გზაზე.

ისტორიის მინძილზე სახვითი ხელოვნება გამოდიოდა, როგორც პრაქტიკულ ცხოვრებასთან დაახლოებული ხელოვნების დარგი. მისი საუკეთესო წარმომადგენლები ამგვარ მიმართებით ემსახურებოდენ მხატვრულ შემოქმედებას... შინაარსობრივ გამოვლინებებშიც მხატვრობა ყოველთვის თუ არა, უმთავრეს ეტაპებშიც მაინც, ეგუებოდა მასების მოთხოვნილებას და მისაწვდომი ხდებოდა ათასებისათვის. ამ მხრივ დღევანდელ ქართულ მხატვრობას ჩამორჩენის დაღი აზის და როგორც ხელოვნების სხვა დარგები, ისიც ვერ უსწორებს ნაბიჯებს გაქანებულ ეპოქას; ვერ სწურავს ცხოვრების შინაარსობრივ მასალას და ვერ ახერხებს მის მხატვრულ აღდგენას შესატყვისი სახულობით.

უკანასკნელ ხანებში მხატვრობა სავსებით დაშორდა ხელოვნების მეზობელ დარგებს. ქართული საბჭოთა მწერლობა და ქართული მხატვრობა მოწყვეტილია ერთმანეთს. თეატრი თითქოს მიუახლოვდა სახვითი ხელოვნებას, მაგრამ ეს დაახლოებაც მოჩვენებითია; უმრავლესობა თეატრალურ მხატვრებისა ცალკეულათ დგანან და ჩვენი ფერწერის და ხაზების ოსტატებთან არ არიან შემოქმედებით დაკავშირებულნი. ხოლო მხატვრებიდან გამოსული დეკორატორებით თეატრში გასტროლიორ ხასიათს ატარებენ.

თითქოს მხატვრები დღემდე კარჩაკეტილნი იყვნენ და თავიანთი პალიტრების საიდუმლოებას არ უმჟღავნებდენ მწერალსა და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებს. ნაწილობრივ შეიძლება ამით აიხსნას, რომ ქართველი მწერლები

ჯერ იერ დაინტერესდენ ქართული მხატვრობის „ბედითა და უბედობით". თანამშრომლობისა და შემოქმედებითი სიახლოვის უქონლობა მწერლობასა და მხატვრობის შორის ქმნის ხარვეზებს და ორივე მხარეს შემოქმედებაში მეზობლის უგულებელყოფა მეღავნდება.

ეს ნაკლი დროზე უნდა იქნეს დაძლეული და შეცვლილი ახალი ატმოსფერით.

მწერლობა ყოველთვის ახლო იდგა სახვითი ხელოვნების მიღწევებთან. საკმარისია გაიხსენოთ ყველასათვის ცნობილი გატაცება მიქელ ანჯელოსი პოეტური განძებით. დანტეს პოეზიამ უდიდესი შთაგონება მისცა ბუონაროტის გენიალურ კედლის მხეტვრობას. მხატვარი და მოქანდაკე იმსჭვალებოდა „ღვთაებრივი კომედიის" უძლიერესი დრამატიზმით და მხატვრის ფრესკებში მეღავნდებოდა გავლენა პოეტური ჯოჯოხეთისა. ლეონარდო დავინჩიმ შეაერთა მწერალი, მხატვარი, ფილოსოფოსი ⁄ ინჟენერი. საერთოდ კლასიკოსები ილტვოდენ უნივერსალობისაკენ.

ფუტურისტებმა სცადეს, აღედგინათ რენესანსში ჩამოყალიბებული ტიპი შემოქმედისა. ამ მიზნით მწერლობა და მხატვრობა დაუახლოვეს ერთმანეთს, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიეს დასახულ მიზანს. ფუტურისტების ხანაში მწერლის და მხატვრის შეერთებამ ვერ მოგვცა უნივერსალური შემომქმედი და მაღალი შემოქმედებითი პროდუქცია. ამგვარი მიღწევების შესაქმნელათ, საჭირო იყო მხატვარი და პოეტი მოწინავე იდეების წარმომადგენელიც ყოფილიყო, ებრძოლა ახალი იდეებისათვის და ახალი შინაარსობრივობა ფერადებით და ხაზებით გადმოეცა.

რენესანსმა პლასტიურ ფორმებში გამოსახა გაბატონებულ კლასის აზროვნება და ლტოლვა. მე-17-18 საუკუნეში ნიდერლანდელებმა შექმნეს უძლიერესი მხატვრობა; სავაჭრო კაპიტალის მოღონიერებამ ამ ქვეყანაში შექმნა უდიდესი სახელები მხატვრებისა: რუბენსი. ვანდეიკი და რემბრანტი.

ეპოქის ფსიხოლოგია გამოვლინდა რუბენსის ხორციან და მსუყე სხეულებში, რემბრანტის სურათებში პირველად გამოჩნდენ ახალგაზრდა ვაჭრები და მდაბიო ებრაელების ყოფა. ეს იყო ვალის მოხდა სავაჭრო-კაპიტალის წინაშე და ახალი გზა მხატვრობაში. ფორმალურ ძიებაში კი შუქებისა და ჩრდილების თამაშით, მხატვარი ბუნებისა და ადამიანის შორის საკრარულ ნათესაობას ეძებდა და ამით უახლოვდებოდა ეპოქაში არსებულ მსოფლშეგრძნობას. ამიტომაც რემბრანტი, ისეთივე ფიგურაა მხატვრობაში, როგორც ფილოსოფიაში ბარუხ სპინოზა.

საფრანგეთის განმანათლებლობამაც მისცა მხატვრების მიღწევებს იმპულსი. შემთხვევითი არ იყო დიდროს გატაცება გრიოზის სურათებით. დიდრო ხედავდა საკუთარ განცდების გამოხმაურებას გრიოზის სურათებში. განმანათლებელთა ატმოსფერის შემგრძნობი გრიოზი შემდეგ საუკუნის მხატვრობაში გაცოცხლდა ნაწილობრივ და ის არის უსათუოდ რუს „პერედვიჟნიკების" წინამორბედი. მხატვრობა ხელოვნების დარგებში ყველაზე კარგათ გადმოგვცემს ეპოქის სტილს.

კ. მარქსმა დაახასიათა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მრეცვაწეები, როგორც მიმბაძველები რომაულ რესპუბლიკანელების და რომაულ ტოგებში აღმართული ქანდაკისებური ტრიბუნების, ეს სტილი ეპოქისა, ... გაიგო ლუ დ ა ვ ი დ მ ა და გამოხატა თავის სურათებში. დიდი რევოლიუციის პირველ ნახევარმაც ის აღიარა თავის მხატვრათ და არსებულ ცხოვრების სარკეთ. მამაშინდელი საზოგადოება დავიდის სკულპტურულ ფორმებით აშენებულ სურათებში ხედავდა თავის სახეს, ან უკეთ თავის მისწრაფებას და თავის სტილს.

მოწინავე იდეები ასულდგმულებდენ ყოველთვის შემოქმედების მიღწევებს. შემოქმედის ფართო ჰორიზონტი აყალიბებს მას მხატვრულ სახეობაში და მიაქანებს საკუთარ რენესანსში. სახვითი ხელოვნების მოვალეობაა ეპოქის ხასიათი გაიგოს და ამ ხასიათიდან გამომდინარე მისწრაფებათა აგიტაცია გასწიოს...

კლასიკოსების მაგალითები გვეუბნება, რომ დღევანდელობამაც უნდა შექმნას უნივერსალური ტიპი სახვითი ხელოვნების მუშაკისა. საბჭოთა სინამდვილეში გარდაქმნილი ცხოვრება ითხოვს მხატვრობის ახალ სიტყვას და სიტყვაც უნდა იქნეს ეპოქის შესაფერისად დაფერილი და ეპოქის შესატყვისათ აფერადებული. ეპოქა ითხოვს თავის შინაარსის მხატვრულ თქმას და ამ თქმაში თანამედროობის სტილის შენარჩუნებას. მებრძოლი კლასის ცხოვრებაში მხატვრობა კლასიური ბრძოლის იარაღია და ამიტომაც სახვითი ხელოვნება უნდა გამოვიდეს ვიწრო დაზგურ ხელოვნების ჩარჩოებიდან და ფართო გასაქანი მიეცეს: ფრესკულ მხატვრობას, პლაკატს, კარიკატურას და საერთოდ მხატვრობის მებრძოლ ჟანრებს; უნდა გაიხსნას საწარმოო საამქრო და გაფართოვდეს წარმოება მხატვრული პროდუქციისა.

ამგვარი მოთხოვნილებით გამოფენაზე შესული მაყურებელი ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ პასუხს ქართულ მხატვრობიდან. მართალია, ჩვენი ხაზის და ფერების ოსტატები დაწინაურდენ, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი შრომაა საჭირო მხატვრობაში ჰორიზონტის გასაფართოებლათ და ახალი შინაარსის გამოსათქმელათ. პირველი და მთავარი ნაკლი გამოფენისა მისი თემატიური სიღარიბეა; პირველი ხუთწლედის თემატიკაში არ შეიძლება სახალხო მეურნეობა ამოწურულ იქნეს მარტო „ჩაის კრეფით“ და საერთოდ ჭირნახულის მოწევით. ჩვენი წარმოებები სრულიად განდევნილია გამოფენიდან. მხოლოდ ერთი ალდანოვას ქალი ცდილობს ამოავსოს ეს ხარვეზი თემატიურათ; სამწუხაროთ სუსტათ ასრულებს მოვალეობას.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის თემებს,—აქაც მხატვრები უმთავრესად მუშაობის პროცესებს გვიხატავენ და პრინციპში ილიუსტრატორების როლში გამოდიან. დამოუკიდებელი სიუჟეტიანი მხატვრული ტილოები გამოფენაზე, ცოტაა და არა სჩანს შინაარსობრივი გადმოცემა დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, არ არის გარდაქმნილი სოფლის ახალი ყოფის შინაარსი, და ვერ გამომჟღავნებულა ჩვენი ცხოვრების სიუჟეტური სახეები. სიუჟეტი არ არის დაძლეული ჩვენი მხატვრების მიერ და ამიტომაც სურათები—არ არიან სურათები ნამდვილი გაგებით; აქ უმთავრესად სურათებისათვის (ე. ი. სიუჟეტისათვის) შექმნილი ეპიზოდებია და ეტიუდები. მუშაობის ცალკეული პროცესების ჩვენება არ გვაძლევს დასრულებულ სურათების შთაბეჭდილებას. უსიუჟეტო

სურათებიდან ცხადია ადამიანიც განდევნილია და პრობლემის დასმის უნარსაც მოკლებულია ქართველ მხატვრების უმრავლესობა.

მართალია არის გამონაკლისები: ლ. გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი ძველი და ახლით ცდილობს შექმნას დღევანდელობის მხატვრული შინაარსის მქონე სურათოზული ტილო და კ. სანაძე თავის „სარძლოთი“ აცოცხლებს პრობლემას და ყოფითი საკითხების სიუჟეტურ გაშლას ცდილობს. სიუჟეტი სჩანს აგრეთვე მ რ ე ვ ლ ი-შ ვ ი ლ ი ს სურათში, სადაც „პერედვიჟნიკულ“ ტრაქტოვკით ახსნილია „გამოსასვლელი დღე პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ე ლ ი კომუნისტისა“. ეს ყოველივე გვაძლევს უფლებას მეტი მოთხოვნილებით მიუდგეთ ჩვენს გამოფენას, ვიდრე ამის შესახებ დაბეჭდილ წერილებში იყო აღნიშნული. სოციალისტური რეალიზმისაკენ ლტოლვა მხატვრებისა ნიშნავს, ახალი საწარმოვო ურთიერთობისთვის ახალი მხატვრული ფორმის მონახვას და ამ ახალი მხატვრული ფორმით დღევანდელობის შინაარსის გამოთქმას.

სოციალისტური შინაარსი თხოულობს ჩვენგან ნაციონალურ ფორმის დაძრულ გაგებასაც. დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას უსათუოდ თავისებური ფეროვნული კოლორიტი აქვს, და ეს უნდა აღინიშნოს მხატვრობაში. კოლორიტი გარემყარის კარნახითაც მუშავდება ხშირათ. ასეთი იყო მაგალითად ტ ა ი ტ ი გ ო გ ე ნ ი ს ფერადოვანი ტილოებისათვის და ესპანეთის ჰაერი ამგვაოათ გადავიდა ვ ე ლ ა ს კ ე ზ ი ს უდიადეს ტილოებში. გარემყარის მხატვრული გაგება ნაშნავს შუქობრივ და ხაზობრივ შესატყვის ხერხებით წამოჭრილ სიუჟეტის ამეტყველებას.

სპეციფიკა ქართული მეტყველებისა ჩვენს მხატვრებს თანდათანობით უსუსტდებათ. ეს ხდება არა საზოგადოებრივი ცხოვრების ზეგავლენით, არამედ უცხოეთის მხატვრობის ეპიგონებით; ხოლო არიან მხატვრები, რომელთაც სტატიურათ ესმით ნაციონალურ ფორმის ცნება და მათ სურათებში სოციალისტურ შინაარსს ჰაერი არ ყოფნის.

გარემყარიც ცვალებადია და ლ. გ უ დ ი ა შ ი ლ ი ს ძველ სურათებში სხეულების აღნაგობა, ჩამოყალიბებული განვლილ ცხოვრების განსაკუთრებულ ეტაპზე და გამომსახველი „ტფილისის ბოგემის“ სულიერი ფოტოსფერისა და კუთხური განსაზღვრულობის, არ არის დღევანდელობის მხატვრულათ დამხასიათებელი. ეს გზა ვერ იძლევა ახალ შინაარსობრივ გამოთქმის საშუალებას და ვერ ქმნის ნაციონალურ ფორმის დღევანდელ სახეობას. დ ა ვ ი თ კ ა კ ა ბ ა ძ ე მ „იმერეთის პეიზაჟებში“ მოგვცა კლასიკური ნიმუში ახალი პეიზაჟისა, რომელიც წარმოშობილი იყო აღმოსავლეთურ ხედვიდან და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვლილ კონცეპციიდან. დ. კაკაბაძის ხსენებული სივრცეების კომპოზიციები დღესაც ჩნდება ზოგიერთი ახალგაზრდის ნამუშევრებში და ზოგიერთ „ჩაის კრეფაში“-ც ელვარებს სიბრტყეები დ. კაკაბაძის პეიზაჟებიდან.

ეს მაინც ჩვენი მხატვრობის განვლილი ხანაა. ლოკალის დღევანდელი გაგება აუცილებელია ჩვენი მხატვრობისათვის. ს ე ზ ა ნ ი ც-კი რომელიც ფერის და საგნების მოცულობის მესაიდუმლეა, რომელიც ფორმალურ ძიებებს უფრო მეტ ადგილს უთმობდა მხატვრობაში, ვიდრე შინაარსის მხატვრულ აღდგენას, ეს სეზანიც, ლოკალურია თავის კუთხური პეიზაჟებით და მხატვრობის მთლიანი ხასიათით.

ფერწერის ოსტატები უმთავრეს შემთხვევაში ქების ღირსნი არიან, მათ აქვთ ცოცხალი ფერები და ცოცხალი კოლორიტისკენ სწრაფვა... მაგრამ რამტომღაც ატმოსფერა ხშირათ დახუთულია სურათში და სუნქვა უძნელდება სურათის გმირებსა და პეიზაჟის ერთეულებს, მით უმეტეს ეს ადგილი ნაყურებლის სუნთქვაზე. ამ მხრივ გამოფენაზე აღსანიშნავია გ რ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს „ჩაის კრეფა“—სურათი ჩემი აზრით, ატმოსფერის და ცის გადმოცემის მხრივ არის საინტერესო. სურათის მრავალ დეფექტს ფარავს ჰაერის ცოცხალი გადმოცემა და რეალიზმი თემის მთლიანი ტრაქტოვკისა. გამოფენის მთლიან მიღწევებს ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებანი ვერ ფარავს. ხსენებული გამოფენა—უსათუოდ მიღწევაა საბჭოთა საქართველოს ხელოვნებისა და შეცდომებიც დღევანდელ ეპოქასთან თვალის გასწორების დროს უსათუოდ მოუვა ხოლმე შემომქმედს. გამოფენაზე წარმოდგენილია ძველი და ახალი თაობა ჩვენი მხატვრობისა და ახალი თაობის წარმომადგენლები ისე გამაგრებულან უკანასკნელ ხანებში, რომ თამამად ამოსდგომიან ქართული მხატვრობის დახელოვნებულ არტისტებს.

გამოფენის დარბაზში შესვლისას უსათუოდ ყურადღებას იპყრობს თავისი შემცდარი შემოქმედებითი ხერხებით ჭ ა ნ კ ვ ე ტ ა ძ ი ს ნამუშევრები. ჭანკვეტაძე გამოდის უსათუოდ ლ. გუდიაშილის ნახატებიდან და რაც მთავარია,—ის ცდილობს ლ. გუდიაშვილისებური კომპოზიციებით შეკრას სხეულები სურათში. ეს კომპოზიციები „ბუჩქის“ შთაბეჭდილებას სტოვებს სხეულების შეთანხმებით და ერთ ადგილას იხუთება. მართალია, ეს თვისებები აახლოვებს მას დიდ ოსტატთან, მაგრამ ახალგაზრდა მხატვარი თავისი სურათებით ეკამათება თავის წინამორბედს; თითქოს მას სურს აღნიშნოს და გამოასწოროს უფროსი ოსტატის შეცდომები და ახალი გზით წაიყვანოს მასწავლებელი. მხატვარი სათანადოთ იბრძვის ზედმეტ ელასტიურობის წინააღმდეგ, ნაზი სხეულების შეცვლას ცდილობს გასუქებულ სხეულების შერჩევით და თემატიურათ დღევანდელობას ეწაფება. მას უნდა ლ. გუდიაშვილის მანერას დაამყნოს თემების დემოკრატიული გაგება და ამით გამოვიდეს თავისებურ „რესტავრატორის“ როლში. გუდიაშვილის ყალმის მომარჯვებით, მის მიერ გამოკვეთილი სხეულები ფ ო ტ რ ო შთაბეჭდილებას სტოვებს და სიჯანსაღე ვერ შედის სურათში. „კულაკები კლავენ კომკავშირელს“ ერთ სურათში; ეს კულაკები და არც კომკავშირელი არ არიან ცოცხლები და არ მოქმედობენ ადამიანურათ. სტილიზატორის მანერა, ყალამში გადმოსული, ხელს უშლის მხატვარს მიაღწიოს თავის მიზანს. ხსენებულ მანერით მხატვარი ვერ აღწევს დასახულ მონუმენტალიზმს და ვერც სხეულების გარესკნელის ჯანსაღ გადმოცემას. ვერც ნიამორის „დემოკრატიზაციაზ“, იხსნა მხატვარი და თხამ ვერ შეასრულა ახალი ნიამორის როლი მხატვრობაში. კულაკების ქულაჯებში გამოწყობა სრულიად გაუმართლებელია და ნაციონალური ფორმის თეატრალური გაგებაა. 'უსათუოდ ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარს ავიწყდება რესტავრატორის უხერხული როლი. განსაკუთრებულ კონცეპციით და განსაკუთრებულ ძასალაზე გამომუშავებული მხატვრული ხერხები, არ შეიძლება მექანიკურად გადატანილ იქნეს თანამედროვე მასალებზე. საერთოდ შეუძლებელი ხდება დღევანდელ ამოცანების მხატრულ სახეობის მოცემა დეკადენტური მხატვრული მანერის შესხვაფერებით.

თამარ აბაკელიას ნამუშევრები საგრძნობლათაა წარმოდგენილი გამოფენაზე, ახალგაზრდა მხატვარმა გაიარა საკმაო ტეხილების ქანი შემოქმედებითი გზა და ჯერ არ არის სავსებით დადგენილი. მან გაცდა იაკოვლევის" „ჩინელების" გავლენა წარსულში. შემდეგ სცადა სკულპტურულ ფორმების გადმოცემა სურათზე და უკანასკნელად დაუახლოვდა გოგენის შორეულ გავლენასაც. იაკოვლევის „ჩინელები"-ს სურნელება მის სურათებში ნაწილობრივ ეხლაც დარჩა.—გოგენიდან მას მოაქვს სხეულების დაყენება და პოზა. გოგენის სურათებში მოცემული სხეულების დაყენება და პოზა ნიშნავს სურათში მომქმედ პირების სულიერ მდგომარეობის გადმოცემას, ან უკეთ სულიერ მდგომარეობის ფოტოსფერას. ასეთი ღრმა გაგება გოგენისა აბაკელიას არ ახასიათებს; მისი პოზები გარეგნული მოძრაობის სახეებია. ის სხეულების მოცულობას აქცევს მთავარ ყურადღებას და სურათს ამაგრებს ქანდაკებისებურ მაგარ ნახატებით. თ. აბაკელიას ხელი მაგარი აქვს და როგორც მხატავი უსათუოდ ძლიერია. მოქანდაკის ხელი იგრძნობა სხეულთა მოცულობის გამომუშავებაში. ქანდაკების გავლენით ის სხეულებს ერთფერათ გადმოგვცემს და წინა პლანში სხეულის გამოკვეთით ასრულებს სურათის აქცენტს.

შეიძლება ამის შედეგი იყოს მისი დეკორატიულობაც და ამხ. ალხაზიშვილის თქმის არ იყოს, მარტივი კომპოზიციური აღნაგობა. სურათის დეკორატიული გამოთქმა მხატვარს უშლის სიუჟეტის გახსნასაც ნაწილობრივ და აბაკელიას ჯერ ჯერობით სიუჟეტის გაშლა ვერა აქვს დღევანდელი გაგებით მოცემული. აბაკელიას მომავალი ნაბიჯი უნდა იქნეს თანამედროობის შინაარსობრივი მასალით მხატვრული ტილოს ჩამოყალიბება და არა მარტო მუშაობის პროცესების ხატვა. თემების ამგვარივე შერჩევა ახასიათებს მხატვარ კ. სანაძესაც.

სანაძემ უკანასკნელ ხანებში მოგვცა მხატვრულათ საკმაოდ მოღონიერებული პროდუქცია, მხატვარი ყოველ გამოფენაზე ახალ და ახალ მიღწევებით გვევლინება და ენერგიული მუშაობის შედეგათ ქართველ მხატვრების მოწინავე რიგებში ექცევა; სამწუხაროდ ჩვენს მხატვარს თანა სდევს ეპიგონიზმის საშიშროება და კლასიკოსებიდან სწავლის საკითხი ვერა აქვს სწორად გაგებული. როდესაც უყურებთ მის სურათებს გამოფენის კედელზე, ხედავთ, რომ ახალგაზრდა მხატვარი შეუბოჭია ჰოლანდიურ და ფლანდრიულ მხატვრობის კლასიკოსებს და უცხოელების ფერადულ გამების ტყვეობაში იმყოფება. ეს ძლიერ საამწუხაროა... უსათუოდ ნიჭიერ მხატვარს სჭირია კრიტიკული ჭვრეტით შეითვისოს კლასიკოსები და მეტი კრიტიკული ალღო გამოიჩინოს თავის თავის მიმართ. სანაძის სურათებს ეტყობა დასრულებული მხატვრის ხელი, რაც კიდევ უფრო დამღუპველია ეპიგონობის გზაზე მდგარ მხატვრისათვის. მართალია სანაძე შორდება ზოგან ჰოლანდიელების გავლენას, მაგრამ აქაც ვერ გამოდის საკუთარი გზით... ჰოლანდიელებიდან დაქანებული ის ვარდება გოგენის ფერადოვან ტილოების გავლენაში და აქაც საშიშროება... სანაძეს ფერების გრძნობა ძლიერი აქვს და ფეროვნულ გამას ორკესტრივით ახმაურებს ტილოზე. ფერების შეხამებაში ის ქმნის ფერების რიტმს და სურათები „ძაფის ამოღება", „სარძლო", „მეთე-

ვზე“ და სხვები ამჟღავნებს მხატვრის მახვილ თვალს. ფერების რიტმის ძიებაში, მხატვარი ხშირათ კარგავს შინაარსს და სურათი მარტო გარეგნული ელფერით გიზიდავთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სარძლოში“, როგორც ნათქვამი იყო, ავტორი აღწევს სიუჟეტს. ფონის და ტიპების ჟღალი ყვითელი ფერის შეთანხმებით ავტორი ცდილობს, ზოგიერთ სიუჟეტში მოქმედ პირებსა და ბუნებას შორის „საკრალური“ ნათესაობა დაამყაროს. ფორმალურათ ეს ფერების რიტმის მისაღწევად სჭირია ავტორს, ხოლო შინაარსობრივათ ეს ქმნის ჩვენი ცხოვრების ბიოლოგიურ ახსნას;, მხატვრის ბიოლოგიზმი ამ შემთხვევაში პრიმიტიულია და გულუბრყვილო. თითქოს ვინც სუბტროპიკულ ბუნებაში ცხოვრობს და მოქმედობს, მას უსათუოდ მანდარინის ფერი უნდა ქონდეს. მიუხედავათ ამგვარ შეცდომებისა სურათი „სარძლო“ მაინც მიღწევაა სანაძის შემოქმედებაში, სურათში მოსჩანს სიუჟეტი და რაც მთავარია,—შინაარსობრივი მხატვრული სახე ჩვენი ცხოვრებისა. მე არ მინდა სურათის „ამბავის“ მოყოლა, მე მხოლოდ გადმოცემაში არ ვეთანხმები ავტორს. სიძე და მამამთილი უფრო რეალისტური და ყოველდღიურ სახეებით არიან მოცემული, თვით სარძლო კი ისეა გაშუქებული და დაყენებული, რომ „არა ამქვეყნიურია“. მადონა გამეფებულია ადამიანზე. ეს ქალი უთუოდ მადონების გალერეებიდან არის ნასესხები. ქალს აკლია სიცოცხლე დღევანდელობისათვის და ის საკმაოთ გასანთლულია.

საერთოდ სანაძის სურათებში ნახატი კოჭლობს. „საღებავი მიპყრობს, მე ყოველთვის, მაგრამ ნახატი წარმოადგენს მუდმივ ჩემს საზრუნავ საგანსო“, ამბობდა დელაკრუა. ეს გონიერი თქმა რომანტიკოსისა და რევოლიუციონერი მხატვრისა უნდა ახსოვდეს ჩვენს ოსტატსაც.

ზემოხსენებულის გამო და უცხოელების გავლენის შედეგათ მხატვარი ხშირად კარგავს ქართულ სახეებს. „მოწინავე აჭარელი ქალი“ სრულიად არ არის აჭარული ტიპი და ფონი სუბტროპიკული მცენარეებით ვერ ცვლის უცხოელ ქალის ტიპს აჭარელის წოდებით. „ძაფის ამოღებაში“ ჩასმული სახეებიც სრულიად არ არიან ქართული, ისინი ჰოლანდიურ სურათებიდან გადმოსული სახეებია და სანაძის სურათებში სტუმრათ შემოსულნი. სურათი „მეთევზე“ ამ ნიხრივ სანაძის გამარჯვებაა. აქ ტიპი რეალისტურათ არის გადმოცემული და ტიპიურათაც აჭარულია ნახატის სახე. ამ სურათში პრიმიტიულ სიუჟეტს შლის ავტორი, მაგრამ აღწევს თავისებურ მხატვრულ მეტყველებას.

ბრძოლა ახალი შინაარსისათვის, მეტი კრიტიკა საკუთარი შემოქმედების და კრიტიკულათ შეთვისება კლასიკოსების მემკვიდრეობის, იხსნის სანაძეს გადაგვარებისაგან და ეკლექტიზმის საშიშროებისაგან. ხსენებული და კიდევ სხვა საინტერესო მასალების გავლით უახლოვდებით გამოფენაზე ელენე ახვლედიანის რამოდენიმე ნამუშავარს.

ე. ახვლედიანი წარმოდგენილია ოთხი სურათით, ამათში ორი ფანქრით ნახატი პეიზაჟია. „მუშების დასვენება“ მხატვარისათვის არაა დამახასიათებელი, ეს უკანასკნელი სურათი მარჯანიშვილის თეატრში მის მიერ გაკეთებულ „თეთრების“ ესკიზების ვარიაციას გვაგონებს. სახეები უმეტყველოა სურათში და ერთგვარი. საკვირველია ასეთი კარგი ოსტატის ხელიდან როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა ამგვარი სუსტი სურათი. მხატვარს საკმარისი ანრი ვერ მიუცია სურათისათვის და სახეები შეკვდომია ხელში.

მეოთხე სურათი ფერებით შესრულებული „პეიზაჟია“. ეს პეიზაჟი ვერ სურათებს ჭაობიან მიდამოში აღმოცენებული მწვრ მცენარეულობას და იძლევა მთლიანად სურათს, რომელიც გამოფენახე ქართული მხატვრობის მიღწევას წარმოადგენს, რასაკვირველია მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით.

მართალია პეიზაჟი შინაარსობრივათ არ არის გააზრებული, ავტორს გაუკეთებია ტეხნიკური „ფოკუსი“ და შემდეგ უმუშავნია დახვეწილ ყალმით და ამიტომაც სურათში მსუყე და ძარღვიანი კონტურებია მოცემული ნიადაგისა და მცენარეულობის... ამ დამუშავებაში ფაქტურა ისეა დახვეწილი და ცოცხალი, რომ სურათიდან ისმის „ხმაური“ და იტაცებს მაყურებელს. ყოველივე ზემოთ მოხსენებული არ არის საკმარისი, იმისათვის, რომ სურათი დღევანდელობისათვის საჭირო გახდეს. პეიზაჟი არ არის საბჭოთა სინამდვილეში გამომუშავებული თვალებით ახსნილი.

ჩვენ პეიზაჟის საჭიროებას ვგრძნობთ დღევანდელ ხელოვნებაში, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ საჭიროა პეიზაჟის გააზრება და ამით მისი ფუნქციონალური გამართლება თანამედროვეობაში. პეიზაჟი შექმნა პირველად ნიდერლანდების მხატვრობამ. მოღონიერებულმა კლასმა სავაჭრო კაპიტალისამ გაიბრძოლა ბუნების ახსნის მიზნით და მხატვრულ აზროვნებასაც მისცა თავისებური ახსა გარემყარისა.

მხატვრულ ლიტერატურაში და უმთავრესად ბელეტრისტიკაში პეიზაჟი შემოიტანა ფრანგულმა რომანტიზმმა და კერძოთ შატობრიანმა. მან პირველად განამტკიცა სიტყვა-კაზმულ მწერლობაში პეიზაჟი, როგორც ცალკეული მხატვრული ფორმა.

მანვე დასწერა ტრაქტატი მხატვრობისათვის „პეიზაჟის ხელოვნების პრინციპები“. ცნობილია რ. შატობრიანის მებრძოლი პესიმიზმი და პეიზაჟიც შინაარსობრივად მას უნდოდა საზოგადოებრივ ცხოვრების უარყობისათვის...

შატობრიანის ზემოხსენებულმა ტრაქტატმა უსათუოდ ბიძგი მისცა ბარბიზონელებს ტ კერძოთ ტეოდორ რუსსოს, შემდეგ კოროს და კურბეს პეიზაჟებს. როგორც ნათქვამიდან სჩანს, რომანტიზმმა შთაბერა სული მხატვრობაში პეიზაჟის ხელოვნებას.

ვერეშჩაგინი ამბობდა: მეცხრამეტე საუკუნემ პეიზაჟის გადმოცემაში დასძლია უდიდესი მწვერვალები კლასიკოსებისაო.

რევოლუციურ ეპოქაც და დღევანდელობაც არ უარყოფს პეიზაჟს და შეიძლება ითქვას რომანტიულსაც. ეს რომანტიზმი დღევანდელობის თვალსაზრისით უნდა გავიგოთ. ადამიანი, შატობრიანის კარნახით, პასიური იყო ბუნების მიმართ... დღევანდელობა კი თხოულობს ბუნების დაპყრობას და ბუნების მოვლენების დღევანდელობის თვალით ახსნას. ამის შესახებ ლაპარაკობს ლ. გუდიაშვილი თავის „ანდეზიტში“. ჯერ სუსტათ, მაგრამ მაინც მოიწევს მხატვარი ბუნების ახალ ახსნისაკენ.

ლ. გუდიაშვილი. მხატვრობის მიმღებ საზოგადოებაში ცნობილია, როგორც მწვერვალი ქართველი სახვითი ხელოვნებისა. მხატვარი გამოფენაზე წარ-

მოდგენილია ძუნწათ და მხოლოთ ორი ტილო „ძველი და ახალი“ და „ანდეზიტი“ გამოუფენია დახელოვნებულ ოსტატს. ეს ორი სურათი მაჩვენებელია ლ. გუდიაშვილის გარდაქმნის და აქედან სჩანს, რომ მისი შემოქმედებითი ცხოვრება უკვე გამსჭვალულია საბჭოთა სინამდვილის გაგებით და მისი ახლანდელ სულიერებით.

დიდი, რთული, მაგრამ ერთფეროვანი გზა გაიარა ლ. გუდიაშვილმა, რომ მოეღწია თავის შემოქმედების დღევანდელ საფეხურამდე.

ლ. გუდიაშვილი წარსულში ისეთივე მოვლენა იყო ქართულ სახვითი ხელოვნებაში, როგორც პოეზიაში ი. გრიშაშვილი.

ეს შედარება არ არის გამოწვეული ამ ორი შემოქმედის თემატიური ნათესაობით. ეს ნათესაობა უფრო ღრმაა და საგრძნობი.

რასაკვირველია, „ძველი ტფილისის იდეალიზაცია“ და ტფილისის ბოგემის თემატიკა ორივე შემომქმედს ახასიათებს. „ტფილისის ბოგემამ“ ორივეს მისცა თემატიური საზრდო და როგორც ხოჯაბეგოვი და საკანდარნოვა, ისე ესენიც ძველი ტფილისიდან წარმოიშვენ.

გუდიაშვილის წინამორბედი მხატვრობაში არის ნაწილობრივ ვ. ხოჯაბეგოვიც და ეს შედარება ნათელი გახდება, თუ შეადარებთ ერთმანეთს ვ. ხოჯაბეგოვის“ ყოჩების ჭიდაობას“ „სახლისაკენ“ და ლ. გუდიაშვილის“ „მხიარულ გასეირნებას“. აქ სჩანს, თუ როგორ მოახდინა გუდიაშვილმა მოდერნიზაცია, იმ რელისტური „ტფილისის ბოგემისა“, რომელიც შექმნეს ხოჯაბეგოვის ნახატებმა და ნაწილობრივ ფიროსმანიშვილის სურათებმა. მე ვამბობ ნაწილობრივ, რადგან ფიროსმანი არ არის კუთხური. ის შორდება ხოჯაბეგოვის და ლ. გუდიაშვილის შემოქმედებათა თემატიურ საზღვარს.

გრიშაშვილმაც მოდერნიზაცია მოახდინა, „ტფილისის ბოგემაში“ შექმნილ პოეტურ მეტყველების, ისე როგორც გუდიაშვილმა შეიტანა „ტფილისის ბოგემის მხატვრობაში“ მოდერნისტული სიმაღლე. მართალია ამ ორ შემოქმედს ყავდათ წინაპრები, მაგრამ ისინი იყვნენ უფრო დიდი და მოწინავე ხელოვნების წარმომადგენლები, ვიდრე მათი წინამორბედები.

გუდიაშვილი ქართულმა ფრესკებმა იხსნა და გაუკეთილშობილა იერი სურათებში მომქმედ სხეულებს.

ი. გრიშაშვილის პოეზიის მხატვრული ფორმა პოეტურ წარმოთქმაზეა დამყარებული და ხშირათ მისი ლექსი მსახიობის მონოლოგსა გავს; ამისთვისაც მის პოეზიაში გამეფებულია ზომას გადაცილებული ჟესტი... ეს გადამეტებული ჟესტიკულიაცია გამეფებულია ლ. გუდაშვილის მატვრობით პოეზიაშიც. ამ მანერის შედეგათ ორივე შემოქმედს ახასიათებს ფიზიოლოგიური დრამატიზმი. ეს დრამატიზმი გრიშაშვილმა პოეზიაში საგრძნობ სიმაღლეზე აიყვანა, ხოლო გუდიაშვილმა ფიზიოლოგიურ დრამატიზმისათვის სხეულები დაკლაკნა. დაკლაკნილი ხაზი გაამეფა სურათებში და უდიდესი ხაზობრივი რიტმი მისცა სხეულების ფიზიოლოგიურ აღნაგობას სურათებში. გუდიაშვილმა სურათში გამოიჩინა ტემპერამენტი და ცხოველი ხასიათი.

რემბრანტი ჟესტის გადმოცემაში ძალზე მიზანშეწონილი იყო. ამის სურათებში ჟესტი დეკორატიული არ გამოდიოდა არსად, ის მხრლოდ სულიერი

მდგომარეობის ხაზ გამსმელი აქცენტი იყო სურათში. გუდიაშვილის ჟესტი გარეგანი ფორმაცაა, ისე როგორც გრიშაშვალის ლექსებისათვის წარმოთქმა.

სიმბოლისტებთან ახლო ყოფნას ლ. გულიაშვილისაგან ეს — ჩაუვლია უნაყოფოთ, მაგრამ მხატვრობის დიდი ოსტატი უფრო ქართული იყო და შეიძლება კუთხურიც, ვიდრე მთელი ქართული სიმბოლიზმი. ვერც ტფილისში და ვერც დასავლეთში დაფერილმა, მოდერნიზმა, ის ვერ დასძრეს განსაზღვრულ ასპარეზიდან და მხოლოდ ქართულ ფრესკებმა გადაარჩინეს გუდიაშვილი კუთხურობას.

ჟესტიკულიაციის ძებნაში ლ. გუდიაშვილმა უარყო ყურის ხატვა და ფერადული სიცხოველე. მან განდევნა მაჟორული და კონტრასტული შეხვედრა ფერებისა და როგორც აღუნიშნავთ, თემასთან დაკავშირებით, მელანქოლიური დინება მისცა სურათის ზედაპირს. ხაზობრივი სიმძაფრე წინა რიგში დააყენა და ამის გამო შეავსო სურათები ფერადებით და სავსებით უარყო სურათში ფერადების ჟრიამული.

ყურის უარყოფაში ლ. გუდაიშვილი არ გამოსულა ვანგოგის „ავტოპორტრეტიდან". ვან-გოგმა უარყო ყური, რადგან სურდა სახე მტკიცე სილამაზის ყოფილიყო, ხოლო ყურის ფუქსავატი გამომეტყველება არ მოსწონდა შემომქმედს.

ლ. გულიაშვილმა ყური უარყო, როგორც დრამატიზაციის უნარ მოკლებული ნაწილაკი სხეულისა.

„ძველი ტფილისის ბოგემას" მასალებზე მუშაობამ მხატვარი დაახელოვნა და ამ კუთხის ნიუანსებში ზედმიწევნილი მხატრული სიძლიერით გადმოსცა თავის სურათებში. ეს გასოცდილება სჩანს სურათ „ძველ და ახალში", სადაც მეორე პლანზე დახატული მემწვანილე იმორჩილებს თემას და სურათში დასმულ პრობლემას.

„ანდეზიტში" მეტობს ზედმეტი გარეგნული დრამატიზაცია სხეულების.. ასეთ თემის დამუშავებაში მეტი რეალიზმი და მეტი სინათლეა საჭირო. ეს უკანასკნელი მაინც მუშაობის პროცესის ხატვაა და ვერ ჩაითვლება სიუჟეტიან სურათად.

ნამდვილი სურათი მაინც „ძველი და ახალი"-ა. მაგრამ ამ სურათში სიუჟეტი სქემატიურია ძალზე.. წარმოიდგინეთ, კომპოზიციურათაც სუსტია და რაც მთავარია ძველი და ახალი არ არიან დღევანდელობიდან ამოღებული. „ძველი" სტატიურათაა გაგებული და დახატული.. რატომღაც „ძველი" ღვთაებრივად გაშუქებული უკანა პლანიდან. დღევანდელობაში არსებული „ძველი" სრულიად სხვა გვარია და მეტი შინაგან ანალიზს თხოულობს. ახალ თემატიკაზე გადასვლისას, ლ. გუდიაშვილმა ხაზები შედარებით დაამშვიდა, ე. ი. ნაწილობრივ რეალიზმისკენ გადმოქანდა. ეს გადმოსვლა ხდება, რასაკვირველია მძიმეთ და ტკივილებით, მაგრამ ყანული დაიძრა და მხატვარი მიაღწევს დღევანდელობის ნაპირებს უკატასტროფოთ.

რამდენიმე წლის წინათ ლ. გუდიაშვილმა გამოაფინა სურათი: „კულაკის ოჯახის განდევნა კოლმეურნეობიდან". კოლმეურნეობის საერთო ბეღელის ჭიშკარზე დააყენა ყოფილი მოჯამაგირე ცელით ხელში მთავარ ანგელოზივით.

გზაზე ერთმანეთს მიკრული ადამ და ევასავით გაძევებული კულაკი და მისი ცოლი გაუშვა.

თანამედროვე თემები მხატვარმა ბიბლიის ენაზე გადათარგმნა, და ისე მოგვცა ახალი სოციალური საკითხები. „ძველი და ახალი“-ც მარჯანიშვილის თეატრის კედელზე მის მიერ შესრულებული ბერიკაობის მოტივზეა დახატული. ყველა ამ ნაკლოვანების აღნიშვნის შემდეგ, ეს სურათი მაინც მიღწევაა ახალი მხატვრობის და ნამდვილი სურათია გამოფენაზე გამოტანილი.

ჩვენი ოსტატი გადაწყვეტით უახლოვდება დღევანდელობის ამოცანებს და ალბათ, მალე მოგვცემს თანამედროვეობის ამხსნელ და გადმომცემ მხატვრულ ტილოებს...

• • •

მეცნიერება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ბ. მეგრელიძე

იაფეტური სიახლეები და ენისა და აზროვნების ინსტიტუტი

1. მეცნიერებამ მრავალი სხვადასხვა გვარობა იცის ცალკეულ დარგთა განვითარების ისტორიაში, რაც ერთი დროისთვის—მეტად მნიშვნელოვანი, ახალი და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა ყოფილა, მეორესათვის იგი უმნიშვნელო და უკანასკნელი გამხდარა. პასკალის მოხდენილი თქმით—ალპებს იქით, რაც ჭეშმარიტებად მიაჩნდათ, ალპებს აქეთ სიცრუედ და მიუღებლად ჩაუთვლიათ... ჰოლანდიელი მეცნიერის ზვედენბერგის მიერ პირველად მიკროსკოპში ჩახედვამ და გალილეის მიერ იმ დასკვნამდე მისვლამ, რომ დედამიწა ბრუნავს, ობიექტიურ სინამდვილეში სულ ახალი მოვლენების დანახვამ, მთელი რევოლუცია მოახდინა მეცნიერებაში და პირველს ხელი. ააღებინა მთელს მის წარსულს შრომებზე; მეორეს კი მისცა გამბედაობა სინამდვილის დასაცავად განწირულიყო. ხსენებულმა მოვლენებმა წარსულის მიღწევები დააძველა და ახლად აალაპარაკა მეცნიერება.

მარქსისა ⁄ ენგელსის მიერ დიალექტიკური მატერიალიზმის ნათელფენა კიდევ უფრო დიდი რევოლუცია იყო აზროვნების განვითარების ისტორიაში, და მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს მიღწევებში, ყველაზე უფრო მახვილი და მნიშვნელოვანი. დიალექტიკური მატერიალიზმის აღმოჩენით, რეალობის ჭეშმარიტი შემეცნება დაიწყო და მე-19-საუკუნის ამ უდიდეს მინაღწევს—მე-20-ში რეალიზაცია უხდება ცხოვრებასა და მეცნიერებაში—მისი მეთოდის გამოყენებით.

მრავალ სხვა სამეცნიერო დისციპლინათა შორის ენათმეცნიერებაც იუფლებს მას. კონკრეტული მასალის მარქსისტულად დამუშავების საქმეში, იაფეტიდოლოგიის დიადი საქმიანობოთ არცერთ დარგს არ ჩამორჩენია უკან. იმ დარგებსაც კი, სადაც მარქსისტული მემკვიდრეობა უფრო ძლიერი იყი, თუგინდ ფილოსოფიასა და ხელოვნების სფეროში.

ეს შედეგია ე. წ. ინდოევროპეისტიკის იდიალისტურ სამოსელში მომწიფების. ენათმეცნიერებისათვის შესაფერისი საგნის მოუხაზველობამ, კარჩაკეტილობამ, მეცნიერების მეცნიერებისთვის არსებობამ, ენის სინამდვილისაგან მოწყვეტამ—ცხოვრებასა და ენათაგან დაშორებამ, მკვდარი ენების წერილობით ძეგლებში ჩიჩქნამ, ენის ერთ საფეხურზე შესწავლამ და მისი კანონების მრავალ სხვა საფეხურებისათვის თავზე მოხვევამ, ფორმალისტური და ფორმა-

ლური კვლევის გაყოლამ, პრაენების ძიებამ და სხვა ჩამორჩენილობამ მოკლეთ ინდოევროპეისტიკაში წარმოშობილმა შინაგანმა და გარეგანმა წინააღმდეგობებმა დაღუპვამდე მიიყვანა იგი. სინამდვილემ ველარ ძლიერმა აუარებელი ფიქციები, რომელსაც ინდოევროპეისტიკა შეიცავდა და ააფეთქა კიდეც. ამ პროცესში იდგა აკადემიკოსი ნიკო მარრი, რომელიც შეიარაღებული საფუძვლიანი ცოდნით და თავისი გენიალობისათვის ფართე გასაქანს მოპოებული, შეუდგა ძველის ნგრევას და ახლის შენებას. უმთავრესად მარრის შრომებით ჩამოყალიბებული იაფეტური თეორია ცვლის ინდოევროპეისტიკას, რომლისთვის დღეს თეორიის წოდება უმართებულოა, რადგან იგი უკვე მეცნიერებას წარმოადგენს. ეხლა „ენის შესახებ ახალ სწავლებად". წოდებული—იაფეტიდოლოგია იმდენად გაიზარდა, რომ მეცნიერების არცერთ მახლობელ დარგს, არ შეუძლია მისთვის გვერდის ავლა.

იაფეტიდოლოგიის მიერ ინდოევროპეისტიკისათვის შეურიგებელი ბრძოლის გამოცხადებამ, ძველ ქურქში დარჩენილებს მყუდროება დაურღვია, თავდაცვასთან ერთად მათ დაიწყეს ბრძოლა ასეთი ენათმეცნიერების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის პროცესში ისინი მიმართავდენ და მიმართავენ ეხლაც სხვადასხვა ხერხებს ხშირად იცვლიდენ პოზიციებს ხან სულ მიჩუმებით—ვითომც იაფეტიდოლოგიაში არაფერს ხედავენ საშიშს [1] და საჭიროს, ხან კი აშკარა თავდასხმებით, როგორც ეს პოლივანოვმა [2] მოიმოქმედა. მოწინააღმდეგების მიერ ყოველგვარი საშვალება იქნა მოხმარებული იაფეტიდოლოგიისათვის სახელის გატეხის მიზნით.

კერძოთ ადგილი ქონდა აკადემ. ნიკო მარრის, დამცირების ცდებს და სხვა, რის საუცხოვო მაგალითს სომხეთში წარმოადგენს [3] ღაფანციანის და სხვების მიერ საზღვარგარეთ დაბეჭდილი წერილები [4] აქ გაჩაღებული ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე ინდოევროპეისტები, როგორც დამავალი კლასის, ბურჟუაზიის დამცველები ებრძვიან იაფეტიდოლოგიას, ამომავალ კლასის,—პროლეტარიატის იდეოლოგიას; აუცილებლობა თავისას შვრება: ინდოევრო-

[1] იხ. არნ. ჩიქობავა: „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში I. ქვემდებარე დამატების საკითხი ძველს ქართულში" (ტფილისი—1928 წ.); ავტორი მეთოდოლოგიურ კვლევა-ძიებისას იაფეტიდოლოგიას არც კი ახსენებს.

[2] ე. პოლივანოვი За марксистское языкознание-(Москва. 1931 г.) იაფეტიდოლოგიის დამცირებისათვის ტყუილებიც კი აკადრა მკითხველს და ცილისწამებით გაავსო გვერდები.

[3] გრ. ღაფანციანი: „Հեղվի ու նրա դիալեկտիկան զարգացման շուրջը" (იხ. „Նոր ուղի" ერევანი, 1931 წ. წიგნი 5, გვ. 107—141) და მისივე სხვა წერილები, რის შესახებ „ენისა და აზროვნების ინსტიტუტში" (საკავშირო სამეცნიერო აკადემიის), წარმოდგენილია ვრცელი რეცენზია რ. შაუმიანის მიერ რაშიც განადგურებულია ღაფანციანის მიერ შეთხზული „სიბრძნეები".

აგრეთვე საქართველოში იაფეტიდოლოგიის დამცირებისა და „ენათმეცნიერულ ფრონტელებზე" იმედების დამყარების ცდა მოცემულია ი. სიხარულიძის წერილში: „პასუხი რეცენზიაზე, ანურ რეცენზიის რეცენზია" (ჟურნ. „კულტურული აღმშენებლობა" № 8—9, 1931 წ. გვ. 603—624).

[4] იხ. პროფ. ს. ბიხოვსკაიას: „Буржуазные ученые о теории Н. Я. Марра" (გაზ. „За социалистическую науку" № 10, 1932 წ. 20 ნოემბერი) მასში ავტორს საკმაო. ფაქტები მოჰყავს.

პეისტიკა კვდება და იაფეტოლოგია დღითიდღე იზრდება, მისდამი ინტერესი ფართოვდება და თვით ინდოევროპეისტებიც კი ხედავენ თავიანთ მიდგარ გზაზე დგომას, მაგრამ ბევრ მათგანს არ გააჩნია იმდენი ძალა, რომ რევოლიციონურად უარყოს იგი, ეხლა ისინიც არ ჩემობენ ინდოევროპეისტიკის ნაკლასობას და ხშირად საჭიროდ სცნობენ მთელი რიგი შესწორებების შეტანა მასაში.

იაფეტიდოლოგიისადმი მათი ინტერესი თანდათანობით იზრდება, რის მაგალითები ხსენებულ ს. ბიხოვსკაის მოყავს თავის წერილში და აკად. ნ. მარრს მიმართავენ, გვიამბეთ თქვენს მიღწევებზე ოლონდ იაფეტიდოლოგიას ნუ გვიხსენებთ, ჩვენ ამ სახელის გაგონების გვეშინიანო [1] აკად. ნ. მარრმაც შეასრულა მათი თხოვნა, ჩვენ ვგულისხმობთ ფრანგული ენაზე 1931 წელს გამოსულ „ქართული ენა“-ს. (ვრცლად ქვემოდ).

იაფეტიდოლოგიამ ამ ბრძოლაში ბევრი რამ შეიძინა. მან გაამაგრა თავისი სუსტი ადგილები, რომელსაც მოწინააღმდეგეები ყველაზე ადრე ეჭიდებოდენ და შეიმუშავა საკუთარი ბრძოლის ტაქტიკა. მის მიერ მოხმარებული ბრძოლის ხერხები, სტრატეგიულ მიზნების მისაღწევად მთელ სისტემას წარმოადგენს. იაფეტიდოლოგიის თეორია და ტაქტიკა გამოდის ერთი მეორის გასამაგრებლად და მისი ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს ყოველმა იაფეტიდოლოგმა თავის მუშაობაში.

თვით იაფეტიდოლოგიის საფუძველმდებელი აკად. ნ. მარრიც აღნიშნავს, რომ იაფეტიდოლოგია არ ამოსულა ზეესის თავიდან, არც ზღვის ტალღებიდან აფროდიტესავით, არც მისი თეორია და არც პრაქტიკა არ გაჩენილა, არანედ მუშაობის პროცესში შეიქმნა და მასზე ადრე წარმატებული შრომების ძალა გამოიყენა. თვით მისი საფუძველმდებელი ინდოევროპეისტულ გარემოში აღიზარდა და დიდი ცოდნის უმთავრესი ნაწილი იქ მიიღო, მასალების შეთვისებისა და დამუშავების პროცესში დღითი დღე სცილდებოდა იგი ინდოევროპეისტიკის ჩარჩოებს, რითაც იმსახურებდა პირველის მიმდევართა წყრომასა და დევნას. სინამდვილესთან უფრო და უფრო მიახლოვებამ და ნახულის ობიექტურმა მხილებამ, წინასწარ შეზღუდულობის გარეშე, იაფეტიდოლოგიის საფუძველ-მდებელი მიიყვანა მარქსიზმთან და მეთოდოლოგიურად დაემთხვა მას [2]; ამ გზას

[1] იხ. ფრიჩეს წინასიტყვაობა ნ. მარრის წიგნაკში. „Актуал. Пробл. и очереди. задачи яфет. теор... (მოსკოვი 1929 წ.).

[2] იხ. აპტეკარი და ს. ბიკოვსკი Современное положение на лингвистическом фронте и очередные задачи Марксистов языковедов („Известия ГАИМК“ ტ. 10, ნაწ. 8—9, ლენინგრადი 1931 წ.)

აგრეთვე ჩვენი წერილი: „აკად. ნ. მარრის შესახებ ღიაბარათი გიორგის“ (ჟურნ. „მნათობი“ № 4, 1930 წ. გვ. 219—231). მკითხველს ვთხოვ, რომ იქონიოს მხედველობაში:—222 გვერდზე სწერია: „ენათმეცნიერება ცოდნის მიხედვით საბუნების-მეტყველო დისციპლინაა და საგნის მიხედვით ჰუმანიტარული“ (ბოლო აბზაცი) აგრეთვე აქვე „ენა ბუნების ცოცხალი ორგანიზმია“ ეს არაა სწორი. იქვე ვწერ: „აკად. ნ. მარრი არ მიიჩნევს ენათმეცნიერულ დისიპლინას საბუნების-მეტყველო დისციპლინათ, მაგრამ მაინც ახლოს დგას მასთან (გვ. 223, მეორე აბზაცი) ესეც უმართებულოა, იმ გაგებით თითქოს ენაში აკმდ. ნ. მარრი ბიოლოგიურ მოვლენებს ხედავდეს. ენათმეცნიერება ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო დისციპლინაა და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათაგან აკ. ნ. მარრს სათანადოთ და შორებული აქვს იგი. ადგილით ვისარგებლებ და აქვე შევნიშნავ: პროფ. ა. შანიძის—ქართულ გრა-

დღეს ბევრი სტიქიურს უწოდებს, მაგრამ აკად. ნ. მარრი სანართლიანად უარყოფს ამას და აცხადებს: მე მგონი მარქსიზმთან არაფერი უნდა მქონდეს საერთო და თუ კი ეს მართლაც აგრეა, ჩვენთვის უკეთესია, და მტერისათვის უარესია. იაფეტიდოლოგიისა ᲦᲐ მარქსიზმის შეხვედრილობის ასეთი ფაქტი ყოველმხრივ მნიშვნელოვანი მოვლენაა. აკად. ნ. მარრისათვის ეს მომენტი თითქოს იგივე იყო, რაც პირველად მიკროსკოპში ჩახედვა ᲖᲕᲔᲓᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, რომელიც ᲭᲙᲣᲘᲓᲐᲜ კინალამ შეიშალა და უარჰყო მთელი თავისი ძველი ნაწერები.

ამის შემდეგ აკად. ნ. მარრიც უფრო უახლოვდება მარქსიზმს და მისი შესწავლით იმაგრებს მეთოდოლოგიურ და ფილოსოფიურ საფუძველებს. მან უარყო მეთოდოლოგიურად თავის ძველი შრომები და მათი ახალი იდეიით დამუშავება დაიწყო.

ეს შრომები მასალის მიხედვით უკვდავია; მართალია ამ მასალების შეკრება ხდებოდა გარკვეული მიზნისათვის და ამიტომ იდეოლოგიური ზეგავლენა იქაც არის, მაგრამ მათი გვერდის ავლა შეუძლებელია, ისე, როგორც არ შეიძლება იაფეტიდოლოგიამ უყურადღებოდ მიატოვოს ინდოევროპეისტიკა. დიალექტიკური მოხსნისა და შენახვის კანონი აქაც ურყევია, რადგან ისტორიზმის პრინციპს ვიცავთ. ვღებულობთ, რომ გასულ ყოველ საფეხურს დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგის გაგებისათვის; აკად. ნ. მარრის სიტყვებით რომ ვსთქვათ, ისინიც ენებზე მუშაობდენ და მათში ᲫᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ მუშაკები იყვნენ, ოღონდ არ შეიძლება მათი კონციპციის მიღება. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ მათ ისეთი მასალები შეუგროვებიათ, რომლებიც თუ არ მათგან, სხვა მხრივ არსად მოიპოვება; ეხლა მათი არ გამოყენება შეცდომა იქნება. (ალკეული ენების ისტორიაში მათ მრავალი რამ აღმოაჩინეს; რამდენადაც მათ მიერ წარმოებული ისტორიული ძიებანი ერთი ენის ისტორიის ფარგლებში იყო ჩაკეტილი და ისიც წერილობით ისტორიის, იმდენად მათი მხოლოდ კრიტიკულად გამოყენება შეიძლება. კერძოდ იაფეტიდოლოგიის ძველი შრომები იაფეტიდოლოგიის დღევანდელ ეტაპზე არსებულ ძირითად დებულებების გამოსასვლელი სათავეებია; მისი ისტორიისა და სათანადო გაგებისათვის აუცილებელია მათი შესწავლა. ახალ აღმოჩენილად მოჩვენებული მიღწევები ძველშია მოცემული, ოღონდ მრავალი მათგანის სათანადო შეცნობა არ ყოფილა. მაგალითად პალეონტოლოგიური ძიება ენაში თუ მანამდე არა, 1914 წელს სჩანდა უკვე,[1] იქვე სემანტიური რიგები «ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲖᲔ» „რიცხვზე“ „მფლობელსა“ და „ფლობელობაზე“ მოყვანილი მაგალითების გარ-

---

ᲛᲐᲢᲘᲙᲐᲖᲔ დაწერილს ჩემს რეცენზიაში (იხ. ᲟᲣᲠᲜ. „ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ“, № 11—12. 1930 წ. გვ. 251—262), ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲑᲠᲣᲜᲐᲕᲘᲡ განსაზღვრებისას, მაგალითებში მოქცეული მაქვს ხსენებული საკითხისათვის გამოუსადეგარი მაგალითი: „ᲓᲐᲒᲜᲐᲗᲝᲜᲘᲡ“ (ადგილი: „მთვარე ჯერ კიდევ არსად ჩანს, არ დაგნათონის თავზედა“ გვ. 256, მე-II სვეტი, 9 სტრიქონიდან). ეს მაგალითი გამოუსადეგარია და ამოშლილად უნდა ვიგულისხმოთ.

[1] იხ. ᲛᲐᲠᲠᲘᲡ Определения языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания“ (Зап. Русск. Арх. Общ. Т. XXII вып. I—II. С.-Пет. 1914 г.) აგრეთვე მისივე „Непочатый источник истории кавказского мира“ („Извест. Акад. на 1917 წლის გვ. 307—338), და სხვები.

ჩევაში და სხვა სახელების ურთიერთ დაკავშირება არამარტო ფორმალური მზგავსებით—არამედ აზრის მიხედვით. აქ პალეონტოლოგიური ძიების კარგი მაგალითებია, მაგრამ არ იყო პალეონტოლოგიური ტექნიკა, რაც ნათელ სახეს აძლევს მასალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე ენის სხვადასხვა ფენობით ნაშენობის გაგება, რაიც ნათლად არის მოცემული 1903 წელს გამოსულ სომხურ ენის გრამატიკაში—სომხურს ენაში. ორი ძირითადი ფენის პოვნით.[1] იქვეა ნაჩვენები, რომ არ შეიძლება მკვლევარი განისაზღვროს ენის წერილობითი ძეგლებით და ცოცხალ დიალექტებს მეტი სიძველეები შემოუნახავს, ვინემ უძველეს წერილობით ძეგლებს. განსაკუთრებით ნათლად აღნიშნულია ეს ჭანური ენის გრამატიკის წინასიტყვაობაში.[2] ამ დროიდანვე მოცემულია იაფეტიდოლოგიაში სხვადასხვა სოციალური ფენების მიხედვით ენაში სხვაობის არსებობა. სომხურის ორი ენა ძველი სამწერლობო და მისი ფეოდალების მიერ ფლობა და ახალ—ხალხური, ოლონდ მაშინ არც აქ არის ის სიმახვილე, რაც შემდეგში მოიპოვა. ამ დროს იგი წოდებრივ სხვაობის მიხედვითაა განხილული ტ არა კლასიურის. უნდა ითქვას, რომ ასეთ განსხვავებას ნ. მარრი მშვენივრად ხედავდა საზოგადოებაში ტ 1905 წელს წერს: „თუ საქართველოს ეკლესია საბოლოოდ მკვდარია, თუ საქართველოს აზნაურობას ძალა არ შესწევს, აიღოს ქედითა თვისით ტვირთი ისტორიულის მომენტისა, ეს მშრომელი ნაწილი საქართველოს ერისა ჯერ ხომ ძალა გამოულეველია და ხელშეუხლებელი, ეს თვით მომქმედი მრავალტომოვანი გლეხობა საქართველოსი, რომელიც უთუოდ უფრო ენერგიულად თავს გამოიდებს, როგორც მებრძოლი არა მხოლოდ კლასობრივად ეკონომიურის, არამედ უეჭველია კულტურულის ინტერესებისათვისაც მთელის საქართველოს ერისა[3]. იმავე ძველ შრომეაშია მოცემული იაფეტურის ენების ფონეტიკური კანონების,

[1] ნ. მარრი: „Грамматика древне-армянского языка. Этимология“ (СПБ. 1903 г.) სომხურში ფენების დანახვას მოჰყვა აკად. ნ. მარრის: „Яфетические элементы в языках Армении“, რომლებიც (სულ 11 ცალია) და დაიბეჭდა მთელ სერიად „Известия Академии Наук-ში 1911—1919 წლებში. 1921 წ. სომხური ორი ძირითადი ფენის შესახებ მანვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული აზრი გამოაქვეყნა. (იხ. Астрономическое и этническое значение двух племенных названий армян. „დაიბეჭდა: Записки Восточ. Отдел. Русск. археол. общество“, Т. XXV, стр. 301—336.), ეწოდა ქეჲ-ური და რეჲ-ული. პირველი ძველი-სამწერლობო სომხური ენის ძირითადი ფენაა და მეორე ახალი-სალაპარაკოს. სახელები აღებულია მრავლობით რიცხვის მწარმოებულ ნიშნების მიხედვით. პირველში—ქ. აწარმოებს მრავლობითს და მეორეში—რ.

[2]: „Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и славарем“. М. Я. Я, Т. II. (С.П.б. 1910 г.) „Нельзя органичиватся одними письменными источниками, помятниками литературного языка, хотя бы и с древнейших пор. живие грузинские говори сохраняют часто более архаичныя явления чем язык древнейших памятников грузинской письменности.“ გვ. IX.

[3] ნ. მარრი: „ქართველთა ეროვნება“ ქუთაისი-1905 წ. გვ. 21—22 დაწერილია დეკანოზ ვოსტორგოვის წინააღმდეგ, რომელიც თავის სიტყვაში ამცირებდა საქართველოს და აყენებდა ყოველგვარ შეურაცხყოფას. იგი დაიბეჭდა „Разсвет“-ის 68 და 69 ნომრებში,—14 და 15 მაისის 1905 წლისა. ქართულად თარგმნილია რუსულიდან, მაგრამ „იაფეტური კრებულის VI წიგნში მოთავსებულ „Список печатных работ Н. Я Марра“-ში

დადგინება, იაფეტიდოლოგიური ტრანსკრიპციის ჩამოყალიბება და სხვა ყოველივე ეს იქედან მოდის და გზადაგზა თანდათან ყალიბდება. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ როგორც მკვლევარი ნ. მარრი აღმოჩნდა მეტად მოძრავი. იგი არ ებღაუჭებოდა ერთხელ წარმოთქმულს და ახალი ფაქტების მიხედვით ყოველგანვლილ საფეხურებს ამოწმებდა და ამოწმებს.

ამიტომ შეცდომაა ვინც ფიქრობს იაფეტიდოლოგია შეისწავლოს უკანასკნელ საფეხურზე და სრულად გაიგოს იგი. ის აურებელი მასალები, რომლებიც იაფეტიდოლოგიის საფუძველ-მდებლის მიერ წინასწარ იქნა დამუშავებული და რომლიდანაც იგი ამოვიდა ეხლა დაკავებულ მწვერვალებზე, გვერდ აუვლელია და მისი უგულვებელ მყოფელთ ვერას დროს ვერ გახდება ნამდვილი იაფეტიდოლოგი. მოწინალმდეგეები, ან იაფეტიდოლოგიის მხოლოდ სიტყვით მიმღებლები და საქმით უგულვებელმყოფლები ამ ბოლოს ეკიდებიან და ფესვებიდან არ მოყვებიან ძირითადი დებულებების დახასიათებას. განსაკუთრებით ეს ახასიათებდათ ან განსვენებულ ე. წ. „საენათმეცნიერო ფრონტელებს". იაფეტიდოლოგია ინდოევროპისტების სიმაგრეების მოშლას იქედან იწყებს. და მივიდა რა ცხოვრებასთან, უარყო განდეგილობრივი მეცნიერულობა და გახდა მეცნიერებათ ჭეშმარიტების შემეცნებისა და ცხოვრებისათვის; მის დღევანდელ საფეხურს კარგად უდგება ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე აკად. მარრის მიერ საბჭოთა კავშირის მიმართ აღნიშნული სამი მომენტი[1], რისი იაფეტიდოლოგიისათვის მომარჯვება მექანიკური კი, არ იქნება არამედ წყდება მის ბუნებას; ამ მხრივ პირველი მომენტი იაფეტიდოლოგიის ინდოევროპეისტიკისაგან დაშორების იყო უფრო ნგრევითი, მეორე აღდგენითი და მესამე შენებითი მისივე გამოთქმით „ყველაზე ძნელი, საპასუხისმგებლო და სასიხარულო", აქ იაფეტიდოლოგიას, როგორც იქ საბჭოთა კავშირის მიმართ იყო თქმული,— უხდება არა მარტო ძველის გადაკეთება, არამედ მისი ახლად აშენება, ხშირად ისეთის შექმნა, სადაც წინად ენათმეცნიერებაში ცარიელი ადგილი იყო, და თუ რაიმე არსებობდა, არ იყო ის, რასაც იაფეტიდოლოგია აკეთებს. ენის გაგება, როგორც უაღრესად კლასიური მოვლენის და მისი სტადიური განვითარების მიხედვით შესწავლა, მისი მსოფლიო გლოტოგონურ პროცესში განხილვა, აზროვნების განვითარების შესწავლა და მისი კვლევა ენასთან კავშირში, გინდ ენის შესწავლის დაკავშირება ენასთან ერთად განვითარებულ ნივთიერ და სხვა კულტურის მონაცემებთან.

არ იხსენიებს. გამოტოვებულია, როგორც დედანი ისე თარგმნი. (იხ. „Яфетический сборник VI." ლენინგრადი 1930 წ. გვ. 255—283.) ამავე მიზნით, რამდენად ცოცხალ ძალას ხედავდა ნ. მარრი მშრომელ ხალხში მკითხველს შეუძლია ნახოს ნ. მარრის: „Из Гурийских наблюдений и впечатлений (По поводу бакинских событий)- (С.-П.Б 1905 წ.)

[1] იხ. ნ. მარრი... „Свобода значит быть коллективным хозяином." დაიბეჭდა გაზეთ: За Социалистическую Науку"-ს № 9 (1932 წ. ნოემბერი) იგავე ცოტა უფრო ვრცლად მოთავსდა ერთ-დროულ გაზეთ „За советскую науку-ში (1932 წ. 7 ნოემბერი გვ. 3)); „За октябрские пр пятилетки. Производящ, мыслящ и говорящ Ленинград."

სამი მომენტი მთლიანობაში, ერთი მეორისაგან გამომდინარე, განვითარების ერთ პროცესში მოცემული, რთულია და იაფეტიდოლოგიური კვლევა-ძიება ურთულესი; რადგან აქ მარტო ფორმის აღწერით ვერ დაკმაყოფილდება მკვლევარი. მას დიდი შრომა სჭირდება, და თავისუფლად ენის ზედაპირზე დაკვირვება არაფერს აძლევს ასეთი სიძნელის გამო იყი, მ ა რ ქ ს ი რომ ამბობდა, „მეცნიერებასთან მისასვლელად არ არსებობს ფართე სამხედრო გზა და მხოლოდ იმას აქვს შანსი მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს ვისაც არ აშინებს დაღლა რომელსაც მის კლდოვან ბილიკებზე ასვლა იწვევს. „ბევრს ამ სიძნელის გამოც ეშინია იაფეტიდოლოგიის მიღება და ცდილობენ მის შერიგებას ინდოევროპეისტიკასთან, მაგრამ მათ უნდა მოვაგონოთ პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს მ ი ხ ა ი ლ ო ვ ს კ ი ს თ ა ნ კამათი, სადაც პირველი უმტკიცებდა მეორეს, რომ ეკლექტიზმს ვერ სცილდებითო. მაშინ მეორემ გამოსავალი გზის ძებნა „ჯამბაზობი-“თ სცდა და პ ლ ე ხ ა ნ ო ვ მ ა უთხრა-გამოსავალი გზა სხვაა, მაგრამ მას გმირული სულისმქონე აირჩევს „გამოსავალია ეკლექტიური იარაღის დაყრა“ [2] ასევე იაფეტიდოლოგიის ინდოევროპეისტიკასთან შემარიგებლობა არაფერს მოგვცემს, გამოსავალი-ფორმალიზის ფესვების აღმოფხვრაა ენათმეცნიერებაში და აკად. ნ. მ ა რ რ ი ს სიტყვები „ა რ ა ვ ი თ ა რ ი შ ე მ ა რ ი გ ე ბ ლ ო ბ ა, ბ რ ძ ო ლ ა ბ ო ლ ო მ დ ე“ სახელმძღვანელოდ რჩება. მეორეს მხრით იაფეტიდოლოგიის ის მოწინააღმდეგენი, რომლებიც სიტყვით ღებულობდენ მარქსიზმს და საქმით ინდოევროპეისტიკას ემსახურებოდენ, იაფეტიდოლოგიას გვერდს უვლიდენ ამ სიძნელის გამო და ეკედლებოდენ ე წ. „ენათ მეცნიერულ ფრონტელების“ მარქსისტულ ფრაზეოლოგიას [3]—მათ შეგვიძლია ვაუწყოთ,რომ მათი „იმედი“ გაქრა, „ ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ფ რ ო ნ ტ ე ლ ე ბ ი“ თავად დაიშალენ და იაფეტიდოლოგიას ესტუმრენ.

ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ იაფეტიდოლოგია მარქსისტული ლინგვისტიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ იაფეტიდოლოგიური მიღწევები მისი სიძლიერის მაჩვენებელია. მასში დამუშავებულია მთელ რიგი მარქსისტული პრობლემების და გადაწყვეტილია მარქსისტულად; არის საკითხები, რომლებიც ამ ეტაპზე დაუსრულებელია და ახლად მოითხოვს კიდევ ღრმა დამუშავებას. ყოვლად შეუძლებელია უარყოფა იმისი, რომ იაფეტიოლოგიის საფუძვლები მარქსისტულია და მთელი რიგი კონკრეტული მასალები მარქსისტულად გაშუქებული. აქ ეხლანდელი მარქსისტების მიერ იაფეტიდოლოგიის მარქსისტულად ცნობის გარდა სხვა საზომიც არსებობს, სახელდობრ ის, რომ მარქსისტული ენათმეცნიერების შენება ხდება არ ცარიელ ადგილზე,

[1] ვ. მ ა რ ქ ს ი.: „კ ა პ ი ტ ა ლ ი“ I. (ტფილისი—1930 წ.) გვ. XXXIII;

[2] გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: „მ ო ნ ი ს ტ უ რ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი ისტორიაზე“ (ტფილისი—1930 წ.) გვ. 229.

[3] ვ. ა პ ტ ე კ ა რ ი და ს. ბ ი კ ო ვ ს კ ი: „Современ. полож. на лингв. фронт. გვ. 14—19; აგრეთვე ე ნ ი ს ა და ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს ბრიგადის კრებული: „Против буржуазной кондрабанды в языкознаний“ (ლენინგრადი—1932 წ.). მასში მკითხველი ნახავს „ენათმეცნიერულ ფრონტელთა მთელი „სიბრძნეების“ რაობას.

არამედ მარქსიზმის კლასიკოსების: მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის შრომების საფუძველზე.

მარქსისტულ შრომებს [1] გარდა იაფეტიდოლოგიას გააჩნია, არა მარტო ენის მიმართ მარქსიზმის კლასიკოსთა წარმონათქმები, არამედ ზედაშენურ კათეგორიების მიმართ მარქსისტულ შრომებში მოაზლად მოცემული კვლევები, ზედაშენების სპეციფიურ ხასიათის განმარტებები და ბაზისა და ზედაშენების ურთიერთ ქმედების განსაზღვრები.

აო უნდა დავივიწყოთ კი, რომ მათი მონაცემები უფრო ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტიულ მასალის განხილვისას, ინდოევროპეისტიკის გავლენაც გვხდება და ეს ბენებრივიც არის, რადგან სხვა გვარი ლინგვისტიკა არ არსებობდა. ამას მშვენივრად შენიშნავს აკად. ნ. მარრი „когда Лафарг, опровергая связь Прометея с санскр., огнем, производит имя „Прометей» от греческого глагола предусматривать, то это есть чистейший индоевропеизм и, ведя беспорно и „упорную борьбу с индоевропейстами", в данном случае, он марксист роботал конкретно языковедно как индоевропеист. Это факт, который надо знать. [2]

იაფეტიდოლოგიამ კონკრეტულ მასალებზე დაამუშავა მარქსიზმის დებულებები და მას საშვალება აქვს იქეთაც შეასწოროს ფაქტიურ მასალაში.

იაფეტოდოლოგია პირველი შეიქმნა ზოგად ენათმეცნიერებად. სავსებით მართალია აკად. ნ. მარრი, როცა ამბობს, რომ ზოგადი ენათმეცნიერება არც საბჭოთა კავშირში და არც მის გარედ არ ყოფილა იაფეტოლოგიამდე[3], რადგან მის ამ საფეხურამდე ყოფილი ენათმეცნიერება—სწავლობდა ძველ სამწერლებო მკვდარ ენებს. ინდოევროპეისტები ზოგად ენათმეცნიერების კურსებსაც კი კითხულობდენ, მაგრამ სამწერლებო ენებში ჩაკეტილ ენას სწავლობდენ არა ძთლიან გლოტოგონურ პროცესში, არამედ ერთი „ოჯახის" შიგნით, მათი ისტორია იყო ამ ერთის ისტორიის კვლევა; იაფეტიდოდოლოგიით—პირველად იქმნა მცირე ნაციათა ენები მსოფლიო ასპარეზზე გამოყვანილი. მისი ენობრივი პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ნაციონალურ პოლიკასთან[4]. თვითეული ერის თვითგამორკვევასთან ენობრივი თვით გამოკვლევაც ხდება, რის შედეგად კავშირის 68 მცირე ნაციონალურ ერთეულებს შეექმნა თავისი საკუთარი დამწერლობა და მწერლობა. ზოგ მათგანს გააჩნდა იგი, მაგ-

---

[1] იხ. ფრ. ენგელსი: „Роль труда в процессе очеловечения обезьяны" („Диалектика природы" მეორე გამოცემა, მოსკოვ-ლენინგრადი, 1930 წ. გვ. 61—74.) მისი ქართული თარგმანი. იხ. მ. გოგობერიძის... "ისტორიული მატერიალიზმის ქრესტომატია" (ტფილისი—1927 წ.) გვ. 119—132.

აგრეთვე პ. ლაფარგის: „Французский язык до и после революции"... შესულია ლაფარგის თხუზულებათა მე-III ტომში (მოსკოვ-ლენინგრადი—1931 წ.) გვ. 211—278; არსებობს ცალკე გამოცემაც «Academia»-ს 1930 წელს გამოიცა, და სხვა.

[2] იხ. ნ. მარრი: „Нужно ли знать факты?" („Записки института Востоковедения А. Н. СССР," ლენინგრადი—1932 წ.) გვ. 205—206.

[3] იხ. ნ. მარრი „Языковая политика яфетической теории и утмуртский язык—(მოსკოვი—1931 წ.) გვ. 1.

[4] იხ. იქვე გვ. 3.

რამ სრულიად შეუფერებელი ენისათვის, უმრავლესს კი არაფერი მოეპრებოდა; ამას იმიტომ ექცევა დიდი ყურადღება, რომ დედაენა არის უდიდესი საშუალება კულტურული ამაღლების[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწერლობის შექმნისათვის იაფეტიდოლოგიას გააჩნია თავისი საკუთარი იაფეფედოლოგიური ტრანსკრიპცია, იგი აშენებულია ისეთ პრინციპზე, რომ მის საფუძვლებზე ყოველი ენის დამწერლობის შექმნა შეიძლება. ეს მისი ის მხარეა, რაც დამწერლობის არც ერთი სახეებს არ გააჩნდა. იაფეტიდოლოგიის ტრანსკრიპცია ყოველი ენის დამწერლობაში იპერს იდეოლოგიურ მხარეს, მასზე პირდაპირ ჩანს რომელ სტადიაზე დგას ენა და უშუალოდ ანალიტურ ანალიზის საშუალებას გვაძლევს, აზროვნებას ანალიტურ ჩარჩოებში აყენებს.

დანარჩენი დამწერლობების სახეობები სინთეტურს ვერ განშორებია. ანალიტურ ანბანში ბგერის განვითარების ისტორიული, უკედ, განვლილი გზის ყოველი საფეხურია მოცემული და ენა, რომელ სტადიაზე დგას იმის მიხედვით გადმოსცემს მას. მასში ნათლად არის გარჩეული მარტივი და რთული ბგერები და იძლევა თანამიმდევრობის გზით. გადმოსცემს ბგერის გამარტივებულ სახეს, გართულებულს, დაყრუებას და სხვა. იგი 4 ლინგვისტური ელემენტის ძლიერი ბერკეტია და „დამწერლობის იდეოლოგიური აღნაგობის გადმომცემის სამკვლევრო გრაფიკაა[2].

იაფეტიდოლოგიური ტრანსკრიპცია დამუშავებულია არა მარტო ქართული ენისათვის[3], რომელსაც უამისოდაც გააჩნდა დამწერლობა ან გინდ აფხაზურისათვის, რომელსაც ახლად შეუქმნა ქონებულის სრული უვარგისობის გამო[4], არამედ სრულიად უმწერლებო ენების დამწერლობებისათვის. მის საფუძვლებზე შეექმნა დამწერლობები ლენინგრადის ოლქში მცხოვრებთ: ვეპსებსა და იჟორებს[5], იაფეტიდოლოგიური ანბანი ხმარდება არა მარტო კავშირში მოქცეულ ენებს, არამედ კავშირს გარედ დარჩენილებსაც[6].

იაფეტიდოლოგიური ანბანით შეიძლება არა მარტო ყოველი ხმიერი ენების ბგერობრივ მასალის გადმოცემა, არამედ მისი მეცნიერულად ტრანსკრიპცია და ტრანსლიტერალიზაცია. იგი მეტად მნიშვნელოვანია იაფეტიდოლოგიისათვის, რადგან შესაძლებელია მისი ყოველი ენისათვის მიყენება და ენის მთლიან გლოტოგონურ პროცესში შესწავლის საშუალებას იძლევა.

---

[1] იხ. ნ. მარრი „Родная речь могучий рычаг культурного под'ема" (ლენინგრადი—1930 წ.).

[2] იხ. ნ. მარრის „К Семантической палеонтологии в языках не яфетичетских систем". („Известия ГАИМК", Т. VII, вып. 7—8, ლენინგრადი—1931 წ.) გვ. 15.

[3] მისივე „რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება" (ლენინგრ. 1923). ქართულს ენაზე ქართულის პარალელურად იაფეტური ანბნით დაწერილია.

[4] მისივე „Абхазский аналитический алфавит (К вопросу о реформах письма") Трудя яфет. семинария" I; (ლენინგრადი—1926 წ.).

[5] ლ. ბაშინჯაღიანი: „На высшую ступень" (გაზ. За социалистическую науку", № 10, 30. XI 32 წ.).

[6] იური მარრი: Персидский аналитический алфавит" („Известия Ак.Наук. № 7,1931 წ. გვ. 755—758).

იაფეტიდოლოგიის ამ მიღწევნილობას, რომელიც მას ლინგვისტურ სტადიების დადგენასა და ენის პალეონტოლოგიაში გააჩნია, არც მოწინააღმდეგენი უარყოფენ. იგი სხარტად ჩამოყალიბებულ ანბნითა და 4 ელემენტით ხსნის ენის იდეოლოგიურ მხარეს[1]. ამიტომ მისთვისი გამოსავალი ენობრივ კვლევაში არც სინტაქსია, არც მორფოლოგია, არც ფონეტიკა და არც ეტიმოლოგია. გამოსავალი—აზროვნებაა და მისთვის მოიხმარება ეს ფორმალური გამოსახულებები. ამით იაფეტიდოლოგია იხილავს არა მარტო ფაქტებს შორის ურთიერთ დამოკიდებულებას, არამედ „ფაქტების აღმოცენებას და მათ ურთიერთობას"[2], არა მარტო ფაქტების, არამედ კანონების სტადიურ საფეხურებზე აღმოცენებას და კანონთა ურთიერთობას. ენობრივი ფაქტების მონაცემებს არა მარტო მატერიალური კულტურის და ადამიანთა შემოქმედების სხვა მონაცემებზე ამოწმებს.

ენის მთლიან გლოტოგონურ პროცესში შესწავლით იაფეტიდოლოგიამ გამოაშკარავა რომ მთელი კაცობრიობის ენა ერთიანი შემოქმედებითი პროცესის ნაშედეგარია, ენათმეცნიერება იაფეტიდოლოგიამ გახადა მონისტურ სწავლებად[3]; ამიტომ იგი მოითხოვს თითოეული ენის ამ მთლიან გლოტოგონურ პროცესში შესწავლას, თითოეული ენის მსოფლიო ასპარეზზე გამოყვანას და თანაბარ უფლებიანობას[4].

იაფეტიდოლოგია მოითხოვს ენის განვითარების პროცესში ჩადგომას და მის დინამიურ განვითარებაში კვლევას. ენის საზოგადოებრივ ფუნქციას იგი ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთ ქმედების რკალში იხილავს—აზროვნების განვითარებასთან ერთად და ისიც არა მარტო ხმიერ ენის საფეხურზე, არამედ ენის განვლილ ისტორიის მთელ მანძილზე. ამიტომ ენის წარმოშობის საკითხს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და აკად. ნ. მარრი წერს: „ენის წარმოშობის და განვითარების ზოგადი სწავლება წარმოადგენს ამავე საგნის მსოფლიო ისტორიას, რომლის მიუღებლად და შეუთვისებლად შეუძლებელია კერძო რაგინდრა ენის ან ენათ ჯგუფის წარმოსაშობი საკითხი გამოშუქდეს"[5] (ხაზი ჩვენია ი. მ.).

აკად. ნ. მარრი გამოდის ენის იდეოლოგიიდან და არა მისი გაფორმებიდან, რადგან ეს არის ენის ძირითადი ფუნქცია. პირველ რიგში ცილდება ხმიერ ენას და ენის შესწავლას იწყებს მისი შექმნიდან. არა მხოლოდ ენის ჯერჯერობით არსებულ უკანასკნელ საფეხურს, ხმიერ ენას იკვლევს, არამედ მისი ბგერობრივ მორფოლოგიის და ბგერობრივ მოვლენების შექმნამდე არსებულის მთელ პერიოდებს მის ტექნიკურ საფუძვლებში. იმ დროიდან, როცა ხმიერი ენა არ იყო და ენობრივი წარმოების საშუალებად ბგერები არ არსე-

---

[1] ნ. მარრი К семант. палеонт. в яз. не яфет. систем". გვ. 15.

[2] იქვე გვ. 2.

[3] ნ. მარრი „რა წილი აქვს ქართულს, ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში" (ტფილისი—1930) გვ. 12.

[4] მისივე: „Постановка изучения об языке в мировом масштабе и абхазский язык" (ლენინგრადი 1929 წ.).

[5] მისივე „რა წილი აქვს ქართულს..." გვ. 12.

ბობდა, არამედ ჟესტის ენა, კინეტიკური, ხელური მეტყველება სუფევდა მთელი თავისი სტადიებით[1], იმ დროიდან, როცა ხელი [illegible] როგორც საწარმოო ისე სალაპარაკო იარაღი. წარმოების აღმოცენების დროიდან, ადამიანის მიერ იარაღის მოხმარების, მისი გაადამიანების, მატერიალური კულტურის და მისი ზედნაშენის — ენის და აზროვნების აღმოცენების დროიდან[2]. ამის და კვალობაზე იაფეტიდოლოგიამ დაანგრია მოძღვრება, თითქოს ენათმეცნიერება მხოლოდ ხმიერი ენის შემსწავლელი მეცნიერება უნდა იყოს. იაფეტიდოლ იგიამდე ინდოევროპეისტები ენათმეცნიერების საგნად მხოლოდ ხმიერ ენას თვლიდენ. როგორც ყოველი ინდოევროპეისტი განსაზღვრავს ენათმეცნიერების საგანს ხმიერი ენით, ისე საქართველოში იმეორებენ მას. ისინი სიტყვით თითქოს აკრიტიკებენ მას და საქმით კი მათ საფუძვლებზე დგანან, პროფ. გ. ახვლედიანი და დოც. არნ. ჩიქობავა დაუსწრებელ პედაგოგიურ ინსტიტუტის მსმენელთათვის შედგენილ „ენათმეცნიერების პროპედევტიკისა და ზოგადი ფონეტიკის“ განაკვეთში წერენ: „ენათმეცნიერება არის მეცნიერება დანაწევრებულ ბგერებში მოცემულ მეტყველების შესახებ და, მაშასადამე, ყოველი სხვაგვარი ენა (მაგ: ჟესტ-მიმიკის ენა) მხოლოდ იმდენად არის მის შესწავლის საგანი, რამდენადაც უპირისპირდება დანაწევრებულ ბგერებში მოცემულ მეტყველებას და მნიშვნელოვანია ზოგადი „ენა“ ცნების დახასიათება ინტერპრეტაციისათვის“[3] — კიდევ უფრო სრულად: „ენათმეცნიერების შესწავლის საგანია ის, რაც გადმოიცემა დანაწევრებულ ბგერებით ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, დანაწევრებულს ბგერებში მოცემული მეტყველება[4]“. უთუოდ აღსანიშნავი არის, რომ ისინი ინდოევროპეისტიკას აღარ უყურებენ ისე, როგორც წინად, ავტორები ცოტათი ცილდებიან მას და ამდენად იაფეტიდოლოგიას უფრო ცნობენ ვინემ წინად, ოლონდ ინდოევროპეისტიკას კიდევ არ მოცილებიან, ძირითადში მის საფუძვლებზე დგანან და იაფეტიდოლოგიას ვერ აფასებენ სათანადოდ. მისგან ამოგლეჯილ ადგილებს ემყარებიან და მოიხმარენ არა იაფეტიდოლოგიურად. მათი ინდოევროპეისტიკისაგან დაძვრა მაინც სიამოვნებით მოსახსენებელი ფაქტია.

განაკვეთი შედგენილია კარლ კაუცკის ენაზე მსჯელობის ანალოგიურად და მის საფუძვლებზე. როგორც კაუცკი იწყებს ენის შესახებ მსჯელობას ადამიანის გაადამიანებიდან და განსაზღვრავს ამ მომენტს მარქსის ცნობილი ადგილით, ადამიანის მიერ იარაღის მოხმარებით, ისე ხსენებული ავტორები, საამისოდ საკმარისია შეადაროთ კ. კაუცკის „ეთიკა[5]“-ში მოთავსებული თავი „ენა“ და განაკვეთის 1-დან 9 გვერდი. შემდეგ უკვე სცილდება კაუცკის ამ წიგნს და იწყება ადგილები კაუცკისავე მეორე შრომიდან[6]. მაგ

[1] მისივე „Языковая политика яфет. т. ...გვ. 11—12.

[2] ნ. მარრი: Яз. полит. яфет. т . . . “ გვ. 11—13.

[3] განაკვეთი გამოცემულია ტფილისს—1932 წ. გვ. 1.

[4] გვ. 10—11; ხაზი ჩვენია ტ. მ.

[5] ჩვენ ხელთ გვაქვს „Этика и материалистическое понимание истории“, რუსული გამოცემა (პეტერბურგი—1906 წ.). გვერდები. 91—96;

[6] „Очередныя проблемы международного социализма“ (პეტერბურგი—1906).

როგორც კაუცკი ამბობს: „Язык же дает возможность передавать личный опыт других людей, превращать его из личного в общественный, он дает и возможность передать потомству сделавшийся общественным опыт[1]. პროფ. ახვლედიანი და დოც. ჩიქობავა წერენ: „მეტყველების საშუალებით შესაძლებელი ხდება ერთი ინდივიდის ვამოცდილება—მიღწევა სხვებისთვის ხელმისაწდომი გახდეს; მეტყველების საშუალებით ერთი თაობის მონაპოვარი შესაძლებელი ხდება გადაეცეს მეორეს“ (გვ. 9).

შემდეგ კაუცკი წერს; „Язык является также средством соединения и разделения людей“. (გვ. 585).

ესენი წერენ: „ენა შემაკავშირებელი და ენა გამთიშველი“, გამოყოფილი აქვთ თავად და „ასკვნიან“: „ენა შემაკავშირებელი იმავე დროს არის გამთიშველიც“ (გვ. 29). ამას გარდა ცალკეული აღებული ადგილები მაგ: ენის ცვალებადობის შესახებ, ენა როგორც გაგებინების საშუალება, როგორც ზედნაშენი კათეგორია, იდეოლოგიური მონაცემი და სხვა იქიდანვეა, ე. ი. კაუცკის ამ შრომებიდანაა ამოღებული, რასაც მკითხველი წაკითხვისა და შედარებისთანავე დაინახავს; ზოგიც კიდევ იაფეტიდოლოგიიდან აღებული იაფეტიდოლოგიის მოუხსენებლად მაგ: რომ წმინდა ენა არ არსებობს (გვ. 18) და სხვა, მაგრამ ამათზე სხვაგან, თუ ისინი საჭიროდ დაგვანახვებენ, კიდევ უფრო მეტად შევჩერდეთ მათზე. შევნიშნავთ კიდევ ერთს. სახელდობრ, ავტორები ცდილობენ ადამიანის გაადამიანების ერთ ნიშნად ხმიერი ენა ჩათვალონ. ისინი ადამიანის მიერ იარაღის მოხმარებას ენას უმატებენ მუდამ. ენად მხოლოდ ხმიერი ენა მიაჩნიათ და წინაადმდეგობაში ვარდებიან, თითქოს ადამიანი ხელის ენის დროს არ იყო ადამიანი: კინეტიკური მეტყველება გააჩნდა, კულტურა ჰქონდა და მხეცი იყო. დანარჩენი წინაადმდეგობები რომლებიც მათ განაკვეთშია, აქ არ გაირჩევა, რადგან ჩვენთვის ეხლა უფრო საინტერესოა ენათმეცნიერების საგნის შესახებ საუბარი და მათი განსაზღვრების განხილვა.

როგორც ვნახეთ, ამ ავტორებისათვის „ენათ მეცნიერების საგანია ის, რაც გადმოიცემა დანაწევრებულ ბგერებით ანუ სხვანაირად რომ თქვათ, დანაწევრებულს ბგერებით მოცემული მეტყველება“ (გვ. 11). ამავე დროს იგივე ავტორები სიტყვით ცნობენ მარქსიზმს, ენის ისტორიულ განვითარებაში შესწავლის საჭიროებას. წერენ კიდეც: „ენობრივი მოვლენის მეცნიერული შესწავლა არ შეიძლება მის ისტორიულ პრაქტიკაში შესწავლის გარეშე“ (გვ. 35), „ენის წარმოშობის საკითხს ენათმეცნიერება გვერდს ვერ აუვლის; ეს ერთი ძირითადი საკითხთაგანია“ (გვ. 78), თუ პირველს მივიღებთ მაშინ ისტორიზმი უგულებელყოფილი ხდება და მეორე მხოლოდ სიტყვებია. ხმიერი ენით ენის წარმოშობის საკითხი არის დროს არ გამოირკვევა, რადგან მას უსწორებდა ხელის ენა და მისი იდეოლოგია შესულია მეორეში—ხმიერ ენაში. ხელის ენის აზროვნება ხმიერ ენის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება და მრავალი ხმიერი ენის ფორმები ხელის ენის შესწავლის გარეშე გაუგებარი ხდება. ენგელსი ტყუილად კი არ ამბობდა: „გაუგებარია საგანი მისი ისტორიის გარეშეო“. იაფეტიდოლოგია კი

[1] იქვე გვ. 285—286;

ამ ისტორიას იწყებს საგნის წარმოშობიდან და არა მის უკანასკნელ სახიდან. ენის შესწავლას იწყებს ხელის ენის დროიდან და არა მხოლოდ ხმიერ ენის[1], რომელიც გაგრძელებაა პირველის, მისი დიალექტიკურად მოხსნილი ფორმა. მიერ ეს პირველი ენის საფეხური და არა ერთი საფეხური, არამედ ენის ეს მთელი სტადიები ენათმეცნიერების საგნის გარეთ არის დატოვებული და, მაშ, ვინ უნდა შეისწავლოს იგი?! ან უმისოდ როგორ უნდა გამოირკვეს ენის წარმოშობის საკითხი?! იაფეტიდოლოგია აქაც არღვევს ძველ ტრაფარეტულ შეხედულებას და ენათმეცნიერებას სათანადო სიმაღლეზე აყენებს. აქ მოხსენებული ავტორები თანაბრად ენციკლოპედისტებისა სულ უკანასკნელ ხანში გაიძახოდენ ენათმეცნიერების საგანი სულაც ვერ იქნება ენის წარმოშობა, იგი მეტაფიზიკური საკითხია და ენათმეცნიერების ვერც ერთს ნაბიჯს ვერ შებორკავსო. ეს გზა დატოვებულია მათ მიერ, და იაფეტიდოლოგიის მტკიცებებიდან იცნეს ენის წარმოშობის საკითხის კვლევის აუცილებლობა. რამდენადაც ხმიერ ენას არ სცილდებიან, იმდენათ ეს კვლავ უგულვებელ ყოფილია და ენათმეცნიერების საგანი დამახინჯებული.

ენათმეცნიერების საგნის მათი განმარტება იდეოლოგიურად ფორმალისტურია. ენის მთლიან გზაზე—გზის ბოლო ნაწილია მხედველობაში მიღებული და მახამდე განვლილი კი დავიწყებული. ენათმეცნიერებას წართმეული აქვს ალღო ხმიერ ენაში მდიდრად მოცემულ კინეტიკურ მეტყველების გადანაცხოვრები ფენის ახსნის.

ამ გზას კვლავ იდეალიზმში მიყავს ენათმეცნიერება, რადგან მთელი რიგი მოვლენები აუხსნელი რჩება ხმიერ ენაში და მისი „ახსნა“ მისტიურ ძალებზე მიუწერლად შეუძლებელი ხდება. ის განმარტება ავტონომიურობას ჩემობს ენათმეცნიერულ მეცნიერებისა და არ ჩანს კავშირი მოკავშირეებთან. ენათმეცნიერება შინაარსით და ფორმით „ნაციონალური“ მეცნიერება გამოდის. მეცნიერებანი სწავლობენ ერთმთლიანს და თითოეული მეცნიერება ცალკე ამ მთლიანის ნაწილებს. ამიტომ მეცნიერების ცალკე დარგები ურთი-ერთთან კავშირს ვერ გაწყვეტენ. ამას გარდა მოცემულ გახმარტებაში არსად ჩანს სტადიური გაგება და აზროვნების კავშირში არ არის ენის შესწავლა. ამ გზით ენობრივი სტადიები და აზროვნების განვითარების სტადიები ვერ კავშირდება და ენის იდეოლოგიური მხარე უგულვებელყოფილი ოჩება. ენათმეცნიერების საგანი საუამისოდ შეუძლებელია. აზროვნების და ენის სტადიები შეპირობებულია საწარმოო ძალთა განვითარებასთან და მთელ რიგ მასთან განვითარებულ მოვლენებთან. მათგან ხმიერი ენის ამოგლეჯა და ენათმეცნიერების საგნად გახდომა ენათმეცნირებას მეცნიერების უფლებას ართმევს. ზოგადი საენათმეცნიერო საკითხები იღუპება და გაყინული ყოველგვარ ძალას კარგავს, ხმიერი ენა-ენათმეცნიერების საგანში ერთი მთავარი კვლევის საკითხი იქნება და ენის განვითარების ისტორიაში მისით ერთი მთავარი მომენტი წყდება.

---

[1]) ნ. მარრი „Яз. полит., яфет. теор.“ გვ. 11—12.

იაფეტიდოლოგიის მამამთავარს არ აღუნიშნავს ეს ცალკე, მაგრამ მის საფუძვლებზე მდგომთათვის სხვაგვარად შეუძლებელია. იაფეტიდოლოგიის ძირითადი დებულებებიდან გამოდის, რომ ენათმეცნიერება [illegible] არა მარტო ხმიერი ენაა, არამედ ენის ყოველგვარი სახეები, რომლებიც კი ურთიერთობის როლს ასრულებს; ამავე დროს ის გვერდს ვერ აუვლის აზროვნების განვითარებას, მატერიალურ კულტურასთან დაკავშირებით; კინეტიკური მეტყველება მოიხმარება არა მარტო „ენის", როგორც ზოგადი ცნების განმარტებისათვის, არამედ იკვლევა, როგორც გარკვეული საფეხური ენისგანვითარებაში. „ენის", როგორც ზოგადი ცნებისათვის ენათმეცნიერება გამოიყენებს არა ადამიანურ ენებსაც ან უხდება მისთვის ანგარიშის გაწევა. იაფეტიდოლოგიის მიღწევაა, რომ იგი გაშორდა ხმიერ ენის საზღვრებს და ენათმეცნიერების საგანი შესაფერის ჩარჩოებში მოაქცია.

იაფეტიდოლოგია ენის შესწავლას ენის დასაწყისიდან იწყებს; იმ საფეხურიდან, როცა ენა უმთავრესად საწარმოო ენა იყო (იმავე დროს საურთიერთოც, თორემ ისე ენა არც ენად იწოდება), როგორც, მაგალითად, ხელის ენა დასაწყისში უმთავრესად წარმოებითი იყო[1]. იაფეტიდოლოგია არ ყოფს აზროვნების წარმოშობას ენის გლოტოგონიიდან და ენის წარმოშობის კვლევასთან ერთად აინტერესებს სიტყვის ტექნიკა; იქნება ის ხელის ენა თუ ხმიერი, სულ ერთია[2]. გამოირკვა, რომ ხელის ენასაც გააჩნია თავის „დიალექტები"[3] და ხელის ენაც მთელი სტადიების შემცველია. მაშინ კოსმიური აზროვნება ჭარბობდა და ხელის ენას მისი შესაფერისი ხელის აზროვნება შეესაბამება.

ხელის ენა სოციალურად შეპირობებული ადამიანის ენაა და იდეოლოგიურად კლასიური ანაგების. აკად. ნ. მარრი მის საფუძველზე ამბობს: „არ არსებობს ენა, რომელიც კლასიური არ იყოს, რომელსაც კლასიური დასაბამი არ ჰქონდეს; ხელის ენა გავრცელებულია დღესაც და იგი იხმარება არა მარტო ავსტრალიასა და სხვა „ჩამორჩენილ" ხალხებში, არამედ მაღალ კულტურულ საზოგადოებაშიც თავს იჩენს მისი გადანაცხოვრების სახე. კავკასიაში გავრცელებულია. სომხეთში, აზერბეიჯანში, ყაზახის რაონში და არსებობს ცნობები რომ იგი ოსებსა და ჭანებშიც შემონახულია. სომხეთსა და ახალციხეში ისწავლებოდა ორი ექსპედიციის დროს"[4]. გამოირკვა, რომ კოსმიური აზროვნების გადანაცხოვრები სახე ძლიერია მათზე მოლაპარაკეში, თუმცა არა ამდენად კოსმიურ-დიფუზური, როგორც ეს ძველ სტადიებზე აღმოჩნდა: ეს ხელის ენები

[1] იხ. ნ. მარრი: „Яз. полит. яфет. т."...გვ. 13.

[2] იხ. მისივე: „Язык и мышление" გვ. 34.

[3] იხ. იქვე გვ. 37.

[4] პირველი ექსპედიცია მოეწყო „ა.-კ. საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტი"-ს. მეშვეობით 1931 წლის სექტემბერში. ექსპედიცია მუშაობდა ს. ს. რ. სომხეთის სხვადასხვა სოფლებში; ფოტო-სურათები და ჩანაწერების გარდა, ხელის ენის ფიქსაცია მოხერხდა კინოშიც; მეორე ექსპედიცია მოეწყო 1932 წ. „ენისა და აზროვნების ინტიტუტიდან (სსრკ სამეცნიერო აკადემიის), იმავ სომხეთის სხვადასხვა რაონებსა და ახალციხის მაზრაში. მასალები ინახება ორივე ხსენებულ ინსტიტუტებში და დამუშავების პროცესშია.

შენებით ამორფული ტიპისაა, მასში ამის ნიშნები საკმაოდ მოცემულია. გამოხატულების ფორმალური მხრიდან უთუოდ სხვაა ხელის ენა და საერთოდ კინეტიკური მეტყველება, მაგრამ დანიშნულება ერთი აქვთ. იაფეტოდოლოგიით განისაზღვრა, რომ, როგორც ხელის ენა და ხმიერი ენა ხარისხობრივად და თვისობრივად სხვადასხვაა, ისე მომავალი საერთოშორისო ენა და ეხლანდელი ხმიერი ენა სხვადასხვა იქნება; იაფეტიდოლოგიურად, ნათელია, მომავალი საერთაშორისო ენა არ იქნება არც ერთი დღეს არსებული, რადგან იგი გამოვა ყველა დღეს არსებული ენების წინააღმდეგობებიდან და აიგება კომუნიზმის საერთო ეკონომიურ ბაზისზე; კავკასიაში გავრცელებული ხელის ენა ტიპოლოგიურად ერთი და იგივეა, თუმცა სხვადასხვა ადგილზე ლექსიკურ მასალაში საგრძნობი განსხვავება გვხვდება. სტადიური საფეხურების მიხედვით მასში სხვადასხვა დონე არ არის შემჩნეული; რომ დღეს დიალექტურ სხვაობაც გვიჩვენება კავკასიის ხელის ენებში, არის ცალკეულ ენების მიახლოვების შედეგი; ამას ხელის ენას ვუწოდებთ იმდენად, რამდენადაც ხელის როლი დომინირობს მეტყველების პროცესში, ისე კი, ხელისაში ტანი, მხრები, პირის სახე, თვალები და სხვა. კერძოდ თვალი მეტად საინტერესო სურათს იძლევა, ჩვენ შევხვდით იმასაც, რომ ხელების უმოძრაოდ თვალებით საუბრობდენ ურთიერთთან. მაგ. სოფელ არალუღში (სომხეთი, თალინის რაიონი) შეგვხვდა იეზიდი ქალები. რომლებიც ხელის ენით საუბრობდენ სომხის ქალებთან. ერთმანეთს კი თვალით ესაუბრებოდნენ, აყოლებდენ სწრაფულ მხრების მოძრაობასაც, და სხვადასხვა გრძნობების გადმოსაცემად პირისახე ხან უბრწყინდებოდათ და ხან ეხისლებოდათ; გამომეტყველება სულ იცვლიდა იერს.

მიუხედავად იმისა, რომ ცხვირს ქვემოდ პირი და ნიკაპი დაფარული ჰქონდათ—ეს მაინც კარგად ირკვეოდა მათ მეტყველებაზე. ამას გარდა კიდევ მეტი ინტერესის შემცველია, რომ მთავარ სიტყვებს, რომლისათვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდოდათ მიეცათ, ატანდენ თან დიფუზურ ამოძახილებს „შსლ“, შსლ“, რაიც ყრუ შტვენის შთაბეჭდილებას სტოვებდა. როგორც ვთქვით, საუბარს სწრაფი თვალების მოძრაობა შეიცავდა და სათქმელი ბევრჯელ მხოლოდ თვალებით ითქმოდა. ჩვენ მას პირობით „თვალის ენა“ ვუწოდეთ. ეს ცოდნიათ არა მარტო ამ იეზიდებს, არამედ ო. ნიკოსოვის თქმით სომხეთში მცხოვრები ზოკები[1], როცა სახლში სტუმარი ჰყავთ, ერთმანეთს შორის ოჯახის წევრები თვალით ლაპარაკობენ.

ამ საუბრის დროს მონაწილეობას იღებს წარბები, შუბლი პირის სახე და თავის კანის მოძრაობაც, მაგრამ დომინარობს თვალი. ცხადია, რომ ეს „თვალის ენა“ კინეტიკურ დიფუზურ მეტყველების დანაწევრების გზაზეა ნიღებული. როგორც ხელის ენა ისე „თვალის ენა“ არსად გამქრალა, მისი გადანაცხოვრები სახე დღესაც შემონახულია. აკად. ნ. მარრის განსაზღვრებით—იგი

[1] ნიკოსოვს უმუშავნია ნ. მარრთან ვანის გათხრების დროს და შემდეგ ზოგადათ დაინტერესებულა ენით. ამიტომ ყურადღება მიუტანებია ამ მოვლენისათვის.

ვერ გამოვიდა მსოფლიო მაშტაბით. ეს უფრო კერძოობითი მოვლენა იყო. ხელის ენა მსოფლიო მოცულებით გვხვდება, და თვალის არა.

„თვალის ენა“, როგორც საიდუმლო ენის ერთი სახე, ~~ჩვენ~~ შემონახულია და იყენებენ მას. განსაკუთრებით შეკრებულებაში — ითი ბესაიდუმლენი ესაუბრებიან ურთიერთს; აღმოჩნდა არა მარტო „თვალის ენა“, არამედ გამოირკვა, რომ იყო თვალის აზროვნებაც — „თვალ-საზრისი“ თვალის აზრი, რაიც აკად. ნ. მ ა რ ი ს მიერ გარჩეული მალე დაიბეჭდება.

ესეც იაფეტიდოლოგიის მიღწევებში დგას და აქვს არა მარტო ფართო მეცნიერული ღირებულება, არამედ პრაქტიკულიც.

კავკასიის ხელის ენა არ არის შედეგი ტომების მოსვლის და მათ მიერ მოტანილი. იგი გვხვდება არა მარტო სომხეთში, არამედ კავკასიის ყოველ კუთხეში და სრულიად მისგან დამოუკიდებლად სხვა ქვეყნებში[1]. მაშასადამე, არც ხსენებული ტიპებია მოსული და ერთი შედგენილობის.

ი ა ფ ე ტ ი დ ო ლ ო გ ი თ გ ა მ ო ი რ კ ვ ა, რ ო მ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს ე რ თ ი მ ა ს ა ლ ი ს ა გ ა ნ შ ე დ გ ე ნ ი ლ ი ე ნ ა. მ ა ნ დ ა ა ყ ე ნ ა წ მ ი ნ დ ა დ ა მ ა რ ტ ი ვ ი ე ნ ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ზ ე, თ ა ვ ი დ ა ნ ვ ე შ ე უ ღ ლ ე ბ ა ხ მ ი ე რ ი ინ ი ს, რ ა ს ი ს დ ა ო ჯ ა ხ ი ს ა დ გ ი ლ ზ ე — ს ი ს ტ ე მ ა, ც ო ც ხ ა ლ ი ე ნ ე ბ ი — მ კ ვ დ რ ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ზ ე[2], ე ნ ე ბ ი ს მ თ ლ ი ა ნ ი გ ლ ო ტ ო გ ნ უ რ ი პ რ ო ც ე ს ი ე რ თ ი ე ნ ი ს გ ი ნ დ ე ნ ა თ ა ს ი ს ტ ე მ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს ა დ გ ი ლ ზ ე დ ა ხ ა ლ ხ თ ა ზ რ დ ი ს დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ ი პ რ ო ც ე ს ი მ ი გ რ ა ც ი ი ს ა დ გ ი ლ ზ ე.

აკად. მ ა რ რ ი ათი წლის წინედ ამტკიცებდა, რომ ახალი კულტურის გამოჩენა არ არის შედეგი ახალი ტომების მოსვლის[3], კულტურის თავისებურებები არ უკავშირდება რომელიმე ერთ ტომს ან მარტო ერთი რასა არ არის მისი შემქნელი. 1924 წელს უფრო აშკარად გამოდის რასული თეორიის წინააღმდეგ[4], და 1926 წელს უკვე გადაჭრით აქვს თქმული: ერთიანი დასაბამი ყველა ენების წარმოშობის, არ არის დამოკიდებული რასებისაგან „...отрицанием всяких расовых по возникновению языков, что постепенно слагается в монистическое построение учения об языке“[5]. იაფეტიდოლოგიის საფუძველ მდებლის რასული თეორიის უარყოფითა და მიგრაციის ეპვის ქვეშ დაყენების შემდეგ, ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი ს მიერ სავსებით იქნა იგი გამორკვეული. მიგრაციის თეორია დაანგრია იმ გვარად, რომ მის ნაგებობაში ქვა ქვაზე არ დაუ-

---

[1] იხ. ლ. ლევი-ბრულე „Первобытное мышление. (მოსკოვი—1930 წ.) გვ. 105. 6, 7, და შემდეგი.

[2] ნ. მარრი „Я ф е т и ч е с к а я т е о р и и я“ (ბაქო, 1928 წ(. გვ. 30.

[3] მისივე „Т а л ы ш и“ (ლენინგრადი) 1922 წ.)

[4] მისივე „Т е р м и н ы и з о б х а з о - р у с с к и х э т и ч е с к и х с в я з е й“ (ლენინგრადი—1924 წ). და И н д о е в р о п е й с к и е я з ы к и С р е д и з е м н о м о р ь я სადაც წერს: „Индоевропейские языки Средиземно морья никогда и ни откуда не явились ни с каким особым языковым материалом, который шел бы из какой-либо расово особой семьи языков или, тем не менее, восходил к какому-либо расово особому пра-языку“. (იხ. „Д о к. А к. Н а у к“. გვ. 6—7, (192 წ.) ან „П Э Р Я Т“ გვ. 244.

[5] მისი П о э т а п а м р а з в и т и я я ф е т и ч е с к о й т е о р и и (მოსკოვ-ლენინგრადი—1926 წ.) გვ. IV;

ტოვებია[1]. იაფეტიდოლოგიით უარყოფილ იქნა ყოვლის შემძლე ტომების არსებობა, რომლებიც თითქოს ესტუმრებოდენ სხვადასხვა ხალხებს, მისცემდენ კულტურას და ისევ თავის სამშობლოს უბრუნდებოდენ. ა ღ მ ო ჩ ნ ნ ი ა ი ა ფ ე ტ ი კ უ რ ი პ რ ო ც ე ს ი მ ა თ ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ ა - გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს ა და ინტერნალიზაციაში, რასაც ლ ე ნ ი ნ ი ც მიუთითებდა ზოგადათ[2].

მიგრაციითა და ნასესხებულობით „ახსნილი" კულტურა ახსნა ადგილობრივი კულტურის დიალექტიკური განვითარებით.

თვით ხალხების დაყოფა კულტურულ და უკულტურო ერთეულებად, იაფეტიდოლოგიამ სხვაგვარად განმარტა. იმიტომ უარყო წინაისტორიული ეპოქის არსებობა იმ გაგებით, როგორც ეს სხვებს ესმოდათ და ესმით. ერთი ნიშნის მიხედვით ერთი დგას მაღლა, მაგრამ მეორეს მიხედვით უფრო მაღლა მდგომი აღმოჩნდა ის ხალხები, რომლებიც უდაბლეს საფეხურზე მდგომად იყვნენ მიჩნეულები, და თუ რამ გააჩნდათ, „კულტურულის" მინაძღვენად თვლიდენ. იაფეტიდოლოგია უარყოფს კულტურული შემოქმედების ერთ და უკანასკნელ წყაროდ გადასახლებებს. საერთო ელემენტებს: ენაში, მატერიალურ კულტურაში, ზნეჩვეულებებში და სხვა მონაცემებში იაფეტიდოლოგია უმთავრესად ხსნის ერთნაირ პირობებში აღმოცემებულად, ერთი მეორის დამოუკიდებლად. ენობრივ და ფოლკლორულ მასალებზე ეს იმდენად ნათელყოფილია იაფეტიდოლოგიაში, რომ მოწინააღმდეგენიც არ იბრძვიან აქ. გადასახლებას, როგორც ფაქტს არ უარყოფს და მას ცნობს, როგორც ერთ-ერთ ფაქტორს კულტურულ კავშირისათვის. იაფეტიდოლოგია არ უარყოფს, რომ გადასახლება მნიშვნელოვანი ფაქტორია შემოქმედებითი გაქანებისათვის, მაგრამ ყველგან ეს ფაქტორი ვერ ჩაითვლება კულტურის მამოძრავებლად[3]. ეს გადასახლების გარეშეც შეიძლება ერთიმეორეს გადაცემის და ურთიერთობის გზითაც. ამ გზით ერთი კულტურის მეორეში შერევა, რითაც შეჯვარედინება არა ნაკლებ ემჩნევა არხეოლოგიურ ძეგლებში, ვინემ მკვდარ და ცოცხალ ენათა მასალებში[4] ერთი ენის სტადიიდან მეორეში შესული მასალები და სტადიიდან სტადიაში გადასვლა არხეოლოგიაშიც ენის მზგავსადაა მოცემული[5].

მიგრაციის და რასულ თეორიის დანგრევამ დაანგრია მითოსების გადასახლებულების თეორიაც, მითოსების პირველ საბადოდ მიჩნეული ადგილები, ფოლკლორის პირველ-შექმნითი სამყაროები და პრავნების საბუდარები. აკად. ნ. მ ა რ რ ი ს მიერ პრაენის უარყოფის შემდეგ მოხსნილია პრამითური და პრაფოლკლორული საბადურები. პრაენის დანგრევამ ამხილა მიგრაციის თეორიის უსაფუძვლობა და მასთან დაკავშირებული რასულობის ფიქცია, მანამდე არსებული გაგებით.

---

[1] ი. მეშჩანინოვი: „О доисторическом переселении народов" (Вестник ком. Академии № 28, 1828 г. стр. 191—238.) და მისივე „Палеонтология и homo sapiens" (известия ГАИМК т. VI. вып. 7).

[2] ლ ე ნ ი ნ ი: Сборник, ტ. III, გვ. 464.

[3] ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი: „Теория миграции и археология" (Сообщение ГАИНК" № 10-11, 1930 წ.): გვ. 36.

[4] ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი: „О доисторическом переселении народов" გვ. 232.

[5] იქვე გვ. 233.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაფეტიდოლოგიის ძალა, როგორც ამას მეშჩანინოვი წერს, იმაშია, რომ იგი იზრდება საფეხურებად და ყოველ ახალ საფეხურზე ძალა ემატება, ახალი საკითხები ნათლდება.

აზროვნების სტადიური განვითარებით შესწავლა იაფეტიდოლოგიას აძლევს საშუალებას განსაზღვროს ამ აზროვნების ნამოქმედარი ძეგლის თარიღი. ძეგლებს უყურებს, როგორც იდეოლოგიურ მონაცემებს და აზროვნების სხვადასხვა საფეხურზე ძეგლების სხვადასხვაობა არკვევს დროს მისი შექმნისას. იაფეტიდოლოგია ეყრდნობა ისტორიულ და ენათმეცნიერულ ძიებაში არა მარტო მატერიალურ და ენობრივ კულტურის ძეგლებს, არამედ მთელ რიგ ზნეჩვეულებებს ძველიდან ახლამდე შემონახულს. იყენებს მითებს, რომელსაც მ ა რ ქ ს ი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ისტორიისათვის. იაფეტიდოლოგიით დამტკიცდა არა მარტო ის, რომ ათასი წლის წინედ დაწერილ ძეგლებზე მეტი სიძველეები შემოუნახავს ცოცხალ ენებს, არამედ ისიც, რომ ძველად დაწერილ „ბ ი ბ ლ ი ა შ ი“ მოთხრობილი ზნეჩვეულებები და მოყვანილი მითოსები უფრო გვიანი ხანისაა, ვინემ ბევრი ეხლა შემონახული ცოცხალი ზნეჩვეულებებში. იაფეტიდოლოგიით უარყოფილ იქმნა ნივთიერი ძეგლების: სტილის, ფორმის და კონსტრუქციის ფორმალურ-ტიპოლოგიური ანალიზის მიხედვით დახასიათება. ძველს არქეოლოგიაში გამეფებული ეს წესი შესცვალა საგნის ფუნქციონალური მნიშვნელობითი დახასიათებით. იაფეტიდოლოგია მოითხოვს ძეგლის შინაგან და გარეგან ფორმის და შინაარსის შესაფერ სოციალურ ყოფასა და საზოგადოებასთან კავშირში შესწავლას—ძეგლის იმ არეში მოთავსებით, სადაც იგი შეიქმნა. მით მისი ნამდვილი მნიშვნელობის გაგება შეიძლება[1], რომელ აზროვნების დროს შეიძლებოდა აღმოცენებულიყო იგი, მიხედვით იმისა, რომელი ნიშნები ჰარბობს მასში. იაფეტიდოლოგიით უარყოფილ იქნა ძველი გაგება წინაისტორიულ ხანისა, მან გვიჩვენა, რომ წერილობითი ძეგლები ბევრჯერ უფრო ნაკლებ სანდოა, ვინემ ზეპირ-შემონახული, რადგან იგი გაბატონებული კლასის მიერ იწერებოდა და არ ამხელდა იმას, რაც ეწინააღმდეგებოდა, გამოირკვა, რომ ისტორია აქვთ იმ ხალხებსაც, რომელთაც წერილობითი ძეგლები არ მოეპოვებათ და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ე ნ ა გ ა ა ჩ ნ ი ა. ა რ ა მ ა რ ტ ო მ წ ე რ ლ ო ბ ი ს მ ქ ო ნ ე ხ ა ლ ხ ებ ს, ა რ ა მ ე დ დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ი ს ა რ მ ქ ო ნ ე ე ბ ს ა ც. მათი ისტორია და სალიტერატურო ენა მათ ზეპირსიტყვაობაშია მოცემული, რის შედეგად ზეპირსიტყვაობის ენა გარჩეულია ჩვეულებრივ სამეტყველოსაგან და რიგი ცნებები მხოლოდ ზეპირსიტყვაობაში იხმარება და მის გარეშე გაუგებარია მათი მქონეთათვის.

აკად. ნ. მ ა რ რ ი უჩვენებს, რომ რასული დასაწყისი არ აქვს სხვადასხვა სისტემის ენებს, არსებობდა სხვადასხვა სოციალური მწარმოებელი ჯგუფები[2], სადაც გამრყოფილ ტომებშივე დაიწყო ენობრივი შეუღლება.

---

[1] ნ ა ხ. ბ ი ბ ო ვ ს კ ი „О роли изучения языковых явлений борьбе за новую историю материальной культуры. (Сообщения ГАИМК № 11-12, 1931 წ.) გვ. 6.

[2] ნ. მ ა რ რ ი: „Яз. полит. яфет. г.....“ გვ. 12—13.

კულტურის ყოველსახეობის კვლევისას იაფეტიდოლოგია ითვალისწინებს იმასაც, რომ მათი დანაწევრებული გამოყოფილი სახე არ ყოფილა პირველად; კულტურა ერთ დიფუზურ მდგომარეობაში იყო და მისგან ხდებოდა გამოყოფა; ერთ-ერთის უფრო განვითარება იმის მიხედვით, რა უფრო მეტად ეხმარებოდა მაშინდელ საზოგადოებრივ ფორმაციას, რა შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მაშინდელ ეკონომიურ ბაზისზე.

იაფეტიდოლოგიით დამტკიცდა, რომ სიტყვა და საქმე ერთიანი იყო, პირველყოფილ ადამიანის მოქმედებაში ძლიერი სინკრეტიზმით ხელოვნების დარგები დაუნაწევრებელ დიფუზურ მდგომარეობაში იყო მოცემული[1]. მაშინ ხელოვნებას ნარმოებითი ხასიათი ჰქონდა. ნადირობა, თევზაობა და სხვა საქმიანობა სრულდებოდა განსაკუთრებული რიტუალებით-მაგიური ზემოქმედების მიზნით. ეს სინკრეტიზმი განსხვავებულია ა. ვესელოვსკის თეორიიდან, რადგან მაგია ნარმოებითია და არა საკულტო-რელიგიური. ხელოვნების ამ გვარ დასაბამს უჩვენებს გ. პლეხანოვი[2] ზოგად ფორმებში, რადგან ის მასალები, რომლებიც იაფეტიდოლოგიით დამუშავდა, მისთვის უცნობი იყო.

ამავე ხაზით იაფეტიდოლოგია მთელ რიგ სიახლეებს იძლევა: ანიმიზმის, ფეტიშიზმის და საერთოდ რელიგიის გაგებაში. ისტორიკოსებს[3] მატერიალური კულტურის მკვლევარებს[4], ენთოგრაფებს[5] (ეს უკანასკნელები ცალკე დარგებადაც რომ დარჩეს), ფილოსოფოსებსა[6] და სხვებს აძლევს ისეთ დასაყრდენებს, რომელთა მიღება სხვა მხრივ ძნელია და ამგვარად დამუშავებული არსად გვხვდება.

3. იაფეტიდოლოგიის ზრდის, მიღწევებისა და გასაზოგადოებრივობის მაჩვენებელია ისიც, რომ ახალ-ახალი შრომებით არღვევს ძველს და ახლად წამოჭრილ საკითხებს სისტემატიური განვითარებით ამუშავებს: გამოცემული შრომები ჩქარა გადადის მკითხველთა წრეში და ძნელი საშოვნელი ხდება. ეს

---

[1] ვ. კოტეტიშვილი: „ქართული პოეტური ფოლკლორი" (მნათობი №5-7 1927 წ. გვ. 188–210). ავტორი: სინკრეტიზმის, ფოლკლორის საგნის და თემების სტადიურ გაშლილობის გაგებაში ახლოს დგას იაფეტიდოლოგიასთან.

[2] პლეხანოვი: „Письма без адреса" (XIV თხზულება, მოსკოვი—1927 წ.)

[3] ნ. მარრი: К вопросу об историческом процессе в освещении яфетической теории" (Труды I всесоюзной конференции Историков-Марксистов, т. II, стр. 267—292)

[4] ს. ბიკოვსკი: „О роли изучения языковых явлений в борьбе за новую историю материальной культуры". და ნ. მარრის: Что дает яфетическая теория истории материяльной культуры? (Сообщение ГАИМК" №11-12. 1931 წ.)

[5] ნ. მარრი: „значение и роль изучения нацменшества в краеведении (ჟურნ. „Краеведение" №1, 1927 წ.) აგრეთვე ნ. მატორინის: „Современный этап и задачи советской этнографии" ჟურნ. „Советская этнография №1-2, 1931 წ.) გვ. 23.

[6] ნ. მარრი „Язык и мышление" (მოსკოვი, 1631 წ.), მისივე Яфетическая теория (ბაქო—1928 წ.) Право собственности по сигнализации языка в связи с происхождением местоимений". (იხ. „На боевом посту, 60 л. юб. Рязанова, Москва, 1930 წ. გვ. 361—384.)

მაშინ, როცა წინეთ რომელიმე ახალი შრომა რამდენიმე ცალი იყიდებოდა, დანარჩენები გამომცემელთა საწყობებში თაროებს ამტვრევდა, ან კიდევ გაყიდული ცალების ნაწილი ისევ უკან უბრუნდებოდა წიგნის ბაზარს, — რომელშიც ზოგჯერ ავტორების კერძო პირებისადმი მიძღვნილი ეგზემპლიარებიც ერია გაუჭრელი და ბუკინისტები უხალისოდ იძენდენ იაფ ფასებში. მაშინ იაფეტიდოლოგია უმთავრესად კავკასიის მცოდნეობა იყო. კავკასიის შესახებ მეცნიერულ წიგნს ნაკლები ბაზარი ჰქონდა, რადგან ნაკლებ მომზადებული მკითხველი ჰყავდა. რამდენადაც მეცნიერული წიგნი მომზადებულ მკითხველს აინტერესებს, იმდენად არ იყო ყველასათვის ხელმისაწვდომი. ნაწილს არც სურდა წაეკითხა იგი, რადგან იაფეტიდოლოგია სცილდებოდა ქართულ ნაციონალისტურ ჩარჩოებს.

მაშინდელი საზოგადოებრივი აზრი მეცნიერებას მეცნიერებისათვის დანიშნულად თვლიდა. გარდა ამისა, როცა ნაწილი მკითხველებისა ხედავდა, რომ იაფეტიდოლოგია არ ღაღადებს იმას, რაც არ ყოფილა, სახელდობრ — მთელი კავკასიის კულტურა მარტო ქართველების შექმნილი არ არის და მასში წილი ჩაუდვია მოძმე, თუ მტრულად განწყობილ მეზობლებსაც, მაშინ მრავალი წამკითხველი გვერდს უქცევდა მას. ისინი, რომლებსაც შეხუთული ჰქონდათ სული ვიწრო ნაციონალიზმის მოწამლული გაზით.

იაფეტური თეორიის წინამძღოლის პირად შეურაცხყოფასაც კი არ ერიდებოდენ. დემაგოგიით, ცილის დაწამებებით, ჭორიკანობით და სხვა ათასი უსინდისო მოქმედების გზით ცდილობდენ იაფეტიდოლოგიის გაქარწყლებას[1]. ბრაზმორეულობამ ეს ხალხი იქამდე მიიყვანა, რომ იაფეტიდოლოგიაში ხედავდენ მხოლოდ იმას, რაც ეწინააღმდეგებოდა მათ და იმ ნაწილს კი, რომელიც მათ მიერ საღმერთებელ კულტურის კვლევა-ძიებას წარმოადგენდა, თუ კი რამ ანტი-ნაციონალური იქნებოდა, იმას ჩაებღაუჭებოდენ და მის გვერდით ნაციონალური კულტურის შესწავლის ძეგლებს, ნამდვილი მისი სიდიდეს ჩვენებს — ველარ ამჩნევდენ.

ნაციონალიზმით შეპყრობილი ხალხის მიერ იაფეტიდოლოგიის მიმართ მაშინ წარმოებული ბრძოლა მეთოდებით იგივეა, რაც იაფეტიდოლოგიის იდეალიზმიდან დაშორების შემდეგ — იდეალისტების მიერ იაფეტიდოლოგიის მიმართ წარმოებული. როგორც მაშინ ვიწრო ნაციონალისტური იდეის მქადაგებლები ებრძოდენ იაფეტიდოლოგიას ყოველგვარი ხერხებით, ისე ამ ბოლოს თავს ესხმოდენ და ესხმიან ინდოევროპეისტები.

იაფეტიდოლოგიის წინა პერიოდში მოხსენებულ საწინააღმდეგო მუშაობის გარდა, რომელსაც ერთი ჯგუფი აწარმოებდა, როგორც ვსთქვით — მეორე უფრო ჯანსაღი ნაწილი გვერდით ედგა მას და უწყობდა ხელს მის გაფართოე-

[1] მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ბრძოლას აწარმოებდა ასეთი მოწინააღმდეგების წინააღმდეგ. (იხ. მისი წიგნაკი: „მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ობ ა და მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა (1904 წ. ტფილისი); შემდეგ თავად იმ გზას დაადგა, რომელსაც ებრძოდა იგი, რასაც მკითხველი ნათლად დაინახავს კ ა რ ა პ ე ტ დ ო ნ დ უ ა ს წერილში: „Анахронизм в решении вопроса о взаимоотношениях яфетических языков Кавказа" (იხ. „Тексты и разыскания по Кавказской филологии" ტომი I; ლენინგრადი. 1925 წ. გვ. 26--34).

ბის საქმეს. კერძოთ ნ. მარრის მაშინდელი მოწაფეები აღრმავებდენ თეორიას, აწარმოებდენ დამოუკიდებელ კვლევას და ეწეოდენ მთარგმელობით საქმიანობას. ნ. მარრის 1905 წ. დეკანოზ ვოსტორგოვის წინააღმდეგ დაწერილი წერილის თარგმნის და გამოცემის გარდა ითარგმნა ქართველ-ეროვნულ-ემიტურთან ნათესაობის შესახებ დაწერილ შრომის წინასიტყვაობა[1], აგრეთვე სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ ნ. მარის[2] დაწერილი. და სხვა რეცენზიები იაფეტიდოლოგიურ შრომებზე, ან ცალკეულ შრომებში მისი გამოყენება.

ეს მოკლე ექსკურსი იაფეტიდოლოგიის ისტორიიდან იმიტომ გავაკეთეთ, რომ ნათელი იქნეს იაფეტიდოლოგიის ზრდის პროცესი. იგი გასცილდა საქართველოს და კავკასიის მცოდნეობას, გაშორდა აზიის არეებს, მოიარა ევროპა, აფრიკა, ამერიკა და შეიქმნა მსოფლიური, მთელი მსოფლიოს კულტურის ერთ ბოძთაგანი—ენა, მასთან ერთად განვითარებულს კულტურასთან კავშირში, გაიხადა კვლევის ობიექტად.

იაფეტიდოლოგიის თანდათან ღრმა მეცნიერულ საფუძველზე დამყარებასა და დიდი მიღწევების გამოჩინებასთან ერთად გაიზარდა ინტერესი იაფეტიდოლოგიის მიმართ, დღეს გამოცემული შრომები არა თუ გამომცემლობათა საწყობებში ეწყოს დამტვერილი, ან ბუკინისტები ჭოჭმანობდენ მის ყიდვაზე, გინდ ავტორების მიერ მიძღვნილი ეკზემპლიარები გაუჭრელი იყიდებოდეს, არამედ პირიქით—გამოსვლისთანავე გადადის ხელიდან ხელში, ბევრი ეძებს და ვერ უშოვია.

იაფეტიდოლოგიისადმი აღძრულმა ინტერესმა წამოაყენა ორი გადაუდებელი ამოცანა: პირველი—ძირითადი შრომების ხელ-ახალი გამოცემის და მეორე—მათი სხვადასხვა ენებზე თარგმნის აუცილებლობა.

ა. ამჟამად იცემა აკად. ნ. მარრის რჩეული ნაწერების კრებული ხუთ ტომად. იგი შედგენილია მოსკოვში მომუშავე იაფეტიდოლოგის მიერ თვით აკად. ნ. მარრის ხელმძღვანელობით. იცემა ლენინგრადში „მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის“[3] გამომცემლობაში რამდენიმე ტომი 1933 წლის განმავლობაში გამოიცემა. რუსულ ენაზე გამოვიდა აპტეკარის მიერ შედგენილი ქრესტომატია: Вопросы языка в освещении яфетической теории“. იგი შედგენილია აკად. ნ. მარრის შრომების დან ამოღებული ადგილებისაგან. ქრესტომატია დიდტანიანია და დიდ დახმარებას გაუწევს იაფეტიდოლოგიის შესწავლის მსურველებს.

---

[1] ნ. მარრის: „Основныя таблицы к грамматике древне-грузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими“ С—Пб. 1908 г.) ხსენებული ნაწილი ითარგმნა დ. კარიჭაშვილის მიერ და დაიბეჭდა ჟურნალ „განათლება-ში. 1909 წ. №1. გვ. 115—120.

[2] იხ. ნ. მარრი, ი. ჭავჭავაძე და პ. უმიკაშვილი: „სამაჰმადიანო საქართველო“ (ტფილისი—1915 წელი.) პირველის ნაწილი გადაბეჭდილია თარგმნით ქართულზე Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии (т. VII-ს СПб. 1911 г.) შესავლიდან.

[3] Гасударственная Академия Истории Материальной Культуры, (ГАИМК)“.

დიდი მთარგმნელობით მუშაობა ჩაატარეს უკრაინელებმა და ახლო ხანში გამოიცემა ორი კრებული, თარგმანები ნ. მარრის შრომებიდან ქართველი ხალხისათვის კიდევ უფრო საჭიროა იაფეტიდოლოგიური შრომების გადმოქართულება. ქართული ყველაზე უფრო დამუშავებულია იაფეტიდოლოგიურად და ინტერესი ქართველებისადმი, როგორც მათი ენის ისე მთლიანი კულტურისადმი, იაფეტიდოლოგიამ გაზარდა. აკად. ნ. მარრის ზიერ ამ უკანასკნელ წლებში ქართულად დაწერილს და გამოცემულს შრომებს გარდა[1] ქართულად ითარგმნა და ახლო ხანში გამოიცემა მთელი რიგი შრომებისა. თარგმნილია აკად. ნ. მარრის ნაწერებიდან:

1 „Из Пиринейской Гурии (к вопросу о методе)" („Известия КИАИ, ტ. VI, 1928 წ.).

2) „Основниые достижение яфетической теории" (როსტოვი—1924 წ.),

3) „К изучению современного грузинсского языка" (პეტროგრადი, 1229 წ.

4) „La laugne géorgiene" (Rewne ole l' Orieut Chretieu, 3-სერ. ტ. VI (XXV) №№ 1 და 2 1928 წ.)."

5) „Индоевропейские языки Средноземноморья" (ДАН—1924 წ.),

6) „Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теории (მოსკოვი 1929 წ.)".

7) „К вопросу об исторической процессе в освещении яфетической теории" („Труды I всесоюзной конференции историков-марксистов ტ. II მოსკოვი 1930 წ.).„

8) „Средства передвижения, орудия самозащиты и производства в доистории (увязке языкознания с историей материальной культуры)" ლენინგრადი—1930 წ.),

10) „Die géorgische sprache" („Das neue Rnssland. ოჰრგანგი 1928 წ.).

11) „Язык и мышление" მოსკოვი 1930 წ.) და სხვა.

აქ ჩამოთვლილი თარგმანები განზრახულია გამოიცეს ლენინგრადის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში. აგრეთვე ითარგმნა ი. მეშჩანინოვის: „Яфетидология и марксизм"[2] და „К вопросу о стадиальности в письме и языке" (ლენინგრადი—1931 წ.) თარგმანის პროცესშია აკად. ნ. მარრის „Яфетическая теория" (ბაქო 1928 წ.) და განზრახულია ითარგმნოს ქვემოთ დასახელებული La lague géorgienne (პარიზი—1931 წ.).

ყოველივე ესენი ის სიახლეებია, რომლებიც წინ სწევს იაფეტიდოლოგიის მასურობის საქმეს და ამდიდრებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას.

ბ. ჩამოთვლილ თარგმანებისა და ხელმეორედ გამოსაცემების გარდა, იაფეტიდოლოგიის ზრდა და დიდად გაძლიერების მაჩვენებელია ის შრომები, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანში და ახლები გამოსაცემად სტამბებშია წარდგენილი. გამოცემულებში აქ მითითებულების გარდა აღსანიშნავია: „La langue

[1] იხ. ნ. მარრი: „ნაპერწკლები და შენიშვნები იაფეტური თეორიის შესახებ" („მნათობი". № 5, 1924 წ. გვ. 231—237). მისივე: „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით" („მნათობი" № 4(12) და № 5—6(13—14) 1925 წ.). მისივე: „რა წილი აქვს ქართულს, ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში" ტფილისი—1930 წ.) „რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება" (ლენინგრადი—1923 წ.) და სხვა.

[2] გამოიცა კიდეც ტფილისს—1932 წ. დ. კარბელაშვილის თარგმანი—მისივე წინასიტყვაობით.

géorgienne“ ნ. მარრის და მ. ბრიერის (Briére) ავტორობით—1931 წ. პარიზში გამოცემული დიდი მოცულობის (25×17; გვ. XVI+860) წიგნი. (გამოცემის ტექნიკისა და დამუშავების მხრით ქართული წიგნის ისტორიაში პირველია იგი. ამ გვარად შესრულებული ქართული წიგნი ქართული წიგნის ისტორიამ არ იცის.) ეს არის აკად. ნ. მარრის მიერ „აღმოსავლეთის ცოცხალ ნაციონალურ ენათა შკოლაში“ წაკითხული ძველი ქართული ენის კურსი. თანა-ავტორად გამოსული ბრიერი მისი იქაური მსმენელია, რომელმაც უმთავრესად გამოცემის ტექნიკურ საქმეებში დახმარებისათვის მისცა თავის თავს უფლება იაფეტიდოლოგიის საფუძველმდებლის გვერდით თავისი სახელიც აღენიშნა—ავტორად!

ქართული ენის არა ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტის, არამედ ერთი უდიდესი სპეციალისტის გვერდით—ამ წიგნზე სახელის და გვარის წაწერა ქართულის ისეთ მცოდნისგანაც მოულოდნელი იყო, რომელიც მასში აკად. ნ. მარრისგან დამოუკიდებლად ერკვევა. დღეს მ. ბრიერი გამოცემას აკავებს და რაღაც თითო-ოროლა ცალი აღწევს ჩვენამდე, რომ აკად. ნ. მარრმა წიგნს მეორე წინასიტყვაობა არ დაუწეროს და ვერ შეძლოს ყოველივეს მხილება. იგი ეზმანება მეცნიერს, რომლისთვისაც ქართული მშობლიური ენაა და ნახევარი საუკუნეა იკვლევს მას.

ეს წიგნი—„ქარული ენა“ ენის წიგნში ჩატევის და მისი გადმოცემის მაგალითადაა დაწერილი. მასში მოცემულია ძველი ქართული ენის მთლიანი სახე. იგი თეორიაა იაფეტიდოლოგიურად ენის დამუშავების და მისი ნაწილების გაგებისა. პირველი ნაწილი წარმოადგენს ფონეტიკას (გვ. 1—58) და შიგვე მოცემულია ქართულ ანბანთა მოხაზულობის ორგინალური ტექნიკა (გვ. 6). რაიც ციფრებით უჩვენებს საიდან უნდა დაიწყოს ქართული-მხედრული ანბანის მოხაზვა და წერის დროს ხელი როგორი მიმართულებით მოძრაობს. წიგნში მოცემულია სრული ქართული ანბანი ქართულითა და იაფეტიდოლოგიური ტრანსკრიპციით, მათი სახელწოდებებითა და წინადხმარებულ რიცხვითი მნიშვნელობით, როგორც მხედრულისათვის (გვ. 3) ისე ასომთავრულისა და ნუსხურისათვის (გვ. 594), ბეჭდურ და ხელწერილ სახეებით.

ფონეტიკური მოვლენები თვით ენობრივ მასალებისაგან დაუშორებლადაა განხილული, ცალკე თავად არის გამოყოფილი, მაგრამ ფონეტიკა ენის დამუშავებულ მასალებშია მოცემული.

მას მოჰყვება მორფოლოგიური კვლევა ძიება (გვ. 59—226) და შემდეგ სინტაქსური (გვ. 227—368). ფონეტიკა, სინტაქსი და მორფოლოგია გამოყოფილია იმდენად, რამდენადაც თითოეულ ნაწილებში შესაფერ ნაწილზეა ყურადღების ცენტრი გადატანილი, სხვა მხრივ ესენი ერთი მეორეშია განხილული ისტორიულ განვითარების გზაზე გაშლილი. შემდეგი შესაფერისი პარადიგმებია (გვ. 369—539) და მას მოჰყვება შედარებით სრული, მეტად მნიშვნელოვანი ძველს ქართულში მრავლად ხმარებულ შემოკლებულ სიტყვათა გახსნა, პატივდასმული ანუ დაქარაგმებული სიტყვების სრული გადმოცემა (გვ. 540—546). წიგნის შემდეგი ნაწილია ქრესტომატია; მხედრული (გვ.

550—592), ხუცური ასომთავრული (595—598) და ნუსხური—სხვადასხვა შინაარსის ტექსტები. ყოველივე ამას ახლავს ქართულ-ფრანგული სიტყვარი (გვ. 605—734) მხედრულზე და შემდეგ ასომთავრულსა (გვ. 735—743) [illegible] ნუსხურზე (გვ. 744—751) მისსავე ტექსტებში მოცემულ სიტყვათა [illegible] თავდება სხვადასხვა საძიებლებითა შინაარსის მაჩვენებლით 860 გვერდზე. ეს ქართული ენისათვის უდიდესი და უმშვენიერესი წიგნი, აკად. ნ. მარრის კაპიტალური შრომა, შემკულია საქართველოს ორი რუქით (გვ. I და მე-8—9 შორის).

ეს შრომა ბურჟუაზიის ქაღალდზე დაბეჭდილი პროკლამაციებია ბურჟუაზიის დამცველ ინდოევროპეისტების ასაფეთქებლად. იგი შეგნებულადაა დაწერილი ფრანგულ ენაზე და ბომბად არის ჩაგდებული იქ—პარიზში, ინდოევროპეისტიკის დიდ საბუდარში, უკანასკნელის დაცემისათვის.

ამავე 1931 წელს გამოვიდა ნ. მარრის და ი. სმირნოვის „Вишапы“[1], რომელიც მაშინვე გამოიცა ფრანგულადაც იმავე გამომცემლობაში, წიგნის ღრმა მეცნიერული ღირებულების გამო. წიგნი შემკულია 24 სურათით და წინ უძღვის აკად. ნ. მარრის ვრცელი წინასიტყვაობა. მასში გარკვეულია მთელი ერთი ეპოქა ტოტემისტური მსოფლმხედველობის დროიდან. მას როგორც „წინაისტორიულ“ საკულტო ძეგლებს მაშინდელი ადამიანის აზროვნების დასახასიათებლად შეუცვლელი მნიშვნელობა აქვს. მითი აკად. ნ. მარრი ლინგვისტურ, ფოლკლორულ და წერილობით ისტორიულ მასალების მიშველებით წარმართულ სარწმუნეობიდან მრავალ მოვლენებს აკვლევს. გამოკვლევაც რომ არ ახლდეს, უტექსტოდ გამოცემული იქ მოთავსებული სურათებიც ძვირფასია და ტოტემისტური წარმოდგენების წარმომთქმელი. ძველ იაფეტიანთ[2] სამყაროს შემოქმედებითი ძეგლებია და მათი ფილოსოფიის ამხსნელი.

აუცილებლად მოსახსენებელია აკად. ნ. მარრის: „Новый поворот в работе по яфетической теории (Из результатов научной командировки в Германию)[3], რადგან მითი რევოლუცია ხდება გერმანული ენების შესწავლასა და გაგებაში. ჯერ კიდევ ომამდე, როცა მისმა მოწაფე ბრაუნმა გერმანულში არა გერმანულად მიჩნეული 30% იაფეტურად ჩათვალა, გერმანელი ნაციონალისტები აფეთქებას უპირებდენ მას. სამოქალაქო ომისა და მის შემდეგ პერიოდში გერმანელთ უაღრესად ნაციონალური აღტყინების დროს ეს გასაგებიც იყო. მაგრამ მშვიდათ ვერც ეხლა შეხვდენ ამ ამბავს. აკად. ნ. მარრი უჩვენებს, რომ „გერმანული ენა აღმოჩნდა თავის სტადიური განვითარების მდგომარეობით ტიპიური წარმომდგენელი იაფეტურ სისტემიდან პრომეთეულში (ინდოევროპულში) „გარდამავალის“ (გვ. 637 ან 643). „გერმანულის მთავარი ფენა შეესატყვისება სვანურს, სომხურს და ბასკურს“ (გვ. 643).

---

[1]) „Труды ГАИМК, т. I.“ ამ წიგნის შესახებ იხ. მიხანკოვა: „Вишапы“ („Сообщения ГАИМК“ № 9—10, 1931 წ. გვ. 47—52).

[2] «ქვის» ვეშაპები კავკასიის გარდა მონგოლეთში იქნა ნახული. იხ. ი. მეშჩანინოვის „Каменные статуи рыб-вишапы—на Кавказе и в Северной Монголии (З. К. В. ტ. I გვ.402—409.).

[3] „ИАИ СССР“ 1931 წ. გვ. 637—682.

ბოთური შეესატყვისება ტექნიკურ-ბგერობრივ გამოხატულებით და ბაგის-მიერი გახმიერებით მეგრულ-ჭანურს (გვ. 643).

ამ შრომით გარდა ასეთი დიდი თეორიისა კიდევ უფრო გამოირჩევა ერთი დიდი სიმანტიური რიგი «ცა» «მთა» «თავი» «მაღლა» და მისი დერივატები (გვ. 689). ამაზე უფრო დიდ მნიშვნელოვანია იმავ ავტორის შრომები: „Языковая политика яфетической теории и удмуртский язык[1], „Язык и мышление“[2] და „К бакинской дисскусии о яфетидологии и марксизме“.[3]. კერძოთ პატარა წერილი: “Что дает яфетическая теория истории материальной культуры“,[4] რომელშიც ახალი პრობლემაა წამოყენებულ.ი სახელდობრ—ენობრივი საშუალო სქესი დაკავშირებულია ყრმულ,[5] ყმაწვილურ საზოგადოებასთან. ეხლა უკვე იაფეტიდოლოგიაში—ენობრივი მდედრობითი სქესი დაკავშირებულია მატრიარქალურ საზოგადოებასთან, მამრობითი პატრიარქალურთან და საშუალო ყრმულთან. ეს უკანასკნელი მოითხოვს კიდევ მეტს ჩაღრმავებას, რაიც მომავალი რკვევების საქმეა და ამ საფეხურზე კვლევითი პრობლემაა. ახალ გამოცემულ შრომებშივეა აღსანიშნავი ი. მეშჩანინოვის: „К вопросу о стадиальности в письме и языке“[6] და „ენისა და აზროვნების ინსტიტუტის“(სსსრ.კ. საძეცნიერო აკადემიის) პირველი და მეორე შრომები:—1) ი. მეშჩანინოვის: „Язык ванских клинописных надписей на основе яфетического языкознания.[7] და 2) კოლექტიური შრომა „Тристан и Исолда“[8] პირველი მთელი ათი წელი იბეჭდებოდა და მისი მნიშვნელობის გამო, როცა გამოსვლა დააგვიანდა, სორბონის უნივერსიტეტის ასირიოლოგი ჟანი მოითხოვდა მის თარგმნას და ევროპაში უფრო ჩქარა გამოცემას უპირებდა. ამ ენის შესწავლის ისტორიის და ინტერეს გარდა იგი მნიშვნელოვანია მითაც, რომ შიგ მოთავსებულია იაფეტური ენების ძირითადი კანონები სხარტად და გარკვევით, კონკრეტულ მასალაზე იაფეტური კვლევის და მის სისტემაში მოყვანის ნიმუშია და აკად. ნ. მარრის შრომების ღრმა გამოყენების მაგალითია. მეორე „შრომები“ ტრისტანი და ისოლდა ფოლკლორული თემის მსოფლიო მოცულობით განხილვაა. თემა დამუშავებულია სხვადასხვა ხალხების მრავალფეროვან მასალებზე და შიგვეა მოქცეული ქართული „მზეთუნახავის, და აბესალომ და ეთერის“ თემისათვის გამოსადეგი ადგილები გამოკვლევითურთ.

---

[1] მოსკოვი—1932 წ.

[2] მოსკოვი—1931 წ.

[3] ბაკო—1932 წ.

[4] „Сообщение ГАИМК“ (№ 11—12, 1931 წ. გვ. 7—24.)

[5] იქვე გვ. 17; სიტყვა „ყრმა“-ს ჩვენ ვხმარობთ „ყმარწვილი“-ს „შვილი“-ს (რუს. „Отрок“) მნიშვნელობით, და არა მონი-ს გინდ მხევლი-ს, რასაც ეს სიტყვა ნიშნავს ქართული ენის განვითარების ერთ სტადიაზე და არა მთელ საფეხურებზე.

[6] „Известия ГАИМК“ ტ. VII, ხაწ. 5—6. (ლენინგრადი—1931 წ.)

[7] „Труды Института языка и мышления I“ (ლენინგრადი—1931 წ.)

[8] „Труды Института языка и мышления II“ (ლენინგრადი—1932 წ.)

უკვე ჩამოთვლილ და მითითებულ—გამოცემულ იაფეტიდოლოგიურ შრომებს გარდა მოვიხსენიეთ, რომ მთელი რიგი შრომები სტამბაშია და იბეჭდება, რომელთაგან ზოგი ამ წერილზე ადრეც გამოვა სინათლეზე. მოვიხსენიებთ მათზე და ავღნიშნავთ—იბეჭდება აკად. ნ. მარრის: „Роль языковедения в изучение происхождения домашних животных“.[1] მასში ავტორი უჩვენებს, რომ ცხოველთა მოშინაურება საზოგადოებათმეცნიერებათა დარგების საქმეა და არა მხოლოდ საბუნებისმეტყველოების. მასში იძლევა საკითხის სრულიად ახალ დაყენებს რეფლექსების რაობის გადაწყვეტის საქმეში. სახელდობრ, ამხელს რეფლექსების სოციალურ ბუნებას, რეფლექსები რომ სოციალური ყოფითაა შეპირობებული და არა რაღაც თანდაყოლილ და ინსტიქტიურით. კერძოდ ძაღლი, როგორც მონაწილე ადამიანთა კოლექტივის წარმოებაში, თავისუფალია ბუნებრივი რეფლექსებისაგან და მისი რეფლექსები სოციალური ბუნებისაა. აკად. ნ. მარრი მიუთითებს ბუნებისმეტყველებს, რომ ძაღლი არ არის ფუტკარი, რომელიც მუდამ ერთდაიმავე თაფლს აკეთებს. ძაღლს აქვს აზროვნება, ისე როგორც ადამიანს და ზოგჯერ შეგრძნობის თვისებები ადამიანზე უფრო განვითარებული. იგი პატრონს იცნობს არა მარტო ლაპარაკით, ხმით და სახით, არამედ ფეხის ხმით, ყნოსვითაცა და იგი ბევრ ამხანაგზე უერთგულესია ადამიანისთვის. მართალია ძაღლი დაიმონა ადამიანმა და არ მისცა ფართო გასაქანი, მაგრამ რამდენადაც ახლოს დგას ადამიანთან სოციალურ ცხოვრებაში, ემსახურება მას: იცავს ეზოს, ჯოგს, ეხმარება ნადირობაში და თვალყურს ადევნებს მისდამი დავალებულ საქმეს, იმდენად იგი აზროვნებს და ერკვევა თავის მოქმედებაში.

საკითხს იხილავს ენობრივ, მატერიალურ კულტურის და ფოლკლორის მდიდარ მასალებზე და არჩევს საკითხებს ტოტემიზმიდან. ამას იაფეტიდოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ამტკიცებს, რომ ტოტემიზმმა მოახდინა პირველი ორგანიზაცია საზოგადოებაში. ტოტემი მწარმოებელ კოლექტივში დგას და, როგორც ძალას, ადამიანი მას განსაკუთრებით ეპყრობა, რის შედეგია ტოტემისტური აზროვნება. იგი საყოველთაო იყო და ტოტემიზმის პირველ საფეხურზე ტოტემი არ იყო რელიგიურ-საკულტო, არამედ წარმოებითი ტოტემი იყო.

იგი იყო წარმოებითი კულტი, რაიც გაცილებით უფრო ძველია, ვინემ რელიგიური კულტი. ამით ნათელია, რომ ის ტოტემიზმი, რომელიც აქ იგულისხმება, არ არის ის, რაც ეხლაც გვხვდება ზოგიერთ ხალხებში. ცხოველურ ტოტემში ადამიანი ხედავს ორ მოპირდაპირე ძალას—ერთ მის დამხმარეს და მეორეს მის საშიშს და განმანადგურებელს. მაგალითად, შინაური და გარეული ცხოველები, როგორც საწინააღმდეგო ცნებები, პირველის სახელები გადადის მეორეზე.

იაფეტიდოლოგიისათვას სიტყვის შექმნის პრობლემა არ არის სასხვათაშორისო და ამ სახელების წარმოშობის გამოკვლევა მრავალ ახალს იძლევა. თანდათან მტკიცდება, რომ ყველა სიტყვები იყო ტერმინი, ყველა ტერმინი იყო ტოტები მოქმედებითი. ტოტემს სიტყვით, სახეობით აღიქვამდენ, რადგან მათ

[1] იბეჭდება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის „გენეტიკურ ლაბორატორიის შრომებში“.

გააჩნდათ სახეობითი აზროვნება, რაიც განსაკუთრებით ძლიერია ქართულში. ქართული ენა სახეობით აზროვნების ნიმუშია დღესაც. იმ საფეხურზე არსებული სინთეტურ—სახეობითი აზროვნების კვლევისათვის ხსენებულ შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს. აგრეთვე მასში იძლევა ავტორი ანიმიზმის [illegible] ...ებისათვის ახალ მასალებს. ეს როგორც წვრილ ძონადირეთა კოლექტივებშია გავრცელებული და ნადირობას და ცხოველთა ტოტემიზმს ანიმისტური წარმოდგენების მდიდარი სახეები ახასიათებს.

ამავე მეცნიერებათა აკადემიის „უწყებებში" იბეჭდება აკად. ნ. მარრის „Verba impersonalia, Defectiva, Substantiva und Auxiliaria".[1] მასში იძლევა იაფეტიდოლოგიის ძირითად დებულებებს უფრო პოპულიარულად ვინემ სხვა ცალკეულ ნაწერებში, ენის წარმოშობის გზების, სიტყვის ნაწილების რაობის და ზმნისა და სახელის ურთიერთობის საკითხებს.

იმავე „უწყებებში" იბეჭდება აკად. ი. მეშჩანინოვის „Новая халдская надпись Джанфида", რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჯერ უცნობს და ახალ მასალებს. მით კიდევ უფრო ფართედ სჩანს იაფეტურ არეში ქალდური სამყარო.

აგრეთვე იბეჭდება აკად. ნ. მარრის: „В тупике ли история материальной культуры," რაიც გამოვა ცალკე წიგნათ მასში ახსნილი ბრავალი სიტყვების სრული მაჩვენებლით.[2]

მასში ავტორი ზოგად პრობლემების და მატერიალური კულტურის ისტორიის სამკვლევრო ბაზის მოხაზვასთან ერთად ახასიათებს ამხ. შ. ჭანკვეტაძის შრომას: „რიტუალური ლომი ხევსურეთიდან", არჩევს მას და ნათლად იძლევა ამ დარგში მომუშავე ზოგიერთ ქართველ მკვლევართა გზააცდენილობის სურათს. აქ ავტორი ამტკიცებს არქეოლოგიის, როგორც ნივთმცოდნეობის და ეთნოგრაფიის, როგორც „ხალხთმცოდნეობის" აღწერილობით გზის მეცნიერულ უსაფუძვლობას. ამ დარგებში მომუშავე ჩიხში მოქცეულებს მიუთითებს გამოსავალზე მეცნიერებათა დარგებში კავშირგაბმულობის მეშვეობით.

მას მოყვება ამავე აკადემიის გამოცემებში ამავე ავტორის: „Язык и современность,"[3] რაიც თავის აქტუალური მნიშვნელობის გამო მოსკოვში, ლენინგრადში და ტფილისში იყო შემოკლებულ მოხსენებათ წაკითხული. მასში იხილავს ენის სტადიებისა და მის შესაფერ სოციალურ ფორმაციათა ურთიერთ დამოკიდებულებას.

იმავე აკადემიის „უწყებებში" იბეჭდება ი. მეშჩანინოვის „Загадочные знаки причерноморья",[4] რომელშიც მდიდრათაა წარმოდგენილი კავკასიაში მოპოებული ნიშნები. იგი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დამწერლობის წარმოშობის ისტორიისათვის და აზროვნების იმ საფეხურის გარკვევისათვის, რომელზეც ადამიანი უკვე ახერხებს სამხატვრო ნიშნებით აზრის გადმოცემას.

---

[1] „Известия АН СССР" 1932 წ.
[2] „Известия ГАИМК" ნაწ. 67
[3] „Известия ГАИМК" ტ. XIV, ნაწ. 60.
[4] „Известия ГАИМК", ტ. XIV, ნაწ. 62

განსაკუთრებით აღსანიშნავია „სინაის კრებული“. იგი დაიბეჭდა აკად. ნ. მარრის მიერ „მატ. კულტ. აკადემიასთან არსებულ „პალესტინის საზოგადოების“ გამოცემებში. კრებულში შედის მოცულობისაა. თან ახლავს გადაღებული—პალეოგრაფიული ტექსტები და ... იქნება ხელთნაწერების გვერდებისა და სინაის მიდამოების ლამაზი ფოტოსურათებით. კრებულში შედის სინაიში არსებული უძველესი ქართული ხელნაწერების (864 წლიდან მოყოლებული) ტექსტების ადგილები, ხელნაწერების აღწერილობები და მათზე საჭირო შენიშვნები, რომელი მუშაობაც 1902 წელს შეუსრულებია გამომცემელს. იგი მას წინ წაუმძღვარებს ვრცელ წიხასიტყვაობას ტექსტების გამოკვლევით. კრებულს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის. იგი შეიცავს აუარებელ ფაქტიურ მასალებს მაშინდელი საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის დასურათხატებისათვის და მშვენიერ მხატვრულ ადგილებს ლიტერატურული თვალსაზრისით. მასში მოქცეულ დათარიღებულ ძეგლებს მთელი რიგი სიახლეების შეტანა შეუძლია ქართულ საისტორიო და სალიტერატურო წყაროების დათარიღებაში. მთელი რიგი ენობრივი ფორმებისათვის ახალ პარალელებს იძლევა, რითაც მისი ენათმეცნიერული ღირებულება საკმაოდ მნიშვნელოვანია. მთლიანად აღებული ეს კრებული ძვირფასია იმდენად, რიმდენადაც სინაის მთაზე არსებულმა ქართულმა ძეგლებმა ათასი უბედურება გამოიარა და მრავალი მათგანი—გატაცებული და გაფანტული ამ კრებულის გარდა აღარც შენახულა, ან კიდევ ხელმიუწდომელია მკვლევართათვის, რადგან ადგილზე მისი ნახვა დიდ ხარჯებს მოითხოვს და ზოგჯერ ხარჯების დაფარვის გზითაც შეუძლებელია იქ გამგზავრება. იგი მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ სირულის და ბერძნულის მკვლევარებისათვის, რადგან მრავლად გადაღებული პალიმფსესტების სურათები შეიცავს მათ ძეგლებსაც.

ყოველივე ამათ გარდა სხვა მრავალი წვრილი წერილები იბეჭდება ეხლა სხვადასხვა ადგილზე იმავ აკად. ნ. მარრის, მეშჩანინოვის და სხვების მიერ, მაგრამ მათზე არ შევჩერდებით. დავუმატებთ კი, რომ მალე დაიბეჭდება აკად. ნ. მარრის: „Сдвиги в технике языка и мышления (К движению в науке за октябрьское пятнадцатилетие в национальностях СССР.)“ საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ნოემბრის სესიაზე წაკითხული.[1]

აგრეთვე აკად. ნ. მარრს მზად აქვს ქართულად დაწერილი „ქართული ენათმეცნიერებაში“; წინასიტყვაობის გარდა 1911 წელს დაწერილია და საინტერესოა ქართული ენის შესწავლის ისტორიის გადმოცემით, კერძოთ იაფეტიდოლოგიის განვითარების ისტორიისათვის. უცვლელად შევა თარგმნილი—ქართულიდან რუსულზე „ხუთ ტომიან კრებულში“.

ყველა ის ახალი შრომებიც იაფეტური სიახლეებისა და მისი ზრდის მაჩვენებლია.

---

[1] ხსენებული აკადემიის 1932 წლის ნოემბრის სესიის შრომებში. მოხსენების ძლიერი 6 თეზისი იხ. „Доклады представленные к торжественной юбилейной сессии Академии Наук СССР, посвященной XV-летию октябрьской революции. (Ленинград—1932 г. стр. 2—3:).

4. იაფეტიდოლოგიის მთავარ მუშაკებსა და მის შემსწავლელებს აერთიანებს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის „ენისა და აზროვნების ინსტიტუტი.„ („Институт языка и мышления Акад. Наук С.С.С.Р. ИЯМ АН). დაარსებულ იქნა აკად. ნ. მარრის მეთაურობით 1921 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის „იაფეტური ინსტიტუტის“ სახელწოდებით. ამ სახელწოდებით არსებობდა 10 წლის განმავლობაში და მისი სხვა საქმიანობის გარდა გამოიცა 7 მეცნიერული წიგნი—„იაფეტიური კრებული“. მისი ზრდა ისე ჩქარა ხდებოდა, რომ როგორც აკად. ნ. მარრი იტყვის ხშირად, პირველ კრებულში მოთავსებულ 9 წერილში 8 მასვე ეკუთნოდა და 1 მეშჩანინოვს, შემდეგ უკვე წინასიტყვაობის ან ბოლო-სიტყვაობის გარდა უჭირს შიგ თავისთავის ადგილს დატოვება. 1931 წელს „იაფეტურ ინსტიტუტს“ გამოეცვალა სახელი და ეწოდა „ენისა და აზროვნების ინსტიტუტი“, იაფეტიდოლოგიის მიერ ენისა და აზროვნების სამკვლევრო ცენტრში მოქცევის გამო.

ეს ინსტიტუტი ხსენებულ აკადემიის რამდენიმე ათეულ ინსტიტუტებს შორის არის ერთ-ერთი უცხოველეს ინსტიტუტთაგანი. მასში მუშავდება მთელი რიგი მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებისა და სწყვეტს მის მორიგს სპეციალურ სამეცნიერო საკითხებს. ხუთწლიან გეგმით გათვალინისწინებული აქვს მთლიანად გაუძღვეს კავშირის ენობრივ მშენებლობას: კავშირის დამწერლობის არმქონი ხალხისთვის დამწერლობების შექმნა, ლიტერატურული ენების და მეცნიერულ-ტექნიკურ ლექსიკონების შედგენა. მისი ძირითადი საგამოკვლევო საქმეა დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდით, მის ფილოსოფიურ ბაზისზე დაამუშავოს: 1) ენის წარმოშობა, 2) გლოტოგონურ პროცესის ერთიანობა, 3) ენის პალეონტოლოგია[1], 4) აზროვნების განვითარების სტადიები და სხვა ახალ საკითხებს გარდა დამუშავებულ პრობლემების ბუნდოვან ადგილების გაშუქება; დამუშავება უდიდესი პრობლემების ენობრივი მშენებლობის თეორიიდან და პრაქტიკიდან, მაგ. ენის თეორია და ისტორია, დამწერლობის ისტორია, ნაციონალური ენების განვითარების გზები ჩვენს კავშირს შიგნითა და გარედ, მთელი რიგი ლექსიკონების გამოცემა და სხვადასხვა.

გასული წლის განმავლობაში მუშავდებოდა ზემოდ ნახსენები და მთელი რიგი ახალი პრობლემებისა, ეხლა მუშავდება:—ხმიერი ენის კლასიფიკაცია სტადიური განვითარების საფეხურებად, ე. წ. გრამატიკული კათეგორიების წარმოშობის და განვითარების პრობლემა, სტადიურობის პრობლემა ლექსიკურ მასალაზე, სოციალურ ფონეტიკის პრობლემა, იაფეტური ენების (ხალდურის, მიდურის და უდურის) სტადიური დახასიათება, სტადიურობის პრობლემა ფოლკლორში ენასთან დაკავშირებით, მითოსების სტადიურობა, სტადიური სემანტიკა პირვანდელ მიწადმოქმედების ტერმინებში, ცენტრალური კავკასიის ბთის ტომების (სვანების, ოსების, ბალყარების, ყარაჩაების, ჩერქეზების და

[1]იხ. პროფ. ლ. ბაშინჯაღიანის: „На вышую ступень“ (გაზ. „За Социалистическую науку“ № 10. 1932 წ. 30 ნოემბერი.)

სხვათა) ენებიდან და ფოლკლორიდან საერთო ფენების გამოყოფა და გამოკვლევა და სხვა უფრო წვრილმანი საკითხები.

აგრეთვე მუშავდება ხელის ენის პრობლემა. კერძოდ, ... ხელის ენა და ხელის ენის გამოსახულება გრაფიკულ ძეგლებში: ... ფულ წერაში, წინა აზიის და შორეულ აღმოსავლეთის პიკტოგრამებში და არხონის გრაფიკულ წარწერებში.

ამას გარდა გამოცემებისათვის მზადდება: ქრესტომატია ზოგადი ენათმეცნიერებისა (უკვე სტამბაშია მიცემული), ფილოსოფიური საფუძველები ბურჟუაზიული ლინგვისტიკის, სადაც გარჩეული იქნება: ენათმეცნიერების საფუძველმდებლები, ნეო-გრამატიკოსები და ე. წ. სოციოლოგიური სკოლა და სხვა. რუსული ენის კომისიის[1] „ენისა და აზროვნების ინსტიტუტში შემოსვლით იაფეტიდოლოგიის საფუძველებზე მუშავდება თანადროული რუსული ენის და ძველი რუსულის (XV—XVIII საუკ.) ლექსიკონები. ამასთან ერთად დგება რუსული ენის დიალექტოლოგიური რუქა მოსკოვში არსებულ დიალექტოგრაფიულ კომისიასთან კავშირში. კერძოდ რუსული ენის სახელმძღვანელოები მუშათა ფაკულტეტებისა და ტექნიკუმებისათვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ კავკასიელთათვის უფრო საინტერესო შრომები. „ენისა და აზროვნების ინსტიტუტში" მუშავდება გამოცემისათვის: რუსულ-სვანურ ლექსიკონი, რომლის პირველი ნაწილი მზადაა უკვე. მასთან სვანური ენის ქრესტომატია ლექსიკონითურთ. აქვე მუშავდება ოსური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი და მზადდება პოპულიარული წიგნი დამწერლობის ისტორიიდან. მასთან ერთად დამუშავების პროცესშია მთელი რიგი მასალები ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ექსპედიციაში შეკრებილი. მათგან ნაწილი იბეჭდება უკვე დასრულებულს—ინ-ტიტუტის მე-III შრომებში. ზოგიც დაიბეჭდება ინსტიტუტთან კავშირში მყოფ სხვა ინსტიტუტების ორგანოებში. ჩვენ აქ მოვიხსენიეთ ის შრომები, რომლებიც ქართულის მკითხველისათვის უფრო საინტერესოა. მათ გარდა ინსტიტუტში მუშავდება მცირე ნაციათა ენებში: ჩუვაშური, უდმურტული, მარიული, და სხვადასხვა.

„ენისა და აზროვნების ინსტიტუტი" ეხმარება მთელ რიგ საკითხების დამუშავებაში აკადემიის და მის გარეთ მყოფ ინსტიტუტებს, განსაკუთრებით კავკასიის მცოდნეობიდან. იგი ხშირად ხელმძღვანელობას უწევს მათ. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ლენინგრადში არსებული: „მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემია[1]," სამეცნიერო აკადემიის „ანტროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი[2]," „ლენინგრადის ისტორიულ-ლინგვისტური ინსტიტუტი[3]" და მოსკოვში „ს. ს. რ. კ. ხალხთა შემსწავლელი ინსტიტუტი[4]. უკანასკნელის ფოლკლორულ სექციაში განზრახულია გაიხსნას ქართული ფოლკ-

[1] ყოფილი „Комиссия по русскому языку (КЯЗ)

[1] „Государственная академия истории материальной культуры".

[2] „Музей Антропологии и этнографии АН СССР"

[3] „Ленинградский Историко-лингвистический Институт"

[4] „Институт по изучению народов СССР".

ლორის განყოფილება. მასში „ენისა და აზროვნების ინსტიტუტი. დან“ წარდგენილია ქართული მასალები კრებულისათვის: „ოქტომბრის რევოლუცია ფოლკლორში“, რომელიც ახლო ხანში დაიბეჭდება. ეს განყოფილება დაუკავშირდება ტფილისში, საქართველოს მუზეუმში არსებულ ფოლკლორის სექციას და ქართული ფოლკლორის შესწავლის საქმეს წინ წასწევს.

იაფეტიდოლოგიის მსოფლიო მნიშვნელობის გამო, ლენინგრადის ისტორიულ-ლინგვისტურ ინსტიტუტში დაარსდა კავკასიის ციკლი, რომელიც კავკასიისმცოდნეობაში ახალი ძალების მომზადებით უსათუოდ დიდ როლს ითამაშებს. იგი დაკავშირებულია „ენისა და აზროვნების ინსტიტუტთან“ და უკანასკნელი გარდა იმისა, რომ ამზადებს სხვადასხვა რესპუბლიკებიდან მოვლენილ ასპირანტებს, ხელს უწყობს აგრეთვე კადრების მომზადებას ადგილებზე. ამ ინსტიტუტიდან ადგილებზე დაბრუნებული ხალხი აღვივებენ და გააღვივებენ საენათმეცნიერო მუშაობას.

ყოველივე ის, რაც აქ იყო გადმოცემული, ნაწილია იმ მუშაობის, რომელსაც ენისა და აზროვნების ინსტიტუტი აწარმოებს, მაგრამ მითაც ნათელია მისი დიდი მნიშვნელობა.

მთლიანად ამ წერილში გადმოცემული სიახლეები და მიღწევებიც ნაწილია იაფეტიდოლოგიის,—ენის ახალი მოძღვრების,—საქმიანობისა. ახლო ხანში მოგვიხდება საუბარი ამ მოძღვრების საშუალებით ხმიერი ენის სტადიურ განვითარების მანძილზე აღმოჩენილი მიღწევების შესახებ. მის პარალელურად ნაჩვენები იქნება სხვა სიახლეებიც.

აკად. ნ. მარრის მოღვაწეობამ ფართო ასპარეზი გაუშალა ჰუმანიტარულ დარგების მეცნიერებათა მკვლევარებს; მისი მოღვაწეობა მრავალფეროვანია და ამ ენის ახალ მოძღვრებაზე საფუძველმდებლის ნამოქმედარი არც ასე მოკლედ გადმოიცემა,—ერთ პატარა წერილში არ ჩაეტევა.

15. XII. 32 წ.
ლენინგრადი.



საელექტრონო არქივი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ხუნდაძე

ილია ჭავჭავაძის კერძო წერილები და ავტობიოგრაფია

ილია ჭავჭავაძეს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეჭირა მეცხრამეტე საუკუნის ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში. მრავალ მხრივი და მრავალფეროვანი იყო მისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა, იგი პოეტიც იყო, ბელეტრისტიც, დრამატურგიც, პუბლიცისტიც, რედაქტორიც, ფინანსისტიც, დირექტორიც, საზოგადო მოღვაწეც და დიდი მემამულეც, რომელიც თავის რაციონალურად მოწყობილ მამულში საუკეთესო ღვინოებს ამზადებდა ბაზარზე გასატანად და გასაყიდათ (ხშირად შეხვდებით „ივერიაში" განცხადებას: „ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძის მარანში იყიდება საუკეთესო ღვინო").

ილ. ჭავჭავაძე 60-იანი წლების მოღვაწეთა მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო. თავისი იდეოლოგიით, მიმართულებათა სოციალური რწმენით ჭავჭავაძე გაბატონებული წოდების,-თავად-აზნაურობის ინტერესებს გამოხატავდა. ისტორიული ცხოვრების განვითარებამ ეს წოდება დაცემისა და განადგურების გზაზე დააყენა. ამას ნათლად ხედავდა ი. ჭავჭავაძე და მთელი მისი სამოღვაწეო გეგმები მიმართული იყო ამ წოდების გადარჩენისაკენ. მას სურდა მაღალი წოდება კვლავ დარჩენილიყო ცხოვრების მეთაურ კლასად. ამ მიზნით იგი ცდილობდა ამ წოდების ინტერესები შეეგუებია ახალი ცხოვრების ვითარებისათვის, გამოეყენებია ახალი ეკონომიური ფაქტორები მემამულეთა ბატონობის შესანარჩუნებლად. თუ 60-იან წლების ნაწერებში („კაცია-ადამიანი", „გლახის ნაამბობი" და სხ). მან თითქოს გააკრიტიკა ძველი წყობილების ზოგიერთი უარყოფითი მხარეები, სამაგიეროდ „ოთარაანთ ქვრივში" მან მოგვცა არჩილის სახით მემამულის ის ტიპი, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა მის სოციალურ იდეალებს, და რომელიც რაციონალურს საფუძვლებზე აწყობს თავის მეურნეობას. „ოთარაანთ ქვრივი" ილიას სოციალურ მრწამსის გამომსახველია. აქ იგი ცდილობს წოდებათა შორის „ჩამტვრეულ ხიდის" გამართელებას მემამულეთა სრული ეკონომიურ-საზოგადოებრივი ბატონობის დაცვით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ 60-იან წლებში ი. ჭავჭავაძე „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთნოდეს"

პოლიტიკას აყენებდა, შემდეგში მან სავსებით მოიხარა ქედი რუსეთის მონარქიის წინაშე და თავისი კლასის ხსნას რუსეთის ცარიზმში ეძებდა. ამ კლასიურმა გზამ ი. ჭავჭავაძე 1905 (წელში მემამულეთა და რეაქციის [illegible] [illegible] [illegible]

ეს წერილი შემდეგს პირობებში გამოაქვეყნა „ცისკრის“ რედაქციამ. როგორც ცნობილია, 1861 წელს ცხარე კამათი გაჩაღდა ძველ თაობასა და ახალ თაობის შორის. პირველ წლებში (1861—62) კამათი თვით „ცისკრის“ ფურცლებზე სწარმოებდა: შემდეგში, როდესაც 1863 წელს ილია ჭავჭავაძის ჯგუფმა თავისი საკუთარი ორგანო დაარსა („საქართველოს მოამბე“), ხოლო „ცისკრის“ უახლოესი თანამშრომლობა იკისრა ანტონ ფურცელაძემ, კამათმა უფრო მწვავე და მკაცრი ხასიათი მიიღო. ანტონ ფურცელაძემ სხვა და სხვა ფსევდონიმი (ქერელი ბექა, თავხედი, ულოლიკო). მთელი რიგი წერილისა, მოათავსა, „საქ. მოამბის“ ჯგუფის წინააღმდეგ. ერთს წერილში იგი სწერდა:

„ვსთქვათ მოლაყბე შესცდა... მაგრამ „მოამბე“ ველარ არის წყალობის თვალით მოლაყბეზედა, რადგანაც თანამშრომელია, „ცისკრისა“, რომელსაც სდევნის ყოვლის მეცადინეობით. ერთს დროს თითონ ილია ჭავჭავაძე სხვაფრივ გაიძახოდა. ამ ლიტერატორზე“... (იხ. ქერელი ბექა: „ქართული ლიტერატურა“ „ცისკარი“ № 7, გვ. 370—71. 1863 წ).

ამ ადგილს „ცისკრის“ რედაქცია შემდეგ შენიშვნას უკეთებს:

„ცისკრის რედაქცია საჭიროთ რაცხს დაბეჭდოს ამ სხოლიოში თ. ილია ჭავჭავაძისაგან მოწერილი წიგნი მოლაყბის შესახებ, დასამტკიცებლად ამის,—რომ უფ. მოამბის „რედაქტორი (ე. ი. ილია ჭავჭავაძე ს. ხ.) არა სდგას არასოდეს ერთს აზრზედ—აი რასა სწერს“... იქ. გვ. 370).

ამის შემდეგ მოყვანილია ზემოდმოყვანილი ნაწყვეტი ილ. ჭავჭავაძის წერილიდან. „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი პასუხიდან გამოირკვა შემდეგი: 1) აღნიშნული წერილი მოწერილი ყოფილა გ. სულხანოვისადმი; 2) იგი გამოგზავნილი ყოფილა პეტერბურგიდან 1858 წელს, და 3) შეეხებოდა მიხ. ბირ. თუმანიშვილს, მოუსმინოთ გ. სულხანოვს:

„უფ. ცისკრის რედაქტორო! ეგ წიგნი ჩემთან იყო მოწერილი და თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ სხვისაგან და სხვასთან მოწერილს წიგნსა დაუკითხავათა ბეჭდამთ?... მაგ წიგნით უნდა გეჩვენებინათ, რომ ჭავჭავაძე ერთს აზრზედ არა დგასო, რადგანაც მაშინ მოლაყბეს აქებდაო და ეხლა კი აძაგებსო: მაგ წიგნის თარიღი, რომ გამოგეცხადებინათ, მაშინ თქვენი ცილის შეწამება თავის თავად დაირღვეოდა, ამას მიმხვდარხართ, რომ თარიღი წიგნთან არ დაგიბეჭდიათ. თქვენ ძალიან კარგათ იცით, რომ მოლაყბეს სახელითა ბევრი სხვადასხვა კაცი ჰსწერდა თქვენს ცისკარში. ისიც კარგად იცით, რომ პირველი ორი სტატია (უნდა იყოს სამი. ს. ხ). ერთი მგონია 1857 დეკემბრის და მეორე 1858 იანვრის ცისკარში მოლაყბეს სახელით რომ დაიბეჭდა, ასეთი კარგნი იყვნენ. რომ მრავალნი მბაძავი გააჩინეს და იმ მიმბაძავებმა მოლაყბის სახელით დაიწყეს წერა. იმათში მგონი თითონ თქვენც (ე. ი. ივანე კერესელიძე ს. ხ). ერიენით. მაგრამ ეს მიმბაძავნი იმ პირველ მოლაყბესთან გერომშად არა ღირდნენ, რომელმაც იმ ორ სტატიის შემდეგ ერთი სტრიქონიც აღარ აღირსა თქვენს „ცისკარსა„ უფ. ჭავჭავაძე იმ პირველს, იმ ორ სტატიის დამწერს აქებს მაგ წიგნით, რომელსაც თქვენ და თქვენი რაზმი ისე უხეიროდ ჰბაძავდა და ვერ მიჰბაძა კი. ამას თითონ წინგის თარიღი დაგიმტკიცებთ, ეგ წიგნი პეტერბურგიდამ მგონი თებერვალში, თუ მარტში არის მოწერილი 1858 წლისას. მაგ დრომდინ იმ ორ სტატიის დამწერის გარდა სხვა არავინ იყო მოლაყბე“. (გაბრიელ სულხანოვი: „შენიშვნა“— „საქართველოს მოამბე“ № 7. გვ. 105—6, 1863 წ.).

სულხანოვის ცნობა იმ მხრივათაც არის საინტერესო, რომ გვაწვდის ცნობებს „ცისკრის“ მწერლებისა და ფსევდონიმების შესახებ.

2. გ. სულხანოვს თავის წერილში შეცდომათ აქვს აღნიშნული ორი წერილი. 1858 წლის თებერვლამდე დაბეჭდილი იყო სამი წერილი. მათი საერთო სათაურია: „ს ა ლ ა ყ ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი“ (იხ. „ცისკარი“ № 11, 1857 წ. და № 1, 1858 ან რჩეული ლექსები მიხ. თუმანიშვილისა“ გვ. 29—53, 1881 წ.).

3. ჟურნალი „ცისკარი“ პირველად დაარსა გ. ე რ ი ს თ ა ვ მ ა (1811—1864 წ) მ. ს. ვორონცოვის დახმარებით. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ორი წლის განმავლობაში (1852—53), 1857 წელს მისი გამოცემა განაახლა ი ვ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე მ (1827—1829). თავისი მიმართულებეთი იგი კონსერვატიულ-რეაქციონური იყო. დაიხურა 1875 წელს.

4. ეს მ ო ლ ა ყ ბ ე ფსევდონიმი იყო არა გაბრიელ სულხანოვისა, როგორც ეს ილიას ჭკონებია, არამედ მ ი ხ. ბ ი რ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა. (1818—1875 წ) იგი იყო პუბლიცისტი და პოეტი; წერილებს სწერდა რუსულად და ქართულად. 1836 წლიდან სახელმწიფო—სამსახურში იყო. 1864 წ. ის დანიშნეს გლეხთა განთავისუფლების კანცელარიის უფროსად და 1874 წ. მეფისმოადგილის საბჭოს წევრადაც იყო დანიშნული. აქვს წერილები „კავკაზში“ (1852 წ) ქართული თეატრის შესახებ, აგრეთვე „დროებაში“ (№ 21, 1867 წ) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავის დროზე „სალაყბო ფურცლებმა“ მათ შესახებ ამხ. ფ. მახარაძე სწერდა.

„. . . თვით“ ცისკრის რედაქტორი, ი. კერესელიძე, ბატონ-ყმობის წინააღმდეგი ყოფილა იმ დროს, თუმც ამას აშკარათ ვერ აცხადებს. ასევე ითქმის „ცისკრის“ ერთ მაშინდელ თანამშრომელთაგანზე, სახელდობრ „მოლაყბეზე (ფსევდონიმი თ-დ მიხეილ თუმანიშვილსა), რომელიც ზევით მოყვანილ იმპ. ალექსანდრე II სიტყვების გამო „ცისკრის“ იმავე ნომერში ამბობს: „იმ სიტყვების წაკითხვაზე, ყოველი ჩემი გონება, სული და თითოეული ასო გარდაიქცა გრძნობათ... ქართველნო! ჩვენი მეფე შემდგომია იმისთანა საზოგადო კეთილაზრს, რომელზედაც კვირობს მთელი ევროპა როგორც ხედავთ აქაც ყრუ პროტესტი ჩანს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ; ალბათ სხვაგვარი პროტესტი ან შეუძლებელი იყო საცენზურო პირობების გამო და ან ძნელი გასაბედავი თვით ავტორების მხრით“ (მოსაუბრე—მახარაძე—„საუბარი სხვა და სხვა საგნებზე“—„კვალი“ № 47, გვ. 963, 1901 წ.)

შემდეგში, 1871—2 წლების ცნობილ ლიტერატურულ შეტაკებების დროს, ილია ჭავჭავაძემ თავის ცნობილ გამოცემებში სასტიკად გაილაშქრა მ. თუმანიშვილის წინააღმდეგ. (იხ. ტ. I გვ. 326—27). მ. თ—ლ უახლოესი მეგობარი იყო ბარათაშვილისა. მიხ თუმანიშვილის შესახებ იხ. პროფ. ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს წერილი. (განათლება“ № 2. 1911 წ.). გრ. ყიფშიძის წერილი „მიხ. თუმანიშვილი“ („საქართველო“ № 118. 120. 1918 წ.).

II წერილი ნინო აფხაზისადმი

18 თებერვალს 1859 წელსა

სულზედ უტკბესო დაო ნინო![1]

ძლივს დავამარცხე ჩემი ზარმაცობა და როგორც ხედავ გწერ წიგნსა. რა არის ნინუცა რომ იწერებით წიგნს და ახალ მანდაურ ამბებს არა მწერთ ხოლმე. დაიწყობ, ბატონო, ჩემ დამტირებელ თვალებს დავკო-

ცნიო და დამტირებელ თვალებითვე გაათავებთ ხოლმე. ან მოსაგალზედ თქვი რამე, ან მანდაურ შექცევაზედ ან კუტრობაზე, მაგრამ კუტრობა წამომცდა, კუტრობაზედ ნურას მომწერთ, თვითონ მეკითხეთ — ეიცნობ რა წითელი კოჭიცა ბრძანდება. ჩემ ჯიბეში ნეტაი ჩამოგაყრიდა, რა ამ-ბავია. რუსეთულ თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვსთ, რომ მეტი არ იქ-ნება. ღმერთმანი ჭრელ ჭრელ მანეთებს წამოკრავენ ფეხს, შენ ნუ მოუ-კვდე ჩემს თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედან-ზედ არ იქნება ისე. ნეტავი ეხლა მანდ ვიყო, რომ გავძღე ყბედობით ისეთი ლაპარაკი ჰსცოდნია და ჰყვარებია ჯიბე ცარიელობას, რომ ვე-ლარ მომითმენია. ნეტავი ეხლა შენს ტახტზედ ვიყო წამოწოლილი და შენი განათლებული ბონაჟურა პირის მთქნარებით, და თავის ქექით ნაცარ ქექიას ზღაპარს მეუბნებოდეს და შენი პატარა გიგლო დარბა-ისელ ბიძას მშვენიერ ლანძღვის სიტყვებით მამკობდეს. რასა იქ რო-გორა ხარ. ჩემო ნინუცი? სახლი აიშენე თუ არა! ან შენი ქმარი და ჩემი სიძე რასა იქს! არა სცხვენიან, რომ ერთხელ არ გამიხსენებს, ნუ თუ[2]..

ეხლახან მამიდა სალომეს წიგნი მივიღე, ძალიან მიამა და ძალიან მადლობელიცა ვარ; ღმერთმა აცოცხლოს დიდხანს მარამ ჩემ მაგიერ მოტოვება სთხოვე, რომ ეხლა წიგნს ვერა ვწერ შემთხვევისა გამო სხვი-სა და სხვისა. კოხტა[3] ძალიან კარგათ არის, აგრეთვე მისი ბიძა მიხა-კო. შენ და ნიკოლოზს მოკითხვას გიგზავნიან.

სხვა რა მოგწერო, ჩემო კარგო დავ, პეტერბურღი ისევ პეტერბურ-ღია, ცივი, ქვით მოსიპული და უზარმაზარი, ახალი ამბები არა არის რა ჩემი ჯიბის კუტრობის მეტი, მაგრამ ეს დიდი ხნის ამბავია. ილი-კო ჩოლაყაშვილის ცოლი გავიცან, ძალიან ჭკვიანი და კარგი ქალი ყოფილა, გამაკვირვა იმის ლაპარაკმა და განსჯამ.

ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი და თუ გიყვარდე თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს ამისრულე, ერთმა ქალმა ქალური ვერცხ-ლისა ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი, შენი ჭირიმე ნინუცი ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე რა ქალია! იმათ ოჯახში როგორც შვილი ისე ვარ მიღებული, ასეთი დედ-მამა ჰყავს რომ თავი შემაყვარეს[4] თუ შეიძლება, შენი სულის ჭირიმე ნინო, სააღდგომოთ გამომიგზანე, ვიცი რომ გიყვარვარ თუმცა ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს, მარამ ჩემი სიყვარული გაგაბედნიერებს.

იყავ მშვიდობით, წიგნი მომწერე ხოლმე შხირათ მანდაური ამბები, დროს როგორ ატარებთ, როგორ შეექცევით და უფრო რითა სწამ-ლობთ კუტრობაა მეც მასწავლეთ.

შენი ძმა ილიკო.

იანვრის ცისკარში[5] ჩემი ლექსია დაბეჭდილი წაიკითხე თუ არა. აი გინდოდა ჩემი ლექსები გენახა ცისკარში და აგისრულე, თორემ არ გსურებოდა ახლა მაგას დაგაბეჭდინებდი იმიტომ, რომ ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა[6].

თემურ[7] ძალიან კარგათ არის, გაიხარ.ე, ნინუცი, კარგი ბავშვიანი ძმა გვყავს, ღმერთმა აცოცხლოს; მარტვა ერთი არ მომწონს თემურში, ძალიან ფიქრიანი არის.

ეროვნული

ნინუცი! მეგონა ეს წიგნი გამოგიგზავნე შენ და [illegible] ქალალდებში, აქ დამრჩენია თურმე და ეხლა გიგზავნი, ნუ დამცინებ ჩემ დაუდევრობაზედ, მეც იმისთანა ქართველი ვარ ვირთაცა სხვა. ამისა გამო მომეტევება ვითარცა ცათაშინა ეგრეთაცა ქვეყანაზედა, აწდა მარადის, უკუნითი უკუნისადმე, ამინ!

მშვიდობით შენი ილიკო ჭავჭავაძე.

თიკო თუ მანდ იყოს მოკითხვას მოვახსენებ, კოლა ძალიან კარგათ არის. შენი ბიჭბუჭულები და უზესთაესთა ხერუბიმი

მაიკო ჩამიკოცნე, გიგლოს კი ყური გაუწიე, ჭკვას ისწავლის.

18 მარტი 156 წელს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

[1]. ნ ი ნ ო იყო უფროსი და ილიასი, მეუღლე ნიკოლოზ აფხაზისა.

[2]. აქ მოხეულია ადგილი.

[3]. კ ო ხ ტ ა ა ბ ხ ა ზ ი—ილიას ბავშობის მეგობარი და „მასთან თანშეზრდილი". დაიბ. 1838 წ. აქვს დაწერილი მოგონება ილიას შესახებ.

[4]. აქ ილიას მხედველობაში უნდა ყავდეს გენერალ ჩაიკოვსკის, ცნობილ კომპოზიტორ ჩაიკოვსკის მამის ოჯახი, რომლის ასულზედაც შეყვარებული ყოფილა ილია. კოხტა აბხაზიც აღნიშნავს თავის მოგონებაში: „ამ გენერლის ოჯახში ხშირად დავიარებოდით და კარგადაც გვიღებდნენ. მახსოვს როდესაც პირველად მოვემზადეთ იმათთან წასვლას სადარბაზოდ, დიდს გაჭირვებაში ჩავარდით, ერთი მუნდირი გექონდა სტუდენტური და მარტო-კი არც მე მინდოდა წასვლა; და არც ილიას."

როგორც ცნობილია, ამ ტრფობის ნაყოფია ი. ჭავჭავაძის ორი ლექსი: „ს... ჩ... ხას" და „ჩ... სას"

[5]. „ცისკარში" პირველად ილიას ლექსი დაიბეჭდა 1857 წელს. შემდეგ დრო გამოშვებით ათავსებდა იგი თავის ლექსებსა და თარგმანებს „ცისკარში". 1852 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილია ილიას თარგმნილი ლექსი: „ზედამჭადაგებელი" (გეტესი) „ცისკარში" თანამშრომლობას თავი დაანება 1861 წლიდან.

[6]. „ცისკრისა" და მისი მწერლების წინააღმდეგ ილიამ სასტიკად გაილაშქრა მწერლობაშიაც 1861 წ. (იხ. მისი წერილი: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან „შეშლილის" თარგმანზედ". „ცისკარი" № 4, 1861 წ.). ამ წერილს მოყვა ცხარე პასუხი მოწინააღმდეგეთა (იხ. „ცისკარი" № 5, 6, 1861 წ. და სხ.). ჭავჭავაძე პირველ წერილშივე აღნიშნავდა, რომ თუ „ცისკარი" უვარგისია კიდევ თქვანგან, ყვავები ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილით." (იხ. „ცისკარი" № 4.) მეორე საპასუხო წერილში იგი სწერდა:

„ნუთუ მართლა რაც „ცისკარში" იწერება საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუ თუ მართლა „ცისკარში" ჩვენი განათლებაა" ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუ თუ მართლა ეგრე დაეცა რუსთველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჭვრძნობს? მეც მაგასა ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა, მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯ-

ნის, აღარ ბლაჯნოს რადგანაც იგინი თავის ბლაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისათვის ვლაპარაკობ აგრე სასტიკად, პირმოუფერებულად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლენიც თავის ოინებიდან ფეხს ნუ გამოსდგამენ გარეთ, ლიტერატურაში. ამას გთხოვ, ხალხის სიყვარულითა, ხალხისავე სახელის დაცვისათვის..“ („ცისკარი“ № 6, 1861 წ.).

ამის შემდეგ ჭავჭავაძეს „ცისკარში“ აღარაფერი დაუბეჭდია და 1863 წ. როდესაც „საქართველოს მოამბე“ დაარსდა კამათმა უფრო-ცხარე ხასიათი მიიღო „ცისკართან“.

[7]. თემურ იყო უმცროსი ძმა ილიასი, იგი პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავლობდა გარდაცვლილა პეტერბურგშივე 1860 წელს. არის ამის შესახებ ილიასავე წერილი მამიდამისისაღმი. იხ. გრ. ყიფშიძე: ილია ჭავჭავაძე“—გედევანიშვილის გამოცემა, გვ XIII, 1914 წ.).

წერილები კ. ლოლათიფანიძისადმი [1]

წერილი პირველი

1864. 24 აგვისტოს ქუთაისი.

დიდი სიხარულით წავიკითხე შენი წიგნი ჩემთან მოწერილი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველს მაგისთანას საქმეში, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნოა. მეც ჩემის მხრით მადლობას გეუბნები. რომ მაგისთანა კეთილს საქმეში ჩემი ხელიც გაურიე: საკვლაოდაც თუ ჩემი დახმარება რაშიმე ივარგებს და დაგჭირდება, გთხოვ, ყოველთვის და ყველგან მიგულვო სულით და გულით გამზადებული.

რაც გითხოვნია, მათთა შორის რაც უპირატესია აღგისრულებ, ე. ი. ლექსებს, თუ ივარგებს ოცდა ცხრას ამ თვეს მოგართმევ. ძალიანა ვწუხვარ, რომ ადრე არ შემატყობინე, იქნება ახალი რამ მომემზადებინა. მაქვს კი ძველი იმისთანა ლექსები, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა, მათგანს ყველას გამოგიგზავნი. ამას კი გთხოვ. არც ერთს ლექს ჩემი სახელი არ მოაწერო: ნეტაი ლექსმა ივარგოს, თორემ სახელი რა საჭიროა. თუ ძალიან და ძალიან გინდა, რომ მაგ წიგნში ჩემი სახელიც იყოს, შეგიძლიან თავში საზოგადოდ მოიხსენიო, რომ სხვათა შორის ამ წიგნში ჭავჭავაძის ლექსებიც არისთქო და რომელი ლექსია ჭავჭავაძისა თვითეულად და სახელდობრ ნუ მოიხსენიებ. ამისათვის მე პატივსადები საბუთი მაქვს.

ფულისას იწერები. ნეტაი ჩემო ძმავო, იმოდენა ფული აიღო, რომ შენი შრომის და წიგნის ხარჯი გამოვიდეს და სხვაზედ ნურას ნაღვლობ. თუნდ რომ ბევრი ფულიც დაგრჩეს, მაინც მე წინადვე ვარი მიყვია: შენ თითონ მოიხმარე—ეგ უკეთესი იქნება, ან სხვას მოახმარე, იმისთანას, რომელიც გაჭირვებულია. მანდ ჩვენი ამხანაგები ბევრნი იმისთანანი არიან, რომელთაც დღიური ლუკმაც უჭირსთ, პირველი ჩვენი შრომის შემოსავალი იმათი კუთვნილია. იმათ გადაეცი: ჩვენი ლექსები, დამიჯერე, უკეთეს ვერას იზამენ. არ ვიცი სხვა რას ფიქრობს

და ჩემთვის კი ისიც სამყოფია, რომ ჩემმა ლექსმა სხვათა შორის ისიც შეიძლოს რომ ერთს ჩვენთაგანს უფრო გაჭირებულს ერთს თვეს მაინც მუცელი გაუძღოს. ამას გეეედრები, რომ ამისთანა ჩემს სახელით არ იყოს. ეს წიგნიც რომ დახიო, ურიგო არ იქნება.

მაგ შენ,ან დაპირებულის ლექსების წიგნის სახელი არ მომწონს: ჰსჯობს, „ქართული ლექსების კონა" დაარქვა. „კრება" სხვა რიგად ესმის ქართველსა და რუსულიდამ თარქგმნულსა ჰგავს. სხვა ფრივ მსურს ბედნიერად შესრულება მაგ საქმისა.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

წერილი მეორე

აი რის გამოგზანა ეხლა შევიძელი. „ქართლის დედას" არ გიგზავნი, მიტომ რომ ვერას გზით ვერ გავასწორე, გაუსწორებლად კი ვერ გამოგიგზავნე იმიტომ—რომ შიგადაშიგ უფრო რიტორიკაა, ვიდრე სხვა რამე „რამდენიმე სურათი", ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან"[2] მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდა რომ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო[3] აქ მთელ წიგნს აგიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან, ამიკრძალეს. დასაწყისი მაგისი რაოდენიც „საქართველოს მოამბეშია"[4], თუ გნებავს, დაბეჭდე. სხვა ახალი ლექსი, პატიოსან სიტყვას გაძლევ, სრულიად არა მაქვს, მაქვს უწინდელი ზოგიერთი სატრფიალო ლექსები ჯერ დაუბეჭდავი, ვიცი, შენ არ გამოგადგება და იმიტომ არ გიგზავნი.

შენიშვნები

[1]. კირილე ლორთქფანიძე. 60-იანი წლების მწერალთა ჯგუფს ეკუთნოდა. იგი პირველად (1862 წ.) თერგდალეულის ფსევდონიმით „ცისკარში" სწერდა, შემდეგ უახლოესი თანამშრომელი იყო „საქართველოს მოამბისა" (1863 წ.). „დროებისა" და „კრებულის" იგი ახლო მეგობარი იყო ი. ჭავჭავაძის 1864 წ. კირ. ლორთქფანიძემ განიზრახა პეტერბურგში გამოეცა ლექსთა კრებული „ჩონგურის" სახელწოდებით. კირილემ წერილში ილიას სთხოვა მიეღო მონაწილეობა აღნიშნულ კრებულში. ამის პასუხია ილიას პირველი წერილი შემდეგ ი. ჭავჭავაძემ ლორთქფანიძეს პეტერბურგში გაუგზავნა მთელი რიგი თავისი ლექსებისა დასაბეჭდათ. ლორთქიფანიძის არქივში ინახება ორი ავტოგრაფი ი. ჭავჭავაძის 1864 წელს გაგზავნილ ლექსებისა: 1) „ქართველი სტუდენტების სიმღერა" (დაწერილია 1860 წ.) და 2) „ნანა" (დაწ. 1859 წ.) ზემოდმოყვანილი წერილი. პირველ ავტოგრაფზეა მიწერილი, მაშასადამე, იგი დაწერილია 1864 წ.

[2]. ეს პოემა ილ. ჭავჭავაძეს დაწერილი აქვს 1860 წ. პეტერბურგში. როგორც ავტოგრაფებიდან სჩანს. შემდეგში იგი აღარ შეუკეთებია. „კაკო ყაჩაღი" ხელთნაწერის სახით ძლიერ გავრცელებული იყო 60-იან წლების ინტელიგენციაში, საინტერესოა ამ პოემის შესახებ ილიას მეგობრისა და ახლო ნათესავის კოტტაბახაზის მოგონება. იგი სწერდა:

... რაც შეეხება მის შემოქმედებას და მის ნაწარმოებების ისტორიას, მე მხოლოდ „კაკო ყაჩაღის" შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლავთ ერთი

კარდანახელი გლეხი ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა კარდანახის ტყეში და გამვლელ-გამომვლელს ეკარებოდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მიდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხამს ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო. ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აბხაზისთან მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გაჰმასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეორე დღეს კი გვიამბო თავის თავგადასავალი ხოლო დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყევლის და აგინებს“.

3. პეტერბურგში ქართული ნაწერების ცენზურას, პროფ. დ. ჩუბინაშვილს მიანდობდენ და ამიტომ ჰფიქრობდა ილია, ალბად, რომ შესაძლებელია დაბეჭდვის ნება დართონო.

ᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

1868 წ. 19 დეკემბერი დუშეთი.

ძმაო კირილე! მოგეწერა, რომ „კაცია ადამიანის“ [1] დაბეჭდა მოვიწადინეთო და ნების დართვა მთხოვე. [2] მაგას რაღა თხოვნა უნდოდა: მომიცია სრული ნება დაბეჭდვისა და თუ ძალიან გსურთ, ჩემი სახელიც ჩაურთეთ ჯიმშერიძის მაგიერად. [3] წინასიტყვაობისა უნდა მოგახსენო, რომ მე იგი ცალკედ არ დამიწერია. [4] მართალია როცა ეგ მოთხრობა გავათავე, მინდოდა ცალკე წინასიტყვაობაც დამელაბჯნა, მაგრამ როცა გადავიკითხე, გამოჩნდა, რომ რაც წინასიტყვაობაში მინდოდა მეთქვა სულ ყოველისფერი შიგ მოთხრობას (აჩნდა) ჩემდა უნებურად. მგონი ყურადღებით წაკითხვა ამას შენც დაგარწმუნებს.

პატივცემა ყველას ჩემგანს

ჩემმიერ შენი ილიკო ჭავჭავაძე

. შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი .

1. „კაცია ადამიანი?!“ პირველად 1863 წლის „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა.

2. პეტერბურგში 60-იან წლების დასასრულს შესდგა ჯგუფი სტუდენტებისა კ. ლორთქიფანიძის მეთაურობით. რომელმაც მოინდომა გამოეცა ცალკე წიგნებად ქართველ მწერლების ნაწერები. ამის შესახებ ქართულ გაზეთებში განცხადებაც იბეჭდებოდა. პირველად. 1869 წ. „კაცია ადამიანი“ გამოვიდა. შემდეგ აპირებდნენ დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ი ს „სურამის ციხის“ დაბეჭვდასაც, მაგრამ იმ ხანებში იგი არ დაბეჭდილა.

3. „კაცია ადამიანი“ პირველად. 1863 წ. ჯიმშერიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა. 1869 წ. იგი ავტორის ნამდვილი სახელითა და გვარით არია დაბეჭდილი.

4. ჭავჭავაძეს „კაცია ადამიანის“ ცალკე წინასიტყვაობაც დაუწერია. მის არქივში ინახება ოთხი ვარიანტი ამ წინასიტყვაობისა. ავტორს ეს წინასიტყვაობა არ გამოუქვეყნებია. ამჟამად ეს ვარიანტები გამოქვეყნებულია. (იხ. მისი ნაწერები ტომი II—გვ. 295—309).

წერილი მეოთხე

ძმაო კირილე! გიგზავნი ჩემს გლახის ნაამბობს.[1] ჯერ ვიდრე დაჰბეჭდდე, შენებურად გადიკითხე და შენი პირ-მოუფერებელი აზრი მაცნობე. რაკი არ მომეშვი აი „ტრფიალების“ ლექს ჩემსას გიგზავნი[2] და ერთს ნ. ბარითაშვილისას.[3] თუ ჭკვაში მოგვიდეს, დაბეჭდე. ხანდისხან ამისთანა ლექსებიც ჰსდომებია ამ უდარდელს და ცრუდ-მოტრფიალეს ქვეყანასა.

P. S. ეს ლექსი[3] როგორც დედანშია, ისე აქ არ არის გადმოწერილი შენი ჭირიმე კირილე, ჩემი გლახის ნაამბობის ფურცლები არ დამიკარგო, მაგის მეტი არც თეთრი მაქვს და აღარც შავი. მესხს[4] უთხარი, რომ შენი წიგნი დღეს მივიღე-თქო. მე თუ თავი როგორმე დავაღწიე, იქნება ჩვიდმეტს ამ თვეს ჩამოვიდე ქალაქში და მაშინ მოვილაპარაკოთ თქო. იმ დრომდე არას გზით მანდ ჩამოსვლა არ შემიძლიან.

თუ ეს ლექსები არ მოგეწონოს, უმიკოვს ჩემი „აჩრდილი“ აქვს, ახლად გადაკეთებული, იქიდან VII, VIII და IX მუხლი დაბეჭდე იმ სათაურით, როგორც ადრე იყო დაბეჭდილი კრებულში.

რედაქციას ჩემი სტატია „ზოგიერთი რამ“[5] უნდა ჰქონდეს. მაცნობე ჰბეჭდავთ მაგ სტატიას, თუ არა. ოღონდ ეგ დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს პევრი დაუთმოთ. ჩემ გლახის ნაამბობზედ შენი აზრი მალე მაცნობე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

შენიშვნები

1. „გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილი (ექვსი თავი) პირველად 1863 წ. „საქ. მოამბეში“ (№ 1) დაიბეჭდა. ავტორს ეს მოთხრობა იმ ხანებში არ ჰქონდა დამთავრებული, იგი დაამთავრა 1872—3 წლებში და სრულად დაიბეჭდა „კრებულში“ (№ 1, 2, 3, 1873 წ.). აქ გავოქვაყნებულ წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს „გლახის ნაამბობის“ დაწერის თარიღებისა და ავტორის შემოქმედებითი პროცესის შესასწავლად. რასაკვირველია, შემცდარია ჭავჭავაძის სრული ნაწერების კომენტატორი, როდესაც სწერს, რომ „გლახის ნაამბობი“ ავტორმა დასწერა 1859 წ., ხოლო საბოლოოდ გადახედა 1862 წ. (იხ. ტ. II გვ. 332) ახლად გამოქვეყნებულ მასალების მიხედვით მტკიცდება, რომ მოთხრობა დაწყებულია 1859 წ. ხოლო მისი მეორე ნაწილი—მეშვიდე თავიდან დაწერილია 1872-73 წლებში.

2. სამი სატრფიალო ლექსი გაუგზავნა. მოგვყავს მათი დასაწყისი სტრიქონები:

1) „ვიხილე სატრფო: იგი ცრემლს ღვრიდა,
ბედს და სიყვარულს მწარედ დასტირდა“

2) „ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი, —
არ ხარ ისე მშვენიერი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) „მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით
რომ, ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე“...

3. ნ. ბარათაშვილის ლექსი: „დაჰქროლა ქარმა სასტიკმან —
თან წარმიტანა ყვავილი“...

4. ს. მესხი „დროების“ რედაქტორი.

5. „ზოგიერთი რამ“ ადრეა დაწერილი, იგი მხოლოდ 1876 წელს დაიბეჭდა პირველად „დროებაში“.

წერილი მესუთე

ძმაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს.[1] შენ იცი და შენმა რიგიანობამ როგორც კარგად შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლ წერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. შესანიშხავია. გთხოვ მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა გაუკეთო:

„ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატიპცემულმა პირმა. ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის—რა გვარი მნიშვნელობა აქვსთ ამ გვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვისა და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, — იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულს გარდმომცემელსა.“[2]

ამ გვარი კმევა საჭიროა, ჩემო კირილე! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: мир управляется слобостями людскими.

დღეს მივყავ ხელი გლახის ნაამბობის გაგრძელებას. ღვთით რომელიც შენა არ გწამს, დასრულდება. გლახის ნაამბობის კორრექტურა უკანასკნელი მე უნდა გავშინჯო. ყმაწვილებს მოკითხვა უთხარი.

9 დეკემბერი. (1872 წ).

შენიშვნები.

1. ეს ოთხი წერილი მიწერილია მაიკოსადმი. წერილები აღმოჩენილია ილიას დასა და სიძესთან. (რომელთან, არა სჩანს).

2. ნ. ბარათაშვილის წერილები დაიბეჭდა „კრებულში“ (№ 1, 1873 წ.), რედაქციას ილიას თხოვნა შეუსრულებია და ეს შენიშვნა წერილების წინასიტყვაობაში არის დაბეჭდილი.

წერილი მეექვსე

ძმაო კირილე! გიგზავნი გლეხურს სიმღერებს[1] ოცდა ათზე მეტია, გამოიზოგე. სხვა ლექსებს ვეღარ გიგზავნი მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. ჯერ ეს იმყოფე, კაი სიმღერებია.

გლახის ნაამბობი დავასრულე და თებერვლის ათამდინ გამოგიგზავნი, რაც დაბეჭდილია იმაზედ, თუ არ მეტი, ნაკლები არ გამოვა-

დიდი ხანია ეგ ნაამბობი გულში მედო და ძლივს მოვიშორე. არ ვიცი როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები მაინც, მგონი ვარგი უნდა იყოს. მაგრამ რაც არის არის, ღმერთმა მშვიდობა მიბოძოს, მე ხომ თავიდან მოვიშორე და!

ჩემი საქმე მეტად ცუდად მოდის: ნიკო ჭავჭავაძემ[2] ბანკის თაობისაგამო მიმტრო[3] მაგას გაუძლებ, ცუდ-კაცობა იმას შერჩება და მე ისევ ის ვიქნები, რაც ვარ. ვაი რა დუდგულის თოფებს ისვრიან ისინი, ვინც მე ბანკის თაობაზე გადავიმტერე! შურის-ძიებაზედ მე შორსა ვარ მე მარტო მეცინება იმათ უილაჯობის საქციელზედ.

ნიკოლაძეს მიულოცე ჩემ მაგიერ საქმის მოგება.[4]

ბარათაშვილის წიგნები როგორც არის ისე დააბეჭდინე.

29 იანვარი 1873 წ. შენი ილია ჭავჭავაძე

შენიშვნები

1. „გლეხური სიმღერები" ი. ჭავჭავაძის მიერ შეგროვილი, დროებამოშკებით იბეჭდებოდა „კრებულში". შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

2. 60—70-იან წლებში ორი ნიკო ჭავჭავაძეა ცნობილი: რომელმა ჭავჭავაძემ უმტრო ილიას, არ არის ცნობილი.

3. 70-იანი წლების დასაწყისიდან ილიას ახალი თაობა იწვევდა ბანკის თავმჯდომარედ,

4. ნიკოლაძეს იმ ხანებში ტყიბულის საქმეების გამო ჰქონდა პროცესი სასამართლოში ალბად, ამის შესახებ სწერს ილია.

წერილი მეშვიდე

ძმაო კირილე! 29 გვერდზე ქვევიდან 3, 4, 5 და 6 სტრიქონებში სადაც არეულობაა. ჩემს ნაწერთან გასინჯე და ისე გაასწორე.

შენი ჭირიმე კირილე! თუ ივანოვის ბიბლიოთეკაში იყოს ეს წიგნი უსათუოდ გამომიგზავნე: Философия и Наука. Очерки из современных Европейских писателей. изд. Вольфа. თუ არ ჰქონდეს, მალაზიებში იკითხე, მიყიდე და გამომიგზავნე. ფულს მოგართმევ დიდის მადლობითა. მალე კი უნდა გამომიგზავნო და მაცნობო ამ თხოვნის პასუხი.

14 მარტსა შენი ილია ჭავჭავაძე.

ესეც გამომიგზავნე თუ ივანოვსა აქვს: Всеобщее землеописания география. для чтения и справок. по плану....

გაურკვეველია.... и. т. д.

(1873 წ.)

შენიშვნები

1. „გლახის ნაამბობის" კორექტურაზეა ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები პეტრე უმიკაშვილისადმი[1]

წერილი პირველი

21 თიბათვეს 1872 წელს დუშეთიდამ

პეტრუს ბეგ! შენი წიგნი მამივიდა მაგრამ პასუხი დაგიგვიანე მამიტევე რაც წიგნში მოგეწერა, ყველაფერზედ ჩემი სრული თანხმობა გამომიცხადებია. ახალის რისამე გამოგზავნას მთხოვ, მაგრამ ახალი მე გათავებული ანუ უკეთ ვსთქვათ, შესრულებული არა მაქვს რა, რომ დასაბეჭდათ ღირსი იყოს.[2] გაგიკვირდება ჩემი ზარმაცობა, მაგრამ დამიჯერე, რომ ზარმაცობით არ მომდის. მე, სწორედ გითხრა, ცუდის აგებულობის კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შელავათი მინდა რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას[3] თავს არ დავანებებ ეგ მოსვენება და შელავათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე რამე და არასფერმა არ დამიშალა, დაწყობილს მალე შევასრულებ და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ, გათავდა! მე იმ დაწყობილს ველარ დაუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო უხეიროთ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვწუხვარ ამგვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შველა არსით არი. ვფიქრობ თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო. ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა პურის შოვნის დევნაში, სამსახურს რომ თავი დავანებო. ესეა ჩემი ვითარება მაგრამ მაინც კიდევ ვეცდები როგორმე დავწერო რამე. წინადვე არას გპირდები, რომ ბევრჯელ დაპირებული ვერ ავასრულე.[4]

შენი ილია ჭავჭავაძე.

შენიშვნები

1. პ ე ტ რ ე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი (1838—1904) უახლოესი მეგობარი იყო ილია ჭავჭავაძისა. იგი ახლო მონაწილეობას ღებულობდა 60—70-იან წლების ჟურნალ-გაზეთებში („დროება", „კრებული" „სასოფლო გაზეთი", „ივერია".) სწერდა სხვადასხვა ფსევდონიმებით.

2. უმიკაშვილი, როგორც სჩანს, ილიას სთხოვდა ნაწერებს ჟურნალ „კრებულისათვის". ჭავჭავაძემ მთელი რიგი თავის ლექსებისა, პოემებისა და მოთხრობისა „კრებულში" მოათავსა.

3. ი. ჭავჭავაძემ „ჩინოვნიკობა" დაიწყო 1864 წლიდან. პირველად იგი გაგზავნეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ. მას დაავალეს გამოერკვია ბატონყმური ურთიერთობა მემამულეებს და ყმებს შორის. 1864 წელსვე იგი გაგზავნეს მომრიგებელ შუა კაცად დუშეთს, შემდეგ მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა დუშეთშივე. ამ თანამდებობაზე იგი ირიცხებოდა 1874 წლამდე.

4. ამ წერილის ნაწილი პირველად გამოაქვეყნა გრ. ყიფშიძემ. (იხ. დასას. წერილი გვ. XXXV).

წერილი მეოთხე

შენი წიგნი დღეს მივიღე და დღესვე პასუხს [illegible] ჩემი აზრი ეს არის: კრებული[2] უნდა არაებობდეს უსათუოდ, [illegible] ამ [illegible]ბგომარეობაში, რომელშიაც ჩვენა ვართ, ძნელია მაგ კრებულს ნოყიერი საზრდო მივცეთ, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არა გვყავს. იქნება მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო რომ მწერლებს ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ, მაგალ. რომ ქალაქში იმისთანა სახლი მოხერხებულიყო საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვა თანამგრძნობელთ ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ არც ესა ხერხდება. მართალი ხარ შენ: გაფანტულობა და დაქსაქსულობა გვღუპავს ჩვენ. მაგრამ მაინც და მაინც კრებული უხდა არსებობდეს, თუმცა დიდს შემწეობას მე ვერა ვპირდები. მწერალს დამოუკიდებულობა უნდა, მწერალს თავისი დრო სულ მას უნდა ეკუთვნოდეს. სხვისა არ ვიცი და მე კი ესეთი აგებულებისა ვარ.

მწერ, მოახერხე როგორმე, უეჭველად ქალაქში გადმოხვიდეო.[3] ეგ ჩემი გადმოსვლა ადვილია. თუ ვაკანსია გაიხსნება, დაპირებულებიც არიან. მაგრამ ჩემს დაუმოკიდებლობას ეგ რას უშველის, თუ კიდევ სამსახურში ვიქნები. მე უნდა სამსახურს გარედ ვიყო. სამსახურის თავის დანებება ჩემთვის ამ ჟამად დიდი არაფერია. და თუ სამსახურიდამ გამოვალ მარტო იმისათვის, რომ ჟურნალი გამოვჰსცე. ვჰფიქრობ, ვჰფიქრობ და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებია.[4] აი სრულადი დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან) მწერალზედ იმედი მექნება, ანუ უკეთ, მომეცემა მაშინვე დავკრავ ფეხს, გადავვარდები ბახტრიონ გალავანზედა, იერემიას

---

[1] ამ წერილზე პ. უმიკაშვილის მიერ მიწერილია: „მივიღე დუშეთიდამ 1872 წ. ენკენისთვის 1-სა პ. უმიკაშვილმა ეს წერილი და სახე ილიასი“.

[2] „კ რ ე ბ უ ლ ი“— დაარსა გ. წერეთელმა და გამოდიოდა 1871—1877 წლებში. მისი უახ ესი თანამშრომლები იყვენ: ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი და სხვები იგი „დროების“ დამატებას წაუმოადგენდა თავის მიმართულებითა და შინაარსით.

[3] იმ ხანებში ი. ჭავჭავაძემ ვერ მოახერხა ქალაქში გადმოსვლა, თუმცა მას ახალი თაობის ინტელიგენცია დაჟინებით სთხოვდა დაეტოვებია დუშეთი და გადმოსულიყო ტფილისში, რათა ახლო მონაწილეობა მიეღო ლიტერატურულ-საზოგადოებრივ საქმეებში. ნ. ნიკოლაძე ერთ თავის წერილში სწერს:

„ილია ჭავჭავაძეს დიდი ხანია სრულებით მიტოვებული ჰქონდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები. ის დუშეთში ცხოვრობდა, საცა მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა, ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველი მაშინდილი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე—დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დაუბრუნოთ ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვით“ ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი“... (იხ. ნ. ნიკოლაძის წერილი, ჟურნალ. „განთიადი“ № 8, გვ. 21, 1915 წ.).

[4] თავისი ჟურნალის გამოცემა ილიამ ვერ მოახერხა 1877 წლამდე; ამ წლის მარტში გამოვიღა მისი რედაქტორობით „ ივერია“.

გოდება როგორღაც თავში ვერ მომდის და ამისათვის არ გაგიღლეს: სწორედ გითხრა იმიტომ არ მომივიდა, რომ არ მესმის, თუმცა დიდის ყურადღებით წავიკითხე. საძაგლად არის თარგმნილი ჩვენს დაბადებაში, თუმცა ალაგ-ალაგ კარგია. კორესპონდენტად ანუ უკეთ, კომისიონერად საგნების გასასყიდად, დუშეთში გიშოვნე სანდო კაცი, ზურაბ სვიმონის ძე მორთულაძე. ეს მოგიხერხებს წიგნების გასყიდვასა.

მომავლის ნომრისათვის ჩემი აჩრდილის დაბეჭდეთ პირველი სამი ხანა. მეტი არა მაქვს რა.[1]

მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე,[2] აი ჩემი პასუხი: Лишь право сильного раб свято почитает.

მაგ ბროშურის პასუხად აი რა დავწერე და გთხოვ დროებაში[3] დააბეჭდინო, ჩემს გვარს ნუ მოაწერ.[4]

---

[1] ი. ჭავჭავაძის „აჩრდილი" დროგამოშვებით იბეჭდებოდა 1872—1873 წლების „კრებულში" შემდეგი სათაურით: „რამოდენიმე ხანა პოემისა „აჩრდილი" (იხ. № 8 9, 10, 11, 12. 1872 წ. ს. ხ.) ზოგიერთი „მკვლევარები" სწერდენ, რომ ავტორმა ეს პოემა გამოაქვეყნა მხოლოდ 1881 წელს. ეს შეცდომაა. „კრებულში" აჩრდილიდან ცენზორის მიერ მრავალი ადგილია ამოშლილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ილიას „აჩრდილის" ავტოგრაფი, საიდანაც „კრებულში" დაიბეჭდა ეს პოემა, ინახება ქუთაისის მუზეუმში კ. ლორთქიფანიძის არქივში. ეს ავტოგრაფი ნასწორებია კ. ლორთქიფანიძის ხელით და ამ სახითვე არის დაბეჭდილი. იქვეა ილიას წერილი კირილესადმი. აღსანიშნავია, რომ ეს ავტოგრაფი, შედარებით ყველა შემდეგ გამოცემულ და დაბეჭდილ „აჩრდილ"-თან იმითაც განსხვავდება, რომ რამოდენიმე ათეული ბწკარით არის მეტი. ახლო მომავალში ამ ავტოგრაფს გამოვაქვეყნებთ ჩვენი შენიშვნებით.

[2] ლაპარაკია გ. კ. მუხრან-ბატონის წიგნზე: „О существе национ. индивидуальности и об образоват. значении крупных народных единиц", რომელიც 1872 წ. „კავკაზის" დამატებად გამოვიდა. გ. მუხრანსკი სენატორი იყო, დიდი მემამულე და კავკასიის საბჭოს წევრი. ამ შრომაში იგი ამტკიცებდა წვრილი ეროვნული ერთეულების გაქრობას და რუსეთის სახელმწიფოებრივობას უკმევდა გუნდრუკს. წიგნმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ჩვენს მწერლობაში. (იხ. ს. მესხი ტ. I, გვ. 96. მ. პეტრიძის წერილი „კრებულში". ცნობილია გაბრიელ ეპისკოპოზის წერილი მუხრანსკისადმი და სხ.). დავით ერისთავს მუხრანსკისთვის მიუწერია:

О существе ты написал,
Мой друг, более ста страниц,
Но этим только доказал,
То что мы знаем без того,
Что ты совсем не существо
И нуль меж крупных единиц.

(იხ. გედევანიშვილის გამოცემა, გვ. XIV)

თავის „პასუხის პასუხში" (1872 წ.) ილია მის შესახებ ამბობს:

პირველ თქვენგანმა
იმა ბედ-შავმა
მას მკვდრის სუდარა გადააფარა.

[3] „დროება" იყო მაშინდელი ახალი თაობის ორგანო. 1866—69 წლებში მას რედაქტორობდა გ. წერეთელი. 1869—83 წლებში მისი რედაქტორი იყო სერ. მესხი.

[4] ილიას ეს ცნობილი ლექსი დაბეჭდილია „დროების" 8 სექტემბრის ნომერში (№ 35, 1872 წ.) ლექსი დაბეჭდილია ფელეტონში. ჯერ დაბეჭდილია სერ. მესხის ბიბლიოგრაფია ამავე წიგნზე, შემდეგ მოთავსებულია ლექსი ხელმოუწერავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევა[1]

თუ გინდა, ძმაო, იგემო
ამა ქვეყნისა შვებანი.

როგორ არა გცხვენიან, რომ რაც ქართული წიგნები გამოდის არ მიგზავნი? ამ ქალებს რომ უთარგმნიათ,[2] გამომიგზავნე ფული არ დაგეკარგება.

[1872 წ.]

წერილი მესამე[1]

ჩვენო დედა-ბოძო და არა-ბოძო პეტრუს-ბეგ! ჩვენი[2] ნათარგმნი ლექსი[3] აქამომდე მიღებული გექნება და გადაკითხულიცა. მაშინ მოგწერეთ, რომ დააბეჭდინე მეთქი კრებულში. ეხლა ორს შეუცვლელ პირობას გიდებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ, რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი, მთელი სტრიქონი ერთს სტრიქონზედ უნდა დასტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთს ნომერში სრულად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორრექტურა კი შენს გაფაციცებულს თვალს მიანდონ.[4]

ცუდი არ იქნება, რომ მაგ თარგმანზე შენი ჩვეულებრივი პირუთვნელი აზრი მოიწერო ამ ადრესით, Студенту Сиб. университета Ивану Георгиевичу Мачабели с передачею Илье Чавчавадзе.

სანდრო ერისთავი ამ წიგნის მიღებისავე უმალ ნახე და უთხარი, რომ დამღუპავს თუ, რაც დამპირდა, არ აღასრულა.

შენი ილია ჭავჭავაძე

P. S. თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებაც დღეს გავათავეთ და პირველ მოქმედებას სიკეკლუცით არ ჩამოუვარდება.

---

[1] „რ ჩ ე ვ ა“ ცალკე ავტოგრაფზე ილიას ხელით მიწერილი და შემდეგ წაშლილია „უსათუოდ „დროებაში“ დაბეჭდინე. გიგზავნი ჩემს სახეს“. ქვევით: „კორექტურას შენ განდობ“.

[2] 1872 წ. ქართველ ქალებმა გამოსცეს წიგნი: „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართველი ქალებისაგან“ (წიგნი პირველი. 1872 წ.).

[3] ეს წერილი გამოგზავნილია 1873 წელს პეტერბურგიდან. 1873 წელს ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყაზბეგი რუსეთში გაგზავნეს საბანკო საქმეების გასაცნობად და შესასწავლად. (ამის შესახებ იხ. ქვევით შენიშვნები).

[5] ჩ ვ ე ნ ი — იგულისხმება ი. ჭავჭავაძე და ივ. მაჩაბელი.

[4] ე. ი. შექსპირის ტრაგედია: „მ ე ფ ე ლ ი რ ი“. როგორც ცნობებიდან სჩანს, „ლირის“ თარგმანი პირველად დაუწყია ი ვ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ს (იხ. ამის შესახებ მისი ძმის ვას. მაჩაბლის წერილი 1872 წლის „დროებაში“), შემდეგ როდესაც ილია ჩასულა პეტერბურგში შეერთებულად დაუწყვიათ თარგმნა.

[6] პ. უმიკაშვილს „მეფე ლირის“ თარგმანი დაუბეჭდავს 1873 წელს „კრებულში“ (№ 10 გვ. 1—80). ფაქტიურად ეს ნომერი გამოვიდა 1874 წელს, (ცენზორისაგან ნებართვა მიღებული აქვს 1874 წ. 1 იანვარს). აქ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი მოქმედება. ტრაგედიის ლექსები დაბეჭდილია პეტიტითა და გაუტეხავად, ხოლო პროზა ჩვეულებრივად.

წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი[1]

18 იანვარს [1843]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილი პირველი

ძმაო ნიკო! უკანასკნელის შენის წიგნის საპასუხოდ გაუწყებ შემდეგსა: ტყუილ-უბრალოდ შეუწუხებიხართ გლახის ნაამბობის კორექტურის თაობაზედ. მე გთხოვეთ მარტო უკანასკნელი კორეკტურა გამომიგზავნოთ იმ პირობით, რომ მეორეს დღესვე უკან დაგიბრუნდეთ. გლახის ნაამბობის გასწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილია ისე გადაბეჭდეთ. დეე მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს

განგრძელება მზადდება, ოთხი თავი, რომელიც უდრის 35 გვერდს საქართველოს მოამბისას, მზად არის კიდეც „კრებულის" სამსახურისათვის. მე მგონია, რომ შესრულებისათვის ერთი ამოდენა კიდევ დამჭირდეს ასე, რომ თებერვლისა და მარტის კრებულსა თავ-საყრელად ეყოფა. ვწერ კი, მაგრამ არ ვიცი როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით ნაამბობის შესასრულებლად. რაც ახალი დამიწერია, მინდოდა შენთვის გამომეგზავნა, რომ შენ და კირილეს თვალი გადაგეევლოთ და მის შემდეგ თქვენი პირუთვნელი აზრი ჩემთვის გეცნობებინათ. ამ განზრახვასაც თავი დავანებე. რაც იქნება, ის მოხდეს. ჩვენის პოეტისაგან ნათქვამია ბრძენი სიფრთხილით წახდებაო, მაგრამ ღლეული ვაჟკაცი ან მოჰკლავს ან შეაკვდებაო. ქართველი კაცი ვარ და უჯერებ ჩვენს ქართველს პოეტსა. რაც მინდოდა, იმას კი ვიტყვი ჩემს გლახის ნაამბობში და კარგად ვიტყვი, თუ ცუდად—ამის დარდი ბევრი არა მაქვს. დღეს ველი რევიზორს. აბა იფიქრე რა რიგად მოუხდება რევიზორი ჩემს გლახის ნაამბობს.

ჩემის აჩრდილის პირველს ნაწილს გიგზავნი, თუ მოგეწონათ სრულად დაბეჭდეთ. ვიცი, რომ XVI ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ცენზორი ამოშლის. ისევ ისა ჰსჯობია ჩვენ წინადვე დავასწროთ, რომ სხვაზე მაინც არ აღელდეს.

---

[1] ნიკო ნიკოლაძე (1843—1928) პირველ ხანებში ახლო მეგობარი იყო ილია ჭავჭავაძისა. იგი საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ (1869 წ.) უახლოეს მონაწილეობას ღებულობდა „დროებაში", „კრებულში" და „ტფილისის უწყებაში" (დაარს. 1873 წ.). იგი ერთ-ერთი მეთაური იყო „ახალი ახალგაზდობის" ჯგუფისა, რომლის დაარსებასაც მას მიაწერენ. ეს ჯგუფი დაარსდა 1869 წელს და იმოღვაწეა 1877 წლამდე. 1876 წელს ნიკოლაძემ ცალკე კამათი გამართა ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ საბანკო საკითხების შესახებ. ამ კამათმა დიდხანს გასტანა რუსულსა და ქართულს გაზეთებში. კამათმა გამოიწვია ი. ჭავჭავაძის „დროების" რედაქციიდან გასვლა 1876 წელს და თავისი საკუთარი ორგანოს „ივერიას" დაარსება. 1877 წელს სერ. მესხთან უთანხმოების ნიადაგზე ნიკოლაძეც გავიდა „დროებიდან" და 1878 წ. თავისი საკუთარი ორგანო „ობზორი" დაარსა.

ბარათაშვილის ოთხი წიგნის მეტი ჩემს დას და სიძეს არა ჰქონდათ და ოთხივე მანდ გამოგიგზავნეთ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

P. S. სხვადასხვა მიზეზთა გამო ჯერ ხანობით ფრანგულს ვერ გეგზავნით.

წერილი მეოთხე

„ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება,[1]—წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუთუ მართლა შენ დასწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშ? ნუ თუ მართლა შეუშინდი ჭიაღუებს და იმათ ბზუილზე გაფრთხი? მე იმდენად შენ პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ, რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრიყოს. მე მგონია, რომ ეგ ფელეტონი წუთიერის მღელვარების შედეგია და არა დამჯდარის გონიერების დასკვნა. წუთიერის მღელვარებით გატაცება შენისთანა მდუღარე კაცის თვისებაა. მარტო ამით თუ გავამართლებ შენს ფელეტონს, თორემ სხვა გასამართლებელი არა აქვს რა.

ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სად?[2] იქით, ამბობს შენი ფელეტონი, სადაც უკეთესი ცხოვრებაა. არა, ერთი მითხარი, მაგას ლუარსაბ თათქარიძე კი ვერ იზამდა. ვითომ რა არის მანდ საკვირველი? არაფერი გარდა ერთისა: მანდ საკვირველი ის არის, რომ შენისთანა კაცი ბრძოლას ექცევა და თბილ ოთახში აპირებს გადაგორ-

[1] ჭავჭავაძის ეს წერილი დაწერილია 1873 წლის ბოლო თვეებში და გამოგზავნილია პეტერბურგიდან სადაც იგი იმ ხანებში საბანკო საქმეებისათვის იყო გაგზავნილი. ეს კერძო წერილი გამოუწვევია ნ. სკანდელის (ნიკოლაძის) „დროებაში“ მოთავსებულ ფელეტონს: „მშვიდობით, მშვიდობით“ (იხ. „დროება № 45, 1873 წ- ან ნიკოლაძის „რჩეული ნაწერები“ ტ. II გვ. 107—110 1932 წ.). როგორც „დროების“ წერილებიდან სჩანს, ნიკოლაძის ამ წერილს დიდი გახმაურება გამოუწვევია. ახალ თაობის წრეებში. პეტერბურგიდანვე გამოგზავნილია წერილი „წიგნი რედაქტორთან“ (იხ. № 404, 1873 წ.), რომელსაც ხელმოწერილი აქვს ფსევდონიმი ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი. ამ „წიგნის“ არსებითი შინაარსი და სტილი იგივეა რაც ილიას კერძო წერილისა. ნ. ნიკოლაძემ, როდესაც 1927 წ. ილიას ზემოდ დაბეჭდილი კერძო წერილი გადმომცა თავის არქივიდან, მითხრა, ამ წერილთან ერთად ილიკომ პეტერბურგიდან გამოგზავნა რედაქციაში თავისი ხელით დაწერილი, მაგრამ პეტერბურგელი სტუდენტების სახელით, „დროებაში“ დასაბეჭდი წერილიო. ამრიგად წიგნი რედაქტორთან ილიას კალამს ეკუთვნის.

„დროებამ“, რომელსაც მაშინ დროებით კ. ლორთქიფანიძე რედაქტორობდა, მკითხველების საპასუხოთ დაბეჭდა შემდეგი;

„უფ. სკანდელი მხოლოდ რამოდენიმე მცირე ხნის ვადით მიდის საზღვარ-გარეთ. ის სრულებით არ სტოვებს სალიტერატურო ასპარეზს ამ ცოტა ხნის განმავლობაშიაც“ („მკითხველებს“—„დროება“ № 400 1873 წ.).

[2] თავის წერილში ნიკოლაძე სწერდა:

„დაღალული, დაქანცული, ილაჯგაწყვეტილი ვტოვებ მე ჩვენი მწერლობის ასპარეზს და ჩვენი სამშობლოს ჰაერს, სრული ბედნიერებით ვეთხოვები ყველას, ვისაც ვძულვარ ან უყვარვარ, ვესალმები ყველას, ვინც მებრალება ან მიყვარს, და მტერმეგობარს ნეტარებით ვეუბნები—„მშვიდობით“ (იხ. „დროება“ № 45, 1873 წ.).

ეს ადგილი მაშინდელმა ახალთაობამ ისე გაიგო, თითქო ნიკოლაძე სამუდამოთ ეთხოვებოდა ქართულ მწეოლობას.

გადმოგორებასა. მერე იცი რა კბილი ჩავარდება იმ რაზმს, რომელშიაც შენ ფალავნად გვეგულები და ყველას ვინც კი შენი თანაზიარი იყო. ჯერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართულა და შენ კი ეხლავე ბინდა, თავს უშველო. ეგ ვერაფერი ძალგულოვნებაა. განა წინადვე, არ იცოდე, რომ მაგ გზაზე, რომელსაც, შენ დაადეგ ათასი ვაივაგლახი, ბეღლი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოთ შენის შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია. ვითომ რად გიკვირს რომ მოსალოდნელი მოვიდა ? რად არ გიხარიან, რომ იმოდენა ძალა გქონია, რომ მკვდრებიც კი ააყაყანე. მეტი რა გინდა? ძალიან ჰყარსო. სჩივი შენ. მძოვრი ყოველთვისა ყარს და მაშინ უფრო, როცა სადგისს წასჩხვლეტ. დავიჯერო რომ ეს ყოველი შენ წინადვე არ გცოდნოდეს? და თუ იცოდი, ესეთი მოულოდნელი რა დაგხვდა მაგ უმადურს ეკლიანს გზაზედ, რომ როგორც მხდალი ისე გაგაფრთხო? ექცევი რას და ვისა? შენს ქვეყანას, შენს შრომას, შენს მეგობრებს და თანამოაზრეთა. ნუ თუ კაცობა იყოს ეგე? რას შვრები, რას? შენ მაგითი ისეთს სირცხვილს იდებ თავზედ, რომ ველარაფრით ჩიმოირეცხავ შემდგომში. პირმოთნეობაში არ ჩამომართვა, და შენ პატივსა გცემდი როგორც ნიჭიერს, რიგიანს, გამბედავს და დაუშრომელს მოღვაწესა, როგორც კაცსა, რომელზედაც კაცურ-კაცის თვალი იმედით შეჩერდებოდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად ულელში შებმა სახარბიელოა.

თუმცა ჩვენ „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ერთმანეთი ისე არ გაგვიცვნია, რომ სული სულში გაგვეყაროს, მაგრამ იმდენად კი გიცნობ, რომ არ დავიჯერო იგი ცილი, რასაც შენს თავს ეგრე მოურიდებლად და წინდაუხედავად შენვე სწამებ. ვითომ შენ ეგ იყო, რასაც შენი ფელეტონი, შენდა საუბედუროდ, ამბობს! არა და ათასჯერ არა! შენ ჩემს თვალში მაინც ისეთი კაცი ხარ რომლის გულშიც, კაცი თუ მონახავს, მადანს იპოვის და ამის გამო აი რას გთხოვ:

თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ისე თამამად და უშიშრად იღწვოდი, თუ ის ყოველიფერი, რითაც შენ მოსაწონი ხარ, ქარის მოტანილი არ არის, ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქადი. დარჩი მაგ უბედურს ქვეყანაში; მაგრე სამარცხვინოთ ბოლოს ნუ მოულებ მას, რაც ეგრე რიგიანად შენ თითონვე დაიწყე. დარჩი და იშრომე,—და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდათ შველა და არა ვის სხვასა; კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსანს საქმეს და შენ, ჩვენს მოძმეს, ცოტაოდნად წაბარბაცებულს ვაპატიებთ წუთიერ სისუსტეს და სულმოკლეობას და თვით შენს შეურაცმყოფელს ფელეტონს დავიწყებას მივცემთ. თუ ამას არ იქმ, მაშინ გეტყვით: ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და დეე ქარმავე წაგიღოს; გეტყვით ამას, მაგრამ გულში კი ერთი ძარღვი ჩაგვწყდება. თუ შენ ის სკანდელი[1] ხარ, როგორიც იყავი მაშინ მიხვდები რა სურვილი და რა გრძნობა მაწერინებს ამ წერილსა. დასასრულ ამასაც გეტყვი, რომ ქართველი გამოსალმების დროსაც ერთს მშვენიერს სიტყვას ხმარობს: „გამარჯვებითო“. მაგრამ სალამს გამოთხოვებისას თავის დღეში არ აღირსებს მას, ვინც ბრძოლიდამ გარბის: იმას „მშვიდობითო“ ეტყვიან, მსურს, რომ შენ ისე მოიქცე რომ შეგვეძლოს შენთვის თქმა: „გამარჯვებით“ და არა „მშვიდობით“.

• • •

[1] ნ. სკანდელის ფსევდონიმით სწერდა 76-იან წლებში ნიკოლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ხუნდაძე

ამხ. სიმონ ხუნდაძე დაიბადა 1895 წელს სოფ. კალაგონში (ყოფ. ოზურგეთის მაზრა). პირველ დაწყებით განათლება მიიღო სოფლის სკოლაში. სასოფლო სკოლის დამთავრების შემდეგ ამხ. სიმონი შეყავთ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. აქ იგი სასკოლო კურსის გავლის გარდა, ეწაფება თვითგანვითარებას, მეცადინეობს სალიტერატურო წრეებში, აქტიურად მუშაობს მოწაფეთა არალეგალურ ჯგუფებში და სხ. 1914 წელს გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ამხ. სიმონი მიემგზავრება მოსკოვს და შედის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1917 წლის რევოლიუციამ, მას მე-3 კურსზე მოუსწრო. იგი ანებებს უნივერსიტეტს თავს და მოემგზავრება საქართველოში. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში მომხდარ განხეთქილების შემდეგ ის ემხრობა მემარცხენე მიმდინარეობას, ხოლო 1921 წლიდან—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იგი მეთაურობს მემარცხენე სოც. ფედერალისტთა პარტიას და რედაქტორობს ამ პარტიის ცენტრალურ ორგანოს „ტრიბუნას“, ამავე წელს მას ირჩევენ პირველი მოწვევის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრად. მემარცხენე სოც. ფედერალისტთა პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ იგი შედის კომუნისტურ პარტიაში, ხდება გაზეთ „კომუნისტი“-ს მუდმივ თანამშრომლად.

1924 წელს ამხ. სიმონი მეცნიერული კვალიფიკაციის მისაღებად იგზავნება მოსკოვის კომუნისტურ აკადემიაში. აკადემიის დამთავრებისთანავე იგი ჩამოდის საქართველოში და იწყებს მუშაობას სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე, ამ დროიდან იგი უფრო ინტენსიურად კიდებს ხელს მე-19 საუკ. საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების შესწავლას და საკვლევა-ძიებო მუშაობას ამ დარგში. იგი აგროვებს დიდძალ საარქივო მასალას, ალაგებს და სისტემატიზაციაში მოჰყავს იგი, ამავე ხანებში ამხ. სიმონ ხუნდაძე რედაქტორობს ჟურნალ „ქართულ მწერლობა“-ს და მონაწილეობს თითქმის ყველა საბჭოთა პერიოდულ გამოცემებში.

პოლიტიკურ ლიტერატურის სერიიდან ამხ. სიმონის კალამს ეკუთვნის შრომები „იმპერიალიზმის შესახებ“. „პირველი ინტერნაციონალის ისტორია“ და სხ. საქ. საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიიდან „სოცია-

ლიზმის ისტორია საქართველოში"—ორ ტომად, „ქართული ინტელიგენციის პროფილი" და სხვ.

ამხ. სიმონის რედაქტორობით და კომენტარიებით გამოცემულია შემდეგი ქართული კლასიკოსები: გ. წ ე რ ე თ ე ლ ი—ორ ტომად, ე ვ ნ. ბ ი ბ ლ ი—ორ ტომად, ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე—ორ ტომად დ ი მ. ყ ო ფ ი ა ნ ი ს მემუარები. ამხ. სიმონს დარჩა აგრეთვე გამოუქვეყნებული მონოგრაფიები დიმიტრი ყიფიანზე, ივანე მაჩაბელზე, აკაკი წერეთელზე. ქართულ უახლოეს მწერლობაზე.

უკანასკნელად ამხ. სიმონ ხუნდაძეს ეჭირა სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა და მისი ხელმძღვანელობით ლიტერატურათმცოდნეობაში მუშაობდა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი. ამხ. სიმონი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აქტიური თანამშრომელი, საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს და მრავალ სხვა კულტურულ სამეცნიერო ორგანიზაციის წევრი.

ჯანლონით სავსე ახალგაზრდა მეცნიერი და მწერალი ამხ. სიმონ ხუნდაძე გარდაიცვალა სრულიად მოულოდნელად ტვინში სისხლის ჩაქცევისაგან სკლეროზის ნიადაგზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენტუზიასტი მეცნიერის ხსოვნას

სოციალისტური მწერლობისათვის მებრძოლ ავანგარდს, რეოლიუციონური ეპოქის ლიტერატურულ თაობას გამოაკლდა ერთ-ერთი საუკეთესო და მოწინავე წევრი—ღრმა ლიტერატურული ერუდიციის, განუზომელი შემოქმედებითი პოტენციის და იშვიათი ადამიანური ღირსების მქონე ამხანაგი სიმონ ხუნდაძე.

ჩვენმა მარქსისტულ-ლენინურმა კრიტიკამ, ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიამ და მთლიანად სოციალისტური კულტურის მშენებლობის ფრონტმა განიცადა მწვავედ და ძნელად ასანაზღაურებელი დანაკლისი. ეხლა ძნელია ამ დანაკლისის სისავსით, მთელი მოცულობის გააზრება. ეხლა შეუძლებელია იმ მდიდარი და მრავალმხრივად ნაყოფიერი მოღვაწეობის შეფასება. რომლითაც აღინიშნა ამხ. სიმონის ხანმოკლე სიცოცხლე.

მით უმფრო დაუძლეველია ეს ამოცანა ჩვენთვის. ამხ. სიმონთან არა მარტო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მუშაობით, არამედ პირადი მეგობრობით დაკავშირებულ—ამხანაგებისათვის რომელთა ცნობიერებაშიც ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ლიტერატურულ-სამეცნიერო მუშაკის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება ღრმად უკავშირდება საყვარელი ამხანაგის, დაუვიწყარი მეგობრის ასე უეცრად და სრულიად მოულოდნელად ჩვენი რიგებიდან წასვლით აღძრულ მწვავე და მტკივნეულ განცდებს.

მთელი რიგი წლების მანძილზე განუწყვეტელმა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობამ, სოციალისტური კულტურის სხვადასხვა ფრონტებზე დაუღალავმა საქმიანობამ, ახალი კადრების აღზრდისათვის, ქართული კლასიკური მწერლობის კრიტიკულად დაუფლებისათვის, საბჭოთა მხატვრული პრესისა და საგამომცემლო საქმის ახალი ამოცანათა სიმაღლეზე დაყენებისათვის დაუსვენებელმა და გატაცებულმა მოღვაწეობამ შეუმჩნევლად მოქანცა მისი ორგანიზმი და სისხლის ჩქერს გზა გაუხსნა იმ ტვინისაკენ, რომელმაც მრავალი შრომებით გაამდიდრა და რომლისგანაც კიდევ ბევრს მოელოდა ჩვენი მწერლობის და მეცნიერების ფრონტი.

ამ თვალსაზრისით სიმონ ხუნდაძე საამაყო მსხვერპლია იმ დიდი საქმისათვის ბრძოლაში დაცემული, რომელსაც ლენინური კულტურული რევოლუციის გამარჯვება წარმოადგენს.

საქართველოში პროლეტარული დიქტატურის გამარჯვების შემდეგ კი მან თანმიმდევრული, გაბედული და უკან დაუხეველი მუშაობა გაშალა ამ მიმარ-

თულებით, რომელმაც არა მარტო საბოლოოდ დააშორა იგი ნაციონალისტურ-წვრილბურჟუაზიულ ბანაკს, არამედ საგრძნობლად ხელი შეუწყო ქართველ ინტელიგენციის მოწინავე, ფენების—საბჭოთა ხელისუფლების ელементებთან დაახლოვების საქმეს.

ბიბლიოთეკა

ასეთი მოღვაწეობის ლოღიკამ ამხ. სიმონი მიიყვანა რევოლუციონური პროლეტარიატის ავანგარდის—კომუნისტური პარტიის რიგებამდე.

ამ დროიდან ამხ. სიმონის საზოგადოებრივ-ლიტერატურული და სამეცნიერო მუშაობა იშლება განუწყვეტელი, თანამიმდევრულად აღმავალი გეზით. თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ძირითად სფეროდ მან აირჩია ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია—განსაკუთრებით მე-19 საუკუნე, ეს მდიდარი და მრავალფეროვანად შინაარსიანი და ამავე დროს შეუსწავლელი და დაუმუშავებელი ეპოქა ქართული მწერლობის განვითარებაში.

ამხ. სიმონს მოუხდა დიდი მუშაობის ჩატარება არა მარტო კვლევის ობიექტად აღებული ეპოქის მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობის „ნათელი—გაშუქებისათვის, არამედ სრულიად ხელშეუხებელ მასალათა უშუალო წყაროებიდან შესასწავლად, ისტორიულ ფაქტების დასადგინებლად, მეცნიერული სისტემატიზაციისათვის აუცილებელი წინამძღვრების მოსაპოებლად.

ამხ. სიმონი არ შეუშინდა ამ ორმაგი სიძნელისა და რთული წინააღმდეგობის ამოცანას. მისი მახვილი გონება, შრომის უნარიანობა და პროლეტარული სამეცნიერო კადრებისათვის დამახასიათებელი ენტუზიაზმი გატაცებით შეეტაკა არქივის მტვერს და მრავალმნიშვნელოვანი ისტორიული პიროვნება და ფაქტი ამ ლაბირინტიდან უშუალოდ ამოიტანა მარქსისტული მეცნიერების სინათლეზე.

იგი გასაოცარი სიყვარულით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით და დაუღალავი ენერგიით ალღვევდა ბუნდოვანების და გაურკვევლობის რკალს ჩვენი კულტურული შემკვიდრეობის მიმართ. ნამდვილი შემოქმედებითი აღფრთოვანებით მუშაობდა ძველ ხელთნაწერებზე, პრესის მასალებზე და კვლევის ყოველგვარ წყაროზე.

შრომის უდიდესი უნარისა, მეცნიერული პასუხისმგებლობისა და ერუდიციის გარდა ამხ. სიმონს ახასიათებდა მკვლევარისა და მოაზროვნესათვის აუცილებელი თვისება, გაბედული, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ფაქტების ემპირეიაში იგი შედიოდა არა წინასწარ დადგენილი, უკვე ლიტერატურაში ცნობილი შეხედულებით, არამედ გარკვეული მეცნიერული მეთოდის ნიადაგზე მდგომი. დამოუკიდებელი კვლევის, ახალი ახსნისა და გაშუქების სურვილით, ამიტომ იგი იმსახურებს ორგინალური მოაზროვნის საპატიო სახელს. მან მთელ რიგ პიროვნებათა და პრობლემათ მიმართ შემოიტანა ახალი კონცეპცია, დამყარებული ფაქტების ზედმიწევნით შესწავლაზე, მეცნიერული ანალიზის უნარზე.

ამხ. სიმონის ნაშრომები: „ქართული ინტელიგენციის პროგრამები“ ცალკე ნარკვევები ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი

წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის და სხვათა შესახებ უაღრესად მნიშვნელოვან შრომებს წარმოადგენენ ჩვენს ლიტერატურაში.

ცხადია სიმ. ხუნდაძეს არ შეეძლო უხვი და დაუმუშავებელი მასალის მოყვანა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებისათვის დამახასიათებელი მტკიცე წესრიგში. ამიტომ მთელ რიგ შემთხვევებში ნაშრომები მოითხოვენ შემდგომ სისტემატიზაციას. ცხადია ისიც, რომ ამხ. სიმონის ამდენად რთული ნაყოფიერი მუშაობა დაუზღვეველი არ იყო შეცდომებისაგან. არ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში მისი მუშაობისათვის გარკვეული კვალი არ დაეჩნია ტრადიციას მას იდეურ-პოლიტიკურ წარსულზე. მაგრამ ამხ. სიმონს ქონდა უნარი საკუთარი შეცდომების გაგებისა და დაძლევის, იგი არ ჯიუტობდა შემცდარ შეხედულებაზე და ყოველ ახალ ნაშრომში იძლეოდა არა მარტო ერუდიციის გაღრმავების, მეცნიერული ზრდის მაჩვენებლებს, არამედ იდეური განმტკიცების, მსოფლმხედველობითი სიმაღლიდან მასალების დაუფლებას და წინა ეტაპზე დაშვებულ შეცდომათა დაძლევის ტენდენციას.

განსაკუთრებით დიდია ამხ. სიმონის დამსახურება ქართველ კლასიკოსთა გამოცემის საქმეში. იგი უდიდესი მზრუნველობით ხელმძღვანელობდა და რედაქტორობდა გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ეგ. ნინოშვილის და სხვათა გამოცემებს. მისი კომენტარიები, სარედაქციო შენიშვნები და წინასიტყვაობანი ქართულ კლასიკოსთა გამოცემისათვის წარმოადგენენ აგრეთვე ძვირფას მასალას კლასიკური მემკვიდრეობის ლენინური დაუფლებისა და გამოყენებისათვის.

მაგრამ სიმონ ხუნდაძე მარტო წარსულით არ განსაზღვრავდა თავის ლიტერატურულ-სამეცნიერო საქმიანობას. იგი აქტიურად მუშაობდა მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრების პრობლემებზე და ისეთივე მეცნიერული სიღრმით, ზედმიწევნითი ცოდნით არკვევდა საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებს.

მისი წერილები თანამგზავრობის პრობლემებზე, კრიტიკული ნარკვევები სანდრო შანშიაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაქტიონ ტაბიძის და სხვათა შესახებ, სიმონ ხუნდაძეს უდაოდ აკუთვნებენ თვალსაჩინო ადგილს კომუნისტი კრიტიკოსთა მოწინავე რიგებში. ამ მხრივ მის უდიდეს უპირატესობას შეადგენდა მეცნიერული სიღრმე და ერუდიცია.

ამ რთული თეორიულ-კვლევითი და კრიტიკულ მუშაობის პარალელურად ამხ. სიმონი ეწეოდა უდიდეს პრაქტიკულ მოღვაწეობას სოციალისტური კულტურის მშენებლობის ფრონტზე. იგი განუწყვეტელი მუშაობდა ახალი სამეცნიერო კადრების აღზრდის ხაზით. როგორც საუცხოვო ლექტორი, პეტაგოგიური ღირსებით და ორატორული მეტყველების შესანიშნავი უნარით იგი ითვლებოდა ჩვენი უმალლესი სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო მეცნიერულ ძალად, იგი ხელმძღვანელობდა ისტორიისა და ლიტერატურის ფაკულტეტს.

ამხ. სიმონი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა მწერლობის ორგანიზაციის მიმდინარე მუშაობაში. იგი ხასიათდებოდა კოლეგიალური მუშაობისათვის საჭირო იშვიათი ადამიანური ღირსებებით ამხანაგებისადმი, სიყვარული, მზრუნველობა და უდიდესი თავაზიანობა. პრინციპიალურ პოლემიკაში

და საზოგადოებრივ მუშაობაში ყოველგვარ პირად დაინტერესებაზე მაღლა დგომა—მას ხდიდა საყვარელ ამხანაგად და მეგობრად, ყველასათვის, ვისაც კი მასთან საერთო საქმე შეხვდებოდა.

ამხ. სიმონი დაეცა ასეთ დიდ შემოქმედებით შეგნებისათვის მუშაობის პროცესში. მოულოდნელმა სიკვდილმა განუხორციელებელი დატოვა ყველა ეს მეტად საჭირო და სასარგებლო განზრახვა და ვინ იცის კიდევ რამდენი ფართო და ნათელი პერსპექტივა. მასალათა ცოდნის უდიდესი მარაგი, ლიტერატურულ-სამეც. მუშაობის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი მიაქვს სამარეში ამ იშვიათ ადამიანს, დაუღალავ მუშაკს, ნიჭიერ მკვლევარს.

ის საყოველთავო პოპულიარობა და სიყვარული, რომელიც დაიმსახურა სიმონმა თავისი სანიმუშო მოღვაწეობით და შესანიშნავი პიროვნული თვისებებით, უზრუნველყოფენ მისი ხსოვნის უკვდავყოფას კულტურის მუშათა და პროლეტარული საზოგადოებრივობის ფართო ფენებში — ჩვენი ეპოქის ლიტერატურის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის სიმონის ლიტერატურ-მეცნიერულ შრომებს,

ბ. ჟღენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია ფალიაშვილი

ზაქარია ფალიაშვილი იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ მუსიკას.

ქართული მუსიკის მდიდარი ბუნებმა ჩვენმა კომპოზიტორებმა დაგვიანებით გახსნეს.

შეიძლება ითქვას კიდეც, რომ ჯერ საბოლოოთ არ არის ნაპოვნი ის ძირი, რომელიც ქართული ხალხურ მუსიკას ასხვავებს მთელ ქვეყანაზე.

ბევრ სხვა აუხსნელ თავისებურებასთან ერთად ქართული ხალხური შემოქმედება გასაოცარია განსაკუთრებით სიმღერაში.

თუ ზოგიერთი ხალხური ლექსი თუნდაც ყივჩაღის შეხვედრა ქართველ ვაჟკაცთან მუხრანის ველზე, ან და ვეფხვისა და მოყმის დუქსი პირისპირ უსწორდება ა. პუშკინის „დედიბაშს", ან შილლერის ბალადას—უფრო მეტ ინდივიდუალურ ოსტატობის ბეჭედს ატარებს. „ხასანბეგური" ან და „ჩელა".

მუსიკაში დიდი ნაცადი არ უნდა იყოს კაცი რომ სვანურ მზის ამოსვლის საგალობელ „ლილე"-ში ესმოდეს ვაგნერის „ნიბელუნგები" და სკრიაბინის „პრომეთეს ჰიმნი"

უმეტესათ ნიშნეულია გადმოცემა, რომ რუსეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი ვლადიმერ სოლოვიოვი სიკვდილის წინ ითხოვდა „ლილე"-ს სიმღერას, როგორც ესხატოლოგიას.

ვინ იცის იქნება სკრიაბინსაც, რომ ეცხოვრა სვანეთის მთებში და მოესმინა „ლილე" და ქალდეას სიმღერა; ჰიმალაის მაგიერ—შეიძლება თეთნულდი ან უშბა აერჩია თავის ფანტასტიურ ტაძარის ასაშენებელ ადგილად, რაზედაც სიკვდილის დღემდე ოცნებობდა.

განა მართლა წარღვნას არ გავდა ტფილიში მურზაყან დადეშკელიანისა და მარგიანის სვანების ხოროს გამოჩენა?

მთელი საბჭოთა კავშირი გააკვირა მაშინ სვანეთის გუნდმა და ეს ტურნე აქამდის დაუვიწყარია.

მხოლოდ ეს სვანეთის მეწყერი უეცრად გაჰქრა ტფილისიდან და ეხლაც არავინ იცის სად დევს ეს მადანი?..

როგორც იტყვიან გენია არ არის ერის მოვალეობა, უფრო მისი ბედნიერებაა—და როგორ უნდა იყოს ასეთი ბედნიერებით განებივრებული ხალხი, რომ ვერ ითვლიდეს ასეთ შედევრებს!...

ამ შედევრებსაც ჰყავს სიმღერის ოსტატები: ათასი დედას ლევანა, ჯიღაური—ათასი აშუღები და აშუღის თუნდა ისეთი ვარიაცია, როგორიც იყო დანიელა ურია, რომელმაც მთელ იმერეთს მოფინა სიმღერით აკაკის ლექსები.

უეჭველია ასეთი ხალხური შემოქმედებით მდიდარ ხალხს არა ერთი და ორი გამოჩენილი ოსტატი უნდა ჰყავდეს.

ამ სახელებითაც მდიდარია ჩვენი მუსიკა: ნ. სულხანიშვილი. ყარაშვილი, მ. ბალანჩივაძე, დ. არაყიშილი, ი. [illegible]. მელვინეთუხუცესი და ნიჭიერი ახალი კადრები.

და მაინც განსვენებულ ზაქარია ფალიაშვილს ერგო ბედათ ყოფილიყო თანამედროვე ოპერის პიონერი და დამკვიდრებელი.

„აბესალომით და ერეთი"-თ იწყება ქართული ოპერის ისტორია.

ნ. სულხანიშვილი ნამდვილი კახელი ორეულია მუსიკაში ნიკო ფიროსმანის, მისი მუსიკალური მემკვიდრეობა ჯერ კიდევ შეუსწავლელია და მისი როლიც შეუფასებელი—ხოლო მისი ჟრუანტელის სიმღერა და უტკბესი კახური კილო მთელ თაობას აღზრდის.

სულხანიშვილი მაინც ვერ გასცილდა კახურ კილოს, ისე როგორც იმერეთის კილო ახასიათებს მელიტონ ბალანჩივაძეს, რომლის ხალასი ნიჭი და სიმღერის თილისმა სულხანიშვილსაც ეჯიბრება.

ზაქარია ფალიაშვილში კი მოცემულია მთლიანი ქართული მუსიკა, აქ ყველა კუთხეა გამოყენებული, მაგრამ შეკრულია სასტიკი მონტაჟი.

„აბესალომი და ეთერი" ერთ დღეს არ დაწერილა, მას წინ უსწრობდა ხალხური შემოქმედების შესწავლა, ყოველ დღიური მუშაობა სკოლაში და გუნდებში.

ზაქარია ფალიაშვილმა გაიარა ძნელი გზა ხალხიდან გამოსული ოსტატისა, რომელსაც ხელობას ასწავლიან მის შემდეგ, რაც ნიჭს შეამჩნევენ. მისი მეცენატი იყო საკუთარი ძმა ივანე ფალიაშვილი, რომელმაც ჯერ თვითონ გაირა ბეწვის ხიდი, სანამდის გამოჩენილ დირიჟორი გახდებოდა. მართლაც ამ ძმებს არ დაუკლიათ ერთმანეთისთვის დახმარება არა მარტო ყოველ დღიურ ცხოვრებაში, შემოქმედებაც თითქოს კოლექტიური იყო ამ ოჯახში და ვანო ფალიაშვილის მოყვარული და მხრუნველი ხელი ატყვია „აბესალომის და ეთერი"-ს ორკესტროვკას.

ამ შემთხვევაში ფალიაშვილის ოჯახი მოგვაგონებს სებასტიან ბახის ოჯახს რომელსაც შეეძლო დამოუკიდებლად შეესრულებია ყველა ურთულესი მუსიკალური ნაწარმოები.

ქუთაისის კათოლიკურ ტაძრის ორგანისტი ზაქარია ფალიაშვილი თანდათან ეწაფება სწავლას, ათავებს მოსკოვის კონსერვატორიას, კომპოზიციის კლასს სერგეი ტანიეევთან.

ასე გაწაფული და განსწავლული მოდის საქართველოში მომავალი ოსტატი.

არ ყოფილა არცერთი დღე, რომ ის არ ყოფილიყო მუშაობაში გართული სამუშაო მრავალმხრივი ჰქონდა, მან აღზარდა ქართველ მუსიკოსთა მთელი თაობა ეს შრომის სიყვარული და მუყაითობა მას ბილომდე შერჩა, ეს გამოარჩევდა მას ზოგიერთ ქართველ კომპოზიტორებისაგან, რომელთაც სიზარმაცემ და ლოთობამ სანახევროდაც ვერ გაანაღდებია მათში ჩამარხულნი შესაძლებლობანი.

შეიძლება იყო ხალხი, რომელსაც ეს შრომა და გარჯა ხალიერიზმათ მიაჩნდა, მაგრამ საქართველოში სრულიადაც არ არის საჭირო მოცარტიზმით გატაცება, ძალიან ბევრი ნიჭი—დაუღუპავს ასეთ მიკერძოებას.

ეროვნული

არცერთი ნაწარმოები მით უმეტეს ოპერა არ იწერება [illegible] შთაგონებით.

ზაქარია ფალიაშვილი ათი წელიწადი სწერდა „აბესალომ და ეთერ"-ს, როცა პირველად დაიდგა სცენაზე ეს ოპერა ღამის სამ საათზე გათავდა და წარმოდგენა ღამის თევად გადაიქცა.

ზაქარია ფალიაშვილს სრულიადაც არ დაუწყია ჯიუტობა, მან ხელმეორეთ გაუკეთა თავის ოპერას მონტაჟი, დასცალა ზედმეტი ბალასტიდან შეასწორა და გადაამუშავა—ამით მოიგო ნაწარმოებმა.

ამ პირველ ოპერისთვის შემზადებული იყო ნიადაგი, როგორც წვიმას ელის გამხმარი ყამირი, ისე ელოდა ამ ოპერას ქართული საზოგადოება და არც მოტყუვდა მოლოდინში.

ამ დროს აბესალომ და მურმანის პარტიების ამსრულებელი: ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი თავიანთი არტისტობის ზენიტში იყვნენ და ოპერის დადგმის მეორე დღეს მთელი ტფილისი მღეროდა მათ არიებს.

ოპერის ტექსტის შერჩევას უწყობდა ხელს ამ ოპერის გამარჯვება, აბესალომის და ეთერის ლეგენდა გასაგები იყო მასებისათვის, ოპერამდე მღეროდა ხალხი დედინაცვალისაგან დაჩაგრულ საწყალ ეთერზე, ეს სიმღერა გადაიტანა ზაქარია ფალიაშვილმა თავის ოპერაში—ხალხმა იცნო თავისი ხმა, იცნო და შეიყვარა და ეს არის მიზეზი, რომ ამ ათ წელში სამასჯერ დაიდგა ეს ოპერა

ამ ორგანიულობას და ხალხურ შემოქმედების ძირებთან სიახლოვეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „აბესალომისა და ეთერი"-სათვის.

მახსოვს როგორ აღნიშნავდა ზ. ფალიაშვილის ამ თვისებას სომხეთის კომპოზიტორი სპენდიაროტი, რომელსაც თვითონ ერგო წილად გამხთარიყო თავისი „ალმასტით" სომხური ოპერის მამამთავარი.

აბესალომის ეს ორგანიულობა გაირჩევა ამავე ზ. ფალიაშვილის სხვა ოპერებიდან, როგორც „დაისი" და „ლატავრა"—სადაც შეიძლება მეტი იყოს ოსტატობა და მასალის დაუფლება, მაგრამ არის ის სიუჟეტის ნაკლედობა და სასადავე რომლითაც სავსეა მისი პირველი ოპერა.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეეთვე ეპოქის დაკვეთვის შესრულებას, როცა ყველა გზა ერთად მიდის და პირდაპირ ურტყამს მიზანს ნაწარმოები.

ასე გახდა ზ. ფალიაშვილის „აბესალომი და ეთერი" ქართული ოპერის სათავეთ, ამიტომ არის ამით რომ იხსნება ყოველთვის სეზონი და შემდეგშიც გაიხსნება რადგან მას აქვს ისტორიული დაკანონება.

უეჭველია სიკვდილმა ზ. ფალიაშვილს ჯერ კიდევ ნიჭის დავაჟკაცებაში მოუსწრო, ის ოცნებობდა შეექმნა ქართული კომიკური ოპერა და კლასიკური ბალეტი—თუ მივიღებთ მხედველობაში როგორი სისტემატიური მუშაობა იცოდა განსვენებულმა, ადვილად წარმოვიდგენთ რა დიდი დანაკლისია მისი სიკვდილი ქართველი მუსიკისათვის.

მაგრამ სიკვდილ სიცოცხელესაც აქვს თავისი თანამიმდევრობა, ის რაც ერთხელ ხალხის გულს დააჩდება მართლაც საშვილიშვილოდ გადაიცემა და სამუდამოთ რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ჰქრება ხორციელი და მიწიერი ოსტატში.

ველარ ვნახავთ ყოველთვის აღელვებულ ზაქარიას, რომელიც გაკაპასებულ კრუხივით თავს დატრიალებდა თავის ოპერებს.

ალარ იბრძოლებს კონსერვატორიის რექტორი ყოველ წვრიმალზე ოფლის მოდენით, ალარ ეჩრება იღლიაში თავისი ნოტები და სახელგამში არ შევა საჩხუბრათ და ბეჭდვის დასაჩქარებლად, არც იმას გაუსვამს ხაზს სამხატვრო საბჭოში, თუ როგორ მიიღეს საბჭოთა კავშირში: ხარკოვში და მოსკოვში მისი „აბესალომი“ და როგორ ემზადება იქ წასასვლელად.

მისთვის არ კმაროდა მარტო საქართველო, ის ეძებდა მსოფლიო რეპუტაციას და მიაღწია კიდეც, რადგან მაგარი ჰქონდა ფუძე და „აბესალომის“ ხმაც შორს გადიოდა.

თითონ შრომის მოყვარე სხვისგანაც მოითხოვდა ზაქარია შრომის დაფასებას, ამ შემთხვევაში მას არაფერი არ დარჩენია გულის დასაწყვეტი. საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულათ დააფასა მისი ამაგი და ყოველმხრივ ხელი შეუწყო ფართოდ გაეშალა ნიჭი, მასიური გაეხადა მისი შემოქმედება.

უკვე ოპერის თეატრის გალავანშია მოთავსებული „აბესალომ და ეთერი“-ს პირველი ანსაბლი.

სამუდამოთ ჩაწყვეტილი ვანო სარაჯიშვილის ხმა თითქოს მღერის აბესალომის კარავიდან ეთერის შესახვედრათ სიკვდილის წინ სავედრებელს, მის გვერდით კოტე მარჯანიშვილი თითქო ახალ კოშკებს აშენებს აბესალომისთვის როგორც ყოველთვის მას უნდოდა მეორე დადგმით მოსკოვში სრულ ექმნა ეს პირველი ხალხური ოპერა, თუმცა ისედაც მასთან არის დაკავშირებული აბესალომის დადგმის სტილი.

მესამე საფლავი გაჩრილია ოპერის გალავანში თვითონ „აბესალომის“ ავტორისთვის.

დიდხანს ანიშნებს ჩვენ თაობას სახალხო არტისტების სამეული ქართულ ოპერის სათავეს და ისტორიულ მიჯნას.

ტიციან ტაბიძე

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არქეოლოგიური გათხრა იყალთოში

როგორც „მნათობი“-ს მეხუთე ნომერში აღვნიშნავდით, წარსულ ზაფხულს განზრახული იყო იყალთოში ფართე არქეოლოგიური გათხრის მოწყობა. სამწუხაროდ მიზანი მის განზრახულ ფარგლებში ვერ იქნა შესრულებული და მხოლოდ ნაწილობრივი გათხრა მოხერხდა. ამდენად, მაშასადამე, შემოიფარგლა გათხრის მიზანი და პერსპექტივა, რომლის შინაარსსაც შეადგენდა: ნეკროპოლის სივრცის საბოლოოდ მოხაზვა; სამარხთა სხვადასხვა ტიპებისა და მათი გავრცელების რაიონების დადგენა; და შეძლების დაგვარად დასაფლავების წესის გამორკვევა.

მუშაობის შედეგები ყველა მიმართულებით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა; რამაც იყალთოს პრობლემა უფრო გააღრმავა და თან მისი შესწავლის საჭირეობას აუცილებლობისა და ნაყოფიერების ელფერი მიანიჭა. შარშანდელი შედეგების მიხედვით სამარხთა გავრცელების არე, თავისთავად საკმაოდ დიდ მანძილზე, მაგრამ მასთან შედარებით მცირე ფართობზე წარმოგვედგინა, რაც გასულ ზაფხულს იქ გამოირკვა. კერძოდ სამარხებს ჩვენ ვგულისხმობდით მდ. თურდოსა და ჩუმათ-ხევის შორის მოქცეულ „ნიაურას მთის“ კალთებზე. ზაფხულის მუშაობამ კი გამოარკვია, რომ სამარხების არე დასავლეთით გაცილებით ვრცელ ფართობს შეიცავს! სახელდობრ ისინი მოიპოება იყალთოს დასავლეთი უბნის „თაღლაური“-ს თავზეც, ე. წ. „კვიცის ახო“-ში, რომელიც „ნიაურას მთის“ პარალელურ ჰორიზონტზე მდებარეობს. ამ გვარად დასავლეთი საზღვარი სამარხთა გავრცელებისა ჯერჯერობით შეიძლება იყოს ეს „კვიცის ახო“, აღმოსავლეთით კი მდ. თურდოს მარჯვენა ნაპირი. ორივე პუნქტთა შორის მანძილი სამ კილომეტრს აღემატება; სიფართე ამ მიდამოსი (იგულისხმება მხოლოდ მაღლობი ნაწილი იმ ზოლამდე, სადაც დღევანდელი მოსახლეობა იწყება) $1^1/_2$-2 კილომეტრს უდრის. მაგრამ იყალთოში ძველი სამარხების გავრცელების საკითხი ამით როდი წყდება. ნათქვამი შეეხება მხოლოდ ერთი ტიპის სამარხებს, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, მაღლობ ნაწილშია გავრცელებული. ამის შემდეგ იმ ადგილიდან, სადაც მთის კალთები დაქანებას იწყებს ჩვენ გვხვდება მეორე ტიპის სამარხები, რომლებიც ზემოხსენებულისაგან განსხვავდება როგორც თავისი კონსტრუქციით, ისე ინვენტარით, რაც მათ შორის ეპოქალურ განსხვავებასაც გულისხმობს. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ, წ. ქვის ყუთებს“ და ინვენტარით ძლიერ ღარიბია, მაშინ როდესაც მაღლობზე გავრცელებული სამარხები უბრალო ორმოს წარმადგენენ და ინვენტარის (ბრინჯაო, რკინა, კერამიკა) მდიდრად შეიცავენ.

„ქვის ყუთები“-ს გავრცელების არე თავისი სიდიდით პირველი სახის სამარხების არეს გაცილებით აღემატება. ამ გვარად ჯერჯერობით ჩვენ შეგვი-

ძლიან იყალთოში ორი სხვადასხვა ეპოქის ფართე ნეკროპოლის არსებობა დავადასტუროთ.

სამარხების გათხრამ გამოარკვია დასაფლავების წესი, ჯერ ადგილობრივი საზოგადოების მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ ზოგიერთი ჩვეულებანი. ჩვენ ვლაპარაკობთ პირველი ტიპის სამარხებზე, რადგან ესენი პირველად და ამასთანავე ყველაზე უფრო მრავლად, იქნა ნახული „ნიაურას მთის" კალთებზე, იმ ადგილას, რომელსაც „კიკაბაური" ეწოდება.

„კიკაბაური"ს ტიპის პირველი დამახასიათებელი ის არის, რომ იქ კუბოს არავითარი კვალი არ მოსჩანს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მიცვალებული უშუალოდ იყო ორმოში მოთავსებული და ზევიდანაც უშვალოდ მიწა ჰქონდა გადაყრილი... მაგრამ შესაძლებელია ხის კუბო იყო, ან ფიცრებით იყო გვამი გადახურული, რაც დროთა განმავლობაში არ შეინახებოდა. სამარხი მრავლად შეიცავს კერამიკას, როგორც სითხეებისთვის, ისე სხვადასხვა საჭმელებისთვის დანიშნულ სხვადასხვა ზომის მოონამენტებულ ჭურჭლებს. ეს უკანასკნელნი დიდ უმრავლეს შემთხვევაში შეიცავენ სხვადასხვა საჭმლის ნაშთს, უმთავრესად ცხოველთა და ფრინველთა ძვლებს. თვითეულ სამარხში ასეთი ჭურჭელი 15-20-45-მდე მოიპოვება. ხშირად კი ჭურჭლებთან ერთად შინაურ ცხოველთა (ცხვრის, ძროხის) მთელი ნაწილებია პირდაპირ ჩაწყობილი სამარხში. მიცვალებულს ბლომად ახლავს თან საომარი და სამეურნეო ;იარაღები და სამკაულები.

როგორც გამოირკვა მიცვალებული დასაფლაეებულია ადამიანის ჩვეულებრივ დასასვენებლად წამოწოლილ პოზაში, ამასთანავე უსათუოდ მარჯვენა მხარეზე წევს, თავით სამხრეთისაკენ და სახით აღმოსავლეთისაკენ მიმართული, ხელები წინ გაწვდილი და გადაჯვარედინებული აქვს.

ჩემ მიერ გათხრილი მეორე ტიპის „ქვის ყუთებიანი" ორივე სამარხი არავითარ ინვენტარს არ შეიცავდა. აქ მიცვალებული დასაფლავებულია ზურგზე მწოლიარე, თავით დასავლეთისაკენ და სახით აღმოსავლეთისაკენ მიმართული, ხელები გვერდზე აქვს გადაჯვარედინებული... მაგრამ ამ სამარხებზე ნათქვამი საბოლოოდ არ ჩაითვლება, რადგან ჩვენ მოგვეპოვება ცნობები, რომ არის ამისთანა სამარხებშიაც ინვენტარის აღმოჩენის შემთხვევები. გასულ ზაფხულის აღმოჩენილ ნივთთაგან საყურადღებოა თიხის ჭურჭლის იშვიათი ნიმუშები. როგორც არის, მაგ. წყლის სატარებელი მათარა, რომელიც დღევანდელისაგან სრულიად არაფრით არ განსხვავდება და რომელიც ა/კ. ტერიტორიაზე იშვიათ არქეოლოგიურ ნაშთს წარმოადგენს, განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი: ერთ სამარხში აღმოჩენილ იქმნა ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც მენჯის ძვალში ბრინჯაოს ისარი აქვს შესობილი, რაც ფრიად იშვიათ აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა იქ ქვის დამუშავებული სახეების (იარაღების?) აღმოჩენა. პირველი ტიპის სამარხთა მიდამოზე ქვით შემოზღუდულ ნაკვეთებს წარმოადგენს. ნაკვეთები სავსეა ნაცრითა და ნახშირით. ამ ნაკვეთების ნიადაგზე მრავლად მოიპოვება ხსენებული დამუშავებული ქვები. ჯერ ვერ გამოვარკვიეთ რას წარმოადგენს ეს ნაკვეთები: სამარხებია თუ ნამოსახ-

ლარი. ამ საკითხის გადაწყვეტა უაღრესად საინტერესოა, რადგან ადვილი შესაძლებელია ალმოჩნდეს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქს ნამოსახლარებთან და ამგვარად შესაძლებელი შეიქნეს სამარხებისა და სადგომებს შორის [illegible] დაკავშირება, რაც მთელს ამიერ,კავკასიაში პირველი შემთხვევა იქნებოდა.

იყალთოში შეგროვილი ყველა მასალების მიხედვით კიკაბაური'' ს. სამარხები ქრ. წ. პირველ ათასეულის მიკუთვნება, თუ ყველა შედეგებს შევაჯამებთ, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ იყალთოს სახით ჩვენ ფრიად საინტერესო არქეოლგიური ობიექტი გაგვიჩნდა შესასწავლი, რომლის რთული ფიზიონომიის ჯეროვნი ასახვა-შეთვისებისთვისაც საჭიროა იქ სერიოზული ექსპედიციის მოწყობა, რომლის მიზანსაც უნდა შეადგენდეს:

1. იყალთოს ნიადაგზე არსებული სიძველეების სხვადასხვა კომპლექსთა გამოკვლევა და მათი ურთიერთშორის დამოკიდებულების თვალსაზრისით შესწავლა, იყალთოს კულტურული ისტორიის გათვალისწინების მიზნით.

2. ამ გვარი შესწავლის გზით იყალთოში სამოსახლო სადგომების მიგნება და როგორც მათში ნახული ნივთების, ისე სამარხების ინვენტარის მიხედვით ტექნიკისა, ეკონომიკისა და სხვა ყოფა-ცხოვრებითი მონაცემების შედეგად, იმ საზოგადოების სტრუქტურის მოხაზვა, რომლის შემოქმედებასა და მისახმარისაც იყალთოს არქეოლოგიური ობიექტი წარმოადგენდა.

3. იყალთოს ამ გვარად უკვე შესწავლილი სახის საქართველოსა და ა/კავკასიის ანალოგიურ მოვლენებთან პარალელების საშუალებით, ზოგად-კულტურული ისტორიის განვითარებისა და კულტურულ-ეკონომიური ცენტრების ურთიერთშორის დამოკიდებულების გზების გათვალისწინება.

გ. გოზალიშვილი.

● ● ●

შინაარსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქ. კომ. პარტ. (ბ) ცეკას 1933 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება

მხატვრული ლიტერატურა

პანტ. ჩხიკვაძე—ალმასხან (მოთხრობა) 1
ვ. გორგაძე—მწვანე წნორებთან (ლექსი) 10
ლეო ქიაჩელი—დახურული წარმოდგენა (მოთხრობა) 13
გ. ლეონიძე—ლექსები 27
ბ. ჩხეიძე—სისხლიანი ბარი (მოთხრობა) 30
ალ. ქუთათელი—ჩარირამა (მოთხრობა) 37
გ. ბაზოვი—ფეთხაინი (რომანი, გაგრძელება) 61
საფო მგელაძე—გზა და გზა (პირვ. ნაწ. დასასრული) 94
ს. თალაკვაძე—გადასასვლელი (თავი რომანიდან) 116
კ. გამსახურდია—გოეტეს ცხოვრების რომანი (დასასრული) . . . 136
არ. ჯაჯანაშვილი—ნაგერალი (რომანი) 170

ადამიანები და ფაქტები

ლევ. მარუაშვილი—სამი თვე ზვავების ქვეყანაში (ნარკვევი) . . 196

ლიტერატურა და ხელოვნება

შ. რადიანი—თანამედროვე პოეტები 215
ს. ჩიქოვანი—ქართული მხატვრობა 224

მეცნიერება და ცხოვრება

ი. მეგრელიძე—იაფეტური სიახლეები 233

სალიტერატურო არქივი

სიმ. ხუნდაძე—ილია ჭავჭავაძის წერილები 266

კულტურის მატიანე

ბ. ულენტი—ენტუზიასტი მეცნიერის ხსოვნას 287
ტ. ტაბიძე—ზ. ფალიაშვილი 291
გ. გოზალიშვილი—იყალთო 295